

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი
სამართლის სადოქტორო პროგრამა
დიანა ბერეკაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე:

სავალდებულო წილი მემკვიდრეობით სამართალში

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი ეკა ზარნაძე, სამართლის დოქტორი



საქართველო თბილისი

2020 წელი

აბსტრაქტი

სასამართლო პრაქტიკაში სამემკვიდრეო და უწინარესად სავალდებულო წილის თაობაზე დავების განხილვა, ოჯახური კონფლიქტების ემოციურ ფონზე მიმდინარეობს, რადგან აქ მოსარჩელე და მოპასუხე ხშირად ერთი ოჯახის წევრები არიან. ამას თან ერთვის ის სირთულეები, რომელიც წარმოიშობა ამ კატეგორიის დავათა განხილვის დროს მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებისას. სპეციფიკით გამორჩეული მითითებული საკითხის აქტუალობამ, სავალდებულო წილის მომწესრიგებელ ნორმათა არაერთგვაროვანმა განმარტებებმა, და ამ ნორმათა სასამართლო პრაქტიკაში ინტეგრაციის პრობლემებმა, განაპირობა დამოუკიდებელი კვლევის აუცილებლობა. ეს კი უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ერთის მხრივ, სავალდებულო მემკვიდრეთათვის სამკვიდროდან წილის მიღების გარანტიებისა, და მეორეს მხრივ, მამკვიდრებლის ნების თავისუფლებისა და ანდერძისმიერ მემკვიდრეთა ქონებრივ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის ძიებას და მის დაცვას.

კვლევის მიზანია მემკვიდრეობით სამართალში სავალდებულო წილის მომწესრიგებელ ნორმათა გამოყენება-განმარტების პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი მეცნიერული ანალიზი, სამართალშეფარდებისათვის სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის, სამართლის ჰარმონიზაციისათვის საკანონმდებლო წინადადებების შეთავაზება.

კვლევისას გამოყენებულია ზოგადმეცნიერული შემეცნების დიალექტიკური მეთოდი, შედარებითი, სისტემურ-სტრუქტურული, იურიდიულ-ტექნიკური, გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სხვა კვლევის მეთოდები. სავალდებულო წილის მომწესრიგებელ ნორმათა შინაარსი შესწავლილია კანონმდებლის მიზნის, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

ნაშრომი შედგება შესავალის, ცხრა თავის, ქვეთავებისა და დასკვნისაგან. ეს თავებია: სავალდებულო წილის ისტორია და სამართლებრივი ევოლუცია; საკუთრება, მემკვიდრეობა და ანდერძის თავისუფლება; სავალდებულო წილზე უფლება, როგორც ბუნებითი სამართალი და თაობათაშორისი სოლიდარობა; სავალდებულო

მემკვიდრე როგორც მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტი; სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის ობიექტი; სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობა; უღირს მემკვიდრედ აღიარება და სანქციები სავალდებულო მემკვიდრის მიმართ; სავალდებულო წილის გამოთვლის მექანიზმი; სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები ევროპული და ისლამური ქვეყნების სამემკვიდრეო სამართალში.

ნაშრომში განხილულია დოქტრინასა და პრაქტიკაში ისეთი სადავო საკითხი, როგორცაა ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობებიდან მემკვიდრეობის უფლებების წარმოშობა. კანონი იცავს ჩასახულის, როგორც მომავალი მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტის, უფლებებს. თუმცა მოუწესრიგებელია და შესაბამისად აქტუალურია, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად დაბადებული შვილების სამართლებრივი მდგომარეობა. შვილიშვილის, როგორც სავალდებულო მემკვიდრის, უფლებების კვლევის დროს სადისერტაციო ნაშრომში გადმოცემულია დასკვნები იმის თაობაზე, რომ განსხვავებით გერმანული სამართლისგან, ქართული მემკვიდრეობის სამართალი შვილიშვილს არ განიხილავს სავალდებულო წილის უფლების სუბიექტად. მემკვიდრეობითი ტრანსმისიის საკითხის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სავალდებულო წილი ტრანსმისიით უნდა გადავიდეს არა ყველა მემკვიდრეზე, არამედ მხოლოდ გარდაცვლილი ტრანსმისარი მამკვიდრებლის სავალდებულო მემკვიდრეებზე. ნაშრომში განიხილულია სავალდებულო მემკვიდრეთა ვალდებულებები, მათი დაკმაყოფილების რიგითობა და კრედიტორთა პრეტენზიების წარდგენის ვადების პრობლემები და გადაჭრის გზები. სადისერტაციო ნაშრომში, სავალდებულო წილის ჩამორთმევის საკითხის განხილვისას, ეროვნული და უცხოური სასამართლო პრაქტიკის განზოგადების გზით, განიმარტა რომ, მემკვიდრეობის უფლების დაკარგვის საფუძვლად მიჩნეულ უნდა იქნეს მამკვიდრებლის ან მისი მემკვიდრის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის მცდელობაც. ამასთან მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს შესაბამის ქმედებათა

მოტივს. ეროვნული კანონმდებლობა მართალია, ითვალისწინებს მემკვიდრეობის ჩამორთმევას ანდერძით, მაგრამ ეს არ ვრცელდება სავალდებულო მემკვიდრეზე.

ნაშრომში წარმოდგენილია სასამართლო პრაქტიკის კვლევისა და სამართლის ნორმის განმარტების გზით განხორციელებული დასკვნები სავალდებულო წილის გამოანგარიშების წესებზე, რომელზეც არაერთგვაროვანი პრაქტიკა არსებობს. ეს დასკვნები კი ღირებული იქნება ამ კატეგორიის დავათა სასამართლო წესით განხილვისათვის. ნაშრომში გამოკვლეულია გერმანული სასამართლო პრაქტიკა გაჩუქებული ქონების სამკვიდრო მასაში შესვლისა და ეგრეთ წოდებული "ორმაგი უფლებამოსილების" შესახებ, რაც ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დავას იწვევს.

ნაშრომში წარმოჩენილი ნორმათა განმარტებები და რეკომენდაციები საშუალებას მისცემს საკანონმდებლო ხელისუფლებას აღმოფხვრას ნორმატიული ხარვეზები, ხელს შეუწყობს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებასა და სამოსამართლო სამართლის განვითარებას.

ABSTRACT OF DISSERTATION

In judiciary practice, litigations on mandatory portions are often conducted with emotional familial conflicts, since claimant and defendant are usually members of the same family. These litigations are aggravated by complexities of using the property norms in such disputes. Specific nature of the issue, equivocal interpretations of norms and their integration in judiciary practice, have necessitated independent research. This fact requires maintaining guarantees of mandatory heirs to acquire portions, considering bequeather's will, and preserving fair balance between proprietary interests of heirs-by-will.

The research aims to identify problems of interpreting norms regulating mandatory portion. It also elaborates scholarly-practical recommendations for judicial decisions, and makes legal offers to improve and harmonize the existent national legislature.

The research implements the following methods: cognitive-dialectical, comparative, systemic-structural, legal-technical-grammatical, logical, historical and others. The essence of the norms is discussed by considering legislator, legal safety, optimality and expediency of the parties' interests.

The dissertation consists of introduction, nine chapters, subchapters and conclusion. These chapters are as follows: history and legal evolution of mandatory portion; property, inheritance and freedom of will; natural entitlement to mandatory portion and intergenerational solidarity; mandatory heir as a subject of inheritance-relations; object of legal relations of mandatory share; legal relations in realizing rights on mandatory share; recognizing mandatory heir as unworthy; calculating mandatory share; norms regulating mandatory portion in inheritance laws of European and Islamic countries.

The dissertation discusses a controversial issue of inheritance right in de facto marital relations. The law protects rights of a fetus, as a subject of future legal-inheritance relations. Legal status of offspring, born through in vitro fertilization, is unregulated and becomes topical after bequeather dies. The conducted research also states that unlike the German Inheritance Law, the Georgian Inheritance Law does not consider grandchild as a mandatory heir. The investigation has revealed that mandatory portion should not be transmitted to all heirs, but only to mandatory heirs of a deceased transmitter-bequeather. The present work

discusses obligations of mandatory heirs, order of inheritance transfer, and problems regarding time-spans of presenting the claims of creditors. By drawing on national and foreign practices, the dissertation states that the basis of withdrawing the right of mandatory inheritance should also be the attempt of encroachment upon the life or health of bequeather and/or of heir. Motive of relevant actions should not be considered. National legislation considers withdrawing inheritance-by-will, which does not pertain to mandatory heir.

The dissertation discusses procedures of calculating mandatory portion. It also investigates the German judicial practice of including gifted property in inheritance amount and discusses “double rights”, that cause controversies in Georgian judiciary.

The explanations of the norms and the offered recommendations will enable the legislative body to eliminate normative inaccuracies, will facilitate realization of effective justice and development of judiciary law.

სარჩევი

I. შესავალი.....	1
II. სავალდებულო წილის ინსტიტუტის ისტორია და სამართლებრივი ევოლუცია.....	8
1. ძველი რომის მემკვიდრეობის სამართალი;.....	8
2. სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის საკითხები ძველ მუსლიმურ სამართალში.....	17
3. სავალდებულო წილი საბჭოთა სამართალში.....	20
4. მემკვიდრეობა და სავალდებულო წილი ძველ ქართულ სამართალში.....	22
III. საკუთრება, მემკვიდრეობა და ანდერძის თავისუფლება	38
IV. სავალდებულო წილზე უფლება, როგორც ბუნებითი უფლება და თაობათაშორის სოლიდარობა.....	63
V. სავალდებულო მემკვიდრე, მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტი.....	78
1. სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის მონაწილეები.....	78
2. მეუღლე სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტი.....	85
3. შვილები და მშობლები სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტები.....	100
4. შვილიშვილი სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტი.....	118
VI. სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის ობიექტი.....	130

VII. სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაცია და მისი შედეგები.....	145
1. სავალდებულო წილზე მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის შინაარსი.....	145
2. სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღება.....	148
3. სავალდებულო წილის მიღება სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის შემდეგ.....	169
4. სავალდებულო მემკვიდრის უარი სავალდებულო წილზე.....	189
5. სავალდებულო წილის მემკვიდრეობა ტრანსმისიით.....	207
6. სავალდებულო მემკვიდრის ვალდებულებები.....	217
VIII. უღირს მემკვიდრედ აღიარება და მემკვიდრეობით-სამართლებრივი სანქციები სავალდებულო წილის მემკვიდრის მიმართ.....	238
1. შესავალი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევაში.....	238
2. უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობები.....	240
3. სავალდებულო წილის ჩამორთმევა და შემცირება საანდერძო განკარგულებით..	255
4. სავალდებულო წილის მემკვიდრეობის ჩამორთმევა საოჯახო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ბოროტად თავის არიდების გამო.....	258
5. სავალდებულო წილის ჩამორთმევის სამართალწარმოება.....	263
IX. სავალდებულო მემკვიდრის წილის გამოთვლის მექანიზმი და მისი მოცულობის განსაზღვრის წესი.....	274
1. სამკვიდროს მიმღები სუბიექტების დადგენა სავალდებულო წილის გამომანგარიშების წინაპირობა.....	274
2. სამკვიდრო მასა სავალდებულო წილის განსაზღვრისათვის.....	281
3. სავალდებულო წილის გამომანგარიშების საგამონაკლისო წესები.....	289

3.1. გაჩუქებული ქონება და სამკვიდროს ღირებულება სავალდებულო წილის მოცულობის დადგენისათვის.....	289
3.2. სავალდებულო მემკვიდრე როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრე და წილის გათანაბრება.....	296
3.3. სავალდებულო მემკვიდრე და საანდერძო დანაკისრი.....	298
X. სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები ევროპული და ისლამური ქვეყნების მემკვიდრეობის სამართალში.....	301
XI. დასკვნა.....	322
ბიბლიოგრაფია.....	355

აბრევიატურები და შემოკლებანი

გამომ. – გამომცემლობა

სსკ –საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსსკ – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

გსკ – გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

ეს.სკ – ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი

საფ.სკ-საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი

შვ.სკ. - შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი

საბ.სკ- საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი

ესტ.სკ- ესტონეთის სამოქალაქო კოდექსი;

ე.წ. – ეგრეთ წოდებული

იხ. – იხილეთ

თბ. – თბილისი

ჟურ. – ჟურნალი

შეად.-შეადარე

რედ.-რედაქტორი

სუსგ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ECHR – European Court of Human Rights ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

BverfG- გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო

BGH - გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო

I შესავალი

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხი, როგორცაა სავალდებულო წილის მემკვიდრეობის უფლება მამკვიდრებლის ნებისა და ანდერძის თავისუფლების წინააღმდეგ. ყველა ადამიანს უფლება აქვს თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება და სურვილისამებრ ნებისმიერი ადამიანი აირჩიოს თავის მემკვიდრედ, ამ უფლების რეალიზაცია მას ანდერძის შედგენითაც შეუძლია. ანდერძი თავისი სამართლებრივი ბუნების გამო საკმაოდ სენსიტიური გარიგებაა, თუმცა ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად და იმისდა მიუხედავად, მამკვიდრებლის მიერ შედგენილ ანდერძში გათვალისწინებულნი არიან თუ არა მამკვიდრებლის შვილები, მშობლები და მეუღლე, მათ სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების უფლება მაინც არ ეკარგებათ. ყოველივე ზემოაღნიშნული იმას გულისმობს, რომ მიუხედავად კანონმდებლობით განმტკიცებული ანდერძის თავისუფლების პრინციპისა, რომლის თანახმადაც მამკვიდრებელი უფლებამოსილია საკუთარი ქონება, მთელი ცხოვრების ნაღვაწი და ასევე ვალდებულებები სიკვდილის შემდეგ გადასცეს (დაუტოვოს) მისთვის სასურველ ნებისმიერ პიროვნებას, იგი სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეების არსებობით მაინც იზღუდება. დებულება სავალდებულო წილის შესახებ არის მოანდერძის ნების ავტონომიის ლეგიტიმური შეზღუდვა და ადგენს ანდერძში გამოხატული ნების რეალიზაციის სამართლებრივ ფარგლებს. მთლიანი ქონების სხვა პირებისათვის გადაცემა, ისეთ ვითარებაში როდესაც მამკვიდრებელს დარჩა უახლოესი ნათესავები: შვილები, მშობლების და მეუღლე, არის ოჯახური კავშირების ისეთი დარღვევა, რომ კანონმდებლები მესაკუთრის ნების თავისუფლებისადმი პატივისცემის მიუხედავად, განკარგოს თავისი ქონება, საჭიროდ მიიჩნევენ თვითნებობისთვის გარკვეული ფარგლების დადგენას, რათა ზღვარგადასული უფლება არ გახდეს ამ უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველი.

სასამართლო პრაქტიკაში სამემკვიდრეო და უწინარესად სავალდებულო წილის სამემკვიდრეო დავების განხილვა ოჯახური კონფლიქტების ჭიდილის ემოციურ ფონზე მიმდინარეობს, რადგან აქ მოსარჩელე და მოპასუხე ხშირად ერთი ოჯახის

წევრები არიან. ამას თან ერთვის ის სირთულეები, რომლებიც წარმოიშობა ამ კატეგორიის დავათა განხილვის დროს მატერიალური ნორმების გამოყენებისას. სპეციფიკით გამორჩეული მითითებული საკითხის აქტუალობამ, სავალდებულო წილის მომწესრიგებელ ნორმათა შინაარსის ბუნდოვანებიდან გამომდინარე არაერთგვაროვანმა განმარტებებმა, სასამართლო პრაქტიკაში მათი ინტერგრაციის პრობლემებმა, განაპირობა დამოუკიდებელი კვლევის აუცილებლობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ერთის მხრივ, სავალდებულო მემკვიდრეთათვის სამკვიდროდან წილის მიღების გარანტიებისა და მეორეს მხრივ, მამკვიდრებლის ნების თავისუფლებისა და ანდერძიმიერ მემკვიდრეთა ქონებრივ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის ძიების და დაცვის გარკვევას.

კვლევის მიზანია: მემკვიდრეობის სამართალში სავალდებულო წილის მომწესრიგებელ ნორმათა გამოყენება-განმარტების პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი მეცნიერული ანალიზი, ქართული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე სამართალის შეფარდებისათვის სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის, სამართლის ჰარმონიზაციისათვის საკანონმდებლო წინადადებების შეთავაზება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს კანონითა და ანდერძით მემკვიდრეობის საფუძველზე წარმოშობილი სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობები, სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეთა წრის იდენტიფიცირების, წილის ოდენობის განსაზღვრისა და მისი გამოყოფის მექანიზმის, სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღების, მისი ჩამორთმევისა და სამკვიდროს მიღების ვადების აღდენის პრობლემური საკითხების კვლევა.

კვლევის საგანს წარმოადგენს მემკვიდრეობის სამართლის მოქმედი ნორმები, რომლებითაც რეგლამენტირებულია სავალდებულო წილის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვა. სავალდებულო მემკვიდრეთა უფლებების სასამართლოსმიერი დაცვის ძირითადი თეორიული დებულებები, სავალდებულო წილის მემკვიდრეობის საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის საუკეთესო

სასამართლო პრაქტიკა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში, საკასაციო სასამართლოს დოქტრინალური განმარტებანი.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ზოგადმეცნიერული შემეცნების დიალექტიკური მეთოდი და კონკრეტული სამეცნიერო მეთოდები: შედარებითი, სისტემურ-სტრუქტურული, იურიდიულ-ტექნიკური და ა.შ. კვლევის პროცესში გამოყენებულია სამეცნიერო ცოდნის ანალიტიკური, ნორმატიულ-დოგმატური და სხვა მეთოდები. ამან შესაძლებელი გახადა განხილული სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობების მთლიანობაში შესწავლა, მისი შინაგანი თვისობრიობისა და გარეგნული მახასიათებლების მიხედვით. მითითებული მეთოდებით განხორციელდა სავალდებულო წილის მიღების მომწესრიგებელ ნორმათა შინაარსის დადგენა კანონმდებლის მიზნის, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილების თვალსაზრისით. კანონის ინტერპრეტაციის მიზნის მისაღწევად ანუ კანონის აზრის გასაგებად, გამოყენებული იყო ნორმათა განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სისტემური ხერხები.

სადისერტაციო კვლევის ნორმატიული ბაზა იყო მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დებულებები; ასევე, შედარებითი ანალიზის შესაბამისად, განზოგადებული იქნა უცხო ქვეყნების: შვეიცარიის, გერმანიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ესტონეთის კანონმდებლობა. კვლევის ემპირიული საფუძველი იყო სასამართლო პრაქტიკა, მათ შორის საქართველოსა და გერმანიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების პრაქტიკა; სანოტარო პრაქტიკის მასალები, სტატისტიკური ინფორმაცია.

ნაშრომი შედგება შესავალის, ცხრა თავის, ოცდახუთი ქვეთავისა და დასკვნისაგან. მეორე თავი-- სავალდებულო წილის ისტორია და სამართლებრივი ევოლუცია; მესამე თავი-- საკუთრება, მემკვიდრეობა და ანდერძის თავისუფლება; მეოთხე თავი - -სავალდებულო წილზე უფლება, როგორც ბუნებითი სამართალი და თაობათაშორის სოლიდარობა; მეხუთე თავი სავალდებულო მემკვიდრე როგორც მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტი; მეექვსე თავი-- სავალდებულო წილის

მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის ობიექტი; მეშვიდე თავი ---- სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობა; მერვე თავი -- უღირს მემკვიდრედ აღიარება და მემკვიდრეობით-სამართლებრივი სანქციები სავალდებულო წილის მემკვიდრის მიმართ; მეცხრე --- სავალდებულო წილის გამოთვლის მექანიზმი; მეათე თავი -- სავალდებულო წილის მომსწესრიგებელი ნორმები ევროპული და ისლამურ ქვეყნების სამემკვიდრეო სამართალში და ბოლოს მეთერთმეტე თავი დასკვნითი დებულებები.

მეორე თავში განხილულია სავალდებულო წილის ისტორია და სამართლებრივი ევოლუციის საფეხურები, ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართლის ევოლუციის გზა ადრეფეოდალური ხანიდან მოყოლებული, ჰაგიოგრაფიულ ძეგლებსა და ქართლის ცხოვრების მატთანში დაცული ცნობებით; ნაშრომში განხილულია როგორი იყო ბერძნული სამართლის გავლენა ქართული სამართლის მემკვიდრეობის საკითხებზე; ვახტანგ IV-ის სამართლის წიგნი და ბექა-აღბუღას სამართლის განმარტებები ანდერძისმიერ მემკვიდრეობაზე; ძველი რომის მემკვიდრეობის სამართალი უნივერსალურ და სინგულარულ მემკვიდრეობაზე; იუსტინიანეს ინსტიტუციები, ნივთების, მემკვიდრეობის, გარიგების და სასამართლო პროცესების შესახებ. ძვ. წ. მე-V საუკუნეში შედგენილი თორმეტი ტაბულის კანონი, რომელიც ცნობდა როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობას.

მესამე თავი ეხება საკუთრებას, მემკვიდრეობასა და ანდერძის თავისუფლებას. მასში განხილულია საკონსტიტუციო სასამართლოს, ეროვნული და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საკუთრების უფლებაზე, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობაზე და მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლებათა მჭიდრო ურთიერთკავშირზე. ნაშრომის ეს თავი ეხება ანდერძის თავისუფლებას, რომელიც წარმოადგენს კანონით დადგენილი ფორმით მამკვიდრებლის ნების გამოვლენას თავისი ქონების იურიდიული ბედის შესახებ მისი სიკვდილი შემთხვევაში. ამ თავში განხილულია სავალდებულო წილის მემკვიდრეობის მიღების უფლება, რომელიც ანდერძის

შინაარსის მიუხედავად პირველი რიგის მემკვიდრეთა მიერ ანდერძის თავისუფლებისა და მამკვიდრებლის ნების კანონისმიერი ბოჭვის, ღირებულებათა შორის სამართლებრივი და სამართლიანი ბალანსის დაცვის გარანტიაა, რომელიც ყველაფერთან ერთად ასევე უზრუნველყოფს თაობათაშორის სოლიდარობას.

მეოთხე თავში განხილულია სავალდებულო წილზე უფლება, როგორც ბუნებითი უფლება და თაობათაშორის სოლიდარობა; ნაშრომში გადმოცემულია ბუნებითი სამართლის თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენლების გროციუსის, ჰობსის, ლოკის და სხვათა შეხედულებები მემკვიდრეობის უფლებაზე, როგორც ადამიანის ბუნებით უფლებაზე, რომელიც მას დაბადებიდან გააჩნია. ნაშრომში განხილულია ანდერძის თავისუფლება და მოანდერძის შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება ბადებდეს უთანასწორობას, სწორედ ამ ჭრილში განხილულია სავალდებულო წილის უფლება, რომელიც არის ქმედითი ინსტრუმენტი, რათა მოხდეს თაობათაშორისი სოლიდარობისა და სამართლიანობის ოჯახის ფარგლებში განხორციელება.

მეხუთე თავი ეთმობა სავალდებულო მემკვიდრეს, როგორც მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტს. მასში განხილულია სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის თავისებურებები; თითოეული სავალდებულო მემკვიდრე: შვილები, მშობლები და მეუღლე, როგორც სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირები, ამ უფლების წარმოშობა და შეზღუდვა. შვილიშვილის სავალდებულო წილის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ნორმის განმარტების პრობლემები და სასამართლო პრაქტიკა.

მეექვსე თავი ეხება სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის ობიექტს, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ ყველაფერი ის, რის გამოც ყალიბდება შესაბამისი სამართლებრივი კავშირები ის, რისკენაც მიმართულია სამართალურთიერთობა. მასში განხილულია სავალდებულო წილის მემკვიდრეობით სამართალურთიერთობის ობიექტი სამკვიდრო, რომელიც წარმოადგენს მამკვიდრებლის სამართლებრივ უფლებათა ერთობლიობას, რომლებიც არსებობდა მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისათვის, არ

შეწყვეტილა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მამკვიდრებლის გარდაცვალებით და ერთ მთლიანი სახით გადადის მემკვიდრეებზე.

მეშვიდე თავში წარმოდგენილია სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობის ანალიზი. ნაშრომში განხილულია სავალდებულო წილის მიღება კანონით დადგენილ ვადაში; ამ ვადის გაშვების საპატიო მიზეზები და მისი აღდგენის წინაპირობები. სავალდებულო მემკვიდრის უარი წილის მიღებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები. სავალდებულო მემკვიდრის ვალდებულებები და სავალდებულო წილის ტარნსმისიის პრობლემები.

მერვე თავი ეთმობა მემკვიდრეობით-სამართლებრივ სანქციებს, ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია მემკვიდრეობის ჩამორთმევის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზები, ქართული და გერმანული სასამართლო პრაქტიკა მემკვიდრეობით-სამართლებრივი სანქციების ნორმათა ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ნაშრომი ეხება მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობებს სასამართლო წესით და საანდერძო განკარგულებით. ნაშრომში განხილულია სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის ისეთ წინაპირობებზე როგორცაა, მამკვიდრებლის რჩენის მორალურ-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევა, მამკვიდრებლის ნების ფორმირებაზე არაკეთილსინდისიერი ზეგავლენა და ანდერძში გამოხატული უკანასკნელი ნების დარღვევა. სამეცნიერო კვლევის ფარგლებში გადმოცემულია ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზი პირის უღირს მემკვიდრედ ცნობაზე, ისეთ ვითარებაში, როდესაც მემკვიდრე ხელყოფს მამკვიდრებელის, მისი ოჯახის წევრის სოცოცხლესა და ჯანმრთელობას, რა შემთხვევაშიც კანონის კონკრეტული მიზანი უფრო დიდი მასშტაბით უნდა გავრცელდეს.

მეცხრე თავში განხილულია სავალდებულო წილის გამოთვლის მექანიზმი, რომელიც ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა სავალდებულო წილის მემკვიდრეობის დავათა განხილვის დროს, ხოლო მისმა არასწორად განსაზღვრამ შეიძლება ანდერძით მემკვიდრეების წილის უსაფუძვლო შემცირება გამოიწვიოს.

ნაშრომის ეს ნაწილი ეხება სავალდებულო წილის გამოთვლის ინსტრუმენტების სწორად განსაზღვრას და მისი გამოთვლისას საგამონაკლისო წესების გამოყენების პრობლემებს, არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასა და კრიტიკას.

მეათე თავში წარმოდგენილია -- სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები ევროპული და ისლამურ ქვეყნების სამემკვიდრეო სამართალში. ამ თავში გადმოცემულია გერმანიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ესტონეთის, ესპანეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო დებულებები სავალდებულო წილის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია შედარებითი კვლევა და დასკვნები ქართულ სამართალთან, განხილულია სავალდებულო წილის მემკვიდრეობის მსგავსი და განსხვავებული რეგულაციები ქართული, ევროპული და ისლამურ ქვეყნების სამემკვიდრეო სამართალში.

ნაშრომს ასრულებს დასკვნითი დებულებები, რომელშიც ერთგვარად შეჯამებულია ნაშრომში წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის შედეგები. სასამართლო პრაქტიკაში არსებული კონკრეტული დავებისა და არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების განზოგადების, სავალდებულო წილის მომწესრიგებელ ნორმათა განმარტების პრობლემის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფისა და ჰარმონიზაციისათვის საკანონმდებლო წინადადებები, ასევე სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციები სამემკვიდრეო დავების განხილვის დროს სავალდებულო მემკვიდრეთა წრის განსაზღვრის, მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობების დადგენის, სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღების ვადების აღდგენის, ტრანსმისიის, სავალდებულო წილის გამოთვლის მექანიზმის და მისი მოცულობის განსაზღვრის პრობლემების გადაწყვეტაზე.

II. სავალდებულო წილის ინსტიტუტის ისტორია და სამართლებრივი ევოლუცია:

1. ძველი რომის მემკვიდრეობის სამართალი

მემკვიდრეობის ცნება უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ სახელმწიფოსა და სამართლის საბოლოო ჩამოყალიბებამდე გაჩნდა.¹ მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს და მისი მიზანი მემკვიდრეობითი ურთიერთობების რეგულირებაა. სამართლებრივად მან განვითარების სამი ეტაპი განვლო. პირველ ეტაპზე მემკვიდრეობა წრეს მთელი გვარი შეადგენდა. გვარის კუთვნილი ქონება გვარის გარეთ ვერ გავიდოდა. განვითარების მომდევნო ეტაპზე გვარი დიდ ოჯახებად დაიყო და მემკვიდრეობაც ამ დიდ ოჯახებში ტრიალებდა, შემდგომში კი ე.წ დიდი ოჯახი იშლება მარტივ, მონოგამიურ ოჯახებად და მემკვიდრეობა წრესაც ამ ოჯახის წევრები შეადგენდნენ.²

ბუნებითი სამართლის თეორიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ჰუგო გროციუსის³ თქმით, ბუნებითი სამართალი მთლიანად შეესაბამება ბუნების მოთხოვნებს და საზოგადოებრივი მოვლენებისა და ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად, მარადიულად არსებობს. ციცერონს მიაჩნდა, რომ ბუნებითი სამართლის სფერო დაწერილ სამართალთან შედარებით ბევრად უფრო ფართოა. ბუნებითი სამართალი მარადიულ იდეას ატარებს, პოზიტიური კი ცვალებადია.⁴ ამიტომ ბუნებრივი და ბუნებითი სამართლის შედეგია ის, რომ ადამიანი თავის ქონებას თავის შვილებს უანდერძებს, რომელთა მიმართ მზრუნველობა მას ბუნებისგან აქვს შთაგონებული.⁵ სამართლის ფილოსოფიის წარმომადგენლის ჰეგელის აზრით, „მემკვიდრეობა კანონით ემყარება ბუნებრივ კავშირს ოჯახის წევრებს შორის და გამომდინარეობს იმ წინამძღვრებიდან, რომლითაც ოჯახი წარმოადგენს მარადიულად არსებულ საკუთრების განმგრძობ განსაკუთრებულ პირს, სადაც მამკვიდრებელს ეკუთვნის ამ ქონების შეუზღუდავი განკარგვის

¹ ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2008 წ. გვ. 148.

² ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2008 წ. გვ. 150.

³ ჰუგო გროციუსი პოლანდიელი ფილოსოფოსი, ადამიანის ბუნებით უფლებათა და თავისუფლებათა პირველი საგანმანათლებლო დოქტრინის შემქმნელებელი; 1583-1645

⁴ სურგულაძე ივ. საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ.1986 წ. გვ. 86.

⁵ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 11

უფლება, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ საკუთრების უფლება ქონებაზე გრძელდება ოჯახის წევრთა მიერ“.

სამართლის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომის სამართალს განვითარების თავისი საინტერესო ეტაპებით. იუსტინიანეს ინსტიტუციებში ანდერძს „„ტესტამენტუმი“ ეწოდება და იგი ნების დამოწმებას ნიშნავს. მოწმეებად მოიწვეოდა ის პირები, რომელთაც საანდერძო უფლებაუნარიანობა გააჩნდა. მოწმედ ასევე არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიწვეული მემკვიდრედ დანიშნული პირი.⁶ ძველი ცივილური სამართლისთვის დამახასიათებელი მემკვიდრეობის სამართალი აისახა ძვ. წ. მე-V საუკუნეში შედგენილი თორმეტი ტაბულის კანონში, რომელიც უკვე ცნობდა როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობას. რომის სამართალმა ევროპას მემკვიდრეობით დაუტოვა ანდერძის თავისუფლების იდეა, რომელიც თავდაპირველად ფეოდალური ევროპისთვის ბუნდოვანი იყო, მაგრამ ეკლესიის ზეგავლენით იგი თანდათან იკავებს მნიშვნელოვან ადგილს შუა საუკუნეების სამართალშიც კი, რომელიც პრინციპულად აღიარებდა კანონით მემკვიდრეობის უპირატესობას.⁷

რომაელი იურისტები მემკვიდრეობაში ხედავდნენ არა მარტო ქონებრივ უფლება-მოვალეობათა მონაცვლეობას, არამედ მისი ცნების დამფუძნებლად მიიჩნევდნენ პიროვნულ მონაცვლეობას“ – წერს თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში პროფ. ბესარიონ ზოიძე. რომელიც ისტორიკოსები მემკვიდრეობის უფლების შექმნას შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „არავინ არ ტოვებს იმაზე მეტ სიკეთეს თავის შემდეგ, ვიდრე მას ჰქონდა“.⁸ ძველი რომის მემკვიდრეობის სამართალი იყო იმ იურიდიული ნორმების სისტემური ერთობლიობა, რომელიც ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლის რიგს აწესრიგებდა გარდაცვლილი პირიდან მის უფლებამონაცვლეზე.⁹ რომაული ოჯახის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ოჯახის არსებას აფუძნებდა მამის ძალაუფლება, ის, ვინც ამ ძალაუფლებიდან გადიოდა, ოჯახის წევრად აღარ ითვლებოდა. მემკვიდრეობის უფლებასაც, შესაბამისად ის აგრძელებდა, ვინც ამ ძალაუფლების ქვეშ იყო. ამიტომაც,

⁶ სურგულაძე ნ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა თბ 2002 წ. გვ. 83.

⁷ ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი, თბ, 2008 წ. გვ. 150.

⁸ ლობჯანიძე გ., რომის სახელმწიფო და სამართალი. საგამომცემლო ცენტრი „„ქუთაისი“, 2009 წ. გვ. 97.

⁹ ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი, თბ. 2008 წ. გვ. 151.

გათხოვილი ქალიშვილი, რომელიც გათხოვების ფაქტით გამოდიოდა მამის ძალაუფლებიდან, არ იყო მისი მემკვიდრე. იგი ხდებოდა მემკვიდრე იმ ოჯახისა, რომელშიც შედიოდა და რომლის მეთაურის ძალაუფლების ქვეშაც ექცეოდა. ეს იყო აგნატური მემკვიდრეობის ხანა რომის ისტორიაში, როცა მემკვიდრეები მამაკაცის ხაზის ნათესავები (აგნატები) არიან, ხოლო ქალის ხაზის ნათესავები (კოგნატები) არ ითვლებოდნენ მემკვიდრეებად, რათა ერთი გვარის ქონება არ მოხვედრილიყო მეორე გვარის ხელში. შემდგომ, იუსტინეს დროიდან მდგომარეობა იცვლება და შემოდის მემკვიდრეობის კოგნატური ანუ სისხლით ნათესაური პრინციპიც. შესაბამისად, შეიცვალა მემკვიდრეთა წრეც.¹⁰ იუსტინიანემ მემკვიდრეთა წრეში მოიწვია არა მარტო ქალები, არამედ ნაშვილები ბავშვებიც, რომლებიც ანდერძში დაუსახელებლობის შემთხვევაში პრეტორის (ამ დროიდან პრეტორის ფუნქცია განისაზღვრებოდა სასამართლოებში საქმეების გარჩევით) ედიქტით, სავალდებულოდ, გარკვეულ ქონებას მაინც ღებულობდნენ. მაშასადამე, ისინი გათანაბრებულნი იყვნენ ქორწინებაში შეძენილ ბიოლოგიურ მემკვიდრეებთან.¹¹

რომის სამართალი იცნობდა უნივერსალურ და სინგულარულ მემკვიდრეობას. უნივერსალური იყო ისეთი მემკვიდრეობა, როცა მემკვიდრეზე გადადიოდა სამკვიდროს დამტოვებლის უფლებებიც და მოვალეობებიც, სინგულარული მემკვიდრეობის ძალით კი მემკვიდრეზე გადადიოდა ცალკეული უფლებები. ასეთი იყო ლეგატები. ლეგატა ეწოდება მოანდერძის მიერ დატოვებულ განკარგულებას – მისი სიკვდილის შემდეგ მისი ქონება ან ქონების ნაწილი გადაეცათ ამა თუ იმ პირისთვის, ან შეესრულებინა მემკვიდრეს რაიმე მოქმედება ლეგატორის სასარგებლოდ. სამკვიდროს დამტოვებელი ლეგატის ძალით ფაქტობრივად ზღუდავდა კანონიერ მემკვიდრეებს, ამიტომაც II საუკუნის დასაწყისიდან ლეგატები იზღუდება. დაწესდა, რომ ლეგატორს არ შეეძლო მიეღო კანონიერ მემკვიდრეზე მეტი. საბოლოოდ კი განისაზღვრა რომ ლეგატების ანუ ვალების მიუხედავად მემკვიდრემ უნდა მიიღოს დატოვებული სამკვიდრო ქონების $\frac{1}{4}$. თუ ლეგატები $\frac{3}{4}$ ზე

¹⁰ ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ, 2000 წ. გვ. 31.

¹¹ სურგულაძე ნ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა თბ. 2002 წ. გვ. 94.

მეტი იყო, მაშინ ისინი კანონიერი მემკვიდრეების სასარგებლოს უნდა შემცირებულიყო.¹²

იუსტინიანეს ინსტიტუციების (ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I-ის (526-565 წწ.) დროს შედგენილი სამართლებრივი ძეგლი, რომელშიც მოცემულია ცნებები პირების, ნივთების, მემკვიდრეობის, გარიგებისა და სასამართლო პროცესის შესახებ) მიხედვით, ანდერძი შეიძლება ყოფილიყო პირობით, ან პირობის გარეშე. წილები მემკვიდრეებს შორის თანაბრად ნაწილდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოანდერძე წილებს თავად მიუთითებდა. თუ რომელიმე მემკვიდრე წილის მიუთითებლად იყო დასახელებული, იგი იმ წილს მიიღებდა, რომელიც სამკვიდროდან გაყოფის შემდეგ რაიმე წილი დარჩებოდა. თუ სამკვიდრო მთლიანად განაწილებული იყო, წილის მიუთითებლად დასახელებული პირები სამკვიდროს ნახევარს ღებულობდნენ, წილის მითითებით დასახელებული პირები კი – მეორე ნახევარს და მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რომელი მემკვიდრე იყო დასახელებული წილის მიუთითებლად. თუ სამკვიდროს რაღაც ნაწილი თავისუფალი რჩებოდა, მას თითოეული მემკვიდრე ანდერძში მითითებული სამკვიდრო წილის პროპორციულად ღებულობდა, ხოლო თუ პირიქით – მემკვიდრე უფრო მეტი იყო, ვიდრე ნაანდერძევი ქონება, თითოეულ დანიშნულ მემკვიდრეს წილი შეუმცირდება, მაგალითად, თუ სამ ნაწილად გაყოფილ სამკვიდროზე იყო ოთხი მემკვიდრე, მაშინ ითვლებოდა, რომ თითოეული მემკვიდრე სამკვიდროს ერთ მეოთხედს მიიღებდა.¹³

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ცივილური სამართლისთვის დამახასიათებელმა მემკვიდრეობითმა ნორმებმა ასახვა ჰპოვა ძვ.წ. V საუკუნეში შექმნილი თორმეტი ტაბულის კანონებში. აღნიშნული სამართლის ძეგლი ძვ.წ. 451 წელს შეიქმნა. ათაკაციანმა საკანონმდებლო კოლეგიამ – დეცემვირატომ, თავისი არსებობის მანძილზე შექმნა თორმეტი ტაბულის კანონი. მეხუთე ტაბულა ეძღვნება მემკვიდრეობას, სადაც მკრთალად, მაგრამ მაინც ასახულია კანონითა და ანდერძით მემკვიდრეობის მარეგულირებელი წესები. თორმეტი ტაბულის კანონებში მემკვიდრეობის სამართლის ის საფუძვრები აისახებოდა, როდესაც ანდერძის თავისუფლების პრინციპს საოჯახო საკუთრების გადმონაშთებთან ბრძოლა ჯერ

¹² მეტრეველი ვ., რომის სამართალი. გამომცემლობა მერიდიანი. თბ. 2009 წ. გვ. 106.

¹³ სურგულაძე ნ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა თბ. 2002 წ. გვ. 98.

კიდევ უწევდა. თვით ანდერძის თავისუფლების პრინციპის წმინდა რომაულ მოვლენად გამოცხადება არ იქნებოდა სწორი, როგორც ამას ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით. ანდერძის თავისუფლება სამართლის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გაჩნდა.¹⁴ რომის სამართლის 12 ტაბულის კანონით, მამკვიდრებელს თავისი სურვილით, ანდერძის საფუძველზე შეეძლო გადაეწყვიტა ქონებისა და ყმების საკითხი.¹⁵ ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ქონება გადადიოდა უახლოესი აგნატის (მამკვიდრებლის ოჯახში მყოფი პირების) საკუთრებაში. თუ არც აგნატი ჰყავდა, ქონებას იღებდნენ მისი მოგვარეები, მამკვიდრებლის ვალები კი ნაწილდებოდა მათ შორის თითოეულის წილის შესაბამისად. რომის სამართალი იცნობდა ისეთ წერილობით ანდერძს, რომელიც შვიდი მოწმის მიერ იყო დამოწმებული. ასევე იცნობდა ზეპირ ანდერძსაც, რომელიც სასამართლოში იქნებოდა წარმოთქმული. ანდერძის შინაარს უნდა ეკასუხა გარკვეული კრიტერიუმებისთვის. კერძოდ, მასში აღნიშნული უნდა ყოფილიყო მემკვიდრე. თუ მოანდერძე დამავალი ხაზის მემკვიდრეებს სამკვიდრო ქონების მიღების უფლებას ართმევდა, მას უნდა ჩამოეთვალა ყველა ასეთი მემკვიდრე. წინააღმდეგ შემთხვევაში ანდერძი ბათილად იქნებოდა ცნობილი. ცენტუმვირალური მოსამართლე, (მოსამართლე, რომელიც იხილავდა მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ დავებს), ბათილად ცნობდა ასევე იმ ანდერძსაც, რომელშიც მოანდერძე გარკვეული საფუძველების მიუთითებლად ართმევდა მემკვიდრეებს სამკვიდრო ქონების მიღების უფლებას. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე თვლიდა, რომ მოანდერძე სულით ავადმყოფი იყო.¹⁶

სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა წრეს ჯერ კიდევ რომის სამართალი ადგენდა. რომის სამართალი ასევე განსაზღვრავდა მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის ოდენობას. ამ შემთხვევაში იგი უდრიდა იმ წილის მეოთხედს, რაც უნდა მიეღო კანონით მემკვიდრეობისას. ისტორიული სამართლის ძეგლებით დასტურდება, რომ კანონმდებელი ადგენდა რა საანდერძო განკარგულების თავისუფლებას, აქვე ზღუდავდა მას სავალდებულო წილის

¹⁴ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, თბ, 2008 წ. გვ. 153.

¹⁵ ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 10.

¹⁶ ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 11

დაწესებით.¹⁷ სავალდებულო წილის ინსტიტუტმა მემკვიდრეობის სამართალში განვითარების რთული და საინტერესო გზა განვლო. პოლიტიკური თუ სოციალური განვითარების სხვადასხვა პერიოდში იგი სხვადასხვანაირად რეგულირდებოდა. რომის სამართლის მიხედვით სავალდებულო წილის მქონე პირთა წრე საკმაოდ მასშტაბური იყო: ისინი იყვნენ აგნატები, (მამკვიდრებელთან მუდმივად მცხოვრები სისხლისმიერი ნათესავები), შვილები, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში, სხვა მემკვიდრეები აღმავალი და დაღმავალი ხაზით, ასევე მოანდერძის ღვიძლი დები და ძმები. ამ უკანასკნელთა სავალდებულო წილის მიღების უფლება მაშინ წარმოიშობოდა, თუ ნაანდერძევი ქონება უფრო შორეულ ნათესავს უნდა გადასცემოდა. სავალდებულო წილი შეადგენდა იმ ქონების მეოთხედს, რასაც პირი მიიღებდა კანონით მემკვიდრეობისას. მოგვიანებით სავალდებულო წილის მოცულობა დამოკიდებული გახდა იმაზე, თუ რამდენი იყო კანონით მემკვიდრე. მოანდერძე უფლებამოსილი იყო მემკვიდრისთვის ჩამოერთმია სავალდებულო წილის მიღების უფლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მაგალითად, ქალიშვილის ამორალური ცხოვრების წესის გამო).¹⁸

ძველ რომში ყოველ მემკვიდრეს ჰქონდა უფლება მოეთხოვა ოჯახის საერთო საკუთრებაში მყოფი მამის ქონებიდან საკუთარი წილი, ხოლო უკვე რესპუბლიკის დასასრულს და იმპერიის დასაწყისის ხანაში ჩნდება აუცილებელი მემკვიდრეობის ანუ აუცილებელი სამკვიდრო წილის იდეა. მანამდე, ადრეიმპერიისა და იმპერიის ხანაში, პრეტორის მართლშეგნების და განკარგულების ძალით, პირები სამკვიდროს ღებულობდნენ, ანუ სამკვიდროსთან დაკავშირებული საკითხები სენატის, ან პრეტორის აქტებით რეგულირდებოდა.¹⁹ პრეტორი იყო ის სამართალშემოქმედი რომში, რომელიც სამკვიდროს მფლობელობის უფლებას ძველი სამართლის გასაუმჯობესებლად ახორციელებდა. პრეტორმა ძველი სამართალი შეასწორა არამართო უანდერძოდ გარდაცვლილ პირებთან დაკავშირებით, არამედ იმ პირებთან მიმართებაშიც, რომლებიც ანდერძის დატოვების შემდეგ გარდაიცვალნენ. ანდერძის გარეთ დატოვებულ მემკვიდრეს, რომელსაც ცივილური სამართალით სამკვიდროს მიღების უფლება არ ჰქონდა, პრეტორული სამართალი სამკვიდროს გარეშე არ

¹⁷ მეტრეველი ვ., რომის სამართალი. თბ. 2009 წ. გვ. 108

¹⁸ იქვე გვ. 109

¹⁹ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი თბ. 2008 წ. გვ. 156.

ტოვებდა. თუმცა მემკვიდრედ მოწვეულ პირთა წრეს პრეტორი თვითნებურად არ ადგენდა, არამედ მათ წრეს ცივილური სამართალი, იუსტინიანეს ინსტიტუციები და უფრო ადრე თორმეტი ტაბულის კანონები ადგენდნენ. ასეთ პირთა წრეს ეკუთვნოდნენ ე.წ. „თავისი მემკვიდრეები“ და აგნატები და კოგნატები, მემკვიდრეები ექვს ხარისხში. თორმეტი დაფის (ტაბულის) კანონის ფარგლებში მემკვიდრეთა წრე უაღრესად ვიწრო იყო, რასაც პრეტორი შემდგომში სიკეთისა და სამართლიანობის შესაბამისად აფართოებდა. პრეტორებმა ანდერძის საფუძველზე ქონების გაყოფის ორი ფორმა ჩამოაყალიბეს: მფლობელობა, რომელიც ანდერძით უგულვებელყოფილ ბავშვებს ეძლევათ და მათ ეწოდათ „ანდერძის საწინააღმდეგოდ“ და მფლობელობა, რომელსაც პრეტორი ანდერძში დასახლებულ ყველა პირს ჰპირდება და მათ ეწოდებოდათ "ანდერძის თანახმად". მოგვიანებით პრეტორებმა ე.წ. „ანდერძის საწინააღმდეგოდ“ პირთა წრე გააფართოვეს. თუ თავდაპირველად ისინი მამის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ანუ ე.წ. „თავის მემკვიდრეები“ იყვნენ, მათ დაემატნენ ის უახლოესი ნათესავები, შვილები, რომლებიც მამის ხელისუფლების ქვეშ არ იმყოფებოდნენ: ბუნებითი სამართლის საფუძველზე ისინი პრეტორის მიერ მაინც მოწვეოდნენ სამკვიდროს მისაღებად. ესენი იყვნენ: პაპა და ბებია – როგორც მამის ასევე დედის მხრიდან, ქალიშვილისგან შობილი შვილები, ძმა და და, როგორც მამით ერთი, ასევე დედით ერთი. შვილიშვილები და მათი შვილები და ა.შ. პრეტორმა მემკვიდრეობის რამდენიმე სახეობა და ხარისხი შემოიღო და ისინი გარკვეული რიგით დაალაგა.²⁰

იუსტინიანეს კოდექსით, თუ კანონიერი მემკვიდრეობით პირი ღებულობდა ქონების არანაკლებ ¼-ს, სავალდებულო წილი შეადგენდა ამ წილის 1/3-ს, ხოლო თუ კანონიერი მემკვიდრეობით პირი მიიღებდა მთელი ქონების ¼-ზე ნაკლებს, სავალდებულო წილი იქნებოდა მისი ნახევარი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იუსტინიანეს კოდექსი სავალდებულო წილის გაუქმებასაც ითვალისწინებდა. მაგალითად, ამის წინაპირობა შეიძლება ყოფილიყო მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა, ქალიშვილის 25 წლამდე მამის ნებართვის გარეშე გათხოვება და სხვა. რომის სამართალი ითვალისწინებდა ისეთ გარემოებასაც, როცა მამკვიდრებელმა, მართალია, დაუტოვა კანონისმიერ

²⁰ სურგულაძე ნ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა თბ. 2002 წ. გვ. 160.

მემკვიდრეს სამკვიდრო, მაგრამ მცირე მოცულობით, ან არასრულად. ასეთ შემთხვევებში კანონიერ მემკვიდრეს შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა სავალდებულო წილის მისაღებად. როგორც ავლნიშნეთ კლასიკურ ეპოქაში პრეტორმა გააფართოვა იმ პირთა წრე, რომელთაც სავალდებულო წილის მიღების უფლება ჰქონდათ და ესენი იყვნენ როგორც დაღმავალი, ასევე აღმავალი ხაზის ნათესავები და მამკვიდრებლის და-ძმები. უფრო ადრეულ ეპოქაში ეს უკანასკნელნი მხოლოდ მაშინ მიიღებდნენ სავალდებულო წილს, თუ ანდერძში მემკვიდრედ დანიშნული პირი იყო სახელგატეხილი ან სხვა, კანონით აკრძალული პირი. ასე მაგალითად, სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე ანდერძისმიერი მემკვიდრე არ შეიძლებოდა ყოფილიყო გაუთხოვარი ან უცოლო პირები.²¹

იუსტინიანეს ინსტიტუციები საუბრობს იმ გარემოებაზეც, როცა მოანდერძე უანდერძოდ მოკვდა, ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი, გაუქმდა, ან ანდერძით მემკვიდრე არავინ გახდა. თორმეტი დაფის (ტაბულის) წესდებას იმეორებს ინსტიტუციები და მემკვიდრეებად მოიწვევს პირებს, რომლებიც მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის მის ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ. მამის ხელისუფლების არსს იუსტინიანეს კონსტიტუციების IX ტიტული ასე განმარტავს: ჩვენი (მამის) ხელისუფლების ქვეშ არიან ბავშვები, რომლებიც ჩვენ კანონიერ ქორწინებაში გავაჩინეთ. მემკვიდრეთა წრეს მიეკუთვნებოდა ასევე ქალიშვილი, თუმცა მისგან შობილი შვილები უკვე პაპის ხელისუფლებას ადარ ექვემდებარებიან. მაშასადამე, ასეთები იყვნენ: შვილები, შვილიშვილები, ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილები და შვილიშვილები, ასევე შვილად აყვანილები (ვაჟიშვილებიც და ქალიშვილებიც). იუსტინიანეს ძეგლი აგნატების და კოგნატების 6 ხარისხს ადგენდა. შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდნენ მემკვიდრეები, თუ მათი წინამორბედი პირი შეწყვეტდა მამის ხელისუფლების ქვეშ ყოფნას გარდაცვალების, გაშვილების ან რაიმე სხვა ფაქტის საფუძველზე. ობლები და შეურაცხადები მშობლის ქონებაზე საკუთრების უფლებას კანონის ძალით ინარჩუნებდნენ.²²

²¹ მეტრეველი ვ., რომის სამართალი. თბ. 2009 წ. გვ. 108.

²² სურგულაძე ნ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა თბ. 2002 წ. გვ. 139.

იუსტინიანეს ინსტიტუციები საუბრობს ბავშვებისათვის (იგულისხმება როგორც ვაჟები, ასევე ქალები) მემკვიდრეობის ჩამორთმევის შესახებ. ამ ტიტულის თანახმად, მემკვიდრეს მემკვიდრეობა სახელდებით ანუ პირდაპირი და უშუალო დასახლებით უნდა ჩამორთმეოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი განსაზღვრული წილის შემატების უფლებით მაინც ისარგებლებდნენ, ანდერძი კი ბათილად არ ცხადდებოდა. ამ დროისათვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მემკვიდრე ქალი იყო თუ ვაჟი. თორმეტი ტაბულის კანონისგან განსხვავებით, ქალიც და ვაჟიც თანაბარი მნიშვნელობით მოიწვეოდა (ან გამოირიცხებოდა) მემკვიდრედ. განსხვავდებოდა მხოლოდ ქონების ანდერძისმიერი მიკუთვნების ფორმა: ვაჟს მემკვიდრეობა ჩამორთმეოდა ანდერძში პირდაპირი და უშუალო დასახლებით, მდედრობითი სქესის პირებს – ასევე პირდაპირი ან არაპირდაპირი დასახლებით – „სხვებს შორისაც“. თუმცა პრეტორი ანდერძში გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ და მდედრობითი სქესის წარმომადგენლის სასარგებლოდ ერეოდა მამკვიდრებლის ნებაში და ქალს ქონების მფლობელობას პირდებოდა. აგნატიც და კოგნატიც, რომელიც მშობლის ყურადღების მიღმა დარჩებოდა ანდერძში, პრეტორი თავის განკარგულების საფუძველზე დატოვებული სამკვიდროდან ჰპირდებოდა ლეგატს.²³

ბიზანტიური მემკვიდრეობითი სამართალი შედარებით უფრო რეალისტურ პოზიციებზე იდგა და მემკვიდრის, როგორც უნივერსალური მონაცვლის იდეისგან გარკვეულ გადახვევებსაც აკეთებდა.²⁴ ბიზანტიური სამართლის უმთავრესი ძეგლის, „ეკლოგის“, მიხედვით, სავალდებულო წილი შეადგენდა 1/3-ს. რომის სამართლის გავლენა ეტყობოდა არა მარტო ბიზანტიურ სამართალს, არამედ შემდგომ გერმანულსაც და ფრანგულსაც. ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ, რომაული დანაწესები სავალდებულო წილზე სხვადასხვა სახეცვლილებით შევიდა ევროპულ კანონმდებლობაში. გერმანულ კულტურაში ძველი მემკვიდრეობის სამართალი შორს იდგა პიროვნების მონაცვლეობის იდეისგან. მემკვიდრე მას ესმის როგორც ქონებრივ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა. ასეთი შეხედულების გაჩენას განსაზღვრავდა გერმანული ოჯახის სტრუქტურა და მისი წევრების ურთიერთდამოკიდებულება. აქ ოჯახი მეომართა გაერთიანებაა, სადაც ყოველი

²³ სურგულაძე ნ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმან ნუგზარ სურგულაძემ, თბ. 2002 წ. გვ. 161.

²⁴ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ, 2000 წ. გვ. 19.

მათგანი თვითონ იყო თავისი თავის პატრონი – მამა, შვილი თუ მოხუცი. თანდათანობითი რეცეფციის შედეგად გერმანულ სამართალშიც ფეხს იკიდებს მემკვიდრეობის რომაული ცნება.²⁵

კანონისმიერ და ანდერძისმიერ მემკვიდრეებს იცნობდა იმ დროისათვის განვითარებული სამყაროს ფეოდალური ეპოქის სამართალიც. თუმცა ამ დროისათვის მონდერძის უფლებები ძალზედ შემცირებული იყო. მაგალითად, მამკვიდრებელს, რომელსაც ჰყავდა ვაჟი, არ შეეძლო სამკვიდრო ქონება ანდერძით გადაეცა. ასეთ შემთხვევაში მისი ქონება მისი ნების მიუხედავად ნაწილდებოდა მის ვაჟებს შორის. თუ მამკვიდრებელს ვაჟი არ ჰყავდა, ასეთ შემთხვევაში მას შეეძლო ქონება ანდერძით გადაეცა სხვისთვის. ეს წესი არ გამოიყენებოდა მაშინ, როცა მამკვიდრებელს ჰყავდა ქალიშვილები, რომლებიც იღებდნენ ქონების მეოთხედს სავალდებულო წესით.²⁶ VII საუკუნის სირიულ-სპარსული სამართალი ეპისკოპოს იშობოხტას სამართლის წიგნის სახით, ქალების წილს მშობლების ქონებაში ანახევრებდა ვაჟების წილთან შედარებით.²⁷

2. სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის საკითხები ძველ მუსლიმურ სამართალში.

პრინციპულად განსხვავებულ პოზიციაზე დგას მემკვიდრეობითი ცნების საკითხი მუსლიმურ სამართალში. იგი არ ცნობს რომაულ უნივერსალურ მონაცვლეობას და თვლის, რომ მემკვიდრეობას აქვს მხოლოდ სამემკვიდრეო მასის ლიკვიდაციის სახე და რომ მემკვიდრეობის წესით ერთი პირიდან მეორეზე გადადის მხოლოდ ის ქონება, რომელიც რჩება გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯებისა და კრედიტორთა ვალების გადახდის შემდეგ. ჰამურაბის მეფობის პერიოდში შეიქმნა ბაბილონის კანონთა კრებული, სადაც ანდერძზე მითითება არ არის, მაგრამ 165-ე მუხლის თანახმად, შეეძლო გაეზარდა ერთი ვაჟის წილი სხვების ხარჯზე, ხოლო 168-169-ე მუხლებით, მამას შეეძლო რომელიმე ვაჟისთვის ჩამოერთმია მემკვიდრეობა. სამკვიდრო ქონების განკარგვაზე დიდ გავლენას ახდენდა რელიგია. ასე მაგალითად,

²⁵ იქვე. გვ. 19.

²⁶ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 11

²⁷ ნადარეიშვილი გ. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ. 1996 წ. გვ. 104.

ყურანზე დაყრდნობით, მუსულმანების მემკვიდრეობითი სამართალი ადგენდა, რომ სამკვიდრო ქონება სრულად ვერ გადავიდოდა მემკვიდრეზე დედის ხაზით, მამაკაცის სამკვიდრო ქონების წილი ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო ქალის წილთან შედარებით. სამკვიდრო ქონების მხოლოდ 1/3 შეიძლებოდა ყოფილიყო ნაანდრძევი და ანდერძით მემკვიდრეები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ყველანი, გარდა კანონით მემკვიდრეებისა. ჰამურაბის კანონები დეტალურად აწესრიგებდა მშვილბელსა და ნაშვილებს შორის ურთიერთობას. ამ კანონებით, მშვილბელმა არ უნდა გაუმვას ნაშვილები ხელცარიელი თავისი სახლიდან მაშინაც კი, თუ მას ბუნებითი შვილი შეეძინა. აღმზრდელს თავისი ქონებიდან სამემკვიდრეო წილის 1/3 სავალდებულოდ უნდა მიეცა. რაც შეეხება მამულს, აქ ბუნებითი შვილი უპირატესობით სარგებლობდა და ამიტომაც შეეძლო სახნავ-სათესიდან ნაშვილებისთვის არაფერი მიეცა. ცნობებს ნაშვილები შვილის სამემკვიდრეო უფლებებზე ძველევგვიპტურ კანონებშიც ვპოულობთ. ნაშვილების სამემკვიდრეო უფლებები ეჭვს არ იწვევდა ბიზანტიურ სამართალშიც, ხოლო კილიკიის სომხეთში შვილება დაშვებული იყო კანონისმიერ მემკვიდრეთა არყოლის შემთხვევაში. სასანიდების ირანი კი ნაშვილებთა უფლებებს ძალზედ დეტალურად აწესრიგებდა. მაშასადამე, როგორც ირკვევა, შვილება გავრცელებული მოვლენა ყოფილა და უძველესი დროიდან მოყოლებული, გარანტირებულად ჩანს ნაშვილებთა სამემკვიდრეო უფლებებიც.²⁸

საოჯახო სამართალი ისლამური სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია. სამართლის ეს დარგი კი, როგორც ცნობილია, ყველაზე ახლოს დგას ისლამის რელიგიასთან. ყურანში ყველაზე მეტი, დაახლოებით 70 ლექსი (აია), სწორედ სამართლის ამ დარგს ეხება. საოჯახო სამართლის ისლამურ რელიგიასთან განსაკუთრებული კავშირი განპირობებულია აგრეთვე ისლამური სამართლებრივი დოქტრინის იმ დებულებით, რომლის თანახმად, ისლამის ხუთ ძირითად ფასეულობათაგან ერთ-ერთი შთამომავლობის გაგრძელებაა და რომლის დაცვაც სწორედ საოჯახო სამართალს უკავშირდება.²⁹ ისლამური მოძღვრებით ცოლის შერთვა ღვთისთვის სასურველი ქმედებაა და იგი მუსლიმანისთვის რელიგიურ მოვალეობას წარმოადგენს. მუსლიმ კაცს მხოლოდ მაშინ ჰქონდა ქორწინების უფლება, თუ მას ცოლის მატერიალურად უზრუნველყოფა შეეძლო.

²⁸ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ, 2000 წ. გვ. 205.

²⁹ სურგულაძე ნ., ისლამური სამართლის საკითხები, III ტომი, თბ, 2005 წ. გვ. 14.

შიიტური მუსლიმანური სამართალი ცნობს ე.წ დროებით ქორწინებასაც, რაც სუნიტებისთვის უცნობია. დროებითი ქორწინების დროს ქმარს არ ევალებოდა ცოლის მატერიალურად უზრუნველყოფა, დროებით ქორწინებაში გაჩენილი ბავშვი თუ მამა მას აღიარებდა, მხევალთან შეძენილი შვილის მსგავსად, უფლებრივად მუდმივ ქორწინებაში შეძენილ ბავშვს უთანაბრდებოდა და მემკვიდრეობის უფლებითაც სარგებლობდა, თუმცა დროებით ცოლს ქმრის სამკვიდროს მოთხოვნის უფლება არ გააჩნდა. ასევე, ქმარიც ვერ გახდება დროებითი ცოლის მემკვიდრე.³⁰

ამრიგად, ისლამური სამართალი ცნობს კანონიერ, უკანონო და არაღიარებულ ბავშვებს, მაგრამ მამობის აღიარების შემთხვევაში იგი უფლებებით კანონიერ შვილებს უთანაბრდება. ისლამური სამართალი შვილებსაც აკისრებს მოვალეობებს მშობლების მიმართ, რომელთა ერთი ნაწილი მორალური ხასიათისაა, მეორე კი – მატერიალური. კერძოდ, შვილები ვალდებული არიან მატერიალურად დაეხმარონ მშობლებს. თუ მშობლების სარჩენად გასაწევი ხარჯების ოდენობაზე შვილები ვერ შეთანხმდებიან, თანხების ოდენობა სასამართლომ უნდა დაადგინოს. ისლამური სამართალი მშობლების გარდა სხვა ახლო ნათესავებზე ზრუნვის ვალდებულებასაც ადგენს, მაგალითად, მშობლების მსახურების. ამ წრეში არ შედიან მამის სხვა ცოლები.³¹

ისლამური სამართლის მკვლევარები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მუსლიმი ქალების შეზღუდულ უფლებებს. როდესაც ისლამური სამართალი შეიქმნა, ქალებს ასეთივე მდგომარეობა ჰქონდათ, რაც სხვა სამართლებრივ სისტემაშიც, მათ შორის ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში. მეტიც, რიგ შემთხვევებში ქალის ზოგიერთი უფლება, მაგალითად, ქონებრივი უფლება ისლამურ სამართალში უკეთ იყო დაცული.

ისლამის ისტორიაში სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პირველი საკანონმდებლო აქტი – ე.წ. მაჯალა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს ოსმალეთის იმპერიაში შეიქმნა, საოჯახო ურთიერთობებს არ ეხებოდა. საოჯახო ურთიერთობების სახელმწიფო ნორმატიული აქტებით რეგულირება მხოლოდ XX საუკუნის 10-იანი წლებიდან დაიწყო. ასე რომ, თანამედროვე მუსლიმანურ ქვეყნებში საოჯახო სამართლის ძირითად წყაროს სახელმწიფო საკანონმდებლო აქტი

³⁰ იქვე გვ 27.

³¹ იქვე. გვ 34.

განაპირობებს და არა მუსლიმანური სამართლებრივი დოქტრინა, თუმცა სახელმწიფო კანონმდებლობის მთავარ საფუძველს მაინც შუა საუკუნეებში შექმნილი ისლამური სამართლებრივი მოძღვრება ქმნის და კანონებში ხშირად პირდაპირ არის მითითებული, რომ სამართლებრივი ხარვეზის შემთხვევაში ისლამური დოქტრინის მიერ შემუშავებული ნორმები მოქმედებს.³²

3. სავალდებულო წილი საბჭოთა სამართალში

მეფის რუსეთში კანონით მემკვიდრეობას მიმართავდნენ ანდერძისმიერი მემკვიდრეების არარსებობის შემთხვევაში. 1714 წელს პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, მსხვილი უძრავი ქონება გადადიოდა ვაჟის საკუთრებაში. იმპერატორმა ანა ივანოვამ კი 1731 წელს გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად კანონით მემკვიდრეობისას მემკვიდრეებად მოიწვეოდა ყველა ვაჟი. ამავე ბრძანებით გაფართოვდა მოანდერძის უფლებამოსილებანიც.

1922 წლის საბჭოთა რუსეთის კანონმდებლობა თავდაპირველად არ იცნობდა სავალდებულო წილის ინსტიტუტს. 1928 წლის ცვლილებებმა პირველად განმარტა სავალდებულო წილის ცნება არასრულწლოვანი მემკვიდრეებისათვის, რომლებიც ანდერძის შინაარსისი მიუხედავად იღებდნენ სამკვიდროდან წილს, რომელიც კანონისმიერი წილს $\frac{3}{4}$ შეადგენდა. შემდეგი ცვლილებები 1945 წელს განხორციელდა, რომლითაც მოანდერძეს აეკრძალა არასრულწლოვან შვილებისა და შრომისუუნარო მემკვიდრეთა სავალდებულო წილის ანდერძით გადაცემა. 1964 წელს საბჭოთა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 547-ე მუხლით შეიცვალა სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირთა როგორც შემადგენლობა, ასევე მოცულობა. კერძოდ, სავალდებულო წილზე უფლებამოსილი მემკვიდრე იყო პირველი რიგის არა ყოველი, არამედ შრომისუუნარო პირები, ამასთან, მისი ოდენობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმ წილის ორ მესამედზე ნაკლები, რაც თითოეულ მათგანს კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. განსხვავებულს აზრზე იდგა სოციალისტური იდეოლოგიის ზოგიერთი მოაზროვნე, რომელიც მემკვიდრეობის უფლებას განიხილავდა როგორც სოციალურ მოვლენას და მიიჩნევდა რა მას მემკვიდრის არაშრომით შემოსავლად, საჭიროდ თვლიდა ამ უფლების გაუქმებას. უტოპიური

³² სურგულაძე ნ., ისლამური სამართლის საკითხები, III ტომი, თბ., 2005 წ. გვ 15.

სოციალიზმის იდეოლოგიები მემკვიდრეობის სამართალს განიხილავდნენ როგორც არა იურიდულ შედეგს, არამედ საზოგადოების წევრთა ქონებრივ უთანასწორობის მიზეზს. აქედან გამომდინარე, ისინი დღის წესრიგში აყენებდნენ მემკვიდრეობის ინსტიტუტის გაუქმებისა და მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლის საკითხს და მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ სამკვიდრო ქონების განაწილებას საზოგადოების ყველაზე უფრო ღირსეულ და დამსახურებულ წევრებს შორის.³³

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირობებში მემკვიდრეობის უფლება გარკვეული ეკონომიური თავისებურებებით იყო გამოხატული. მან დააწესა მემკვიდრეთა ვიწრო წრე, იგი შემოიფარგლებოდა მხოლოდ პირდაპირი ხაზის დამავალი ნათესავებით, მეუღლით და არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში მის კმაყოფაზე მყოფი მასთან მცხოვრები სხვა პირებით. ასევე, დაწესებულ იქნა კანონით მემკვიდრეთა თანასწორუფლებიანობა განურჩევლად მათი ქონებრივი მდგომარეობისა, სქესისა და წლოვანებისა, ასევე დაწესდა ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის თანასწორობა ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებთან მიმართებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში დასმულია საკითხი ანდერძისმიერი და კანონისმიერი მემკვიდრეობის პირველობის შესახებ. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ პირველყოფილ ხალხებში საერთოდ არ არსებობდა ანდერძი, უცნობი იყო იგი ძველი გერმანელი ტომებისთვის და არც რომაელები იცნობდნენ მას თორმეტი ტაბულის შექმნამდე. მეცნიერთა მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მოსაზრება უფრო არგუმენტირებულია იმდენად, რამდენადაც ჯერ მთავარია ინდივიდი და ინდივიდუალური ნება, შემდგომ კოლექტივი და კოლექტიური ნება ანუ კანონი. ინდივიდუალური ნების შედეგია ანდერძით მემკვიდრეობა, ხოლო კოლექტიური ნების შედეგია კანონი და კანონით მემკვიდრეობა.³⁴

³³ ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 8.

³⁴ მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია. თბ. 2009 წ. გვ. 380.

4. მემკვიდრეობა და სავალდებულო წილი ძველ ქართული სამართალში

ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართლის ევოლუციის გზა ადრეფეოდალური ხანიდან იწყება, თუმცა ამ ეპოქიდან შემორჩენილი ცნობები საკმაოდ ძუნწად მოგვეპოვება. ჩვენამდე არ მოუღწევია არცერთ საერო სამართლის ძეგლს, რომელიც რამდენადმე სრულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ამ დროის მემკვიდრეობით სამართალზე. ჰაგიოგრაფიულ ძეგლებსა და „ქართლის ცხოვრების“ მატიანეში დაცული ცნობები მეტყველებენ იმაზე, რომ ჩვენში ამ დროისათვის უკვე განვითარებული უნდა ყოფილიყო მემკვიდრეობითი სამართალი.³⁵

ფეოდალური მემკვიდრეობითი სამართლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა სასამართლო პრაქტიკა. მასში დაცულია ძვირფასი ცნობები კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ცალკეულ საკითხებზე. ფეოდალური სამართლის წარმოდგენილი ძეგლები მართალია დეტალურად აწესრიგებენ მემკვიდრეობით ურთიერთობებს, მაგრამ მათში მაინც არ ჩანს გამოკვეთილად სამართლის ნორმათა ერთგვარი საკანონმდებლო სისტემა, თანაც, ისინი ძირითადად კანონისმიერი მემკვიდრეობის საკითხებს აწესრიგებენ და ანდერძისმიერ მემკვიდრეობას შედარებით ვიწროდ წარმოაჩენენ. ქართული მემკვიდრეობის სამართლის შემეცნებაში გვხვმარება ეთნოგრაფიული გამოკვლევები. ქართველმა ეთნოგრაფებმა სრულყოფილად შეისწავლეს ქართული ოჯახის ბუნება, გაყრის შემთხვევაში ქონების განაწილების წესი, ქალის უფლებრივი (ქონებრივი) მდგომარეობა და ა.შ. ქართული სამემკვიდრეო სამართლის განვითარებაში განმსაზღვრელად რჩება კანონისმიერი მემკვიდრეობა და არასოდეს ჰქონია ადგილი, რომ ანდერძით მემკვიდრეობას გამოერიცხოს კანონისმიერი, როგორც ეს ცნობილი იყო ერთ დროს რომაულ სამართალში.³⁶

გვიან ანტიკურ და ადრეფეოდალურ საქართველოში ტახტის დამკვიდრების დროს პირველი რიგის მემკვიდრეობად გვერდითი ხაზის ნათესავები გამოდიოდნენ, მეფის ხელისუფლება მამის შემდგომ მის უფროს ან სხვა შვილზე კი არ გადადიოდა, არამედ გვერდითი ხაზის ყველაზე ახლობელ ან უხუცეს ნათესავზე. ბასილი ზარზემლის თხზულებების მიხედვით, IX-X საუკუნეებში გვერდითი ხაზის

³⁵ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 8

³⁶ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ. , 2000 წ. გვ. 11.

ნათესავეები უკვე აღარ მიიჩნევიან პირველი რიგის მემკვიდრეებად, მაგრამ მათ შეეძლოთ მიეღოთ გარდაცვლილის ქონება, თუ ამ უკანასკნელს არ დარჩებოდა შვილები და შვილიშვილები.³⁷ მემკვიდრეობის ობიექტად ფეოდალურ საქართველოში შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთები.³⁸ უმკვიდროდ დარჩენილი ქონება კი მეფის განკარგულებაში გადადიოდა. ასე მაგალითად, დავით აღმაშენებელმა როცა გელათის მონასტერი ააგო, მას გადასცა ამგვარი (უმკვიდრო) მამული. ისტორიკოსი წერს: „და მამული ლიპარიტეთი უმკვიდრო იყო... და თანა მისცა დედათა ღმრთისას“.³⁹

ფეოდალური წყობილების დროს ადგილ-მამულის ერთი პირიდან მეორეს ხელში გადასვლისას დომინირებული მემკვიდრეობის ის წესი იყო, რომელიც სანქცირებული იყო სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. უძრავ-მოძრავი ქონების გარდა სამკვიდროში შეიძლებოდა შესულიყო ე.წ. „სახელო“, ანუ სახელმწიფო თანამდებობაც, გარდა ამისა მემკვიდრეობის ობიექტი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ვალი – სავალო პასუხისმგებლობა, ასევე კრედიტორული უფლებებიც. ბატონყმური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობილება ითვალისწინებდა რომ ყმა-გლეხობაც ყოფილიყო მემკვიდრეობის ობიექტი. კანონით მემკვიდრეებში პირველი რიგის მემკვიდრეებად დაღმავალი ხაზის ნათესაობა მიიჩნეოდა. გვერდითი ნათესავი მეორე რიგის მემკვიდრე იყო. ისტორიის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, როდესაც ფეოდალიზმში ბურჟუაზია ისახება, კანონმდებელმა კიდევ უფრო გააფართოვა მემკვიდრეთა წრე. უშვილო კაცის ქონება ბეითელმანად (უპატრონო ქონებად, რომელიც სახელმწიფოს გადაეცემოდა) აღარ ითვლებოდა. მემკვიდრეთა წრე ოჯახის გარეთ მიიწევდა.⁴⁰ ამ დროისათვის უკვე მკვიდრდებოდა პრაქტიკა, როცა უშვილოდ დარჩენილი ბიძაშვილის, ან სხვა განაყარი ნათესავეების მამულებს მეფეებს წყალობის სახით გამოსთხოვდნენ ხოლმე გარდაცვლილის უახლოესი ნათესავეები. ასე მაგალითად, 1646 და 1656 წელს როსტომ მეფის მიერ ასეთი შინაარსის ორი სიგელი იქნა გაცემული.⁴¹

³⁷ ნადარეიშვილი გ. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ. 1996 წ. გვ. 109.

³⁸ იქვე გვ. 103.

³⁹ იქვე. გვ. 113.

⁴⁰ ნადარეიშვილი გ. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ. , 2005 წ. გვ. 162.

⁴¹ ნადარეიშვილი გ. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ. 1996 წ. გვ. 117.

თანამედროვე ქართველ მეცნიერთა შორის, ვინც საფუძვლიანად დაამუშავა ქართული მემკვიდრეობის სამართლის ისტორია, არის პროფ. ბესარიონ ზოიძე, რომელმაც აღნიშნულ საკითხს სპეციალური, სიღრმისეული გამოკვლევა მიუძღვნა. მასში განხილულია ანდერძისმიერი და კანონისმიერი მემკვიდრეობის თავისებურებანი ქართული სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. წამოჭრილი საკითხი მან შეისწავლა იურიდიულ პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში და გამოარკვია, რომ პრაქტიკა განუხრელად იცავს კანონით დადგენილ ხაზს და ქართულ მემკვიდრეობით სამართალს წარმოაჩენს სხვა ხალხების მემკვიდრეობით სამართალთან კავშირში. სწორედ იურიდიული პრაქტიკიდან წარმოჩინდა ქართული სამართლის ეროვნულ ხასიათთან ერთად მისი ზეეროვნული თვისება და ბუნებითი სამართლის პრინციპებისადმი მისი შესაბამისობა. პროფესორ ბ. ზოიძის დასკვნით, ქართული მემკვიდრეობითი სამართალი ჩამოჰგავს ბერძნულ-რომაულს. მკვლევარი ასკვნის, რომ პირველყოფილი თემური წყობილებისას ქონების გადასვლას სხვაგვარი ხასიათი ჰქონდა ვიდრე ფეოდალური ან კაპიტალისტური წყობილების დროს.⁴²

დგინდება, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდა ბერძნულ-რომაული მემკვიდრეობის სამართლის ნორმების რეცეფციას. ქართულ სამართალში გამოკვეთილია დადმავალი ხაზის ნათესავთა სამემკვიდრეო უფლებები. ვაჟიშვილები მშობლების სრულუფლებიანი მემკვიდრეები იყვნენ. ქართული სამართლისთვის უცხოა შემთხვევები, როცა მშობელთა ერთადერთი მემკვიდრე უფროსი ან უმცროსი ვაჟი იყო. იგი საუფროსოს, საუმცროსოსა და საშუალოს სახით იცნობს მხოლოდ მათ განსაკუთრებულ წილს მემკვიდრეობაში.⁴³ მეტად შეზღუდული იყო უკანონოდ შობილი შვილების უფლებები სამკვიდროს წილში. შეზღუდული იყო ქვრივის სამემკვიდრეო უფლებებიც, გვერდითი ხაზის ნათესავები სარგებლობდა ფართო სამემკვიდრეო უფლებებით, ხოლო სამართლის ძეგლებში გამოკვეთილად არ ჩანს აღმავალთა მემკვიდრეობა.⁴⁴

პროფესორ გ. ნადარეიშვილის აზრით, ქართული მემკვიდრეობის სამართლის განხილვა-შესწავლის დროს ჩნდება აუცილებლობა, ჩავიხედოთ ბიზანტიური

⁴² ზოიძე ბ. ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი. ბათუმი. 1992 წ.

⁴³ ლობჯანიძე გ. რომის სახელმწიფო და სამართალი. საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“. 2009 წ. 126.

⁴⁴ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ, 2000 წ. გვ. 13.

სამართლის წყაროებში. ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში სამართლის დარგში მრავალი საკითხი სწორედ ბიზანტიური კანონმდებლობის გავლენით აიხსნება.

ქართული სამართალი მემკვიდრეობის საკითხებში ემყარებოდა ბერძნულ სამართალს. კერძოდ, როცა სამკვიდრო ქონება პირველ რიგში გადაეცემოდა დამავალი ხაზის, შემდეგ კი აღმავალი და გვერდითი ხაზის ნათესავებს. თუმცა, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის სამართლებრივი ბუნების შესწავლისას ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ იგი რომაული სამართლის იდენტურია. სიტყვა „ანდარზ“, როგორც სამართლებრივი ტერმინი, ქართულში სპარსულიდან შემოვიდა და რჩევას, განგებას ნიშნავს. ქართული სამართლის ძეგლებში არც თუ ისე ცხადაა გამოკვეთილი ხაზის ნათესავთა მემკვიდრეობა. დგინდება, რომ მამკვიდრებლის მემკვიდრეა მასთან ერთსახლად მცხოვრები აღმავალი ხაზის ნათესავი, რაც შეეხება გვერდითი ხაზის ნათესავთა სამემკვიდრეო უფლებებს, იგი დაწვრილებითაა მოწესრიგებული ქართული სამართლის ძეგლებით და აქაც მემკვიდრედ მოწოდებისთვის მნიშვნელოვანი პირობაა მამკვიდრებელთან მის ცხოვრების ფაქტი. როგორც გამოჩინდა, ცალკეულ შემთხვევებში მემკვიდრეები არიან გაყრილი ნათესავებიც. მემკვიდრეთა წრის ასეთი გაფართოებით ქართული სამართალი ზღუდავდა ქონების ბეითალმანობის (უმკვიდრო ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის) საფუძვლებს.⁴⁵

ჩვენამდე გამოკვეთილად მოაღწია ცნობებმა, რომლებიც მიუთითებენ ფეოდალურ საქართველოში ანდერძის არსებობის შესახებ. ქართული ადრეფეოდალური სახელმწიფო არ იცნობდა მამულის ანდერძს. წმინდა ქონებრივი ხასიათის ანდერძები უფრო გვიანფეოდალური ხანიდანაა ნიშანდობლივი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფეოდალურ საქართველოში ანდერძი უფრო ხშირად ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა და მასში წყდებოდა სახელმწიფო-საოჯახო ცხოვრების მრავალი წვრილმანი თუ მსხვილმანი საკითხი.⁴⁶

ადრინდელ წყაროებში ყველაზე ნათლად ანდერძი განმარტებულია ბექა აღბულას სამართალში. იგი ფეოდალური საზოგადოების ძეგლია და გაბატონებული ფეოდალური კლასის ინტერესებს იცავდა. მასში რეგულირდებოდა

⁴⁵ ლობჯანიძე გ. რომი სახელმწიფო და სამართალი. „ქუთაისი“. 2009 წ. გვ. 126

⁴⁶ ნადარეიშვილი გ. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია., თბ, 2005 წ. გვ. 163.

მემკვიდრეობითი ურთიერთობანი. მეფე ვახტანგ VI სამართლის წიგნისთვის წყაროებად გამოყენებულია არამართო ბექა აღბუღას, არამედ კათალიკოსის სამართალი, ბერძნული, ებრაული და სომხური სამართლის წყაროები. მისი შემდგენელი სამართლის ამა თუ იმ ძეგლებიდან იღებს ამა თუ იმ ინსტიტუტს და იმ შინაარსს ანიჭებს, რომელიც კანონმდებელს დროის და ვითარების შესაბამისად საჭიროდ მიაჩნია.⁴⁷ დავით აღმაშენებლის დროსაც ძირითადად კანონისმიერ მემკვიდრეობას მიმართავდნენ, თუმცა ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ანდერძისმიერ მემკვიდრეობასაც. საერთოდ კი, დავით აღმაშენებელი სამართლის ნორმებს ბუნებრივ, ღვთაებრივ და დადებით კატეგორიებად ჰყოფდა, აღმაშენებელს მიაჩნდა, რომ ბუნებითი სამართლის ნორმები ყველა სხვა სამართლის ნორმებზე მაღლა დგას და ყველაფერი მას უნდა ემორჩილებოდეს. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ბუნებითი სამართლის განვითარებას.⁴⁸ თუმცა ამ ეპოქაში და შემდგომშიც, ცვლილებათა კვალდაკვალ ფეხს იკიდებდა მოანდერძის ინსტიტუტი, რომელიც მხოლოდ სამეფო თავისებურებას აღარ წარმოადგენდა. XVII საუკუნისთვის უკვე არსებობდა მოანდერძის დანაკისრის ინსტიტუტიც კი. ბექა აღბუღას და ვახტანგ VI სამართლის მიხედვით ანდერძის გაუქმებაც შეიძლებოდა ახალი ანდერძით. ვახტანგ VI სამართლის წიგნის 113-ე მუხლის მიხედვით, ოჯახის გაყრის შემდეგ დედა ან მამა უფლებამოსილი იყო რომელიმე შვილთან დარჩენილიყო საცხოვრებლად, თუ შვილები უმემკვიდრეოდ გადაეგებოდნენ და თანაც მშობლებზე ადრე გარდაიცვლებოდნენ, მშობლები მიიღებდნენ შვილის ქონებას. ვახტანგ VI სპეციალური კანონის მიხედვით დადგენილი იყო: „თუ ქალაქში კაცი ამოვარდეს და თუ არ დარჩეს მამული და მიწა-წყალი, თუ ამისი ვარისი გამოჩნდეს, იმისთვის გვიბოძებია, ჩვენ ხელი არა გვაქვს...“. ვარისში აქ მემკვიდრე იგულისხმება.⁴⁹ საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მშობელთა მემკვიდრეობის ნათელი სურათი ქართულ სამართალში არაა. წმინდა ეროვნული ხასიათის ძეგლები ფაქტობრივად სდუმან ამის თაობაზე. ბექა-აღბუღას სამართალი, ბაგრატი კურაპალატის სამართალი და გიორგი V-ის ძეგლისდება არავითარ ნორმებს არ შეიცავს მშობელთა მემკვიდრეობაზე. ყველგან ის იდეა გამოსჭვივის, რომ შვილია

⁴⁷ სურგულაძე ი. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბ. 2002 წ. გვ. 111.

⁴⁸ ლობჯანიძე გ. ; ტუკვაძე ა. ; ჯაოშვილი გ. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ. 2006 წ. გვ. 115.

⁴⁹ ნადარეიშვილი გ. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბ. 2005 წ. გვ. 162.

მშობლის მემკვიდრე და თუ ისინი არ არიან, მაშინ გვერდითი ხაზის ნათესავები. სამემკვიდრეო ურთიერთობებში ისინი არიან ყველაზე რეალური კონკურენტები მშობლებისა.⁵⁰

სამოქალაქო სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი V ბრწყინვალის ძეგლისდება. იგი XIV საუკუნის სამართლებრივი ძეგლია, მეფემ მთიულეთისთვის შეადგინა და ძირითადად სისხლის სამართლებრივ დანაშაულებს ეხება, თუმცა სამოქალაქო სამართალსაც ეთმობა ოთხი მუხლი: მე-16, მე-18, 27-ე და 45-ე მუხლები. ეს მუხლები ეხება მამისა და შვილების ეკონომიურ ურთიერთობას, გაყრას და ბეითალმან ქონებას. აღნიშნული ძეგლი მთლიანად ადათურ სამართალზეა აგებული.

სამემკვიდრეო სამართალს თავის დროზე ძალზედ დიდი ადგილი დაუთმო ივანე ჯავახიშვილმა.⁵¹ მან იგი ცალკე თავად განიხილა სამართლის ისტორიაში. ივანე ჯავახიშვილი მემკვიდრეობის მიღების ორ გზას განიხილავდა: მემკვიდრეობა კანონით და მემკვიდრეობა ანდერძით. ჯავახიშვილის აზრით, მემკვიდრეობის სამართლის ჩამოყალიბებას შესაძლოა მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა. ანუ მაშინ, როცა საგვარეულო სახლი პატარ-პატარა სახლებად დაიყო. სამართლის შემორჩენილი წყაროები იუწყება, რომ უკვე მე-5 საუკუნეში ღვიძლი ძმები საერთო სამეურნეო ცხოვრებით აღარ ცხოვრობდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა უძრავი ქონება გაყოფილი არ ქონდათ, მაგრამ საკუთარი მეურნეობა და მონაგები გააჩნდათ. უკვე მე-8 საუკუნეში საკუთრების გაყოფაცა და მემკვიდრეობის სამართალიც არსებობდა როგორც სამართალი. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, რომ მემკვიდრისთვის დატოვებული ქონება სამი სახისა ყოფილა: დედული, მამული და მონაგები. ხანძთელი წერს: „ზენონ შვილი იყო საჩინოსა. ვითარცა აღესრულენ მშობელნი მისნი, მონაგები მათნი დაუტევეს ზენონსა და დასსა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა თანა. და ზენონ გულსა ეტყოდა, რაითამცა მამული და დედული, მონაგები დასსა მისსა დაუტევა ნებისამებრ მისისა“. მამული იყო ის, რაც მამას ეჭირა, მისი საგვარეულო მამა-პაპული

⁵⁰ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 235.

⁵¹ ლობჯანიძე გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბ. 2001 წ. გვ. 280.

საკუთრების ხვედრი წილი იყო, დედულს კი წარმოადგენდა დედის უძრავ-მოძრავი ქონება, ამ ქონებას დედას სახლიდან ატანდნენ და მას მზითვი ეწოდებოდა“.⁵²

ხანძრის ცხოვრებიდან ნათლად ჩანს ის გარემოება, რომ მე-8 მე-9 საუკუნეებში გაყრა და მემკვიდრეობა ახალი მოვლენა არ ყოფილა. თუმცა, ტექსტის შინაარსიდან უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზენონის დას წილი მისცეს იმდენად, რამდენადაც იგი გათხოვილი არ იყო, გათხოვილ ქალს საქართველოში მემკვიდრეობიდან წილი არ მიეცემოდა. რა წილი ერგებოდა გაუთხოვარ ქალებს, ძმების თანასწორი თუ უფრო მეტი, ეს წყაროებიდან არ ჩანს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ თუ მამრობითი სქესის წარმომადგენელი ცოცხალი არ იყო, მხოლოდ ამ შეთხვევაში გადადიოდა დაზე სამკვიდროს მთლიანი წილი. სახლის მამრობითი სქესის ჩამომავალს „მკვიდრი“ ერქვა, საკუთრების დაუფლება მხოლოდ მშობლების სიკვდილის შემდგომ შეიძლებოდა. ამგვარი ინფორმაცია მოიპოვება კონსტანტინე პორფიროგენეტის (X საუკუნის ბიზანტიის იმპერატორი და ისტორიკოსი რომელმაც შემოინახა ცნობები ქართველების შესახებ) თხზულებებშიც, რომელშიც მოთხრობილია, რომ ბაგრატმა გაუყო თავის მამული სამ შვილს: ადარნერსეს, გურგენსა და აშოტს. ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ქართული მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით მემკვიდრეებად გამოდიოდნენ როგორც ვაჟები, ასევე ქალებიც, მაგრამ თუ ქალი გათხოვილი იყო მას მამის დანაშთი ქონებიდან წილი აღარ მიეცემოდა. იგი მთლიან სამკვიდროს ღებულობდა მხოლოდ მაშინ, თუ ოჯახში ცოცხალი არ იყო არცერთი მამრობითი სქესის მემკვიდრე. თუ არცერთი არ იყო ცოცხალი, არც მამრობითი და არც მდედრობითი, მაშინ ქონებას მეფე ანუ სახელმწიფო ეუფლებოდა.⁵³ ქალის უფლებების შესახებ საგანგებოდ არ მსჯელობს ამ ეპოქის მოღვაწე იაკობ ცურტაველი „შუმანიკის წამებაში“, თუმცა ამ თხზულებიდან, რომელიც არ გახლავთ პოლიტიკური ტრაქტატი, ირკვევა ქალის უფლებრივი მდგომარეობის თავისებურებანი ადრეფეოდალური ხანის საქართველოში. ცურტაველი აღწერს დედოფლის წამებას და გამოთქვამს დამოკიდებულებას ქალის უფლებრივი შეზღუდვის გამო.⁵⁴ მართალია, მდედრობით მემკვიდრეს საქართველოში წილი არ მიეცემოდა, მაგრამ მე-IX საუკუნის ერთ-ერთ ძეგლში ჩანს,

⁵² ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია. თბ. 1984 წ. ტ. VII. გვ 270.

⁵³ ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია. თბ. 1984 წ. ტ. VII. გვ 273.

⁵⁴ სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. თბ. 2001 წ. გვ. 8.

რომ ამის თაობაზე ბრძოლა იყო ხოლმე. ბასილი ზარზმელის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ გიორგი ჩორჩანელს ცოლი და შვილები დაეხოცა და დატოვა ანდერძი, რომლითაც ქონების ნაწილი ეკლესიას დაუტოვა, ნაწილი – დას და დისშვილებს. ერთ-ერთ დისწულს (ვაჟს) ლაკლაკი ჰრქმევია. ლაკლაკის გათხოვილ დას და მის ქმარს ბიძის ქონებიდან წილი მოუთხოვია. ცოლის ძმებისთვის უთქვამს, თქვენ ქონება დედის მხრიდან მიიღეთ, ე.ი. ქალისგან, ამიტომ თქვენს დასაც, ე. ი. ჩემს მეუღლესაც მიეცით წილი ბიძის ქონებიდანო. ამის გამო დიდი ჩხუბი ამტყდარა და ლაკლაკს დის ქმარი მოუკლავს. ბასილი ზარზმელი სიძის პრეტენზიას „მძლავრობას“ უწოდებს, ე.ი. მისი აზრით, გათხოვილ ქალს მამის ქონებაზე ხელი არ მიუწვდება. ქართული სამართლის მიხედვით, ქალიშვილს, სანამ გათხოვდებოდა, მანამდე ჰქონდა ოჯახში გარკვეული წილზე უფლება. გიორგი ჩორჩანელს ანდერძის დაწერა იმიტომ დასჭირდა რომ კანონით, გათხოვილ ქალს მამის ოჯახიდან წილი არ ეკუთვნოდა.⁵⁵

VIII-IX საუკუნეებში საქართველოში საზოგადოების ყველა სფეროში შეიმჩნევა წინსვლა. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან ვგებულობთ, რომ წარჩინებულთა წრეში ქალებს მშობლების ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება გაუჩნდათ. სავარაუდოდ IX-X საუკუნეებში უკვე ქალის მზითევი უკვე ჩამოყალიბებული სახით არსებობდა. ამიერიდან ქალი ნივთი კი არ არის, არამედ ინდივიდი, რომელიც შედის ქმრის სახლში იმ სფეროთი გარემოცული, რომელშიც ბატონობს მისი ნება და რომელშიც გამოიხატება მისი დამოუკიდებლობა.⁵⁶ საგულისხმოა, რომ ეკლესია და საეკლესიო კანონი შვილებს სქესის განურჩევლად მემკვიდრეობის თანასწორ უფლებას აძლევდა. ბასილი დიდი (ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული მოღვაწე ძველ ქართულ მწერლობაში) ქადაგებდა, რომ მშობლები, რომლებიც თითოეულ თავის შვილს თანასწორად აძლევს სიცოცხლეს, მოვალენი არიან სარჩოც და საცხოვრებელიც თანასწორად გაუყონ მათ. თუმცა ამ მოძღვრებას, როგორც ჩანს, საქართველოს საერო ცხოვრებაზე დიდი გავლენა არ ჰქონია.

ქართული ჩვეულებითი სამართალი ნაკლებად იცნობდა ანდერძისმიერ მემკვიდრეობას. მემკვიდრეობა აღიქმებოდა როგორც პირის ბუნებითი უფლება.

⁵⁵ სურგულაძე ივ. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. თბ. 2001 წ. გვ. 21.

⁵⁶ ნადარეიშვილი გ. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბ. 2005 წ. გვ. 155.

ბეჟა-ალბუღას სამართალიც იძლევა ანდერძისმიერ მემკვიდრეობაზე ცნობებს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მხოლოდ მოძრავ ქონებას ეხებოდა, უძრავი ქონების ანდერძისმიერი მემკვიდრეობით გადაცემა არ იყო დამახასიათებელი ფეოდალური საქართველოსთვის. ვახტანგ VI-ის სამართალიც რამდენჯერმე მოიხსენიებს ანდერძს. საგულისხმო და მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ ის ზოგად ნორმაში თითქოს ანდერძის თავისუფლების აზრს აქსოვს. ამდენად, თუ ვიტყვით, რომ ფეოდალური საქართველო არ იცნობდა მამულის ანდერძობას, აქ მხედველობაშია იგი, როგორც პრინციპი. მამასადამე, ქართული სამართლის ძეგლები ამ დარგში მხოლოდ მთავარი მომენტების ლეგალიზაციით კმაყოფილდება. დანარჩენი კერძო ურთიერთობები კი ჩვეულებითი სამართლით წესრიგდებოდა. ანდერძის ინსტიტუტის ევოლუცია, როგორც ვხედავთ უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა. მასზე მოთხოვნილება მაშინაც იყო, როცა საზოგადოება მხოლოდ მემკვიდრის ბუნებრივ წესს ცნობდა. შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. მხედველობაშია როგორც ცალკეული ანდერძის წიგნები, ასევე სასამართლო განჩინებები. გამოკვეთილია წმინდა ცივილური ხასიათის ანდერძის საბუთები კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა ხაზით.⁵⁷

ანდერძი წერილობითი უნდა ყოფილიყო, თუ იგი მეტად მნიშვნელოვან საქმეს ეხებოდა. ჩვენამდე წერილობითი სახით მხოლოდ რამდენიმე ანდერძმა მოაღწია: ერთი დაწერილია დავით აღმაშენებლის მიერ და შედგენილია 1123 წელს და მეორე, რომელიც 1227-1230 წლებშია შედგენილი და ეკუთვნის გრიგოლ ქართლის ერისთავთ ერისთავს. ამ უკანასკნელში სრულიად ხაზგასმითაა აღნიშნული შემდეგი გარემოებები: 1. მოანდერძის სრული ვინაობა. 2. ანდერძი შედგენილია „მისითა ნებითა“, ანუ თავისუფლად და ძალდაუტანებლივ. 3. ანდერძის დაწერის დროს იგი იყო აღჭურვილი „სრულითა ცნობითა“. 4. „სიმრთელესა შინა ტანისა“ იყო, ანუ არაფერი არ სჭირდა, რომ გრძნობა და ცნობამიხდილი ყოფილიყო. 5. ანდერძში ნათქვამია, რომ დაწერილია თავად მოანდერძის მთლიანად ან ნაწილობრივ. დავით აღმაშენებლის შემთხვევაში მას ანდერძი მისი სიდიდის გამო საკუთარი ხელითა არ დაუწერია, ვინაიდან არ შეეძლო, თუმცა ანდერძის წერა მას დაუწყია და სხვას გაუგრძელებია, რაც ასევე საგანგებოდაა აღნიშნული ანდერძში. მას სამი მოწმეც

⁵⁷ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 301.

ჰყოლია. დაწერილი ანდერძი მოანდერძისგან დასახელებულ სანდო პირს ეძლეოდა. ასეთ პირად კი სამღვდელო პირი მიიჩნეოდა. ამ დროის საეკლესიო სამართლის წყაროები ამბობს: „ძმაი რაი მიიცვლოს, თუ ანდერძი დაეწეროს, მისისა ანდერძისა მსგავსად განეგოს ყოველი საქმე, უკეთუ უანდერძოი აღესრულოს, რაღაცა იპოოს მისი, შუა გაიყოს და ნახევარი მაშინვე ახმარონ სულსა მისსა, ხოლო ნახევარი საეკლესიოდ დაიდვას“. ამ მაგალითით შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ საეკლესიო კანონმდებელი მღვდელ-მონაზონს არ აძლევდა სრულ თავისუფლებას ანდერძისმიერი ქონების განკარგვის საქმეში. მისი ქონება ან საეკლესიო საძმოს უნდა დარჩენოდა, ან ანდერძი გაცუდდებოდა.⁵⁸

გეოდალურ საქართველოში ხშირად იმართებოდა სამამულო და სამკვიდრო ხასიათის დავები. ამ დავის მოსაგვარებლად ქართული სამართალი აწყობდა სასამართლო პროცესს. ასე მაგალითად, XV ს-ის 80-იანი წლებში ზევდგინიძე-ამილახორთა ოჯახში ბიძა-ძმისწულს შორის ქონებრივი უთანხმოება ამტყდარა. ამ უთანხმოების მოსაგვარებლად შემდგარ დარბაზზე ორივე მხარემ საკუთარი სიმართლის დამადასტურებელი არგუმენტები წერილობითი სახით წარმოადგინა. სამწუხაროდ, ჩვენამდე შემორჩა მხოლოდ ერთი, მომჩივანის საჩივრის წიგნი. მომჩივანი ზევდგინისძე გვაუწყებს, რომ გაბელისძის წაქეზებით მდივანს მომჩივანის ძმის, ვითომცდა თაყა ზევდგინისძის სურვილით შეუდგენია ყალბი ანდერძი. საბუთის სიყალბეს მომჩივანი იმით ასაბუთებს, რომ მას არ ჰქონია არც თავადთა მოწმობები, არც მეფის ხელმოწერა. როგორც ამ საბუთიდან ვხედავთ, ანდერძს ესაჭიროებოდა „თავადთა მოწმობა“ და მეფის ხელმოწერა. სწორედ ეს დეტალი ამტკიცებდა საბუთის კანონიერებას. მეფის დამტკიცების გარეშე საბუთი იურიდიული ძალა არ ჰქონდა და ნაყალბევად ითვლებოდა.⁵⁹

ჩვენამდე შემორჩენილი ანდერძის დედნებიდან უძველესია გრიგოლ სურამელის დაწერილი ანდერძი. საბუთი ეხება მონასტრის კუთვნილ ქონებაზე კანონიერად არსებული იმუნიტეტის აღდგენა-განახლების საკითხს. დოკუმენტში წარმოდგენილი ურთიერთობა სურამელსა და მღვიმელს შორის გამოხატულია საჯარო-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე მღვიმელის უფლებების აღდგენით.

⁵⁸ ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ. 1984 წ. ტომი VII. გვ. 272.

⁵⁹ ზევდგინიძეთა საჩივრის წიგნი. XV ს-ის 80-იანი წლები. (ქალაქი). დამწერი: მდივანი გაბელისძე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-14904.

სინამდვილეში, ეს ანდერძი გამოხატავს არა ანდერძის დამდების ნებას, არამედ ადრესატის – მონასტრის კანონიერ მოთხოვნაზე თანხმობას. ივ. ჯავახიშვილი ამ საბუთს ანდერძის კლასიკურ ნიმუშად მიიჩნევდა იმის გამო, რომ ბიზანტიური კანონმდებლობის მიერ შემუშავებული ანდერძის შედგენის წესები ყველაზე უკეთ ამ საბუთშია გამოხატული. გრიგოლ სურამელი ამ ანდერძს წერს მოსალოდნელი განსაცდელის წინ (აწ გულმოდგინედ ვწერ წარმავალი მეოთხედ წარმართთა თათართა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიისა დაცუისათვის...“). ამ საბუთიდან ჩანს, რომ ანდერძის შედგენისას აუცილებელი პირობა იყო ჯანსაღი ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის დაფიქსირება („ჩემითა ნებითა, სრულითა ცნობითა, სიმრთელესა შინა ტანისა ჩემისასა...“). ამ ანდერძს ამოწმებს შვიდი მოწმე, ისევე, როგორც ეს ბიზანტიურ-რომაული კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული.⁶⁰

გარდაცვალებამდე მოანდერძეს ყველანაირად უნდა უზრუნველყო მისი მამულის ერთიანობა. გარდაცვალების შემდეგ წერილობითი სახით აუცილებლად უნდა დარჩენილიყო უტყუარი საბუთი მისი ქონების სამართლიანობისა. კვლევის თვალსაზრისით საინტერესოა ქაიხოსრო აბაშიძის, ერეკლე მეორის თანამედროვის ანდერძი. ქაიხოსრო აბაშიძე მოგვითხრობს, რომ მისი ავადმყოფობა ძალიან გახანგრძლივდა და იგი გრძნობდა სიკვდილის სიახლოვეს. მას ზეპირად უთქვამს საკუთარი ანდერძი ერეკლე მეფისთვის, ახლა კი იგივეს წერილობითი სახით უტოვებს თავის ძმას ევგენს და მოძღვარს, სიონის დეკანოზს იოანეს. როგორც ვხედავთ, მეფის პირობის მიუხედავად, აუცილებელი იყო ანდერძის წერილობითი სახეც. ანდერძში ქაიხოსრო მეფე ერეკლეს სთხოვს მისი ოჯახის დაცვას მისი ბიძაშვილებისგან. საბუთშივეა ნათქვამი არსებული საფრთხის შესახებ მათი მხრიდან (ჩვენს ოჯახში სისხლი მოჩანს და ნუ მოადენინებთ“). ანდერძში ქაიხოსრო იმოწმებს მეფე ერეკლეს დეიდის – თამარის ანდერძს, რომელიც, როგორც ჩანს, იგივე საკითხს ეხებოდა. ქაიხოსროს იფიცებს, რომ იგი სამართლიანად აცხადებს პრეტენზიას მათი

⁶⁰ დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვმისადმი. 1247/1250 წწ. (ეტრატი). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Ad-1

გვარის მამისეულ წილზე, მისი პრეტენზია კი დაფუძნებულია პაპამისისგან, მამამისისგან და სხვა მათი თანამედროვეებისგან გაგონილზე და ნანახზე.⁶¹

მშობლებისა და შვილების ქონებრივი ურთიერთობის გარკვევის თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს შვილობილის (შვილად აყვანილის) სამემკვიდრეო წილის გარკვევას. შვილება ქართული სამართლისთვის კარგად იყო ცნობილი ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტში, სადაც შემონახულია კანონმდებლის დადგენილება შვილებული სიძის შესახებ: „სიძის შვილებულისა ასრე იცოდით: თუ წიგნით შესრულიყვნენ, მამული დაეწრესო, რა გაიყვნენ, საუხუცესო მამულისა პატრონსა, სხვა შუა გაუყავით და შეტანილის და დახუდრებული თავ-თავისა გაიტანონ, თუ იწიგნოდ შესრულ იყვნენ შეტანილი და ჭირნახული გაჰყვეს და შესმულ-შეჭმული არა იხსენოს“. საერთოდ, შვილად აყვანა ანდერძის თავისუფლების სუროგატს წარმოადგენდა, თუ არ არსებობს ანდერძის თავისუფლების პრინციპი მოცემული სამართლის სისტემაში, მაშინ შვილად აყვანის გზით სამკვიდროს დამტოვებელი აღწევს მიზანს – ქონების სასურველ პირზე გადაცემას.⁶²

როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, ანდერძი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი საკმაოდ იყო ცნობილი ქართული ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილების დროს, მაგრამ ანდერძის თავისუფლებას არ ჰქონდა ისეთი განუსაზღვრელი სფერო, რომ სავსებით გამოერიცხა შვილად აყვანის ინსტიტუტი სამართლის სისტემიდან. შვილად აყვანა იმდენად გავრცელებული იყო ფეოდალურ საქართველოში, რომ დოკუმენტის სპეციალური სახეობაც კი შექმნილა, რომელსაც ნაშვილობის წიგნი ანუ სიგელი ეწოდებოდა და მას მეფე ამტკიცებდა.⁶³

ჩვენამდე შემორჩენილი წყაროები ამტკიცებენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში შვილად აყვანა იყო უშვილოდ დარჩენილ მემამულეთათვის ერთადერთი გამოსავალი და მხოლოდ პრაგმატული დატვირთვა ჰქონდა. ხდებოდა ისეც, რომ ვინმეს შვილად აყვანა და მისი მემკვიდრედ გამოცხადება არ იყო გამოწვეული მხოლოდ უშვილობით. ამ ქმედების მიზეზი შეიძლება ასევე ყოფილიყო სუფთა ადამიანური გრძნობები. დროთა განმავლობაში მცხოვრები უცხო პირი თანდათან

⁶¹ ანდერძის წიგნი ქაიხოსრო აბაშიძისა ერეკლე მეორისადმი 1794 წ. (ქალაქი). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-9474

⁶² ნადარეიშვილი გ. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1996 წ. გვ. 126.

⁶³ იქვე გვ. 133.

აღიქმებოდა ოჯახის სრულფასოვან წევრად, რაც ბოლოს განსაკუთრებულად ვლინდებოდა მემკვიდრეობით სამართალში. იოანე ორბელიანი მთელ თავის ქონებას, მისი გარდაცვალების შემდეგ უტოვებს იმ ადამიანის შთამომავალს (შვილიშვილს), რომელიც ადრეულ ასაკში დაობლდა და იოანეს მამამ იშვილა, გაზარდა შვილთან ერთად და დააოჯახა.⁶⁴ დადგენილია, რომ ქართული სამართლით, ნაშვილები სარგებლობდა ღვიძლი შვილის ტოლი სამემკვიდრეო უფლებაუნარიანობით, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ირღვეოდა ნაშვილებთა სამემკვიდრეო უფლებები და დგებოდა მისი დაცვის საკითხი. ასე მაგალითად, XVIII საუკუნის არზიდან ჩანს, რომ ვინმე ივანე ოდიშვილი შვილად აუყვანიათ, მშობლები ბავშვობაში დახოცილა, გარდაცვლილა მშვილებელიც, მისი მამული კი დაგირავებული ყოფილა. ნაშვილებს იგი დაუხსნია, მაგრამ მოურავს სხვისთვის მიუცია იგი. მეფე ერეკლეს ბრძანებით მიწა ივანე ოდიშვილისთვის დაუბრუნებიათ და ამგვარად აღმდგარა მისი სამემკვიდრეო უფლებები.⁶⁵

ქართული მემკვიდრეობითი სამართალი იცნობს უკანონოდ შობილთა მემკვიდრეობის უფლებებსაც. პირველი ქართული საკანონდებლო ძეგლი, რომელიც უკანონოდ შობილთა უფლებებს ეხება, ესაა ბექას სამართლის 31-ე მუხლი. ამ მუხლის ანალიზიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის ქართული სამართლებრივი მართლშეგნება მეტად მაღალ დონეზე ყოფილა და იმავე ეპოქის ზოგიერთი საკითხის იურიდიულ დანაწესზე მაღლაც მდგარა. მუხლის შინაარსის თანახმად, დიდებულს, რომელსაც უკანონოდ შობილი ვაჟი ჰყავდა, აზნაურის პატივში აჰყავდა იგი და ქონებრივადაც არ ტოვებდა უყურადღებოდ. მათ უფლებრივ მდგომარეობას ეხება ვახტანგ VI სამართლის წიგნიც. გაყრის კარში იგი საგანგებოდ ჩერდება მათ ქონებრივ უფლებებზე და 110-ე მუხლის დასაწყისშივე მკაცრად მოხაზავს იმ დროს არსებულ პრინციპს: „ნაბიჭვრის წილი არ არის მამულში“, სამაგიეროდ კი უკანონოდ შობილს ჰქონდა უფლება იმისთვის ეყმო, ვინც მას უნდოდა, ხოლო თუ ძმებს ეყმოებოდა, ძმებს იგი უნდა ერჩინათ. რაც შეეხება უკანონოდ შობილ ქალს, ძმებს მისი გამზითვების ვალდებულება ჰქონდათ. აქ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მართალია, ქართული სამართლის მიხედვით უკანონოდ შობილნი სარგებლობდნენ

⁶⁴ ანდერძის წიგნი მდივანზე იოანე ორბელიანისა. 1779 წ. (ქალაქი). დამწერი: უცნობია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Hd-14311

⁶⁵ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ, 2000 წ. გვ. 209

შეზღუდული უფლებებით, მაგრამ სამართალი და იურიდიული პრაქტიკა იცნობდა აქედან გადახვევასაც.⁶⁶ ვახტანგ IV-ის სამართლის წიგნი პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ ქორწინებით შობილი ძმები დაიხოცებოდნენ, ბიძებმა, რომლებიც ასეთ დროს კანონისმიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ, ვალდებულნი იყვნენ უკანონოდ შობილისთვის ერთი ყმის მამულის ოდენი მიწა მიეცათ. ასევე სავალდებულო იყო მისთვის მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის გადაცემაც. ვახტანგის სამართლის წიგნის 261-ე მუხლის ვრცელი ვარიანტი ლაპარაკობს უძმო, უსახლკარო, გაყრილ და უშვილო პირთა მიერ დედმამიანი და უდედმამო სუბიექტის შვილად აყვანაზე. უშვილო კაცს შეეძლო სხვადასხვა გზით, თუნდაც ნასყიდობის საშუალებით, აეყვანა შვილად სასურველი პირი. მშვილელის გარდაცვალების შემთხვევაში კანონი ავალდებულებდა მებატონეს, რომ არ მოეშალა ანდერძი და შვილებული პირისთვის შეენარჩუნებინა ანდერძით დატოვებული მამული და ქონება. ვახტანგის სამართლის წიგნის ამ ვრცელი ვარიანტიდან ჩანს, რომ უფლებამონაცვლეობის საკითხში ქართული სამართალი რომის სამართლის პოზიციაზე იდგა. შვილად აყვანილი მშვილელის უფლებამონაცვლეა: „ვალი და სადაო, ჭირი და ლხინი, ბატონის სამსახური, მისი მამობილის მოდავეს პასუხი, ყველა მან ნაშვილებმან ქმნას“.⁶⁷

ქართული სამემკვიდრეო სამართალი აღიარებდა და იცავდა ქვრივის უფლებებსაც. ვახტანგის სამართლის წიგნით, მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში უშვილო ქმარი მისი მემკვიდრეობის სრულუფლებიანი მემკვიდრე ხდებოდა. ბექა აღბუდას სამართლით, ქმრის გარდაცვალებისას ქალი მისი სასაქანლოს მემკვიდრეა, ხოლო მამული შვილებს რჩებოდათ. უშვილო ქვრივი თუ ზედსიძეს შემოიყვანდა, ქმრის დანაშთი ქონება-მამულის სრული მემკვიდრე ხდებოდა. ქვრივი ქალის სამემკვიდრეო უფლებები ჩვეულებითი სამართალითაც დასტურდება. ჩვეულებით სჯულის თანახმად, შვილიანი ქვრივი ოჯახიდანაც რომ წავიდეს, გარდა იმისა, რომ მას მიაქვს თავისი მზითევი, სარჩოც მიეცემოდა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სამართალში ქვრივი ქალის სამემკვიდრეო უფლებები, მართალია არსებითად სარჩოსთანაა გაიგივებული, მაგრამ

⁶⁶ იქვე გვ. 229

⁶⁷ ნადარეიშვილი გ. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ. 1996 წ. გვ. 137.

იგი ბევრად აღემატებოდა მას და ზოგჯერ სრული სამემკვიდრეო უფლების სახით წარმოგვიდგება.⁶⁸

მემკვიდრეთა წრეზე და ბეითალმან ქონებაზე დაწვრილებით არის ნათქვამი 1750-1760 წელს კახეთის ბაჟების გარიგების წიგნში. აქ ვკითხულობთ: „კაცი რომ ამოსწყდეს, არც ვაჟი დარჩეს არც ქალი და არც ქვრივი, იმისი თუ რამ დარჩა საქონელი, ნახევარი მკვდრისაა, ნახევარი ბატონისაა; თუ ქვრივი დარჩეს, ორი წილი მკვდარს, ერთი ქვრივსა და ერთი წილი ბატონს, თუ ქვრივმა იმ მამულზე ქმარი შეირთოს, არც მამული გამოერთვას და არც საბატონო საქონლის მეოთხედი; თუ ქალი დარჩეს, მამულიც იმისია და საქონელიც თუ სხვაგან არ გათხოვდა და თუ სხვაგან გათხოვდა, საქონელი იმისია და მამული ბატონის არის“. როგორც ვხედავთ, კახეთში კაცი ამოწყვეტილად ითვლებოდა, თუ გარდაცვალების მომენტში ცოლ-შვილი არ ჰყავდა. ქვრივი მამულის და საქონლის მთლიან მფლობელად ჩაითვლებოდა, თუ კვლავ გათხოვდებოდა. რაც შეეხება ქალიშვილს, იგი მამის დანაშთ საქონელს და მამულს ეუფლებოდა, თუ არ გათხოვდებოდა. ანალოგიურზე გვიამბობს ალავერდის ტაძრის სიგელი (1749 წ.), სადაც საეკლესიო ყმების წრეშიც იგივე დებულება მოქმედებდა.⁶⁹ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, ქართულ სამართალში არსებობდა ანდერძის თავისუფლების გარკვეული, მაგრამ არა სრულიად აბსოლუტური თავისუფლება, მემკვიდრეობის მოწესრიგების ძირითადი ფორმა მაინც კანონისმიერი მემკვიდრეობა იყო.⁷⁰

ანდერძის თავისუფლებასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის შესახებ. ქართულ სამართალში ვერ ვხვდებით რაიმე მითითებას ამ საკითხზე. ვახტანგ IV -ის სამართლის წიგნში შესული უცხოური სამართლის ნორმებიც არ იძლევა აღნიშნულზე ზუსტ პასუხს. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული სამართალი არ იცნობს მემკვიდრეობაში სავალდებულო წილს.⁷¹ ქართულ სინამდვილეში სავალდებულო წილის თაობაზე საგანგებო მითითებას ვერ ვხვდებით. როგორც ვთქვით, ქართული სამართალი მხოლოდ ანდერძისმიერი მემკვიდრეობის პრინციპის ლეგალიზაციით

⁶⁸ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 256.

⁶⁹ ნადარეიშვილი გ. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ. 1996 წ. გვ. 120.

⁷⁰ მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია. თბ. 2009 წ. გვ. 392.

⁷¹ იქვე გვ. 390.

კმაყოფილდებოდა. სავარაუდოდ, ეს საკითხი ბერძნულ-რომაულის ანალოგიურად უნდა ყოფილიყო მოწესრიგებული. თუმცაღა ამის პირდაპირი მტკიცებულება ისტორიას არ შემოუნახავს. სამწუხაროდ, ვახტანგ VI სამართლის წიგნშიც არ ჩანს რაიმე ხელმოსაჭიდი ამ მხრივ. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი უპირატესად კანონისმიერი მემკვიდრეობის სამართალი იყო. ჩვენში არასოდეს ჰქონია ადგილი რომაულის მსგავს მოვლენას, როცა ანდერძისმიერი მემკვიდრეობა გამორიცხავდა კანონისმიერ მემკვიდრეობას. ანდერძისმიერ მემკვიდრეობას აწესრიგებდა ჩვეულებითი სამართლის დანაწესები. საკანონმდებლო ისტორიული ძეგლები ვერ ქმნიან ანდერძისმიერი მემკვიდრეობის სისტემას, მათში მხოლოდ რამდენიმე მუხლია შესული და ძირითადი პრინციპებით კმაყოფილდება, თვით გავლენები კი, უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნულ-რომაულია.⁷²

⁷² ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ. 2000 წ. გვ. 304.

III. საკუთრება, მემკვიდრეობა და ანდერძის თავისუფლება.

საკუთრების მნიშვნელობაზე მეტყველებს ნიკოლო მაკიაველის სიტყვები, რომ საკუთრების უფლება საკუთრების შექმნა და შექმნილის დაცვა პიროვნებისა და ისტორიის მამოძრავებელი ძალაა.⁷³ მაკიაველი საკუთრების და მემკვიდრეობის უფლებას სიცოცხლის უფლებაზე მაღლაც აყენებდა. „...მაშინაც კი, როცა მთავარი ვინმეს სიკვდილით დასჯას აპირებს, მას შეუძლია სისრულეში მოიყვანოს თავისი განაჩენი, თუკი საამისოდ საკმარისი სამხილი მოეპოვება, მაგრამ თავი უნდა შეიკავოს სხვისი ქონების ხელყოფისაგან, ვინაიდან ადამიანები უფრო ადვილად ურიგდებიან მამის სიკვდილს ვიდრე სამკვიდროს მოშლას.“⁷⁴ რომაელმა იურისტებმა ბევრი რამ გააკეთეს საკუთრების უფლების დამუშავებისთვის, მაგრამ ვერ შეძლეს საკუთრების უფლების ზუსტი განსაზღვრა. ისინი ამბობდნენ, რომ მესაკუთრეს ჰქონდა სარგებლობის უფლება *ius utendi*, ნივთიდან სასარგებლო თვისებების შემოსავლის მიღების უფლება *ius fruendi*, განკარგვის უფლება *ius abutendi*.⁷⁵ კერძო საკუთრების უფლება პირველად რომის სამართალმა დაამუშავა. ინდივიდუალურ ანუ კერძო საკუთრებას წინ უძღვოდა საერთო ანუ საზოგადო საკუთრება. რომში საკმაოდ ფართო სახეობა იყო საკუთრების, მაგ. პრეტორული ანუ „ბონიტარული“ საკუთრება; პროვინციული საკუთრება; პერეგრინების საკუთრება⁷⁶ და ა.შ... საკუთრების უფლება რომ მნიშვნელოვანია, ამაზე მუსლიმანური სამართალიც მეტყველებდა და მკაცრად იცავდა მას. იმას ვინც პირველად ჩაიდენდა ქურდობას მარჯვენა ხელის ოთხ თითს მოკვეთდნენ, მეორეჯერ ქურდობის შემთხვევაში ქურდს სამუდამო პატიმრობას უსჯიდნენ.⁷⁷ საქართველოს ისტორია იმაზე მეტყველებს, რომ საკუთრების გამომხატველი ტერმინებიც ძველია და IX საუკუნიდან დასტურდება, თვით ფაქტები საკუთრების ხსენებისა VI საუკუნიდან მოგვეპოვება.⁷⁸

⁷³ თევზაძე, გ. ნიკოლო მაკიაველი და მისი ანტიუტოპია. Retrieved 2011. 02. 06. BURUSI: <https://burusi.wordpress.com/2010/10/08/tevzadze/> 2010 წლის 08 10

⁷⁴ მაკიაველი, ნ. მთავარი. Retrieved 2011 წლის 02 06 შესავალი თანამედროვე აზროვნებაში: <https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/iliabrary/ba1/ba1/3-Makiaveli>. გვ.181. 2011 წლის 16 02

⁷⁵ მეტრეველი, ვ. რომის სამართალი (საფუძვლები). თბ. 1995 .გვ.54.

⁷⁶ მეტრეველი ვ. რომის სამართალი (საფუძვლები). თბ. 1995 წ. .გვ.52-53

⁷⁷ ნადარეიშვილი გ. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბ. 2005 .გვ.305.

⁷⁸ საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამომცემლობა. თბილისი 2005 წ. გვ.5-6

საკუთრების უფლების აღიარების ერთ-ერთი პირველი მცდელობა იყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით, რომელმაც დიდ ხანს ვერ გასტანა. 1921 წლის კონსტიტუციის 114-ე მუხლში საუბარი იყო საკუთრების უფლებაზე, თუმცა ეს მუხლი უფრო იმას განსაზღვრავდა, როდის შეიძლებოდა საკუთრების უფლების შეზღუდვა, ვიდრე იძლეოდა საკუთრების უფლების გარანტიას. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკუთრების ძირითადი უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, რომლის განმტკიცება და დაცვა სახელმწიფოს კანონმდებლობის ამოცანაა. მისი ინსტიტუციური მნიშვნელობა ჯერ კიდევ უძველეს კონსტიტუციებში გამოიკვეთა და დროთა განმავლობაში სოციალური ფუნქციაც შეიძინა. საკუთრება მრავალი ვალდებულებით დაიტვირთა, ლიბერალური საკუთრების ადგილი კი საკუთრების სოციალურმა ბოჭვამ დაიკავა. საკუთრების უფლების გვერდით გამოიკვეთა ისეთი ქონებრივი უფლებები, რომლებიც თავისი სოციალური მნიშვნელობით, პიროვნული თავისუფლებისა და კერძო ავტონომიის დაფუძნების კუთხით, უტოლდება და კონკურენციას უწევს მას.

საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას.⁷⁹ საკუთრება პირის ნივთთან ურთიერთობაა. მისი აბსოლუტურობა უნდა განვიხილოთ ამ უფლების მატარებლის, იგივე მესაკუთრის ყველა დანარჩენ მესამე პირთან ურთიერთდამოკიდებულებაში.⁸⁰

⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის დაგაწყვეტილება № 1/2/384 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძე საკონსტიტუციო სასამართლოს პარლამენტის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი მეხუთე პუნქტი

⁸⁰ ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი. მეორე გამოცემა თბ. 2003 გვ.82.

სამართლის ლიტერატურაში⁸¹ ძირითადად ვხვდებით: პირველი – საკუთრების ლიბერალური, ბუნებითი სამართლის პრინციპებზე დაყრდნობილ კონცეფციას, და მეორე – საკუთრების პოზიტიურ და იმავდროულად სოციალური ხედვაზე აგებულ კონცეფციას. საკუთრების ცნება, ლიბერალური კონცეფციით განიმარტება,⁸² როგორც ჯერ კიდევ „სახელმწიფოებრიობამდე“ არსებული ადამიანის უფლება. ამგვარი უფლებები სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობს, რადგან ის სახელმწიფოს არ შეუქმნია (ადამიანის უფლებათა ბუნებითი თეორია). საკუთრება ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია ნაწილია პირადი თავისუფლებისა. ამ თეორიის თანახმად, თუ სახელმწიფო ადამიანს არ ანიჭებს თავისუფლებას, სიცოცხლეს ან საკუთრებას და ეს უფლება-თავისუფლებები თავისუფალია, მაშინ მათი შექმნაც არ უნდა იყოს სახელმწიფოზე დამოკიდებული, მის მიერ რეგულირებული. ამ კონცეფციისაგან განსხვავებით, საკუთრების უფლებას პოზიტიურ-სოციალური სახელმწიფოს თეორიის მომხრეები შემდეგნაირად განმარტავენ: საკუთრების უფლება არის მესაკუთრის უფლება, ისარგებლოს, ფლოს და განკარგოს თავისი საკუთრება. საკუთრების უფლების ამ ფუნქციებიდან გამომდინარე, ამ პროცესის თანმდევია ის, რომ ერთი პირის საკუთრების უფლება თავისთავად ზეგავლენას ახდენს გარშემო მყოფებზე, საზოგადოების სხვა წევრებზე. სწორედ ამაზეა დაფუძნებული კანონმდებლის უფლებამოსილება (ან თუნდაც მისი კონსტიტუციური ვალდებულება), დაარეგულიროს საკუთრების სამართლებრივი მხარე.⁸³ სწორედ ამ განსხვავებული დამოკიდებულების შედეგად განვითარდა ორი სხვადასხვა მიდგომა საკუთრების შექმნის ინსტიტუტზე, გერმანიისა და აშშ-ის მაგალითზე. ე. წ. პროგრესულ მიმართულებაში საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივ გაგებაში არ მოიაზრება საკუთრების შექმნის უფლება, საკუთრების შექმნა (ისევე როგორც თვით საკუთრება) ადამიანის ბუნებითი უფლება კი არ არის,

⁸¹ Depenheuer, (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen, Berlin Heidelberg 2005. მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბ., 2013, გვ. 206.

⁸² Eekhoff, Soziale Sicherheit durch Eigentum, Abwägung zwischen Eigentumsschutz und Sozialpflichtigkeit In: Depenheuer, Otto (Herausgeber) Eigentum, Ordnungsidee, Zustand, Entwicklungen S. 51, 56 მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 206.

⁸³ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 206.

არამედ ის სახელმწიფოს მიერაა წარმოქმნილი, და მისი ფარგლები სახელმწიფოს მიერაა მისგან განსხვავებული. ე. წ. პროამერიკული თეორია კი საკუთრებას, ისევე როგორც სიცოცხლესა და თავისუფლებას, წმინდა ბუნებით უფლებად მიიჩნევს. ამიტომ საკუთრება ბუნებრივად საკუთრების შექმნასაც გულისხმობდა. ამ მიმართულების მიმდევრებისათვის მას სხვადასხვაგვარი გააზრება და სხვადასხვა კონსტიტუციურ ჩარჩოში მოქცევა არ სჭირდება.⁸⁴

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი მიუთითებს, რომ საკუთრების შექმნა, მისი განკარგვა და მემკვიდრეობით მიღება კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ საკუთრების გარანტია გულისხმობს, არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან უარყოფითი ზემოქმედებებისგან თავდაცვას, არამედ მისი მხრიდან პოზიტიური მოქმედებების განხორციელებას.⁸⁵ როგორც სასამართლო განმარტავს სახელმწიფოს მხოლოდ ხელყოფისგან/შეზღუდვისგან დაცვა არ ევალდება, არამედ ის ვალდებულია ხელი შეუწყოს საკუთრების უფლების თავისუფალ განკარგვას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ: „თუ საკუთრების შექმნის სამართლებრივ გზებზე ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ, ეს საკუთრების უფლების შემდგომ დაცვას გარკვეულწილად აზრს დაუკარგავს. შესაბამისად, საკუთრების შექმნის სამართლებრივი მექანიზმების არარსებობა გამოიწვევდა საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის ელემენტებისაგან შემდგარი საკუთრების სამოქალაქო კონცეფციის „დაცარიელებას“, სუბსტანციის დაკარგვას და ილუზორულს გახდიდა ასევე საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას“.⁸⁶

საკუთრების შექმნის კონსტიტუციური გარანტია იცავს საკუთრების მართლზომიერად შექმნის შესაძლებლობას. საქართველოს საკონსტიტუციო

⁸⁴ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 207.

⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2004 წლის 16. ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/5/224 სამოტივაციო ნაწილი 4-ე პუნქტი

⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26 ივნისის 2012 წლის გადაწყვეტილება № 512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი, 39-40-ე პუნქტები.

სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რომელიც საკუთრების უფლების რეგლამენტაციას ახდენს, იცავს კანონიერ საკუთრებას, რომლის კანონიერებასაც საფუძველშივე განსაზღვრავს მისი მართლზომიერად შეძენის ფაქტი. საკუთრების შეძენის კონსტიტუციური გარანტია თავის თავში მოიაზრებს სახელმწიფოს უფლებამოსილებას, საკანონმდებლო რეგულირებას დაუქვემდებაროს საკუთრების შეძენის წესი, რომელიც, თავის მხრივ, მატერიალური შინაარსით, კონსტიტუციის შესაბამისი უნდა იყოს.⁸⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის პრაქტიკაში საკუთრების უფლება უკვე დიდი ხანია ბუნებით უფლებად აღიარა.⁸⁸ იგი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს მის ფუნდამენტურ მნიშვნელობას და აღიარებს მას არსებობის ელემენტარულ საფუძვლად. ამავე დროს სასამართლო საკუთრების ორმაგ ფუნქციაზეც საუბრობს. კერძოდ კი, აღნიშნავს, რომ საკუთრება წარმოადგენს სუბიექტურ უფლებას, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის ღირებულებათა კონსტიტუციურ წესრიგს.⁸⁹ ადამიანის ღირსება და მისი პიროვნული თავისუფლება, ძირითად, ბუნებით უფლებებში გამოიხატება. ეს უფლებები იმით გამოირჩევიან, რომ წარმოადგენენ ადამიანის თანდაყოლილ და არა ნაწარმოებ უფლებებს. ადამიანი იბადება ამ უფლებებით, რაც საფუძველშივე ავალდებულებს სახელმწიფოს, ადეკვატურად უზრუნველყოს ყოველი ადამიანის პიროვნული თავისუფლების სრული თვითრეალიზაციის შესაძლებლობა. იმავდროულად, ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს უფრო მეტ სიფრთხილეს და ზომიერებას უფლებაში შესაძლო ჩარევისა და რეგულირების ფარგლების დადგენისას.⁹⁰ საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არაერთხელ მართებულად აღნიშნა, რომ 21-ე მუხლი იცავს

⁸⁷ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 208.

⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, № 2/1-370,382,390,402,405 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სამოტივაციო ნაწილი, მე-5 პუნქტი.

⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26 ივნისის 2012 წლის გადაწყვეტილება № 512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი, 41-ე პუნქტი.

⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება № 1/2/384 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიაშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II-5

საკუთრების უფლებას, როგორც ადამიანის ბუნებით უფლებას, ისე საკუთრებას, როგორც ინსტიტუტს და ისე, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას.⁹¹

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა გადაწყვეტილებაში კიდევ ერთხელ განმარტა საკუთრების ინსტიტუციონალური გარანტია: „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შემენის გზით ქონების დაგროვებას“.⁹²

თანამედროვე სამართალში საკუთრების ბუნებამ სახე იცვალა და სოციალური ფუნქციის შექმნით მთელი რიგი ვალდებულებებითაც დაიტვირთა. საკუთრება კვლავაც რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან სანივთო-სამართლებრივ უფლებად, მაგრამ მთელი რიგი კერძო თუ საჯარო სამართლებრივი დატვირთვების გამო, იგი ვალდებულების სახითაც გვევლინება.⁹³ საკუთრება ავალდებულებს იმიტომ, რომ არავის არა აქვს უფლება ბოროტად გამოიყენოს თავისი საკუთრება და ამით სხვებს მიაყენოს ზიანი, მეორეც საკუთრება ავალდებულებს იმიტომ, რომ იგი სოციალური ფუნქციის მატარებელია. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით მესაკუთრე უფლებამოსილია ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრების ობიექტებს კანონისმიერი და სახელმეკრულებო შეზღუდვის ფარგლებში. საკუთრება, როგორც ვალდებულება ჩანს სარგებლობის ვალდებულების შემოღებაში. კანონი

⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, № 2/1-370,382,390,402,405 საქმეზე ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია დასხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II,6

⁹² საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება № 512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჰესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი, 33-ე პუნქტი.

⁹³ ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი. მეორე გამოცემა თბ. 2003 გვ.91

პირდაპირ აცხადებს, რომ კანონით შეიძლება დაწესდეს სარგებლობის ან მოვლის და შენახვის ვალდებულება, თუკი ამ ნივთის გამოუყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს.⁹⁴

საკუთრება, როგორც ინსტიტუციონალური გარანტია, პიროვნებისაგან დამოუკიდებლად აღიარებს და იცავს კერძო სამართლებრივ საკითხებს, როგორც კონსტიტუციის ობიექტურ ღირებულებას. მისი სამართლებრივი დანიშნულებაა რეალურად უზრუნველყოს კერძო საკუთრების არსი. აქედან გამომდინარე, კანონმდებელს საკუთრების შეზღუდვისას ბოჭავს კონსტიტუცია ისეთი სამართლებრივი რეგულირების გამოცემისას, რომელიც კერძო საკუთრებას, როგორც ინსტიტუტს, საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს.⁹⁵ ე.ი. საკუთრების ინსტიტუტის გარანტია ადგენს იმ გარეგან საზღვრებს, რომელთა გადალახვა კანონმდებელს არ შეუძლია.⁹⁶

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში, რომელიც საკუთრების უფლებას უზრუნველყოფს, გაცხადებულია: “ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

საკუთრების უფლებას აღიარებს ადამიანის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. თუმცა არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და არც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების

⁹⁴ ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი. მეორე გამოცემა თბ. 2003 გვ. 91

⁹⁵ ხუბუა გ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. თბ. გვ. 156. მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” თბილისი, 2013, გვ. 211.

⁹⁶ Jarass, in Jarass/Pieroth Art. 14 S. 348. f 4. მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი თბილისი, 2013, გვ. 211.

საერთაშორისო პაქტი, რომლებმაც საყოველთაო დეკლარაცია სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტად აქციეს, საკუთრების დაცვაზე რაიმე მითითებას არ აკეთებს. პირველი ოქმის პირველი მუხლი ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს მათ საკუთრებაში სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისაგან იცავს. ამასთანავე, იგი აღიარებს სახელმწიფოს უფლებას, გააკონტროლოს საკუთრებით სარგებლობა და ჩამოართვას კიდევ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს მისი საკუთრება ამ დებულებით დადგენილი პირობების შესაბამისად. კოლექტიურ ინტერესსა და ინდივიდუალური პირის ინტერესებს შორის პროპორციულობის დაცვის მიზნით ჩარევა იმგვარად უნდა მოხდეს, რომ იგი არ იყოს თვითნებური და კანონის შესაბამისად განხორციელდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტური სამართლით კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, რომლითაც გარანტირებულია საკუთრების დაცვის უფლება, მოიცავს 3 განსხვავებულ წესს: „პირველი მათგანი, რომელიც მოცემულია პირველი პარაგრაფის პირველ წინადადებაში, ზოგადი ხასიათისაა და მოიცავს საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებას; მეორე წესი უკავშირდება საკუთრების ჩამორთმევას, რომელიც კონკრეტულ გარემოებებს უნდა დაექვემდებაროს. მესამე - აღიარებს, რომ მონაწილე სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან გააკონტროლონ საკუთრებით სარგებლობის უფლება საერთო ინტერესების შესაბამისად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია, რადგან მეორე და მესამე წესი, რომელიც საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებაში ჩარევას გულისხმობს პირველი წესიდან უნდა გამომდინარეობდეს და მასთან ბმაში უნდა განიმარტოს. სასამართლოს განმარტებით კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ჩარევამ უნდა დააკმაყოფილოს სამი ძირითადი პირობა: იგი უნდა განხორციელდეს „კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით“, რომელიც გამორიცხავს რაიმე თვითნებურ ქმედებას ეროვნული ხელისუფლების მხრიდან, ამასთან იგი უნდა იყოს „საჯარო ინტერესში“ და უნდა დაიცვას სამართლიანი ბალანსი მესაკუთრის უფლებებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. სამართლიანი ბალანსის დაცვის საკითხი ასახულია კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მთლიან სტრუქტურაში. თითოეულ შემთხვევაში, როცა არსებობს წინამდებარე მუხლის

სავარაუდო დარღვევის საქმე, სასამართლომ უნდა დაადგინოს, სახელმწიფოს ჩარევის შედეგად აწევს თუ არა პირს არაპროპორციული და გადაჭარბებული ტვირთი. მაშინაც კი, თუ ჩარევა განხორციელდა „კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვით“ - რაც გულისხმობს თვითნებობის გამორიცხვას - და საზოგადოებრივი ინტერესის ფარგლებში, საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებაში ჩარევამ ყოველთვის უნდა დაიცვას „სამართლიანი ბალანსი“ საზოგადოების საერთო ინტერესსა და ინდივიდის ძირითადი უფლებების დაცვას შორის. კერძოდ, გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის უნდა არსებობდეს პროპორციულობის გონივრული ურთიერთმიმართება.⁹⁷

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთგზის განმარტავს, რომ „საკუთრების ცნებას დამატებითი №1 ოქმის პირველი მუხლის მიხედვით, დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, რომელიც არ შემოიფარგლება ფიზიკური ნივთების ფლობით და ის დამოუკიდებელია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ოფიციალური კლასიფიკაციისგან: „საკუთრების“ ცნება არ შემოიფარგლება „არსებული საკუთრებით“, არამედ ის შეიძლება მოიცავდეს აქტივებს, სარჩელების ჩათვლით, რომლებთან დაკავშირებითაც განმცხადებელს შეუძლია განაცხადოს, რომ მას გააჩნია, საკუთრების უფლებისა ან ქონებრივი ინტერესის ეფექტური გამოყენების გონივრული და „კანონიერი მოლოდინი.“⁹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი უზრუნველყოფს უფლებას არსებულ ქონებაზე, რაც ასევე მოიცავს მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს აქვს საკუთრების უფლებით

⁹⁷ შპს ჯგჯ სტატუბა და გუსელნიკოვასი ლიტვის წინააღმდეგ (განაცხადი N 3330/12) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილება სტრასბურგი 2013 წლის 5 ნოემბერი. საბოლოო გახდა 2014 წლის 5 თებერვალს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/statuba-da-guselnikovasi-litvis-winaagmdeg.pdf>

⁹⁸ იონერილდიზი თურქეთის წინააღმდეგ, (Öneriildiz v. Turkey) განაცხადი №48939/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სტრასბურგი 2004 წლის 30 ნოემბერი, პარაგრაფი 124; და პრინცი ჰანს-ადამ II ლიხტენშტეინი გერმანიის წინააღმდეგ განაცხადი N42527/98, პარაგრაფი 83, <https://www.globalhealthrights.org/wp-content/uploads/2013/02/ECTHR-2004-Oneryildiz-v-Turkey.pdf>

ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მინიმუმ „ლეგიტიმური მოლოდინი“⁹⁹. „ქონების“ ცნება შეიძლება მოიცავდეს, როგორც „ამჟამინდელ ქონებას“, ისე ქონებრივ ღირებულებებს, მათ შორის, ვალებს, რომლებზე დაყრდნობითაც მომჩივანს შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს სულ ცოტა „ლეგიტიმური მოლოდინის“ ქონაზე, მიიღოს სარგებელი საკუთრების უფლებიდან.¹⁰⁰

ლეგიტიმური მოლოდინის საკითხზე მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ,¹⁰¹ საქმეში მოცემული განმარტება, რაც ხშირად მეორდება შემდგომ პრეცედენტულ სამართალში¹⁰²: “როდესაც საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ინტერესი მოთხოვნის ბუნებისაა, პირს, რომელსაც ის გააჩნია შესაძლოა მიჩნეულ იქნეს „ლეგიტიმური მოლოდინის“ მქონედ თუ აღნიშნული ინტერესის არსებობისთვის საკმარისი და სათანადო საფუძველი არსებობს ეროვნულ სამართალში, მაგალითად სადაც არსებობს ეროვნულ სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკა/პრეცედენტული სამართალი, რომელიც აღნიშნულის არსებობას ადასტურებს...”¹⁰³ ..თუმცა, ვერანაირი ლეგიტიმური მოლოდინი ვერ წარმოიშვება, როდესაც დავა ეხება ეროვნული სამართლის მართებულ ინტერპრეტაციასა და გამოყენებას.¹⁰⁴ ვფიქრობ სავალდებულო წილის უფლება, რომელიც ანდერძის შინაარსის მიუხედავად, მამკვიდრებლის ნების საწინააღმდეგოდ ანიჭებს პირველი რიგის მემკვიდრეებს სამკვიდროდან განსაკუთრებულ, თუნდაც მცირედ წილის მიღების უფლებას, შეესაბამება სავალდებულო წილის სუბიექტთა ლეგიტიმურ მოლოდინს.

⁹⁹ მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Maurice v. France), განაცხადი No. 11810/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 6 ოქტომბერი 2003 წელი. <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-70445%22%5D%7D>

¹⁰⁰ კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ საჩივარი #7975/06 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2010 წლის 2 თებერვალი, საბოლოო გახდა 2010 წლის 5 თებერვალი. 54-ე პარაგრაფი.

¹⁰¹ კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Kopecký v. Slovakia), განაცხადი No. 44912/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დიდი პალატა 28 სექტემბერი 2004 წელი 52-ე პარაგრაფი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი <http://catalog.supremecourt.ge/blog/>

¹⁰² Centro Europa 7 S.r.l და დისტეფანო იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.r.l and Di Stefano v. Italy), განაცხადი No. 38433/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 07 ივლისი 2010 წელი 73-ე პარაგრაფი. [file:///C:/Users/Lado/Downloads/001-111399%20\(4\).pdf](file:///C:/Users/Lado/Downloads/001-111399%20(4).pdf)

¹⁰³ კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Kopecký v. Slovakia), განაცხადი No. 44912/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დიდი პალატა 28 სექტემბერი 2004 წელი ; 52-ე პარაგრაფი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი <http://catalog.supremecourt.ge/blog/>

¹⁰⁴ იქვე, 50-ე პარაგრაფი.

საქმეში მარქსი ბელგიის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ პირველად განიხილა პირველი ოქმის პირველი მუხლი ბელგიის კანონმდებლობის არამართლზომიერების კონტექსტში და განმარტა: “იმის აღიარებით, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავისი საკუთრებით (ქონებით) შეუფერხებელი სარგებლობის უფლება, მუხლი პირველი არსებითად უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას. ეს არის სრულიად ცხადი წარმოდგენა, რომელსაც ტოვებს სიტყვები “საკუთრება” და “საკუთრების გამოყენება”. თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ განსაზღვრა პირველი ოქმის პირველი მუხლის ფარგლები, რომელიც ეხება მხოლოდ არსებულ საკუთრებას და “არ უზრუნველყოფს საკუთრების მიღების უფლებას”. სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი ოქმის პირველი მუხლი არ მიესადაგებოდა უკანონო ბავშვის პოტენციურ უფლებას მემკვიდრეობაზე დედის გარდაცვალების შემთხვევაში. მისგან განსხვავებით, მუხლი შესაბამისად იქნა ჩათვლილი, როცა განმცხადებელს – ასევე უკანონო შვილს – მემკვიდრეობით უკვე ჰქონდა მიღებული წილი ფერმიდან, მაგრამ უფლება არ მისცეს, მემკვიდრეობა მიეღო იმ ოდენობით, რამდენსაც მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონიერი შვილი იქნებოდა.”¹⁰⁵

საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებათა სამართლებრივი კავშირისა და ევროპის კონვენციით მემკვიდრეობის უფლების დაცვის თვალსაზრისით საინტერესოა ასევე სტრასბურგის სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება საქმეზე „ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ“¹⁰⁶. სადაც სასამართლომ განმარტა რომ, პირველი ოქმის პირველი მუხლი არ უზრუნველყოფს საკუთრების მოპოვების უფლებას, განსაკუთრებით, ანდერძის არასებობის ან ნებაყოფლობითი გაყოფის პირობებში... თუმცა, „საკუთრება“ შეიძლება იყოს „არსებული საკუთრება“ ან

¹⁰⁵ მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium) განაცხ. № 6833/74 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სტრასბურგი 1979 წლის 13 ივნისი. <https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:%22001-57534%22>

¹⁰⁶ ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Fabris v. France,) საჩივარი #16574/08, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სტრასბურგი 07 თებერვალი, 2013. 50-ე პარაგრაფი. საქმის ფაბულა შემდეგია: მომჩივანი მამამ შვილად დაბადებისას აღიარა. მომჩივნის ჩასახვის პერიოდში მისი დედა დაქორწინებული იყო და იმ ქორწინებაში ორი შვილი ჰყავდა. 1970 წლის 24 იანვრის შეთანხმებით ცოლ-ქმარმა ქონება თავიანთ ორ კანონიერ შვილს გაუყვეს. მომჩივანი მოითხოვდა თანაბარ წილს დედამისის ქონებიდან. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მომჩივანს მისი კუთვნილი წილი ჩამოერთვა და კანონიერ ბავშვებთან შედარებით საბოლოოდ, განსხვავებულ სიატუაციაში აღმოჩნდა დედის ქონების მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. <http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-14-55-56/126-2014-06-24-08-42-54>

აქტივები, მათ შორის მოთხოვნები, რასთან დაკავშირებითაც მომჩივანმა შეიძლება ამტკიცოს, რომ მას, სულ მცირე, „მართლზომიერი მოლოდინი“ აქვს, რომ საკუთრების უფლებით ეფექტიან სარგებლობას შეძლებს. მართლზომიერ მოლოდინს უნდა ჰქონდეს საკმარისი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში.¹⁰⁷

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ სფეროში ექცევა მემკვიდრეობის უფლება და, ამდენად, იგი წარმოადგენს უმაღლესი რანგის სამართლებრივ სიკეთეს. მემკვიდრეობის უფლების გარანტია ავსებს საკუთრების გარანტიას და მასთან ერთად ქმნის კონსტიტუციით გათვალისწინებული კერძო საკუთრებითი წესრიგის საფუძველს. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ერთად ქმნიან იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებით, ძირითად ელემენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ადამიანის კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება. კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ზოგადი დანაწესი დიფერენცირებულად საუბრობს საკუთრების და მემკვიდრეობის უფლებაზე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულია მხოლოდ „საკუთრების უფლების არსი“. უნდა აღინიშნოს, იგი არ არის გათვალისწინებული „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ დამატებითი ოქმის პირველი მუხლით. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად: „მემკვიდრეობის უფლება საკუთრების უფლების ტრადიციულ და ფუძემდებლურ ასპექტს შეადგენს და არა დამოუკიდებელ ადამიანის უფლებას“¹⁰⁸ ამგვარად, „საკუთრების უფლების არსი“-ს ცნებაში მოიაზრება მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობებიც, რადგან მემკვიდრეობის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს საკუთრების მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდგომ ანდერძით ან კანონით მემკვიდრეებისთვის გადაცემა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „მემკვიდრეობის უფლების ფუნქციას წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ მესაკუთრის გარდაცვალებასთან ერთად არ მოხდეს კერძო საკუთრების როგორც საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვის საფუძველის დაკარგვა, არამედ ის შენარჩუნდეს

¹⁰⁷ იქვე, &50.

¹⁰⁸ მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium) განაცხ. № 6833/74 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სტრასბურგი 1979 წლის 13 ივნისი. <https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:%22001-57534%22>

სამართალმემკვიდრეობის გზით. იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებდა მემკვიდრეობის უფლება, კერძო საკუთრება ავტომატურად გადავიდოდა სახელმწიფოს ხელში, რაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვევდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის დასუსტებას. მემკვიდრეობის უფლების გარეშე თავად საკუთრების უფლების არსი დაიყვანება მფლობელობამდე, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ვადით შემოიფარგლება და რომელსაც ფაქტობრივი დასასრული აქვს და არა სამართლებრივი”.¹⁰⁹

მემკვიდრეობის უფლების გარანტია ორგვარი სახისაა: მამკვიდრებლის უფლება, ანდერძის საფუძველზე განკარგოს საკუთარი ქონება და მემკვიდრის უფლება, შეიძინოს შესაბამისი საკუთრება მემკვიდრეობის გზით. მემკვიდრეობის კონსტიტუციური უფლება, აქედან გამომდინარე, წარმოადგენს ძირითადი უფლების სახით რეგლამენტირებული თავისუფლების გარანტიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. მემკვიდრეობის უფლება პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. ამასთანავე მემკვიდრეობა საკუთრების შექმნის ან მისი განკარგვის ერთ-ერთი ფორმაა.¹¹⁰

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკმაოდ ნათლად განმარტა მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლებათა მჭიდრო ურთიერთკავშირი. „საკუთრების შექმნის უფლების მსგავსად, მემკვიდრეობით მიღების უფლებაც საკუთრების წარმოშობამდე მიმდინარე პროცესებს არეგულირებს, შესაბამისად, ეს უფლებაც იცავს პირის შესაძლებლობას, გახდეს მესაკუთრე მემკვიდრეობის გზით. უფლება რეალიზებულად უნდა მივიჩნიოთ პირზე მემკვიდრეობის გზით საკუთრების უფლების გადასვლის მომენტიდან. ამის შემდგომ პიროვნების ქონება დაცულია საკუთრების თავისუფალი ფლობისა და განკარგვის კონსტიტუციური გარანტიით”.¹¹¹

¹⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება # 3/1/512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი, 74-ე პუნქტი.

¹¹⁰ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 212.

¹¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება #3/1/512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი, 77-ე პუნქტი.

მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ისეთი ბუნებითი უფლებაა, რომელიც წარმოიშვება ჩასახვისთავე და დაბადების შემთხვევაში არ კვდება მამკვიდრებელთან ერთად. მემკვიდრეობის სამართალი მთლიანად შეესაბამება ბუნების მოთხოვნებს და მის მსგავსად საზოგადოებრივი მოვლენებისაგან და ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მარადიულად არსებობს. მემკვიდრეობითი სამართალი განსაზღვრულია გარდაცვლილის ქონების ბედი და რაც უფრო განვითარებულია ამა თუ იმ ხალხის საკუთრების სამართალი მით განვითარებულია მემკვიდრეობითი სამართალიც.¹¹² მემკვიდრეობის უფლების გარანტია ავსებს საკუთრების გარანტიას და მასთან ერთად ქმნის კონსტიტუციით გათვალისწინებულ კერძო საკუთრებითი წესრიგის საფუძველს. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ერთად ქმნიან იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებით, ძირითად ელემენტებს, რომლებიც თავის მხრივ ადამიანის კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება.¹¹³

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ სფეროში ექცევა მემკვიდრეობის უფლება, რაც წარმოადგენს უმაღლესი რანგის სამართლებრივ სიკეთეს. მემკვიდრეობის უფლების გარანტია ავსებს საკუთრების გარანტიას და მასთან ერთად ქმნის კონსტიტუციით გათვალისწინებული კერძო საკუთრებითი წესრიგის საფუძველს. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ერთად ქმნიან იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებით, ძირითად ელემენტებს, რომლებიც თავის მხრივ, ადამიანის კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება. კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ზოგადი დანაწესი დიფერენცირებულად საუბრობს საკუთრების და მემკვიდრეობის უფლებაზე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულია მხოლოდ „საკუთრების უფლების არსი“. უნდა აღინიშნოს, იგი არ არის გათვალისწინებული „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ დამატებითი ოქმის პირველი მუხლით. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად კი, „მემკვიდრეობის უფლება საკუთრების უფლების ტრადიციულ და ფუძემდებლურ ასპექტს შეადგენს და არა

¹¹² ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი. მეორე გამოცემა თბ. 2003 გვ. 7

¹¹³ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,“ გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 211

დამოუკიდებელ ადამიანის უფლებას”¹¹⁴ ამგვარად, „საკუთრების უფლების არსი“-ს ცნებაში მოიაზრება მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობებიც, რადგან მემკვიდრეობით სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს საკუთრების მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდგომ ანდერძით ან კანონით მემკვიდრეებისთვის გადაცემა.

მემკვიდრეობის თავისუფლებაში მოიაზრება ანდერძის თავისუფლება და ნათესავთა მემკვიდრეობის უფლება. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას, მეტყველებს რუდოლფ ფონ იერინგის სიტყვები: „მემკვიდრეობის სამართალი არის ადამიანთა საზოგადოების მთელი პროგრესის წინაპირობა ცივილიზაციის ისტორიის ასპექტში.“¹¹⁵ სამართლებრივი ურთიერთობები, წარმოშობილი ადამიანის სიცოცხლეში, მისი გარდაცვალების შემდეგ უკვალოდ არ ქრება. მემკვიდრეობის სამართალი შეისწავლის გარდაცვლილი პირის ქონებრივი და ზოგიერთი პირადი ხასიათის უფლებების მემკვიდრეებზე გადასვლის წესსა და ფარგლებს. მემკვიდრეობის სამართალი ხელს უწყობს ოჯახის წევრთა შორის ურთიერთობათა მოწესრიგებასა და განმტკიცებას. ამასთან, მემკვიდრეობის სამართალი უშვებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს, რაც გულისხმობს პირის თავისუფალი ნების განხორციელებას - თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ქონებრივი ან სხვა ხასიათის უფლებები, გარდაცვალების შემთხვევაში. მემკვიდრეობის (მოანდერძეს) უფლება აქვს სიკვდილის შემთხვევისათვის საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგოს თავისი ქონება, ანდა საერთოდ არ განკარგოს იგი. მას შეუძლია ქონება სამოქალაქო სამართლის ნებისმიერ სუბიექტს დაუტოვოს, თავისი შეხედულებისამებრ გაანაწილოს ქონება მემკვიდრეებს შორის, მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვას ყველა მემკვიდრეს ან მათ ნაწილს, გააფორმოს განსაკუთრებული საანდერძო განკარგულებები.¹¹⁶

ანდერძი არის პირის განკარგულება მისი გარდაცვალების შემთხვევაში. ადამიანი წლების მანძილზე ხშირად უფიქრდება, თუ როგორ წარიმართება მისთვის

¹¹⁴ მარქსი ბელგიის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განაცხ. № 6833/74, სტრასბურგი, 1979 წლის 13 ივნისი. <https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:%22001-57534%22>

¹¹⁵ Ануфриева Л.П., Международное частное право, Москва, БЕК, 2004

¹¹⁶ მწელაძე ნ, სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში, თბილისი, ჟურ. „სამართალი“ №6-7, 2000, გვ.64.

ახლობელი ადამიანების ბედი იმ დროისთვის, როდესაც ის უკვე აღარ იქნება მათ გვერდით. ამასთან, ფიქრობს იმაზეც, თუ რა უნდა მოიმოქმედოს მან წინასწარ, რომ გარკვეულად შეუმსუბუქოს მათ მომავალი ცხოვრება და გამოხატოს დამსახურებული მაღლიერების გრძნობა ან მოინანიოს ოდესღაც უსამართლოდ მიყენებული წყენა ან ტკივილი. იგი აფასებს რა უარყოფით და დადებით დამოკიდებულებებს პოულობს ისეთ გამოსავალს, რომელიც ყველაზე მეტი სისრულით ხორცს ისხამს ანდერძში. ანდერძი წარმოადგენს კანონით დადგენილი ფორმით მამკვიდრებლის ნების გამოვლინებას თავისი ქონების იურიდიული ბედის შესახებ მისი სიკვდილის შემთხვევაში. მკვლევართა აზრით, ტერმინი „ანდერძი“ სპარსულიდანაა ნასესხები. იგი, მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, საშუალო სპარსულიდანაა შემოსული. სპარსულ სიტყვას „ანდარზ“, ყველა ლექსიკონი თითქმის ერთნაირად განმარტავს: „ანდარზ-ანდერძი, უკანასკნელი დანაბარები, მცირე ამბავი, ზღაპარი.“¹¹⁷ სპარსულიდან შემოსული ტერმინი „ანდარზი“ არსებითად იმავე მნიშვნელობას ინარჩუნებს ქართულ დიალექტებშიც, „ანდერძი“ ქართულ სამართალში შედარებით გვიან დამკვიდრებული ტერმინია. ძველად, ჩვენში გამოიყენებოდა „აღთქუმა“, რომელსაც ძირითადად ანდერძის მნიშვნელობაც ჰქონდა. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის ყველაზე სრულყოფილი სურათი რომაულ სამართალს აქვს. საქართველოში კი უფრო მეტად იგრძნობოდა ბიზანტიური სამართლის გავლენა.¹¹⁸ არსებობს ორი სახის მემკვიდრეობა: ანდერძით მემკვიდრეობა და კანონით მემკვიდრეობა. არ შეიძლება მემკვიდრეობის აღნიშნული საფუძვლების დაპირისპირება. მით უმეტეს, რომ შესაძლებელია უფლებამონაცვლეზე ორივე საფუძვლით გადავიდეს ქონება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მარტო არც ანდერძი და არც კანონი მემკვიდრეობას არ წარმოშობს. საჭიროა სხვადასხვა იურიდიული ფაქტის არსებობა. მაგალითად, პირის გარდაცვალება, კანონით განსაზღვრულ პირთა შორის უფლებამონაცვლის არსებობა, ანდერძის ფორმის დაცვა და სხვა. ასეთ იურიდიული მნიშვნელობის მოთხოვნებს, ყველა შემთხვევაში, კანონი განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობის სამართალი რაიმე განსაკუთრებულ უპირატესობას მემკვიდრეობის არცერთ საფუძველს არ ანიჭებს, მათი შინაარსიდან გამომდინარე,

¹¹⁷ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი თბილისი, 2000წ. გვ.85.

¹¹⁸ იქვე, გვ.85-86.

აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების პროცესში განმსაზღვრელია ავტონომიურობისა და დისპოზიციურობის პრინციპები, პირველადი მნიშვნელობა მაინც ანდერძისმიერ მემკვიდრეობას უნდა მიენიჭოს. მით უმეტეს, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობა მაშინ მოქმედებს, როცა ანდერძი არ არის სახეზე ან ანდერძს გარეთ დარჩენილი ქონება უნდა გადაეცეს გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეს.¹¹⁹

მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ: კანონით მემკვიდრეობის დროს - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილები, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადებიან. ბ. ანდერძით მემკვიდრეობისას - პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან თუ არა, ასევე იურიდიული პირები.¹²⁰ მემკვიდრე არის პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით შეიძლება გადაეცეს მამკვიდრებლის ქონება. ასეთები კანონის შესაბამისად შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები და სახელმწიფო. ევროპის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებით თითქმის ერთნაირად არის განსაზღვრული იმ პირთა წრე, რომლებიც შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები. კანონისმიერი მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის და აგრეთვე მამკვიდრებლის შვილი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი დაიბადება.¹²¹ ჩასახული, რომლის ინტერესები მის დაბადებამდე უკვე დაცულია, იწოდება *nasciturus*, ე.ი. ჯერ კიდევ დაუბადებელი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ დაუბადებელი ბავშვი სამართლის სუბიექტია. რა თქმა უნდა, არა, რადგანაც მისი ინტერესები დაცული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ცოცხალი დაიბადება. თუკი იგი მკვდარი დაიბადება, მისი ჩასახვის ფაქტი კარგავს ნებისმიერი სახის იურიდიულ მნიშვნელობას, რადგანაც მისი უფლებაუნარიანობა არ წარმოშობილა. თუ *nasciturus*-ის სასარგებლოდ დატოვებულია სამკვიდრო და იგი მკვდარი დაიბადება, მაშინ კანონისმიერი მემკვიდრეობა კარგავს სამართლებრივ

¹¹⁹ შენგელია რ. შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2015, გვ.17.

¹²⁰ სსკ-ის 1307-1308-ე მუხლები.

¹²¹ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000, გვ.23.

ძალას, მისგან გამომდინარე ყველა შედეგით. ანდერძით მემკვიდრეები კი შეიძლება იყვნენ ის პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩაისახნენ მის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, მისი შვილები არიან ისინი თუ არა. ანდერძისათვის დამახასიათებელია მემკვიდრეთა კონკრეტულად განსაზღვრა.¹²²

მემკვიდრედ მიიჩნევა ის პირი, ვისზეც უფლებამონაცვლეობის გზით გადადის მამკვიდრებლის ქონებრივი უფლება-მოვალეობები. მამკვიდრებლისაგან განსხვავებით, მემკვიდრეებად ფიზიკურ პირებთან ერთად იურიდიული პირებიც გამოდიან. იურიდიული პირი მხოლოდ ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს.¹²³ არა აქვს მნიშვნელობა კერძო თუ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები იქნებიან ისინი, კომერციული თუ არაკომერციული ხასიათის. უფრო მეტიც, ქონების მემკვიდრეობით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სახელმწიფოსათვის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ხელისუფლების მუნიციპალური სტრუქტურებისათვის. იურიდიული პირები მემკვიდრეებად უმეტესად გამოდიან ანდერძით მემკვიდრეობის დროს. კანონით მემკვიდრეობისას, გამონაკლის შემთხვევაში, როცა მამკვიდრებლის ქონება ბეითალმანად არის ცნობილი, იგი შეიძლება გადაეცეს სახელმწიფოს ან სხვა საზოგადოებრივ წარმონაქმნს.¹²⁴ ამასთან, კანონმდებელი მიუთითებს, რომ იურიდიული პირი შესაძლებელია იყოს მემკვიდრე იმ პირობით, თუ ის შექმნილი იყო კანონით დადგენილი წესით სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. ანდერძში მითითება იმაზე, რომ ქონება ეანდერძა იურიდიულ პირს, რომელიც შეიქმნება სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ბათილია.

ანდერძის თავისუფლების პრინციპისათვის დამახასიათებელ თავისებურებას ოდითგანვე წარმოადგენდა მისი აბსოლუტური ხასიათის ერთგვარი შეზღუდვა. მოანდერძეს არ უნდა ჰქონოდა მთელი თავისი ქონების ანდერძით მემკვიდრეთა შორის სრულად განაწილების უფლება. ქონების განსაზღვრული ნაწილი უნდა დარჩენილიყო ანდერძის მიღმა და გამოყენებულიყო ოჯახის წევრთა ინტერესების

¹²² ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000, გვ.23.
¹²³ სსკ-ის 1408-ე მუხლი.
¹²⁴ შენგელია რ. შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015, გვ.20.

უზრუნველსაყოფად. მათ გარანტირებული უნდა ჰქონოდათ მოანდერძის ქონებიდან წინასწარ განსაზღვრული წილის მიღების შესაძლებლობა. მას მემკვიდრეობაში სავალდებულო წილი ერქვა.¹²⁵ ანდერძის თავისუფლების ასეთი შეზღუდვა დღემდე მემკვიდრეობის სამართლის პროგრესულ ნიშნად ითვლება. ამგვარად, სავალდებულო წილი მემკვიდრეობაში ნიშნავს მოანდერძის ქონებიდან კანონით განსაზღვრული პირების მიერ წინასწარ დადგენილი ოდენობით წილის მიღების უფლებას, ანდერძის შინაარსის მიუხედავად.¹²⁶

ანდერძის მეშვეობით საკუთრების განკარგვის თავისუფლების მიუხედავად მემკვიდრეობის სამართალში არსებობს ამ პრინციპის ერთი სერიოზული შეზღუდვა ზოგიერთი კატეგორიის მემკვიდრეების ინტერესების სასარგებლოდ. მათ, ანდერძის თავისუფლების პრინციპის მიუხედავად, არ შეიძლება ჩამოერთვათ ე.წ. სავალდებულო წილის მიღების უფლება.¹²⁷

ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.¹²⁸ აღნიშნულ ნორმაში გამოხატულია ანდერძის ნების თავისუფლების პრინციპი. მამკვიდრებელს მემკვიდრეთა არჩევის უფლება აქვს, რამდენადაც მას შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება დაუტოვოს არა მხოლოდ პირებს მემკვიდრეთა წრიდან, არამედ ასევე გარეშე პირებსაც. ანდერძი კანონით დადგენილი ფორმით შედგენილი მამკვიდრებლის (მოანდერძის) განკარგულებაა გარდაცვალების შემთხვევაში მისი ქონების ბედის შესახებ. ის ცალმხრივი გარიგებაა. მასში მხოლოდ მოანდერძის ნებაა გამოხატული. ანდერძის შესადგენად მემკვიდრის თანხმობა საჭირო არ არის. ანდერძის ცალმხრივი ხასიათი მოანდერძეს თავისი ქონების განკარგვის შესაძლებლობას აძლევს ანდერძის შედგენის შემდეგაც.¹²⁹ მას შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს ანდერძი თავისი სურვილისამებრ. რამდენადაც მოანდერძეს უფლება აქვს სიკვდილის

¹²⁵ შენგელია რ. შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015, გვ.363.

¹²⁶ იქვე, გვ.363.

¹²⁷ ძნელაძე ნ. სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში, თბილისი, ჟურ. „სამართალი“თბ. 2000 №6-7, გვ.64.

¹²⁸ სსკ-ის 1344-ე მუხლი.

¹²⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი 2009 გვ.401

შემთხვევისათვის განკარგოს თავისი ქონება, მას შესაძლებლობა აქვს ანდერძის მეშვეობით შეცვალოს არა მხოლოდ კანონით დადგენილი მემკვიდრეობის რიგითობა, არამედ ასევე იმ წილთა მოცულობა, რომელსაც მიიღებდა თითოეული მემკვიდრე კანონით მემკვიდრეობის დროს.¹³⁰

ანდერძი თავისი სამართლებრივი ბუნებით ცალმხრივი გარიგების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს, რომლის დასადებად საკმარისია ერთი მხარის ნების გამოვლენა, მაგრამ ეს ცალმხრივი გარიგებაც უნდა მიმართული იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ცალმხრივი გარიგებით უფლება შეიძლება წარმოეშვას, როგორც გარიგების დამდებ პირს, ისე იმ მესამე პირებსაც, რომელთა ინტერესებისთვისაც იდება ეს გარიგება, მაგალითად, მემკვიდრეებს. ცალმხრივ გარიგებაში მოვალეობა კი გარიგების დამდებ პირს ეკისრება.¹³¹ რამდენადაც ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა, მისი შედგენისას საჭირო არ არის იმ პირის თანხმობა, რომლის სასარგებლოდაც დგება ანდერძი. იგი არ გულისხმობს რაიმე შემხვედრი ნება-სურვილის გამოვლინებას დანიშნული მემკვიდრის მხრიდან. ამ შემთხვევაში მემკვიდრეზეა დამოკიდებული - მიიღოს თუ არა მემკვიდრეობა. მოანდერძის ცალმხრივი მოქმედება მიმართულია სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დადგენის, შეცვლის ან მოსპობისაკენ, რასაც ადგილი აქვს მამკვიდრებლის გარდაცვალებისას.¹³²

მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება.¹³³ ქმედუნარიანობის დაკარგვა ანდერძის შედგენის შემდეგ ანდერძის ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს.¹³⁴ შესაძლებელია, რომ ქმედუნარიანი პირი ანდერძის შედგენის მომენტში ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ არ შეეძლო გონივრულად განესაჯა თავისი მოქმედება და ნათლად გამოეხატა თავისი ნება (ასეთი შეიძლება გამოიწვიოს დიდმა ფიზიკურმა ტკივილმა, ძლიერმა სულიერმა განცდამ და სხვ.) ამიტომ კანონი ხაზს

¹³⁰ იქვე, გვ.401.

¹³¹ ცისკაძე მ. მოანდერძის ნების გამოვლენა, როგორც ანდერძის ნამდვილობის პირობა, თბილისი, 2006 წურ. „მართლმსაჯულება და კანონი“ №5, გვ.18.

¹³² ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2000წ. გვ.100.

¹³³ სსკ-ის 1345-ე მუხლი.

¹³⁴ სსკ-ის 51.2. მუხლი.

უსვამს იმ გარემოებას, რომ სრულწლოვან, ქმედუნარიან პირს უნდა შეეძლოს თავისი მოქმედების გონივრული განსჯა და თავისი ნების ნათლად გამოხატვა.¹³⁵

ანდერძის შედგენისას, მესაკუთრის ნება მიმართული უნდა იყოს კონკრეტული სამართლებრივი შედეგისადმი. ნების გამოვლენის შედეგად კონკრეტული სამართლებრივი შედეგი რომ იყოს მიღწეული, ნების გამოვლენა სამართლებრივი ძალის მქონე და ნამდვილი უნდა იყოს. იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ზოგადად გარიგებაში ნების გამოვლენა გარკვეული სამართლებრივი შედეგის საფუძველს წარმოადგენს, რომლისკენაც მიმართულია პირის ნება.¹³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ანდერძის ბათილად ცნობის ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ ანდერძის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მამკვიდრებლის ნების ნამდვილობას. ანდერძის გაფორმებასთან დაკავშირებული ყველა ის წესები, რომელსაც ადგენენ ნორმატიული აქტები, ემსახურება ერთადერთ მიზანს --- სწორად იქნეს დაფიქსირებული მოანდერძის ნება. ანდერძის ბათილობას საფუძველად შეიძლება დადებოდა მხოლოდ ისეთი გარემოება, რომელიც საეჭვოს გახდიდა მოანდერძის ნების ნამდვილობას. მოანდერძის ნების ნამდვილობის შემთხვევაში ნოტარიუსის მიერ სანოტარო დოკუმენტაციის უსწორო გაფორმება ანდა სამსახურებრივი დაუდევრობა საფუძველად ვერ დაედებოდა ანდერძის ბათილობას.¹³⁷ სასამართლოს ასეთი განმარტების მიხედვით, ანდერძზე დავის გადაწყვეტისას, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოანდერძის ნებას. კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევა მხოლოდ მაშინ გამოიწვევს ანდერძის ბათილობას, თუკი ამ დარღვევების გამო მამკვიდრებლის ნების ნამდვილობა ვერ დადგინდება.

ანდერძის თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით, მოანდერძე უფლებამოსილია ანდერძის საშუალებით ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული მიუთითოს ამის

¹³⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2009 გვ.402.

¹³⁶ ცისკაძე მ. მოანდერძის ნების გამოვლენა, როგორც ანდერძის ნამდვილობის პირობა, თბილისი, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი. 2006. №5“, გვ.18.

¹³⁷სუსგ № ას-632-919-04.

მოტივზე.¹³⁸ მამკვიდრებელს კანონით მემკვიდრეებისათვის ანდერძით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა შეუძლია ორი გზით: ანდერძში იმის პირდაპირი მითითებით, რომ ამა თუ იმ მემკვიდრეს ან ყველა მათგანს ერთმევა მემკვიდრეობა ან ანდერძით ქონების განაწილებისას ამა თუ იმ კანონით მემკვიდრისათვის ან ყველა მათგანისათვის გვერდის ავლით. მეორე შემთხვევაში სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. კანონით მემკვიდრეები, რომლებიც მითითებული არ არიან ანდერძში, ვერ მიიღებენ მემკვიდრეობას ანდერძში აღნიშნული სამკვიდროდან, (თუმცა მიიღებენ სავალდებულო წილს) მაგრამ ისინი ინარჩუნებენ უფლებას სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელსაც ანდერძი არ შეხება. ისინი აგრეთვე მიიღებენ ანდერძით გათვალისწინებულ ქონებასაც, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხლები არ არიან ანდერძით მემკვიდრეები ან ყველა მათგანმა უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. ამ დროს, ბუნებრივია, აზრს კარგავს საანდერძო სამართლებრივი ურთიერთობა და მამკვიდრებლის მთელი ქონება გადადის კანონით მემკვიდრეებზე.¹³⁹

მოქმედი სამოქალაქო კოდექსის (ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით) მნიშვნელოვანი სიახლეა ანდერძის სახის-შინაურული ანდერძის შემოღება, რომელმაც მაღალი საკანონმდებლო სტანდარტით აღჭურვა პირის ანდერძის თავისუფლება და ზედმეტი ფორმლობებისგან გაანთავისუფლა მისი ნების ფიქსირების პროცესი. მოანდერძეს შეუძლია თავისი ხელით დაწეროს ანდერძი და ხელი მოაწეროს მას.¹⁴⁰ ამ ტიპის ანდერძის ნამდვილობისთვის აუცილებელი და საკმარისია ორი პირობის კუმულაციურად არსებობა: მოანდერძის მიერ საკუთარი ხელით ანდერძის ტექსტის შედგენა და ამ ტექსტის ხელმოწერით დადასტურება.

ქართული კანონმდებლობისთვის სიახლეს წარმოადგენს მხარდაჭერის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც უკავშირდება 2013 წლის 26 დეკემბერს, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა“ კონვენციის რატიფიკაციასა და 2014 წლის 8 ოქტომბერს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ

¹³⁸ სსკ-ის 1354.1. მუხლი.

¹³⁹ შენგელია რ. შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ. 2015 წ. გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ.353.

¹⁴⁰ სსკ 1364-ე მუხლი.

გადაწყვეტილებას, რომლითაც ფსიქიური დაავადებების მქონე პირთა ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაუშვებლად იქნა ცნობილი, ხოლო შესაბამისი რეგულაციები არაკონსტიტუციურად გამოცხადდა. მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება.¹⁴¹ ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილის პირობებს, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.¹⁴² სსკ-ის მე-12.5. მუხლის ადრე მოქმედი რედაქციით, ჯანმრთელობის მდგომარეობის (კერძოდ, ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის) გამო, პირი სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ მიიჩნეოდა. ასეთ პირებს კი სსკ-ის 1345-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად გამონაკლისის გარეშე არ ჰქონდათ ანდერძის დატოვების უფლება. მითითებული ცვლილებების პრაქტიკული და სამართლებრივი შედეგი ისაა, რომ ფსიქოსოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირი ზოგადად ქმედუნარიანად ითვლება. კონკრეტული იურიდიული ქმედებების განხორციელება მას შეუძლია იმ სუბიექტთა თანაბრად, რომელთაც არა აქვთ სსკ-ის 12.4. მუხლში მითითებული პრობლემები. სასამართლო საკითხს იმის თაობაზე თუ რომელ სფეროში სჭირდება პირს დახმარება წყვეტს ამ პირის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. პირს მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სხვა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც

¹⁴¹ სსკ 1345-ე მუხლი.

¹⁴² სსკ მუხლი 12.4.

სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს.¹⁴³ აღნიშნული ნორმის მიხედვით სასამართლო პირის ინდივიდუალური მდგომარეობის მიხედვით განსაზღვრავს სფეროებს, რომელშიც მას მხარდამჭერის დახმარება აუცილებლად სჭირდება და ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. ბუნებრივია მასში იგულისხმება ანდერძის შედგენისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება.

მემკვიდრეობის უფლების დაცვაში იმავდოულად ვლინდება საკუთრების გარანტიებიც. მემკვიდრეობის დაცვა საკუთრებისაგან განსხვავებით გულისხმობს საკუთრების გადაცემა-გადასვლის უზრუნველყოფას მამკვიდრებლის ხელიდან მემკვიდრეთა შორის. სწორედ ამ გადაცემა-გადასვლის თავისუფლებაში ვლინდება მემკვიდრეობის უფლება. ამ უფლების სუბიექტია როგორც მამკვიდრებელი ისე მემკვიდრე, უფრო ზუსტად ამ უფლების მატარებელია მამკვიდრებელი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე, ვინაიდან მამკვიდრებლის სიცოცხლეში მას არავითარი სამართლებრივი პოზიცია არ გააჩნია.¹⁴⁴ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული შეხედულებებით მემკვიდრეობის თავისუფლებაში მოიაზრება ანდერძის თავისუფლება და ნათესავთა მემკვიდრეობის უფლება. ამდენად, ანდერძის თავისუფლება თავისი არსით ოთხ ასპექტში ვლინდება¹⁴⁵: პირველი ანდერძის შედგენის თავისუფლება --- ყველა სრულწოვან ადამიანს, რომელსაც აქვს გონივრული განსჯის უნარი შეუძლია შეადგინოს ანდერძი; მეორე ანდერძის შეცვლის და მისი გაუქმების თავისუფლება -- მოანდერძეს ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს საანდერძო განკარგულებები; მესამე ანდერძის ფორმის თავისუფლება --- მოანდერძეს შეუძლია შეადგინოს სანოტარო და შინაურული ასევე ნოტარიუსთან დეპონირებული ანდერძი და ბოლოს ანდერძის შინაარსის თავისუფლება --- მოანდერძეს თავისუფლად შეუძლია თავისი ქონება ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან ასევე ნებისმიერ მესამე პირსაც. ამასთან მოანდერძეს შეუძლია მემკვიდრეობა

¹⁴³ სსსკ მუხლი 363(15).3.

¹⁴⁴ Freiheit und Eigentum: Festschrift für Walter Lesiner zum 70. Geburtstag . Duncker & Humblot. Berlin 1999. S. 166-168.

¹⁴⁵ Петров Е.Ю. Наследственное право. Постатейный комментарий Гражданского кодекса Российской Федерации. М-Логос 2018 С 117

ჩამოართვას ნებისმიერ მემკვიდრეს, მაგრამ იგი ვერ ჩამოართმევს პირველი რიგის მემკვიდრეს სავალდებულო წილს. სავალდებულო წილის უფლება ანდერძის შინაარსისა და მონდერძის ნების თავისუფლების საწინააღმდეგოდ უზრუნველყოფს მამკვიდრებელთან ყველაზე ახლო ნათესაური კავშირის მქონე ოჯახის წევრებისათვის საანდერძო განკარგულებათა მიუხედავად სამკვიდროდან განსაკუთრებული, თუნდაც მცირედი წილის მიღების უფლებას. მართალია მონდერძის უფლებაა განსაზღვროს საკუთრი ქონების ბედი გარდაცვალების შემდეგ, თუმცა შეუზღუდავი თავისუფლება უფლების ბოროტად გამოყენების საწინდარიცაა. ანდერძის შინაარსის მიუხედავად პირველი რიგის მემკვიდრეთა მიერ სავალდებულო წილის მიღების უფლება ანდერძის თავისუფლებისა და მესაკუთრის ნების კანონისმიერი ბოჭვა, ღირებულებათა შორის სამართლებრივი და სამართლიანი ბალანსის დაცვის გარანტიაა, რომელიც ყველაფერთან ერთად ასევე უზრუნველყოფს თაობათაშორის, ოჯახის წევრთა შორის სოლიდარობას.

IV. სავალდებულო წილზე უფლება, როგორც ბუნებითი უფლება და თაობათაშორის სოლიდარობა.

საკუთრება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, იგი მას დაბადებიდანვე გააჩნია. მისი არსებობა პირის უფლებაუნარიანობაზეა დამოკიდებული. უფლებაუნარიანი კი ყველა ადამიანია. სახელმწიფო მხოლოდ თავის კანონებში განამტკიცებს და გარანტირებულს ხდის ამ უფლებას. სხვადასხვა ქვეყნის სამართალი სწორედ იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუ რამდენად დაცულია იქ საკუთრების უფლება.¹⁴⁶ უფლების ბუნებითი ხასიათი იმის მაუწყებელია, რომ ვიდრე ადამიანი ცოცხალია მას ეს უფლება თან ახლავს ხოლმე. ადამიანს მთელი ქონება, რომ წაართვა და დედიშობილა დატოვო, იგი ამ უფლების მატარებელი მაინც იქნება, ვინაიდან საკუთრების უფლება ქონების შეძენის შესაძლებლობაა და არა თვით ეს ქონება, ეს სწორედ ის შესაძლებლობაა, რომელიც ადამიანს ბუნებამ უბოძა. საკუთრების უფლების ბუნებითმა ხასიათმა შობა ამ საკუთრების ხელშეუხებლობის მდგომარეობა. ხელშეუხებლობის ფსიქოლოგია იმდენად ძლიერი იყო, რომ საკუთრების ხელყოფა აღიქმებოდა არანაკლებ, ვიდრე ეს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფაა.¹⁴⁷ ეკონომიკისა და სამოქალაქო ბრუნვის განვითარებამ განაპირობა საკუთრების ბუნებითი უფლების სოციალური ფუნქციით დატვირთვა. თითქოს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც მესაკუთრის ბუნებითი უფლების გვერდით მისსავე ქონებაზე წარმოიშვა საზოგადოების საკუთრებითი უფლება.¹⁴⁸ საკუთრება, როგორც ადამიანის ბუნებითი უფლება, მისი თავისუფლების აუცილებელი ატრიბუტიცაა.¹⁴⁹

მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, რომელიც მას დაბადებიდან გააჩნია. აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა აზრით, ბუნებითი სამართალი მოიცავს დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ქცევის ობიექტურად სავალდებულო წესებს და პრინციპებს. ეს პრინციპები უფრო მაღლა დგას, ვიდრე პოზიტიური სამართალი, ამიტომ მას ზეპოზიტიურ სამართალსაც

¹⁴⁶ ზოიძე ბ. ქართული საწიფო სამართალი, მეორე გამოცემა თბ. 2003, გვ. 82

¹⁴⁷ იქვე, გვ. 82.

¹⁴⁸ იქვე, გვ. 83.

¹⁴⁹ ჭანტურია ლ, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 1994. გვ. 84-85

უწოდებენ.¹⁵⁰ ბუნებითი სამართალი, რომელსაც ხშირად „ზნეობრივ კანონსაც“ უწოდებენ, არის რაღაც სუბსტანციური, არადროისმიერი, ზეპოზიტიური; იგი თავიდანვე დასრულებული სახით მოგვეწოდება და არც ცვლილებებს ექვემდებარება.¹⁵¹ ბუნებითი კანონი თავისით წარმოიშობა, მხოლოდ შემდეგ ახდენს იურიდიული კანონი მის აღიარებას და თავის თავში ასახვას. იურიდიული კანონის მასთან წინააღმდეგობისას იგი, როგორც შეუვალე ბუნებრივი კანონი, ადამიანის ცნობიერებაში არსებობას არ წყვეტს.¹⁵² პირველი იდეები იმის შესახებ, რომ ადამიანს აქვს რაღაც უფლებები, რომლებიც მას ბუნებისგან მიეცა, ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში აღმოცენდა. ცნობებს მათ შესახებ შეიცავს სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს და ანტიკური პერიოდის სხვა მოაზროვნეთა თხზულებები. თუმცა მაშინდელი ბუნებითი სამართლის გაგება საკმაოდ განსხვავდებოდა შემდგომი პერიოდისაგან. არსებობს მოსაზრება, რომ ბუნებითი სამართალი აღმოცენდა პრაქტიკულად ადამიანისა და კაცობრიობის გაჩენასთან ერთად ანუ უძველეს პერიოდში, თუმცა მისი აღქმა და აღიარება დაიწყო განვითარების გაცილებით გვიანდელ ეტაპზე.¹⁵³ სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდელ საზოგადოებაში ხალხთა სამართლებრივ ჩვეულებებში უკვე შეგვიძლია ფორმირებადი ე.ი. მისი გამოჩენის (აღმოჩენის) პროცესში მყოფი, ბუნებითი სამართლის მიკვლევა. კლასიკური ბუნებითი სამართლის სწავლება ეფუძნება სამ საერთო არსებით პოსტულატს: 1. ბუნებითი სამართალი არის უცვლელი და საყოველთაოდ მოქმედი, მაშასადამე, მოქმედებს ყოველ დროში ყველა ადამიანისათვის; 2. ბუნებითი სამართალი გონებით შეიმეცნება; 3. ბუნებითი სამართალი გვევლინება არამარტო პოზიტიური სამართლის მასშტაბად, არამედ იკავებს მის ადგილს ამ უკანასკნელის მასთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.¹⁵⁴

¹⁵⁰ ლობჯანიძე გ. ტუკვაძე ა. ჯაომვილი გ. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ 2006 წ. 72

¹⁵¹ თაბორიძე ი., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 104.

¹⁵² იქვე, გვ.103

¹⁵³ჯობხაძე ზ., ბუნებითი სამართლის ფორმირების ისტორიული ასპექტები, ჟურნ.„სამართალი“, #6, 2001, 93.

¹⁵⁴ თაბორიძე ი., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი 2004, გვ. 104.

ბუნებითი სამართლის წყარო შეიძლება იყოს ადამიანის ბუნება, ღვთის ნება და გონი. შესაბამისად, განასხვავებენ ანთროპოლოგიურ, რელიგიურ და რაციონალურ ბუნებით სამართალს.¹⁵⁵ ბუნებითმა სამართალმა თეოლოგიური ხასიათი შუა საუკუნეებში მიიღო. ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ ბუნებითი სამართლის ახალი წყაროს წარმოშობა გამოიწვია. მოცემული მიმდინარეობა იღებს ბუნებითი სამართლის განსაზღვრების სტოიკოსთა ვერსიას, ამასთან, უპიროვნო, „სამყაროს კანონის“ ადგილს იკავებს ღმერთი, შემოქმედი¹⁵⁶ ამ დროიდან ბუნებითი სამართლის უმთავრეს წყაროდ ბიბლია გვევლინება.¹⁵⁷ (რელიგიური ბუნებითი სამართალი) ძველი სოფისტების რელატივისტური მოსაზრებიდან ვითარდება ბუნებითი სამართლის მიმდინარეობა, რომლის ამოსავალი წერტილიც ადამიანის ინსტიტუტობაა. ეს მიმართულება ადამიანის ყველა მისწრაფებას მისი თვითგადარჩენის ინსტიტუტის კონტექსტში აღიქვამს.¹⁵⁸ (ანთროპოლოგიური ბუნებითი სამართალი)

ბუნებითი სამართალი თავის გენეზისში გამომდინარეობს ადამიანის ბიოლოგიური ბუნებიდან და ამ თვალსაზრისით, შეიძლება აღინიშნოს, რომ სამართალი იწყება ინსტიტუტებით. სწორედ ინსტიტუტიდან გამომდინარეობს, მაგალითად, „პირველადი“ ბუნებრივი უფლება–სიცოცხლის უფლება. თავისუფლების, პიროვნების ღირსების, პირადი ხელშეუხებლობის უფლებები, ასევე, ჩამოყალიბდა კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე.¹⁵⁹ ამავე ჩარჩოებში საბუთდება ძლიერთა უფლება მათი ნების დამკვიდრებაზე და ხდება ამის იმ მოტივით გამართლება, რომ ეს ბუნებრივია.¹⁶⁰

სამართლის მეცნიერებაში მრავალი საუკუნის განმავლობაში გაბატონებული იყო მოძღვრება, რომელიც ამტკიცებდა, რომ პოზიტიური სამართლისგან

¹⁵⁵ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 37.

¹⁵⁶ თაბორიძე ი., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი 2004, გვ. 103.

¹⁵⁷ იქვე, 120

¹⁵⁸ იქვე, 103

¹⁵⁹ ჯოხაძე ზ., ბუნებითი სამართლის ფორმირების ისტორიული ასპექტები, ჟურნ. სამართალი“, #6, 2001, გვ. 93.

¹⁶⁰ თაბორიძე ი., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურნალი

„ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი 2004, 103

დამოუკიდებლად არსებობს ბუნებითი სამართალი; ბუნებითი სამართლით ნაგულისხმევი იყო უზენაესი, საყოველთაო, მარადიული სამართლის პრინციპები, რომლებიც არსებობენ თავისი დამოუკიდებელი ძალით და ამავე დროს წარმოადგენენ იდეალს და პოზიტიური სამართლის შეფასების კრიტერიუმს. ბუნებითი სამართლის წყაროს ხედავდნენ საგანთა ბუნებაში და ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, სადაც დაუშრეტლად ცოცხლობს სამართლიანობის იდეა. ეს თეორია მიზეზობრივად დაკავშირებულია ადამიანის გონების ძირითად თვისებასთან. იგი აზროვნების იმ ტენდენციის შედეგია, რომელიც ცდილობს ცვალებადში გამონახოს მუდმივი და საყოველთაო.¹⁶¹ (რაციონალური ბუნებითი სამართალი)

ბუნებითი სამართალი „ბუნებითი გონიდან“ არის გამოყვანილი და მასთან ერთად აქვს წილი მარადიულ წესრიგში. უცვლელია ბუნებისმიერი ისეთი უფლებები, როგორებიცაა – საოჯახო წყობის ან კერძო საკუთრების უფლება.¹⁶² რაციონალიზმი უმაღლეს წერტილს აღწევს კანტის ფილოსოფიაში. აქ ბუნებითი სამართალი სავსებით გამომდინარეობს ადამიანის გონებიდან, სამართლის საფუძვლად მიჩნეულია გონება; ბუნებითი სამართალი იქცევა გონების სამართლად, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია ადამიანის ემპირიული ბუნებისაგან. კანტს ბუნებითი სამართალი გონების აპრიორული მოთხოვნიდან გამოჰყავს.¹⁶³ გროციუსი, ჰობსი, ლოკი და სხვები ბუნებით სამართალს უყურებდნენ, როგორც იურიდიული ნორმების მთლიან რთულ სისტემას. მათი აზრით, ამ ნორმების საშუალებით შესაძლებელი იყო ადამიანთა ყველა ურთიერთობების მოწესრიგება.¹⁶⁴ ამ პერიოდში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ კანონის ყველა განმტოება, განსაკუთრებით

¹⁶¹ ვაჩეიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, 2. მითითებულია: ხარებავა გვანცა, "corpus juris" წიგნი I სამართალმცოდნეობის საკითხები, დავით ბატონიშვილის ინსტიტუტი, თბილისი, 2015, გვ.24-25.

¹⁶² თაბორიძე ი., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, 2004, 103. მითითებულია: ხარებავა გვანცა, "corpus juris" წიგნი I სამართალმცოდნეობის საკითხები, დავით ბატონიშვილის ინსტიტუტი, თბილისი, 2015, გვ. 27

¹⁶³ ვაჩეიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, 36. მითითებულია: ხარებავა გვანცა, "corpus juris" წიგნი I სამართალმცოდნეობის საკითხები, დავით ბატონიშვილის ინსტიტუტი, თბილისი, 2015, გვ.24-25.

¹⁶⁴ ვაჩეიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, 36. მითითებულია: ხარებავა გვანცა, "corpus juris" წიგნი I სამართალმცოდნეობის საკითხები, დავით ბატონიშვილის ინსტიტუტი, თბილისი, 2015, გვ.25.

საერთაშორისო საჯარო სამართალი, დამყარებულია ბუნებით სამართალზე.¹⁶⁵ ამ დროიდან მოყოლებული ბუნებითი სამართლის თეორიამ ისტორიულად დიდი პრაქტიკული ძალა და მნიშვნელობა გამოიჩინა. მან შექმნა ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლების დოქტრინა და ხელს უწყობდა იმ მოძრაობას, რომელსაც მიზნად პიროვნების სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური შევიწროებისგან გათავისუფლება ჰქონდა დასახული. მან ღრმა გავლენა იქონია სამართლის მეცნიერების სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით, საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართალში. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს „ადამიანის უფლებების დეკლარაციაში“ გამოიხატა და აგრეთვე, სამ დიდ კოდექსში – საფრანგეთის, პრუსიისა და ავსტრიის, რომლებიც მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში შემუშავდა.¹⁶⁶

გაეროს საერთაშორისო დეკლარაციები და კონვენციები, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა სფეროში შექმნილი სამართლებრივი აქტები ბუნებითი კანონის უპირობო დაშვებიდან გამომდინარეობს.¹⁶⁷ მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, რომელიც მას დაბადებიდან გააჩნია და შორს დგას მისი სოციალური ბუნებისაგან. ბუნებითი სამართლის თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰუგო გროციუსი ამტკიცებდა, რომ „მემკვიდრეობის სამართალი მთლიანად შეესაბამება ბუნების მოთხოვნებს და მის მსგავსად საზოგადოებრივი მოვლენებისა და ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად, მარადიულად არსებობს.“ ბუნებრივია, რომ ადამიანი თავის ქონებას უანდერძებს შვილებს, რომელთა მიმართ მზრუნველობა მას ბუნებისგან აქვს შთაგონებული, ხოლო თუ შვილები არ ჰყავს, სამკვიდრო ქონება უნდა გადაეცეს გარდაცვლილის სხვა უახლოეს ნათესავებს. თუ ვინმე მოისურვებს თავის ქონებაზე გასცეს განკარგულება სიკვდილის შემთხვევისათვის, იგი, ჩვეულებრივ ხელმძღვანელობს

¹⁶⁵ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადას თარგმანი, თბილისი, 2012, 6. მითითებულია: ხარებავა გვანცა, "corpus juris" სამართალმცოდნეობის საკითხები, დავით ბატონიშვილის ინსტიტუტი, თბილისი, 2015, გვ.24-25.

¹⁶⁶ ვაჩეიშვილი ალ, სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, 39. მითითებულია: მითითებულია: ხარებავა გვანცა, "corpus juris" წიგნი I სამართალმცოდნეობის საკითხები, დავით ბატონიშვილის ინსტიტუტი, თბილისი, 2015, გვ.24-25.

¹⁶⁷ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადას თარგმანი, თბილისი, 2012, გვ. 1. მითითებულია: ხარებავა გვანცა, "corpus juris" წიგნი I სამართალმცოდნეობის საკითხები, დავით ბატონიშვილის ინსტიტუტი, თბილისი, 2015, გვ.24-25.

განაწილების სამართლიანობით.“ სამართლის ფილოსოფიის წარმომადგენლის ჰეგელის თვალსაზრისით კი, „მემკვიდრეობა კანონით ემყარება ბუნებრივ კავშირს ოჯახის წევრებს შორის და გამომდინარეობს იმ წანამდღეებიდან, რომლითაც ოჯახი წარმოადგენს მარადიულად არსებულ საკუთრების განმგრძობ განსაკუთრებულ პირს, სადაც მამკვიდრებელს სიცოცხლეში ეკუთვნის ამ ქონების შეუზღუდავი განკარგვის უფლება, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, საკუთრების უფლება ქონებაზე გრძელდება ოჯახის წევრთა მიერ.“¹⁶⁸

განსხვავებულ თვალსაზრისზე იდგა სოციალისტური იდეოლოგიის ზოგიერთი მოაზროვნე, რომელიც მემკვიდრეობის უფლებას განიხილავდა, როგორც სოციალურ მოვლენას და მიიჩნევდა მას მემკვიდრის არაშრომით შემოსავლად, რის გამოც საჭიროდ თვლიდა ამ უფლების გაუქმებას. უტოპიური სოციალიზმის იდეოლოგი სენ-სიმონი და მისი მიმდევრები მემკვიდრეობის სამართალს იხილავდნენ არა როგორც იურიდიულ შედეგს, არამედ საზოგადოების წევრთა ქონებრივი უთანასწორობის მიზეზს. აქედან გამომდინარე, ისინი დღის წესრიგში აყენებდნენ მემკვიდრეობის ინსტიტუტის გაუქმებისა და მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ქონების „სამკვიდროს“ სახელმწიფოს განკარგულებაში გადასვლის საკითხს და მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული ბანკების მეშვეობით სამკვიდრო ქონების განაწილებას საზოგადოების ყველაზე უფრო ღირსეულ და დამსახურებულ წევრებს შორის.¹⁶⁹

ანდერძის თავისუფლება ვითარდებოდა რომში საომარი ექსპანსიური პოლიტიკის ფონზე, რომელიც აძლევდა მემკვიდრეობაჩამორთმეულ ხალხს დაპყრობილი ქვეყნის პირობებში განვითარების შესაძლებლობებს. ინგლისურ სამართალში მისი მიზანი იყო დიდ ოჯახებში ქონების უზრუნველყოფა. რომში მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების გამოვლენის თავისუფლების მიზანი იყო ქონების (ფლობა) შესანარჩუნებლად ერთპიროვნული მემკვიდრეობის მოდელის დანერგვა. თუმცა ამასვე თან სდევდა გამოცდილება, რომ შეუზღუდავი თავისუფლება ბოროტად გამოყენების საწინდარია: შესაბამისად ანდერძი, რომელიც მემკვიდრეობის გარეშე ტოვებდა გარკვეულ მემკვიდრეებს, მიიჩნეოდა ბათილად. ანდერძის თავისუფლების ამ მართლაც

¹⁶⁸ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000. გვ.6.

¹⁶⁹ იქვე, გვ.7.

არისტოკრატიულმა პრინციპმა განაპირობა ის, რომ საფრანგეთში საოჯახო სამემკვიდრეო სამართალი აღიქმებოდა, როგორც რევოლუციური სამართალი. ნაპოლეონმა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებით შემოიღო სავალდებულო სამემკვიდრეო სამართალი, თუმცა ესმოდა, რომ სამემკვიდრეო სამართალი, როგორც საშუალება უნდა გამოეყენებინა პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურების არსებობის დასასაბუთებლად.¹⁷⁰

ანდერძისა და ანდერძის თავისუფლების წარმომავლობა რომაულ სამართალში მოწესრიგებული იყო ცალსახად საეკლესიო-სამართლებრივ კონტექსტში ეკლესია ხელს უწყობდა საანდერძო სამართლის განვითარებასა და ფორმალური დებულებების გამარტივებას. ანდერძის რომაულ-კანონიკურმა წარმომავლობამ გარკვეული ეჭვი გაუჩინა რაციონალური ბუნებრივი სამართლის წარმომადგენლებს, რომ ამ განკარგულების ბუნებრივ-სამართლებრივი ხასიათი სადავო რჩებოდა გარდაცვალების გამო.

გერმანულ საოჯახო სამემკვიდრეო სამართალსა და ანდერძის რომაულ-კანონიკურ თავისუფლებას შორის ისტორიული დაპირისპირებაა. ფეთერ ლანდაუს კვლევებმა ცხადჰყო, რომ ანდერძი და ანდერძის თავისუფლება დაინერგა ჯერ კიდევ მე-13 საუკუნის გერმანიის ცალკეულ ქალაქებში. იმავდროულად ანდერძის თავისუფლების შეზღუდვა განხორციელდა შემდგომში რომაული სამართლის ზეგავლენით¹⁷¹. ასე მოიკიდა ფეხი „სავალდებულო წილის რთულმა რეგულაციებმა იურიდიულ ნოვაციებში“¹⁷² და აისახა ქალაქებისა და ტერიტორიების სამართალში. ძირითადად, ამოსავალი წერტილია ის, რომ რომაული სამემკვიდრეო სამართალი თითქმის ყოველთვის შეზღუდვებით ხასიათდებოდა, რომლებიც წარმოადგენდა საოჯახო სამემკვიდრეო სამართლის იმპერატიულ დებულებებს.

სამემკვიდრეო სამართლის ახლებურად მოწესრიგებამ საოჯახო სამემკვიდრეო სამართლის პრინციპების შესაბამისად, სავალდებულო წილის უფლება ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი ხასიათის მქონე სამართლებრივ ინსტიტუტად. სავალდებულო

¹⁷⁰Henrich/Schwab, Familienerbrecht und Testierfreiheit im europäischen Vergleich, 2001, S. 87-113, Rn. 6.

¹⁷¹ Landau, Peter, Die Testierfreiheit in der Geschichte des Deutschen Rechts im späten Mittelalter und in der und in der frühen Neuzeit, in: SavZ (GA) 114 (1997), S. 56-72.

¹⁷² იქვე S. 56-71

წილის უფლებამ მოიპოვა სპეციფიური დანიშნულება, როგორც შუალედურმა რგოლმა ანდერძის თავისუფლებასა და საოჯახო სამემკვიდრეო რიგითობას შორის. ედუარდ განსი აღნიშნავს, “ანდერძისმიერ სამემკვიდრეო სამართალსა და კანონისმიერ სამემკვიდრეო სამართალს აქვთ კიდევ მესამე, ერთგვარად მათი შემაკავშირებელი ასპექტი”¹⁷³. “სამემკვიდრეო კანონები, სავალდებულო წილის უფლებები, რომლებიც შეესაბამება ბუნებრივ საოჯახო ურთიერთობებსა და მემკვიდრეობის სავარაუდო ნებასა და განსაზღვრავენ კანონით მემკვიდრეობის წესსა და ანდერძისმიერი დისპოზიციურობის თავისუფლებას, როგორც სამემკვიდრეო სამართლის იდენტურად მნიშვნელოვანი ნაწილები, გონივრულად აერთიანებენ ამ ყველაფერს.”¹⁷⁴ რომელი იურისტები მემკვიდრეობაში ხედავდნენ არა მხოლოდ ქონებრივ უფლება-მოვალეობათა მონაცვლეობას, არამედ მისი ცნების დამფუძნებლად მიიჩნევდნენ პიროვნების მონაცვლეობას. მემკვიდრეობის რომაული ცნება შემდგომ მრავალმა ხალხმა აითვისა, თუმცა, მათ უფრო აქცენტი გადაჰქონდათ უნივერსალურ მონაცვლეობაზე ქონებრივ უფლება-მოვალეობათა თვალსაზრისით. ქართული მემკვიდრეობითი სამართალი ბევრად ემსგავსება ბერძნულ-რომაულს და როგორც ჩანს, მისი გავლენით ყალიბდებოდა ზოგიერთი ინსტიტუტები; მემკვიდრეობის დაფუძნებაში ისტორიულად პირველადი და განმსაზღვრელია კანონისმიერი მემკვიდრეობა; მემკვიდრეობას აფუძნებს კერძო ინტერესი და სანამ ეს ინტერესი იარსებებს, მემკვიდრეობაც იარსებებს.¹⁷⁵

ტრადიციულ საზოგადოებებში, უფროსები მოქმედებენ იმ ვარაუდზე დაყრდნობით, რომ მათი მატერიალური ქონება წარმოადგენს მათი ხსოვნის ერთგვარ გარანტიას გარდაცვალების შემდგომ. ევროპული სოციალური სისტემის არაერთი ინსტიტუტი გამომდინარეობს დაბალანსებული რეპროდუქციული ორთაობიანი მოდელისაგან, სადაც მშობლები გასცემენ, დებენ ინვესტიციას მათი შვილების აღზრდაში და ამის სანაცვლოდ იღებენ საზოგადოების მხრიდან მზრუნველობის უზრუნველყოფას სიბერეში, მაგრამ ასეთი ტიპის შეთანხმება თაობებს შორის იწვევს ბალანსის შენარჩუნების შეუძლებლობას, რადგან დღევანდელი სოციოლოგიური

¹⁷³ Gans Eduard, Erbrecht in weltgeschichtlicher Bedeutung, II. Band 2, 1825, S.34

¹⁷⁴ Rotteck Karl von, Welcker Karl Theodor, Das Staats-Lexikon, 3 Aufl., 5. Band, 1861 S. 135.

¹⁷⁵ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000 წელი გამომცემლობა „უფლება“, გვ.27.

თეორიის მიხედვით, სამედიცინო კვლევებისა და ჯანდაცვის სისტემის თანახმად, აუცილებლად უნდა იქნეს გამოყოფილი შემდეგი ასაკობრივი ჯგუფები: ბავშვები, ახალგაზრდები, მოზარდები, ზრდასრულები და მოხუცები. აღნიშნულ ჯგუფებს შორის იკვეთება ინტერესების შენარჩუნების სირთულე ბოლო რამდენიმე დეკადის მანძილზე, რადგან არ არის მარტივი დაადგინო და გამოიანგარიშო მოსალოდნელი ბალანსი მომავალ თაობებს შორის¹⁷⁶.

ტერმინი მემკვიდრეობა მოიცავს არა მხოლოდ კერძო და ოჯახურ სიმდიდრეს, არამედ ანდერძს ან უძრავ ქონებას. მემკვიდრეობა ასევე მოიცავს ეკონომიკურ და კულტურულ, ინტელექტუალურ და ბიოლოგიურ საწყისებს, რომელიც გაზიარებულ იქნება თაობებს ან კულტურებს შორის. მეტიც, მთელ კაცობრიობას მოიაზრებს. მემკვიდრეობა გულისხმობს გაზიარებასა და გავრცელებას, რაც იწვევს “სკანდალს” მემკვიდრეობის ცნების გარშემო, რადგან ურთიერთგაცვლის ეკონომიკა არ ფუნქციონირებს საბაზრო თანაფარდობის ნორმების დაცვით. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ გვევლინება ის ფაქტი, რომ მემკვიდრეობის ნორმები მოქმედებს დროში და მემკვიდრეობის საშუალებები დიდწილად დამოკიდებულია ისტორიულ მოვლენებზე და ბიოლოგიურ გარემოებებზე.¹⁷⁷ მემკვიდრეობა ასევე გულისხმობს ვალდებულებების გაზიარებას. აღნიშნული ვალდებულებების საპასუხოდ, ზოგიერთი იურისტ-მეცნიერი გვთავაზობს მემკვიდრეობის იდეის გადაფასებას, რათა მეტად იქნეს გათვალისწინებული სოციალურ-კულტურული გარემოებები. მემკვიდრეობის გადაცემის უკონკურენტო და უთანასწორო გარემო წარმოადგენს ადამიანების მიერ შექმნილი კულტურის ნაწილს. მაგალითად, ბრიტანული მემკვიდრეობითი სამართლის ნორმების მიხედვით, გარდაცვლილი პირის ქონება შესაძლებელია განაწილდეს მამკვიდრებლის ბოლო ნების ან წინასწარ შედგენილი ანდერძის საფუძველზე, რაც თავის მხრივ, ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს საფრანგეთსა და გერმანიაში.¹⁷⁸ სწორედ სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე შეიქმნა და გავრცელდა სამოქალაქო სამართლის მემკვიდრეობითი სამართლის ნორმები ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში. ფრანგული და

¹⁷⁶ Weigel S., *European Perspectives on Heritage Culture*, Taylor & Francis LTD, The Cardozo School of Law 2008, 279.

¹⁷⁷ იქვე, გვ. 280.

¹⁷⁸ იქვე, გვ.280.

გერმანული მემკვიდრეობის აზრი უკავშირდება საოჯახო გენეოლოგიას. ამრიგად, ოჯახის ქონების გადაცემა გათვალისწინებულია ბიოლოგიური რეპროდუქციული რიგითობის მიხედვით, რაც ხელს უწყობს პირდაპირ შთამომავლებს მიიღონ ქონება.¹⁷⁹

კანონი, მამკვიდრებლის ნების მიუხედავად უზრუნველყოფს მის შთამომავლებს სამკვიდროდან მინიმუმი წილის მიღების შესაძლებლობით, სავალდებულო წილის სახით. სავალდებულო წილის ინსტიტუტი ხაზს უსვამს რა ოჯახურ ურთიერთდამოკიდებულებას, განხილულ უნდა იქნას ოჯახის ჭრილში. ოჯახის წარმოდგენა სოლიდარული კავშირების გარეშე აზრს მოკლებულია, სოლიდარობა არ ნიშნავს ბალანსს გაცემასა და მიღებას შორის, მან ზოგჯერ დაუბალანსებლობაც უნდა აიტანოს და სწორედ ასეთ ვითარებაში უნდა დაამტკიცოს თავისი არსებობის სისწორე. „სოლიდარობა“, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ერთმანეთის მიმართ მორალური თვალსაზრისით გამართლებულ დამოკიდებულებას. მემკვიდრეობის სამართალი სავალდებულო წილის სახით უზრუნველყოფს შთამომავლებს მინიმუმის მიღების შესაძლებლობით, აქამდე არასდროს, არც ერთი დარგი არ აერთიანებდა ასე მჭიდროდ ბიოლოგიურ და გენეტიკურ კავშირებს თაობებს შორის, ქონების გადაცემის გზით.¹⁸⁰

ისტორიული ძვრები ხშირად გამოხატავს ჰპოვებს სხვადასხვა კონცეფციებსა და გამოსახულებებში. ამის განმარტებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ტერმინი – „მომავალი თაობა“ . დაახლოებით 1800 წელს, როდესაც ამ ტერმინმა გააძლიერა შთამომავლების უფლებები მათ წინაპართა ხარჯზე ისტორიის ახალი პორალიზაცია გაჩნდა. ამით მეცხრამეტე საუკუნეში გაჩნდა ისტორიის, როგორც თაობიდან თაობამდე არსებული განვითარების და პროგრესის გაგება. მეოცე საუკუნეში ეს იდეა შეცვალა ახალი თაობის ცნობიერებამ, რომელიც თავად იცავდა თავის საკუთრების უფლებებს. საერთო იდენტობის – საერთო დრამატული გამოცდილების საფუძველზე დაიწყო ჯგუფების შექმნა, ასე წარმოიქმნა პირველი მსოფლიო ომის თაობა, ჰიტლერის ახალგაზრდა თაობა, ვიეტნამის თაობა და ა.შ ასეთი თაობები

¹⁷⁹ Weigel S. European Perspectives on Heritage Culture, Taylor & Francis LTD, The Cardozo School of Law, 2008, P. 281

¹⁸⁰ იქვე.

ჰყვებიან ისტორიას თავიანთი უნიკალური გადმოსახედიდან. შემდგომ მოხდა ასეთი თაობების დანომვრა პირველ, მეორე და მესამედ, რაც მეორე მსოფლიო ომთან კავშირზე მიგვითითებს. ისტორია თვითონ ხდება მემკვიდრეობა, მისგან წარმოიშობა და მასზე ეყრდნობა თანამედროვეობა. ტერმინს – თაობა, ფრანგმა ისტორიკოსმა პიერ ნორამ დემოკრატიის ქალიშვილი უწოდა, რადგან მისი წარმომავლობა დაკავშირებულია საფრანგეთის რევოლუციასთან. მომავალი თაობები მოითხოვენ მიიღონ მათთვის ლეგალურად განკუთვნილი მინიმალური პორცია: ისინი აფრთხილებენ თანამედროვე საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანებს, რომ არ გაფლანგონ თავიანთი მემკვიდრეობა და არ გამოფიტონ ის თავიანთი უსარგებლო ცხოვრებით.¹⁸¹ თაობათა სოლიდარობა არამარტო სამართლებრივად, სოციალურად აქტიური თემა გახდა. თაობათა ურთიერთობა, „გვერდით დგომა“, მომავალ თაობაში, როგორც შთამომავალში სიცოცხლის გაგრძელება შესაძლებელი გახდა მემკვიდრეობის სამართალმა.

სოლიდარობა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს ერთმანეთთან და ერთმანეთისათვის სათანადო მორალური თვალსაზრისით გამართლებულ დამოკიდებულებას. სამართალი უნდა აძლევდეს სოლიდარობას გასაქანს, სივრცეს, შექმნას სოლიდარული დამოკიდებულებები. ხალხისათვის სასარგებლოა ისეთი სამართალი, რომელიც ქმნის სამართლებრივ უსაფრთხოებას და მიისწარფვის სამართლიანობისკენ.¹⁸² სამართლიანობა დამოკიდებულია სოლიდარობაზე, სხვებთან ურთიერთობის გრძნობაზე, იმაზე რომ იყო ნაწილი რაიმე უფრო დიდის, ვიდრე მხოლოდ საკუთარი თავის, იმ მთლიანობის, რომელიც გვანიჭებს ვალდებულებებსა და შესაძლებლობას სხვებსაც გავუზიაროთ ჩვენი ღირებულებები, გრძნობები და ცოდნა, რაც გვადლევს უნარს შინაარსობრივი მოქმედებისა და საკუთარი პიროვნების პატივისცემის, მიუხედავად იმ განცდისა, რომ ჩვენ ყველა ერთ ნაწილში ვართ.¹⁸³

მხოლოდ საყოველთაო კეთილდღეობაზე ორიენტირებული სახელმწიფოებით შემოფარგვლა არ შეიძლება. თაობათა ახალ გამოცდილებას ესაჭიროება

¹⁸¹ იქვე გვ. 283.

¹⁸² რადბრუხი გ. კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი. ჟურ. სამართლის ჟურნალი #2. 2012, გვ.321 დ. გეგენავას თარგმანი,

¹⁸³ Alexander, J.C. The Civil Sphere. Oxford and New York: Oxford University Press. 2006. P. 13

ნორმატიული უზრუნველყოფა.¹⁸⁴ თაობები ცხოვრებისეულ კავშირებს ქმნიან, რომლებსაც თავიანთი ბუნების შესაბამისად სოლიდარობისა და სამართლიანობის ნორმატიული კონცეფციები ესაჭიროება¹⁸⁵. სოლიდარობის კონცეფციები, რომლებისთვისაც არსებითია ქცევები პრინციპით “ერთმანეთთან” და “ერთმანეთისათვის”. ასევე სამართლიანობის კონცეფციები, რომლებიც მონაწილე მხარეების თანასწორობას ისევე უწევენ ანგარიშს, როგორც მათ უთანასწორობას. ნათქვამი ვრცელდება როგორც ერთი და იგივე თაობის ფარგლებში, ასევე თაობებს შორის ურთიერთობებზე. მაგალითად, როცა ერთი და იგივე თაობის ფარგლებში – პირველ ყოვლისა დედამამიშვილებს შორის ან მეუღლეებს შორის – ვითარდება როლები და ხდება მონაწილეობის პოზიციების განსაზღვრა. მაგრამ პირველ რიგში, როცა თაობათა რიგითობის გათვალისწინებით ერთი თაობის წევრები უნდა ფარავდნენ მეორე თაობის წევრთა საჭიროებებს: მშობელთა თაობა აკმაყოფილებს შვილების თაობის მოთხოვნილებებს; მშობლების თაობა – ბებია-ბაბუების/მათი მშობლების თაობის საჭიროებებს; ალბათ ასევე ბებია-ბაბუების თაობა – თავისი შვილებისა და მათი შვილების საჭიროებებს, ურთიერთობებიდან გამომდინარე ალბათ ასევე შვილების თაობა მშობლებისა და ბებია-ბაბუების თაობის საჭიროებებს. ასეთი წესრიგის მთავარ საკითხს ოჯახი წარმოადგენს¹⁸⁶. ოჯახის წევრთა მოქმედების უნარიანობა და მოთხოვნილებები დროთა განმავლობაში ისე ივსება, რომ ოჯახის წევრთა ერთი ნაწილის ქმედებები მეორე მხარის მოთხოვნილებებს ფარავს. სწორედ ოჯახებია დაბალანსება-დაუბალანსებლობის ველში განთავსებული, შესრულებასა და სანაცვლო შესრულებას შორის, ცალმხრივი მიმართულებით გაცემასა და მიღებას შორის.¹⁸⁷ მაგრამ ოჯახის შესაძლებლობები და ადამიანთა წრე შეზღუდულია. იმისათვის, რომ შეიქმნას ყველა ის ცხოვრებისეული შანსი, რომელიც ადამიანს ესაჭიროება, ოჯახი მეტისმეტად პატარაა. მართალია ოჯახები სოციალურ

¹⁸⁴ Malinvaud Edmond (Hrsg.), *Intergenerational Solidarity*, The Pontifical Academy of Social Sciences. Acta 8, 2002; Mary Ann Glendon (Hrsg.), *Intergenerational Solidarity, Welfare and Human Ecology*, The Pontifical Academy of Social Sciences. Acta 10, 2004.

¹⁸⁵ Hans F. Zacher in: Gerhard Igl/Thomas Klie (Fn.5). – *ob. წიგნში*: Gerhard Igl/Thomas Klie (Fn.5) S. 4, Rn. 2 Fn. 11; Richard Hauser *Generationengerechtigkeit als Facette der sozialen Gerechtigkeit*, in: *Familienpolitik und soziale Sicherung*; FS für Heinz Lampert, 2005, S. 245ff ; Felix Welti *Rechtliche Aspekte von Generationengerechtigkeit*, Krit, 2004, 255 ff; Werner Veith *Intergenerationelle Gerechtigkeit. Ein Beitrag zur soziaethischen Begriffsbildung*, 2006.

¹⁸⁶ Margaret S, Archer *Family-Concerns and Inter-Generational Solidarety*, in: Mary Ann Glendon (Hrsg.), (Fn.11), pp. 122 e.s .

¹⁸⁷ Zacher Hans F, *Das soziale Staatsziel*, in: Josef Isensee/Paul Kirchhof (Hrsg.), *Handbuch des Staatsrechts*, 3. Aufl., Band 2, *Verfassungsstaat*, 2004 § 28, Rn. 1-6, S 138.

კავშირთა¹⁸⁸ ბუნებრივი სტრუქტურებია, მაგრამ ისინი იმავდროულად თავის წევრებს უთითებენ გარე კავშირებზეც: კერძო გარემოცვაზე (მეგობართა წრე, მეზობლები, ერთი ინტერესის ჯგუფი, კერძო ინტერაქციის ინსტიტუციები), საზოგადოებაზე (კავშირები, ალტრუისტული ძალები, ეკონომიკური სტრუქტურები და საწარმოები/კომპანიები, ბაზარი) და სახელმწიფოზე¹⁸⁹.

თაობათა სოლიდარობა შეეხება, ისევე როგორც თაობათა სამართლიანობა, არა მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ოჯახების შთამომავლობათა რიგითობიდან გამომდინარე არიან აქა იქ განთავსებული, არამედ თითოეულ ადამიანს. თვით ნაშვილებსაც/ნაპოვნ ბავშვსაც. აგრეთვე მარტოხელა მოხუც ბერბიჭასაც. თითოეული ადამიანი ცხოვრობს ადამიანთა სიმრავლეში, რომლის ფარგლებშიც იქმნება თაობათა რიგითობა. ეს უკანასკნელნი განსაზღვრავენ თითოეულის ცხოვრებას.¹⁹⁰ ღირებულებათა ფონს ქმნიან ძირითადი უფლებები: ინდივიდუალური ძირითადი უფლებები და კოლექტიური ძირითადი უფლებები ¹⁹¹. სამართალი აქ უკან იხევს. არსებითად გამოსავალია, კომპენსაციების გზით დაძლიონ უთანაბრობა და შექმნან თანაბრობა/აღადგინონ ბალანსი.¹⁹²

თაობათაშორისი სოლიდარობის მიღწევა საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის ნორმათა თანამეგობრობის საქმეა. საოჯახო სამართალი აწესრიგებს ოჯახის წევრთა შორის, თაობათაშორისი სოლიდარობის განხორციელებას. მას ორი ძირითადი სფერო გააჩნია: ქორწინება ცოლ-ქმარს შორის, რომლებიც თანაცხოვრებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და მშობლები და შვილები, რომლებსაც ერთმანეთზე ზრუნვა აკისრიათ. სამემკვიდრეო სამართალი თაობათაშორისი სოლიდარობისათვის, რაც ქონებით არის შეზღუდული, ხსნის პერსპექტივას მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილთან/გარდაცვალებასთან მიმართებაში. სამემკვიდრეო სამართალი ამ პერსპექტივას ოჯახს უკავშირებს, (საქართველოს

¹⁸⁸ Luhmann Niklas, Inklusion und Exklusion, in: Niklas Luhmann, Soziologische Aufklärung, Bd. 6: Die Soziologie und der Mensch, 1998, S. 237ff;

¹⁸⁹ Zacher Hans F, in: Bundesministerium für Arbeit und Sozialpolitik/Bundesarchiv (Fn. 4), S. 365ff

¹⁹⁰ Zacher Hans F, Das soziale Staatsziel, in: Josef Isensee/Paul Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, 3. Aufl., Band 2, Verfassungsstaat, 2004 § 28, Rn. 1-6, S 139.

¹⁹¹ Geis, Max Emanuel, Die öffentliche Förderung der sozialen Selbsthilfe, Verfassungsrechtliche Grundlagen und verwaltungsrechtliche Ausgestaltung, 1997.

¹⁹² Zacher Hans F, Das soziale Staatsziel, in: Josef Isensee/Paul Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, 3. Aufl., Band 2, Verfassungsstaat, 2004 § 28, Rn. 1-6, S. 140..

კანონმდებლობით მემკვიდრეობა გადადის ხუთი რიგის მემკვიდრეებზე ნათესაური კავშირის გზით). სავალდებულო ნაწილი ანდერძისმიერი მემკვიდრეობის დროს ფოკუსირებულია მხოლოდ მამკვიდრებელთან ყველაზე ახლოს მდგომ ვიწრო ოჯახურ წრეზე. ამით საოჯახო სამართალსა და სამემკვიდრეო სამართალს შორის მნიშვნელოვანი კავშირი მყარდება და თაობათაშორისი სოლიდარობის მიზნის მიღწევაც განხორციელებულია.

კერძო, თაობათაშორისი სოლიდარობისა და სამართლიანობის განხორციელება ოჯახის მიერ ქმნის სახელმწიფოს მიერ რეალიზებულ კოლექტიურ (საჯარო) თაობათაშორის სოლიდარობას.¹⁹³ სოლიდარობა და სამართლიანობა ურთიერთმონათესავე ცნებებია.¹⁹⁴ უნდა ვესწრაფოთ სამართლიანობას, სამოსამართლეო ეთიკაც ავალდებულებს მოსამართლეს ისწრაფვოდეს სამართლიანობისკენ ნებისმიერ, თუნდაც სიცოცხლის ფასად. დემოკრატია მართლაც სიქველეა, თუმცა სამართლის უზენაესობა ყოველდღიური პურია, როგორც წყალი, რომელსაც ვსვამთ, ან ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ.¹⁹⁵

“სავალდებულო წილის სამართალი” ხაზს უსვამს არსებულ ოჯახურ ურთიერთ-დამოკიდებულებას. ამიტომაცაა, რომ “სავალდებულო წილის სამართალი” შესაძლებელია, განხილულ იქნას ოჯახის ქრილში. მისი მნიშვნელობა ასევე აღსანიშნავია როგორც კერძო, ისე საჯარო თაობათაშორისი სოლიდარობისა და თანასწორობის განხორციელების კუთხით. საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ქრილში კი შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო მეტად იქნება რჩენისა და ზრუნვის ვალდებულება გადანაწილებული საჯარო სისტემებზე, მით უფრო ნაკლებ მნიშვნელობას შეიძენს საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.¹⁹⁶

ანდერძის თავისუფლება და მოანდერძის განუსაზღვრელი შესაძლებლობა შეიძლება ბადებდეს უთანასწორობას. სოციალური სახელმწიფოს მთავარი წესია, უფრო მეტი თანასწორობა – არა უბრალოდ თანასწორობა, არამედ დაუსაბუთებელი

¹⁹³ იქვე გვ. 144

¹⁹⁴ Alexander, J.C. *The Civil Sphere*. Oxford and New York: Oxford University Press. 2006. P. 13

¹⁹⁵ რადბრუხი გ. კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი. *ჟურ. სამართლის ჟურნალი* #2. 2012, გვ.325 დ. გეგენავას თარგმანი,

¹⁹⁶ Zacher Hans F, *Das soziale Staatsziel*, in: Josef Isensee/Paul Kirchhof (Hrsg.), *Handbuch des Staatsrechts*, 3. Aufl., Band 2, *Verfassungsstaat*, 2004 § 28, Rn. 1-6, S. 150.

უთანასწორობის უარყოფა. კერძო სამართალს კი გააჩნია ფუნქცია, მხოლოდ მაშინ იზრუნოს თანასწორობაზე, როდესაც არსებობს განსაკუთრებული სიტუაცია, როდესაც უთანასწორობას მივყავართ დამოკიდებულებასა და ძალადობასთან და უსამართლობასთან. თუ კერძო სამართალი ხელს უნდა უწყობდეს თაობათაშორის სოლიდარობასა და თანასწორობას, მაშინ მას “უფრო მეტი” თანასწორობის დამყარების ფუნქციაც უნდა გააჩნდეს. თაობათაშორისი სოლიდარობა და სამართლიანობის უზრუნველყოფა უნდა იყოს როგორც ოჯახის, ისე საზოგადოების საქმე. სავალდებულო წილის უფლება არის ქმედითი ინსტრუმენტი, რათა მოხდეს თაობათაშორისი სოლიდარობისა და სამართლიანობის ოჯახის ფარგლებში განხორციელება.¹⁹⁷

¹⁹⁷ BVerfGE, Beschluss v. 19.04.2005, 1 BvR 1644/00, 188/03, Rn. 73.

V. სავალდებულო მემკვიდრე, მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტი

1. სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის მონაწილეები

სამოქალაქო სამართალურთიერთობების განსაზღვრებასთან დაკავშირებით ცივილისტ მეცნიერთა შეხედულებები საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. ეს იმით აიხსნება, რომ „სამართალურთიერთობა – ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და რთული აბსტრაქციაა, რომელიც ახასიათებს მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივ ფორმას“¹⁹⁸. „სამოქალაქო სამართალურთიერთობა – გათანაბრებული, ქონებრივი და არაქონებრივი ურთიერთობების ქონებრივად და ორგანიზებულად განცალკევებული სუბიექტების იურიდიული კავშირი, რომელიც გამოიხატება მათი სუბიექტური უფლებებისა და ვალდებულებების არსებობაში, რომელიც უზრუნველყოფილია შესაძლებლობით მათი დამრღვევების მიმართ გამოყენებულ იქნეს ქონებრივი ხასიათის სახელმწიფო-იძულებითი ზომები.“¹⁹⁹

სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობების ფარგლებში, შესაბამისად სავალდებულო წილზე უფლებასთან დაკავშირებით ყველანაირი სამართლებრივი ურთიერთობას აქვს მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის საერთო მახასიათებლები. ლიტერატურაში მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის აღიარებული განსაზღვრების არარსებობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ იგი არის სამოქალაქო სამართალურთიერთობის სახე და ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მისი დეფინიცია არ შეიცავს რაიმე მნიშვნელოვან სპეციფიურ ნიშნებს, იგი კერძო სამართლის ლოგიკური გაგრძელება, მისი ნაწილია და სამოქალაქო სამართლის სისტემაში მას დამოუკიდებელი ადგილი არ გააჩნია²⁰⁰. რა ფართოდაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შინაარსი, იგი სრულყოფილად ვერ ასახავს სამემკვიდრეო ურთიერთობათა თავისებურებებს. მასში მკვეთრად არ არის გამოხატული სამკვიდროს დამტოვებლის არაქონებრივი უფლებების სხვაზე გადასვლის შესაძლებლობა.²⁰¹ ზემოაღნიშნული განსაზღვრებებიდან გამომდინარე

¹⁹⁸ Рыбалов А.О. Абсолютные права и правоотношения// Правоведение. – М 2006. – №1. – С. 141.

¹⁹⁹ Суханова Е.А. Гражданское право. Том I.- М.: 2004. – С. 92.

²⁰⁰ Суханова Е.А. Гражданское право. Том I.- М.: 2004. – С. 92.

²⁰¹ შენგელია რ., შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 42.

გადავიდეთ „მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის“ ცნების ფორმულირებაზე. „სამართლის ნორმები რომლებიც განსაზღვრავენ გარდაცვლილის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის წესსა და ფარგლებს შეადგენენ სამოქალაქო სამართლის ნაწილს, რომელსაც მემკვიდრეობის სამართალი ეწოდება.“²⁰²

თავისთავად მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობა წარმოიშვება ფიზიკური პირის, მამკვიდრებლის გარდაცვალების შედეგად და შედგება მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის არსებული უფლებებისა და ვალდებულებების მის მემკვიდრეებზე გადაცემასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობებისაგან. „სამართლის ნორმებით რეგულირების შემდეგ მემკვიდრეობითი ურთიერთობები იძენს სამართლებრივ ურთიერთობათა ფორმას, შინაარსი კი იგივე რჩება. სამართლებრივი რეგულირება არ წყვეტს მემკვიდრეობის საზოგადოებრივ ურთიერთობას, მხოლოდ ფორმას უცვლის მას. მემკვიდრეობითი ურთიერთობები კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით შეიმოსება და განისაზღვრება მათი განხორციელების წესი.“²⁰³

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ „მემკვიდრეობის“ და „მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის“ ცნებები. პირველი – პროცესი, რომელიც მოიცავს მრავალ სამართალურთიერთობას, მისი მიზანია მემკვიდრეობით გადასაცემ ქონებასთან დაკავშირებული მემკვიდრის უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობის მინიჭება. ეს არის უნივერსალური უფლებამონაცვლეობის აქტი, რომელიც ტრადიციულად განიხილება, როგორც ქონების და მასთან დაკავშირებული გარდაცვლილის უფლებებისა და ვალდებულებების მის მემკვიდრეებზე გადასვლა. ამისგან, განსხვავებით, ყველანაირი მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის მიზანია მოახდინოს მემკვიდრეობის სუბიექტის განსაზღვრული უფლების რეალიზება²⁰⁴, რომელიც წარმოიშვა მამკვიდრებლის გარდაცვალების შედეგად.

მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობები შეიძლება განისაზღვროს, როგორც სახელმწიფოს მიერ გარანტირებული და სამოქალაქო სამართლის და სხვა

²⁰² ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007 გვ. 5.

²⁰³ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 46.

²⁰⁴ Виноградова О.Ю. Правовое регулирование наследования отдельных видов имущественных прав в Российской Федерации: Автореф. дис. канд.юрид. наук.-М., 2009. – С.8, 9.

სამართლის დარგების ნორმებით დარეგულირებული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის დღეს ანდერძის ან კანონის საფუძველზე.²⁰⁵ მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობა ეს არის ქონებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა სამკვიდროს გახსნისა და მემკვიდრეობის მიღების შედეგად და რეგულირდება მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებით, ასევე სხვა ქმედებების განხორციელების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია მემკვიდრეობის შექმნასთან.²⁰⁶

მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის საინტერესო დეფინიციას ვღებულობთ მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობების განმასხვავებელი ნიშნების „შეჯამების“ გზით,²⁰⁷ რომელთა შორისაც ფუძემდებელია: კომპლექსურობა (მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობა არის პროცესუალური და მატერიალური ხასიათის იურიდიული კავშირების კომპლექსი); დარგობრივი რეგლამენტაცია (მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობა შეიძლება დარეგულირდეს საბინაო, საოჯახო, მიწის სამართლის ნორმებით და სხვა სამართლის დარგებით); ვადიანობა (მემკვიდრეობითი სამართლებრივი კავშირი არსებობს მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში, მემკვიდრეობის მიღების ვადა, მემკვიდრეობის ვალებთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენის ვადა).

მემკვიდრეობით სამართალურთიერთობა გარკვეულწილად დაფუძნებულია მემკვიდრეობითი სამართლის დარგთაშორისი ხასიათის ნორმებზე, რომლებიც წარმოიშობა მოანდერძეს, მემკვიდრეებს და სხვა პირებს შორის მემკვიდრეობითი უფლებების რეალიზაციის შედეგად, რომელთა შინაარსიც ქმნის მოანდერძის, მემკვიდრეების და სხვა პირების უფლებებსა და ვალდებულებებს. “მემკვიდრეობის კანონმდებლობა მოიცავს სხვა დარგის ნორმებსაც. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ მემკვიდრეობის კანონმდებლობა კომპლექსური ხასიათისაა”.²⁰⁸

მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობების ძირითადი ინსტიტუტები და მათ შორის სავალდებულო წილის მემკვიდრეობა, დარეგულირებულია სამოქალაქო

²⁰⁵ Кутузов О.В. Наследование по завещанию: анализ правовой теории и практики. М.,2005. – С.9.

²⁰⁶ Корнеева И.Л. Наследственное право Российской Федерации. – М. 2005.-С.15.

²⁰⁷ Беспалов Ю.Ф. Наследственные правоотношения// Бюллетень нотариальной практики. – – М .2005. – №5. – С.18,19.

²⁰⁸ შენგელია რ. , შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 47.

კანონმდებლობის ნორმებით. მაგრამ საკმაოდ ხშირად „მემკვიდრეობითი სამართლის ორბიტაში“²⁰⁹ ხვდება ქონება, რომელიც ამავდროულად არის სამართლის სხვა დარგების რეგულირების ობიექტი. ამასთან მემკვიდრეობითი ურთიერთობის განსაზღვრული ნაწილი რეგულირდება მიწის, საფინანსო, ადმინისტრაციული, პროცესუალური და სხვა სახის საკანონმდებლო ნორმების დახმარებით.²¹⁰ შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე სამართლებრივი ერთიანობა, რომლებთანაც ურთიერთკავშირი აქვს სამოქალაქო სამართალს მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობების რეალიზაციის დროს: უპირველეს ყოვლისა საოჯახო სამართალი. მოცემული დარგის ნორმები საშუალებას გვაძლევენ განვსაზღვროთ იურიდიული ფაქტის არსებობა ან არარსებობა, რაც არის სავალდებულო მემკვიდრედ ცნობის აუცილებელი პირობა. მაგალითად, როგორცაა ქორწინება და განქორწინება, მეუღლის სამართლებრივი მდგომარეობა, შვილად აყვანა და მამობის დადგენა, საალიმენტო ვალდებულებების შესრულება.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ასევე ასრულებს მთავარ როლს მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობებისათვის, რომლებიც წარმოიშვა სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაციის შედეგად. ასე მაგალითად უდავო სამართალწარმოების წესით განიხილება შვილად აყვანის და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების საქმეები;²¹¹ დგინდება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები: სამკვიდროს მიღებისა ფაქტისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის დადგენის შესახებ²¹². სამკვიდროს გახსნის დროს (დღეს)²¹³ კანონმდებელი უკავშირებს მოქალაქის არა მხოლოდ ბიოლოგიურ, არამედ ე.წ. იურიდიულ გარდაცვალებას – ეს არის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე ან სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული გარდაცვალების დღე. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი (დღე) დგინდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წესებით.²¹⁴

²⁰⁹ Чельшев М.Ю. Межотраслевые связи гражданского права в сфере правового регулирования наследственных отношений// Наследственное право. – М. 2006. – №1. – С. 19.

²¹⁰ შენგელია რ., შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 47.

²¹¹ სსსკ მუხლი 310-ე მუხლი

²¹² სსსკ312-ე მუხლი

²¹³ სსკ 1320-ე მუხლი

²¹⁴ სსსკ 264-ე მუხლი

სანოტარო სამართალი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობებისათვის, მემკვიდრეობითი სამართალი შეიცავს მითითებებს, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალს, როგორც პირველად საბაზისო დარგს, არამედ სანოტარო სამართალსაც სამართლის ფარგლებში მეორადს, როგორც კომპლექსურ სამართლებრივ წარმონაქმნს.²¹⁵ კერძოდ, ამ ჭრილში შესაძლებელია განვიხილოთ დებულებები ანდერძის შედგენის ფორმისა და წესების შესახებ,²¹⁶ და სხვა. ყველა მსგავს ნორმაში საუბარია შესაბამის სანოტარო პროცედურებზე – ანდერძის დამოწმება, ანდერძის განმარტება და სხვა. სწორად შედგენილი ანდერძის არსებობა – სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობის კონსტიტუციურობის ნიშანია.

მეწარმეთა შესახებ კანონშიც საუბარია ისეთი უფლების მემკვიდრეობაზე, რომელიც დაკავშირებულია სამეწარმეო იურიდიული პირების მონაწილეობასთან. იურიდიულ ლიტერატურაში სამეწარმეო საზოგადოების წევრობის სტატუსის მოპოვების მიხედვით განასხვავებენ წევრის უფლება-მოვალეობათა ერთობლიობის თავდაპირველ შემენას და წილის შემდგომ მიღებას, რომლის ორ ძირითად სახეობას გამოყოფენ: წილის მემკვიდრეობით მიღება ან წევრის სტატუსის მოპოვება გარიგებით.²¹⁷ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორის გარდაცვალებისას ყოველ მემკვიდრეს შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი, თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით, ან თუ ყველა პარტნიორი თანახმაა. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია გახდეს პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში პარტნიორად შემსვლელი პირი ვალდებულია, სხვა მემკვიდრეებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. საზოგადოების წესდება შეიძლება არ ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას.²¹⁸ შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტის) წილი შეიძლება გასხვისდეს ან მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა

²¹⁵ Морозова Л.А. Теория государства и права. – М.: Юристъ, 2003. – С.233.

²¹⁶ სსკ 1357-1370-ე მუხლები

²¹⁷ ბურდული ი. სამეწარმეო საზოგადოებაში წილის კეთილსინდისიერად მოპოვება; შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019 წ. თბ. გვ 26.

²¹⁸ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (1994 წელი) მუხლი 33

პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.²¹⁹ კოოპერატივის წევრის გარდაცვალებისას წევრობა გადადის მის მემკვიდრეებზე. წევრობა მთავრდება იმ სამეურნეო წლის დასრულებით, როცა მოხდა სამკვიდროს გახსნა. რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია საერთო კრებაზე ხმის უფლება განახორციელოს ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კოოპერატივის წევრი გახდება მისი მემკვიდრე. წესდებით წევრობის გაგრძელება შეიძლება დამოკიდებული გახდეს უფლებამონაცვლის პიროვნულ ფაქტორებზე. რამდენიმე მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში შეიძლება ასევე გათვალისწინებული იყოს, რომ წევრობა შეწყდება, თუ იგი არ გადაეცემა ერთ-ერთ მემკვიდრეს წესდებით დადგენილ ვადებში.²²⁰ ამრიგად “მემკვიდრეობის კანონმდებლობის მოქმედების სფერო შედარებით ფართოა ვიდრე მემკვიდრეობის წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებისა. სხვა დარგების ნორმების გამოყენების აუცილებლობა მემკვიდრეობის კანონმდებლობას ანიჭებს კომპლექსურ ხასიათს, რაც თავის მხრივ მემკვიდრეობის ურთიერთობის ყველა დეტალის სამართლებრივი რეგულირების უზრუნველყოფის საფუძველია”²²¹

მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობა სამკვიდროს გახსნისა და მიღების შედეგად წარმოშობილი ისეთი ურთიერთობაა რომლებიც დაკავშირებულია მემკვიდრეობის შექმნასთან და რომლებიც რეგულირდება მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებით. სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაციის შედეგად წარმოშობილ მემკვიდრეობით სამართალურთიერთობას – ეს არის სავალდებულო მემკვიდრესა და სხვა მემკვიდრეებს შორის სამკვიდროს გახსნისა და მიღების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობა, რომელსაც ადგილი აქვს ანდერძის არსებობის შემთხვევაში, რითაც იზღუდება მამკვიდრებლის ნების ავტონომიის ფარგლები და სხვა ანდერძისმიერი მემკვიდრეთა უფლებები და რომლებიც რეგულირდება მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებით.

²¹⁹ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (1994 წელი) მუხლი 43

²²⁰ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (1994 წელი) მუხლი 62

²²¹ შენგელია რ. , შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 47

ყურადღება გავამახვილოთ სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის რამდენიმე ძირითად ნიშანსა და თავისებურებებზე: 1. სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ იგი წარმოიშობა მხოლოდ პირთა სოციალური ურთიერთქმედების შედეგად. ფაქტიურად სავალდებულო მემკვიდრეს და სხვა მემკვიდრეებს, როგორც განსახილველი სამართალურთიერთობის სუბიექტებს, შეიძლება ერთმანეთთან არ ჰქონდეთ არანაირი ურთიერთობა და მეტიც – არ იცნობდნენ ერთმანეთს (მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც მამკვიდრებელი ადგენს ანდერძს ოჯახისთვის ნაკლებად ცნობილი პიროვნების სასარგებლოდ, ხოლო სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვს დარჩენილ პირველი რიგის მემკვიდრეებს). მაგრამ თავად სავალდებულო მემკვიდრისა და სხვა მემკვიდრეების არსებობა, რომლებიც მოწვეულნი არიან მემკვიდრეობის მისაღებად საერთო მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, არის მათი ინტერესების კორელაციის (შეფარდების) საფუძველი და ურთიერთკავშირის შედეგი; 2. სავალდებულო წილის სამართალურთიერთობის ძირითადი თავისებურება ასევე არის ის, რომ სუბიექტებად გვევლინებიან სავალდებულო მემკვიდრე და სხვა მემკვიდრეები. სავალდებულო მემკვიდრეთა წრე ამომწურავად არის განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლით. ამასთან, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისთავად აუცილებლობის ყველა მახასიათებლის ქონა არ მოწმობს განსახილველ სამართალურთიერთობაში მონაწილეობაზე. სავალდებულო მემკვიდრე სამართალურთიერთობის სუბიექტად იქცევა მხოლოდ სავალდებულო წილის მიღების შემთხვევაში. სამართალურთიერთობის სხვა სუბიექტები არიან მემკვიდრეები, რომლებიც მოწვეულნი არიან მემკვიდრეობის მისაღებად; 3. სავალდებულო წილის მემკვიდრეობით მიღება არის მემკვიდრეობის განსაკუთრებული წესი, რომელიც არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელმა განკარგა თავისი ქონება ანდერძის შედგენის გზით; 4. სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის ობიექტში იგულისხმება სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც მამკვიდრებელს ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. მოცემული დაყოფა არ შეიძლება იყოს ამომწურავი და შესაძლებლობას იძლევა განვსაზღვრო

სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის მხოლოდ ძირითადი ნიშნები. „მემკვიდრეობის სფეროში წარმოშობილი ურთიერთობის სამართლებრივად მოსაწესრიგებელ საკითხთა წრე გაცილებით უფრო ფართოა ვიდრე კონკრეტული მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობა.“²²²

2. მეუღლე, სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტი

სავალდებულო მემკვიდრეობად მიიჩნევიან მამკვიდრებლის მეუღლე, მშობლები და შვილები²²³. თავად მამკვიდრებელი არ არის სამართალურთიერთობის სუბიექტი, ვინაიდან თავად სამართალურთიერთობა წარმოიშობა მისი გარდაცვალების შედეგად. მამკვიდრებლის გარდაცვალების შედეგად შეწყდა მისი უფლებამოსილებაც, ე.ი. შესაძლებლობაც, რომ იყოს ნებისმიერი სამართლებრივი კავშირის სუბიექტი. მემკვიდრე არის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის უფლებამოსილი სუბიექტი. სავალდებულო სუბიექტებად უნდა მივიჩნიოთ „ყველა სხვა პირი“, რომელიც არის მემკვიდრის „მოწინააღმდეგე“. ამ პირთა წრე განუსაზღვრელია.²²⁴ ბოლო დროს მეცნიერები თავს არიდებენ დისკუსიებს განსახილველი სამართალურთიერთობის სუბიექტების თაობაზე, გარკვეული სიფრთხილით უწოდებენ მამკვიდრებელს და მემკვიდრეს „მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტებს“²²⁵ ან მემკვიდრეებს უწოდებენ „მთავარ“ სუბიექტებს და საერთოდ არ ახსენებენ სხვა მონაწილეებს²²⁶. მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტად გამოდიან მხოლოდ მემკვიდრეები. რაც შეეხება ცალკეულ ორგანოებს, რომლების ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მემკვიდრეებს მემკვიდრეობის უფლების რეალიზაციაში ისინი, მხოლოდ

²²² შენგელია რ., შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 48

²²³ სსკ 1371-ე მუხლი (1997 წლის რედაქცია)

²²⁴ Остапюк Н.И. Наследственное правоотношение: понятие и юридическое содержание //Гражданское право. - М 2006. - № 2. С23.

²²⁵ Гришаев С.П. Наследственно право. М Юристь.- 2003. С.25; Гражданское право. Том I/Под ред. Е.А.Суханова. М С.537 .

²²⁶ Виноградова О.Ю. Правовое регулирование наследования отдельных видов имущественных прав в Российской Федерации. -М., 2009. - С.15.

პირობითად შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტებად. მემკვიდრეებს მათთან აკავშირებთ კანონით განსაზღვრული ურთიერთობანი.²²⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლში მემკვიდრეობის, როგორც გარდაცვლილი პირის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის განსაზღვრისას, კანონმდებელი ნორმაში უთითებს სუბიექტებზე და მოიხსენიებს მათ, როგორც „გარდაცვლილი“ და „სხვა პირები“, ხოლო სხვა პირები მითითებულია როგორც მემკვიდრეები, თუმცა სხვა ყველა შემთხვევაში კანონმდებელი მიუთითებს „მამკვიდრებელი“ და „მემკვიდრე“. სავალდებულო მემკვიდრე შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი²²⁸ ამასთან, მოქალაქეობის ჰქონას და ქმედუნარიანობის მდგომარეობას მნიშვნელობა არა აქვს. სავალდებულო მემკვიდრისაგან, რომელიც არის უნივერსალური უფლებამონაცვლე, უნდა განვასხვავოთ სინგულარული (კერძო) უფლებამონაცვლეები – საანდერძო დანაკისრის მქონე პირები (ლეგატარები), რომლებიც ანდერძის შესაბამისად სამკვიდროდან იღებენ ცალკე ქონებას, ლეგატარი და მემკვიდრე შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი. საერთო ანუ უნივერსალური უფლებამონაცვლეობისას ადგილი აქვს მთელი სამკვიდრო ქონების გადაცემას ერთდროულად ყველა მემკვიდრისათვის. კერძო ანუ სინგულარული უფლებამონაცვლეობისას კი ცალკეული მემკვიდრეობის უფლების გადაცემას კონკრეტული მემკვიდრისათვის.²²⁹

სავალდებულო მემკვიდრე (როგორც მემკვიდრე საერთოდ) შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელიც ცოცხალია სამკვიდროს გახსნის დღის 24 საათამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალაში შედის „კომორიენტების წესი“. კანონმდებლობაში მსგავსი ნორმის შეტანის აუცილებლობა შეიძლება აიხსნას საზოგადოების შესაბამისი მოთხოვნებით, კატასტროფების მატებიდან და „ტექნოგენური საუკუნის“

²²⁷ შენგელია რ., შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 50

²²⁸ საქართველოს მემკვიდრეობითი სამართლიდან განსხვავებით, ამერიკის კანონმდებლობა მემკვიდრეობის მისაღებად უშვებს ცხოველების მოწვევას: სიეტლში ენ მორგანმა, რომელიც გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, უანდერძა 500 მილიონი აშშ დოლარი თავის ანგორის ჯიშის კატას – ტინკერს. გარდაცვლილის დამ წარადგინა სარჩელი, რომელიც არ დაკმაყოფილდა. კატა ცხოვრობს გარდაცვლილი პატრონის ბინაში სპეციალურად დანიშნული მეურვის დაცვის ქვეშ. ტინკერის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება ე. მორგანის განკარგულებით გადაეცემა ცხოველთა დაცვის საზოგადოებას. იხ.: Пашин С.А. О завещаниях и наследстве// Законодательство. - 2005. - №12.- С.84.

²²⁹ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2000 გვ. 21.

დადგომიდან გამომდინარე, რომელშიც ჩვენ მოგვიწია ცხოვრება.²³⁰ „კომორიენტების წესის“ გამოყენების დროს შეიძლება წავაწყდეთ ისეთ შემთხვევას, როდესაც პირები, რომლებიც მემკვიდრეობას იღებენ ერთი მეორის შემდეგ, გარდაიცვლებიან ერთ და იმავე მომენტში, მაგრამ ამასთან სიკვდილი დგება სხვადასხვა დროის სარტყელში. მაგ. საქართველოში გაცემულ გარდაცვალების მოწმობაში მითითებულია გარდაცვალების თარიღი 23 სექტემბერი, ხოლო აშშ გაცემულ დოკუმენტში 22 სექტემბერი, (წყნაროკეანური დროის სარტყელით — სტანდარტული დრო გრინვიჩის მერიდიანიდან 8 საათით უკან) ამ შემთხვევებში მითითებული პირები არ შეიძლება მივაკუთვნოთ კომორიენტებს (ერთმანეთის შემდეგ მემკვიდრეობის უფლების მქონე პირები, რომლებიც გარდაიცვლებიან ერთ დღეს). ხოლო დღე-ღამეში ბოლოს (ადგილობრივი დროით) გარდაცვლილი პირი იქნება ადრე გარდაცვლილის მემკვიდრე.

სავალდებულო მემკვიდრეობის ცალკეული კატეგორიების უშუალო ანალიზის დროს, ავლნიშნავ, რომ სავალდებულო მემკვიდრეთა წრე ამომწურავად არის განსაზღვრული სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლში და ფართო მსჯელობას ან განმარტებას არ ექვემდებარება. მათ რიცხვში შედის გარდაცვლილის მეუღლე.

საოჯახო კანონმდებლობის ნორმათა ანალიზი მოწმობს ნორმატიული დეფინიციის არარსებობაზე. მივმართავთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, ვპოულობთ: მეუღლე: ცოლი – ქმრისათვის, ქმარი – ცოლისათვის.²³¹ განსახილველი ტერმინის მსგავსი განმარტება წარმოშობს შემდეგ კითხვებს, რომლებიც მოითხოვენ ცნების „ქმარი“, „ცოლის“ განმარტებას და რომლებიც ჩვენი აზრით, უფრო მიეკუთვნებიან ყოველდღიურ ლექსიკას, ვიდრე სამართლებრივ კატეგორიას.

„მეუღლეებში“ უნდა ვიგულისხმოთ მამაკაცი და ქალი ერთმანეთის მიმართ, რომლებიც იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. “ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობები, როგორც სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი ქორწინება, მემკვიდრეობით უფლებებს არ წარმოშობენ. რეგისტრაციის სავალდებულო ხასიათი

²³⁰ Ярошенко К. Новое законодательство о наследованииУ/Хозяйство и право. - 2002.- №2. - С.22.

²³¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი 1990 გვ 634

გამომდინარეობს იქიდან რომ “ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობები რა ხანგრძლივობისაც არ უნდა იყოს იგი არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.²³²

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში თურქეთის წინააღმდეგ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მემკვიდრეობით სამართალურთიერთობის სუბიექტობასთან დაკავშირებით მიუთითა შემდეგი: “ეროვნული კანონმდებლობითა და შიდასამართლებრივი პრეცედენტებით, მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის თანახმად დაქორწინებულ პირებს შეეძლოთ გარდაცვლილ მეუღლეთა სოციალური სადაზღვევო სარგებლობის მიღება მემკვიდრეობით. თუმცა განმცხადებელს არ შეეძლო ედავა რომ კანონიერი უფლება და მოლოდინი ჰქონდა სოცდაზღვევის სარგებლის მიღებისა – თავისი პარტნიორის სოციალური შემოსავლების საფუძველზე, რადან, სამოქალაქო ქორწინების არსისა და ფორმალური მოთხოვნების განმსაზღვრელი წესები ნათელი და ხელმისაწვდომი გახლდათ, ამგვარი ქორწინების გაფორმება მარტივი იყო და არანაირ ტვირთს არ უქმნიდა შესაბამის პირებს. მეტიც განმცხადებელს საკმარისი დრო ჰქონდა – 26 წელი სამოქალაქო ქორწინების გასაფორმებლად. შესაბამისად საფუძველს მოკლებული იყო მისი მტკიცება, რომ ამ სიტუაციის დასარეგულირებლად მისი ყველა მცდელობა შეაფერხა დამაბნეველმა ან შენელებულმა ადმინისტრაციულმა პროცედურებმა. გარდა ამისა იმ ფაქტს, რომ განმცხადებელმა და მისმა პარტნიორმა რელიგიურ ქორწინებას მიანიჭეს უპირატესობა და სამოქალაქო არ გაუფორმებიათ არ მოჰყოლია რაიმე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი სანქციები, რომლებიც ეფექტიან ოჯახურ ცხოვრებაში შეუშლიდა ხელს. ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის იმგვარად ვერ განიმარტება, რომ სახელმწიფოს დააკისროს რელიგიური ქორწინების აღიარების ვალდებულება. მათგან ვერც სპეციალური რეჟიმის დაწესებას მოითხოვს გარკვეული კატეგორიის დაუქორწინებელი წყვილისათვის. ამგვარად ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა კანონის თანახმად მემკვიდრის სტატუსით ვერ ისარგებლა არ ნიშნავს იმას, რომ დაერღვა მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები. საქმეზე სასამართლომ განმარტა რომ, მემკვიდრეობისა და საკუთრების ნებაყოფლობითი განკარგვა ახლო ნათესავებს შორის არის ოჯახურ ცხოვრებასთან ახლო კავშირში. ოჯახური ცხოვრება არ მოიცავს მხოლოდ სოციალურ, მორალურ ან

²³² ჩიკვაშვილი შ. საოჯახო სამართალი თბილისი 1998 წ. გვ 27

კულტურულ ურთიერთობას, მაგალითად, ბავშვების განათლების სფეროში; ის ასევე მოიცავს მატერიალური სახის ინტერესებს, როგორც ეს გამოვლინდა, სხვა საკითხებთან ერთად, ურთიერთრჩენის მოვალეობით და ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმრავლესობის ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიხედვით, ქონების ნაწილის მიკუთვნებით. ... აქედან გამომდინარე, ეს არის ოჯახური ცხოვრების დამახასიათებელი, რომელიც არ შეიძლება უფლებელყოფილ იქნეს.²³³

მხედველობაში აუცილებლად უნდა ვიქონიოთ ის, რომ სანამ საბჭოთა რესპუბლიკებში შეიქმნებოდა სამოქალაქო აქტების მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები, რეგისტრირებულ ქორწინებას უთანაბრდებოდა რელიგიური წეს-ჩვეულების მიხედვით შექმნილი ოჯახი, ასევე გარდაცვლილთან ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობები, თუ ისინი წარმოიშვა 08.07.1944 წ. და გრძელდებოდა გარდაცვალების მომენტამდე. ასეთ ურთიერთობებში ყოფნის ფაქტი დგინდება სასამართლოს მიერ.²³⁴ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე, რომელიც მეუღლეთა ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობებს ეხებოდა განმარტა შემდეგი: მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას რეგისტრირებულ ქორწინებას უკავშირებდა ასევე მანამდე მოქმედი საქორწინო და საოჯახო კოდექსებიც. კერძოდ, საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის (1930 წლის რედაქციით) მე-14, მე-17 მუხლების, აგრეთვე საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის (1970 წლის რედაქციით) მე-19, 21-ე მუხლების შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობდა მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში გაფორმებული დაქორწინება. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენდა მათ თანასაკუთრებას. მეუღლეებს ჰქონდათ ამ ქონებით სარგებლობის, მისი მფლობელობისა და განკარგვის თანაბარი უფლება. მოცემულ შემთხვევაში ქორწინება რეგისტრირებული არ ყოფილა. შესაბამისად, შექმნილი სადავო უძრავი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად ვერ იქნება მიჩნეული. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს

²³³ Serife Yigit v. Turkey ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, განაცხადი 3976/05, 2010 წლის 2 ნოემბერი. 95-ე პარაგრაფი.

²³⁴ Рясенцева В.А. Советское гражданское право. Часть вторая/ М.: Юридическая литература, 1987. - С.535.

კასატორების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე, სააკელაციო სასამართლოს კასატორი უნდა ეცნო მხარის მეუღლედ და მათ შორის არსებული ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობა, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, უნდა გაეთანაბრებინა რეგისტრირებული ქორწინებისათვის. დასახელებული ბრძანებულების მიხედვით, თუ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე არსებული ცოლ-ქმრული ურთიერთობა არ შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ამავე ბრძანებულების მე-19 მუხლის შესაბამისად, იმის გამო, რომ ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მყოფ პირთაგან ერთ-ერთი გარდაიცვალა ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს სახალხო სასამართლოში შეიტანოს განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ცნობილ იქნას გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მეუღლედ წინათ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ამდენად, ზემოაღნიშნული ბრძანებულებით განისაზღვრა 1944 წლის 8 ივლისამდე გარდაცვლილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის მეუღლედ ცნობის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტი – ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მყოფი ცოცხლად დარჩენილი მეუღლე. აღნიშნულს ცხადყოფს ასევე სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის 1944 წლის 26 ნოემბრის დირექტიული წერილის შინაარსი, რომელიც სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოხსენებული ბრძანებულების შესასრულებლად გამოიცა. აღნიშნული წერილის მიხედვით, ის პირი, რომელმაც შეიტანა განცხადება ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობის ცნობის შესახებ, მოვალეა წარმოადგინოს საბუთები, რომლითაც დამტკიცდება იმ პირის სიკვდილის ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტი, რომელთანაც განმცხადებელს ფაქტობრივად ცოლ-ქმრული ურთიერთობა ჰქონდა. ამასთან, თუ სასამართლო ცნობს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, იგი გამოიტანს დადგენილებას განმცხადებლის ცნობის შესახებ გარდაცვლილის ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგულის მეუღლედ. სხვა საკითხებს (პენსიის უფლება, მემკვიდრეობა და სხვა) სასამართლოს დადგენილება არ უნდა ეხებოდეს. მოცემულ შემთხვევაში უგზო-უკვლოდ დაკარგულის მეუღლედ ცნობას და მათ შორის არსებული ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობის რეგისტრირებულ ქორწინებასთან გათანაბრებას მოითხოვენ შვილიშვილები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მათ ასეთი მოთხოვნის უფლება არ გააჩნიათ, ვინაიდან ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მიენიჭა მხოლოდ გარდაცვლილთან ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგულთან ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მყოფ მეუღლეს. მოცემულ შემთხვევაში უგზო-უკვლოდ დაკარგული მ. ბ-ძის მეუღლედ ცნობის მოთხოვნის უფლება ჰქონდა მასთან ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მყოფ უ. ბ-ძეს. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს გარდაცვალებამდე ხსენებული მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს.²³⁵

არარეგისტრირებული და რელიგიური, მართლმადიდებლური წესით ქორწინების დროს მეუღლის, როგორც მემკვიდრის და სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საკითხი უნდა შეფასდეს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო-ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად, რომლის ძალითაც სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. კონსტიტუციური შეთანხმების ნორმით საეკლესიო წესით ჯვრისწერის სახელმწიფოსაგან აღიარება დეკლარაციული ხასიათისაა და მეუღლეთა კანონით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი ვერ გახდება. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომელიც ჯვარდაწერილი მეუღლის მემკვიდრეობის საკითხს ეხება მიუთითებს, რომ საქართველოს სამოციქულო-ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ ჯვრისწერის აღიარების ფარგლები, კერძოდ, მითითებულია, რომ აღიარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. ამ დანაწესიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღსრულების შემდეგ ახლადშექმნილი ოჯახი მართლმადიდებლური წესით ხდება კანონიერი და მას რაიმე თანამდევი კანონით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არ მოჰყვება.

²³⁵ სუსგ № ას-681-637-2010 25.01.2011

ამდენად, მითითებული კონსტიტუციური შეთანხმებით დეტალურად არის რა განსაზღვრული საეკლესიო ჯვრისწერის დანიშნულება და მოქმედების ფარგლები, ნორმის განმარტებაც კანონით დადგენილი ფაქტების შესაბამისად უნდა მოხდეს. აღნიშნული გამორიცხავს კასატორის მოთხოვნას, ჯვრისწერის საფუძველზე მისი, როგორც მეუღლის სამოქალაქო უფლების – თანასაკუთრების წარმოშობის თაობაზე.²³⁶

ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის სამართლებრივ სტატუსს და ქონებრივ უფლებებს ეხებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა რომ, მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არარსებობისა, მხარეებს შორის საქორწინო ურთიერთობის (და შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების) წარმოშობის მომენტად მათი ფაქტობრივი ქორწინების თარიღი - 2005 წლის იანვარი იქნა მიჩნეული, შემდეგ მოსაზრებათა გამო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით „ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე“ (Kroon v. the Netherlands). სასამართლომ 1994 წლის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ოჯახური ურთიერთობების ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე“. ცხადია, აქ იგულისხმება ერთად ცხოვრება ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის გარეშე, რასაც ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში, მით უფრო, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ქორწინების რეგისტრაციის დამაბრკოლებელი გარემოება იმ დროისათვის ფ. გ-ას ასაკი იყო. სააპელაციო სასამართლოს ეს მოსაზრებები არ გაიზიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და განმარტა რომ: მოქმედი სსკ-ის 1151-ე მუხლი მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებს მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას და მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის მომენტთან მიმართებაში, მითითებული ნორმის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მის ნორმატიულ შინაარსს. ამ მოსაზრების გასამყარებლად არც

²³⁶ სუსგ № ას-968-1269-07 15.05.2008

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე: *Kroon v. the Netherlands* გამოყენებული განმარტებაა სამართლებრივად ვარგისი.²³⁷ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის მოხმობა შიდაეროვნულ გადაწყვეტილებებში, უფრო მეტ დასაბუთებულობას მატებს გადაწყვეტილებას და ამდენად, მიზანშეწონილია, თუმცა მისი სწორად გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობას კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური შესწავლა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ პრეცედენტული სამართლის არასწორ გამოყენებას.²³⁸ ამდენად, მხარეთა ერთად ცხოვრობა, საერთო მეურნეობის განხორციელება

²³⁷ შეად. *Kroon v. the Netherlands*; საქმეზე ოჯახური ცხოვრების არსებობასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, ერთად ცხოვრება შეიძლება იყოს მოთხოვნა ასეთი ურთიერთობისათვის, როგორც გამონაკლისი, სხვა ფაქტორებიც ასევე შეიძლება გამოდგეს იმის დასამტკიცებლად, რომ ურთიერთობას აქვს საკმარისი სტაბილურობა, შეიქმნას დე ფაქტო „ოჯახური კავშირები“; ამ შემთხვევასთან გვაქვს აქ საქმე, ვინაიდან 1987 წლიდან ქ-ნ კრონსა და ბ-ნ ზერუკს გაუჩნდათ 4 შვილი.“) ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: ოჯახური ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვი არის *ipso jure* „ოჯახური ერთეულის“ ნაწილი მისი დაბადების მომენტიდან და თავად ამ აქტის გამო; *Kroon v. the Netherlands* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, განაცხადი #18535/91. 27 ოქტომბერი 1994 წელი; 30-ე პარაგრაფი;

ასევე შეად; *Karner v. Austria* საქმეში „კარნერი ავსტრიის წინააღმდეგ“ საქმე ეხებოდა ეროვნული კანონმდებლობის იმ ნორმის განმარტებას, რომლის თანხმად, მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში მისი თანამცხოვრები ავტომატურად ხდებოდა მისი უფლებამონაცვლე საიჯარო ხელშეკრულებაში. ეროვნულმა სასამართლომ იმგვარად განმარტა აღნიშნული ნორმა, რომ თითქოს ჰომოსექსუალი პარტნიორები ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდნენ, მაშინ როდესაც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ჰეტეროსექსუალი წყვილები სარგებლობდნენ ამ უფლებით. სახელმწიფომ აღიარა, რომ განსხვავებული მოპყრობა მართლაც მოხდა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, თუმცა ამის არგუმენტად მოიყვანა ტრადიციული ოჯახების ინტერესების დაცვა. სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, ტრადიციული ოჯახის დაცვა შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზანი, ეს უკანასკნელი მაინც შეფასების თავისუფლების ვიწრო ფარგლებით სარგებლობდა სქესისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის დროს. გარდა ამისა, თანაზომიერების პრინციპი არ გულისხმობდა მხოლოდ იმას, რომ კონკრეტული ზომა შესაბამისობაში ყოფილიყო დასახულ მიზანთან. სახელმწიფოს ასევე უნდა ეჩვენებინა, რომ ეს ზომა აუცილებელიც იყო ამ მიზნის მისაღწევად. სასამართლომ ასეთი აუცილებლობა ვერ დაინახა განსახილველ საქმეში და, შესაბამისად, დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი. მან მიიჩნია, რომ სახელმწიფოს შეეძლო სხვა ღონისძიებები გაეტარებინა ტრადიციული ოჯახების ინტერესების დასაცავად ისე, რომ ასეთ არახელსაყრელ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინა ჰომოსექსუალი წყვილები. მეორე მხრივ, დისკრიმინაციად არ განიხილება ჰომოსექსუალურ პარტნიორობასა და ქორწინებაში მყოფ წყვილთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა, მათ შორის, მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების საკითხში. ევროპული სასამართლოს აზრით, *de facto* სექსუალური ურთიერთობა, ვერ გამოიწვევს ისეთივე უფლებების წარმოშობას, როგორსაც ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს არსებით წინაპირობას მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღებისათვის; *Karner v. Austria* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, განაცხადი # 40016/98; 2003 წლის 24 ივლისი, პარაგრაფი 41-43

²³⁸ სუსგ საქმე № ას-7-7-2016. 16 მარტი 2016 წელი

სამემკვიდრეო და მეუღლეთა თანასაკუთრების საოჯახო სამართლებრივი დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება, როდესაც ქორწინება კანონით დადგენილი წესით არ არის დარეგისტრირებული. დე ფაქტო „ოჯახური ცხოვრების“ დადგენას სხვა – ასე მაგალითად, მამობის დადგენის, ან მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საქმეებზე – შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სამართლებრივი დატვირთვა.²³⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1342-ე მუხლის თანახმად: ცოცხლად დარჩენილი მეუღლე კარგავს მემკვიდრეობის უფლებას თუ არსებობდა ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველი და მამკვიდრებლის მიერ სარჩელი იყო წარდგენილი. შესაბამისად ზემოაღნიშნული დანაწესით არა მარტო უნდა არსებობდეს ქორწინების ბათილობის საფუძველი ასევე, მეუღლეს სამკვიდროს გახსნამდე წარდგენილი უნდა ჰქონდეს სასამართლოში სარჩელი ქორწინების ბათილად ცნობაზე. ან ნორმის ანალიზის მიხედვით გარდაცვლილი მამკვიდრებლის მემკვიდრეებს არ შეუძლიათ სადავო გახადონ ქორწინების ნამდვილობა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ და ამ გზით ჩამოაშორონ სავალდებულო მემკვიდრე – მეუღლე სავალდებულო წილის მიღებას.

გარკვეულწილად ბუნდოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლიც, რომლის თანახმად განქორწინებისას სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.²⁴⁰ ზოგადად განქორწინებული მეუღლეები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1340-ე მუხლის თანახმად ვერ იქნებიან ერთმანეთის მემკვიდრეები, ხოლო 1341-ე მუხლის თანახმად: მუხლის პირველი წინადადება “განქორწინებისას” გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს, რადგან თუ არსებობს განქორწინების მოწმობა მაშინ ცალსახაა რომ მეუღლე სავალდებულო წილს ვერ მიიღებს და სასამართლო გადაწყვეტილებით მემკვიდრეობის ჩამორთმევის აუცილებლობაც არ არსებობს. ამ დეფინიციამ საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როცა არ

²³⁹ სუსგ საქმე №ას 205-2019 24 ოქტომბერი 2019 წელი.

²⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლი.

არსებობს განქორწინებაზე განქორწინების მოწმობა, მაგრამ მეუღლეთა შორის საოჯახო-საქორწინო ურთიერთობა ფაქტიურად შეწყვეტილია.

სასამართლოს მიერ დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობიდან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი შეიძლება იყოს – განქორწინების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა, რომელიც დროის ფაქტორის გამო ჯერ კიდევ არ არის შესული კანონიერ ძალაში. მოცემული გადაწყვეტილება დაადასტურებს ქორწინების ფაქტობრივ შეწყვეტას და ქალისა და მამაკაცის მიერ მეუღლეთა სტატუსის დაკარგვას, იმის მიუხედავად, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ჯერ არ შესულა კანონიერ ძალაში. მემკვიდრეობის ჩამორთმევის ამ წესზე მომდევნო სავალდებულო წილის ჩამორთმევის ნაწილში არის გადმოცემული, ამიტომ ამჯერად ამ საკითხზე აღარ შევჩერდები. ნიშანდობლივია ავღნიშნოთ მხოლოდ ის, რომ კანონით მემკვიდრეობის ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ ასეთი მეუღლე ვერ იქნება ვერც სავალდებულო მემკვიდრე, რადგან სავალდებულო მემკვიდრე არის მხოლოდ გარდაცვლილის კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრე მეუღლე და თუ მას ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესი ართმევს კანონით მემკვიდრეობას, ბუნებრივია მას ვერ ექნება სავალდებულო წილზე უფლება.

საზღვარგარეთის ქვეყნების მოქმედი კანონმდებლობით ასევე დადგენილია ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობიდან ჩამოცილების შემთხვევები. მაგალითად სერბეთში და ხორვატიაში დარჩენილი მეუღლე ვერ მიიღებს მემკვიდრეობას შემდეგ შემთხვევებში: მამკვიდრებელმა შეიტანა განცხადება განქორწინების თაობაზე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ სასამართლოს მიერ დადგინდა თანაცხოვრების მტკიცედ დაშლის სერიოზული მიზეზები; სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება ქორწინების ბათილობის თაობაზე იმ მიზეზებისა და გარემოებების გამო, რომლებიც ცნობილი იყო დარჩენილი მეუღლისათვის ქორწინების მომენტში; მამკვიდრებელთან თანაცხოვრება შეწყდა დიდი ხნის წინ დარჩენილი მეუღლის ბრალეული ქცევის ან მამკვიდრებელთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ლიტვის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, დარჩენილი მეუღლე კარგავს კანონით მემკვიდრეობის უფლებას, თუ

სამკვიდროს გახსნამდე მამკვიდრებელმა მიმართა სასამართლოს, დარჩენილი მეუღლის ბრალეული ქცევის გამო, განქორწინების მოთხოვნით და სასამართლომ დაადგინა განქორწინების საფუძვლები, ან მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების ფაქტი, ან ქორწინების ბათილად ცნობის საფუძველი (იმ პირობით, რომ შეტანილი სარჩელის მოთხოვნა ქორწინების ბათილად ცნობაა).²⁴¹ საფრანგეთში დარჩენილი მეუღლე ინარჩუნებს მემკვიდრეობის უფლებას, იმ შემთხვევაშიც, თუ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის მეუღლეები ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე. მაგრამ მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების თაობაზე ურთიერთშეთანხმების არსებობის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ხელშეკრულებაში შეიტანონ პუნქტი მემკვიდრეობაზე უარის თქმის შესახებ იმისათვის, რომ დარჩენილმა მეუღლემ შეძლოს სავალდებულო წილზე თავისი უფლების რეალიზება, აუცილებელია დამატებითი პირობების დაცვა: ქორწინება მამკვიდრებელთან არ უნდა იყოს შეწყვეტილი, არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება ცალ-ცალკე ცხოვრების ფაქტის დადგენის შესახებ, დარჩენილი მეუღლე არ არის განქორწინების ან მითითებული ფაქტის დადგენის შესახებ პროცესის მხარე (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 914.1-ე მუხლი).²⁴² ესპანეთის მემკვიდრეობითი კანონმდებლობის შესაბამისად, დარჩენილი მეუღლე ჩამოცილდება მემკვიდრეობას, თუ განქორწინებული იყო მამკვიდრებელთან სასამართლოს მიერ ან ფაქტობრივად ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, განქორწინების უტყუარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში.

საქმეზე რომელიც მეუღლის სამემკვიდრეო სამართალურთიერთობის სუბიექტობის განსაზღვრას ეხებოდა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა რომ: მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საკითხის რეგულირება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლში. კანონმდებლის მიზანს ამ შემთხვევაში, წარმოადგენს იმგვარი სამართალურთიერთობის მოწესრიგება, რომლის დროსაც გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით (სკ-ის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილი.) და

²⁴¹ Блинков О.Е. Наследственные права супругов в государствах-участниках Содружества Независимых Государств и странах Балтии//Нотариус. - 2006. - № 5.- С.35.

²⁴² Codécivil, Version consolidée au 12 juillet 2014, ხელმისაწვდომია შემდეგ ინტერნეტ გვერდზე:https://4ru.es/ru/knowledge_base/zakon-spain

რომლის დროსაც დასაზუსტებელია კანონით მემკვიდრეთა წრე. იმ თვალსაზრისით, რომ თუნდაც, იურიდიული მიზნებისათვის, მეუღლედ რეგისტრირებული პირის ხელში არ აღმოჩნდეს მამკვიდრებლის ის უფლებები და პრივილეგიები, რომლებიც მას გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის (სამკვიდრო მასა) და ამით, გაუმართლებლად არ შეილახოს დანარჩენ მემკვიდრეთათვის კანონით მინიჭებული უფლებები. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ „მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვა დაუშვებელი იყო სასამართლოს წესით, მეუღლეთა განქორწინების ფაქტის დადგენამდე და პირიქით, ვინაიდან გარდაცვლილი და მისი მეუღლე არ იყვნენ სასამართლო წესით განქორწინებულები, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ჩამოერთვა მისთვის კანონით უფლება.“ სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის გამოყენებისათვის და შესაბამისად, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისათვის, ამავე ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, განმსაზღვრელია არა მხოლოდენ ის გარემოება არსებობდა თუ არა ქალსა და მამაკაცს შორის რეგისტრირებული ქორწინება, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობის ფაქტობრივად არარსებობაზე. სამართლებრივი წესრიგის მიზანიც ხომ იმის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რომ გაუმართლებლად და დაუსაბუთებლად არ შეილახოს ვინმეს უფლება და პირიქით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არ მოიპოვოს ვინმემ მატერიალური სიკეთე ან რაიმე უფლება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ქორწინება ოჯახის საფუძველია. მასში, პირველ ყოვლისა, ასახვას პოულობს სულიერი, ზნეობრივი, ასევე, პირადი და ქონებრივი ურთიერთობების გაერთიანება. ქორწინებისთვის დამახასიათებელი იურიდიული ნიშნების გათვალისწინებით, კანონმდებელს საშუალება მიეცა შემოეთავაზებინა ქორწინების შემდეგნაირი განსაზღვრება: ქორწინება მამაკაცისა და ქალის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირია, ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც მყარდება კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვით, წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს (სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხ.). ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა ორმხრივ, პირად და

ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს. სწორედ ამიტომ მოცემული დავის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია შევხვით იმ საკითხის გადაწყვეტას, რაც შეეხება ქორწინებიდან გამომდინარე მემკვიდრეობის ურთიერთობებს. მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს პირადი ქონებრივი ხასიათის უფლებას, ერთ-ერთი ან თუნდაც რამოდენიმე მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღება, არ ნიშნავს სხვა მემკვიდრეობის მიერ სამკვიდროს მიღებას. სწორედ ამ უფლების სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ წესებსა და პირობებს, რასთანაც დაკავშირებულია და რაც განსაზღვრავს გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდროს მიღებას. როგორც აღინიშნა კანონმდებელი ქორწინებად მიიჩნევს ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. თეორიულად, ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა იმით შემოიფარგლება, რომ მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და მოვალეობები (სსკ-ის 1151-ე მუხ.). ამდენად, კანონმდებლის მიერ განსაზღვრული მიზანი, რაც მეუღლეთა მიერ ოჯახის შექმნაში უნდა გამოიხატოს მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტით არ მიიღწევა. ამის კონკრეტული გამოვლინებაა ფიქციური ქორწინებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები. როგორც კანონმდებელი განმარტავს ქორწინების ერთ-ერთი საფუძველია „ოჯახის შექმნის მიზანი“. სწორედაც თუ ქორწინებას არ ახლავს ოჯახის შექმნის მიზანი და მისი განხორციელება, იგი ფიქტიური ურთიერთობაა. მოცემულ შემთხვევაში წარმოშობილი დავაც სწორედ ამგვარი მიზნის არმქონე რეგისტრირებული კავშირიდან გამომდინარე უფლების შეზღუდვას შეეხება.²⁴³

სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს კეთილსინდისიერი მეუღლის განსაზღვრებას და იცავს მის უფლებებს ქორწინების ბათილად აღიარებისას. ბათილი ქორწინება მართალია არ წარმოშობს არავითარ სამოქალაქო უფლება-მოვალეობებს, თუმცა სასამართლოს უფლება აქვს იმ მეუღლის მიმართ, რომელმაც არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების შესახებ

²⁴³ სუსგ საქმე №ას-187-174-2015, 22 ივლისი, 2015 წელი.

ქორწინების ბათილად ცნობამდე შეძენილი ქონების გაყოფისას გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე და 1171-ე მუხლები²⁴⁴, მაგრამ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კეთილსინდისიერი მეუღლის მემკვიდრედ აღიარებას. ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონების გაყოფისას, საერთო საკუთრების ერთობლივი შრომითა და ერთობლივი სახსრებით შეძენისა და თანასაკუთრებად ქონების აღიარების ნორმის მიზნებიდან გამომდინარე ამგვარი მეუღლის ინტერესების დაცვა გასაგებია, თუმცა არ შეიძლება იგი ფართოთ განვმარტოთ და გავავრცელოთ სამემკვიდრეო უფლებებზე, ნორმის მიზნებიდან აღნიშნული განმარტება არ გამომდინარეობს, რასაც ვერ ვიტყვით მაგალითად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით უწყების ჩაბარების უფლებამოსილ პირზე, არარეგისტრირებულ მეუღლეზე, როგორც ოჯახის წევრზე. მითითებული ნორმის მიზნებისათვის ოჯახის წევრი არ გულისხმობს მხოლოდ მეუღლეს, ანუ პირს, ვისთანაც ადრესატი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება, ან სხვა უახლოეს ნათესავს (შვილებს, მშობლებს). ოჯახის წევრად შეიძლება ჩაითვალოს ადრესატთან მუდმივად მცხოვრები პირი, მათ შორის ის პირიც, ვისთანაც მხარე ან მისი წარმომადგენელი სამოქალაქო ქორწინებაშია.²⁴⁵

უმჯობესია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „ცოცხლად დარჩენილი მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის და სავალდებულო წილის უფლება, თუ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ იმ მემკვიდრის სარჩელით, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს“.

²⁴⁴ სსკ1146-ე მუხლი

²⁴⁵ სუსგ საქმე ას-1193-1122-2012. 10 . ოქტომბერი 2012 წელი

3. შვილები და მშობლები სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტები

შვილის სავალდებულო წილის სამემკვიდრეო უფლებები ბუნებითი სამართლიდან გამომდინარეობს და მათი ბუნებითი უფლების დადასტურებაა²⁴⁶. სწორედ ამ პოზიციიდან ასაბუთებდნენ შვილების სამემკვიდრეო უფლებებს რომელი იურისტები და ბუნებითი სამართლის წარმომადგენლები. პაულიუსი ამბობს: ბუნებრივი გონიერება, როგორც რაღაც ჩუმი კანონი, მშობლებისაგან სამკვიდროს აძლევს შვილს მოუწოდებს მათ ასე ვთქვათ კუთვნილი მემკვიდრეობისაკენ.²⁴⁷ შვილი მშობელთან ყველაზე ახლო მდგომი მემკვიდრეა, მშობელი მასში თავის თავსა და თავისი სიცოცხლის გაგრძელებას ხედავს, ამიტომ ეთიკურ-მორალურმა წესებმა კანონმდებელს უბიძგა მისთვის მიენიჭებინა სავალდებულო წილის მიღების უფლება, მამკვიდრებლის ნების გაუთვალისწინებლად და ხშირად მის საწინააღმდეგოდაც (მაგალითად, როდესაც მამკვიდრებელი ადგენს ანდერძს ზოგიერთი პირის მემკვიდრეთა წრიდან ამორიცხვის ან მემკვიდრეობის გარეშე დატოვების მიზნით, მაგრამ ეს პირები მაინც ხდებიან მემკვიდრეები იმის გამო, რომ კანონით აქვთ უფლება სავალდებულო წილზე). სავალდებულო წილი მისი არსით სავალდებულო მემკვიდრეებისათვის წარმოადგენს თავისებურ მინიმუმს.²⁴⁸ განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ეს დებულება, როცა სავალდებულო მემკვიდრეები მამკვიდრებლის არასრულწლოვანი შვილები და შრომისუუნარო მშობლები ან მეუღლე არიან. ასეთ დროს სავალდებულო წილის ინსტიტუტის ძირითადი ფუნქციაა – შედარებით მატერიალურად დაუცველი მემკვიდრეების, ასევე სახელმწიფოს ქონებრივი ინტერესების დაცვა.

განსახილველი სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობის ანალიზის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნორმა nasciturus-ის შესახებ (nasciturus – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ბავშვს დედის საშვილოსნოში). ესენი არიან პირები, რომლებიც ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და

²⁴⁶ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი თბ. გვ. 123

²⁴⁷ Гроций Г. О праве войны и мира. Три книги в которых Объяснятся Естественное право и право народов а также принципы Публичного права. Пер. с латинского А. А. Саккети. М; юрид. Лит. 1956 г. С. 227 მითითებ. ბესარიონ ზოიძე ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი გვ. 123

²⁴⁸ Иоффе О.С. Советское гражданское право. Часть третья. .-Л.:Изд-во Ленинградского университета, 1965.- С.317.

დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1116-ე მუხლი). მათი უფლებები დაცულია ჯერ კიდევ მათ დაბადებამდე. ჯერ კიდევ რომის სამართლისათვის ცნობილი იყო დებულება: „infans conceptus pro nato habetur quoties de commodo ejus agitur“ („ჩასახული ბავშვი უკვე დაბადებულად ითვლება თუ ამას მოითხოვს მისი ინტერესების დაცვა“).²⁴⁹ ჩასახულის მემკვიდრეობის უფლებებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის იუსტინიანეს დეგესტებიც: „ის პირები, რომლებიც მამკვიდრებლის უფრო შორეულ ნათესავებს წარმოადგენდნენ, ვიდრე დედის საშოში მყოფნი, მემკვიდრეებად არ იწოდებოდნენ მანამ, სანამ გაურკვეველი იყო, დაიბადებოდა თუ არა ბავშვი“²⁵⁰ თუმცა ისინი ჩასახულის დაბადებულთან გათანაბრებისათვის აუცილებლობად მიიჩნევდნენ ორი პირობის არსებობას ჩასახული უნდა დაიბადოს ცოცხალი და ჩასახულის სამართალურთიერთობის სუბიექტად მოწვევა უპირველესად უნდა შედიოდეს ბავშვის ინტერესებში.²⁵¹

ძველი ქართული სამართლის ძეგლებში პირდაპირი მითითება ჩანასახის უფლებებთან დაკავშირებით ვერ ვხვდებით, მაგრამ ეთნოგრაფების მიერ დამოწმებული საბუთებით მტკიცდება, რომ ქონების გაყოფისას მხედველობაში მიიღებოდა ქალის ორსულობა, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იურიდიული პრაქტიკა ანგარიშს უწევდა დაუბადებელი ბავშვის სამემკვიდრეო უფლებებსაც.²⁵² ჯერარდაბადებული ბავშვის უფლების დაცვაზე მიუთითებს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ პრეამბულის მე-9 აბზაცი, რომლის მიხედვითაც „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვასა და ზრუნვას, მათ შორის სათანადო სამართლებრივ დაცვას როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“.²⁵³ არაერთი მოსაზრებით, სიცოცხლე იწყება ჩასახვის მომენტიდან და ადრეული ემბრიონი (early embryo) უნდა გაუთანაბრდეს

²⁴⁹ Барон Ю. Система римско гражданского права М 2005 с 1102

²⁵⁰ Дигесты Юстиниана. Избранные фрагменты в переводе и с примечаниями И.С. Перетерского. Наука, М., 1984, 126. მითითებულია: ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000, 126.

²⁵¹ Валах В. В. Наследственные отношения в Украине Российской Федерации Франции Германии и США Харьков. 2012 с 177

²⁵² ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000, 127.

²⁵³ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს, საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 2 ივლისიდან.

ემბრიონს, რომელიც წარმოადგენს ადამიანს.²⁵⁴ იმასთან დაკავშირებით, თუ როდის იწყება „სიცოცხლე“, არის თუ არა ემბრიონი/ფეტუსი „ადამიანი“ და საერთოდ, როგორია მისი მორალური და სამართლებრივი სტატუსი სხვადასხვა შეხედულებები არსებობს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავს იკავებს იმის აღიარებისგან, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ფეტუსის, ანუ დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლესაც იცავს, მაგრამ იმავდროულად, არც კატეგორიულად გამორიცხავს ამას.²⁵⁵ საქმეზე რომელიც ექიმის შეცდომის გამო ჩანასახის დაღუპვას ეხებოდა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ, რამდენადაც არ არსებობდა კონსენსუსი ადამიანის ემბრიონის/ფეტუსის ბუნებისა და სტატუსის შესახებ, ამიტომ „არც სასურველი იყო და არც შესაძლებელი, სასამართლოს გაეცა ზოგადი პასუხი იმაზე, იყო თუ არა დაუბადებელი ბავშვი „ადამიანი“ კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით“ შესაბამისად, მან არც ის მიიჩნია აუცილებლად, გადაეწყვიტა, იყო თუ არა მესამე მხარის დაუდევრობის შედეგად ფეტუსის სიკვდილი კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების ფარგლებში და იყო თუ არა ეს მუხლი საერთოდ გამოყენებადი მოცემულ შემთხვევაში. სასამართლომ საბოლოოდ დაასკვნა, რომ „მაშინაც კი, თუ კონვენციის მე-2 მუხლი გამოყენებადი იყო მოცემულ საქმეში, მისი დარღვევა მაინც არ არსებობდა, რამდენადაც პოზიტიური ვალდებულებანი სახელმწიფოს არ ჰქონდა დარღვეული²⁵⁶. საქმეზე ივანსი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო ქვეყნის შიდა – ინგლისურ სამართალს, რომლის თანახმად, სიცოცხლე იწყება დაბადებიდან და არა ჩასახვიდან, რის გამოც ფეტუსს არ გააჩნდა დამოუკიდებელი უფლებები და ინტერესები. თერთმეტმა მოსამართლემ ოთხის წინააღმდეგ დაადგინა, რომ: 1. ემბრიონს არა აქვს სიცოცხლის უფლება და შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია

²⁵⁴ Davis v. Davis, 842 S.W.2d 588 (Tenn. Sup. Ct. 1992), მითითებულია: Haut M. C., Divorce And The Disposition of Frozen Embryos, Hofstra Law Review, Vol. 28, 1999, 501

²⁵⁵ გოცირიძე ე. სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, თბილისი 2007, გვ 61

²⁵⁶ Vo v. France, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის განჩინება განაცხადი №53924\00, 2004 წლის 8 ივლისი.

კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.²⁵⁷

ჩასახულის სიცოცხლის უფლება ზოგიერთ მკვლევართა აზრით არ ნიშნავს მისთვის სამართალსუბიექტობის უფლების მინიჭებას და გარემოება, რომ ჯერარდაბადებული ბავშვის მიმართ ზოგიერთი ქმედებები დასჯადიცი შესაძლებელია იყოს არ გვაძლევს ისეთი დასკვნების საშუალებას, რომ ისინი აღჭურვილი არიან სამართალსუბიექტობით.²⁵⁸ სამოქალაქო სამართალი ჩანასახს გარკვეულ უფლებებს ანიჭებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ არ წარმოადგენს პერსონას. კერძოდ, მას აქვს შეზღუდული (მხოლოდ მემკვიდრეობაუნარიანობასთან დაკავშირებული) და პირობითი (დაბადებაზე დამოკიდებული) უფლებაუნარიანობა.²⁵⁹ სრულად უფლებაუნარიანობა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა ნაყოფი გამოეყოფა დედის საშოს და აკმაყოფილებს ყველა იმ ნიშანს, რასაც თანამედროვე მედიცინა ცოცხალი ბავშვის დაბადებას უწოდებს.²⁶⁰ სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში ადამიანის ნაყოფის პირობითი უფლებაუნარიანობის თეორიის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა მოახდინა ლათინურმა სამართლის წყაროებმა. ამ თეორიამ თავისებური ასახვა ჰპოვა მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1923-ე მუხლის თანახმად: პირი, ვინც სამკვიდროს გახსნის მომენტში ჯერ არ დაბადებულა, თუმცა იყო ჩასახული ითვლება დაბადებულად სამკვიდროს გახსნამდე²⁶¹ დაბადება დამთავრებულია, როცა ნაყოფი ბუნებრივი ან ხელოვნური გზით გამოეყოფა დედის ორგანიზმს.²⁶² საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის თანახმად: მემკვიდრედ მიიჩნევა ის ვინც ცოცხალია სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის, შესაბამისად მემკვიდრეებად არ მიიჩნევიან პირები, რომლებიც არ არიან ჩასახულები და ბავშვები რომლებიც დაიბადნენ მკვდრები²⁶³ ამერიკის კანონმდებლობის მიხედვით

²⁵⁷ Evans v. United Kingdom, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, განაცხადი №36339/05, 2007 წლის 10 აპრილი.

²⁵⁸ Bertrand-Mirkovic A, La notion de personne (Étude visant à clarifier le statut juridique de l'enfant à naître), Presses universitaires d'Aix-Marseille, 2003, P. 318

²⁵⁹ გელაშვილი ი. „ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი 2012 წელი გვ. 22

²⁶⁰ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, 132.

²⁶¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1923-ე მუხლი

²⁶² ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 167.

²⁶³ Codecivil, Version consolidée au 12 juillet 2014, ხელმისაწვდომია შემდეგ ინტერნეტ გვერდზე: <http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721>

მემკვიდრედ მიჩნევა ის ვინც დაიბადა სამკვიდროს გახსნის შემდეგ და იცოცხლა 120 საათი დაბადებიდან²⁶⁴. ესპანეთის სამოქალაქო კანონმდებლობა დაბადების სამოქალაქო უფლებების დადგომისათვის მოითხოვს, რომ ახალშობილს უნდა ჰქონდეს ადამიანის გამოსახულება და იცოცხლოს 24 საათი დედის სხეულიდან გამოცალკეების შემდეგ²⁶⁵. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსით უფლებაუნარიანობა იწყება მშობიარობის დამთავრებით წარმოშობილ სიცოცხლესთან ერთად.²⁶⁶

ჩანასახის ზოგადი პირობითი უფლებაუნარიანობის სამართლებრივი აღიარება ექვემდებარება ერთადერთ წინაპირობას – სარგებლიანობას და ამით ზედმეტი ხდება ცალკეული ვითარებისა და მასთან დაკავშირებული შედეგების დეტალური მოწესრიგება.²⁶⁷ კანონი იცავს ჩასახულის, როგორც მომავალი მემკვიდრის უფლებას. ბავშვი ხდება მემკვიდრე, მიუხედავად იმისა, თუ დაბადების შემდეგ იცოცხლა მხოლოდ რამდენიმე წუთი²⁶⁸. ხოლო თუ იგი მკვდარი დაიბადა, მისი ჩასახვის ფაქტი კარგავს ნებისმიერი სახის იურიდიულ მნიშვნელობას, რადგან მისი უფლებაუნარიანობა არ წარმოშობილა; მოცემულ შემთხვევაში იგი საერთოდ არ მოიწვევა მემკვიდრედ და ამიტომ არ გამოიყენება როგორც მემკვიდრეობითი ტრანსმისიის წესები, ისე სამკვიდროს გაზრდისა და სხვა წესები, რაც გათვალისწინებულია იმ შემთხვევისათვის როცა მემკვიდრე იღუპება და ვერ მოასწრებს სამკვიდროს მიღებას.²⁶⁹ შეგვიძლია მივიდეთ იმ დასკვნამდე რომ მემკვიდრის ცოცხლად დაბადების შემთხვევაში მისი სამართალსუბიექტობა აღიარებულია არა დაბადებიდან არამედ ჩასახვიდან.

მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტად ჩასახულის აღიარება დამოკიდებულია ორი უმნიშვნელოვანესი პირობის არსებობაზე: პირველი იგი უნდა იყოს ჩასახული სამკვიდროს გახსნამდე და მეორე დაიბადოს სამკვიდროს გახსნის შემდეგ ცოცხალი. თუ ეს ორივე პირობა სახეზეა, მაშინ ბავშვს მემკვიდრედ ყოფნის

²⁶⁴ Валах. В. В Наследственные отношения в Украине Российской Федерасии Франции Германии и США Харьков. 2012 с 177

²⁶⁵ ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლი The Civil Code of Spain, Walton C. S., The Civil Law in Spain and Spanish-America, Lawbook Exchange, 2003.

²⁶⁶ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 167.

²⁶⁷ კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 105.

²⁶⁸ Серебровский В.И. Избранные труды по наследственному и страховому праву. С.57; Постатейный научно-практический комментарий части 3 ГК РФ/Под ред. М.И.Брагинского, В.В.Витрянского// Вестник образования России. – МЮ 2004. – №16. – СИ.

²⁶⁹ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი 2000 წ. გვ 24

სუბიექტური უფლება წარმოეშვა არა დაბადებიდან არამედ ჩასახვიდან.²⁷⁰ ამ ორი პირობის არსებობისას მემკვიდრეთა სოციალური თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე კანონმდებელი ჩასახულს ანიჭებს ყველა იმ სუბიექტურ უფლებებს რომელიც მას ექნებოდა დაბადებული რომ ყოფილიყო სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. სამკვიდროს გახსნის დროს ჩანასახისათვის მემკვიდრეობის უფლება გადადებულია დაბადებამდე იმ მიზნით, რომ ცოცხლად დაბადების შემთხვევაში მან მიიღოს თავისი წილი მემკვიდრეობიდან.²⁷¹ ბუნებრივია არასამართლიანი იქნებოდა უარი გვეთქვა სამკვიდროს გახსნის შემდეგ დაბადებული ბავშვისათვის მემკვიდრეობაზე, იმიტომ რომ მან ვერ მოასწრო დაბადება და სამართალსუბიექტობა სამკვიდროს გახსნამდე და დაიბადა მოგვიანებით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ჯერ არჩასახულსაც ანიჭებს მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის შესაძლო სუბიექტად ყოფნის უფლებას.²⁷²

ნებისმიერი ფიზიკური პირის სამართალსუბიექტობა წარმოიშვა მისი დაბადების და არა ჩასახვის მომენტიდან. ჩასახულისათვის მემკვიდრედ ყოფნის შესაძლებლობის უფლების და სიცოცხლის უფლების მინიჭება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ ამ დანაწესს. ჩასახულის პირობითი (დაბადებაზე დამოკიდებული) უფლებაუნარიანობის დანაწესით კანონი ჯერარდაბადებული ადამიანის იმ მომავალ უფლებებს იცავს რომელიც მას დაბადების შემთხვევაში წარმოეშობა. ნასციტურუსის პოტენციურ მემკვიდრედ აღიარებისას კანონმდებელი მხედველობაში იღებს იმას, რომ მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის სუბიექტი ის გახდება მხოლოდ დაბადების შემთხვევაში. ამასთან, ექსპერიმენტული მედიცინის ერაში შესვლით, მემკვიდრეობის სფეროში (სავალდებულო წილის მემკვიდრეობის დროსაც) კაცობრიობა შეეჯახა კიდევ ერთ სამართლებრივ პრობლემას. საუბარია ექსტრაკორპორალურ (in vitro) განაყოფიერებაზე. საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა სამეცნიერო დისკუსიები in vitro განაყოფიერების ლეგალიზაციის თაობაზე ამჟამად ეს ურთიერთობები რეგულირდება კანონმდებლობით.

²⁷⁰ Larroument Ch. Droit civil. Introduction à l'étude du droit privé, 4e éd. Economica, 2004. T 1, p. 196

²⁷¹ ვაჩეიშვილი ა., სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010, 190.

²⁷² გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2101 მუხლი ითვალისწინებს სუბსტიტუტად ჯერარჩასახულის დანიშვნას; ხოლო 2178-ე მუხლი ითვალისწინებს რომ საანდერძო დანაკისრის დროს ლეგატარი შესაძლებელია იყოს ჯერარ ჩასხული.

საერთო სამართლის ქვეყნებში სინჯარაში განაყოფიერებულ, მაგრამ ჯერ კიდევ იმპლანტაციამდე ემბრიონს „პრეემბრიონს“ უწოდებენ, განაყოფიერებული კვერცხუჯრედი, სანამ არ მიემაგრება საშვილოსნოს კედელს, არ არის ემბრიონი და იმპლანტაციის გარეშე იგი ვერასოდეს გახდება ადამიანი²⁷³ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის კვაზი ქონება,²⁷⁴ რომელზეც გარკვეულ შემთხვევებში ვრცელდება ქონებასთან დაკავშირებული ნორმები.²⁷⁵ მართალია, სინჯარაში ან სინზე არსებული განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ვერ გაუტოლდება ადამიანს, მაგრამ პრეემბრიონი უფრო დიდი სიკეთეა, ვიდრე ქონება. იგი პოტენციური სიცოცხლის ფენომენია, რომელიც უდაოდ იმსახურებს დაცვას, რაც უნდა გამოიხატოს მისი მიზანმიმართულად განადგურების, აგრეთვე, სხვადასხვა მანიპულაციის აკრძალვაში, ქართული სამართალი არ მოიცავს პრეემბრიონის დამცავ ნორმებს, იგი მხოლოდ რეპროდუქციის უფლების ინსტრუმენტი და მიზნის მიღწევის საშუალებაა, რითაც, სამართლებრივი თვალსაზრისით, ობიექტის კატეგორიას ემსგავსება.²⁷⁶

მემკვიდრეობის მისაღებად (სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაციის თემის მიმართ) ინ ვიტრო განაყოფიერება იწვევს რიგ სამართლებრივ სირთულეებს. ასე, მაგალითად, ინ ვიტრო განაყოფიერებაში კრიოკონსერვაციის (თერმული დამუშავება დაბალ ტემპერატურაზე) მეთოდის გამოყენების დროს, ემბრიონები მრავალი წლის განმავლობაში სიცოცხლისუნარიანებად რჩებიან და შემდეგ შეიძლება „გააღღონ“ და გადაიტანონ საშვილოსნოში, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ხნის განმავლობაში დონორი მამა გარდაიცვალოს, ან ინ ვიტრო განაყოფიერებისათვის ბიოლოგიური მასალის გამოყენება მოხდეს ბიოლოგიური მამის გარდაცვალების შემდეგ. აქ ჩნდება კითხვა: როგორ დავიცვათ ბავშვის მემკვიდრეობითი უფლებები, თუ მაგალითად, განაყოფიერება, გადატანა მოხდა

²⁷³ Katz K., Wells Conference On Adoption Law, The Legal Status Of The Ex Ueto Embryo: Implications For Adoption Law, Cap. U.L. Rev., Vol. 35, 2006, 1089.

²⁷⁴ Melchoir J., Cryogenically Preserved Embryos In The Dispositional Disputes And The Supreme Court: Breaking Impossible Ties, U.Cin.L.Rev., Vol. 68, 2000, 924. მით. ირმა გელაშვილი „ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. გვ. 42

²⁷⁵ ირმა გელაშვილი „ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი 2012 გვ. 42

²⁷⁶ იქვე; გვ. 38.

სამკვიდროს გახსნისა და მემკვიდრეობის მიღების ვადის ამოწურვიდან მრავალი წლის შემდეგ? როგორ მოხდება მამობის დადგენა, საერთოდ არის თუ არა ეს ბავშვი მემკვიდრე თუ ემბრიონის გადატანა, ან ინ ვიტრო განაყოფიერება მოხდა და ბავშვი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან 1 ან 2 წლის შემდეგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1188-ე მუხლის თანახმად: მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს ათი თვის, ხოლო ამავე კოდექსის 1306-ე მუხლის თანახმად კანონით მემკვიდრეები არიან მამკვიდრების შვილები, რომლების დაიბადნენ ცოცხალი მისი გარდაცვალების შემდეგ, ხოლო ანდერძით მემკვიდრეები არიან მემკვიდრეები თუ ისინი ჩაისახნენ მამკვიდრების სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ. შესაბამისად შვილი, რომ სავალდებულო მემკვიდრე იყოს იგი უნდა იყოს ჩასახული და დაიბადოს ცოცხალი მამის გარდაცვალების შემდეგ, ამასთან მამობის დადგენა შესაძლებელია თუ ბავშვი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 თვისა. ხელოვნური განაყოფიერების შემთხვევაში შესაძლებელია მამის ბიოლოგიური მასალების გამოყენებით ემბრიონის შექმნა მოხდეს მამის გარდაცვალების შემდეგ, ხელშეკრულების შესაბამისად დედას უფლება ჰქონდეს მეუღლის გარდაცვალების მიუხედავად მოახდინოს მამის ბიოლოგიური მასალების გამოყენება და შესაძლოა ბავშვი დაიბადოს მამის გარდაცვალებიდან 1 ან 2 წლის შემდეგაც კი. თავისთავად ხელშეკრულების მხარის გარდაცვალების შემდეგ მისი თანხმობის მიღება ხელოვნურ განაყოფიერებაზე, თუ სუროგაციაზე, შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ბიოლოგიურმა მამამ სიცოცხლეშივე გასცა ნებართვა/თანხმობა გარდაცვალების შემდგომაც ბიოლოგიური მასალების გამოყენებაზე, გადატანაზე, მაგრამ გარდაიცვალა.²⁷⁷ ამგვარ ვითარებაში დაბადებული ბავშვების მიმართ უნდა მოხდეს

²⁷⁷ კიდევ უფრო შორს წავიდა ისრაელი და ახალი ზელანდია რომელიც ითვალისწინებს გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულისაგან ბიოლოგიური მასალის აღებას შვილის გაჩენის მიზნით. ამისათვის აუცილებელია სასამართლო ნებართვა. ბიოლოგიური მასალები მამაკაცისაგან აღებულ უნდა იყოს გარდაცვალებიდან 72 საათის განავლობაში, ხოლო ქალისაგან 2-4 საათის განმავლობაში. სადავოა სასამართლოს მიერ ამგვარი თანხმობის გაცემის წინაპირობები, თუმცა მნიშვნელოვანია მამკვიდრების ნების დადგენა გარდაცვალების შემდგომ ბიოლოგიური მასალების გამოყენებით შვილის გაჩენასთან დაკავშირებით. ამგვარ დავებს სასამართლოები განიხილავენ დაჩქარებული წესით. იხ. Ravitsky V. Posthumous Reproduction Guidelines in Israel. Hastings Center Report. Vol. 34. Iss. 2, March 2004. P.6-7 და Peart N. Life beyond Death: Regulating Posthumous Reproduction in New Zealand. Victoria University of Wellington. 2015. Vol. 46. No. 3. P. 725

დაბადების სააქტო ჩანაწერებში ბიოლოგიური მამის შესახებ მონაცემების ჩვეულებისამებრ შეტანა, თუმცა პრობლემას ქმნის სააგენტოს უარი, რამეთუ არ დგინდება მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 თვისა ბავშვის დაბადების ფაქტი. ამ საკითხთან დაკავშირებით დავის არსებობისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს ზემოაღნიშნული დებულებების გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი და კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, ზემოთ მითითებული ორი ნორმის კონსტიტუციურად და კონვენციის შესაბამისად განმარტებისა და ანალიზის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა დადგინდეს მამკვიდრების მამობა ხელოვნური განაყოფიერების, თუ სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მიმართ, (სამკვიდრო დავის დროს სასარჩელო წარმოების გზით) მიუხედავად იმისა რა ვადაა გასული მამის გარდაცვალებიდან ბავშვის დაბადებამდე. ნათესაური ურთიერთობის მტკიცების ნაწილში შესაძლო პრაქტიკული სირთულეების მიუხედავად, ასევე ასეთი „მემკვიდრის“ სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის სიძნელის მიუხედავად, უსაფუძვლოდ და ბავშვის უფლებების დარღვევად უნდა მივიჩნივთ მითითებული ბავშვის მემკვიდრეობითი უფლებების შეზღუდვა. საქმეზე, რომელიც ეხებოდა კანონიერი სუროგაციის გზით აშშ-ში დაბადებული ბავშვების მშობლებად ქორწინებაში მყოფი ფრანგი წყვილების სამართლებრივ აღიარებას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „პიროვნების ინდივიდუალობის მნიშვნელოვანი ასპექტი საფრთხის ქვეშაა იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობები დასარეგულირებელია. ასეთ შემთხვევაში კი მოპასუხე სახელმწიფოსთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები უნდა შემცირდეს... სასამართლომ გულმოდგინედ უნდა შეამოწმოს ის არგუმენტები, რომლებიც მხედველობაში იქნა მიღებული და რომლებითაც მოხდა მიღწეულ გადაწყვეტამდე მისვლა და დაადგინოს, დაცული იყო თუ არა სამართლიანი ბალანსი სახელმწიფოს სადავო ინტერესებსა და იმ პირთა ინტერესებს შორის, რომლებზედაც ასეთმა გადაწყვეტამ პირდაპირი ზეგავლენა იქონია... და გაითვალისწინოს ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ დროს, როდესაც საქმე ეხება ბავშვს, ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის უმნიშვნელოვანესი.²⁷⁸ ამავე

²⁷⁸ Mennesson v. France მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ; ადამიანის უფლებათა ევროპული

საქმეზე, სასამართლომ განმარტა რომ განმცხადებლებს, როგორც მშობლებსა და შვილებს, შორის ურთიერთობის სამართლებრივ აღიარებაზე საფრანგეთის უარი ეჭვის ქვეშ აყენებდა ბავშვების მემკვიდრეობის უფლებას. ამასთან, ბავშვსა და ბავშვის მამას შორის ბიოლოგიური კავშირის, როგორც პიროვნების იდენტურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, არსებობის გათვალისწინებით, ბავშვების საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისი არ იყო მათთვის „ისეთი სამართლებრივი ურთიერთობების ჩამორთმევა, რომელშიც ურთიერთობების ბიოლოგიური რეალობა დადგენილი იყო და დაინტერესებული მშობლები და ბავშვები ითხოვდნენ მის სრულ აღიარებას“.²⁷⁹ სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელი ბავშვების „იდენტობისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე სერიოზული შეზღუდვით, რაც უკრძალავს მათ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ბიოლოგიურ მამასთან სამართლებრივი ურთიერთობების აღიარებას, მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია მისთვის დაშვებული თავისუფალი შეფასების ფარგლები.²⁸⁰ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-16 ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე 2018 წლის 12 ოქტომბერს საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ მიმართა ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის თხოვნით, რაც განხორციელდა მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ საქმეზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ მენესონების წყვილის მიერ საფრანგეთის სასამართლოში წარდგენილი აპელაციის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის განხილვის კონტექსტში. შუამდგომლობა ეხებოდა აპელაციის გადასინჯვას 2010 წლის 18 მარტის პარიზის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმდა დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების საფრანგეთის რეესტრში შეტანილი ბავშვების აშშ-ს დაბადების მოწმობის მონაცემები.

სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, განაცხადი #65192/11, პარაგრაფი 80-81.

²⁷⁹ იქვე, პარაგრაფი 100.

²⁸⁰ იქვე, პარაგრაფი 100. იდენტური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ევროპული სასამართლოს მიერ 2016 წელს საქმეში Foulon and Bouvet v. France (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, განაცხადი #9063/14), რომლითაც სასამართლომ დაადგინა კანონიერი გესტაციური სუროგაციის გზით ინდოეთში დაბადებული ბავშვების მიმართ საფრანგეთის მიერ კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, რაც გამოწვეული იყო საფრანგეთის უარით, მოეხდინა ამ გზით დაბადებული ბავშვების მშობლებად განმცხადებლების - ბავშვების ბიოლოგიური მამების სამართლებრივი აღიარება, რომელთაც ბავშვების ხელოვნურად ჩასახვის მიზნით ისარგებლეს ინდოეთში ლეგალურად დაშვებული გესტაციური სუროგაციით და სადაც მათ ასეთი აღიარება სამართლებრივად მოიპოვეს.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ გადადო საქმის განხილვა აღნიშნული დასკვნის მიღებამდე. ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ დაბადებულ ბავშვსა და პოტენციურ დედას შორის სამართლებრივი ურთიერთობის არალიარება ნეგატიურ გავლენას ახდენდა ბავშვის პირადი ცხოვრების უფლების რამდენიმე ასპექტზე. არალიარებით ბავშვი ექცეოდა საზოგადოებაში მის იდენტობასთან დაკავშირებით სამართლებრივი გაურკვევლობის პოზიციაში. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესები ასევე იყო დაკავშირებული მის აღზრდაზე, საჭიროებებსა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების სამართლებრივ იდენტიფიკაციასთან, ისევე, როგორც სტაბილურ გარემოში ცხოვრებისა და განვითარების მის უფლებასთან.²⁸¹

დღეისთვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გადაწყვეტილია საკითხი მხოლოდ ისეთი შემთხვევაში, როცა ბავშვი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან 10 თვის განმავლობაში. მაგრამ უდავოა, რომ მამკვიდრებლის, მამის გარდაცვალებიდან 1 თუ 2 წლის შემდეგ ინ ვიტრო განაყოფიერებისა თუ სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და პოტენციურ მშობელს შორის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების საკითხი მოითხოვს სწრაფ საკანონმდებლო გადაწყვეტას, რომელიც განსაზღვრავს ამ ბავშვის მამობის დადგენის და მემკვიდრეობის საკითხს. დაბადების სააქტო ჩანაწერში სააგენტომ მამის მონაცემების შეტანა უნდა განახორციელოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებისა და სამედიცინო დაწესებულებიდან წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო დავის შემთხვევაში სამართალწარმოების საკითხი შეიძლება გადაწყდეს გამარტივებული სამართალწარმოების გზით, არ უნდა იყოს საჭირო გენეტიკური ექსპერტიზა (1190-ე მუხლი), სასამართლო უნდა დაეყრდნოს მხოლოდ მხარეთა ხელშეკრულებას და უნდა შემოწმდეს მხოლოდ ბიოლოგიური მამის ნება გარდაცვალების შემდგომ განკარგულებაზე. ამგვარი ბავშვების მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია ვადების განსაზღვრაც. საქართველოს

²⁸¹ ევროსასამართლოს დიდი პალატის საკონსულტაციო დასკვნა საზღვარგარეთ სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და პოტენციურ დედას შორის მშობლისა და შვილის სამართლებრივი ურთიერთობის ადგილობრივ კანონმდებლობაში აღიარების შესახებ, მოთხოვნილია საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ, No. P16-2018-001, სტრასბურგი, 2019 წლის 10 აპრილი, პარაგრაფი 16

კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სისტემის ფორმირება, რომელიც დაიცავს ბალანსს მხარეთა კერძოსამართლებრივ ინტერესებსა და სახელმწიფოს საჯარო ინტერესებს შორის და უპირველეს ყოვლისა გაითვალისწინებს დამხმარე სამედიცინო მეთოდებით, მათ შორის დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განხორციელების შედეგად დაბადებული ბავშვის ინტერესებს.²⁸² ევროპულ დოქტრინაში არსებობს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ გარდაცვალების შემდგომ ჩასახულ და დაბადებულ ბავშვებს უფლება აქვთ იყვნენ არა მხოლოდ ანდერძით არამედ კანონით მემკვიდრეებიც მშობლების გარდაცვალების შემდგომ.²⁸³

სამკვიდროს გახსნის შემდეგ კანონი დადგენილი წესების დაცვით ჩასახული და დაბადებული ბავშვების სამემკვიდრეო უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, თუმცა მეორეს მხრივ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის სირთულეებიც რაც ამ საკითხს ახლავს: სამკვიდროს გახსნიდან წლების (გაურკვეველი ვადის) გასვლის შემდეგ მემკვიდრის დაბადება და მისთვის სამკვიდროდან წილის გამოყოფა თავდაყირა აყენებს სამკვიდროს გაყოფის შემდეგ მემკვიდრეთა სამკვიდრო ქონების (წილები, მათ შორის სავალდებულო წილის) მესაკუთრედ ყოფნის სტაბილურობას, მამკვიდრებლის ვალდებულებების შესრულების, საანდერძო დანაკისრის უზრუნველყოფის და სხვა სამემკვიდრეო უფლება-მოვალეობებს. სამკვიდროს გახსნის და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ჩასახული და დაბადებული ბავშვის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით თანამედროვე ნომატიული რეგულაციებისაგან განსაკუთრებით პროგრესულია ის გამოსავალი, რომელსაც კალიფორნიის მემკვიდრეობის კოდექსით განმტკიცებული დებულებები გვთავაზობენ,²⁸⁴ რომლის მიხედვითაც სამკვიდროს გახსნის შემდეგ ჩასახული და დაბადებული შვილის მემკვიდრედ მოწვევისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: 1. მამკვიდრებლის წერილობითი თანხმობა გარდაცვალების შემდეგ მისი ბიოლოგიური მასალების გამოყენებით ბავშვის ჩასახვაზე/გაჩენაზე; 2. ჩასახვა გარდაცვლილის ბიოლოგიური მასალების გამოყენებით უნდა განხორციელდეს 2 წლის ვადაში მამკვიდრებლის

²⁸² ბოგვერაძე ნ. სუროგაციის სამართლებრივი რეგულაციების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. თბ.2019. გვ.478.

²⁸³ Wendehorst Chr. 7. Intestate Succession in Austria // Comparative Succession Law. Vol. II: Intestate Succession / Ed. by K.G.C. Reid, M.J. de Waal, R. Zimmermann. Oxford University Press, 2015. P. 168.

²⁸⁴ Kindregan C. P., McBrien M. Assisted Reproductive Technology: A Lawyer's Guide to Emerging Law and Science. American Bar Association, 2006. P. 233—234

გარდაცვალებიდან, (ან სასამართლოს მიერ იურიდიული ფაქტის დადგენიდან) 3. მამკვიდრებლის მიერ გარდაცვალების შემდგომ მისი ბიოლოგიური მასალის გამოყენებაზე ზედამხედველი, მაკონტროლებელი პირის დანიშვნა; 4. სამკვიდროს გახსნიდან 4 თვის ვადაში, გარდაცვლილის ბიოლოგიური მასალებზე ხელმისაწვდომის შესახებ უფლებამოსილი პირებისათვის შეტყობინება. როგორც აღინიშნა ეს საკითხი სამემკვიდრეო ურთიერთობებში გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს და აუცილებელია საკანონმდებლო რეგულაციები, რისთვისაც ვფიქრობ საინტერესო იქნება ზემოაღნიშნული გამოცდილების გაზიარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომ, კანონმდებლობა ითვალისწინებდეს მკაცრად დადგენილ ვადებსაც, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს სავალდებულო მემკვიდრის, შვილის ჩასახვა გარდაცვლილის ბიოლოგიური მასალების გამოყენებით, სამემკვიდრეო უფლებების წარმოშობისათვის.

რაც შეეხება ჩანასახის სიცოცხლის უფლებას, მას ისეთივე უფლება აქვს არსებობისა, როგორც დაბადებულ ადამიანს; მისი სიცოცხლის უფლება ისეთივე ბუნებითი უფლებაა, როგორც დაბადებული ადამიანის სიცოცხლისა. გარდა ამისა, ფეტუსის სიცოცხლის დაცვის გარეშე ადამიანის სიცოცხლის უფლების დაცვა ვერასოდეს იქნება სრული. „ფეტუსის სიცოცხლის უფლება“, ფაქტობრივად, „ადამიანის დაბადების უფლებაა“. ამიტომ, თუკი „სიცოცხლე“ მხოლოდ დაბადებიდან იწყება, მაშინ ფეტუსის სიცოცხლის დაცვა აუცილებელი პირობა ყოფილა ადამიანის სიცოცხლის გაჩენისა და მაშასადამე, სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფისა საზოგადოდ, და თუნდაც ამიტომ იმსახურებს სამართლებრივ დაცვას. ამრიგად, მიგვაჩნია, რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება ადამიანის სიცოცხლის უფლებისაგან განუყოფელია.²⁸⁵ სიცოცხლის უფლება ადამიანის ღირსების არსებითი ელემენტი და ყველა დანარჩენი ძირითადი უფლების „სასიცოცხლო“ წინაპირობაა,²⁸⁶ სიცოცხლესთან ერთად წარმოიშობა ყველა უფლება მათ შორის მემკვიდრედ ყოფნის უფლება. ჩანასახის მემკვიდრეობის პირობითი უფლება დაკავშირებულია ახალი მემკვიდრის შესაძლო დაბადებასთან და ამიტომ

²⁸⁵ გოცირიძე ე. სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, კორკელია ვ. (რედ.), თბილისი 2007, გვ 61

²⁸⁶ კუბლაშვილი ვ., სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით თბ., 2006, გვ. 185.

მემკვიდრედ ყოფნის უფლება ჩასახვისთანავე წარმოიშვება. შესაბამისად პრეემბრიონი უნდა გაუთანაბრდეს ჩანასახს და აღიარებული უნდა იყოს მისი შეზღუდული უფლებაუნარიანობა.²⁸⁷ ზემოთმოყვანილი მაგალითის შემთხვევაში თუ უნდა მოხდეს ემბრიონის გადატანა ქალის სხეულში (მაგ. არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება ან დედის მიმართვა კლინიკისადმი პროცედურების დაწყებაზე) ეს ეტაპი უნდა გაუთანაბრდეს ჩასახვის ეტაპს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1465-ე მუხლის თანახმად სამკვიდროს გაყოფა უნდა შეჩერდეს, ისევე როგორც ჩასახულის შემთხვევაში, მის ჩასახვამდე, ხოლო შემდგომ მემკვიდრის დაბადებამდე. აქ ბუნებრივია უნდა დადგინდეს გარკვეული ვადები და არ შეიძლება სამკვიდროს გაყოფა შეჩერდეს გაურკვეველი ვადით, იმაზე მითითებით, რომ უცნობია როდის გადავა პრეემბრიონი ქალის სხეულში. თუ პრეემბრიონს არ მივიჩნევთ სიცოცხლის დასაწყისად და არ გაუთანაბრებთ ჩანასახს მაშინ, სამკვიდროს გაყოფაც მემკვიდრეთა შორის არ შეჩერდება, არც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ნათესაური კავშირის დადგენა და სამკვიდროდან წილის მიღება იქნება შესაძლებელი.

საყურადღებოა, რომ დიდი ხნის განმავლობაში საკამათო იყო, კონკრეტულად როდის წარმოიშობოდა სახელმწიფოს ვალდებულება – დაეცვა ადამიანის სიცოცხლე: კვერცხუჯრედის განაყოფიერების მომენტიდან (მიუხედავად იმისა, განაყოფიერება მოხდა ქალის ორგანიზმში თუ მის გარეთ (ე.წ. ინ ვიტრო განაყოფიერება) ან ნაყოფის განვითარება გაგრძელდა საშვილოსნოს გარეთ (ექტოპიური განაყოფიერება) თუ განაყოფიერებული კვერცხუჯრედის საშვილოსნოში გადასვლის მომენტიდან (ნიდაცია). დღეისათვის გაბატონებული სამართლებრივი შეხედულებით, გადამწყვეტია ემბრიონის, ახალი სიცოცხლის წარმოშობის მომენტი და არა ნიდაცია. ამის საფუძველია თუნდაც ის, რომ წარმოშობილ ნაყოფს აქვს არა მარტო სიცოცხლის უფლება, არამედ იგი ფლობს ადამიანის ღირსებასაც. ახალწარმოშობილი ემბრიონი უკვე ყველასაგან განსხვავებული, თავისებური და შემდეგ დაბადებული ადამიანის იდენტური ინდივიდია, რაც კიდევ ერთი საფუძველია იმისათვის, რომ ვაღიაროთ: იგი სიცოცხლის უფლების სუბიექტია.²⁸⁸

²⁸⁷ Frank Schw. JZ 1984, S. 365-366; Lanz-Zumstein, S. 304.

²⁸⁸ კუმლაშვილი კ., სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით თბ., 2006, გვ. 185.

ქორწინების გარეშე დაბადებული შვილის სავალდებულო მემკვიდრედ მოწვევასთან დაკავშირებით აუცილებელია მამობის დადგენა დავის შემთხვევაში სასამართლო გზით. სასამართლო პრაქტიკაში დიდ ხნის მანძილზე მიმდინარეობდა დავა მამის გარდაცვალების შემდეგ მამობის აღიარების სარჩელთა დასაშვებობასთან დაკავშირებით. ასეთი სარჩელი დასაშვები უნდა იყოს ქორწინების გარეშე დაბადებული შვილებისათვის მემკვიდრედ მოწვევის უზრუნველსაყოფადაც. ქორწინების გარეშე დაბადებული შვილების მემკვიდრეობისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არაერთი საქმე იქნა განხილული, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული შვილისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევით დაირღვა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ერთობლიობაში. საქმეზე მაზურეკი საფრანგეთის წინაარმდეგ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კანონმდებლობის მიზანი იყო ლეგიტიმური, რომლის მიხედვითაც დაშვებული იყო განსხვავებული მოპყრობა, კერძოდ, სამართლებრივი სიცხადის პრინციპის და გარდაცვლილისა და მისი ოჯახის წევრთა უფლების დაცვა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მემკვიდრეობის მიმღების უფლების მქონე პირთა სიიდან ამორიცხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვის გაუქმებამდე, დასახული მიზნების მიღწევის პროპორციულ საშუალებას არ წარმოადგენდა. აღნიშნული დასკვნის გამოტანისას, სასამართლოსთვის გადამწყვეტი იყო ის ფაქტი, რომ მომჩივანი შვილად აღიარა მამამ. გარდა ამისა, მომჩივანი რეგულარულად სტუმრობდა მას და მის მეუღლეს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ უკანასკნელმა იცოდა მომჩივნის არსებობის შესახებ და ასევე, იმ ფაქტის შესახებ, რომ კანონმდებლობა ცვლილების ამოქმედების შემდეგ მემკვიდრეობის უფლებას აძლევდა ქორწინებით და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს, აუცილებლად იქონიებდა გავლენას მის მოლოდინზე მეუღლის ქონებასთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული პრეცედენტული სამართალი და ეროვნული საკანონმდებლო რეფორმები, ცალსახად მეტყველებდნენ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მემკვიდრეობის უფლებებთან დაკავშირებული ყოველგვარი

დისკრიმინაციის გამორიცხვის ტენდენციაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაუმართლებლად მიიჩნია ასეთი განსხვავებული მოპყრობა და მიუთითა, რომ ბავშვები რომლებიც ქორწინების გარეშე დაიბადნენ უნდა სარგებლობდნენ იგივე უფლებებით როგორც ქორწინებით დაბადებულები და ასეთი დისკრიმინაცია ეწინააღმდეგება კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ, ამასთან, ასეთი ბავშვები არ შეიძლება დაადანაშაულო იმაში, რაზეც ისინი არ არიან პასუხისმგებელნი, შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის პირველი ოქმის I მუხლთან ერთად.²⁸⁹

საქმეზე ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ მომჩივანი 1943 წელს დაიბადა, მამამისსა და დაქორწინებულ ქალს შორის კავშირის შედეგად. აღნიშნულ ქალბატონს ქორწინებიდან უკვე ჰყავდა ორი შვილი. მომჩივანი 40 წლის ასაკში სამართლებრივად აღიარებული იქნა ამ უკანასკნელის „უკანონო“ შვილად. 1994 წელს, დედის გარდაცვალების შემდეგ, მომჩივანი ცდილობდა *inter vivos* გაყოფის გაუქმებას, აცხადებდა რა, რომ მას დედის ქონებიდან „კანონიერი“ შვილების თანაბარი წილი ეკუთვნოდა. 2004 წლის სექტემბრის გადაწყვეტილებით *tribunal de grande instance*-მა მომჩივნის მიერ აღძრული სარჩელი დასაშვებად ცნო და დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. „კანონიერი“ შვილების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება. მომჩივანმა წარუმატებლად გაასაჩივრა სამართლის საკითხები. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ მას არ მიეცა საშუალება ესარგებლა 2001 წელს წარმოდგენილი კანონით, რომელიც „ქორწინების გარეშე დაბადებულ“ ბავშვებს „კანონიერი“ შვილების მსგავს სამემკვიდრეო უფლებებს ანიჭებდა და მიუთითებდა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 1-ლი თებერვლის გადაწყვეტილებაზე მაზურეკი საფრანგეთის წინააღმდეგ. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის

²⁸⁹ *Mazurek v. France*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, განაცხადი №34406/97, 2000 წლის 1 თებერვალი) წინამდებარე საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ 2009 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ ვერ სარგებლობდა მემკვიდრეობის უფლებით, რადგან მისი მშობლები არ იმყოფებოდნენ კანონიერ ქორწინებაში. იმ დროისთვის, ზემოაღნიშნული არ წარმოადგენდა სამართლებრივ საფუძველს მემკვიდრეობის მისაღებად. 1949 წლის 1 ივლისამდე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებს არ ჰქონათ შესაძლებლობა ესარგებლათ კანონით დადგენილი მემკვიდრეობისა და ფინანსური კომპენსაციის უფლებებით.

აკრძალვა) დარღვევას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთად (საკუთრების დაცვა). სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ნახევარდისა და ნახევარძმის სამემკვიდრეო უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზანი არ გადაწონიდა მომჩივნის მოთხოვნას, მასაც მიეღო დედის საკუთრება და რომ, შესაბამისად, მასთან მიმართებით განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციული იყო, ვინაიდან მას არ ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება.²⁹⁰

საქმეზე პლა და პუნკერნაუ ანდორის წინააღმდეგ მომჩივანს, რომელიც შვილად იყო აყვანილი, ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება და დედამისმა, მეორე მომჩივანმა, შესაბამისად დაკარგა ოჯახის საკუთრების ფლობის უფლება, მას შემდეგ, რაც ანდორის სასამართლოებმა ანდერძის ის მუხლი, რომელიც ადგენდა, რომ მემკვიდრე დაბადებული უნდა ყოფილიყო „კანონიერი და ეკლესიური ქორწინების“ შედეგად, იმგვარად განმარტეს, რომ იგი ეხებოდა მხოლოდ ბიოლოგიურ შვილებს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ერთობლიობაში. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი მომჩივნის მშობლებს ჰქონდათ „კანონიერი და ეკლესიური ქორწინება“ და რომ ანდერძში არ არსებობდა რაიმე მიმანიშნებელი იმისა, რომ შვილად აყვანილ ბავშვებს ჩამოერთმეოდათ მემკვიდრეობის უფლება. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება წარმოადგენდა „შვილად აყვანილი ბავშვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას სასამართლოს მიერ“, რაც „ამჟამად წინააღმდეგობაში მოდიოდა დისკრიმინაციის აკრძალვასთან.“²⁹¹

საქმეზე მითზინგერი გერმანიის წინააღმდეგ მომჩივანი დავობდა, რომ, მამის გარდაცვალების შემდეგ ვერ სარგებლობდა სავალდებულო წილის მემკვიდრეობის უფლებით, რადგან მისი მშობლები არ იმყოფებოდნენ კანონიერ ქორწინებაში. იმ დროისთვის, ზემოაღნიშნული არ წარმოადგენდა სამართლებრივ საფუძველს მემკვიდრეობის მისაღებად. 1949 წლის 1 ივლისამდე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა ესარგებლათ კანონით

²⁹⁰ FABRIS v. FRANCE ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატა, განაცხადი 16574/08; 2013 წლის 7 თებერვალი, გადაწყვეტილების 37-ე პარაგრაფი;

²⁹¹ PLA AND PUNCERNAU v. ANDORRA; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, განაცხადი 69498/01; 2004 წლის 13 ივლისი გადაწყვეტილების 59-ე პარაგრაფი.

დადგენილი მემკვიდრეობისა და ფინანსური კომპენსაციის უფლებებით. ამასთან, საჭიროებას არ წარმოადგენდა გარდაცვლილთა და სხვა მემკვიდრეთა კანონიერი მოლოდინების დაცვა, გარდა მამის ცოლისა, რადგან მომჩივანი იყო მისი მამის ერთადერთი შვილი, ხოლო მან მთლიანი საკუთრება უანდერმა მის ცოლს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „უკანონო“ და „კანონიერი“ ბავშვების მემკვიდრეობითი მიზნებისთვის განსხვავება ეხება კონვენციის მე-14 მუხლს მე-8 მუხლთან ერთობლიობაში, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდაცვლილს არ ჰყოლია სხვა პირდაპირი მემკვიდრეები პირველი მომჩივნის გარდა, თუმცა, მას ჰყავდა მეუღლე, რომელიც მან ერთადერთ მემკვიდრედ მოიხსენია. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მთავრობის არგუმენტზე ამ საკითხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გარდაცვლილის გადაწყვეტილება უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამის მიუხედავად, როგორც ჩანს ეროვნული ხელისუფლების თვალსაზრისითაც ერთადერთი მემკვიდრის მოლოდინები ყველა შემთხვევაში არ არის დაცული, რადგან ანდერძი (როგორც მოცემულ საქმეშია) არ გამორიცხავს ქორწინების დროს და 1949 წლის 1-ლი ივლისის შემდეგ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლებას გარდაცვლილის საკუთრებაზე. ამ ფაქტს ზეგავლენა უნდა მოეხდინა მომჩივნის მეუღლის მოლოდინებზე - განეხორციელებინა არასადავო უფლება საკუთრებაზე. იმ საკითხთან დაკავშირებით იყო თუ არა მიღებული ზომები და მიზანი პროპორციული, ევროპული სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ამ სფეროში განვითარებული ევროპული კონტექსტის გათვალისწინებით, რომელსაც არ შეუძლია უგულვებელყვოს კონვენციის აუცილებელი და დინამიკური ინტერპრეტაცია, გარდაცვლისა და მათი ოჯახების „ლეგიტიმური მოლოდინების“ დაცვა უნდა ითვალისწინებდეს, რომ დაცული იქნეს ქორწინების გარეშე და ქორწინების დროს დაბადებული ბავშვების თანაბარი მოპყრობა.²⁹²

²⁹² Mitzinger v. Germany ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, განაცხადი #29762/10; 2017 წლის 9 თებერვალი; პარაგრაფი 41-45.

4. შვილიშვილი, სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურიერთობის სუბიექტი

შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები არ არიან არც ერთი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები, ისინი სამკვიდროს მისაღებად მოიწვევიან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ცოცხალი აღარ არიან მათი მშობლები (ან მშობელი) რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. მემკვიდრეობის ასეთ სპეციფიკურ წესს უწოდებენ მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით²⁹³ ვინაიდან მემკვიდრეობა სისხლის ნათესაობაზე აგებული ინსტიტუტია და მემკვიდრეობის ფარგლები ნათესაობის ფარგლებში უნდა ვეძებოთ²⁹⁴. შვილიშვილი მამკვიდრებელთან ყველაზე ახლო მდგომი ნათესავი მემკვიდრეა და ბუნებრივია მისი არსებობის შემთხვევაში სამკვიდრო მეორე რიგის მემკვიდრეებზე არ უნდა გადავიდეს. ყველა ქვეყნის კანონმდებლობისათვის ცნობილია წარმომადგენლობითი მემკვიდრეობა, როგორც მემკვიდრეობის მიღების განსაკუთრებული წესი, როცა გარკვეული გარემოებების არსებობისას კანონისმიერ მემკვიდრეებად მოიწვევიან პირები, რომლებიც იკავებენ ისეთ მემკვიდრეთა ადგილს, რომლებიც უფრო ადრე გარდაიცვალნენ ვიდრე თავად მამკვიდრებელი.²⁹⁵ წარმომადგენლობითი მემკვიდრეობა კანონისმიერი მემკვიდრეობის ერთ-ერთ სახეს ან ცალკე მემკვიდრეობას არ წარმოადგენს. მისი არსი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვროს მემკვიდრეობის მიღების წესი ისეთ შემთხვევებში, როცა მემკვიდრე გარდაიცვლება მამკვიდრებელზე ადრე, შესაბამისად შვილიშვილების და მათი შვილების მემკვიდრეობას შესაძლებელია ეწოდოს თაობის მემკვიდრეობა²⁹⁶. გარდაცვლილი მამკვიდრებლის თაობა წარმომადგენლობითი მემკვიდრე იქნება მიუხედავად იმისა თუ თავად გარდაცვლილი მამკვიდრებლის მემკვიდრე აღიარებული იყო უღირს მემკვიდრედ და/ან ჩამორთმეული ჰქონდა მემკვიდრეობა²⁹⁷. წარმომადგენლობითი მემკვიდრე, რომელსაც არ მიუძღვის ბრალი მისი წინამორბედის საქციელისათვის ხდება მემკვიდრე, რაც სამოქალაქო კანონმდებლობის უმნიშვნელოვანეს კეთილსინდისიერების პრინციპზე მეტყველებს და სამართლიანობაზე საზოგადოების შეხედულების ფორმირებას ასახავს.

²⁹³ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2007 წ. გვ 25

²⁹⁴ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი; თბილისი 2000; გვ 97

²⁹⁵ Дворников В. К. Наследственное право. К. 1974 С 127

²⁹⁶ Серебровский В. И. Очерки Наследственного права. М. 1953 С 103

²⁹⁷ სსკ 1314-ე მუხლი

მემკვიდრედ მოწვევის ამ “მიუხედავად” თავისებურების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ შვილიშვილის წარმომადგენლობით მემკვიდრეობის უფლება განსაზღვრული ზომით დამოუკიდებელია,²⁹⁸ თუმცა მას როგორც მემკვიდრეობის დამოუკიდებელ ფორმად და სახედ მაინც ვერ მივიჩნევთ. წარმომადგენლობითი მემკვიდრე სამკვიდროს გახსნისთანავე იკავებს მანამდე გარდაცვლილი მემკვიდრეობის ადგილს, ისე რომ ეს ქონება არც შედის მისი წინამორბედი წარმოდგენილი პირის სამკვიდრო მასაში და ამ უკანასკნელის ვალეებითაც არ არის დატვირთული. წარმომადგენლობით მემკვიდრეობას ადგილი აქვს მხოლოდ გარკვეული იურიდიული ფაქტების არსებობისას და მას ვერ ვაგებინებთ პასუხს იმ ქმედებებისათვის, რომელიც არ ჩაუდენია. თუმცა წარმომადგენლობითი „უდანაშაულო“ სამკვიდროს მისაღებად მოწვევასთან დაკავშირებით იურიდიულ დოქტრინაში არის განსხვავებული პოზიციებიც, რომელიც მიუთითებენ, რომ რამდენადაც წარმომადგენელი მემკვიდრის უფლებები გამომდინარეობს წარმომდგენი გარდაცვლილი მემკვიდრის უფლებებიდან, თუ ამ უკანასკნელს ჩამორთმეული აქვს მემკვიდრეობის უფლება, მაშინ, ვერც მისი წარმომადგენელი ვერ ისარგებლებს ამ უფლებით.²⁹⁹ წარმომადგენლობითი მემკვიდრე ვერ განახორციელებს წარმოდგენილი პირის სამემკვიდრეო უფლებებს, როცა ეს უკანასკნელი აღარ არის მემკვიდრე.³⁰⁰ მართალია წარმომადგენლობითი მემკვიდრე იკავებს წარმოდგენილი გარდაცვლილი მემკვიდრეობის ადგილს, მაგრამ როგორც ავღნიშნეთ იგი არ არის ვალდებული პასუხი აგოს მისი წინამორბედის ქმედებებზე. შვილიშვილი ვერ იქნება მემკვიდრე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისმა მშობელმა უარი თქვა სამკვიდროზე, ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეობა გამოირიცხება დაღმავალი ხაზის შთამომავლებისთვისაც.³⁰¹

შვილიშვილის სავალდებულო წილის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დავა დღემდე გრძელდება. ზოგიერთ სასამართლო გადაწყვეტილებით შვილიშვილი მიჩნეულია სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირად, რაც არასწორია და სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა

²⁹⁸ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი. 2007 წ. გვ 25

²⁹⁹ Гонгало. Ю.Б Юридические факты в наследственном праве России и Франции. Сравнительно-правовое исследование. М, 2010. Стр. 37

³⁰⁰ Jubault Ch. Les successions. Les libéralités. Montchrestien, EJA, 2005. P. 137

³⁰¹ შენგელია რ. შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი თბილისი 2011 გვ 136

წრის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ გაფართოებას გულისხმობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი ამომწურავად შეიცავს სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირთა ჩამონათვალს და ანალოგიის გამოყენებითა ამ წრის გაზრდა დაუშვებელია. მითითებული ნორმა სავალდებულო მემკვიდრეებად ასახელებს მამკვიდრებლის შვილებს და არ შეიცავს დებულებას შვილიშვილების შესახებ, თუ მათი მშობელი, რომელიც სავალდებულო მემკვიდრე იქნებოდა ცოცხალი აღარ არის სამკვიდროს გახსნის დროისათვის, როგორც ამას შეიცავს სსკ 1336-ე მუხლის დანაწესი. კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება მკაცრად განსაზღვროს სავალდებულო წილზე უფლებამოსილ მემკვიდრეთა წრე გამორიცხავს ნორმის ანალოგიით გამოყენებას კანონით მოუწესრიგებელ შემთხვევაზე, რადგან სახეზე არ გვაქვს ანალოგიის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა, კერძოდ, გამორჩენილი ხარვეზი. ის ფაქტი, რომ კონკრეტული „ა“ გარემოება და კანონით მოწესრიგებული „ბ“ შემთხვევა ერთმანეთის მსგავსად შეგნებულად არ მოწესრიგდა, თავისთავად გამორიცხავს ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას. პირიქით, კანონმდებელი აქ უშვებს მხოლოდ ე.წ. უკუდასკვნის გაკეთების შესაძლებლობას – *argumentatio e contratio an argumentum e silentio*. თავისი დუმილით კანონმდებელი ცალსახად აცხადებს, რომ კანონით მოუწესრიგებელი შემთხვევა არ უნდა გადაწყდეს კანონით ცალსახად მოწესრიგებული შემთხვევის მსგავსად. ასეთ შემთხვევაში, საკითხი იმის შესახებ, ეხება თუ არა საქმე კანონმდებლის შეგნებულ გადაწყვეტილებას ან გამორჩენილ ხარვეზს, შესაბამისად, დასაშვებია თუ არა კანონის ანალოგიის გამოყენება, იქმნება თუ არა უკუდასკვნის გაკეთების აუცილებლობა, შესაძლებელია დადგინდეს მხოლოდ ნორმის აზრისა და მიზნის გამოკვლევის შედეგად. საქმე ეხება ე.წ. ტელეოლოგიურ განმარტებას.³⁰²

სავალდებულო მემკვიდრეთა სუბიექტების განსაზღვრისას კანონმდებლობა არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს და მოსამართლეს არა აქვს უფლება, კანონს, რომელიც ფორმულირებისა და შინაარსის მიხედვით ერთმნიშვნელოვანია, „კონსტიტუციის შესაბამისი“ განმარტების გზით საპირისპირო მნიშვნელობა მიანიჭოს. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1953 წლის 7

³⁰² ბიოლინგი ჰ. უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 6, თბ. №4. 2003; გვ 520

მაისის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ „ორაზროვნების შემთხვევაში საჭიროა ნორმის კონსტიტუციური განმარტება“, მაგრამ იმავდროულად მიუთითა, რომ ყოველივე აღნიშნულის ფარგლებში „აუცილებელია მთლიანად კანონის მიზნის გათვალისწინება... არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ასეთი კონსტიტუციური განმარტება არსებით საკითხებში გასცდეს ან შეცვალოს საკანონმდებლო მიზნები“.³⁰³

სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლეთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სსკ 1372-ე მუხლი, რომლის თანახმადაც: სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან და ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. ზემოაღნიშნული დანაწესი გამოყენებისათვის აუცილებელია ორი პირობის არსებობა: პირველი – სამკვიდროს გახსნა ანუ; გარდაიცვალა ძირითადი მემკვიდრის, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ გარდაიცვალა სავალდებულო მემკვიდრე ისე რომ ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება და მეორე – ასეთი სამკვიდროს ანუ სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის არა ყველა, არამედ მხოლოდ იმ მემკვიდრეზე, რომლებსაც გარდაცვლილი მემკვიდრისაგან სავალდებულო წილი ეკუთვნით. სავალდებულო წილის მიღების უფლება უნდა გააჩნდეს ჯერ თავად წარმომდგენ პირს, მაგალითად მამის გარდაცვალების შემდეგ გარდაიცვალა სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირის შვილი. შესაბამისად მამის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შემდეგ იგი მოიწვეოდა სავალდებულო წილის მისაღებად. ასეთ დროს თუ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება მისი ეს უფლება შედის სამკვიდრო მასაში და გადადის მემკვიდრეებზე. სამკვიდრო მოიცავს იმ უფლება-მოვალეობებს, რომელიც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებზე გადადის მემკვიდრეობის სამართლის ნორმებით დადგენილი წესით. შესაბამისად სამკვიდროში შედის მხოლოდ ის უფლება-მოვალეობები, რომელიც მამკვიდრებელს ჰქონდა სამკვიდროს გახსნის დროისათვის. სავალდებულო მემკვიდრეს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სამკვიდროს გახსნის დროისათვის ჰქონდა სავალდებულო წილის მიღების უფლება, რომელიც შედის მის სამკვიდრო მასაში და რომელიც გადაეცემა მის მემკვიდრეებს. თუ სავალდებულო მემკვიდრის

³⁰³ იურგენ შვაბე (ჰამბურგის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორი), გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ. 2011 წ. გვ 1

გარდაცვალება წინ უსწრებდა თავად მამკვიდრებლის გარდაცვალებას მაშინ ეს უკანასკნელი ბუნებრივია სავალდებულო წილის მისაღებად ვერ მოიწვეოდა, შესაბამისად სამკვიდროს გახსნის დროისათვის მის სამკვიდრო მასაში ვერც შევა სავალდებულო წილზე უფლება. ამის საწინააღმდეგო განმარტება უსაფუძვლოდ გაზრდიდა სავალდებულო წილის მიმღებ პირთა წრეს და რაც მთავარია შესაძლებლობას მიანიჭებდა არა მხოლოდ შვილიშვილს არამედ მამკვიდრებლისათვის უცხო სხვა პირებსაც მიეღოთ სავალდებულო წილი. თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას რომ სავალდებულო წილის მემკვიდრის უფლება სავალდებულო წილზე გადადის მემკვიდრეობით, მაშინაც როცა მას ეს უფლება სიცოცხლეშივე არ მოუპოვებია, გამოდის რომ იგი არის დამოუკიდებელი სამკვიდროს ქონება და ეს ქონება (სავალდებულო წილი) მემკვიდრეობით გადავა სავალდებულო მემკვიდრის ნებისმიერ მეორე თუ შემდგომი რიგის ან თუნდაც ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე. მემკვიდრე რომელიც თავად არ იყო აღჭურვილი სავალდებულო წილის მიღების უფლებით, არასოდეს არ მოუპოვებია ეს უფლება მის სიცოცხლეში, ვერც მის მემკვიდრეს გადასცემს იმას რაც მას არასოდეს ჰქონია.

საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სადაც მოსარჩელე შვილიშვილი ითხოვდა სავალდებულო წილს განმარტა შემდეგი: საქართველოს კოდექსის 1307-ე მუხლის „ა“ პუნქტით კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის, გარდაცვალებას წინ უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის, კასატორის მამის, გარდაცვალება. ამდენად, ბუნებრივია, ეს უკანასკნელი მოგვიანებით გარდაცვლილის სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მისაღებად მოწვეული ვერ იქნებოდა. კასატორის მოთხოვნის უსაფუძვლობას განამტკიცებს სკ-ს 1372-ე მუხლი, რომლის თანახმად სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. სავალდებულო წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, ანუ ადამიანის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას (იხ. სკ-ს 1319-ე მუხლი). ე. ბ-ს ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მისი

გარდაცვალების შემდეგ და შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლებითაც შეეძლოთ ესარგებლათ მხოლოდ იმ მომენტისათვის ცოცხალ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს.³⁰⁴

სავალდებულო მემკვიდრეთა ჩამონათვალი კანონმდებლობით ამომწურავია და მასში შემადგენლობაში არ შედიან გარდაცვლილის შვილიშვილები და შვილთაშვილები, წარმომადგენლობის უფლებით (ე.ი. თუ მათი მშობლები გარდაიცვალნენ სამკვიდროს გახსნამდე) სავალდებულო წილზე უფლებას აქვს პირადი ხასიათი, ე.ი. ეს უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული სავალდებულო მემკვიდრის პიროვნებასთან. ამიტომ, ის არ შეიძლება გადავიდეს სხვა პირზე მემკვიდრეობაზე უარის თქმის წესით,³⁰⁵ უფლება სავალდებულო წილზე ასევე არ გადადის გარდაცვლილი მემკვიდრის შთამომავლებზე წარმომადგენლობის უფლებით.³⁰⁶

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შვილიშვილის სავალდებულო წილთან დაკავშირებულ დავაზე განმარტა რომ: სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). ამავე კოდექსის 1307-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის, უ. ბ-ძის, გარდაცვალებას წინ უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის, კასატორების მამის – ი. ბ-ძის გარდაცვალება. შესაბამისად, ეს უკანასკნელი მოგვიანებით გარდაცვლილი უ. ბ-ძის სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მისაღებად მოწვეული ვერ იქნებოდა. კასატორების მოთხოვნის უსაფუძვლობას განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლი, რომლის თანახმად, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის

³⁰⁴ სუსგ № 33-1434-02 27.05. 2003 წ.

³⁰⁵ Булаевский Б.А Наследственное право – М.: 2005 С 45

³⁰⁶ Абова Т.Е. Комментарий Гражданскому Кодексу Российской Федерации М. 2004 с 65

მემკვიდრეობით. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სავალდებულო წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას. უ. ბ-მის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალების შემდეგ და შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლებითაც შეეძლოთ ესარგებლათ მხოლოდ ამ მომენტისათვის ცოცხლად მყოფ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს. კასატორებზე მათი მამის სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავიდოდა, თუ ეს უკანასკნელი სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე გარდაიცვლებოდა, რომ სავალდებულო წილის მიღებას ვერ მოასწრებდა. საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა კასატორების არგუმენტს, რომ სააპელაციო სასამართლოს მათთვის სავალდებულო წილის მიკუთვნების საკითხის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმა ადგენს კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს, რომელშიც შვილიშვილებიც შედიან. ისინი ითვლებიან პირველი რიგის მემკვიდრეებად, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ნორმა განსახილველ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კანონით მემკვიდრეობა – გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე – მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ანდერძი მოიცავს მთელ სამკვიდროს და შესაბამისად, სადავო ურთიერთობა რეგულირდება სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც მამკვიდრებლის სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის გარდაცვალების შემთხვევაში, სავალდებულო

წილის მოთხოვნის უფლების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.³⁰⁷

ერთ-ერთ საქმეზე სადაც დადგინდა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებას წინ უსწრებდა მოსარჩელის მამის, პირველი რიგის მემკვიდრის გარდაცვალება სასამართლომ მიუთითა რომ ეს უკანასკნელი მოგვიანებით გარდაცვლილი კ. კ-ის სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მისაღებად მოწვეული ვერ იქნებოდა სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ სავალდებულო წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, როგორც არის მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას. განსახილველ შემთხვევაში, ლ. კ-ის გარდაცვალებამდე სამკვიდრო ვერ გაიხსნებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მამკვიდრებელი კ. კ-ე არ იყო ჯერ გარდაცვლილი. შესაბამისად, 1372-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება ვერ გადავიდოდა ლ. კ-ის მემკვიდრე ი. კ-ზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ კ. კ-ის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალების შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავალდებულო წილის მიღების უფლებით შეეძლოთ, ესარგებლათ მხოლოდ ამ მომენტისათვის ცოცხალ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს. ასეთი პირები კი, სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის შესაბამისად, არიან მამკვიდრებლის შვილები, მშობლები და მეუღლე. მოსარჩელეზე მამის სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავიდოდა, თუ ეს უკანასკნელი სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე გარდაიცვლებოდა, რომ სავალდებულო წილის მიღებას ვერ მოასწრებდა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ სავალდებულო წილის მიკუთვნების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით. აღნიშნული ნორმა ადგენს კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს, რომელშიც შვილიშვილებიც შედიან. ისინი ითვლებიან პირველი რიგის მემკვიდრეებად, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და

³⁰⁷ სუსგ № ას-681-637-2010 25.01.2011

თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. კანონით მემკვიდრეობის და სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა თავში და ისინი წარმოადგენენ სპეციალურ ნორმებს. კანონით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 1336-ე-1343-ე მუხლები) არ შეიცავს რაიმე დათქმას სავალდებულო წილზე, ხოლო რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის შინაარსს, მასში აღწერილია სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირები არა ზოგადად კანონით მემკვიდრეთა წრიდან, არამედ კონკრეტულად, სხვა ნორმაზე მითითების გარეშე, ხოლო მათ შორის მამკვიდრებლის შვილიშვილები მოხსენიებული არ არის. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის გამოყენებას განსახილველი შემთხვევისათვის აფერხებს ასევე ამავე კოდექსის 1306-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, რომლის თანახმადაც, კანონით მემკვიდრეობა, გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ნორმა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ შეიცავს, იგი, როგორც ზოგადი ნორმა, სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის ლოგიკური განმარტებისათვის შემოწმებას მოითხოვს. სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ანდერძი მოიცავს მთელ სამკვიდროს, ანდერძი არ არის გაბათილებული და შეცილებული მოსარჩელის მიერ. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ სავალდებულო წილის უფლების დადგენისათვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული კანონით მემკვიდრეობის ნორმები.³⁰⁸

სულ სხვა მოსაზრებები განავითარა სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე სადაც ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დადგინდა. პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეთა წრეს, რომელთა შორისაა იმ პირველი რიგის მემკვიდრეთა ჩამონათვალი, რომლებსაც უფლება აქვთ, მიიღონ 1371-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო წილი. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე და 1336-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის

³⁰⁸ სუსგ № ას-1223-1164-2014. 16 თებერვალი 2015 წელი

საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შვილიშვილი წარმოადგენს პირველი რიგის კანონით მემკვიდრეს და შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ე. გ-ის გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო და შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს – 1336-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ სუბიექტებს შეეძლოთ, სავალდებულო წილის მიღების უფლებით ესარგებლათ. აღნიშნული ნორმა კი ადგენს პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს, რომელშიც შედიან შვილიშვილებიც, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელე ე. ბ-ის მოთხოვნა სავალდებულო წილის მიღების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ს. ბ-ე (ე. ბ-ის მამა) ცოცხალი რომ ყოფილიყო, მიუხედავად ანდერძის არსებობისა, მას ეკუთვნოდა სავალდებულო წილი – ე. გ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების $\frac{1}{4}$ ნაწილი, ხოლო ს. ბ-ის გარდაცვალების გამო მისი წილი სამკვიდროში გადავიდა მის შვილ ე. ბ-ე. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტებები არ გაიზიარა საკასაციო სასამართლომ და განმარტა რომ: ვიდრე გაირკვეოდეს მატერიალური კანონმდებლობით პირისათვის მინიჭებული უფლების რეალიზაციის საკითხი, აუცილებელია იმის დადგენა, არის თუ არა კონკრეტული პირი ამ უფლების სუბიექტი და სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი. სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პირველ რიგში სწორად უნდა განიმარტოს სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ სავალდებულო წილის მიღების უფლება, კერძოდ, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასება იმის შესახებ, რომ სავალდებულო წილის ინსტიტუტის შემოღებით, კანონმდებელმა შეზღუდა რა

ანდერძის თავისუფლება, გაითვალისწინა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა, მათ შორის შვილიშვილების ინტერესები, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი ადარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ შეესაბამება როგორც კანონის სიტყვა-სიტყვით, ასევე ლოგიკურ და სისტემურ განმარტებას. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის გამოყენებას განსახილველი შემთხვევისათვის აფერხებს ასევე ამავე კოდექსის 1306-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, რომლის თანახმადაც, კანონით მემკვიდრეობა, გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ნორმა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ შეიცავს, იგი, როგორც ზოგადი ნორმა, სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის ლოგიკური განმარტებისათვის შემოწმებას მოითხოვს. სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სავალდებულო წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას. სავალდებულო წილის მიღების უფლებით სარგებლობენ მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხლად მყოფი სავალდებულო მემკვიდრეები. სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის მეორე წინადადება ითვალისწინებს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ტრანსმისიას, თუმცა, ამავე ნორმის თანახმად, ტრანსმისია დასაშვებია თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ისე, რომ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება. ხოლო ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პირიქით მოხდა მამკვიდრებლის გარდაცვალებას წინ უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის გარდაცვალება. ³⁰⁹

³⁰⁹ სუსგ № ას-1577-1480-2012. 16 ივნისი. 2013 წელი

ამდენად, მემკვიდრეობის სამართლის დებულებები შეიცავს კანონით მემკვიდრეობის (სსკ 1336-1343-ე მუხლები) და სავალდებულო წილის მემკვიდრეობის (1371-1382) მომწესრიგებელი სპეციალურ ნორმებს. სავალდებულო წილზე უფლებამოსილ მემკვიდრეთა წრეს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი, რომელიც იმპერატიულად, სხვა ნორმაზე (მაგ. სსკ 1336-ე მუხლზე) მითითების გარეშე ადგენს სავალდებულო წილზე უფლების მქონე კონკრეტულ პირთა წრეს პირველი რიგის მემკვიდრეებიდან, ესენი არიან მეუღლე, მშობლები და შვილები, ხოლო მათ შორის მამკვიდრებლის შვილიშვილები მოხსენიებული არ არის. შვილიშვილი შესაძლებელია იყოს სავალდებულო მემკვიდრე სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ტრანსმისიას. ამავე ნორმის თანახმად ტრანსმისია დასაშვებია თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ისე, რომ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება, ხოლო თუ მამკვიდრებლის გარდაცვალებას წინ უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის გარდაცვალება, ბუნებრივია ამ უკანასკნელს (სავალდებულო მემკვიდრეს) ვერ წარმოემობოდა სავალდებულო წილის მიღების უფლება და ამ უფლებით ვერც მისი მემკვიდრე ვერ ისარგებლებს. შესაბამისად, შვილიშვილი სავალდებულო მემკვიდრეა მხოლოდ მემკვიდრეობითი ტრანსმისიით და სპეციალური ნორმის არსებობისას, დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი სავალდებულო წილის მემკვიდრეობის უფლება.

VI. სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის ობიექტი

სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი სამართლებრივი ურთიერთობის აუცილებელი ელემენტია, არ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა თუ არ არის ამ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტი და არ არსებობს ობიექტი, რის გამოც ყალიბდება აღნიშნული სამართალურთიერთობა. სამართალურთიერთობის ობიექტებად განიხილავენ მატერიალურ და არამატერიალურ კეთილდღეობას,³¹⁰ რომლებსკენაც არის მიმართული სამართალურთიერთობის მონაწილეთა ქცევა, განპირობებული მათი ინტერესებით, დაიკმაყოფილონ ესა თუ ის მოთხოვნები. არსებობს მოსაზრება, რომ ობიექტი არ განეკუთვნება სამართლებრივი ურთიერთობის სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს, არამედ სცდება მისი სისტემური ცნების ფარგლებს და ობიექტური ფორმით წარმოადგენს მატერიალური სამყაროს რეალურ ნივთებსა და სულიერი შემოქმედების პროდუქტს.³¹¹ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, ერთი შეხედვით, უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს უფლების ობიექტსაც, თუმცა ეს არ ამართლებს ობიექტის კატეგორიის დაყოფას უფლების, მოვალეობისა და სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტებად. ვინაიდან არ არსებობს უფლება მოვალეობის გარეშე, უფლებასა და მისი შესრულების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულ მოვალეობას ერთი და იგივე ობიექტი აქვთ, რაც, საერთო ჯამში – სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს წარმოადგენს.³¹²

სამართლის დოქტრინაში გავრცელებულია სამართლის ობიექტთა სიმარავლის თეორია. რომლის მიხედვითაც სამართალურთიერთობის ობიექტად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის არამატერიალური გარეგანი, არამედ შინაგანი სამყაროს ნებისმიერი მოვლენა. ამიტომ ერთ-ერთ ასეთ ობიექტად უპირველესად გვევლინება თავად ადამიანი.³¹³ სამემკვიდრეო სამართალურთიერთობის ობიექტი ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სამკვიდროა. სამართალურთიერთობის ობიექტი არის არა ის რის გამოც ეს მოვლენა არსებობს,

³¹⁰ Алексеев С. С., Проблемы теории права: [курс лекций в 2 т.] / Науч. ред. П. К. Русинов, Свердловск, Изд-во Свердл. юрид. ин-та, 1972, Т. 1, Основные вопросы общей теории социалистического права, 1972, стр. 329-340

³¹¹ Халфина Р.О., Общее учение о правоотношениях, М, 1974, стр 202-204.

³¹² Белов В.А., Объект гражданского оборота, Объект субъективного гражданского права, объект гражданского правоотношения и объект гражданского оборота содержание и соотношение понятий, Статут, М 2007, 51.

³¹³ Bekker E.J. Grundbegriffe des Rechts und Mißgriffe der Gesetzgebung, Berlin, 1910, 114-115.

არამედ ის რაზედაც ეს მოვლენა მოქმედებს ან შეიძლება იმოქმედოს. ობიექტში იგულისხმება საგნები, რომლებიც დაპირისპირებულია სუბიექტთან და რომელისკენაც მიმართულია სუბიექტის ცნობიერება და საქმიანობა.³¹⁴ ამ ინტერპრეტაციიდან გამომდინარე მეცნიერები სამართალურთიერთობის ობიექტად მიიჩნევენ მატერიალური სამყაროს ნებისმიერ მოვლენას რომელისკენაც მიმართულია ამ სამართალურთიერთობის სუბიექტთა ნებელობითი მოქმედება.³¹⁵ სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის ცნებაში მოიაზრება ის, რომლისკენაც მიმართულია სუბიექტის ქცევა, უფრო ზუსტად, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მიერ უფლებათა და მოვალეობათა რეალიზაციის პროცესში განხორციელებული საქმიანობა³¹⁶. „ინდივიდის მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარე, მისი მოქმედებისა თუ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის „ობიექტი“ არის ყველაფერი, რაზეც მიმართულია ინდივიდის სუბიექტური უფლება“.³¹⁷ სამართლის ობიექტს წარმოადგენს ის მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე, რის გამოც წარმოიშობა სამართლებრივი ურთიერთობა და რაც სუბიექტების უფლება-მოვალეობათა შინაარსს შეადგენს³¹⁸ და რომლის გამოყენებით და წარმოდგენით ხდება უფლებამოსილი პირის ინტერესის დაკმაყოფილება.³¹⁹

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით უფლების ობიექტად თანაბარმნიშვნელოვნად და თანაბარწილად გამოცხადებულია ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.³²⁰ თუმცა სუბიექტის უფლება შესაძლებელია მხოლოდ ქონებზე არსებობდეს. ობიექტიც ვერ იქნება ის რაც არ არის ქონება, შესაბამისად კერძო სამართალურთიერთობის ობიექტად გვევლინება ის ქონება, რომელზედაც შესაძლებელია წარმოიშვას

³¹⁴ Кондрашев. В. А. Новейший философский словарь М. Феникс; 2005. 439

³¹⁵ Денисов А. И. Бернштейн Н. И. Советское государство и право М 1959 #5 С 58

³¹⁶ Дудин А.П., Объектправоотношения(вопросытеории), 1980, 68. მითითებულია: Протасов В.Н., Правоотношениякаксистема, 1991, 83.

³¹⁷ კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ.2009, 183.

³¹⁸ Голунский С.А., Строгович М.С., Теория государства и права, М., 1940, 277, მითითებულია: Сенчищев В. И. Объект гражданского правоотношения, Актуальные проблемы гражданского права, М, 1998, 117.

³¹⁹ Пиголкина А.С., Общая теория права, М. 1995, 249 მითითებულია: Сенчищев В. И. Объект гражданского правоотношения, Актуальные проблемы гражданского права, М, 1998, 118

³²⁰ ზოიძე ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 123

ინდივიდის სუბიექტური უფლება³²¹ სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის ობიექტი არის ის სამკვიდრო, რომელზედაც შესაძლებელია მემკვიდრეს წარმოეშვას მემკვიდრეობის უფლება. იოფე გვთავაზობს მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის ობიექტის დაყოფას მატერიალური (თავად სამკვიდრო ქონება) და იურიდიულზე (სავალდებულო პირთა ქცევა)³²².

მრავალი მეცნიერთა აზრით მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის ობიექტი არის სამკვიდრო. ეს აიხსნება იმით, რომ სწორედ სამკვიდრო ქონების გამო წარმოიშვება მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობა, ამ სამართალურთიერთობის სუბიექტთა მოქმედებებიც მიმართულია სწორედ სამკვიდროსკენ და სამართალურთიერთობის სუბიექტთა სამართლებრივი კავშირების მიზეზიც მხოლოდ სამკვიდროა. რა თქმა უნდა მემკვიდრეობისათვის განმსაზღვრელი არის სამკვიდრო, რადგან მის გარეშე მემკვიდრეობას ადგილი არა აქვს. მართალია მემკვიდრეობის სამართალში გამოიყენება ცნებები “სამკვიდრო” და “სამკვიდრო ქონება”, მაგრამ, უფრო სწორი არის ცნება სამკვიდრო მასა, როგორც მოიცავს მამკვიდრებლის იმ სამოქალაქო უფლებების და მოვალეობების ერთობლიობას რომელიც გადადის მემკვიდრეობით.

თეორეტიკოსები ტრადიციულად უფლებამონაცვლეობის ორ სახეს გამოყოფენ სამართალში ესაა სინგულარული და უნივერსალური უფლებამონაცვლეობა. მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობა ატარებს უნივერსალურ და არა სინგულარულ ხასიათს. ³²³ რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კანონით სხვა რამ არ გამომდინარეობს უფლებები და მოვალეობები მამკვიდრებლიდან მემკვიდრეებზე გადადის ერთსა და იმავე მომანტში, უცვლელი სახით როგორც ერთი მთლიანობა.³²⁴ ყველა შემთხვევაში ქონება უფლებამონაცვლეებზე უნდა გადავიდეს იმ სახით რა სახითაც არსებობს. ქონების გადასვლა უნდა მოხდეს მთლიანად როგორც ყველა სახის ქონებრივ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობისა.³²⁵ უნივერსალური უფლებამონაცვლეობა უნდა განვასხვაოთ კერძო ანუ სინგულარული უფლებამონაცვლეობისაგან, როცა ცალკეული მემკვიდრეების უფლებები გადაეცემა

³²¹ კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 183

³²² Иоффе О. С. Советское гражданское право (курс лекций). Часть III. – С.291.

³²³ შენგელია რ. შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 17

³²⁴ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Гражданское право. М., 2006. Т. 3 С. 607

³²⁵ შენგელია რ. შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 17

კონკრეტულ მემკვიდრეს. ამავე დროს როგორც უნივერსალურ ისე სუნგულარული უფლებამონაცვლეობის დროს არ დაიშვება მემკვიდრის მიერ თავისი შეხედულებისამებრ რომელიმე უფლების მიღება ან მასზე უარის თქმა. მემკვიდრე კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ვალდებულია მიიღოს ყველა უფლება ერთად ან მათზე უარი განაცხადოს. მემკვიდრის მიერ რომელიმე კონკრეტული უფლების მიღება ავტომატურად იწვევს მის მიერ დანარჩენი უფლებების მიღებასაც.³²⁶

დოქტრინაში არის შეხედულება, რომლის თანახმად, მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის ობიექტი ამოიწურება იმ უფლებებით და ვალდებულებებით, რომლებიც გადადიან უფლებამონაცვლეობის გზით³²⁷. ნივთზე უფლების არსებობა, არ ნიშნავს თავად ნივთის ფლობას. შეიძლება იქონიო უფლება, მაგრამ არა ნივთი და პირიქით. მრავალი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია ქონების გადასვლა, ხოლო მასთან დაკავშირებულ უფლებებსა და ვალდებულებებზე მათ შეიძლება არაფერი იცოდნენ³²⁸. სამართალურთიერთობის ობიექტის ფარგლებში უფლებებზე და ვალდებულებებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეობით, როგორც წესი გადადის ე.წ. უფლება (ვალდებულება) მდგომარეობა (საკუთრების უფლება ნივთზე, მამკვიდრებლის ვალების გადახდის ვალდებულება)³²⁹. უფლებები და ვალდებულებები კი ფართო გაგებით შეადგენენ მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის შინაარსს. სამკვიდრო შეიძლება შეიცავდეს არა მხოლოდ მამკვიდრებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, არამედ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ ხანგრძლივი ფლობა³³⁰. მემკვიდრეობით უფლებაში აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ არა თავად ფლობა, არამედ უფლება გახდეს ნივთის მესაკუთრე³³¹. ხანგრძლივი ფლობის უფლება შეიძლება გადავიდეს უნივერსალური უფლებამონაცვლეობის წესით, ვინაიდან ხდება მფლობელის პიროვნების იდენტურობის ფიქცია, მაგალითად მამკვიდრებლის და მემკვიდრის, შესაბამისად მომდევნო მფლობელი მხოლოდ

³²⁶ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2000. გვ 21

³²⁷ Никитюк П.С. Наследственное право и наследственный процесс (проблемы теории-и практики). Кишинёв: Штиинца, М 1973. – С.24.

³²⁸ Казанцева А.Е. Понятие наследства (наследственного имущества)// Нотариус- М 2006.-№6.- С.42.

³²⁹ Пиляева В.В. Гражданское право. – М.,2007. – С.86.

³³⁰ Сергеева А.П Толстой Ю.К. Гражданское право: Учебник. Ч. 3 / . М., 1998.- С. 49.

³³¹ Бевзенко Р.С. Защита добросовестно приобретенного владения в гражданском праве: Дис... канд. юрид. наук. Самара, 2002. – С. 111.

ფაქტიურად შეუდგება ნივთის თავიდან ფლობას თავის მიმართ, ხოლო იურიდიულად ხდება მონაცვლეობა ერთი და იგივე ნივთის მიმართ.³³² აქედან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ ადამიანის გარდაცვალებით მართალია წყდება მისი ფაქტობრივი ურთიერთობები, მაგრამ არ ილუპება მისი ქონებრივი სფერო, ე.ი. ნარჩუნდება იურიდიული ურთიერთობები³³³. მემკვიდრეობის დროს უფლება გადადის მემკვიდრეზე იმავე მოცულობით, რაც გააჩნდა გარდაცვლილს. ეს არ არის ახალი უფლება იგივეა, რაც იყო მანამდე. ამიტომ უფლებამონაცვლის მფლობელობა არ იღებს ახალ სახეს და უცვლელად გადადის უფლებამონაცვლეზე იმავე თვისებებით და ნაკლოვანებებით. თუ გარდაცვლილთან იგი არ იქცეოდა საკუთრებად, მაშინ მემკვიდრესთან იგივედ რჩება. მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში, უფლებამონაცვლის პიროვნება არ არის წინამორბედის პიროვნების გაგრძელება და მას შეიძლება გააჩნდეს ახალი მფლობელობა, მას გადასვლის მომენტში შეუძლია დაიწყოს იგი საერთოდ სხვა თვისებით, ასე რომ წინამორბედის მფლობელობას აღარ აქვს უნარი გადაიქცეს საკუთრების უფლებად, ხოლო უფლებამონაცვლის – შესაძლებელი ხდება³³⁴.

სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობის ობიექტის ძირითადი თავისებურება, განპირობებულია არა ქონების სავარაუდო მოცულობის შემცირებით საერთოდ მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის მიმართებაში, არამედ სავალდებულო წილის გამოყოფის წესის თავისებურებით. არსებითად, სავალდებულო მემკვიდრეს თავისი სავალდებულო წილის გათვალისწინებით შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ქონება, სავალდებულო წილის გამოთვლის დროს უნდა გავითვალისწინოთ მთელი სამკვიდრო ქონება. ამიტომ სამკვიდროში შედის მამკვიდრებლის კუთვნილი ნებისმიერი მოძრავი და უძრავი ნივთები. სამკვიდრო მასა შედგება ქონებისგან, რომელიც გარდაცვალების დღისათვის საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა მამკვიდრებელს. ამასთან სამკვიდროს შემადგენლობაში შედის შეზღუდული სანივთო უფლებები (მაგალითად, სერვიტუტის უფლება). ამასთან, სამკვიდროში

³³² Лоренц Д.В. Условия- вступления наследников в давностное владение//Наследственное право. – М., 2008. – №3. – С.14.

³³³ Байзигитова А.М. Очередность наследования по закону в Российской Федерации и зарубежных странах. Уфа, 2005. – С. 9 -10.

³³⁴ Победоносцев К.П. Курс гражданского права. Первая часть: Вотчинные права // Справочно-правовая система "КонсультантПлюс" (Классика российской цивилистики)- М., 2005.

შედის მხოლოდ ის ქონება, რომელიც ეკუთვნის მამკვიდრებელს კანონის საფუძველზე. ამიტომ სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში არ შეიძლება შევიდეს ქონება, რომელიც მიღებულია დანაშაულებრივი გზით ან შეძენილია იმ პირისაგან, რომელიც არის არაკეთილსინდისიერი შემძენი, თუ ამის შესახებ იცოდა ან ხვდებოდა მამკვიდრებელი (ე.ი. იმ შემთხვევებში, როდესაც მამკვიდრებელი იყო არაკეთილსინდისიერი შემძენი). სავალდებულო მემკვიდრე ვერ მოიპოვებს სამკვიდროში შემავალ ნივთზე საკუთრებას კეთილსინდისიერად, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ სავალდებულო წილის მემკვიდრეობის გზით, თუ თავად მამკვიდრებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე. ასეთ დროს მემკვიდრე ვალდებულია სსკ 990-ე მუხლის საფუძველზე დაუბრუნოს ნივთი ნამდვილ მესაკუთრეს.

სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის ობიექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ანდერძით გაუთვალისწინებელი ქონების ნაწილის არსებობის დროს, უფლება სავალდებულო წილზე დაკმაყოფილდება სწორად ამ ნაწილიდან, ხოლო, თუ იგი საკმარისი არ არის, მაშინ ნაანდერძევი ქონებიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1377-ე მუხლი). მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, სავალდებულო მემკვიდრე სავალდებულო წილზე თავისი უფლების რეალიზაციით იძენს განსაზღვრულ მემკვიდრეობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იძლევა მემკვიდრეობის ლეგალურ განსაზღვრებას. გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა სხვა პირებზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით ანდა ორივე საფუძველით.³³⁵ რომელი საზოგადოებაც არ უნდა ავიღოთ ყველგან მემკვიდრეობის სამართალი ესაა იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლითაც მოწესრიგებულია პირის ქონების იურიდიული ბედი.³³⁶

დოქტრინაში ჩამოყალიბდა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც სამკვიდრო თავისთავად წარმოადგენს ქონებრივ კომპლექსს³³⁷ ან „ქონებრივ კონგლომერატს“³³⁸ (შენაერთს). ამასთან, მეორე ტერმინის მიმდევრები განმარტავენ, რომ მათი ცნება უფრო ტევადია, ვიდრე ტერმინი „ქონებრივი კომპლექსი“, ვინაიდან თავად

³³⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლი

³³⁶ ზოიძე ბ. ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი თბილისი 2000 გვ 15

³³⁷ Ярошенко К.Б. Комментарий к части третьей Гражданского кодекса М.: Юристъ, 2002. – С. 185

³³⁸ Абова Т.Е. Богуславский М.М. Светланов А.Г. и др. Комментарий к ГК (части третьей)/. – М 2006 С. 13.

სამკვიდროს შეუძლია გააერთიანოს რამდენიმე ქონებრივი კომპლექსი.³³⁹ არსებობს მოსაზრება რომ მემკვიდრეობის, როგორც სამოქალაქო სამართლის ობიექტის დამოუკიდებლობა³⁴⁰ განპირობებულია მისი „ლოკალური ხასიათით“, ხოლო თავად ლოკალური ხასიათი აიხსნება სამართლებრივი მიმართულებით: მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობები მიმართულია იმისაკენ, რომ მოხდეს გარდაცვლილის ქონების გადასვლის უზრუნველყოფა სხვა პირზე³⁴¹.

რომაულ სამართალში მემკვიდრეობა ცნობილი იყო იურიდიულ პიროვნებად, რომელიც გამოხატავდა გარდაცვლილის ფიგურას³⁴². ხშირად ზოგიერთი მეცნიერი იურიდიულ პირებს მიაკუთვნებდნენ *hereditis jacens* – სამკვიდრო მასას – სამკვიდროს გახსნიდან მის შექენამდე, ამას კი იმით ხსნიდნენ, რომ მხოლოდ ამ ხერხით შეიძლება განიმარტოს, მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ რატომ არ იშლება ქონება თავის შემადგენელ ნაწილებზე.³⁴³ მაგრამ ქონება თავად არ შეიძლება იყოს უფლებების სუბიექტი, ხოლო მსგავსი ფიქცია აიხსნება სამკვიდროს დაცვით არამართლზომიერი ხელყოფისაგან, ვინაიდან უმკვიდრო ქონებასაც კი შეიძლება მიენიჭოს დაცვა სახელმწიფოს მხრიდან. სხვა მხრივ, საკანონმდებლო ტექნიკის მსგავსი ხერხი შესაძლებლობას გვაძლევს შევინარჩუნოთ სამკვიდროს, როგორც ნივთების, უფლებებისა და ვალდებულებების ერთიანი კომპლექსის მთლიანობა, უზრუნველყოთ მამკვიდრებლის კრედიტორების ინტერესები ისე, რომ არავის აქვს უფლება მიიღოს მხოლოდ სამკვიდროს აქტივი და სხვებს გადასცეს მხოლოდ პასივი.

მემკვიდრეებზე გადასაცემ სამკვიდრო ქონებას სამკვიდრო მასა ეწოდება. სამკვიდრო მასას წარმოადგენს იმ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა, რომელიც მამკვიდრებელს ჰქონდა სამკვიდროს გახსნის დროისათვის. სამკვიდრო ქონებად მიიჩნევა არა კონკრეტული ქონება და საგნები არამედ უფლება ამ ქონებაზე.³⁴⁴ სამკვიდრო მასაში არ შედის ის უფლება-მოვალეობები, რომელიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთნოდეს. ასევე კანონით და

³³⁹ იქვე.

³⁴⁰ Маковский А.Л. Суханова Е.А. Комментарий части третьей ГК РФ/ М.: Юрайт,2002. – С.21.

³⁴¹ Абова Т.Е. Богуславский М.М. Светланов А.Г. и др. Комментарий к ГК (части третьей)/. – М 2006 С. 13.

³⁴² Ярошенко К.Б. Комментарий к части третьей Гражданского кодекса РФ/Под ред. А.Л. Маковского, Е.А. Суханова. – М.: Юристъ, 2002. – С. 186

³⁴³ Санфилиппо Ч. Курс римского частного права: Учебник / Под ред. Д.В. Дождева. М., 2000. – С. 285; Гримм Д.Д. Лекции по догме римского права / Под редакцией и с предисловием В.А. Томсинова. М., 2003. – С. 86.

³⁴⁴ შალვა ჩიკვაშვილი მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2000. გვ 29.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორის და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მისი გარდაცვალებით. სამკვიდრო შეიძლება გაგებული იქნას ორი მიმართულებით. ერთი სამკვიდრო როგორც მამაკვიდრებლის პიროვნული სტატუსის განმსაზღვრელი ელემენტი ანუ მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის ობიექტი და მეორე ნივთების ერთობლიობა, რომელიც გადავიდა მემკვიდრეებზე --- სამკვიდრო ქონება. სამკვიდრო არის იმ ფასეულობათა ერთობლიობა, რომელიც მამკვიდრებელს ეკუთვნოდა.³⁴⁵ სამკვიდრო მასაში შედის მამკვიდრებლის ფასეული (ფულადი ხასიათის) საკუთრება და მოვალეობები, რადგან სამკვიდროს მიღების შემდეგ მამკვიდრებლის ქონების შემადგენელი ნაწილები იყოფა ნივთებად, ხოლო ნივთებს მხოლოდ ფულადი განზომილება აქვთ.³⁴⁶ ისე როგორც ქართულ გერმანულ სამართალშიც იგრძნობა კანონმდებლის სწრაფვა მემკვიდრეობა და სამკვიდრო ქონების ცნებათა გაერთიანებისაკენ.³⁴⁷ ამასთან გერმანულ სამართალში ქონების განსაზღვრაზე ასევე იგრძნობა რომაული სამართლის გავლენა.³⁴⁸ სამკვიდრო წარმოადგენს სამემკვიდრეო სამართალურთიერთობის ობიექტს და მემკვიდრეთა მიერ მისი მიღების შემდეგ ტრანსფორმირდება სამკვიდრო ქონებად. მაშასადამე თუ სამკვიდრო წარმოადგენს მამკვიდრებლის ერთ მთლიან განუყოფელ ქონებას, რომელთა შემადგენელი ნაწილებიც თეორიულად განსაზღვრულია კანონმდებლობით, სამკვიდრო ქონება არის მამკვიდრებლის ფიზიკურად დაყოფილი ქონება, რომლის შემადგენლობაშიც შედის კონკრეტული ნივთები, რომელთაგან ყოველი მეორე ასევე ქონებაა. სამკვიდროს და სამკვიდრო ქონების პრაქტიკული გამიჯვნა მდგომარეობს იმაში, რომ სამკვიდროს ცნების ქვეშ იმავდროულად კონსტანტირდება მამკვიდრებლის სიკვდილი და მამკვიდრებლის ქონების გადასვლა მის მემკვიდრეებზე, მემკვიდრეებს ჯერ წარმოეშვათ მემკვიდრეობის უფლება და შემდეგ საკუთრების უფლება ამ ქონებაზე. ³⁴⁹ ასეთ შემთხვევაში ქონება წარმოადგენს პირად და სხვა სანივთო უფლებათა ერთობლიობას, უფლებას მატერიალურ სიკეთეზე,

³⁴⁵ Langenfeld G. Freiheit oder Bindung beim gemeinschaftlichen Testament oder Erbvertrag von Ehegatten, neue jur. Wochenschrift. München; Frankfurt a.M., 1987. – Jg. 40, #27. – S. 1580

³⁴⁶ Schmidt K. Zum Prozessrecht der beschränkten Erbenhaftung, K. Schmidt Rundschau. 1989, H. 2, S. 47

³⁴⁷ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1922-ე მუხლით: პირის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება (სამკვიდრო), როგორც ერთიანი ობიექტი გადადის მემკვიდრეებზე.

³⁴⁸ Rechtswörterbuch, Begr. von Carl Creifelds; Hrsg. von Klaus Weber, 21 neubearb. Aufl, S. 287

³⁴⁹ Валах. В. В. Наследственные отношения в Украине Российской Федерации Франции Германии и США Харьков. 2012 с 177

ვალდებულებით და სამემკვიდრო უფლებებს.³⁵⁰ სამკვიდრო ორი მნიშვნელობითაც შეიძლება იქნას გაგებული პირველი – ის რაც დარჩა მამკვიდრებელს მისი გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის დროისათვის და ის რაც მიიღეს მემკვიდრებმა ხარჯების გაწევის შემდეგ. აქვე მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ანდერძისმიერ მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის ობიექტზე, მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძში გაითვალისწინოს არა მარტო ის ქონება რომელიც მამკვიდრებელს ანდერძის შედგენის დროისათვის გააჩნდა, არამედ ისიც რომელიც მისი სიკვდილის დროისათვის მის სახელზე აღმოჩნდება. მაგალითად მითითება სახლზე, რომელიც მოანდერძეს ანდერძის შედგენის დროისათვის არ გააჩნდა, მაგრამ ანდერძის შედგენის შემდეგ შეიძინა და მის სახელზე აღმოჩნდა.³⁵¹ ანდერძისმიერი მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის ობიექტია არა მარტო ის სამკვიდრო (უფლებები და მოვალეობები) რომელიც მამკვიდრებელს ჰქონდა მისი სიკვდილის დროისათვის არამედ შესაძლებელია სხვაც. მაგალითად საანდერძო დანაკისრის დროს დანაკისრის ობიექტი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს სამკვიდროს, რაც საანდერძო დანაკისრის ლეგატის ბუნების თავისებურებაზე მეტყველებს. საანდერძო დანაკისრით მამკვიდრებელმა შესაძლებელია დააკისროს მემკვიდრეს ვალდებულება გადასცეს სხვა პირს საკუთრებაში ნივთი არამარტო სამკვიდრო ქონებიდან არამედ, დავალოს ისეთი ქონების შემენა და გადაცემა, რომელიც არ შედის სამკვიდროში. თუმცა ლეგატი წარმოშობს არა მემკვიდრეობით, არამედ ვალდებულებით ურთიერთობას, რომელშიც კრედიტორი გამოდის ლეგატარი, ხოლო მოვალე მემკვიდრე.³⁵² ამასთან მემკვიდრემ საანდერძო დანაკისრი უნდა შეასრულოს მემკვიდრეობით მიღებული სუფთა წილის ღირებულების ფარგლებში. საანდერძო დანაკისრის შესრულების გარანტიას წარმოადგენს მოანდერძისაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება.³⁵³

უფლება-მოვალეობები, რომლებიც სამკვიდროში არ შედის შესაძლებელია დაიყოს სამ ჯგუფად: პირველი -- სამკვიდროში არ შედის მამკვიდრებლის პიროვნებასთან განუყოფლად დაკავშირებული პირადი ქონებრივი ხასიათის უფლებები და

³⁵⁰ Еннекцерус. Л. курс Германского гражданского римского права. М. Инос. Лит 1950. Т 1 - 58

³⁵¹ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თ. 2007. გვ 12

³⁵² ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თ. 2007. გვ 51

³⁵³ შენგელია შ. შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 100.

მოვალეობები, რომლებიც მის გარდაცვალებასთან ერთად ისპობა. (მაგალითად ალიმენტისა და პენსიის მიღების უფლება) მეორე – ის უფლება-მოვალეობები, რომელიც სამოქალაქო კოდექსითა თუ მოქმედი კანონმდებლობით არ შედის სამკვიდროში და მემკვიდრეთა შორის არ ნაწილდება. (მაგ. სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები, რომელიც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებით წყდება: დავალება; თხოვება;) მესამე – პირადი არაქონებრივი უფლებები და სხვა არამატერიალური სიკეთე, თუ კანონიდან ან სამართალურთიერთობის არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მაგ. საავტორო უფლებათა მემკვიდრეობით გადასვლის ორბუნებოვნება: ქონებრივი და არაქონებრივი.³⁵⁴ მემკვიდრეობით არ გადადის ავტორის უფლება, სახელის უფლება და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება, მაგრამ მემკვიდრეებს უფლება აქვთ განახორციელონ აღნიშნულ უფლებათა დაცვა, რაც ვადით არის შეზღუდული. შესაბამისად სამკვიდროში შედის ქონებრივი უფლებები, არაქონებრივი უფლებები და უფლებები, რომელიც შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც შერეული უფლებები.³⁵⁵

სამოქალაქო სამართალწარმოებისას ერთ-ერთი მხარის გარდაცვალების დროს დასადგენია საპროცესო უფლებამონაცვლეობა. ზოგადად საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ თავის თავზე იღებს თავისი წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს. შესაბამისად, თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამართლის მიხედვით დაუშვებელია, მაშინ დაუშვებელია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც.³⁵⁶ მატერიალურ სამართალში ურთიერთობის მონაწილე – კონტრაჰენტის ამა თუ იმ საფუძველით ურთიერთობიდან გასვლა იწვევს ამ ურთიერთობაში უფლებამონაცვლის ჩართვას და მისთვის იმ უფლება-მოვალეობათა გადაცემას, რაც თავდაპირველ სამართალსუბიექტს გააჩნდა. ზოგადად, სამოქალაქო სამართალში ორი სახის

³⁵⁴ Hovasse-Banget S. La Propriété littéraire et artistique en droit des successions, thèse. Rennes I, 1990; P.27

³⁵⁵ Guével D. Successions. Libéralités. 2^e éd. Paris: Armand Colin, 2004, P. 58

³⁵⁶ სუსგ საქმე ას-550-523-2013. 03.10.2013

უფლებამონაცვლეობა გვაქვს: პირველი – უნივერსალური ანუ ზოგადი უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მისი წინამორბედის ყველა უფლება-მოვალეობა (მემკვიდრეობა, იურიდიული პირის რეორგანიზაცია და სხვა) და მეორე – სინგულარული (კერძო) უფლებამონაცვლეობა, როდესაც უფლებამონაცვლეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლება (მოთხოვნის დათმობა). ორივე შემთხვევაში უფლებამონაცვლეობის ფარგლები იმისდა მიხედვით დგინდება, თუ რა სახის უფლებამონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამასთან, უფლებამონაცვლე უფლებებსა და მოვალეობებს იმ ფარგლებში იძენს, რა ფარგლებშიც იგი მის წინამორბედთან იყო. უფლებამონაცვლეობის ფარგლების შეზღუდვა, განსაკუთრებით ადრე არსებული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების ფარგლებში, მხოლოდ უფლებამონაცვლის ნებაზე ან მასსა და მის წინამორბედს შორის შეთანხმებაზე არ არის დამოკიდებული, ვინაიდან იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მესამე პირის ინტერესზე.³⁵⁷

ერთ-ერთ საქმეზე როდესაც გარდაიცვალა მოსარჩელე, რომელიც ითხოვდა ჩუქების გაუქმებას, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, საქართველოს უზენაესმა სასამართლოს განმარტა შემდეგი: ვინაიდან საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია მოსარჩელის გარდაცვალება, შესაბამისად, უნდა გაირკვეს, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასაშვებია თუ არა უფლებამონაცვლეობა. სარჩელის მიხედვით, მოსარჩელის მოთხოვნაა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი)

³⁵⁷ სუსგ საქმე # ას-941-979-2011. 01.11.2011.

ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. ამავე კოდექსის 1330-ე მუხლის თანახმად კი, სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი სიკვდილით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მჩუქებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული საფუძვლით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მიზანია მჩუქებლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა მან შეძლოს საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში, ცხადია, ეს მიზანი ვეღარ მიიღწევა. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ქონებრივი უფლება მჩუქებლის სამკვიდროში არ შედის და შესაბამისად, არც მის მემკვიდრეებზე გადადის (მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასაჩუქრებული მჩუქებლის ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრეა, ხოლო მჩუქებლის კმაყოფაზე ამა თუ იმ პირის ყოფნის ფაქტი, რომლის რჩენის ვალდებულებაც მჩუქებელს ექნებოდა, საქმის მასალებით არ დასტურდება და მასზე არც მჩუქებელს მიუთითებია). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში არ დაიშვება, დაუშვებელია ასევე საპროცესო უფლებამონაცვლეობაც, რაც განსახილველ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია.³⁵⁸ საქმეზე, სადაც მოსარჩელე ასევე ითხოვდა ჩუქების გაუქმებას არა მძიმე მდგომარეობის, არამედ, უმადურობის გამო სასამართლომ სავსებით სწორად განმარტა, რომ ნაჩუქარი ქონების გამოთხოვის უფლება როგორც არადამოუკიდებელი აღმჭურველი უფლება, არც გადაცემადია და არც მისი დაგირავებაა შესაძლებელი. მისი პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე იგი ასევე არც მემკვიდრეობით გადაცემადია. დაზარალებულ მჩუქებელს მხოლოდ თვითონ შეიძლება ჰქონდეს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება. თუმცა უკვე

³⁵⁸ სუსგ საქმე #№ას-54-53-2014. 30.05.2015 წელი.

გაცხადებული გამოთხოვიდან გამომდინარე უფლებები არ გვევლინებიან პერსონალური ხასიათის უფლებებად და შესაბამისად გადადიან მჩუქებლის მემკვიდრეებზე, ხოლო რაც შეეხება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება, მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის გამო, იგი, პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მჩუქებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. მითითებული საფუძვლით ჩუქების გაუქმების მიზანია მჩუქებლის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რათა მან შეძლოს საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში ცხადია ეს მიზანი ვეღარ მიიღწევა, აქედან გამომდინარე ხსენებული ქონებრივი უფლება მჩუქებლის სამკვიდროში არ შედის და, შესაბამისად არც მის მემკვიდრეებზე გადადის. ხოლო სსკ 529-ე მუხლით კი ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის აღძვრის შემდეგ მჩუქებელი გარდაიცვალა, ასეთ შემთხვევაში საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, რადგან სამკვიდროს აქტივში შედის ქონებრივი უფლებები, მათ შორის ჩუქების გაუქმების მოთხოვნაც და თუ სარჩელში მითითებული გარემოებები საბოლოოდ დადასტურდება, მაშინ ის სამართლებრივი შედეგი მიიღება, რომლის მიღწევაც გარდაცვლილ მჩუქებელს სარჩელის აღძვრით სურდა. ნაჩუქარ უძრავ ქონებებზე უფლება სამკვიდრო ქონებაში შევა³⁵⁹.

სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი სიკვდილით³⁶⁰. ამ მოწესრიგების საფუძველზე სამკვიდროში არ შედის ისეთი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათის გამო მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს: საალიმენტი უფლებები და მოვალეობები, პენსიის მიღების უფლება, მამკვიდრებლის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება (ზიანის ანაზღაურების იმ თანხის გარდა, რომელიც მამკვიდრებელს სიცოცხლეში უნდა მიეღო) და სხვა. მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამონაცვლეობის

³⁵⁹ სუსგ საქმე #ას-1050-2019. 09.09.2019 წელი

³⁶⁰ სსსკ 1330-ე მუხლი

ყველაზე გავრცელებულ სახეს სწორედ სამემკვიდრეო ურთიერთობები წარმოადგენს და ამ შემთხვევაში, მემკვიდრის პასუხისმგებლობის ფარგლები განსაზღვრულია მიღებული სამკვიდრო აქტივის ფარგლებით.³⁶¹ მემკვიდრეობის სამართალში, რომელიც მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის უნივერსალურობის პრინციპს ეფუძნება 1330 და 1484-ე მუხლები სხვებთან ერთად დაცვითი ფუნქციის მატარებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ სამემკვიდრეო სამართლებრივ ურთიერთობებში მამკვიდრებლის ჩანაცვლებით ამ უკანასკნელის უფლება-მოვალეობებს მემკვიდრე ღებულობს და მხოლოდ ისეთი უფლება-მოვალეობებისაგან იქნება თავისუფალი, რაც ცალსახად და არაორაზროვნად მამკვიდრებლის პირადი უფლების (ვალდებულების) ხასიათიდან გამომდინარეობდა, მხოლოდ მისი მონაწილეობით იყო განხორციელებადი ან მისთვის იყო განკუთვნილი. აღნიშნული კი სამემკვიდრეო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების სამართლებრივ და ზნეობრივ დაცვით მნიშვნელობაზე მიუთითებს.³⁶² ამასთან მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის ობიექტის --- სამკვიდროს განსაზღვრებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ზოგიერთ უფლება-მოვალეობათა მიმართ მოქმედებს მემკვიდრეობის სპეციალური წესი: მაგალითად, მემკვიდრეობა სამეწარმეო საზოგადოებაში და საავტორო უფლების მემკვიდრეობით გადასვლა.

სავალდებულო წილის მემკვიდრეობით სამართალურთიერთობის ობიექტი, ისევე როგორც მემკვიდრეობის ობიექტია სამკვიდრო, რომელიც წარმოადგენს მამკვიდრებლის სამართლებრივ უფლებათა ერთობლიობას, რომლებიც არსებობდა მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისათვის, არ შეწყვეტილა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მამკვიდრებლის გარდაცვალებით და ერთ მთლიანი სახით გადადის მემკვიდრეებზე. ამრიგად, სამკვიდრო წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებულ ობიექტს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა რიგის ელემენტებს, მაგრამ მთლიანობაში გამოდის როგორც ერთიანი ობიექტი. შესაბამისად სწორი იქნება გამოვიყენოთ ტერმინი სამკვიდრო მასა, რომელიც განისაზღვრება როგორც ქონებრივი ისე არაქონებრივი ხასიათის ნაირგვარი

³⁶¹ სსკ 1484-ე მუხლი

³⁶² სუსგ საქმე # ას-650-616-2015. 26.07.2017 წელი

კომპონენტების ერთობლიობად, გაერთიანებულ ერთ მთლიანობად სამემკვიდრეო ურთიერთობის განხორციელების მიზნით.³⁶³ სამკვიდრო აქტივებისა და პასივის ერთობლიობა სამკვიდრო ქონებას ანუ სამკვიდრო მასას წარმოადგენს.³⁶⁴

³⁶³ Гонгало. Ю.Б Юридические факты в наследственном праве России и Франции. Сравнительно-правовое исследование. Москва, 2010. Стр. 65

³⁶⁴ შენგელია რ. , ე შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 29

VII. სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაცია და მისი შედეგები

1. სავალდებულო წილზე მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის შინაარსი

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შინაარს ქმნის სუბიექტური უფლება და მისი შესატყვისი მოვალეობა. სუბიექტური უფლება გამოიხატება გარკვეული მოქმედების განხორციელების ან სხვა პირისაგან ქმედების მოთხოვნის უფლებით.³⁶⁵ სამართალურთიერთობის სტრუქტურის თემასთან დაკავშირებით სამართლის თეორიაში არსებობს შეხედულება, რომლის თანახმადაც უნდა განვასხვავოთ „სამართალურთიერთობის სტრუქტურა“ და „სამართალურთიერთობის ცნების სტრუქტურა“. ამასთან პირველს ახასიათებს ისეთი ელემენტები, როგორცაა სუბიექტი, ობიექტი და შინაარსი; მეორე შეიცავს მხოლოდ შინაარსს, ე.ი. უფლებებს და ვალდებულებებს³⁶⁶. სამართალურთიერთობის შინაარსის ხასიათთან მიმართებაში ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს სამოქალაქო სამართალურთიერთობის (მათ შორის მემკვიდრეობითი) შინაარსის განხილვას სოციალური პოზიციიდან: ე.ი. ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის იურიდიულ ფორმაში გამოდის სუბიექტების მოცემული სამოქალაქო-სამართლებრივი კავშირი და იურიდიული პოზიციიდან: სამოქალაქო სამართალურთიერთობის იურიდიული შინაარსი – ეს ის სამოქალაქო უფლებები და ვალდებულებებია, რომლებისგანაც შედგება, იქმნება მოცემული სამართლებრივი კავშირი³⁶⁷. სოციალური პოზიციიდან სავალდებულო წილზე უფლების რეალიზაციის შედეგად წარმოშობილი მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობა აყალიბებს რეალურ სოციალურ კავშირს აუცილებელ მემკვიდრესა და სხვა მემკვიდრეებს შორის, ხოლო იურიდიული პოზიციიდან – ეს მათი კონკრეტული იურიდიული შესაძლებლობებია. სამართალურთიერთობის ცნების სტრუქტურის საკითხს სხვაგვარად მიუდგა იოფე. ის ფიქრობდა, რომ ნებისმიერი სამართალურთიერთობას, გარდა იურიდიული შინაარსისა, რომელიც გამოიხატება მისი მონაწილეების უფლებებში და ვალდებულებებში, გააჩნია: მატერიალური შინაარსი (რომელიც შეადგენს მოცემული სამართალურთიერთობით გამყარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას) და იდეოლოგიურ შინაარსი

³⁶⁵ კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები თბ. 2009 წ გვ 80

³⁶⁶ Свердлык Г.А. Методологические проблемы теории правоотношения/ в кн. Красавчиков О.А. Гражданское право, эффективность и качество. – Свердловск, 1977.- С. 148.

³⁶⁷ Красавчикова О.А Советское гражданское право. М. 1998Том 1 . С.72

(სამართალურთიერთობა – იდეოლოგიური ხასიათის მოვლენაა. ვინაიდან სამართლის ნორმების რეალიზაცია ხდება მათ საფუძველზე დადგენილი სამართალურთიერთობების მეშვეობით, რადგან ასეთი სახით ნორმები და სამართალურთიერთობები იმყოფებიან დიალექტურ კავშირში და ერთიანობაში, მათი იდეოლოგიური შინაარსი ასევე უნდა იყოს ერთიანი)³⁶⁸.

მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის შინაარსს შეადგენს მემკვიდრეობის უფლება, რომელიც ეკუთვნის მემკვიდრეს და გამოიხატება მის შესაძლებლობაში მიიღოს მისი კუთვნილი მემკვიდრეობა (მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობის ობიექტი).³⁶⁹ სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობა განვითარების ორი ძირითადი ეტაპით ხასიათდება: პირველი ეტაპი იწყება სამკვიდროს გახსნით. პირის სიცოცხლეში მემკვიდრეობის უფლება არავის არ წარმოეშვება, მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის წარმოშობა იწყება სწორედ სამკვიდრებლის გარდაცვალებით. ამ მომენტიდან მემკვიდრეს წარმოეშობა სამკვიდროს მიღების უფლება. სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობა ამ ეტაპზე ატარებს აბსოლუტურ ხასიათს --- ყველა ვალდებულია თავი შეიკავოს სამკვიდროს მიღების უფლების დარღვევისაგან. როცა მემკვიდრემ მოახდინა სამკვიდროს მიღების უფლების რეალიზაცია – მიიღო სამკვიდრო ან უარი თქვა მის მიღებაზე იმ მომენტში სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის პირველი ეტაპი მთავრდება. იწყება მეორე ეტაპი, რომელიც გრძელდება მანამ ვიდრე არ გადაწყდება სამკვიდროს ბედი, ვიდრე არ მოხდება სამკვიდრო უფლებათა გაფორმება.³⁷⁰

მემკვიდრეობის უფლების შინაარსში შესაძლებელია გამოვყოთ სამი უფლებამოსილება, რომელთაგან ორი არის აქტიური ტიპის უფლებამოსილება (ვარაუდობენ მემკვიდრის მიერ განსაზღვრული მოქმედებების შესრულებას – გამოხატული ნება მიმართულია გარეთ) და ერთი – პასიური ტიპის უფლებამოსილება (უმოქმედობა – გარეგნული პირდაპირი ნების გამოხატვის არარსებობა): 1. მემკვიდრეობის მიღება – აქტიური ტიპის უფლებამოსილებაა, რომელიც ხორციელდება სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის მეშვეობით ან

³⁶⁸ Иоффе О.С. Избранные труды по гражданскому праву. – М: Статут, 2000. – С.666.

³⁶⁹ Гонгало Ю.Б. Юридические факты в наследственном праве России и Франции. Сравнительно-правовое исследование. Москва, 2010. Стр. 68

³⁷⁰ შენგელია რ., შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 49

სამკვიდროს დაუფლების ფაქტობრივი მოქმედებების შესრულებაში; 2. უარი მემკვიდრეობაზე – ასევე აქტიური ტიპის უფლებამოსილებაა, რომელიც ხორციელდება მემკვიდრეობაზე უარის შესახებ სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენის მეშვეობით. 3. მემკვიდრეობის მიუღებლობა – პასიური ტიპის უფლებამოსილებაა, რომელიც ხორციელდება რაიმე მოქმედებებისაგან თავის შეკავების გზით. უმოქმედობა, რომელიც მიმართულია მემკვიდრეობის მისაღებად, ამჟამად შეიძლება განვიხილოთ, როგორც უარი მემკვიდრეობაზე, შესაბამისად, თავისთავად წარმოადგენს მემკვიდრის დამოუკიდებელ უფლებამოსილებას. მემკვიდრეობის უფლების შინაარსში შეიძლება გამოვყოთ აგრეთვე მემკვიდრეობის მიღების უფლებამოსილების აქცესორული დამხმარე ხასიათის მცირერიცხოვანი უფლებები (მაგალითად, ნოტარიუსთან ან ანდერძის აღმსრულებელთან მიმართვის უფლება სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღების თხოვნით, აუცილებლობის შემთხვევაში – ქონების მართვის თხოვნით)³⁷¹. ამასთან, მემკვიდრის მიერ ამ უფლებების რეალიზაციის დროს წარმოიშობა დამხმარე სამართალურთიერთობები, რომლებიც მიმართულია მემკვიდრეობის უფლების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად (უფრო ზუსტად – მისი უფლებამოსილება მიიღოს მემკვიდრეობა), ისინი არ მიეკუთვნებიან მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობების რიცხვს და წარმოიშობიან მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს მემკვიდრეობითი სამართალურთიერთობა³⁷².

სავალდებულო წილის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის შინაარსი მოიცავს ამ სამართალურთიერთობის მონაწილე სავალდებულო მემკვიდრეთა უფლება-მოვალეობებს. იგი თავისი წარმოშობისა და განვითარების ორ ეტაპს მოიცავს: პირველი --- სავალდებულო მემკვიდრის მიერ სავალდებულო წილის, სამკვიდროს მიღება, (რომელიც ასევე გულისხმობს ანდერძისმიერ მემკვიდრისა თუ მესამე პირთა ვალდებულებას არ შეუშალონ მას ხელი ამ უფლების განხორციელებაში, ასევე უფლებამოსილ პირისა თუ ორგანოს ვალდებულება გაუწიონ სავალდებულო მემკვიდრს შესაბამისი დახმარება ამ უფლების

³⁷¹ Гонгало Ю.Б. Юридикო-факические основания динамики наследственного правоотношения (сравнительное исследование права России и Франции): Автореф.дис. канд.юрид. наук.-Екатеринбург, 2009. – С. 18.;

³⁷² Гонгало Ю.Б. Юридикო-факические основания динамики наследственного правоотношения (сравнительное исследование права России и Франции): Автореф.дис. канд.юрид. наук.-Екатеринбург, 2009. – С. 18.

განხორციელებაში), მეორე ეტაპზე სავალდებულო მემკვიდრის მიერ სავალდებულო წილი სამკვიდროს მიღებით, სამკვიდროს მიღების უფლება ტრანსფორმირდება საკუთრების უფლებად. რამდენადაც მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობა ატარებს უნივერსალურ ხასითს და სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეზე გადადის მამკვიდრებლის არა მარტო უფლებები, არამედ შეუსრულებელი ვალდებულებებიც (რა თქმა უნდა არა ყველა) სავალდებულო მემკვიდრე, ისევე როგორც ყველა ანდერძისმიერ თუ კანონისმიერი მემკვიდრე სამკვიდროს მიღების შემდეგ თავად ხდება უკვე სხვადასხვა იურიდიული ბუნების სამართალურთიერთობების სუბიექტი, ამ ურთიერთობებში როგორც უფლებების ასევე ვალდებულებების მატარებელი.

2. სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღება

მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შემდეგ უფლებები და მოვალეობები რომელიც გააჩნდა მამკვიდრებელს წყდება და გადადის მის მემკვიდრეებზე. ამავე დღიდან იწყება სამკვიდროს მიღების ვადების, კრედიტორების პრეტენზიების და სხვა ვადების დენაც. თუმცა მემკვიდრედ მოწვევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამკვიდრო ქონების საკუთრებაში მიღებას, მათ სამკვიდროს გახსნის შემდეგ საამკვიდროს მიღების მხოლოდ სუბიექტური უფლება წარმოეშვებათ,³⁷³ სამკვიდრო ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამკვიდროს მიღება.³⁷⁴ სამკვიდროს გახსნიდან სამკვიდროს მიღებამდე დროდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია 6 თვე, რომლის განმავლობაში ხდება მემკვიდრეთა შეთავაზება³⁷⁵ და მოწვევა სამკვიდროს მიღებისათვის. ამ ვადაში სავალდებულო მემკვიდრეს უფლება აქვს მიიღოს სავალდებულო წილი. მემკვიდრეობის მიღების (მასზე უარის თქმის) წარმოშობილი უფლების ბუნების საკითხი სადავოა სამართლებრივ ლიტერატურაში. გერმანელი ცივილისტები (ციტელმანის, ზეკელი) გამოყოფდნენ „წამიერი“ უფლებების (Gestaltungsrechte) განსაკუთრებულ კატეგორიას. მოცემული კატეგორიის შინაარსში გვევლინება ცალმხრივი გარიგების მეშვეობით კონკრეტული

³⁷³ Валах. В. В. Наследственные отношения в Украине Российской Федерации Франции Германии и США Харьков. 2012 с 79

³⁷⁴ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2000. გვ 154.

³⁷⁵ Покровский И. А. Основные проблемы гражданского право М: Стаутс 1998-С., 353

სამართალურთიერთობის დადგენის შესაძლებლობა. მითითებული შესაძლებლობა არ მიეკუთვნება იმათ წრეს, რომლებიც ეკუთვნის „ყველას და თითოეულს“ (მაგალითად, ყველას და თითოეულს შეუძლია წამოაყენოს წინადადება ხელშეკრულების დადების, ანდერძის შედგენის შესახებ და ა.შ.). ამის გარდა Gestaltungsrechte შემთხვევაში, ერთი მხარის უფლებას შეესაბამება არა მეორე მხარის ვალდებულება, არამედ მხოლოდ მისი შებოჭვა ამ უფლებით „ასე, მაგალითად, თუ კრედიტორს ალტერნატიულ ვალდებულებაში აქვს არჩევანის გაკეთების უფლება, ამ უფლებას არ შეესაბამება მოვალის რომელიმე ვალდებულება, და მხოლოდ მისი შებოჭვა კრედიტორის არჩევით“³⁷⁶.

სამკვიდრო ყოველთვის ეკუთვნის კანონით ან ადერძით გათვალისწინებულ პირს და იგი არასოდეს არ შეიძლება იყოს სამართალსუბიექტის გარეშე დარჩენილი ქონება. სამკვიდროს გახსნის შემდეგ ყოველთვის არის სუბიექტი (მემკვიდრე), რომელსაც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ იმ წამსვე წარმოეშვება მემკვიდრეობის უფლება. ეს გამომდინარეობს ორი გარემოებიდან, ერთი – სამკვიდროს მიღების ფაქტს ყოველთვის ენიჭება უკუქცევითი ძალა და მეორე მართალია მემკვიდრე იმწამსვე არ ხდება სამკვიდროს მესაკუთრე მაგრამ მას წარმოეშვება უფლება სამკვიდროზე, რომელიც შესაძლოა ტრანსფორმირდეს საკუთრების უფლებად. ეს მეტყველებს მემკვიდრეობის როგორც ფორმირებადი (უფლება რომელიც თავისი შინაარსით წარმოშობს სხვა უფლებას)³⁷⁷ უფლების თავისებურებაზე.

მემკვიდრეობის მიღების უფლებას მიაკუთნებენ „იმ უფლებათა რიცხვს, რომლებიც მათ სუბიექტებს შესაძლებლობას აძლევენ ცალმხრივი მოქმედებებით თავისთვის ან სხვა პირებისათვის შეექმნათ სუბიექტური უფლება“ ან „იმ უფლებათა რიცხვს, რომლებიც არიან სამართალურთიერთობის წარმოშობის წინაპირობები.“³⁷⁸ სავალდებულო მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების უფლება „უფლებამიმნიჭებელ უფლებამოსილებას“ განეკუთნება, რომელიც თავისთავად სუბიექტური უფლების ფორმირების პროცესში წარმოადგენს შუალედურ სტადიას,

³⁷⁶ Агарков М.М. Обязательство по советскому гражданскому праву // Избранные труды по гражданскому праву. Т. I. М.: АО "Центр ЮрИнфоР", 2002. – С. 279 -280

³⁷⁷ Dolinar H. Feststellung des Erbrechts und Erbschaftsklage in prozessualer Sicht, in: Festschrift Kralik, Manz, 1986. S. 134

³⁷⁸ Певзнер А.Г. Понятие гражданского правоотношения и некоторые вопросы теории субъективных гражданских прав. Ученые записки. Вып. V. Вопросы гражданского права. М.: ВЮЗИ, 1958. – С. 19.

ე.ი. როგორც „დაუმთავრებელი“ სუბიექტური უფლება, უფლება ჩამოყალიბების, ფორმირების პროცესში³⁷⁹. მიღების უფლება ჯერ კიდევ არაფერზე არ მიუთითებს: იგი არ ნიშნავს იმაზე მეტს, ვიდრე მემკვიდრეობით მისაღები სახლის იჯარით ჩაბარების შესაძლებლობა: ამ და სხვა შემთხვევაშიც ჩვენ წინაშეა – კონკრეტული იურიდიული შესაძლებლობა, რომელიც ჯერ კიდევ უნდა განხორციელდეს³⁸⁰. სავალდებულო მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების უფლება მემკვიდრის სამოქალაქო სუბიექტური უფლებაა, რომელსაც არ ეწინააღმდეგება ვინმეს კონკრეტული ვალდებულება. სუბიექტური უფლება გულისხმობს „კანონით აღიარებული პირის სავარაუდო ქცევას³⁸¹, ამასთან, მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების უფლებას, როგორც სამართალურთიერთობის ელემენტი, “ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს მეორე მხარის ვალდებულებას.“³⁸²

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მემკვიდრეობის მიღების უფლების განხორციელების მექანიზმი. არსებობს უფლებების განხორციელებისა და ვალდებულებების შესრულების მარტივი და რთული მექანიზმი.³⁸³ ამასთან მარტივში იგულისმევა მექანიზმი, რომელიც შეზღუდულია უფლების განხორციელების სტადიების მინიმალური ნაკრებით. უფლების განხორციელებისა და ვალდებულების შესრულების რთული მექანიზმი ხასიათდება შესრულების მრავალსაფეხურიანი, მრავალსტადიებიანი წესით და ელემენტების სახით შეიცავს წამიერ უფლებებს და ძირითადი უფლების მიმართ დამხმარე პროცედურულ სტადიებს. სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო შეიძინა.³⁸⁴ თავისთავად მემკვიდრეობის შექმნა იმ პროცესების არსის გამოხატულებაა, რომლებიც სამართლებრივ რეჟიმში უზრუნველყოფენ მემკვიდრეობის მიზნის მიღწევას --- მემკვიდრეებზე სამკვიდროს გადასვლას. სამკვიდროს მიღება წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს, სამართლებრივ საშუალებას, რომელიც ამ

³⁷⁹ Алексеев С.С. Односторонние сделки в механизме гражданско-правового регулирования // Антология уральской цивилистики. 1925 – 1989. М.: Издательство "Статут", 2001.-С. 65-66.

³⁸⁰ Алексеев С.С. Предмет советского гражданского права и метод гражданско-правового регулирования // Антология уральской цивилистики. 1925 – 1989. М.: Издательство "Статут", 2001. – С. 48 – 49.

³⁸¹ Братусь С.Н. О соотношении гражданской правоспособности и субъективных гражданских прав // Советское государство и право. 1949. – N 8. – С. 33.

³⁸² Серебровский В.И. Очерки советского наследственного права. Издательство Академии наук . М., 1953. – С. 48 – 49.

³⁸³ Вавилин Е.В. Механизм осуществления права на принятие наследства//Наследственное право. – 2009. – № 1 – С. 16-17.

³⁸⁴ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თ. 2007. გვ 63

პროცესებში გამოიყენება სამკვიდროს შექმნისათვის.³⁸⁵ მემკვიდრეობის უფლების სამკვიდროს მიღებით რეალიზაციის დროს მემკვიდრეზე გადადის მამკვიდრებლის ის უფლებები, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენისათვის, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლიტურად ან ფარდობითად, ქონებრივად ან არაქონებრივად, და სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერ ხასიათს ატარებდეს.³⁸⁶ მემკვიდრეს სამკვიდროს შემადგენლობიდან გამომდინარე შესაძლებელია წარმოეშვას საკუთრების უფლება მამკვიდრებლის ქონებაზე, პირადი არაქონებრივი უფლება მამკვიდრებლის ნაწარმოების გამოყვეყნებაზე, მამკვიდრებლის ვალის გადახდის ვალდებულება და სხვა. იმისათვის, რომ სავალდებულო წილის მემკვიდრეობის მიღების უფლების განხორციელება შესაძლებელი იყოს საჭიროა შემდეგი აუცილებელი პირობის არსებობა: სამართლის შესაბამისი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობებს, მოქალაქის სამართალსუბიექტობა. შემდეგი სტადიის დადგომისათვის – სუბიექტური უფლების ფორმირებისათვის – აუცილებელია მოქმედებები, იურიდიული ფაქტები, რომლებიც ახდენენ ობიექტურ უფლებაში ჩადებული პოტენციური შესაძლებლობის პერსონიფიცირებას, შემდეგი სტადიაა, ე.წ. უფლების დადგენის სტადია. ამ ეტაპზე უფლების მფლობელის მიერ ხდება სავალდებულო წილის მიღების ან მასზე უარის თქმის შესაძლებლობების შეცნობა.³⁸⁷ შემდგომი ეტაპის ფორმირებისათვის გადამწყვეტია უფლების მფლობელის ნების გამოხატულება თუ უფლების მფლობელი მიიღებს სავალდებულო წილს – რეალიზაციის მექანიზმის შემდეგი სტადია თავისთავად წარმოადგენს სამკვიდროს ნაწილის (სავალდებულო წილის) მიღების თაობაზე განცხადებით მიმართვის პროცედურას. თუ სავალდებულო მემკვიდრე არ ახორციელებს არანაირ იურიდიულ პროცედურებს, მაგრამ ახორციელებს მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია მამკვიდრებლის კუთვნილი ნივთების შესანარჩუნებლად, მაშინ უფლების დადგენის სტადიის შემდეგ დგება უფლების ფაქტობრივი რეალიზაციის სტადია. მოცემულ შემთხვევაში იურიდიულად მნიშვნელოვნად ითვლება მამკვიდრებლის ქონების რეალური ფლობის ფაქტი.

³⁸⁵ В. В. Валах. Наследственные отношения в Украине Российской Федерации Франции Германии и США Харьков. 2012 с 257

³⁸⁶ შენგელია რ. შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 49

³⁸⁷ Вавилин Е.В. Механизм осуществления права на принятие наследства. М. 2009. – № 1 – С. 16-17.

მემკვიდრეობის მიღება წარმოადგენს მემკვიდრის ქმედების გააზრებულ ნებაყოფლობით,³⁸⁸ მოფიქრებულ გადაწყვეტილებას,³⁸⁹ რომლის შედეგადაც მემკვიდრე ჩაენაცვლება მამკვიდრებელის ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, სხვა ქონებრივ მდგომარეობას მთლიანობაში, რომელთა მონაწილეც სიცოცხლეში იყო მამკვიდრებელი. ერთადერთი შემთხვევა როცა კანონი სამკვიდროს მისაღებად არ მოითხოვს სამკვიდროს მიღების ნებას³⁹⁰ არის სამკვიდროს მიღება სახელმწიფოს მიერ. მემკვიდრეობის სუბიექტური უფლება შეიცავს სამკვიდროს მიღებისა ან სამკვიდროზე უარის თქმის შესაძლებლობას. თუ მემკვიდრეს სურს მიიღოს მემკვიდრეობა და ამით გახდეს მამკვიდრებლის უფლებამონაცვლე, მან უნდა გამოხატოს თავისი ნება სამკვიდროს მიღების გზით.

მემკვიდრეობის მიღების წესები აგებულია ისეთნაირად, რომ უნივერსალური სამემკვიდრეო უფლებამონაცვლეობის საერთო მიზანი³⁹¹ და პრინციპები შეთანხმებულია ცალკეული მემკვიდრეების კანონიერ ინტერესებთან, სხვა მემკვიდრეების უფლებებისა და ინტერესებისათვის ზიანის მიყენების გარეშე. მემკვიდრეობის მიღების ერთიანი აქტის პრინციპის საფუძველზე მემკვიდრეობის მიღება შეესაბამება მემკვიდრეობის პირობით მიღების ან დათქმით დაუშვებლობის პრინციპს. მემკვიდრემ მემკვიდრეობის მიღებისას შეიძლება, არ იცოდეს სამემკვიდრეო ქონების კონკრეტული შემადგენლობის შესახებ, მამკვიდრებლის ვალიდან გამომდინარე ვალდებულებების ოდენობაზე, სხვა მემკვიდრეთა შესახებ, მათ მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტზე, ქონების ადგილმდებარეობაზე და სხვა გარემოებების შესახებ, რომლებიც მოითხოვენ მემკვიდრისგან განსაზღვრულ ძალასა და ხარჯებს ქონების მმართველობის, საკუთრების უფლების განხორციელებისა, ვალდებულებების შესრულებისათვის. თუმცა, ამ შემთხვევაშიც მემკვიდრეს არა აქვს უფლება, დააყენოს რომელიმე პირობა ან გააკეთოს დათქმა მემკვიდრეობის მიღების მიმართ. მემკვიდრეობის მიღება ატარებს უნივერსალურ ხასიათის, და ვრცელდება

³⁸⁸ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2000. გვგ 152

³⁸⁹ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 23

³⁹⁰ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თ. 2007. გვ 63

³⁹¹ Абовой Т.Е. Богуславский М.М. Светланова А.Г. и др. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (части третьей)/. – М 2006 С. 57

მთელ სამკვიდრო ქონებაზე³⁹² რაშიც კი არ უნდა იყოს გამოხატული, ნებისმიერი ქონების შემადგენლობაზე, სადაც არ უნდა მდებარეობდეს, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, კომპაქტურად ერთ ადგილას ან სხვადასხვა ადგილას. ეს დებულება გამოხატავს მემკვიდრეობის მიღების პრინციპს, რომელსაც შეიძლება, ვუწოდოთ „მემკვიდრეობის მიღების ერთიანი აქტი“³⁹³ უნივერსალური უფლებამონაცვლეობის წესით მემკვიდრეობის მიღების აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, მემკვიდრეობის მიღების ზუსტი დახასიათებაა --- მემკვიდრეობის მიღება განუყოფელია.³⁹⁴ მემკვიდრეობის მიღების ერთიანი აქტის პრინციპი მოქმედებს მთლიანი სამკვიდროს მიმართ, კონკრეტული საფუძვლების მიუხედავად, რომლის გამოც მემკვიდრე მოწვეულია სამკვიდროს მისაღებად და იმ სამკვიდროს მიმართ, რომელიც მიეკუთვნება მემკვიდრეს ცალკეული საფუძვლებით, როდესაც მემკვიდრეს ეძლევა მემკვიდრეობაში მონაწილეობის ალტერნატიული არჩევანის უფლება განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით. მემკვიდრე შეიძლება, მემკვიდრეობის მისაღებად მოწვეულ იქნეს ერთდროულად რამდენიმე საფუძვლით. მაგალითად, მონადერძემ მთელი ქონება სახლი, აგარაკი და ავტომობილი ანდერძით განკარგა სამ პირზე, შვილზე, მეუღლეზე და მშობელზე. აქედან შვილს, რომელსაც აქვს სამკვიდროდან სავალდებულო წილზე უფლება, უანდერძა ავტომობილი, რომელიც შეადგენს მთელი სამკვიდრო ქონების 1/12 ნაწილს. ანდერძი რომ არ ყოფილიყო შვილი სავალდებულო წილის სახით მიიღება ქონების 1/6 ნაწილს. ე.ი. სავალდებულო მემკვიდრეს ეანდერძა სავალდებულო წილზე ნაკლები ქონება ასეთ დროს სავალდებულო მემკვიდრეს უფლება აქვს მიიღოს ასევე ქონების ნაწილი, რომელიც გაზრდის სამკვიდროში მის სავალდებულო წილს სხვა ანდერძისმიერი მემკვიდრეების წილების შემცირების ხარჯზე.³⁹⁵ აღნიშნულ სიტუაციაში მემკვიდრეობის შვილს უფლება აქვს ან მიიღოს მემკვიდრეობა ანდერძით და არ მოითხოვოს სავალდებულო წილის გამოყოფა, ან უარი თქვას ანდერძით მემკვიდრეობაზე და მოითხოვოს სავალდებულო წილის გამოყოფა მთელი

³⁹² ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2000. გვ 153

³⁹³ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 23.

³⁹⁴ Серебровский В.И. Очерки советского наследственного права. М., 1953. С. 168

³⁹⁵ სსკ 1379-ე მუხლი

სამკვიდრო ქონების 1/6 ნაწილის ოდენობით, ან მიიღოს მემკვიდრეობა ანდერძით (ავტომობილი) და მოითხოვოს მისთვის მიღებულ (1/12) და კუთვნილ (1/6) წილებს შორის სხვაობის გამოყოფა ქონებიდან რომელიც ნაანდერძევი იყო სხვა მემკვიდრეებისათვის. მემკვიდრეს რომელიც მოწვეულია მემკვიდრეობის მისაღებად სხვადასხვა საფუძვლით ერთდროულად, შეიძლება ალტერნატიულად აირჩიოს ნებისმიერი საფუძვლით მემკვიდრეობა, მიიღოს მემკვიდრეობა ერთ-ერთი საფუძვლით, რამდენიმე საფუძვლით ან ყველა საფუძვლით ერთდროულად. სამკვიდრო ქონების ერთიანობის შესახებ წესი მოქმედებს მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების ერთი საფუძვლის მიმართ, მემკვიდრის არჩევანის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიწვეულია სამკვიდროს ერთი და იგივე ნაწილის მისაღებად სხვადასხვა საფუძვლით ან სხვადასხვა მემკვიდრეობის მისაღებად (მაგალითად, კანონით და მემკვიდრეობითი ტრანსმისიით). თუ საუბარია ერთი ქონების ნაწილების მისაღებად ერთი და იმავე საფუძვლით მიწვევაზე, მემკვიდრეს არ აქვს არჩევანის უფლება. მამკვიდრებლის შვილი, რომელსაც ერთი ანდერძით ეკუთვნოდა ავტომანქანა, ხოლო მეორე ანდერძით – აგარაკი, უფლება არ აქვს მიიღოს მემკვიდრეობა მხოლოდ ერთი ანდერძით.³⁹⁶ მემკვიდრეობის მიღებისას, მემკვიდრე, რომელიც მოწვეულია სხვადასახვა საფუძვლით ერთდროულად, უფლებამოსილია, არჩევის გარეშე სრულად მიიღოს მემკვიდრეობა. ამ შემთხვევაში მემკვიდრე იძენს მამკვიდრებლის ქონებას, რომელიც შეესაბამება მის სამემკვიდრეო უფლებას ყველა საფუძვლით, რომლებთან დაკავშირებით, იგი მოწვეული იქნა მემკვიდრეობის მისაღებად. კანონით გათვალისწინებული მემკვიდრეთა უფლება, მიიღოს მემკვიდრეობა სამკვიდროს მიღების მოწვევის საფუძვლებით შეზღუდვით და მის გარეშე არ არღვევს უნივერსალური უფლებამონაცვლეობის პრინციპს, რადგან ეს პრინციპი არ გამორიცხავს მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე მიღებული ქონების განუყოფელობას, არ არღვევს უპირობო და დათქმის გარეშე მემკვიდრეობის მიღების

³⁹⁶ Марышев, Н.И.; Ярошенко К.Б. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части третьей; КОНТРАКТ, ИНФРА-М, 2004. . С. 48

პრინციპს. მემკვიდრეობის მიღების უფლება მხოლოდ ცალკეული საფუძვლით ინარჩუნებს არჩეული საფუძვლით მემკვიდრეობის მიღების ერთიანობას.³⁹⁷

სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღება, ისევე როგორც ზოგადად სამკვიდროს მიღება თავისი შინაარსით ცალმხრივი გარიგებაა,³⁹⁸ მიმართული მემკვიდრეობის მისაღებად, რაც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრის მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ მემკვიდრის ნებაზე სამკვიდროს მიღების შესახებ. უნდა არსებობდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება და უნდა დგინდებოდეს სამკვიდროს მიღების მიზნით განხორციელებული მოქმედებების არსებობის ფაქტი, რომლებიც თავის მხრივ ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას.³⁹⁹ ასეთი გარიგება ხორციელდება ერთი პირის კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრის გამო და გამოხატავს ამ პირის ნებას. მემკვიდრეობის მიღება წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს ამ გარიგების ნამდვილობის პირობებში. მემკვიდრეობის მიღება უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებულია მემკვიდრის ნების ჩამოყალიბებისა და მათი გამოვლენის თავისუფლების მიმართ, მემკვიდრეობის შემენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია მემკვიდრეობასთან და სამკვიდროს მიღების სამართლებრივ შედეგებთან, როგორც იმ პირისთვის, რომელიც იღებს სამკვიდროს, ასევე, სამკვიდროს მისაღებად მოწვეული სხვა მემკვიდრეთა მიმართ ან იმ პირების მიმართ, რომლებიც შეიძლება მოწვეულ იქნენ მემკვიდრეობის მისაღებად.

სავალდებულო წილის მემკვიდრეობის მიღება მოითხოვს სავალდებულო მემკვიდრისგან შესაბამისი მიზანმიმართული მოქმედების შესრულებას, რომლებიც ზუსტად გამოხატავენ მემკვიდრის განზრახვას გარდაცვლილი პირის ქონების უფლებამონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით. მემკვიდრეობის მიღების სისტემა დაფუძნებულია სამოქალაქო უფლების განხორციელების თავისუფლებაზე და

³⁹⁷ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 23.

³⁹⁸ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007. გვ 63

³⁹⁹ სუსგ საქმე № ას-1405-1420-2011 3 ნოემბერი, 2011 წელი ქ.თბილისი

სამოქალაქო-სამართლებრივი რეგულირების დისპოზიციურობაზე და, აგრეთვე, შეესაბამება მემკვიდრეობის სუბიექტური უფლების არსისა და შინაარსის გაგებას, მის უფლებამოსილებას და განხორციელების ხერხებს, რადგან სამკვიდროს შეძენა დაფუძნებულია მემკვიდრის ნებაზე, გახდეს მამკვიდრებლის უფლებებისა და მოვალეობების სამართალმემკვიდრე. როგორც უფლებამოსილება იგი შედის მემკვიდრეობის სუბიექტური უფლების შემადგენლობაში და როგორც ფაქტობრივი აქტი იგი წარმოადგენს მოქმედებას, რომელიც იწვევს სამართლებრივ შედეგებს.⁴⁰⁰ ამ შედეგის მიღწევა და სამკვიდროს მიღება შეიძლება ფორმალური და არაფორმალური საშუალებით და ხერხით.

სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღების ფორმალურ საშუალებას მიეკუთვნება მემკვიდრის განცხადება ნოტარიუსთან სამკვიდროს მიღების ან სამემკვიდრეო მოწმობის გაცემის თაობაზე. განცხადება სამკვიდროს მიღების თაობაზე წარმოადგენს მემკვიდრის აქტს, რომელშიც საჯაროდ გამოცხადდა, რომ იგი სამკვიდროს მიმღები პირი და მამკვიდრებლის უფლებამონაცვლეა. მემკვიდრის განცხადება მისთვის სამემკვიდრეო უფლების მოწმობის გაცემის თაობაზე წარმოადგენს თავისი არსით ორ პოზიციას: მემკვიდრეობის მიღების განზრახვის საჯაროდ გამოცხადებას და დოკუმენტის გაცემის შესახებ მოთხოვნას, რომლითაც დამტკიცებულია სამკვიდროს შეძენა⁴⁰¹. სამკვიდროს მიღებისა და სამემკვიდრეო უფლების მოწმობის გაცემის თაობაზე განცხადებებს ერთნაირი ძალა აქვს და მოწმობს სამკვიდროს უდავო მიღებას. ნებისმიერი მითითებული განცხადების შეტანა ცვლის მემკვიდრის მდგომარეობას: იგი ხდება მესაკუთრე, კრედიტორი ან მოვალე და სხვა. შეძენილი უფლებების თაობაზე ოფიციალური მოწმობის მიღების მიუხედავად, იმ პირობით, რომ განმცხადებელი ნამდვილად არის მემკვიდრე და მასთან წარმოიშვა მემკვიდრეობის უფლება. სამკვიდროს მიღების (სამკვიდრო მოწმობის გაცემის), ან სამკვიდროს მიღებაზე უარის, ან სამკვიდროსთან დაკავშირებული სხვა შინაარსის შესახებ განცხადება შეიძლება შედგეს საჯარო ან კერძო აქტის ფორმით. განცხადება შეიძლება წარედგინოს ნებისმიერ ნოტარიუსს.

⁴⁰⁰ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 25

⁴⁰¹ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 26

განმცხადებელი ვალდებულია ნოტარიუსს წარუდგინოს მამკვიდრებლის გარდაცვალების მოწმობა. გარდაცვალების მოწმობის წარდგენა არ არის აუცილებელი, თუ ნოტარიუსთან უკვე ინახება იგი ან სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში უკვე რეგისტრირებულია მამკვიდრებლის სამკვიდროს გახსნის ფაქტი სხვა ნოტარიუსის მიერ ან შესაძლებელია პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან. ნოტარიუსი, მიუხედავად სამკვიდროს გახსნის ადგილისა, უფლებამოსილია, კერძო ან საჯარო აქტის ფორმით დაამოწმოს ნებისმიერი პირის განცხადება, რომლითაც პირი ადასტურებს/აცხადებს, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის განმავლობაში მას არც ერთი ფორმით არ მიუღია სამკვიდრო (არც განცხადების სანოტარო ბიუროში წარდგენით, არც სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით, ან მართვით). განცხადება სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის დადასტურების შესახებ შეიძლება შედგეს ნებისმიერ დროს. ამასთან, ნოტარიუსის მიერ სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის დადასტურების შესახებ განცხადების დამოწმება არ ნიშნავს სამკვიდრო საქმის წარმოების დაწყებას. აღნიშნული სანოტარო მოქმედება ექვემდებარება რეგისტრაციას სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში. ამასთან, შესაძლებელია სამემკვიდრეო საქმეთა ერთიან რეესტრში შეტანილ იქნეს განმცხადებლის მიერ მითითებული მონაცემები მამკვიდრებლის შესახებ.⁴⁰² კანონი ადგენს სამკვიდროს მიღების ორ წესს, რომელთაგან ერთ-ერთი სანოტარო ორგანოში განცხადების წერილობითი შეტანაა. ამ მოქმედების განხორციელების შედეგად მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო უკვე შეიძინა, იგი არის მისი მესაკუთრე. მითითებულ დანაწესში კანონმდებელი უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს მემკვიდრის ნების დადგენას – სურს თუ არა მას სამკვიდროს მიღება, რაც უნდა დადგინდეს სანოტარო ორგანოში შეტანილი განცხადებით. აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ მემკვიდრეს ნამდვილად სურდა მემკვიდრეობის მიღება და მისი ნება აისახა განცხადებაში, რაც კანონით საკმარისია სამკვიდროს მისაღებად. ამდენად, სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანა დასტურია იმის, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო, რაზეც გავლენას ვერ მოახდენს ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა

⁴⁰² საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება # 71 2010 წლის 31 მარტი ქ. თბილისი «სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ» ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 78

შესასრულებლად საჭირო პროცედურების დარღვევა.⁴⁰³ სამკვიდროს მიღების ან სამემკვიდრეო უფლების მოწმობის გაცემის თაობაზე განცხადებებზე მემკვიდრის ხელმოწერის ნამდვილობა წარმოადგენს მემკვიდრის ნამდვილი ნების უტყუარობის პირობას, რომელიც გამოხატულია მის მიერ წარმოდგენილ განცხადებებში. თუმცა შესაძლებელია მამკვიდრებლის ნება სამკვიდროს მიღებაზე დადგინდეს სასამართლო წესით, როცა მემკვიდრემ მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად და ნოტარიუსის მიერ არ მოხდა განცხადების წერილობით შედგენაზე მითითება, თუ სასამართლოს მიერ დადგინდება ეს გარემოებები, მაშინ ჩაითვლება, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო ფორმალური გზით, თუმცა ნოტარიუსის მიერ არ მომხდარა მემკვიდრის ნების გამოვლენის წერილობითი დაფიქსირება. სამკვიდროს მიღებად როგორც ნოტარიუსისადმი ზეპირსიტყვიერი მიმართვა, ისე სხვა უფლებამოსილი ორგანოების წინაშე სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებაზე პრეტენზიის გაცხადება კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში ანუ დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიღების ნების გამოვლენის დამადასტურებელი მოქმედებების განხორციელებაა.⁴⁰⁴ კანონით განსაზღვრულ სამკვიდროს გახსნიდან ექვსთვიან ვადაში ნოტარიუსისათვის ზეპირი ფორმით მიმართვა, დავის არსებობისას არ შეიძლება განმარტებულ იქნეს შეზღუდულად და ნოტარიუსისათვის მიმართვად უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ წერილობითი, არამედ ზეპირსიტყვიერი ფორმაც. ერთ-ერთ დავაზე, სადაც დადგინდა მემკვიდრის მიერ კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის სარჩელით მიმართვა (ბინის ერთ-ერთი დამქირავებლის თანხმობის გარეშე ბინის 2/3-ის არასრულწლოვან პირთა სახელზე პრივატიზებაზე გამგეობის უარყოფითი პასუხის ბათილად ცნობისა და ამ პირებთან პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ გამგეობის დავალდებულების თაობაზე), სასამართლომ მიიჩნია

⁴⁰³ სუსგ საქმე №ას-205-899-03 5 იანვარი, 2004 წ., ქ. თბილისი.

⁴⁰⁴ კოხრიძე ლ. სამემკვიდრეო დავები სამოქალაქო პროცესში და ქართულ სამოსამართლო სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი 2015 წ. გვ. 127

მემკვიდრეთა მიერ კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიღების ნების გამოვლენად.⁴⁰⁵

სამკვიდროს მიღება ფორმალური საშუალებებით შეიძლება, განხორციელდეს წარმომადგენლის მეშვეობითაც თუ მინდობილობაში არის სპეციალული დათქმა წარმომადგენლის მიერ სამკვიდროს მიღების შესაძლებლობაზე. ასეთ დროს ამიტომ მემკვიდრის შესაბამის ნებას ფორმალურად ამტკიცებს მინდობილობა. მემკვიდრეების კანონიერი წარმომადგენლები მოქმედებენ მინდობილობის გარეშე სამეურვეო პირის სახელით და მისი ინტერესით.

სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომლისთვისაც ჩვეულებრივ, აუცილებელია ნების ნამდვილობა.⁴⁰⁶ სამკვიდროს მიღების არაფორმალურ საშუალებას მიეკუთვნება სამკვიდროს ფაქტობრივი მიღება, რომელიც მდგომარეობს მემკვიდრის მიერ იმ მოქმედების შესრულებაში, რომლებიც ადასტურებენ სამკვიდროს მიღების ნებას თავისი ინტერესებითა და მოანდერძის ნების შესაბამისად. მოქმედებები, რომლებშიც ვლინდება მემკვიდრის დამოკიდებულება სამკვიდროს, როგორც საკუთარი ქონების მიმართ, მოწმობს სამკვიდროს ფაქტობრივ მიღებას. სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ელემენტები: სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა.⁴⁰⁷ ფაქტობრივი ფლობისკენ მიმართული ნებისმიერი მოქმედებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი, მემკვიდრის ნება მემკვიდრის ყველა ამგვარი მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა მაგალითად: მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამკვიდრებლის ნივთების, როგორც საკუთარის მართვა, მოვლა და სხვა. ⁴⁰⁸ სამკვიდროს მიღება ფაქტობრივი ფლობით, რომელიც ამტკიცებს სამკვიდროს მიღების ფაქტს, გულისხმობს მემკვიდრის მიერ ნებისმიერ მოქმედებებს ამ ქონების

⁴⁰⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინება №28/1463-09

⁴⁰⁶ სუსგ საქმე № ას-1172-1127-2016, 31.03.2017წ;

⁴⁰⁷ სუსგ საქმე №ას-1577-1480-2012 6 ივნისი, 2013 წელი

⁴⁰⁸ სუსგ N ას-1172-1127-2016, 31.03.2017წ;

მართვის, განკარგვისა და სარგებლობის შესახებ, მის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნებას ან გადასახადების გადახდა, ბინის ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე სამემკვიდრეო სახლში მცხოვრები დამქირავებლისაგან ქირის ამოღებას, სამემკვიდრეო ქონების ხარჯზე სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის საჭირო ხარჯების გადახდას ან მამკვიდრებლის ვალების დაფარვას და ა.შ. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მითითებული მოქმედებები შეიძლება შეასრულონ როგორც მემკვიდრეებმა, ასევე, მისი დავალებით, სხვა პირმა სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში.

ფაქტობრივი მოქმედებების ერთ ჯგუფს შეადგენს სამკვიდრო ქონების ფლობაში შესვლა ან მართვა. მემკვიდრის მიერ ქონების ფლობა გულისხმობს ნივთების ან სამკვიდროს შემადგენლობაში შესულ სხვა ფასეულობებზე ფაქტობრივ ბატონობას. საკმაოდ გავრცელებულია შემთხვევა, როდესაც მემკვიდრე მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობს და სარგებლობს საცხოვრებელი სახლით, საოჯახო მოწყობილობისა და საყოფაცხოვრებო საგნებით და მამკვიდრებლის კუთვნილი სხვა ნივთებით. სამკვიდროს გახსნის შემდეგ ასეთი მემკვიდრე აგძელებს მითითებული ქონების ფლობას და სარგებლობას, რომელმაც მიიღო სამემკვიდრეო თვისება და განკუთვნილია ამ მემკვიდრისა და სხვა მემკვიდრეების უფლებამონაცვლებისათვის. ამ შემთხვევაშიც მემკვიდრე ფაქტობრივი მფლობელობით და სამკვიდრო ქონების გამოყენებით ახორციელებს თავის პირდაპირ განზრახვას შეინარჩუნოს ქონება თავის საკუთრებაში და გამოხატავს ნებას მიიღოს მემკვიდრეობა. მემკვიდრის ასეთი მიზანშეწონილ მოქმედებებს აქვთ ცალმხრივი გარიგებების აუცილებელი თვისებები.⁴⁰⁹ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობისა და მართვის მიზნით მემკვიდრის მიერ განხორციელებულ იურიდიულ ქმედებებში შეიმჩნევა რა გარიგების ნიშნები, სამკვიდროს მიღება წარმომადგენლობით შესაძლებელია არა მხოლოდ წარმომადგენლის მიერ იურიდიულ მოქმედებების განხორციელებით, არამედ, ისეთი ქმედებების განხორციელებით, რომელიც ფაქტობრივად ცხადყოფს სამკვიდროს მიღებას.⁴¹⁰

⁴⁰⁹ Черепяхин Б.Б. Правопреемство по советскому гражданскому праву. М., 1962. С. 129;

⁴¹⁰ ნადიბაიძე ლ. სამკვიდროს მიღება – თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი. #2 2008 წელი გვ29

სამკვიდრო ქონების მართვა შეიძლება ასევე გამოიხატოს ამ ქონებასთან დაკავშირებით მემკვიდრის მიერ ფაქტობრივი და იურიდიული ხასიათის მოქმედებების განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ ცალკეული განსაკუთრებული ობიექტების (სახლის აგარაკის და საბაღე ნაკვეთის, სამშენებლო ობიექტების და სხვა) ნორმალურ ფუნქციონირებას და ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე მოქმედებებში, რომლებიც მიმართულია მთლიანი სამკვიდროს მდგომარეობის მოწესრიგებისთვის (მამკვიდრებლის კუთვნილი ქონებრივი ფასეულობების გამოკვლევა, მოვალეების დადგენა და მათ მიერ ვალების დაფარვის პირობები და ა.შ.). სამკვიდრო ქონებით მმართველობად უნდა მივიჩნიოთ მემკვიდრის მიერ განხორციელებული ქმედება ისე, როგორც მესაკუთრე ასრულებდა მათ თავის ინტერესებში, როდესაც აწარმოებდა ნორმალურ მეურნეობას. ამდენად, სამკვიდრო ქონების მართვა განიხილება როგორც მოქმედების განხორციელება, თავისი შინაარსით საკუთრების უფლების განხორციელების მოქმედებების ანალოგიურად.⁴¹¹ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებისათვის აუცილებელი არ არის მუდმივად სამკვიდროში შემავალი ქონების ფაქტობრივი ფლობა, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გარკვევა, თუ მემკვიდრეები რამდენად თავისად მიიჩნევენ დანაშთ ქონებას და რა ფაქტობრივი დამოკიდებულება ჰქონდათ აღნიშნული ქონების მიმართ.⁴¹²

მემკვიდრის მოქმედებათა სხვა ჯგუფი, რომელიც მოწმობს მის მიერ სამკვიდროს მიღებაზე, დაკავშირებულია სამკვიდრო ქონების შენარჩუნების ზომებთან⁴¹³, მესამე პირის მხრიდან ხელყოფისა ან პრეტენზიისაგან დაცვასთან. ფაქტობრივი მიღება დასტურდება მემკვიდრის მოქმედებებით, რომელმაც თავის ხარჯზე განახორციელა სამკვიდრო ქონების შენახვა. ქონების შენახვის ხარჯები, როგორც წესი, არის მიმდინარე, პერიოდული და მიეკუთვნება აუცილებელ ხარჯებს ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების და სხვა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან დაკავშირებით, ასევე, ბინების, სახლების, აგარაკების მცირე

⁴¹¹ Серебровский В.И. Некоторые правовые вопросы, возникающие в связи с принятием наследником наследства//Вестник Московского университета. Право. 1971. N 1. С. 16.

⁴¹² სუსგ საქმე № ას-980-1014-2011 19.09.2011წ

⁴¹³ Ярошенко К.Б. Марышева Н.И. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части третьей Постатейный. М, 2004. . С.52

დაზიანების აღმოფხვრა და სხვა. ქონების შენახვის მიზნით ხარჯების გაწევა მოწმობს მემკვიდრის დამოკიდებულებაზე სამკვიდრო ქონების, როგორც თავისი საკუთარის მიმართ. სამკვიდროს ფაქტობრივი მიღება დასტურდება მემკვიდრის მოქმედებით, რომელმაც თვითონ დაფარა მამკვიდრებლის ვალები ან მესამე პირისგან მიიღო მამკვიდრებლის კუთვნილი ფულადი სახსრები. შესაბამისად უნდა დავასკვნათ რომ უნდა არსებობდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ნება და სამკვიდროს მიღების მიზნით განხორციელებული მოქმედებების არსებობის ფაქტი, რომლებიც, თავის მხრივ, ადასტურებენ სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას. სამკვიდრო მიღებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მემკვიდრე არ ფლობს მამკვიდრებლის ნივთებს, მაგრამ მისი მოქმედებიდან დასტურდება, რომ სამკვიდროს თავისად მიიჩნევს, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს გადასახადების გადახდაში, დამქირავებლისათვის ქირის გადახდევინებაში, თხოვებაში და ა.შ.⁴¹⁴ მემკვიდრის მიერ სადავო უძრავი ქონების მიღება ფაქტობრივი ფლობით ან მართვით აყენებს მას განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში. ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (კონკლუდენტური მოქმედებებით) მემკვიდრე ხდება სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. ამ მომენტიდან ის მამკვიდრებლის ურთიერთობების კრედიტორად და მოვალედ მიიჩნევა.⁴¹⁵

მემკვიდრემ ნოტარიუსთან, რომელიც გასცემს სამკვიდრო მოწმობას, როგორც წესი, უნდა წარადგინოს დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ მემკვიდრის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი მიღების დამადასტურებელი მოქმედებების შესრულებას. სამკვიდროს ფაქტობრივი მიღების მტკიცებულებების სახით შეიძლება წარმოდგენილი იქნეს: სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით მემკვიდრის მამკვიდრებელთან ერთად რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია, დოკუმენტი გადასახადების გადახდის თაობაზე. სამკვიდრო ქონების ფლობად მიიჩნევა ასევე მამკვიდრებლის ანაბრის წიგნაკის ან სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური დოკუმენტის ფლობა, ⁴¹⁶ (ან ამგვარი ნივთის ფლობიდან გამომდინარე თავისებურებების მაგ. ჯარიმების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების)

⁴¹⁴ სუსგ საქმე № ას-120-114-2013 3.07.2013წ

⁴¹⁵ სუსგ საქმე № ას-1183-1112-2012. 7 მარტი 2013 წელი

⁴¹⁶ ნადიბაიძე ლ. სამკვიდროს მიღება – თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი. #2 2008 წელი გვ28.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, მემკვიდრის მიერ სამკვიდროში შემავალი მიწის ნაკვეთის ფლობის თაობაზე და თქმა უნდა ყველა ეს მოქმედებები უნდა შესრულდეს 6 თვეში. მართალია მხოლოდ სამკვიდრო სახლში რეგისტრაცია არ ნიშნავს მის უდავოდ ფლობას, ან ნოტარიუსთან წარდგენილი ანაბრის წიგნაკსაც შესაძლოა მემკვიდრე დაეუფლა 6 თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ ნოტარიუსის მიერ პრევენციული მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებში ისინი ქმნიან მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების პრეზუმციას თუ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო. სავალდებულო მემკვიდრის სხვა, მისამართზე რეგისტრაცია არ გამორიცხავს სამკვიდროს დადგენილ ვადაში მიღების შესაძლებლობას და პირიქით დავის შემთხვევაში შესაძლებელია დადგინდეს, რომ მემკვიდრე რეგისტრირებულია სამკვიდრო ქონების მისამართზე, რასაც დაეყრდნო კიდევ ნოტარიუსი ამ ფაქტის დადგენისათვის, თუმცა არ მიუღია სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ სამკვიდროს მიღების ფაქტი უნდა ამტკიცოს მემკვიდრემ რომელიც აპელირებს, რომ მიიღო სამკვიდრო.⁴¹⁷ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებისათვის სავალდებულო არაა პირი რეგისტრირებული იყოს ან ცხოვრობდეს მამკვიდრებლის ბინაში, მთავარია, რაიმე ფორმით, სარგებლობდეს სამკვიდრო ქონებით, ან მისი ნაწილით ან არ დაუშვას სხვა პირების მიერ ამ ქონებით სარგებლობა⁴¹⁸ სამკვიდროს ფაქტობრივი მიღების თაობაზე. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, ნოტარიუსი ვერ გასცემს სამკვიდრო მოწმობას და სამკვიდროს მიღების ფაქტი შეიძლება დადგენილ იქნეს სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის გზით, ⁴¹⁹ ხოლო მემკვიდრეთა შორის დავისა და ანდერძისმიერი მემკვიდრის შემთხვევაში სავალდებულო მემკვიდრემ უნდა მიმართოს სასამართლოს.

მიღებული მემკვიდრეობის შეძენის მომენტად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღე. მემკვიდრეობის მიღება არის სამკვიდროს შეძენის ხერხი და ხორციელდება განსაზღვრულ დროში. მემკვიდრეობის მიღების ფაქტობრივი მომენტი

⁴¹⁷ სუსგ საქმე #ას-ას-186-175-2017. 02.06.2017 წ.

⁴¹⁸ სუსგ საქმე #ას-983-1183-08 28.04.2009

⁴¹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლი

დამოკიდებულია მემკვიდრეობის მიღების ხერხებიდან და არის ან მემკვიდრეობის გახსნის დღე, ან რომელიმე დღე მემკვიდრეობის გახსნის შემდეგ. სამკვიდროს მიღების საერთო ვადა გამოიყენება ყველა შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დადგენილია სამკვიდროს მიღების სპეციალური ვადები.⁴²⁰

სამკვიდროს მიღების პერიოდის შეზღუდვა დროებითი ფარგლებით ნაკარნახია სამოქალაქო ბრუნვაში მემკვიდრეობის სამართლებრივი სტატუსის განუსაზღვრელობის აღმოფხვრის აუცილებლობით, რათა ზუსტად განვსაზღვროთ მემკვიდრეობის უფლებების და მოვალეობების ახალი სუბიექტები, ქონებრივი ობიექტების სრული ფუნქციონირების უზრუნველყოფად, დააკმაყოფილოთ მემკვიდრეობის კრედიტორების ინტერესები, მიეცეს მემკვიდრეებს და სხვა პირებს (მაგალითად, საანდერძო დანაკისრის მიმღებს) შესაძლებლობა დაიკმაყოფილონ თავისი ინტერესები სამკვიდროს ხარჯზე. მეორე, სამკვიდროს მიღების ვადა წარმოადგენს დროის მონაკვეთს, რომელიც აუცილებელია სამკვიდროს შემადგენლობის, ღირებულებისა და ადგილმდებარეობის დასადგენად, მემკვიდრეების ძებნისა და გამოცხადებისათვის, მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ეს ვადა აუცილებელია, ასევე, იმისათვის, რომ მემკვიდრის უფლებემონაცვლეობის ქონებრივი საკითხების გადაწყვეტილება არ იქნებოდა უშუალოდ შერწყმული ემოციურ-მგრძნობიარე დამაბულობასთან მემკვიდრეობის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. სამკვიდროს მიღების სპეციალური ვადა არის ის ვადა, რომელიც დადგენილია იმ მოქალაქის სამკვიდროს მისაღებად, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით გარდაცვლილად გამოცხადდა, მართალია გადაწყვეტილებაში უნდა მითითებული იყოს მისი სავარაუდო დალუპვის დღე, რომელიც ითვლება სამკვიდროს გახსნის დღედ თუმცა, სამკვიდროს მისაღებად ვადის დენა იწყება არა სამკვიდროს გახსნის დღიდან, არამედ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, რომლის შესაბამისად იგი გამოცხადდა გარდაცვლილ პირად. ეს გამომდინარეობს მემკვიდრეთა ინტერესების დაცვის მიზნიდან,⁴²¹ ბუნებრივია სანამ არ იქნება მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მოქალაქის გარდაცვლილად

⁴²⁰ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 28

⁴²¹ Крашениникова П.В. Постатейный Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья Под редакцией П.В. Крашениникова М., 2001. С. 89

გამოცხადების თაობაზე და იგი არ შევა კანონიერ ძალაში, მემკვიდრეებს არ აქვთ სამართლებრივი შესაძლებლობა განახორციელოს უფლება იმ მოქალაქის მიერ დატოვებულ სამკვიდროზე, რომელიც გამოცხადდა გარდაცვლილად. თუ სამკვიდროს მიღების ვადა დაიწყებოდა მამკვიდრებლის სავარაუდო დაღუპვის დღიდან, იგი შეიძლება ამოწურულიყო მანამ, სანამ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე.

სამკვიდროს მიღების სპეციალური ვადა არის ის ვადა, რომელიც დადგენილია იმ პირების მიმართ, რომელთა მემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეები არ მიიღებენ სამკვიდროს, უარს აცხადებენ მემკვიდრეობაზე ან რომლებსაც, როგორც უღირსი მემკვიდრეებს ჩამოერთვა მემკვიდრეობის მიღების უფლება. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1425-ე მუხლში მითითებულია მხოლოდ ის შემთხვევა როცა მემკვიდრეები სამკვიდროს არ მიიღებენ, რაც უნდა გავრცელდეს, ასევე იმ შემთხვევებზე როდესაც ანდერძისმიერი და კანონისმიერი მემკვიდრეები უარს აცხადებენ მემკვიდრეობაზე და ასევე უღირსი მემკვიდრეებისთვის მემკვიდრეობის ჩამორთმევისას. ასეთი პირებისთვის სამკვიდროს მიღების ვადის დენა იწყება მემკვიდრეობის უფლების წარმოშობის მომენტიდან. ეს უფლება მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის გამო, წარმოეშობა ნოტარიუსის მიერ ასეთი უარის განცხადების მიღებიდან, ხოლო უღირსი მემკვიდრეების სამემკვიდრეო უფლების ჩამორთმევისას, მითითებული პირების სამემკვიდრეო უფლება წარმოიშობა მემკვიდრეების უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. რაც შეეხება უმკვიდრო ქონებას, იგი შეიძლება მიღებული იქნას სამკვიდროს მიღების 6 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ნებისმიერ დროს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.⁴²²

მემკვიდრეობის მიღების ვადის სამართლებრივი ბუნების საკითხი ხანგრძლივი დროის განმავლობაში სადავო რჩება. დავის პრაქტიკული მხარე ეხება იმის საფუძველიანობას, შესაძლებელია თუ არა მემკვიდრეობის მიღების ვადის შეჩერება,

⁴²² ზოიძე ო. სამამკვიდრეო სამართლის სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის ორიოდე ორბლების შესახებ. ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I თბილისი 2004წ. გვ 17

შეწყვეტა და აღდგენა⁴²³ მემკვიდრეობის მიღების ვადა არ არის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან მას არ ახასიათებს დარღვეული უფლების დასაცავად სარჩელის წარდგენისათვის დადგენილი ვადის თვისებები, რის გამოც არც სამკვიდროს მიღებით და არც უარის თქმით არ ხდება მისი დენის დაწყება, შეჩერება ან შეწყვეტა. ⁴²⁴ ამიტომ, მემკვიდრეობის მიღების ვადის მიმართ არ შეიძლება გამოვიყენოთ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის წესები.

მემკვიდრეობის მიღების ვადა აღიარებულია, როგორც მემკვიდრეობაზე სუბიექტური სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადა. ამასთან, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში მოყვანილია უფლების განხორციელების ვადების დიფერენციაცია შემდეგი ნიშნებით. გამოიყოფა სუბიექტური სამოქალაქო უფლებების არსებობის ვადები და აღმკვეთი ვადები⁴²⁵ ამ დიფერენციაციის სამეცნიერო კრიტერიუმები საკმაოდ პირობითია, ვინაიდან ვადის ორივე სახეობა ზღუდავს სუბიექტური უფლებების მოქმედებას დროში. ამიტომ, მემკვიდრეობის მიღების ვადების მიკუთვნება უფლების არსებობის ვადებისადმი ან აღმკვეთი ვადებისადმი დამოკიდებულია ასეთი უფლებების არსებობის განმასხვავებელი ნიშნების აღქმაზე. იმათთვის, ვინც თვლის, რომ მემკვიდრეობის მიღების ვადა ფარავს მემკვიდრეობის უფლებას, იგი ითვლება აღმკვეთად.⁴²⁶ ხოლო იმათთვის, ვინც ყურადღებას ამახვილებს მემკვიდრეობის მიღების შესაძლებლობაზე დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, იგი მიეკუთვნება სუბიექტური სამოქალაქო უფლების არსებობის ვადებს, მაგრამ არა აღმკვეთ ვადებს. ⁴²⁷

სამკვიდროს მიღება ნიშნავს რომ მემკვიდრემ სამკვიდრო შეიძინა, თუკი მემკვიდრე სამკვიდრო ქონების დაუფლების შემდეგ აღარ გაარძელებს მის ფლობას და სარგებლობას ან არ აიღებს სამკვიდრო მოწმობას, ეს არავითარ გავლენას არ

⁴²³ Серебровский В.И. Очерки советского наследственного права. М., 1953. С. 171 Антимонов Б.С., Граве К.А. Советское наследственное право. М., 1955. С. 213 Черепяхин Б.Б. Правопреемство по советскому гражданскому праву. М., 1962. С. 133

⁴²⁴ Телюкина М. В. "Наследственное Право" Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации М. 2000 с. 121

⁴²⁵ . Сергеева, А.П. Толстой Ю.К., Гражданское право: В 2 т. Т. I: Учебник/М., 1998. С. 464

⁴²⁶ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный). Часть третья. М., 2002. С. 113; Постатейный комментарий к разделу V части третьей Гражданского кодекса РФ "Наследственное право". М., 2001. С. 85;

⁴²⁷ Ярошенко К. Новое законодательство о наследовании//Хозяйство и право. 2002. 3. С. 37.

მოახდენს სამკვიდროს მიღებაზე.⁴²⁸ თუ სავალდებულო წილის მიღების უფლება რეალიზებულია, სავალდებულო მემკვიდრეს შეუძლია ისარგებლოს კანონით წარმოდგენილი შემდეგი უფლებებით: სამკვიდროს დაცვის და მართვის უფლება, კომპენსაციის უფლება სამკვიდრო წილთან მისაღები სამკვიდრო ქონების შეუთავსებლობის დროს, უპირატესი უფლების განხორციელების უფლება⁴²⁹ და სხვა. თუ სამკვიდროში შედის უძრავი ქონება ბუნებრივია ამ ქონების სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვისათვის აუცილებელია მემკვიდრემ დაარეგისტრიროს ეს სამკვიდრო უძრავი ქონება საჯარო რეესტრში, რომლის შემდეგაც იგი გახდება ტიტულოვანი მესაკუთრე. სამოქალაქო კოდექსის ზოგიერთი ნორმის მიხედვით⁴³⁰ პირი მესაკუთრედ ითვლება, ერთ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, მაგრამ კანონი ორივე შემთხვევაში იმპერატიულად მოითხოვს სანივთო სამართლებრივი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.⁴³¹

მემკვიდრეს რომელმაც მიიღო სამკვიდრო უძრავი ქონება წარმოეშვა მიღებული უძრავი ნივთის საკუთრების უფლების რეგისტრაციის უფლება, მაგრამ ამ რეგისტრაციის განუხორციელებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მან არ მიიღო ეს ქონება.⁴³² თუმცა არც იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრე მესაკუთრე გახდა უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, რადგან მემკვიდრის სამკვიდრო მასაზე საკუთრების უფლების მოპოვება მოხდა არა საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, არამედ უფრო ადრე სამკვიდროს მიღებისთანავე, რადგან საჯარო რეესტრი წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელშიც ხდება ცალკეულ კერძო სამართლებრივ უფლებათა რეგისტრაცია, სახელდობრ, როგორცაა უძრავ ნივთებზე საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები. საჯარო რეესტრის ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ასრულებს მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის გარანტიის ფუნქციას,⁴³³ ხოლო მიღებული

⁴²⁸ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007. გვ 63.

⁴²⁹ შეად. ვრცელდება მხოლოდ იმ სავალდებულო მემკვიდრეებზე, რომლებსაც გააჩნიათ უპირატესი უფლება.

⁴³⁰ სსკ 1513-ე, 1433-ე მუხლები

⁴³¹ სუსგ საქმე № 3კ-932-02 9 დეკემბერი, 2002 წ.

⁴³² სუსგ საქმე № ას-1183-1112-2012 7.03.2013.

⁴³³ სუსგ საქმე №ას-33-489-06 8.09. 2006 წ.

სამკვიდრო მემკვიდრეს საკუთრებად ითვლება არა საჯარო რეესტრში საკუთრების რეგისტრაციის, არამედ სამკვიდროს მიღების მომენტიდან.

დასკვნის სახით შეგვიძლია განვმარტო შემდეგი: სავალდებულო წილის მემკვიდრეობის მიღება წარმოადგენს სავალდებულო მემკვიდრის გააზრებულ, მოფიქრებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიზანია სავალდებულო მემკვიდრის ჩანაცვლება მამკვიდრებლის ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებში. სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღება ისევე როგორც ზოგადად სამკვიდროს მიღება სავალდებულო მემკვიდრისგან მოითხოვს მიზანმიმართული იმგვარი მოქმედების შესრულებას, რომლებიც ზუსტად გამოხატავენ მემკვიდრის განზრახვას გარდაცვლილი პირის ქონების უფლებამონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით. ამ შედეგის მიღწევა და სამკვიდროს მიღება შეიძლება ფორმალური და არაფორმალური საშუალებით. სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღების ფორმალურ ხერხს მიეკუთვნება მემკვიდრის განცხადება ნოტარიუსში სამკვიდროს მიღების შესახებ. ამგვარი განცხადება თავისი არსით წარმოადგენს სავალდებულო მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების განზრახვის საჯაროდ გამოცხადებას. სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანა დასტურია იმის, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო, რაზეც გავლენას ვერ მოახდენს ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად საჭირო ფორმალური პროცედურების დარღვევა. სამკვიდროს მიღების არაფორმალურ საშუალებას მიეკუთვნება სამკვიდროს ფაქტობრივი მიღება, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე კომპონენტები – სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა. ფაქტობრივი ფლობისკენ მიმართული ნებისმიერი მოქმედებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი, მემკვიდრის ნება (სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომლისთვისაც ჩვეულებრივ, აუცილებელია ნების ნამდვილობა). მემკვიდრის ყველა ამგვარი მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა მაგალითად: მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამკვიდრებლის ნივთების, როგორც საკუთარის მიღება, სამკვიდროს

ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვა.⁴³⁴ სამკვიდროს მიღებად მიიჩნევა პირის იმგვარი ქმედებები, რომლებიც საშუალო წინახედულების მქონე ადამიანს შეუქმნის რწმენას, რომ მემკვიდრე ქონებას, როგორც საკუთარს ისე იყენებს.⁴³⁵

3. სავალდებულო წილის მიღება სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის შემდეგ

სამკვიდროს გახსნის შემდეგ მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა მიიღონ კანონით დადგენილ 6 თვიან ვადაში და მამკვიდრებლის ქონება არ უნდა აღმოჩნდეს სუბიექტის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ერთის მხრივ უარყოფითად აისახება მთლიან სამოქალაქო ბრუნვაზე და მეორე, – აუცილებელია დროის რაღაც მონაკვეთით, რომ მემკვიდრეებმა გაიგონ სამკვიდროს გახსნის შესახებ, ჩამოყალიბდეს მათი ნება გახდნენ მამკვიდრებლის უფლებამონაცვლები, შეასრულონ მოქმედებები, რაც მოწმობს სამკვიდროს მიღებას. მემკვიდრეობის მიუღებლობა არის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომლის დროსაც მემკვიდრეობის მისაღებად მოწვეულმა მემკვიდრემ არანაირად არ გამოხატა თავისი ნება მემკვიდრეობის შესაძენად ამისათვის დადგენილი ვადის განმავლობაში: არ შეიტანა განცხადება მემკვიდრეობის მიღების თაობაზე ან სამკვიდრო მოწმობის გაცემის თაობაზე, არ განახორციელა ფაქტობრივი ქმედებები, რომლებიც მოწმობენ მემკვიდრეობის მიღებას, არ გააკეთა შესაბამისი განცხადება მემკვიდრეობაზე უარის თქმის შესახებ. მემკვიდრეობის მიუღებლობა არის უმოქმედობაში გამოხატული იურიდიული ფაქტი,⁴³⁶ რომელიც იწვევს სამართლებრივ შედეგებს, როგორც მემკვიდრისათვის, ისე მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლების სხვა მონაწილეთათვის. ვინაიდან მემკვიდრეობის მიღების მოქმედი სისტემის შესაბამისად, მემკვიდრეობის შეძენა დაფუძნებულია მემკვიდრეობის მიღების დადგენილ ფაქტზე, რადგან მემკვიდრე, რომელმაც არ განახორციელა მემკვიდრეობის მისაღებად მიმართული აუცილებელი მოქმედებები, არ ხდება მამკვიდრებლის უფლებამონაცვლე და მასზე არ გადადის სამკვიდროში შემავალი უფლებები და მოვალეობები. დადგენილ ვადაში მემკვიდრეობის მიღების განუხორციელებლობა იწვევს სამართლებრივ შედეგს, რომლის ძალითაც

⁴³⁴ სუსგ საქმე №ნას-203-193-2016, 02.06.2016წ.

⁴³⁵ სუსგ საქმე №ას-348-2019. 22.11.2019 წ.

⁴³⁶ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 32

მემკვიდრეს, რომელმაც დადგენილ ვადაში არ მიიღო მემკვიდრეობა, კარგავს მემკვიდრეობის უფლებას და 6 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვადა წყდება, თუმცა, ეს უცნაური⁴³⁷ ვადის შეწყვეტაა, რადგან ჯერ ერთი ეს ვადა შესაძლებელია სასამართლომ აღადგინოს თუკი საპატიოდ მიიჩნევს მის გაშვებას და მეორე – ვადების გამშვებ მემკვიდრეს სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრის თანხმობით შეუძლია მიიღოს მემკვიდრეობა სასამართლო მიმართვის გარეშეც.

სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა მემკვიდრეობის მიღების ვადის აღდგენის შესაძლებლობა. კანონის მოცემულმა მდგომარეობამ შეცვალა ასეთი ვადის იურიდიული ბუნების შესახებ დავის ხასიათი და შინაარსი. ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები მემკვიდრეობის მიღების ვადის სამართლებრივი ბუნების თაობაზე: ზოგი განსაზღვრავს მას, როგორც აღმკვეთს (ვადის გასვლა იწვევს თავად მემკვიდრეობის უფლების შეწყვეტას), ზოგი – როგორც ხანდაზმულს (ვადის ამოწურვა მემკვიდრეს ართმევს უფლების სავალდებულო დაცვის შესაძლებლობას), მაგრამ მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადის საპატიო მიზეზებით გაშვების შემთხვევაში, იგი შეიძლება აღდგეს მემკვიდრეობაზე მემკვიდრის კუთვნილი უფლების განხორციელებისათვის. მაშასადამე, კანონი უშვებს მემკვიდრეობის მიღების სუბიექტური უფლების განხორციელების შესაძლებლობას ვადის ამოწურვის შემდეგაც, ამასთან მემკვიდრეობის მიღების ვადა არ შეიძლება მივიჩნიოთ მემკვიდრეობის უფლების გაუქმების საფუძვლად.⁴³⁸ მემკვიდრეობის მიღების ვადა, მისი მოქმედების დადგენილი სპეციალური რეჟიმის ძალით უნდა მივაკუთვნოთ სპეციალურ ვადებს. ერთის მხრივ, მემკვიდრე, რომელმაც გაუშვა მემკვიდრეობის მიღების ვადა, კარგავს მისი მოპოვების უფლებას და ეს უფლება წარმოეშობათ სხვა მემკვიდრეებს, მეორეს მხრივ – იგი შეიძლება აღდგენილ იქნეს (მაგრამ არა შეჩერდეს და შეწყდეს).⁴³⁹

ვადების აღდგენის საკითხის გარკვევისათვის უნდა განვსაზღვროთ ამ ვადების დენის დასაწყისი და დასასრული. მემკვიდრეობის მიღების 6 თვიანი ვადა

⁴³⁷ Крашенинникова П.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2001. С.35

⁴³⁸ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 29

⁴³⁹ Марышева Н.И ; Ярошенко К.Б. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части третьей Постатейный. М, 2004. С. 52

ათვლება იმ დღიდან როცა მემკვიდრეს წარმოეშვათ მემკვიდრეობის უფლება, ანუ სამკვიდროს გახსნის დღიდან.⁴⁴⁰ სამკვიდროს გახსნის დროდ ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღე.⁴⁴¹ მიუხედავად იმისა რომ ნორმაში მითითებულია მამკვიდრებლის გარდაცვალების დღეზე, მემკვიდრეობის მიღების ვადების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო სამართალში ვადების, მისი დასაწყისის ათვლის, დამთავრების, გამოთვლის თაობაზე ზოგადი ნორმები. ვადის გამოთვლა გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 121-ე- 127-ე მუხლებით დადგენილი დანაწესებით და ამ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება დღე, რომელშიც დადგა ეს მოვლენა. კერძოდ, თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.⁴⁴² შესაბამისად, სამკვიდროს მიღების 6 თვიანი ვადების ათვლა იწყება: არა მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, არამედ, მამკვიდრებლის გარდაცვალების დღის მომდევნო დღეს ან პირის მამკვიდრებლის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღის მომდევნო დღეს.⁴⁴³ მემკვიდრის მოქმედება მემკვიდრეობის მისაღებად შეიძლება განხორციელდეს სამკვიდროს მიღების 6 თვიანი ვადის ბოლო დღის 24 საათამდე, ნოტარიუსთან სამუშაო საათების დამთავრებამდე. ვადის ბოლო დღის 24 საათის ამოწურვამდე ორგანიზაციაში ჩაბარებული წერილობითი განცხადება ითვლება ვადაში ჩაბარებულად. ასე, მაგალითად, განცხადება მემკვიდრეობის მიღების თაობაზე, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო ვადის ამოწურვის შემდეგ, მაგრამ იგი ფოსტას ჩაბარდა დროულად, ითვლება, რომ მემკვიდრეობა მიღებულია დადგენილი ვადის დაცვით.

ზოგიერთ მემკვიდრეს კონკრეტულ შემთხვევაში მემკვიდრეობის უფლება წარმოეშობა არა სამკვიდროს გახსნის დღიდან, არამედ მოგვიანებით, მაგალითად: თუ მოანდერძემ მთელი ქონება უანდერძა ერთს ან რამდენიმე პირს და თუ ყველა ანდერძისმიერმა მემკვიდრემ უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ

⁴⁴⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლი

⁴⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1319-ე მუხლი

⁴⁴² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 122-ე მუხლი

⁴⁴³ შეად. სუს დიდი პალატის გადაწყვეტილება ას-1161-1106-2014 30.12.2014 წელი. სსსკ 259¹ და მე-60 მუხლების განმარტება გადაწყვეტილების გასაჩივრებისას.

ამოქმედდება კანონისმიერი მემკვიდრეობის ნორმები და მემკვიდრეობას მიიღებენ კანონით მემკვიდრეები. მათ შეუძლიათ სამკვიდრო მიიღონ ექვსი თვის განმავლობაში. ვადა გამოიანგარიშება იმ დღიდან, როცა მათ წარმოეშვათ მემკვიდრეობის უფლება. ასეთ დღედ, ამ შემთხვევაში, მიიჩნევა ანდერძისმიერი მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმის დღე. 2. თუ კანონით მემკვიდრეობისას ყველა წინა რიგის მემკვიდრემ უარი თქვა მემკვიდრეობაზე, მაშინ უფლება წარმოეშობა მომდევნო რიგის მემკვიდრეს, რომელმაც, კანონით მითითებული ვადის განმავლობაში უნდა განახორციელოს ეს უფლება. 3 გაცილებით რთულია სამკვიდროს მიღების ვადის დენის დასაწყისის განსაზღვრა, თუ არსებობს მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძვლები, მემკვიდრეობა ჩამორთმეულ პირებს არა აქვთ მემკვიდრეობის მიღების უფლება და თუ არ არსებობს იმავე რიგის სხვა მემკვიდრეები, მემკვიდრეობის მიღების უფლება წარმოეშობათ მომდევნო რიგის მემკვიდრეებს. ეს უფლება კი მათ წარმოეშობათ მემკვიდრეობის ჩამორთმევის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. საიდანაც უნდა გამოითვალოს სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადა. 4. სამკვიდროს მიუღებლობას მაშინ აქვს ადგილი, როცა მემკვიდრე უმოქმედოა (მან არ განაცხადა უარი მემკვიდრეობაზე და არც იღებს მას). მემკვიდრემ შეიძლება მიიღოს მემკვიდრეობა 6 თვის განმავლობაში ნებისმიერ დროს მემკვიდრეობის მიღების უფლების წარმოშობის დღიდან, მათ შორის ამ ვადის ბოლო დღეს. ე.ი. შეიძლება დადასტურდეს, რომ მემკვიდრემ არ მიიღო მემკვიდრეობა მხოლოდ ამ ვადის გასვლის გამო. მემკვიდრეობის მიღების უფლება წარმოეშობათ სხვა მემკვიდრეებს: სათადარიგო ანდერძისმიერი მემკვიდრე, თუ ანდერძისმიერმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო; კანონისმიერ მემკვიდრეებს, თუ ანდერძისმიერმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, მომდევნო რიგის მემკვიდრეებს, თუ სამკვიდრო არ მიიღეს წინა რიგის მემკვიდრეებმა. ამ პირებს შეუძლიათ მემკვიდრეობა მიიღონ სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა ამოიწურა სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის ვადა.

კანონით დადგენილი სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გაშვებული ვადის აღსადგენად აუცილებელია სასამართლოსათვის მიმართვა სასარჩელო წარმოების წესით ყველა იმ

ანდერძისმიერი მემკვიდრის სავალდებულო თანამონაწილეობით ვინც მიიღო სამკვიდრო. ⁴⁴⁴ ასეთ დროს სასამართლომ უნდა დაადგინოს ჰქონდა თუ არა ადგილი ანდერძისმიერი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებას,⁴⁴⁵ ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში სამართალურთიერთობის საპეციალური სუბიექტის სახელმწიფოს წინააღმდეგ, (ამ დროს მემკვიდრე მიიღებს არა სავალდებულო წილს, არამედ კანონისმერ მთელ სამკვიდრო წილს) რადგან თუ არც ერთი მემკვიდრე არ მიიღებს სამკვიდრო იგი გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში. დავის განხილვისას უნდა დადგინდეს იმ სუბიექტის (სამეწარმეო საზოგადოება, მოხუცთა და ინვალიდთა სახლი) ვინაობა, ვისაც შეიძლება ჰქონდეს უფლება უმკვიდრო ქონებაზე და უნდა მოხდეს ამ სუბიექტის ჩართვა მოპასუხედ.⁴⁴⁶ ამასთან უმკვიდრო შეიძლება იყოს მთელი სამკვიდრო, ამიტომ სამკვიდროს ერთი ნაწილის სახელმწიფოსათვის ხოლო მეორე ნაწილის კანონით მემკვიდრეებისთვის გადაცემა დაუშვებელია.

სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების საპატიოდ მიჩნევის საკითხის გადაწყვეტისათვის სასამართლო ადგენს ნამდვილად გამოიწვია თუ არა იმ კონკრეტულმა მიზეზებმა, რომლებსაც ეყრდნობა დაგვიანებული მემკვიდრე, მის მიერ მემკვიდრეობის მიღების აქტის ფიზიკური ან იურიდიული განხორციელების შეუძლებლობა,⁴⁴⁷ რომელიც შესაბამისად ჩაითვლება საპატიო მიზეზებად. კანონით განსაზღვრულ ვადაში სამკვიდროს მიღების შეუძლებლობაზე მეტყველი გარემოება უნდა ხასიათდებოდეს იმგვარი ნიშნებით, რომ იგი ობიექტურ შესაძლებლობას ართმევდეს მემკვიდრეს, გამოხატოს სამკვიდროს მიღების ნება კანონით დადგენილი წესით მთელი ამ ვადის განმავლობაში. კონკრეტული მოქმედების განხორციელების ობიექტურ შესაძლებლობას არ გამორიცხავს პირისათვის ცალკეული საზრუნავისა თუ მოვალეობების არსებობა, ისევე როგორც მისი დამოკიდებულება ამ თუ იმ მოვლენისადმი. ასეთ პირობებში შეიძლება, ადგილი ჰქონდეს მხოლოდ ცალკეული

⁴⁴⁴ სუსგ საქმე №ას-655-621-2015, 15.12.2015

⁴⁴⁵ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2000. გვ 158

⁴⁴⁶ ზოიძე ო. სამამკვიდრეო სამართლის სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის ორიოდე პრობლემის შესახებ. ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I თბილისი 2004წ. გვ 11

⁴⁴⁷ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 29

საკითხისადმი პრიორიტეტის მინიჭებას და არა კონკრეტული მოქმედების განხორციელების ობიექტურ შეუძლებლობას.⁴⁴⁸

სავალდებულო მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიო მიზეზად შესაძლებელია მივიჩნიოთ: მემკვიდრის ავადმყოფობა; მემკვიდრის მივლინებაში ყოფნა; მემკვიდრისთვის უცნობია ინფორმაცია სამკვიდრო ქონების არსებობის შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს სამკვიდროს საგანი; თუ მემკვიდრე იმყოფებოდა ისეთ გარემოებებში, რომელთა გამოც მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, ან სხვა გარემოებებში, რომლებიც შეიძლება ცნობილ იქნას მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების საპატიო მიზეზებად, შესაძლოა მემკვიდრისთვის ცნობილი არ იყო მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ, იმის გამო, რომ მამკვიდრებლის სიცოცხლის ბოლო წლებში არ ჰქონდა მასთან ურთიერთობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მემკვიდრე თავს არიდებდა კანონით მასზე დაკისრებულ მამკვიდრებლის რჩენას (მაგალითად, სრულწლოვანი შვილები არ ასრულებდნენ შრომისუუნარო მშობლების შენახვის ვალდებულებას და ა.შ.). საპატიო მიზეზად შესაძლებელია ჩაითვალოს მემკვიდრის ისეთ ვითარებაში ყოფნა, როდესაც იგი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს სამკვიდრო მაგალითად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნა. სააპელაციო სასამართლომ ანალოგიურ საქმეზე ჩათვალა, რომ მოსარჩელეს გააჩნდა ვადის გაშვების საპატიო მიზეზი, კერძოდ, ის გარემოება, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 5 თვესა და 27 დღეს მოსარჩელე იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსარჩელის თავისუფლების აღკვეთის ადგილას ყოფნა უკავშირდება დროის განსაზღვრულ მონაკვეთს, რაც, მართალია, სრულად არ ფარავს სამკვიდროს მისაღებად კანონით გათვალისწინებულ 6-თვიან პერიოდს, მაგრამ უტოვებს მხოლოდ მცირეოდენ დროს მის მისაღებად, კერძოდ, 3 დღეს, შესაბამისად, მოსარჩელე მოკლებული იყო სამკვიდროს მიღების ნების გამოხატვის შესაძლებლობა რამდენიმე ობიექტური საფუძვლით:

⁴⁴⁸ სუსგ საქმე № №ას-203-196-2012 27.02.2012

უპირველესად, იქედან გამომდინარე, რომ იმყოფებოდა საპყრობილეში, და მეორეც: მოსარჩელეს არ გააჩნდა სადავო სახლის დაუფლების რეალური შესაძლებლობა.⁴⁴⁹

საპატიო მიზეზად უნდა ჩაითვლოს ვადის გაშვება არასრულწლოვნების და მხარდამჭერის მიმღების მიერ, რადგან ეს გარემოება ეწინააღმდეგება მემკვიდრის შესაძლებლობას გამოხატოს თავისი ნება და განზრახვა სამკვიდროს მიღებაზე, დამოუკიდებლად შეიტანოს განცხადება ნოტარიუსთან სამკვიდროს მიღების თაობაზე, ასეთ მემკვიდრეებს არ შესწევთ უნარი გააცნობიერონ სამკვიდროს გახსნის იურიდიული შედეგები და სწორად შეაფასონ მათი კანონიერი წარმომადგენლობის უმოქმედობა ან მეურვის არაკეთილსინდისიერი მოქმედება თავისი ვალდებულების მიმართ. საქმეზე რომელიც არასრულწლოვანის სამკვიდროს მიღების ვადების აღდგენას ეხებოდა საკასაციო სასამართლო დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ წარმომადგენლის მიერ მოქმედებათა შეუსრულებლობა თავისთავად არ წარმოადგენს ვადის გაშვების საპატიო მიზეზს. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვადის გაშვების საპატიოობაზე მსჯელობისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს კანონიერი წარმომადგენლის დამოკიდებულება არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიმართ. კანონიერი წარმომადგენლის მიერ თავის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება ან უფლებამოსილების უკანონო გამოყენება შეიძლება გახდეს არასრულწლოვანის მიერ გაშვებული სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის საფუძველი.⁴⁵⁰ თუ სავალდებულო მემკვიდრე არასრულწლოვანი იყო სამკვიდროს გახსნის დროისათვის და სამკვიდროს გახსნის მომენტიდან ექვსი თვის ვადაში საპატიო გარემოების – არასრულწლოვანებისა და სათანადო წარმომადგენლის არარსებობის გამო, ვერ შეეძლო სამკვიდროს მიღება და ასეთივე მემკვიდრეობის მიღების ხელშემშლელი საპატიო გარემოებები არსებობდა მისი სრულწლოვანების ასაკს მიღწევის შემდეგაც,⁴⁵¹ სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს სავალდებულო მემკვიდრის მოთხოვნა სავალდებულო წილის მემკვიდრეობის მიღების ვადების აღდგენის შესახებ.

⁴⁴⁹ სუსგ საქმე № ას-1292-1312-2011. 27.09.2011წ.

⁴⁵⁰ სუსგ საქმე № ას-386-737-07 10.12.2007 წ

⁴⁵¹ სუსგ საქმე №ას-1224-1076-2010 12.04.2011 წ

სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის საკითხზე მსჯელობის დროს სასამართლომ ასევე ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ ფაქტზეც, იცოდა თუ არა სავალდებულო მემკვიდრემ სამკვიდროს გახსნის შესახებ და შეატყობინეს თუ არა ამის თაობაზე ანდერძისმიერმა თუ სხვა სავალდებულო სამკვიდროს მიმღებმა მემკვიდრეებმა. თუ სამკვიდროს მიმღებმა მემკვიდრეებმა დაარღვიეს ვალდებულება, ადგილზე არმყოფი სხვა მემკვიდრეებზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ, მაშინ ვადების გამშვებ ასეთ მემკვიდრეს უნდა აღუდგეს სამკვიდროს მიღების ვადები. ეს პრობლემები სულ უფრო ხშირად იჩენს თავს როცა ანდერძისმიერი მემკვიდრე არ აცნობებს სავალდებულო მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნის შესახებ ამ დასკვნის საფუძველს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 1310-ე, 1427-ე, 1478-ე, 1479-ე და მემკვიდრეობის სამართლის ნორმების ზოგადი ანალიზი, რომელიც ავალდებულებს კერძო სამართლის სუბიექტებს, იმოქმედონ კეთილსინდისიერების ფარგლებში. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპი განმტკიცებულია სამოქალაქო კანონმდებლობით. მართალია, ნორმათა უმრავლესობა მასზე პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ემყარება, ვინაიდან სამოქალაქო მართლწესრიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.⁴⁵²

კანონმდებელი საპატიოობის კრიტერიუმებს არ აზუსტებს, ვინაიდან იგი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომით უნდა გადაწყდეს. ამასთან, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: ა. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და

⁴⁵² სუსგ საქმე №ას-1224-1076-2010 12.04.2011 წ

არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; ბ. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძვლით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა.⁴⁵³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არ არის დადგენილი ვადა რომელიც განსაზღვრავდა დაგვიანებული მემკვიდრისათვის ვადის აღდგენის მოთხოვნის სასამართლოსათვის მიმართვის დროით შეზღუდვას. ამ ვადამ შესაძლებელია დაადგინოს მემკვიდრის მიერ საპატიო მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ სასამართლოსათვის მიმართვის პერიოდი. ბუნებრივია მემკვიდრეები, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს არ უნდა უწევდეთ მუდმივად იმის შიშში ყოფნა⁴⁵⁴ რომ, ვადაგამშვები მემკვიდრე შეიტანს სარჩელს და სამკვიდროს განაწილების და გაყოფის ბედი შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს. ასეთ ვითარებაში არც სსკ-ის 1450-ე მუხლით გათვალისწინებული ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების საფუძველიც არსებობს.⁴⁵⁵ ამ ნორმის გამოყენების საფუძველი იარსებებდა მაშინ, თუ დავის საგანი იქნებოდა მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე გამოვლენილი ნების ნამდვილობა⁴⁵⁶ და არა სამკვიდროს მიღების ვადაგადაცილების მიზეზების საპატიოდ აღიარება და სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო მემკვიდრისათვის კუთვნილი წილის გადაცემა. გარდა ამისა სანოტარო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ანდერძისმიერი მემკვიდრე ნოტარიუსთან კეთილსინდისიერად განაცხადებს სავალდებულო მემკვიდრის შესახებ, შესაბამისად ნოტარიუსი ღიად ტოვებს სავალდებულო წილს სამკვიდროში და ეს ქონება დიდი ხნის განმავლობაში სამოქალაქო ბრუნვის მიღმა რჩება. იმ მემკვიდრის განცხადების საფუძველზე, რომელმაც გაუშვა მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადა სასამართლოს უნდა აღადგინოს იმ პირობით, რომ მემკვიდრემ, რომელმაც გაუშვა მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადა, მიმართა სასამართლოს გონივრული ვადის განმავლობაში იმის შემდეგ, რაც აღმოიფხვრა ვადის გაშვების მიზეზები. შესაბამისად სავალდებულო მემკვიდრემ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნით

⁴⁵³ სუსგ საქმე №ას-1224-1076-2010 12.04.2011 წ

⁴⁵⁴ ნადიბაიძე ლ. სამკვიდროს მიღება – თაორიული და პრაქტიკული ასპექტები. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი. #2 თბ. 2008 წელი გვ. 18.

⁴⁵⁵ სსკ-ის 1450-ე მუხლი („სამკვიდროს მიღება ან მიღებაზე უარის თქმა შეიძლება სადავო გახდეს ორი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა დაინტერესებულმა პირმა შეიტყო, რომ ამისათვის არსებობს სათანადო საფუძველი“)

⁴⁵⁶ სუსგ საქმე №ას-655-621-2015, 15.12.2015

სასამართლოს უნდა მიმართოს ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის ამოწურვისთანავე, დაუყოვნებლივ, ამასთან იგულისხმება, რომ სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის მანძილზე ნების გამოვლენა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შეუძლებელი იყო და სამკვიდროს მიღებაზე ნების გამოვლენის შეუძლებლობის საფუძველი სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის გასვლის შემდეგ ამოიწურა. ამდენად ვადის გაშვების საპატიო საფუძველები უნდა არსებობდეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში და სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი 6 თვიანი ვადის ამოწურვიდან ვადის გაგრძელების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის თარიღამდე.⁴⁵⁷

მემკვიდრეობის მისაღებად ვადის გაგრძელებისათვის მემკვიდრეობის დროული მიღების ხელშემშლელი გარემოებები უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ ყველა კონკრეტულ საქმეში საქმის გარემოებებიდან, ვადის გაშვების მიზეზების ხასიათიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს დღე, როცა მემკვიდრე მძიმე ოპერაციისა თუ ავადმყოფობის შემდეგ დაუშვეს სამუშაოდ, განსაკუთრებული დანიშნულების მივლინებიდან დაბრუნების დღე და ა.შ. ვადა, რომელიც მიეცემა მემკვიდრეს სასამართლოში მიმართვისათვის არის დროის პერიოდი მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ მემკვიდრეობის უფლების განსახორციელებლად ამიტომ თუ მემკვიდრემ მოცემული დროის განმავლობაში არ ისარგებლა სასამართლოში მიმართვით მემკვიდრეობის უფლების აღსადგენად, ასეთი ვადა არ უნდა ექვემდებარებოდეს აღდგენას. იგი შეიძლება ცნობილ იქნეს სასამართლო წესით მემკვიდრეობის მისაღებად გაშვებული ვადის აღდგენის უფლების გაუქმების საფუძველად. მოცემულ შემთხვევაში ამ ვადის ამოწურვა გააუქმებს იმ მემკვიდრის მემკვიდრეობის უფლებას, რომელმაც გაუშვა მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადა საპატიო მიზეზების გამო. იმის დასადგენად, გადააცილა თუ არა საპატიო მიზეზით მხარემ კანონით დადგენილ ვადას, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ დროში სანოტარო ორგანოსთვის მიმართვის ან ქონების დაუფლების შეუძლებლობის ფაქტი, არამედ იმ ვადის საპატიოობაც, რომლითაც მან გადააცილა ამ მოქმედებათა განხორციელების ვადას, უნდა დაადგინდეს გარემოებანი, რომელთა გამოც მხარემ

⁴⁵⁷ სუსგ საქმე №ას-203-196-2012 27.02.2012

ვერ შეძლო სამკვიდროს მიღება მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან სასამართლოსათვის მიმართვამდე.⁴⁵⁸

მემკვიდრეობის მიღება არის ის აქტი, რომლის შედეგადაც მემკვიდრე ხდება ადრე მამკვიდრებლის კუთვნილი კონკრეტული უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელი და მემკვიდრეობის მიღების ვადის აღდგენის მოთხოვნა ნიშნავს მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობიდან წარმოშობილი დაგვიანებული მემკვიდრის უფლებების ცნობის მოთხოვნას.⁴⁵⁹ ვადის აღდგენის მოთხოვნა თავისთავად უკვე მოწმობს მემკვიდრეობის შექმნის თაობაზე პირის სავარაუდო განზრახვას. სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადა არ გრძელდება, არამედ აღდგება, რაც განაპირობებს მოსარჩელე-მემკვიდრის სამკვიდროს მიმღებად ცნობას და მამკვიდრებლის ქონებაში მისთვის წილის მიკუთვნებას. ამიტომ, მემკვიდრეობის მიღების გაშვებული ვადის აღდგენა გამორიცხავს მემკვიდრის მხრიდან მემკვიდრეობის მისაღებად რაიმე დამატებითი მოქმედებების⁴⁶⁰ განხორციელების აუცილებლობას. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ნოტარიუსთან მიმართვა, სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ, არ უნდა იყოს საჭირო და მემკვიდრისათვის ვადის აღდგენით სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს სამკვიდროში მემკვიდრის ხვედრ ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობის საკითხიც.⁴⁶¹

სავალდებულო წილის მემკვიდრეობის მიღების ვადების გაშვების საპატიოდ ცნობისა და ამ ვადების აღდგენის სარჩელით მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მდგომარეობის სავალდებულო წილის საკუთრების უფლებით მიღებაში. თუ მოსარჩელე არ არის სავალდებულო მემკვიდრე ან მას სასამართლო გადაწყვეტილების ჩამორთმეული აქვს მემკვიდრეობის მიღების უფლება მისი სარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი ამგვარი აღიარებით ვერ მიიღწევა და შესაბამისად სარჩელი როგორც პროცესუალური აქტი, მიმართული საქმის გარემოებების გარკვევისა და დავის გადაწყვეტის მიღწევის მიზნით წარმოების

⁴⁵⁸ სუსგ საქმე № ას-177-167-2011. 7.07.2011

⁴⁵⁹ .Абовой Т.Е. Богуславский М.М. Светланова А.Г. и др. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (части третьей)/. – М 2006 С . 63

⁴⁶⁰ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 29

⁴⁶¹ შენგელია რ. , შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 151

აღსაძვრელად⁴⁶² საერთოდ დაუშვებელია და ეს გარემოება არის არა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის, არამედ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.⁴⁶³ სავალდებულო მემკვიდრის სარჩელი სამკვიდროს მიღების ვადების აღდგენასთან დაკავშირებით არის სავარაუდო მემკვიდრის მოთხოვნა, მიმართული მისთვის, როგორც მემკვიდრისათვის, განკუთვნილი სიკეთის მისაღებად⁴⁶⁴ და ვადის აღდგენის მოთხოვნის უფლება არა მხოლოდ უზრუნველყოფს სამართლებრივი გზის არსებობას ზოგადად, არამედ შესაძლებლობას იძლევა, რომ ეს სამართლებრივი გზა უზრუნველყოფდეს გაცხადებული უფლებების ეფექტურ დაცვას.⁴⁶⁵ აღიარებითი სარჩელის დასაშვები საგანი შეიძლება იყოს სამართალურთიერთობიდან გამომდინარე ცალკეული უფლებები და მოვალეობები, მაგრამ არა სამართალურთიერთობის უბრალო ელემენტები ან პრეიუდიციული საკითხები; მხოლოდ ფაქტები, ან ნების გამოხატვის ნამდვილობა, ან ქმედების მართლწინააღმდეგობა.⁴⁶⁶ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სავალდებულო მემკვიდრე მიმართავს სასამართლოს აღიარებითი სარჩელით სამკვიდროს მიღების ვადების საპატიოდ აღიარებასთან, მემკვიდრის ამგვარი აღიარებითი სარჩელი დაუშვებლად უნდა იყოს მიჩნეული. მიკუთვნებითი და აღიარებითი სარჩელები განსხვავდება იმისდა მიხედვით აღწევს თუ არა მოსარჩელე თავისი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ან სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენას, ანდა მოპასუხის მიმართ მისი კონკრეტული სამართლებრივი დამოკიდებულების გარდაქმნას.⁴⁶⁷ სასამართლოში სარჩელის აღძვრისას ვადაგამშვები სავალდებულო მემკვიდრის სასარჩელო მოთხოვნა უნდა იყოს ვადების გაშვებისა მიზეზების ცნობისა და მისი აღდგენის გამო სწორედ სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიკუთვნება, ვინაიდან მისი დავის ნამდვილი იურიდიული ინტერესი არის სამემკვიდრეო-სამართლებრივ უფლებებში აღდგენით სამკვიდროდან სავალდებულო წილის საკუთრებაში მიღება. მემკვიდრეობის დავებზე სასამართლო სამართალწამოება უნდა დამთავრდეს

⁴⁶² Елисеев Н.Г. Гражданский процесс ФРГ. Москва: 1989; С 66

⁴⁶³ საქართველოს სამოქალაქო პროცესის მუხლი 180.

⁴⁶⁴ Серебровский В.И. Избранные труды по наследственному и страховому праву. М. 2003. С 237

⁴⁶⁵ Макаров В.В. Теория иска в гражданском процессуальном праве России и Германии. Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук. М. 2007 С 30

⁴⁶⁶ BGH, Urteil vom 19. April 2000 - XII ZR 332/97= NJW 2000, 2280

⁴⁶⁷ Rosenberg L., Schwab K.H., Gottwald P. Lehrbuch des Zivilprozessrechts. 16. Aufl., München.: 2004; 588

მემკვიდრისათვის მატერიალური უფლებების მიკუთვნებით და არა მემკვიდრეობის მიღების ვადის აღდგენით. თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ ვადების აღდგენის თაობაზე, მემკვიდრეს ნებისმიერ დროს შეეძლება იგი წარადგინოს ნოტარიუსთან და გაურკვეველი ვადით გადაიდება სამკვიდროს გაყოფის ბედი თუ საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგა წილების ოდენობაც. ასეთ დროს უკვე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში მაშინ ნოტარიუსმა უნდა შეიტანოს ცვლილებები, რაც ახალი დავის საგანი გახდება სასამართლოში და ერთ დამთავრებულ დავას მოჰყვება მეორის პროვოცირება. თუ სასამართლო სავალდებულო მემკვიდრეს, რომელიც ცნობილია სამკვიდროს მიმღებად დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ აღუდგენს სამკვიდროს მიღების ვადას, არ ნიშნავს დამატებით დროს სამკვიდროს მისაღებად,⁴⁶⁸ მემკვიდრემ ეს დროც შესაძლებელისა ისეთივე “წარმატებით” გამოიყენოს როგორც სამკვიდროს მიღების ვადა, არამედ სასამართლო ვალდებულია ასეთი ვადაგაშვებული მემკვიდრე ამავდროულად ცნოს სამკვიდროდან სავალდებულო წილის მესაკუთრედაც. იმ შემთხვევაში, თუ ქონების შემადგენლობაში შესულია უძრავი და სხვა ქონება, რაც ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, ასეთი რეგისტრაცია წარმოებს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. შესაძლებელია სამკვიდრო მოწმობაში შევიდეს ცვლილებები და იგი გაუქმდეს იმ მემკვიდრის სამკვიდრო წილის ნაწილში, რომელსაც აღუდგა სამკვიდროს მიღების უფლება.

სავალდებულო წილის მემკვიდრეობა დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგაც შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე, თუ იარსებებს კუმულაციური პირობის სახით ორი გარემოება⁴⁶⁹: სახეზე იქნება კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიმღები ანდერძისმიერი მემკვიდრე (თუ ანდერძისმიერი მემკვიდრე არ მიიღებს სამკვიდროს ბუნებრივია ისიც კარგავს მემკვიდრეობას და სავალდებულო წილის მემკვიდრეობაც არ წარმოიშვება) და მეორე როდესაც ის (ისინი) თანახმა არის სამკვიდრო მიიღოს ვადაგამშვებმა სავალდებულო მემკვიდრემაც. თანხმობა ნოტარიუსთან ანდერძისმიერმა მემკვიდრეებმა შეიძლება

⁴⁶⁸ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007. გვ70

⁴⁶⁹ ნადიბაიძე ლ. სამკვიდროს მიღება – თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი. #2 2008 წელი გვ. 15.

შეიტანონ როგორც ერთად ასევე ცალ-ცალკე.⁴⁷⁰ მემკვიდრე, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა, ვალდებული არ არის განმარტოს დაგვიანებული მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე თანხმობის ან უარის თქმის მოტივები. მემკვიდრის მიერ ვადის გაშვების მიზეზების გამოკვლევა, განხილვა და შეფასება არის სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების პირადი საქმე და რა თქმა უნდა ნოტარიუსის მიერ მისი გამოკვლევა არ ხდება. სამკვიდროს მიმღები ანდერძისმიერი მემკვიდრის უარი არ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. თანხმობა, რომელიც მიეცა მემკვიდრეს, რომელმაც გაუშვა დადგენილი ვადა, არ არის მემკვიდრეობაზე უფლების განმკარგველი აქტი.⁴⁷¹ თანხმობის მიცემით მემკვიდრეები არ თმობენ მემკვიდრეობაზე თავიანთ უფლებას. ხდება მემკვიდრეობითი მონაცვლეობის წესის აღდგენა იმ მემკვიდრეთა უფლებების გათვალისწინებით, რომლებმაც დროულად მიიღეს მემკვიდრეობა და იმ მემკვიდრის უფლებების გათვალისწინებით, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ამასთან, ნოტარიუსმა, იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს სამკვიდროს მიღების ვადის გამშვები მემკვიდრეებისათვის სამკვიდროს მიღებაზე, უნდა განუმარტოს, რომ თანხმობა გამოიწვევს სამკვიდროს გადანაწილებას, იმ მემკვიდრის წილის გათვალისწინებით, რომელმაც გაუშვა სამკვიდროს მიღების ვადა. აღნიშნული გამოიწვევს სამკვიდროს მიმღები მემკვიდრის წილის შემცირებას. ზოგჯერ მემკვიდრეები პირები, რომლებიც მემკვიდრეები გახდნენ დაგვიანებული მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიუღებლობის შედეგად, კარგავენ მემკვიდრეობის უფლებას ასეთი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების შემთხვევაში. სამკვიდროს მიღების სასამართლოს გარეშე წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ერთი ანდერძისმიერი მემკვიდრე მაინც არის წინააღმდეგი. მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა, უფლება აქვთ მისცენ თანხმობა მემკვიდრეობის მიღებაზე პირს, რომელმაც გაუშვა დადგენილი ვადა, იმის მიუხედავად, გაცემულია თუ არა ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობა და რამდენი ხანია გასული მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადის ამოწურვის მომენტიდან. შეთანხმებითი წესის გამოყენება არ იზღუდება არანაირი ვადით, რაც სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეებს

⁴⁷⁰ Крашенинникова П.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2001. С.35

⁴⁷¹ Марышева Н.И ; Ярошенко К.Б Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части третьей Постатейный. М, 2004. . С. 52

შესაძლებლობას აძლევს კეთილი ნების⁴⁷² საფუძველზე პატივი სცენ იმ მემკვიდრის ინტერესებს, რომელმაც გაუშვა მემკვიდრეობის მიღების ვადა. სამკვიდრო მიღებულ მემკვიდრეთა თანხმობა, იმისათვის რომ აღიარებული იქნეს სამკვიდროს ვადის გამშვები მემკვიდრის უფლება მიიღოს მემკვიდრეობა უნდა წარმოადგენდეს ნოტარიუსის მიერ ადრე გაცემული სამკვიდროს უფლების მოწმობების გაუქმების და ახალი მოწმობის გაცემის საფუძველს.

სავალდებულო მემკვიდრეთა ინტერესების შესაბამისად, ანდერძისმიერ მემკვიდრეებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება მემკვიდრისათვის, რომელმაც გაუშვა სამკვიდროს მიღების ვადა, სავალდებულო წილის სამკვიდრო ქონების ნატურით გადაცემაზე ან მის სანაცვლოდ ფულადი ან სხვა სახის კომპენსაციის მიღების შესახებ. ამასთან, მემკვიდრეები არ არიან ვალდებული მემკვიდრეს, რომელსაც აღუდგა მემკვიდრეობის უფლება, დაუბრუნოს სამკვიდრო ქონებიდან მიუღებელი შემოსავლები, რომლებიც მათ მიიღეს ამ ქონებიდან მათ მფლობელობაში არსებობის პერიოდში, თუ მათი მფლობელობა ითვლებოდა მართლზომიერად.⁴⁷³ სარჩელი ვადაგამშვებული მემკვიდრისათვის სამკვიდროდან კუთვნილი წილის დაბრუნების თაობაზე განიხილება უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე კონდიქციური სარჩელის სახით და ემყარება “სამართლიანობის პრინციპს, რომლის თანახმადაც არავინ შეიძლება გამდიდრდეს სხვის ხარჯზე.”⁴⁷⁴

სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის სამემკვიდრეო დავებთან მიმართ მოქმედებს განსაკუთრებული განსჯადობის წესი, რომლის თანახმად, სარჩელები კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ გარდაცვალების მომენტისათვის საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძრას საქართველოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების

⁴⁷² Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002. С. 29

⁴⁷³ შენგელია რ., შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ. 150

⁴⁷⁴ ცვაიგერი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. თბ. 2001წ. ტომი II გვ 239

ადგილსამყოფლის მიხედვით⁴⁷⁵. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.⁴⁷⁶ სუბიექტური უფლებებისა და ინტერესების დარღვევისას მათი სასამართლო წესით დაცვა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამის განსჯად სასამართლოში.⁴⁷⁷ სამოქალაქო პროცესში ძირითადი ნიშნების მიხედვით განასხვავებენ ორი სახის განსჯადობას: გვარეობით ანუ საგნობრივ განსჯადობას (საქმეთა განაწილება მათი სახეობის, ასევე დავის საგნის მიხედვით) და ტერიტორიულ განსჯადობას, რომელშიც გაერთიანებულია განსჯადობის რამდენიმე სახე. ესენია: საერთო, განსაკუთრებული, ქონებრივი, ნივთობრივი, სახელშეკრულებო (იგივე ნებაყოფლობითი), ოჯახური დავებისა და ალტერნატიული განსჯადობა.⁴⁷⁸ სავალდებულო წილის მიღების ვადების გაშვების საპატიოდ ცნობისა და მისი აღდგენის დავების განსჯადობის შესახებ საკითხის განხილვისას, პირველ რიგში დასადგენია მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი მის გარდაცვალებამდე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი, ჩვეულებრივ, საცხოვრებლად ირჩევს. ანალოგიურად განმარტავს საცხოვრებელი ადგილის ცნებას „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის რომლის თანახმად, პირის საცხოვრებელ ადგილად, მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი საცხოვრებლად ირჩევს.⁴⁷⁹ იმის გათვალისწინებით, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი, მამკვიდრებლის საცხოვრებელ ადგილად მიჩნეულ უნდა იქნეს ის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი მუდმივად ან უპირატესად ცხოვრობდა.⁴⁸⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის განსაზღვრავს განსჯადობას იმ შემთხვევაშიც, როცა მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქე იყო და

⁴⁷⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 16

⁴⁷⁶ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი

⁴⁷⁷ Bergerfurth B. Der Zivilprozess (Klage-Urteil-Rechtsmittel), Freiburg im Breisgau: Haufe, 6. Aufl. 1991; p 36

⁴⁷⁸ ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ. 2014; გვ 213

⁴⁷⁹ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

⁴⁸⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი.

გარდაცვალების მომენტისათვის საზღვარგარეთ ცხოვრობდა. ასეთ შემთხვევაში კანონი უშვებს ალტერნატიულ განსჯადობას: სარჩელი შეიძლება აღიძრას საქართველოში მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით⁴⁸¹, ხოლო თუ სამკვიდრო სხვადასხვა ადგილას იმყოფება, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა უძრავი ქონების ან მისი ფასეული ნაწილის ადგილსამყოფელი, ხოლო თუ უძრავი ქონება არ არის, მაშინ — მოძრავი ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.⁴⁸² შესაბამისად, სავალდებულო წილის მემკვიდრეობის ვადების აღდგენის სამემკვიდრეო დავის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფლის დადგენისას სასამართლომ სწორედ ხსენებული მუხლით დადგენილი წესებით უნდა იხელმძღვანელოს.

სასამართლო სამართალწარმოებაში ზოგჯერ სამკვიდროს მიღების ვადების გაშვების საპატიოდ ცნობისა და ამ ვადების აღდგენის საკითხი უდავო წარმოების წესით განიხილებოდა, რაც არასწორია და იგი მხოლოდ სასარჩელო წარმოების წესით უნდა იყოს განხილული სახელმწიფოს წინააღმდეგ და არა სანოტარო ორგანოსა ან ადგილობრივი თვითმმართველოს წინააღმდეგ როგორც ეს ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება. ქონების უმკვიდროდ ცნობა არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგს ნოტარიუსისათვის. ნოტარიუსი ქონების უმკვიდროდ ცნობის ფაქტის მიმართ ნეიტრალურია — მას არა აქვს არც ქონებრივი, არც სხვა სახის უფლებრივი ინტერესი, რის გამოც იგი არ შეიძლება ჩართულ იქნეს ასეთ დავაში მოპასუხედ.⁴⁸³ უმკვიდრო სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლის საკითხი დაკავშირებულია იმ ორგანოს უფლებამოსილებასთან, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის სახელმწიფოს სახელით. კერძოდ, სახელმწიფოს უფლებამოსილებები კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განახორციელოს იმ ორგანომ, რომლის კომპეტენციაშიც შედის სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო ქონების

⁴⁸¹ ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ. 2007 გვ 38

⁴⁸² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1324-ე მუხლის მე-2 ნაწილი

⁴⁸³ ზოიძე ო., სამემკვიდრეო სამართალი: სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის ორიოდე პრობლემის შესახებ, ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“, 2002, №2(6); გვ 35

ფლობა, მართვა და განკარგვა⁴⁸⁴ ამრიგად, აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე მოპასუხედ უნდა იქნეს ჩაბმული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. ვფიქრობ უპრიანია თუ უმკვიდრო ქონება გადავა ადგილობრივ თვითმმართველობის საკუთრებაში, როგორც ეს გათვალისწინებულია ესტონეთის კანონმდებლობით.⁴⁸⁵ თუმცა სავალდებულო წილის მიღების ვადების გაშვების საპატიოდ ცნობის სარჩელებთან დაკავშირებით მოპასუხეებად ყოველთვის გვევლინებიან ანდერძით მემკვიდრეები.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები როდესაც მემკვიდრეს ფაქტობრივი ფლობით მიღებული აქვს სამკვიდრო თუმცა, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა. ერთ-ერთ ანალოგიურ დავაზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ: მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს საკუთრებასთან დაკავშირებულ უფლებას, რომლის რეალიზაციის არსებითი საფუძველი მემკვიდრის მიერ შესაბამისი ნების გამოხატვაა. სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღება გულისხმობს იმას, რომ მემკვიდრემ აქტიური ქმედებით გამოხატა სამკვიდროს მიღების ნება. უფრო მეტიც, აღნიშნული ნების გამოხატვის მიზნებისათვის კანონი საკმარის საფუძვლად მიიჩნევს სამკვიდროს ნაწილის დაუფლებას, სასამართლო პრაქტიკით სამკვიდროს ნაწილად მიჩნეულია სამკვიდრო მასაში შემავალი როგორც უძრავი, ასევე ნებისმიერი მოძრავი ნივთი, მათ შორის, წიგნი, ჩანთა, ტანსაცმელი და ა. შ. მოცემულ სამკვიდრო მასაში კი შედიოდა ბინის პრივატიზაციის უფლება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენადაც შეუძლებელია უფლებაზე ფაქტობრივი ბატონობა, ამიტომ აღნიშნული უფლების რეალიზაციის მიზნებისათვის მიმართული ქმედება სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის კონტექსტში სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებად უნდა ჩაითვალოს. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამკვიდრო მიღებულად ჩათვალა რა ფაქტობრივი ფლობით, იმსჯელა ასევე ვადის გაშვების საპატიოობაზე და გაშვებული ვადა საპატიოდ მიიჩნია, რითაც არსებითად

⁴⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წლის 25 ივლისი

⁴⁸⁵ ესტონეთის ს.კ მე-18 მუხლი.

დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლები. სააპელაციო სასამართლომ განმარტა ასევე, რომ ნორმათა შეფარდების პროცესში სამართალურთიერთობა შეიძლება შეფასდეს რამდენიმე სამართლებრივ არგუმენტაციაზე დაყრდნობით. შესაბამისად, მოთხოვნის მართლზომიერება შეიძლება დასტურდებოდეს ერთზე მეტი სამართლებრივი საფუძვლით. ერთ სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით მოთხოვნის დაკმაყოფილება არ გამორიცხავს იგივე მოთხოვნის მართლზომიერებას სხვა სამართლებრივი საფუძვლით. მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია ეფუძნებოდა დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულ იქნა ფაქტობრივი ფლობით, თუმცა, საპრივატიზაციო უფლების რეალიზაციისაკენ მიმართული ქმედება კიდევ, რომ არ შეფასებულიყო სამკვიდროს ფაქტობრივ დაუფლებად მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადა საპატიო იყო და მას აღნიშნული საფუძვლით მაინც უნდა მიეღო სამკვიდრო ქონებიდან მისი წილი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ1426-ე მუხლის დანაწესით, მემკვიდრის უფლება სამკვიდრო ქონებაზე შეზღუდულია ნების გამოხატვის ფორმითა და წესით. აღნიშნული შეზღუდვა განპირობებს სხვა მემკვიდრეთა ინტერესის დაცვას, გონივრულ ვადაში უზრუნველყონ სამკვიდროდან კუთვნილი უფლების დადგენა და რეალიზაცია. თუმცა, ყველა მემკვიდრის ინტერესის თანაბარზომიერი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე შეზღუდვა არ არის აბსოლუტური ხასიათის და კანონი უშვებს სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენას სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების მიზეზი საპატიოდ იქნება ცნობილი. საპატიოობის კრიტერიუმი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასების საგანია და მასთან დაკავშირებული დასკვნა უნდა იყოს მოტივირებული თითოეული მემკვიდრის მართლზომიერი ინტერესის დაცვის აუცილებლობით, ვადის გაშვების სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამოკვლევითა და იმგვარი მოსაზრებით, რომ ვადის გაშვება განპირობებულია არა სამკვიდროს მიღების ნების არარსებობით, არამედ ასეთი ნების სათანადო წესით გამოხატვის შეუძლებლობით. კონკრეტული ფორმით ნების გამოხატვის შეუძლებლობა შეიძლება, განპირობებულ იქნეს როგორც ობიექტური ფაქტორებით, ასევე პირის სუბიექტური დამოკიდებულებით სამკვიდრო ქონებისადმი, თუ

სამკვიდრო მასის მახასიათებლებისადმი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ისეთ პირობებში, როცა სამკვიდრო მასაში შედის არა კონკრეტული უძრავი ქონება, არამედ ქონების პრივატიზაციის უფლება, ქონების პრივატიზაციის მიზნებისათვის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის მიმართვა სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში, ასევე აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის საფუძველს წარმოადგენდა.⁴⁸⁶

სავალდებულო წილის მემკვიდრეობის მიღების ვადის აღდგენის, ან სავალდებულო წილის მიღების დავის განხილვისათვის სასამართლომ დავის გადასაწყვეტად პირველ რიგში სწორად უნდა განსაზღვროს, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობა უნდა გავრცელდეს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ამ შემთხვევაში, განსხვავებულად აწესრიგებს. «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 55-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1326-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს გახსნის ადგილად იმ პირთა გარდაცვალების შემდეგ, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, ითვლება ის ქვეყანა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. ზემოაღნიშნული ნორმებისაგან განსხვავებულ წესს ადგენს «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ» მინსკის კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 48-ე მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ უძრავ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ეს ქონება. ამავე კონვენციის 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უძრავი ქონების მემკვიდრეობის საქმეთა წარმოებაში კომპეტენტური არიან იმ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებები, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ქონება. «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ» მინსკის

⁴⁸⁶ სუსგ საქმე №ას-480-454-2012. 30.04.2012

კონვენციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტების მიმართ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე «ნორმატიული აქტების შესახებ» კანონის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას (მიუხედავად მათი ფორმისა და სახელწოდებისა), თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ» მინსკის კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად მემკვიდრის მიერ საქართველოში მდებარე სამკვიდრო უძრავი ქონების მიღების ვადის გაგრძელების საკითხი უნდა გადაწყდეს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ საქართველოს სამემკვიდრეო სამართლის ნორმების შესაბამისად და ამ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის კომპეტენცია აქვს ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით არსებულ ნოტარიუსს – საქართველოს ნოტარიუსს.⁴⁸⁷ თუ სავალდებულო მემკვიდრე იმ ქვეყნის მოქალაქეა, რომელიც «სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ» მინსკის კონვენციას წევრი არ არის ასეთ დროს უნდა გამოვიყენოთ «საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ» საქართველოს კანონის 55-ე მუხლის პირველი წინადადება, რომლის მიხედვით, მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა.

4. სავალდებულო მემკვიდრის უარი სავალდებულო წილზე.

მემკვიდრეობის უფლება შეიცავს მემკვიდრეობის მიღების უფლებამოსილებას და მემკვიდრეობაზე უარის თქმის უფლებამოსილებას, შესაბამისად უარი მემკვიდრეობაზე ერთ-ერთი უფლებამოსილებაა მემკვიდრეობის უფლების

⁴⁸⁷ სუსგ საქმე№ ას-146-476-09 23.06.2009

განსახორციელებლად.⁴⁸⁸ მემკვიდრეობით გადადის რა მამკვიდრებლის უფლებები და მოვალეობები მემკვიდრეობის მიღება წყვეტს პირის, როგორც მემკვიდრის, სამართლებრივ მდგომარეობას და იწვევს მემკვიდრის უფლებების წარმოშობას, როგორც მესაკუთრის, კრედიტორის, მოვალის და სხვა, რომლის მატარებელიც იყო მამკვიდრებელი. უარი მემკვიდრეობაზე არა მარტო წყვეტს პირის, როგორც მემკვიდრის, სამართლებრივ მდგომარეობას, ამავდროულად იწვევს სხვაგვარ სამართლებრივ ეფექტს,⁴⁸⁹ უარი მემკვიდრეობაზე ჩამოაცილებს მემკვიდრეს უფლებამონაცვლეობისა და მამკვიდრებლის ვალდებულებებისაგან, ჩამოაშორებს მას სამკვიდრო ქონებას, გამორიცხავს მემკვიდრეს გარდაცვლილის უფლებამონაცვლეთა რიცხვიდან. უარი მემკვიდრეობაზე გამოხატავს მემკვიდრის ნებას, რომლის შინაარსია თავის თავზე იმ უფლებებისა და ვალდებულებების აღებაზე უარის თქმა, რომლებიც შეადგენენ სამკვიდროს. უარი მემკვიდრეობაზე – ნების გამოვლენაა, რომელიც მიეკუთვნება მთელ სამკვიდროს ერთიანად, ამიტომ პირდაპირ არის დადგენილი, რომ უარი მემკვიდრის კუთვნილი ქონების მხოლოდ ნაწილზე არ დაიშვება, როგორც არ დაიშვება უარი მემკვიდრეობაზე რაიმე დათქმით ან პირობით. მაგრამ მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას მემკვიდრეობის ნაწილის მიღებაზე იმავე პირობებში, რა პირობებშიც დაშვებულია მემკვიდრეობის ნაწილის მიღება, თუ მემკვიდრეს ეკუთვნის მემკვიდრეობა სხვადასხვა საფუძვლით ერთდროულად. თუ მემკვიდრეს სხვადასხვა საფუძვლით სამკვიდროდან რამდენიმე წილი ეკუთვნის მას შეუძლია უარი თქვას ერთი წილის მიღებაზე და მიიღოს მეორე წილი ან უარი თქვას ყველა წილზე⁴⁹⁰ არ დაიშვება უარი ანდემით მემკვიდრეობაზე და თანხმობა იმავე ქონების მიღებაზე კანონით⁴⁹¹. მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას მემკვიდრეობაზე, მემკვიდრეობის მისაღებად მოწვევის საფუძვლების ალტერნატიული არჩევის უფლების გამოყენებით, თუ მემკვიდრე მემკვიდრეობის მისაღებად მოწვეულია რამდენიმე საფუძვლით, მას აქვს უფლება უარი თქვას მისთვის ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა საფუძვლით მისაკუთვნებელ მემკვიდრეობაზე. ასე, მაგალითად, მემკვიდრე მოწვეულია მემკვიდრეობის

⁴⁸⁸ Абова Т.Е. Богуславский М.М. Светланов А.Г. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий . М., 2005. С. 59

⁴⁸⁹ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий. М., 2002. С. 29

⁴⁹⁰ ჩიკვაშვილი შ მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2000. გვ 163

⁴⁹¹ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007. გვ 73

მისაღებად, როგორც ანდერძით მემკვიდრე და იმავდროულად, როგორც კანონით მემკვიდრე, რომელსაც სამკვიდროში აქვს უფლება სავალდებულო წილზე. იგი უფლებამოსილია უარი თქვას მემკვიდრეობის ნაწილზე, რომელიც ეხება მის უფლებას სავალდებულო წილზე, ან პირიქით იმ ნაწილზე, რომელიც ეხება უფლებას ანდერძით მემკვიდრეობაზე, ან უარი თქვას მემკვიდრეობაზე ორივე საფუძვლით, ე.ი. მემკვიდრეობაზე მთლიანად.⁴⁹² სავალდებულო მემკვიდრის მიერ მისთვის მისაკუთვნილებელი ქონების ნაწილზე უარის დაუშვებლობის პრინციპი და მემკვიდრეობის ალტერნატიული არჩევის საფუძველზე წარმოშობილი მემკვიდრეობის ნაწილზე უარის თქმის უფლება განპირობებულია მემკვიდრეობის უნივერსალური ხასიათით.⁴⁹³ დაუშვებელია მიიღოს სამკვიდროს ერთი ნაწილი და უარი თქვა იგივე საფუძვლებით მემკვიდრეობის სხვა ნაწილზე, ან მიიღოს სამკვიდრო აქტივი და უარი თქვა პასივზე. მემკვიდრეობის უფლების ეს ერთიანობა და განუყოფლობა გამომდინარეობს თავად მემკვიდრის განუყოფლობის თვისებიდან, რომელიც გარდაცვლილის პიროვნების გაგრძელების იდეით აიხსნება.⁴⁹⁴ ქართულ კანონმდებლობაში არსებობს გამონაკლისი როდესაც უარი ეხება სამკვიდროში შემავალ სასოფლო-სამეურნეო მიწას.⁴⁹⁵

სუბიექტები, რომლებსაც აქვთ უფლება უარი თქვან მემკვიდრეობაზე, არიან ნებისმიერი მემკვიდრეები, იმის მიუხედავად, თუ რომელი საფუძვლით ან წესით არიან მოწვეულნი სამკვიდროს მისაღებად, მათ შორის სავალდებულო მემკვიდრეებიც. გამონაკლისს წარმოადგენს უმკვიდრო ქონების მემკვიდრეობის შემთხვევები. კანონი არ ითხოვს როგორც ზოგადად მემკვიდრეობაზე ისე სავალდებულო წილის მემკვიდრეობაზე მემკვიდრის უარის დასაბუთებას, ამიტომ, მაგალითად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო შემადგენლობის არასრული ცოდნა, თუ რა თქმა უნდა ვინმემ არ შეიყვანა განზრახ შეცდომაში, არ იძლევა მემკვიდრეობაზე მემკვიდრის მიერ გაცხადებული უარის ბათილად ცნობის საფუძველს.

⁴⁹² Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий. М., 2002. С.62

⁴⁹³ Абова Т.Е. Богуславский М.М. Светланов А.Г. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий. М., 2005 с. 67

⁴⁹⁴ Mallet P. La renonciation à succession, thèse. Paris: L.G.D.J., 1931. P. 97-99.

⁴⁹⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1436-ე მუხლის მიხედვით: მემკვიდრეს, რომელიც არ მისდევს სოფლის მეურნეობას, შეუძლია უარი თქვას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, მოწყობილობის, შრომის იარაღებისა და პირუტყვის მიღებაზე, მაგრამ ეს არ ჩაითვლება საერთოდ უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე.

მემკვიდრეობაზე უარის თქმის პრინციპები განპირობებულია მემკვიდრეობის უფლების ცნებითა და შინაარსით. ნებისმიერი უფლებამოსილების რეალიზაცია (მემკვიდრეობის მიღება ან უარი მემკვიდრეობაზე), რომლებიც შეადგენენ მემკვიდრეობის ერთიან უფლებას, წყვეტს მემკვიდრეობის უფლებას, როგორც უფლებას შევიდეს მამკვიდრებლის ყველა იურიდიულ ურთიერთობებში. ამ უფლებამოსილებების რეალიზაციის პირობები განსაზღვრულია მემკვიდრეობის თავისებურებებით, როგორც უნივერსალური უფლებამონაცვლეობით.⁴⁹⁶ მემკვიდრეობაზე უარის განხორციელების განმსაზღვრელ პრინციპებს მიეკუთვნება: მემკვიდრეობაზე უარის უცვლელობა და შეუქცევადობა; მემკვიდრეობაზე უარის დაუშვებლობა დათქმით ან პირობით; უარი სხვა პირთა სასარგებლოდ; მემკვიდრეობაზე ნაწილობრივი უარის დაუშვებლობა, მემკვიდრეობის ნაწილზე უარის საფუძვლების ალტერნატიული არჩევანის უფლების შეთავსებით.

უარი სავალდებულო წილის მემკვიდრეობაზე უნდა განვასხვავოთ მემკვიდრეობის ფაქტობრივ მიუღებლობისაგან. უარი მემკვიდრეობაზე აშკარად გამოხატავს მემკვიდრის ნებას არ შეიჭრას სამართალურთიერთობებში მამკვიდრებლის ნაცვლად ამ უკანასკნელის მონაწილეობით.⁴⁹⁷ სამკვიდროს ფაქტობრივი მიუღებლობას მაშინ აქვს ადგილი როცა მემკვიდრე არანაირი ფორმით არ ავლენს თავის განზრახვას სამკვიდროს მიღებაზე, შესაბამისად თუ სამკვიდრო ფლობა მოწმობს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებას, მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის ფაქტობრივად მიუღებლობა არ მოწმობს არც მემკვიდრეობაზე უარის შესახებ და არც მემკვიდრეობის მიღებაზე. კანონით დადგენილი წესი ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარი ითვლება სამკვიდროს მიღებად, ავტომატურადად არ იწვევს ამ უფლებათა გაიგივებას არა მხოლოდ შედეგობრივი თვალსაზრისით, არამედ, ამ უფლებათა მიმართ ნების გამოხატვის წესის თვალსაზრისითაც.⁴⁹⁸ მემკვიდრეობის ფაქტობრივად მიუღებლობის მდგომარეობა განიხილება, როგორც მემკვიდრეობაზე უარის

⁴⁹⁶ Марышева Н.И. Ярошенко К.Б. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, (постатейный.) часть третий М, 2004. С. 52

⁴⁹⁷ Валах. В. В Наследственные отношения в Украине Российской Федерасии Франции Германии и США Харьков. 2012 с 261

⁴⁹⁸ ნადიბაიძე ლ. სამკვიდროს მიღება – თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი. #2 2008 წელი გვ. 14.

პრეზუმპცია, ⁴⁹⁹ რომელიც არ საჭიროებს სასამართლოს მიერ დამტკიცებას და რომელიც შეიძლება უარყოფილი იყოს მემკვიდრეობის მიღების და არა მასზე უარის მიზნით, სასამართლოსათვის ვადების აღდგენის მოთხოვნით.

მემკვიდრეობაზე უარს აქვს სამართალშემწყვეტი მნიშვნელობა, იგი იწვევს მამკვიდრებლის ქონებაში მემკვიდრის უარს უფლებამონაცვლეობაზე. უარი მემკვიდრეობაზე შეუქცევადია, ამიტომ ასეთი მნიშვნელობის გარიგება, რომელიც ხორციელდება ერთი პირის – მემკვიდრის ნებით, საჭიროებს დადასტურების უმაღლეს ხარისხსა და სამართლებრივ დაცვას.⁵⁰⁰ აქედან გამომდინარე კანონმდებელმა დაადგინა მემკვიდრეობაზე უარის მხოლოდ ფორმალური საშუალებები. მოქმედებები, რომლებიც შეიძლება მოწმობდნენ მემკვიდრეობაზე ფაქტობრივ უარს, ნიშნავს მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიუღებლობას. სამკვიდროზე უარი არ მიიჩნევა გაცხადებულად მაშინაც, როდესაც მემკვიდრე დაეუფლა სამკვიდროს, თუმცა სანოტარო ორგანოში განცხადებით დაადასტურა სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტი,⁵⁰¹ ხშირად მემკვიდრეები და ნოტარიუსები ინსტრუქციის ამ დანაწესებს იყენებენ სწორედ ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონებაზე უარის დასადასტურებლად, როდესაც გასულია უარის კანონით დადგენილი ვადები. აქ უნდა გავითვალისწინოთ როგორც ნორმატიულ აქტთა ურთიერთმიმართება, ასევე ისიც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე, რომელიც საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული მიზნებისათვის არის გამოცემული მინისტრის ბრძანების სახით, რამდენად გამოირიცხება მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლება. მემკვიდრის მიერ ნოტარიუსთან განცხადების დაწერა სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის შესახებ და მისი ინტერპრეტაცია მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად თავის

⁴⁹⁹ Валах. В. В Наследственные отношения в Украине Российской Федерасии Франции Германии и США Харьков. 2012 с 262

⁵⁰⁰ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий. М., 2002. С. 33

⁵⁰¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის # 71-ე ბრძანებით დამტკიცებულ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 78.4-ე მუხლის თანახმად „ნოტარიუსი, მიუხედავად სამკვიდროს გახსნის ადგილისა, უფლებამოსილია, კერძო ან საჯარო აქტის ფორმით დაამოწმოს ნებისმიერი პირის განცხადება, რომლითაც პირი ადასტურებს/აცხადებს. რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის განმავლობაში მას არც ერთი ფორმით არ მიუღია სამკვიდრო (არც განცხადების სანოტარო ბიუროში წარდგენით, არც სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით, ან მართვით). განცხადება სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის დადასტურების შესახებ შეიძლება დადგეს ნებისმიერ დროს“

მხრივ, ეწინააღმდეგება სსკ-ის 1434-ე მუხლს, რომლის თანახმადაც „მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში.⁵⁰²

მემკვიდრეობაზე უარის ორგვარ ვადებს განასხვავებს ქართული კანონმდებლობა, ერთი ეს არის სამი თვე, იმ დღიდან, როცა პირი შეიტყობს ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად⁵⁰³ და მეორე როცა მემკვიდრე დაეუფლა სამკვიდროს. მას უფლება აქვს უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადის 6 თვის განმავლობაში.⁵⁰⁴ თუმცა ვფიქრობ, მემკვიდრეობის მიღების და მემკვიდრეობაზე უარის თქმის ერთიანი და ერთგვარი ვადები უნდა არსებობდეს, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა ორივე შესაძლებლობა – მემკვიდრეობის მიღება და უარი მემკვიდრეობაზე – შეადგენენ მემკვიდრეობის ერთიან უფლებას. კანონით სამკვიდროს მიღების ვადა არის 6 თვე და ის აითვლება არა იმ მომენტიდან როცა მემკვიდრემ გაიგო სამკვიდროს გახსნისა და მემკვიდრეობის მისაღებად მისი მოწვევის შესახებ, არამედ სამკვიდროს გახსნის, მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან. შესაბამისად, მაგალითად თუ მემკვიდრემ სამკვიდროს გახსნის და მემკვიდრედ მისი მოწვევის შესახებ გაიგო 1 წლის შემდეგ, მას ისედაც გაშვებული აქვს სამკვიდროს მიღების ვადა და აღარ აქვს უფლებამოსილება განახორციელოს მემკვიდრეობის შეძენის სუბიექტური უფლება თუ ეს ვადა არ აღდგება სასამართლოს მიერ. შესაბამისად ასეთ მემკვიდრისაგან იმ სამკვიდრო უფლებაზე უარი თქმა რომელიც მან უკვე ისედაც დაკარგა სამკვიდროს მიუღებლობით აზრს კარგავს. მით უმეტეს თუ ასეთი მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროზე რომელიმე მემკვიდრის საარგებლოდ, მაშინ როცა სამკვიდრო უკვე გაყოფილია მემკვიდრეთა შორის ან გაცემულია სამკვიდრო მოწმობებიც.

⁵⁰² სუსგ საქმე№ას-845-789-2017. 22.12. 2017 წელი.

⁵⁰³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1434-ე მუხლი

⁵⁰⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1447-ე მუხლი

მემკვიდრეობაზე უარის უცვლელიობისა და შეუქცევადობის პრინციპი ნიშნავს, იმას რომ, მემკვიდრეობაზე გაცხადებული უარი, მისი შინაარსის მიუხედავად (უპირობო თუ მიმართული), არ შეიძლება შემდეგ შეიცვალოს ან გამოთხოვილ იქნეს უკან ასე, მაგალითად, თუ მემკვიდრემ მემკვიდრეობაზე განაცხადა უპირობო უარი, მას შემდგომ აღარ აქვს უფლება უპირობო უარი შეცვალოს მიმართული უარით დააკონკრეტოს მემკვიდრე ვის სასარგებლოდაც ამბობს უარს⁵⁰⁵ და პირიქით. მემკვიდრემ, რომელმაც უარი თქვა მემკვიდრეობაზე, უფლება არა აქვს გააუქმოს (შეცვალოს) თავისი უარი და მიიღოს მემკვიდრეობა. უცვლელიობა და შეუქცევადობა დაფუძნებულია იმაზე, რომ მემკვიდრეობაზე უარის უფლებამოსილების რეალიზაცია წყვეტს მემკვიდრეობის უფლებას,⁵⁰⁶ და მემკვიდრეს არ უნარჩუნდება ის უფლებამოსილება, რომელიც შეიძლება განახორციელოს იმისათვის, რომ მემკვიდრეობაზე განაცხადოს ახალი უარი სხვა შინაარსით ან უარის უთქმელად, მიიღოს მემკვიდრეობა.

უარი მემკვიდრეობაზე გამოხატავს მამკვიდრებლის ქონების თავისთვის არ შემენის განზრახვას, მემკვიდრის ასეთი ნება უცვლელი რჩება იმ შემთხვევებშიც, თუ მემკვიდრე უარს ამბობს მემკვიდრეობაზე სხვა პირთა სასარგებლოდ. მემკვიდრეობაზე უარის თქმის მტკიცებულებები მარტივია: მემკვიდრეობაზე უარის თქმის შესახებ შესაბამისი განცხადება ან სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია იმ მემკვიდრის განცხადების საფუძველზე, რომელმაც უარი თქვა მემკვიდრეობაზე. უარი მემკვიდრეობაზე ხორციელდება ნოტარიუსისათვის მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობაზე უარის შესახებ განცხადებით მიმართვის გზით. უარი წარმომადგენლის მეშვეობით დასაშვებია, თუ მინდობილობაში სპეციალურად არის გათვალისწინებული უარის თქმის უფლებამოსილება.⁵⁰⁷ იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრე ქმედუუნარო, შეზღუდულქმედუუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები პირია სამკვიდროზე უარი მხოლოდ დაიშვება სასამართლოს ნებართვით.⁵⁰⁸ ამასთან არავითარი წინაპირობები და კრიტერიუმები, რომლითაც სასამართლომ უნდა განსაზღვროს სამკვიდროზე უარის თქმის ლეგიტიმაცია წარმომადგენლის

⁵⁰⁵ ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2000. გვ 163

⁵⁰⁶ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий. М., 2002. С. 33

⁵⁰⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1449-ე მუხლი

⁵⁰⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1422-ე მუხლი

მიერ კანონით დადგენილი არ არის. ამ დროს სარჩელის აღმკრახე უფლებამოსილი პირია არასრულწლოვანის თუ მხარდაჭერის მიმღების კანონისმიერი წარმომადგენელი, რომელიც დიდი ალბათობით შესაძლებელია სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეც კი იყოს და მის ინტერესში ყოველთვის შედის სხვა მემკვიდრის ამორიცხვა სამკვიდროს მიღებიდან. ვფიქრობ სასამართლო უნდა ამოვიდეს სწორედ არასრულწლოვანის და მხარდაჭერის მიმღების საუკეთესო ინტერესებიდან, მაგრამ საკუთრების მიღება ყოველთვის არის მნიშვნელოვანი სოციალური ღირებულება და ყოველთვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა აუმაჯობესებს პირის მდგომარეობას და ღირსეული ცხოვრების განამსაზღვრელიცაა. აქ არ შევჩერდები არასრულწლოვანი და მხარდაჭერის მიმღები პირის ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ვინაიდან ამ მხრივ სასამართლო დავებმა ნათლად წარმოაჩინა თემის აქტუალობა და საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა. ერთ-ერთ საქმეზე სადაც დავა ეხებოდა არასრულწლოვანის მშობლების მიერ შვილის საკუთრებაში არსებული ქონების იპოთეკით დატვირთვას საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პირველად სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა და მიუთითა შემდეგზე: "ცალსახაა, რომ არასრულწლოვანის მშობლებმა (კანონიერმა წარმომადგენლებმა) დაარღვიეს შვილის ქონებრივი უფლებები. მათი უფლება ამ ნაწილში ქონების მართვითა და გამოყენებით შემოიფარგლებოდა (სსკ-ის 1198-ე მუხლის მეოთხე ნაწილი), სინამდვილეში კი, მათ იპოთეკით დატვირთეს ქონება, რამაც განაპირობა შემდგომში მისი რეალიზაცია და მასზე მოსარჩელის საკუთრების უფლების დაკარგვა, ანუ ვლინდება ინტერესთა კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს შორის. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეს უნდა დაუნიშნოს სპეციალური წარმომადგენელი ამ საქმისწარმოების მიზნებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სახით. ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლის თანახმადაც „საქმისწარმოებაში, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვზე და სადაც, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, მშობლის პასუხისმგებლობის მტვირთველ პირებს ეკრძალებათ ბავშვის წარმომადგენლობა, მათ და ბავშვს შორის წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტის გამო, სასამართლო ხელისუფლებას უნდა

გააჩნდეს უფლებამოსილება, დანიშნოს ბავშვის სპეციალური წარმომადგენელი ამ საქმისწარმოების მიზნებისათვის“. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მოითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, მაშინ ამ მოთხოვნის მოპასუხეები იქნებიან, როგორც მშობლები, ისე პირველი მოპასუხეც (მიკროსაფინანსო ორგანიზაცია) სსკ-ის 54-ე, 992-ე, 998-ე და 409-ე მუხლების თანახმად. ამასთან, მოსარჩელეს უფლება აქვს, თავისი სურვილით ნებისმიერ მათგანს წაუყენოს მოთხოვნა (სსკ-ის 464-465-ე მუხლები). სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, არსებობს თუ არა ამ ნორმებით გათვალისწინებული ფაქტობრივი წინაპირობები, კერძოდ, კეთილსინდისიერად და მართლზომიერად მოქმედებდა თუ არა გამსესხებელი მიკროკრედიტის გაცემისას. იყო თუ არა კრედიტუნარიანი მსესხებელი და არსებობდა თუ არა სესხის გაცემის წინაპირობები (მიკროკრედიტი არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული თანხა. კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, მუხლი 5.1.). თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ მსესხებელს სესხის მიღების დროს არ გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავლები (ხელფასის ან სხვა შემოსავლების სახით), მაშინ, ცხადია, რომ გამსესხებელი მხოლოდ იპოთეკის საგნის იმედად რჩებოდა და შესაბამისად, მის მოქმედებას ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა.⁵⁰⁹

ამდენად, ვფიქრობ, არასრულწლოვანის სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღებაზე უარის დავის განხილვის დროს სასამართლომ იმავე კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც არასრულწლოვანის ქონების განკარგვაზე თანხმობის გაცემის შემთხვევაში.⁵¹⁰ აქვე უნდა აღინიშნოს რომ საპროცესო კანონმდებლობით არ არის მოწესრიგებული არც

⁵⁰⁹ სუსგ საქმე #ას-1221-1146-2015. 20.05.2016 წელი

⁵¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად. ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის, ასევე 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. (საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი #5913. ამოქმედდება 2020 წლის 1 სექტემბრიდან)

არასრულწლოვანის მიერ სამკვიდროზე უარის თქმის და არასრულწლოვანის ქონების განკარგვაზე თანხმობის სამართალწარმოების საკითხები.

მემკვიდრეობაზე უარის თქმის შესახებ განცხადება ნოტარიუსთან შეიძლება შედგეს წერილობითი საჯარო ან კერძო აქტის ფორმით.⁵¹¹ სამკვიდროზე უარი ისევე როგორც სამკვიდროს მიღება ცალმხრივი⁵¹² და ფორმალური⁵¹³ გარიგებაა. ზოგიერთი მეცნიერი მიუთითებს ამ გარიგების ნეიტრალურ ბუნებაზეც რამდენადაც იგი არ არის არც ანაზღაურებადი და არც არაანაზღაურებადი გარიგება⁵¹⁴. იგი მემკვიდრისაგან მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების შესრულებას და მოქმედებების განხორციელებას, რომლებიც გამოხატავენ მემკვიდრეობაზე უარს და უნდა პასუხობდეს გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილ მოთხოვნებს.⁵¹⁵ მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას მემკვიდრეობაზე თავისი შეხედულებისამებრ, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, თავისუფლად და დაბრკოლების გარეშე, ამიტომ, სამკვიდროზე უარი თქმის გარიგების მიმართ გამოიყენება საერთო წესები გარიგების ბათილობის შესახებ.⁵¹⁶ მაგალითად თუ მემკვიდრემ უარი თქვა სავალდებულო წილზე სხვა პირთა სასარგებლოდ, ასეთი გარიგება შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად, სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 1380-ე მუხლების წესების დარღვევის გამო, რომელიც კრძალავს მსგავს უარს. სასამართლო ასევე ბათილად ცნობს სამკვიდროზე უარს რომელიც განხორციელდა მოტყუების, მუქარის ან ნების გამოვლენის სხვა ნაკლის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რომლის ნამდვილობისთვისაც აუცილებელ წინაპირობად მოიაზრება მემკვიდრის მიერ ყოველგვარი დათქმის და პირობების გარეშე სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის

⁵¹¹ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება # 71 «სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ» ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. 2010 წლის 31 მარტი ქ. თბილისი მუხლი 78

⁵¹² ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007. გვ77

⁵¹³ Абова Т.Е. Богуславский М.М. Светланов А .Г Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий. М., 2005 с. 67

⁵¹⁴ Durand S. La renonciation à la succession. thèse. Montpellier, 2003, P. 35.

⁵¹⁵ Марышева Н.И Ярошенко К.Б. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, (постатейный.) часть третий М, 2004. 52

⁵¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. წიგნი მეხუთე; გამომცემლობა “სამართალი” თბილისი 2000 გვ. 489

შესახებ ნების გამოვლენა. სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ გარიგების ნამდვილობისათვის ამგვარი წინაპირობის არსებობა ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ ასეთი ნების დაფიქსირების შემთხვევაში მას ეძლევა შეუქცევადი ხასიათი, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 1446-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესისა, რომლის მიხედვითაც მემკვიდრის განცხადება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ შეუქცევადია. ნორმის ანალიზიდან გამომდინარე სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემდგომ ნების გამოვლენს აღარ შეუძლია პოზიციის შეცვლით, შეცვალოს თანმდევი სამართლებრივი შედეგები, რაც მოყვება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნების გამოვლენას. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა იმავდროულად გულისხმობს სამკვიდროში შემავალი ნივთების მიმართ ყოველგვარი უფლებრივ უპირატესობაზე უარის თქმას, ანუ ამგვარი ნების გამოვლენით ფაქტობრივად პირი წყვეტს სამართლებრივ კავშირს სამკვიდროზე და მას არანაირი უფლება სამკვიდროში შემავალი ნივთების მიმართ აღარ უნარჩუნდება. იმ პირობებში, როდესაც ცალსახად დადგენილია, რომ, მემკვიდრემ, სამკვიდროზე მისი უფლების (მფლობელობის, სარგებლობის) შენარჩუნების პირობით გამოხატა ნება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ფაქტობრივად სადავო გარიგებაში გამოვლენილი მისი ნება არ შეიძლება შეფასებული იქნეს უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე, რამდენადაც იგი ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არ აფიქსირებს სამკვიდროს მიღებაზე უარს. თუმცა სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მსჯელობას არ დაეთანხმა საკასაციო სასამართლო და მიუთითა რომ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს, რომ თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროზე. აქედან გამომდინარე, მემკვიდრე, რომელიც უარს ამბობს სამკვიდროს ნაწილზე, ან მის მისაღებად დათქვამს რაიმე პირობას ითვლება, რომ იგი ამბობს უარს მთელ სამკვიდროზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორია სააპელაციო პალატის განმარტება, მასზედ რომ არ ყოფილა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივად ვარგისი ნება გამოვლენილი, რაც წარმოშობს

სადავოდ გამხდარი გარიგების ბათილობის სამართლებრივ საფუძველს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმა, ან მის მისაღებად რაიმე პირობის დათქმა ითვლება მთელ სამკვიდროზე უარის თქმად. შესაბამისად სააპელაციო პალატის მიერ აღნიშნული მუხლის განმარტება არასწორია.⁵¹⁷

სამკვიდროს მიღების ფაქტს გააჩნია უკუძალა,⁵¹⁸ ე.ი, მემკვიდრემ, რომელმაც მიიღო სამკვიდრო ქონება, ითვლება მის მესაკუთრედ სამკვიდროს გახსნის დღიდან. სამკვიდროს მიღება შეუქცევადია, რამეთუ მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს⁵¹⁹. ამდენად, მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვს თვეში ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ მემკვიდრეს სამკვიდრო უკვე მიღებული აქვს და მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან, ხოლო ასეთ მემკვიდრეს რომელიც უკვე მესაკუთრეცაა უფლება აქვს უარი თქვას საკუთრებაზე, ამასთან ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით მემკვიდრემ რომელმაც მიიღო სამკვიდრო უფლება აქვს უარი თქვას მის მიღებაზე. ბუნებრივია აქ კანონმდებლის მიზანი უნდა ყოფილიყო მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების საკუთრებაში მიღებაზე უარის თქმა, რომელიც რასაკვირველია მემკვიდრის მიერ გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას უნდა ეფუძნებოდეს. ამასთან არ შეიძლება მემკვიდრე ვაიძულოთ რომ მან მიღოს სავალდებულო წილი, მით უმეტეს როდესაც მან შესაძლოა ჯერ (სამკვიდროს გახსნიდან 3 თვეში) არც კი იცოდეს ანდერძის არსებობის შესახებ. ამდენად, მემკვიდრეს უფლება უნდა მიეცეს უარი თქვას მემკვიდრეობაზე, სავალდებულო წილზე (და არა სამკვიდროს მიღებაზე) ნებისმიერ დროს, სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში, მიუხედავად იმისა დაეუფლა თუ არა სამკვიდროს. სამკვიდროს მიმღები მემკვიდრე ითვლება რა ქონების მესაკუთრედ სამკვიდროს გახსნის დღიდან, მას უფლება აქვს მიიღოს სამკვიდროდან გამომდინარე შემოსავლები და ასევე აკისრია სამკვიდრო ქონების მოვლა-

⁵¹⁷ სუსგ საქმე № ას-578-544-2010.4.09.2010.წელი

⁵¹⁸ სუსგ საქმე №ას-1183-1112-2012. 7.03.2013.წელი

⁵¹⁹ სსკ 1477-ე მუხლი

პატრონობის მოვალეობებიც, თუმცა თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროზე, მიუხედავად იმისა დაეუფლა თუ არა სამკვიდროს, მას ასეთი უფლება-მოვალეობები არა აქვს სამკვიდროს გახსნის დღიდანვე⁵²⁰ და არა სამკვიდროზე უარის თქმის შესახებ განცხადების შეტანის დღიდან.

მემკვიდრის მოქმედებები, რომლებიც მოწმობენ მემკვიდრეობის ფაქტობრივ მიღებას, ქმნიან მის მიერ მემკვიდრეობის მიღების კანონიერ პრეზუმციას, რაც იმას ნიშნავს რომ, მემკვიდრე, რომელიც ახორციელებს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც მოწმობენ მემკვიდრეობის ფაქტობრივ მიღებაზე, ცნობილ უნდა იქნეს მემკვიდრეობის მიმღებად, სანამ სხვა რამ არ დამტკიცებულა. ამის შესაბამისად, უნდა გაკეთდეს დასკვნა იმის თაობაზე, რომ კანონით დადგენილია იმ მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების პრეზუმცია, რომელმაც განახორციელა აღნიშნული წესით გათვალისწინებული მოქმედებები. მემკვიდრეს რომელმაც მიიღო სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობისაკენ მიმართული მოქმედებების განხორციელებით უფლება აქვს უარი თქვას სამკვიდროზე სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით, და ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სამკვიდროს მიღების პრეზუმციას, რომელიც შეიძლება უარყოფილ იქნეს განცხადებით სამკვიდროზე უარის თქმის შესახებ.⁵²¹ კონტინენტური სამართლის მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა არ აწესებს სამკვიდროს მისაღებად რაიმე ვადას. სახელდობრ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „მემკვიდრეს აღარ შეუძლია სამკვიდროზე უარის თქმა, თუ მან იგი მიიღო ან გავიდა უარის თქმისათვის დადგენილი ვადა; ვადის გასვლით სამკვიდრო ითვლება მიღებულად“⁵²² მსგავსი შინაარსის დანაწესებს შეიცავს ასევე საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსიც.⁵²³ ქართული კანონმდებლობით თუ მემკვიდრის მოქმედებების ობიექტური ხასიათი არ შეესაბამებოდა მის შინაგან განზრახვას და მემკვიდრე ამ მოქმედებებს ახორციელებდა არა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე და არა მემკვიდრეობის თავისთვის მიღების მიზნით, მას არ ერთმევა

⁵²⁰ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007. გვ78

⁵²¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. წიგნი მეხუთე; გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი 2000 გვ. 489

⁵²² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1943-ე (BGB) (ცვლილებებითა და დამატებებით 2010 წლის 01 მარტამდე), თბილისი: „სამართალი“, 2010

⁵²³ Французский гражданский кодекс. Под редакцией Д.Г.Лаврова. Санкт-Петербург: 2004. С 774.; 775; 784; 790.

თავისუფალი არჩევანის უფლება მემკვიდრეობის მიღებასა და მასზე უარის თქმას შორის. მემკვიდრე უფლებამოსილია უარი თქვას მემკვიდრეობაზე და კანონით დადგენილი სამკვიდროს მიღების პრეზუმცია იმ მემკვიდრის მიმართ, რომელმაც განახორციელა სამკვიდროს ფაქტობრივი მიღების ფაქტის დამადასტურებელი მოქმედებები არ ლახავს სამკვიდროს შემენის ძირითად პრინციპს, კერძოდ, მემკვიდრეობის მიღების თავისუფლებას და ნებაყოფლობას.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები როცა მემკვიდრემ, რომელმაც ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო, მისი დაუფლებიდან წლების გასვლის შემდეგ უარს ამბობს მემკვიდრეობაზე სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ. თუ სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირი მას შემდეგ რაც იგი დაეუფლება და მიიღებს სამკვიდროდან სავალდებულო წილს უარს იტყვის მასზე იგი განხილულ უნდა იქნას როგორც ჩუქების ხელშეკრულებად და ასეთ დროს სავალდებულო წილზე უფლებამოსილი პირის სავალდებულო წილს არაპირდაპირ მიიღებს სხვა, (შესაძლებელია არანდერძისმიერიც) მემკვიდრე ვის სასარგებლოდაც მან უარი თქვა მემკვიდრეობაზე. მართალია სავალდებულო წილზე უარის თქმა დაუშვებელია სხვა სავალდებულო მემკვიდრის სასარგებლოდ, თუმცა აღნიშნული შემთხვევა თავისთავად არ წარმოადგენს სავალდებულო წილზე უარის თქმას, არამედ თავისი შინაარსითა და ნების გამოვლენის განმარტებით იგი უნდა განვიხილოთ როგორც სამკვიდროს მესაკუთრე სავალდებულო მემკვიდრის სურვილი ნაცვალების გარეშე⁵²⁴ გადასცეს კუთვნილი, მიღებული სამკვიდრო სავალდებულო წილი სხვა მემკვიდრეს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ანალოგიურ საქმეზე რომელიც ეხებოდა მემკვიდრის მიერ სამკვიდროზე უარის თქმას მისი დაუფლებიდან 4 წლის გასვლის შემდეგ განმარტა შემდეგი: "სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ ნების გამოვლენა სამკვიდროს გახსნიდან თითქმის 4 წლის გასვლის შემდეგ განხორციელდა. სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღებაზე უარის გამოვლენილი ნება უნდა შეფასდეს მისი შინაარსის გათვალისწინებით. ნების გამოვლენის ინტერპრეტაციისათვის

⁵²⁴ სუსგ საქმე №ას-1711-1695-2011. 13.02.2012 წელი

აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა საბოლოო შედეგს ისახავდა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მიზნად. სანოტარო აქტიდან ნათლად ირკვევა, რომ ლ. ვ-მეს სურდა ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების მისი კუთვნილი წილი გადასულიყო გი. ვ-მის საკუთრებაში, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2004 წლის 26 მარტის სანოტარო აქტი ჩუქების ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნებს, კერძოდ: ა) სანოტარო აქტი შეიცავს პირის ნებას ქონების სხვა პირის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასვლასთან დაკავშირებით; ბ) ქონების გამსხვისებელი იყო ამ ქონების მესაკუთრე; გ) ნების გამოვლენა უნაკლო იყო; დ) უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული წერილობითი ფორმა დაცული იყო.⁵²⁵

მემკვიდრე რომელიც ფაქტობრივად დაუფლებულია სამკვიდროს და მიმართავს სასამართლოს სარჩელით სამკვიდროზე უარის თქმის ვადების გაშვების საპატიოდ ცნობის შესახებ, სარჩელი უნდა აღძრას ყველა ანდერძისმიერი მემკვიდრის წინააღმდეგ, ვინაიდან მისმა უარმა შესაძლებელია გამოიწვიოს სამკვიდროს სხვაგვარი გადანაწილება. მოქმედებები, რომლებიც მოწმობენ მემკვიდრეობის ფაქტობრივ მიღებაზე, ქმნიან მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების პრეზუმციას, ამიტომ, მემკვიდრემ დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, სასამართლოში შეტანილ სარჩელში უნდა მიუთითოს, რომ მას არ ჰქონდა მემკვიდრეობის მიღების სურვილი, მიზანი და განზრახვა. თუ სასამართლო საპატიოდ არ მიიჩნევს მემკვიდრეობაზე უარის თქმისათვის დადგენილი ვადის გაშვების მიზეზებს, მან კანონიდან გამომდინარე უარი უნდა უთხრას მემკვიდრეს მისი განცხადების დაკმაყოფილებაზე. მემკვიდრე აღმოჩნდება მემკვიდრეობის მიმღებად მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. თუმცა სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება არ შეესაბამება მემკვიდრეობის მოპოვების თავისუფლების პრინციპს. როგორც არ უნდა იყოს მემკვიდრეობაზე უარის თქმისათვის დადგენილი ვადის გაშვების მიზეზები, მიიჩნევა, რომ მემკვიდრეობის მიღებაზე პირის განზრახვის არარსებობა,

⁵²⁵ სუსგ საქმე № ას-596-560-2010 7.12.2010 წ

რომელიც ქმნის მემკვიდრეობის ფაქტობრივი მიღების ილუზიას⁵²⁶, არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ სასამართლომ ცნოს მემკვიდრის უარი მემკვიდრეობაზე. თუმცა მეორეს მხრივ უნდა აღინიშნოს რომ თუ მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში, იგი შეიძლება აღდგენილ იქნეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მისაღებად, მაშინ მემკვიდრეობის მიღების ვადა არ შეიძლება აღდგეს მემკვიდრეობაზე უარის თქმის მიზნით. მემკვიდრეობაზე უარისათვის ვადის აღდგენის დასაშვებობა ეწინააღმდეგება უფლებამონაცვლეობისა და მემკვიდრეობის მიუღებლობის სამართლებრივი შედეგების არსს, რომლის ძალითაც სხვა პირებს წარმოეშობათ მემკვიდრეობის უფლება.⁵²⁷

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1434 და 1447-ე მუხლებში მითითებული დეფინიცია მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას მემკვიდრეობაზე (და არა სამკვიდროს მიღებაზე) 6 თვის ვადაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. სამკვიდროზე უარის თქმა უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში. ამასთან არავითარი საპატიო და სხვა მიზეზების არსებობა არ უნდა იყოს ამ ვადების აღდგენის საფუძველი.

თავისი შინაარსით განასხვავებენ მემკვიდრეობაზე უარის ორ სახეობას: უარი სხვა პირთა სასარგებლოდ, ე.ი. მიმართული უარი და უპირობო უარი,⁵²⁸ სავალდებულო წილის მემკვიდრეობის დროს კანონით დასაშვებია მხოლოდ უპირობო უარი. მიმართული⁵²⁹ ანუ კვალიფიცირებული⁵³⁰ უარი მემკვიდრეობაზე ნიშნავს მემკვიდრის უფლებას უარი თქვას მემკვიდრეობაზე, კონკრეტულ მემკვიდრის, ანუ სხვა პირთა სასარგებლოდ. მემკვიდრეობაზე უპირობო უარი არ შეიცავს მითითებებს იმაზე, თუ ვის სასარგებლოდ არის გაცხადებული უარი. მემკვიდრის ასეთი უარი ამოიწურება მემკვიდრეობიდან თვითგამორიცხვით. სავალდებულო წილზე უარი არის უპირობო, რამდენადაც სავალდებულო

⁵²⁶ Абова Т.Е. Богуславский М.М. Светланов А .Г Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий. М., 2005 с 62

⁵²⁷ Абова Т.Е. Богуславский М.М. Светланов А .Г Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий. М., 2005. С. 60

⁵²⁸ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий. М., 2002. С. 32

⁵²⁹ Гордон М.О. Наследование по закону и завещанию. М., 1967. С. 123

⁵³⁰ Мейер Д.И. Русское гражданское право: В 2 ч. Ч. 2. М., 1997. С. 447

მემკვიდრე ვერ იტყვის უარს სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ და ამავდროულად არის კვალიფიციურიც, რადგან სავალდებულო მემკვიდრის უარის შემთხვევაში ასეთი უარი მიმართულია არა რომელიმე კონკრეტული მემკვიდრეების --- ყველა ანდერძისმიერი მემკვიდრეების სასარგებლოდ, რადგან სავალდებულო წილზე უარის თქმა არ გამოიწვევს სხვა სავალდებულო მემკვიდრეთა წილის გაზრდას, გადადის მხოლოდ ანდერძით მემკვიდრეებზე და მათ შორის თანაბრად ნაწილდება.

ზოგადად სხვა პირთა სასარგებლოდ მემკვიდრეობაზე უარის თქმის პრინციპი განისაზღვრება მემკვიდრეობითი უფლებამონაცვლეობის პირობებით და ფარგლებით. მემკვიდრე უფლებამოსილია უარი თქვას მემკვიდრეობაზე როგორც ანდერძით მემკვიდრეთა ისე კანონისმიერ მემკვიდრეთა სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა თუ რომელი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენენ ისინი,⁵³¹ თუ მათ არა აქვთ ჩამორთმეული მემკვიდრეობის უფლება. მემკვიდრეობაზე მიმართული უარის მოქმედება იზღუდება ანდერძის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით. ასეთი შეზღუდვები მიიჩნევა სპეციალურად და გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1440-ე და იმავე კოდექსის 1380-ე მუხლებით. თუ მთელი სამკვიდრო განაწილებული იყო ანდერძით მემკვიდრეებზე ამ შემთხვევაში ანდერძით მემკვიდრის მიმართულმა უარმა, მისთვის ნაანდერძე ქონების ნაწილზე, შეიძლება დაარღვიოს მამკვიდრებლის ნება, რომლითაც განისაზღვრა მემკვიდრეები, სამკვიდროში მათი წილები ან სამკვიდრო ქონების განაწილების წესი. ანდერძით დანიშნული მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობაზე უარის სამართლებრივი შედეგები შეიძლება გათვალისწინებული იყოს თავად ანდერძში ორდინალური სუბსტიტუციის შემთხვევაში⁵³², სათადარიგო მემკვიდრეობის დროს⁵³³ სამკვიდროში სავალდებულო წილზე უარის შეზღუდვა განპირობებულია სავალდებულო წილის განსაკუთრებული ფუნქციით, რომელიც ემსახურება როგორც მამკვიდრებლის ნებისა და ანდერძის თავისუფლებას, ისე მამკვიდრებლის მხოლოდ პირველი რიგის მემკვიდრეთა ინსტერესების დაცვას. სავალდებულო წილის უფლება ზღუდავს მამკვიდრებლის ანდერძის თავისუფლებას მხოლოდ სავალდებულო მემკვიდრის ინტერესების დასაცავად, და ამიტომ სავალდებულო წილის მიზნებიდან

⁵³¹ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007. გვ74

⁵³² შენგელია რ. შენგელია ე.; მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011. გვ.71

⁵³³ სსკ 1370-ე მუხლი

გამომდინარე⁵³⁴ დაუშვებელია სავალდებულო წილზე უფლების მიმართული უარის სახით სხვა პირისათვის გადაცემა. თუ სავალდებულო მემკვიდრე უარს იტყვის სავალდებულო წილზე, მას მაშინვე ჩაენაცვლება მოანდერძის ნება და სავალდებულო მემკვიდრის წილი განაწილდება ისე როგორც ამას გადაწყვეტდა მოანდერძე, სავალდებულო მემკვიდრეთა გვერდის ავლით – ანდერძისმიერ მემკვიდრეებზე.

სავალდებულო წილის მემკვიდრეობაზე დათქმით ან პირობით უარის დაუშვებლობის პრინციპი შეესაბამება დათქმით ან პირობით მემკვიდრეობის მიღების ანალოგიურ პრინციპს, აკრძალულია სავალდებულო წილის მემკვიდრეობაზე უარის თქმა რაიმე პირობით ან დათქმით. მემკვიდრეობაზე უარის მიმართ არ შეიძლება გამოვიყენოთ გადადების ან გაუქმების პირობით გარიგების დადებისათვის დამახასიათებელი მდგომარეობა. სავალდებულო წილის მემკვიდრეობაზე ასეთი სახის უარმა შეიძლება შექმნას მემკვიდრეობის უფლების მდგომარეობაში განუსაზღვრელობა (გაურკვეველობა) იმ პირისათვის, რომელიც აცხადებს რაიმე დათქმის ან პირობის შესახებ, და ასევე ყველა ანდერძისმიერი მემკვიდრისათვის. მემკვიდრეობის მიღების ან მემკვიდრეობაზე უარის შესახებ დათქმებმა და პირობებმა შეიძლება გაართულონ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი სამკვიდრო ქონების მართვა, სამკვიდროს დაცვისათვის ზომების მიღება, მემკვიდრეობის მიღების ან მემკვიდრეობაზე უარის თქმისათვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე საანდერძო დანაკისრის შესრულება, შექმნას გაუმართლებელი დაბრკოლებები მემკვიდრეობის მიღების პროცესში იმ პირთა მონაწილეობისათვის, რომელთა მემკვიდრეობის უფლება წარმოიშობა მემკვიდრეობაზე უარის ან მემკვიდრეობის მიუღებლობის შედეგად.⁵³⁵ მაგალითად, არ დაიშვება უარი მემკვიდრეობაზე იმ პირობით, რომ იგი ხორციელდება იმ შემთხვევისათვის, თუ სხვა მემკვიდრე მიიღებს მემკვიდრეობას (ან პირიქით, უარს იტყვის მემკვიდრეობაზე). ან იმ პირობით რომ დანარჩენმა მემკვიდრეებმა გადაუხადოს მემკვიდრეს განსაზღვრული თანხა.⁵³⁶

⁵³⁴ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007. გვ.48

⁵³⁵ Абова Т.Е. Богуславский М.М. Светланов А .Г Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третий. М., 2005 с 62

⁵³⁶ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007. გვ.73

მემკვიდრის უფლება სავალდებულო წილზე ზღუდავს მამკვიდრებლის მიერ ანდერძში გამოხატული ნების თავისუფლების რეალიზაციას, ხოლო მემკვიდრის მიერ სავალდებულო წილზე უარის თქმის შედეგად ანდერძი მოქმედებს მთელი მოცულობით და კანონისმიერი შეზღუდვაც უქმდება. სავალდებულო მემკვიდრის მიერ წილზე უარის თქმის დროს საუბარია არა იმაზე, რომ სავალდებულო წილი გადადის ანდერძით მემკვიდრეებზე, არამედ იმაზე, რომ ანდერძით მემკვიდრეობა თავისუფლდება შეზღუდვებისაგან და სავალდებულო წილზე უარის თქმის გამო მისი ბედიც გადაწყვეტილია. სავალდებულო წილზე უარის თქმა სხვა სავალდებულო მემკვიდრის სასარგებლოდ დაუშვებელია, რადგან, არალეგიტიმურად ზღუდავს მამკვიდრებლის მიერ ანდერძში გამოხატული ნების თავისუფლების.

5. სავალდებულო წილის მემკვიდრეობა ტრანსმისიით.

მემკვიდრეობის განსაკუთრებული წესი დადგენილია იმ შემთხვევაში, როცა კანონით ან ანდერძით მემკვიდრე ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო მემკვიდრეობის მიღების უფლების რეალიზება. თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე (მემკვიდრეობითი ტრანსმისია). მემკვიდრის გარდაცვალების გამო სამკვიდროს მიღების უფლების გადასვლას მის მემკვიდრეებზე, მემკვიდრეობითი ტრანსმისია ეწოდება.⁵³⁷ ამ დროს მემკვიდრეობის განუხორციელებელი უფლება გადადის მემკვიდრეებზე. აღნიშნული წესის გამოსაყენებლად მნიშვნელოვანია ორი გარემოება: მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადა არ უნდა იყოს გასული და მემკვიდრეობის მისაღებად მოწვეულ მემკვიდრეს გასული ვადის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს მიღებული სამკვიდრო. (არც განცხადების წარდგენით და არც ფაქტობრივი ფლობით.)

თუ სავალდებულო მემკვიდრემ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ დროში კანონით განსაზღვრული ნებისმიერი საშუალებით მიიღო სამკვიდრო, მიღებული მემკვიდრეობა შედის მის სამკვიდროში და მის მემკვიდრეებზე ნაწილდება საერთო წესით. მემკვიდრეობის მიღების უფლება არ გადადის იმ შემთხვევაში, როცა

⁵³⁷ შენგელია რ. შენგელია ე. „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ თბ. 2017, გვ.413.

მემკვიდრემ არ გამოხატა მემკვიდრეობის მიღების ნება და გარდაიცვალა დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ამ შემთხვევაში მემკვიდრემ ჯერ კიდევ სიცოცხლეში დაკარგა მემკვიდრეობის მიღების უფლება და მის მემკვიდრეებს არა აქვთ უფლება მოითხოვონ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელება. როგორც აღინიშნა მემკვიდრეობის მიღების უფლების გადასვლა განისაზღვრება ტერმინით „მემკვიდრეობითი ტრანსმისია“. გარდაცვლილ მემკვიდრეს, რომლის სამკვიდროს მიღების უფლება გადადის სხვა პირზე „ტრანსმიტენტი“, ხოლო მემკვიდრეს ვისზეც გადადის სამკვიდროს მიღების უფლება-„ტრანსმისარი“ ეწოდება.

სავალდებულო წილის ტრანსმისია სამოქალაქო კანონმდებლობით სპეციალური ნორმით არის მოწესრიგებული⁵³⁸ რომლის თანახმად, ისევე როგორც ზოგადი ტრანსმისიისთვის სავალდებულო წილის ტრანსმისია დასაშვებია, თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ისე, რომ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღება, შესაბამისად სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. ამდენად, გარდაცვლილ სავალდებულო მემკვიდრეს, რომლის სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის მის პირველის რიგის მემკვიდრეებზე "სავალდებულო ტრანსმიტენტი", ხოლო მემკვიდრეს ვისზეც გადადის სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღების უფლება- "სავალდებულო ტრანსმისარი" ეწოდება.

მემკვიდრეობით-სამართლებრივ ურთიერთობაში ტრანსმიტენტი მამკვიდრებლის როლში თავის ქონებასთან ერთად გამოდის იმ წილის საფუძველზე, რაც მას მთელ სამკვიდრო მასაში ეკუთვნოდა გარდაცვალებამდე. ტრანსმისარი ტრანსმიტენტის უშუალო მემკვიდრეა, მაგრამ გარკვეული სამართლებრივი კავშირი ტრანსმიტენტის მამკვიდრებელთანაც გააჩნია, რაც, უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ მას არა მარტო ტრანსმიტენტის, არამედ ტრანსმისმიტენტის მამკვიდრებლის ვალების გასტუმრებაც ეკისრება,⁵³⁹ თუ პირველი მამკვიდრებლის სამკვიდრო აქტივი საკმარისია როგორც მისი ასევე ტრანსმიტენტის კრედიტორთა ინტერესების

⁵³⁸ სსკ 1372-ე მუხლი

⁵³⁹ შენგელია რ. შენგელია ე. „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, თბილისი 2017, გვ.414

დასაკმაყოფილებლად, ტრანსმისარს ორივე მათგანის გადახდა ევალუბა, (თავისი წილის კვალობაზე) ხოლო თუ პირველი მამკვიდრებლის (ტრანსმიტენტის მამკვიდრებლის) სამკვიდრო აქტივი მხოლოდ მისი კრედიტორების ინტერესებს აკმაყოფილებს უპირატესად, სწორედ, ტრანსმიტენტის მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს.

გარდაცვლილი მემკვიდრის (ტრანსმიტენტის) გარდაცვალებისას შეიძლება ასევე გაიხსნას სამკვიდრო მის ქონებაზე. ამ სიტუაციაში არსებობს ორი სამკვიდრო: სამკვიდრო, რომელიც გაიხსნა პირველი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ და სამკვიდრო, რომელიც გაიხსნა მემკვიდრის (ტრანსმიტენტის) გარდაცვალების შემდეგ. ტრანსმიტენტის მემკვიდრეს უფლება აქვს მიიღოს სამკვიდრო როგორც მემკვიდრეობითი ტრანსმისიით (როგორც ტრანსმისარმა), ისე მიიღოს თავად ტრანსმიტენტის სამკვიდრო. ეს ორი დამოუკიდებელი უფლება შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხორციელდეს. მემკვიდრეთა წრე, რომელნიც მოწვეულნი არიან მემკვიდრეობის მისაღებად მემკვიდრეობითი ტრანსმისიის წესით და უშუალოდ ტრანსმიტენტის გარდაცვალების შემდეგ ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მემკვიდრეობითი ტრანსმისიით ზოგადი წესით მოიწვევიან კანონისმიერი მემკვიდრეები. იმ შემთხვევაში, თუ ტრანსმიტენტმა მთელი ქონებაზე ანდერძის შეადგინა, ანდერძით მემკვიდრეებზე გადადის მემკვიდრეობითი ტრანსმისიით მემკვიდრეობის მიღების უფლება. ამიტომ თუ ტრანსმიტენტმა ანდერძით განკარგა თავისი ქონების ნაწილი, ანდერძით მემკვიდრეები არ იქნებიან მოწვეულნი მემკვიდრეობითი ტრანსმისიით.

მემკვიდრეობითი ტრანსმისიით მემკვიდრეობის მიღება იმავე წესით ხორციელდება, როგორც ძირითადი მემკვიდრეობის შემთხვევაში. მაგრამ ვინაიდან ორი დამოუკიდებელი მემკვიდრეობის მიღება ხდება, აღნიშნული ქმედებები მაინც ორი სხვადასხვა აქტია. ამიტომ განცხადების შეტანა ტრანსმიტენტის სამკვიდრო ქონების მისაღებად ან ამ უკანასკნელის ქონების ფაქტობრივი დაუფლება არ მიიჩნევა ტრანსმისიით მემკვიდრეობის მიღებად. მემკვიდრეობის მისაღებად უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი მოქმედებები. ტრანსმისარმა უნდა წარადგინოს განცხადება პირველი მამკვიდრებლის მემკვიდრეობის მისაღებად ან ფაქტობრივად

დაეუფლოს მას. ამასთან ერთად შეიძლება წარდგენილ იქნეს დამოუკიდებელი განცხადება თითოეული სამკვიდროს მისაღებად ან ერთი განცხადება ორივე სამკვიდროს მიღების მიზნით. გარდაცვლილი ტრანსმიტენტის მემკვიდრეებმა შეიძლება მიიღონ მემკვიდრეობა მემკვიდრეობითი ტრანსმისიით და უარი თქვან მის მემკვიდრეობაზე ან პირიქით, მიიღონ გარდაცვლილი ტრანსმიტენტის სამკვიდრო და არ მიიღონ სამკვიდრო მემკვიდრეობითი ტრანსმისიის წესით. მათ შეუძლიათ მიიღონ ორივე მემკვიდრეობა ან უარი თქვან ორივეს მიღებაზე. ტრანსმისარის გარდაცვალების შემთხვევაში, როცა მან ვერ მოასწრო მემკვიდრეობითი ტრანსმისიით მასზე გადასული სამკვიდროს მიღების უფლების რეალიზება, მის მემკვიდრეებზე ეს უფლება არ გადადის. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეობის მიღების უფლების ტრანსმისარის წილი გადადის სხვა ტრანსმისარებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მაგრამ თუ სხვა ტრანსმისარები არ არიან იმ მემკვიდრეებზე, რომლებიც იყვნენ მოწვეულნი სამკვიდროს მისაღებად ტრანსმიტენტთან ერთად ძირითადი მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდეგ.⁵⁴⁰

მემკვიდრეობითი ტრანსმისიით მემკვიდრეობის მიღების უფლების საკითხი არ წარმოიშვება თუ პოტენციურ ტრანსმიტენტს, ე.ი. მემკვიდრეს, რომელმაც დადგენილ ვადაში ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება, დანიშნული ჰყავდა სათადარიგო მემკვიდრე. მაშინ პრიორიტეტი სათადარიგო მემკვიდრეს ეძლევა. მემკვიდრეობის ერთ-ერთი საანდერძო განკარგულება შეიძლება იყოს სათადარიგო მემკვიდრის დანიშვნა, ე.ი. მეორე მემკვიდრის განსაზღვრა, რომელსაც აქვს მემკვიდრეობის მიღების უფლება იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი მემკვიდრე ვერ მიიღებს მემკვიდრეობას რაიმე მიზეზით. კანონი ამომწურავად განსაზღვრავს საფუძვლებს, როცა მემკვიდრეობის მისაღებად სათადარიგო მემკვიდრე მოიწვევა. ამ საფუძვლებში შედის მემკვიდრის გარდაცვალება, რომელმაც ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება. ამრიგად, თუ ანდერძში არაა მითითებული, დაკონკრეტებული ძირითადი მემკვიდრის ნაცვლად სათადარიგო მემკვიდრის მოწვევის საფუძველი, მაშინ ნებისმიერი საფუძველით ძირითადი მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელის ნაცვლად სამკვიდროს სათადარიგო მემკვიდრე მიიღებს. იგივე შედეგები დგება თუ ანდერძში სათადარიგო მემკვიდრის

⁵⁴⁰ Булаевский Б.А. Наследственное право – М.: 2005. с. 178.

მოწვევის საფუძვლად ძირითადი მემკვიდრის გარდაცვალებაა მითითებული. თუ სათადარიგო მემკვიდრის მოწვევის საფუძვლად მითითებულია სხვა კონკრეტული მიზეზი (მაგ. უღირს მემკვიდრედ ცნობა, მემკვიდრის გარდაცვალება სამკვიდროს გახსნამდე და ა.შ.) მემკვიდრეობითი ტრანსმისიით მემკვიდრეობის მიღება დასაშვებია.

მემკვიდრეობითი ტრანსმისია გარეგნულად ჰგავს სათადარიგო მემკვიდრეს ანდერძით მემკვიდრეობისას და წარმომადგენლობით მემკვიდრეობას კანონით მემკვიდრეობისას, თუმცა მათ შორის არსებითი სხვაობაა. ჯერ ერთი, ტრანსმისია გამოიყენება როგორც ანდერძით, ისე კანონით მემკვიდრეობის დროს. მეორე, მემკვიდრეობით ტრანსმისიას მაშინ აქვს ადგილი, როცა მემკვიდრედ წოდებული პირი სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვლება. სამკვიდროს გახსნის დროს იგი ცოცხალი იყო.⁵⁴¹ სათადარიგო მემკვიდრე კი ინიშნება იმ შემთხვევისათვის მოანდერძის მიერ, თუ ანდერძით მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება, უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე, ან ჩამოერთმევა მემკვიდრეობა. ასევე წარმომადგენლობით მემკვიდრეობასაც მაშინ აქვს ადგილი, თუ კანონით მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება. გარდა ამისა, წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის უფლება კანონით განსაზღვრულ პირებს გააჩნიათ მხოლოდ (შვილიშვილები, დისწულები და ძმისწულები და ა.შ.)⁵⁴² ტრანსმისიისას მემკვიდრეობის უფლება შეიძლება მოიპოვოს ნებისმიერმა მემკვიდრემ, მათ შორის შვილიშვილმაც. განსხვავება ტრანსმისიასა და წარმომადგენლობით მემკვიდრეობას შორის ამ შემთხვევაშიც იქნება შენარჩუნებული. თუ შვილიშვილი მემკვიდრედ იქნა მოწვეული იმის გამო, რომ პირველად გარდაიცვალა მისი მშობელი, რომელიც ბების ან პაპის მემკვიდრე იქნებოდა, შემდეგ კი – ბებია ან პაპა, ადგილი ექნება მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით. ხოლო თუ პირველად გარდაიცვალა ბებია ან პაპა, ხოლო შემდეგ მათი მემკვიდრე შვილი, რომელმაც ვერ მოასწრო სამკვიდროს მიღება დადგენილ დროში, შვილიშვილი სამკვიდროს მიიღებს მემკვიდრეობითი ტრანსმისიის საფუძველზე.⁵⁴³ წარმომადგენლობითი მემკვიდრეობით სამკვიდროს მიღებისას ქონების გადასვლა ერთი

⁵⁴¹ შენგელია რ. შენგელია ე. „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, თბილისი 2017, გვ.414.

⁵⁴² სსკ-ის 1336-ე მუხლი.

⁵⁴³ შენგელია რ, შენგელია ე. „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, თბილისი 2017, გვ.414.

მამკვიდრებლიდან (ბებია ან პაპა) ხდება მეორეზე (შვილიშვილი) შუალედური მემკვიდრის (შვილიშვილის ადრე გარდაცვლილი მშობლები) გამოტოვებით. ტრანსმისიის დროს სხვა მდგომარეობაა. სახეზეა ორი მამკვიდრებელი, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან.⁵⁴⁴ ტრანსმისიის წესით მემკვიდრეობის უფლების გადასვლასა და მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით ხშირად ერთმანეთში ურევენ, მაშინ როცა სხვაობა ამ ორ ინსტიტუტს შორის აშკარაა. პირველ შემთხვევაში მემკვიდრე გარდაიცვალა მემკვიდრეობის მიღების გარეშე სამკვიდროს გახსნის შემდეგ. შეიძინა რა მემკვიდრეობის უფლება სამკვიდროს გახსნის მომენტში, მან გადასცა ეს უფლება თავის მემკვიდრეებს. წარმომადგენლობის უფლებით მემკვიდრეობის დროს კი პირიქით ხდება. ევენტუალური მემკვიდრე მამკვიდრებელზე ადრე კვდება. სამკვიდროს გახსნის შემდეგ მისი მოწვევა მემკვიდრედ შეუძლებელია, სამემკვიდრეო უფლებებს ის თავის მემკვიდრეებს ვერ გადასცემს, ვინაიდან თავად არ გააჩნია (არ მიუღია) ეს უფლებები. მისი მემკვიდრეები მოიწვევიან მის ნაცვლად უშუალოდ და დამოუკიდებლად.

სასამართლოების მიერ, როგორც წინა თავებში აღინიშნა არაერთგვაროვნად განიმარტება სსკ-ის 1371-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა წრე, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის გასარკვევადაც თუ ვისზე გადადის ტრანსმისიით სავალდებულო წილის მიღების უფლება. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ტრანსმისიას სსკ-ის 1372-ე მუხლი ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც, სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. სავალდებულო წილის მიღების უფლებით შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალ სავალდებულო მემკვიდრეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ სავალდებულო წილის მიღების უფლების რეალიზაციამდე გარდაცვალების შემთხვევაში სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. ქართული კანონმდებლობა განმარტავს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტს და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით, თუმცა არ არეგულირებს თუ კონკრეტულად რომელ მემკვიდრეებზე გადადის სავალდებულო

⁵⁴⁴ იქვე, გვ.415.

მემკვიდრის სავალდებულო წილის უფლება? ნებისმიერზე თუ მხოლოდ ასევე სავალდებულო მემკვიდრეებზე. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით უნდა გადავიდეს არა ყველა მემკვიდრეზე, არამედ იმათზე, რომელთაც გარდაცვლილი სავალდებულო ტრანსმისარი მამკვიდრებლისაგან ასევე სავალდებულო წილი ეკუთვნოდათ⁵⁴⁵, ე.ი. მხოლოდ შვილებზე, მშობლებსა და მეუღლეზე. სხვაგვარად დაასაბუთა სასამართლომ სავალდებულო მემკვიდრის წილის გადასვლა მის მემკვიდრეებზე, საქმეზე სადაც სავალდებულო მემკვიდრე გარდაიცვალა მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 3 თვის ვადაში. სასამართლომ მიიჩნია რომ გარდაცვლილი სავალდებულო მემკვიდრის სავალდებულო წილი სამკვიდროდან გადადის მის მეორე რიგის მემკვიდრეებზე და-ძმაზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა რომ, სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო ქონება შეიცავს რა მამკვიდრებლის იმ ქონებრივ უფლებებს – სამკვიდრო აქტივს, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის და მათ შორის ამავე კოდექსის 1371-ე მუხლით გათვალისწინებულ სავალდებულო წილს. ამ უფლების მქონე პირის გარდაცვალების შემთხვევაში მიუღებელი სავალდებულო წილი განხილულ უნდა იქნეს, როგორც სამკვიდრო აქტივის ნაწილი და მასზე მემკვიდრეობის უფლება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო კოდექსის 1337-ე მუხლით დადგენილი რიგითობით კანონით მემკვიდრეობისას. ამასთან, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ამ შემთხვევაში განსხვავებით სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირებისაგან, რაიმე გამონაკლისი კანონით დადგენილი არ არის.⁵⁴⁶

სავალდებულო მემკვიდრის მემკვიდრე, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნია, შესაძლებელია რამდენიმე იყოს ასეთ დროს, მათ მემკვიდრის კუთვნილი სავალდებულო წილი თანაბრად ეკუთვნით.⁵⁴⁷ თუ სავალდებულო წილის მემკვიდრეობის ტრანსმისის დროს ტრანსმიტენტ სავალდებულო მემკვიდრეს არ დარჩა პირველი რიგის მემკვიდრეები არ შეიძლება სხვა მეორე ან შემდგომი რიგის მემკვიდრეებზე გადავიდეს სავალდებულო წილის მიღების უფლება, რამდენადაც ეს უფლება კონკრეტულ პირთა, პირველი რიგის

⁵⁴⁵ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბილისი 2007.წ. გვ 49

⁵⁴⁶ სუსგ საქმე №ას-981-1245-05. 3.აპრილი 2006 წელი.

⁵⁴⁷ შენგელია რ, შენგელია ე. „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, თბილისი 2017, გვ.365.

მემკვიდრეთა პირადი უფლებაა. ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ კანონით განსაზღვრული, კონკრეტული, პირველი რიგის მემკვიდრეები. თუ ტრანსმიტენტი სავალდებულო მემკვიდრე გარდაიცვალა და მას არ დარჩა პირველი რიგის მემკვიდრეები, მისი უფლება სავალდებულო წილის მიღებაზე ძალას კარგავს და უქმდება ანდერძის თავისუფლების კანონისმიერი შეზღუდვაც. სავალდებულო მემკვიდრის უფლებების მოცულობა შევიწროებულია „ჩვეულებრივი“ მემკვიდრეების უფლებამოსილებების სპექტრთან შედარებით. სავალდებულო წილის პერსონიფიცირებული ხასიათი განმარტავს და მკაცრად განსაზღვრავს კანონმდებლობით შემოფარგლულ აუცილებელ მემკვიდრეთა წრეს. ყოველივე ეს მეტყველებს კანონმდებლობის მკაფიო პოზიციაზე სავალდებულო წილის მემკვიდრეობის ინდივიდუალურ ხასიათთან მიმართებაში. ნორმის შინაარსის არაერთგვაროვანი განმარტებების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია პირდაპირ განიმარტოს სავალდებულო წილის ტრანსმისიით გადასვლის უფლების სუბიექტებზე და 1372-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ”სავალდებულო წილის მიღების უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის დღიდან. თუ სავალდებულო მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან ამ უკანასკნელის სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის მემკვიდრეობით მისი პირველი რიგის (მეუღლე, მშობლები, შვილები) მემკვიდრეებზე.”

სავალდებულო წილის მემკვიდრეობითი ტრანსმისიის დროს გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა მიიღონ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის დარჩენილი დროის განმავლობაში. თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია, იგი სამ თვემდე უნდა გაგრძელდეს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მემკვიდრის გარდაცვალება იწვევს სამკვიდროს გახსნას მის მფლობელობაში არსებულ ქონებაზე, რომელშიც, თავის მხრივ, დამატებით უნდა ჩაირთოს იმ სამკვიდროს მიღების უფლებაც, რომელიც მემკვიდრემ ვერ განახორციელა სამკვიდროს მიღების ვადის განმავლობაში. გამოდის, რომ გარდაცვლილი მემკვიდრის ძირითადი სამკვიდროს მისაღებად უფრო მეტი ვადაა დადგენილი, ვიდრე მასში ჩართული სხვა სამკვიდროს მიღებისათვის. ამიტომ შესაძლებელია, რომ პირველადი მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონების წილის

მიღების ვადა გავიდეს, ხოლო მეორადი მამკვიდრებლის სამკვიდროს მიღების ვადა კი – არა. ასეთ შემთხვევაში ტრანსმისიით მისაღები სამკვიდრო ქონება უნდა გადანაწილდეს პირველადი მამკვიდრებლის სხვა მემკვიდრეებს შორის ან გადაეცეს სახელმწიფოს.⁵⁴⁸

სამკვიდროს მიღების ვადა შეიძლება აღადგინოს სასამართლომ, თუ ვადის გაშვების მიზეზებს საპატიოდ მიიჩნევს. მემკვიდრეობითი ტრანსმისიით სამკვიდროს მიღების ვადის გაშვებისას კანონი სამკვიდროს მიღების მეორე შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. აღნიშნული რასაკვირველია შესაძლებელია უდავო წესით, ანუ იმ პირობით თუ ამაზე თანხმობას განაცხადებს სამკვიდროს მიმღები ყველა დანარჩენი მემკვიდრე. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს კანონი უშუალოდ არ არეგულირებს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დადგენილი ვადის გასვლისას მემკვიდრეობის მიღების შესაძლებლობის საერთო წესები. დაუშვებელია მემკვიდრედ არ მივიჩნიოთ პირი, თუ მის მემკვიდრედ ცნობას ეთანხმება ყველა დანარჩენი მემკვიდრე რომელთაც მემკვიდრეობა მიღებული აქვთ. გასათვალისწინებელია, რომ იმ მემკვიდრეთა წრე, რომელთა თანხმობითაც ვადის გამშვებ სავალდებულო მემკვიდრეს შეუძლია მემკვიდრეობის ტრანსმისიით მიღება, უნდა განისაზღვროს მემკვიდრეობითი ტრანსმისიის თავისებურებათა გათვალისწინებით. თუ მემკვიდრეობის მიღების უფლება რამდენიმე სავალდებულო ტრანსმისარზე გადავიდა, თანხმობა წერილობითი ფორმით უნდა გამოხატოს ყველა მათგანმა. თუ მემკვიდრეობის მიღების უფლება გადადის ერთ სავალდებულო მემკვიდრეზე, რომელმაც გაუშვა ვადა, მის მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე თანხმობა იმ მემკვიდრემ უნდა განაცხადოს, რომელიც ძირითადი მემკვიდრის გარდაცვალების შემდეგ მოწვეულია მემკვიდრეობის მისაღებად ტრანსმიტენტთან ერთად, ეს კი ანდერძისმიერი მემკვიდრეა. მაგ. ანდერძისმიერი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ სავალდებულო წილის მისაღებად მოწვეული იყო სამი სავალდებულო მემკვიდრე (მეუღლე, მშობლები და შვილი, თითოეულის სავალდებულო წილი -- 1000 ლარი) აქედან ერთი შვილი გარდაიცვალა ძირითადი მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 3 თვეში, სავალდებულო ტრანსმიტენტის (შვილის) სავალდებულო წილის 1000 ლარის მიღების უფლება გადადის მის

⁵⁴⁸ შენგელია რ. შენგელია ე. „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, თბილისი 2017, გვ.415.

პირველი რიგის მემკვიდრეზე (მეუღლე, მშობლები და შვილი) სავალდებულო ტრანსმისარებზე. თუ ერთ-ერთმა სავალდებულო ტრანსმისარმა გაუშვა ტრანსმისიით სამკვიდროს მიღების კანონით განსაზღვრული ვადები, სამკვიდროს მისაღებად მას სჭირდება დანარჩენი ორი სავალდებულო ტრანსმისარი მემკვიდრის თანხმობა, ვინაიდან იგი მხოლოდ მათ ნამდვილ იურიდიულ და ქონებრივ ინტერესებს ეხება, რამეთუ, განსაზღვრულია სამკვიდროს ერთიანი მოცულობა, სავალდებულო წილის სახით 1000 ლარის ოდენობით და სამკვიდროს მიღების ვადების გამშვები სავალდებულო ტრანსმისარის წილი გადავა დანარჩენს ტრანსმისარ მემკვიდრეებზე. იმ შემთხვევაში თუ სავალდებულო ტრანსმისარი ერთადერთია, მაშინ მას სჭირდება არა ძირითადი მამკვიდრებლის სავალდებულო მემკვიდრეთა თანხმობა, ჩვენს მაგალითზე მეუღლის და მშობლის, მათ არა აქვთ ქონებრივი ინტერესი, არამედ, ანდერძისმიერი მემკვიდრის თანხმობა. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს რა სამკვიდროს მიღების ვადების საპატიოდ ცნობას და სასამართლო წესით მათი აღდგენას, შესაძლებელია ასევე არსებობდეს ტრანსმისიით სამკვიდროს მიუღებლობის საპატიო მიზეზებიც, რომელიც უნდა აღადგინოს სასამართლომ.

სავალდებულო წილის ტრანსმისიით სამკვიდროს მიღებაზე შეიძლება უარი თქვას სავალდებულო ტრანსმისარმა. სამკვიდროს მიუღებლობა არ ართმევს მას შესაძლებლობას, მიიღოს ის სამკვიდრო, რომელიც უშუალოდ ეკუთვნოდა ტრანსმიტენტს. ზოგადად ტრანსმისარს შეუძლია უარი თქვას ტრანსმისიით სამკვიდროზე, მხოლოდ ტრანსმიტენტის მემკვიდრეთა სასარგებლოდ. თუ სავალდებულო ტრანსმისარი რამდენიმეა როგორც აღინიშნა ყველას თანაბრად ეკუთნის სავალდებულო ტრანსმიტენტის წილი, თუკი რომელიმე მათგანი არ მიღებს ან უარი იტყვის ტრანსმიტენტის სავალდებულო წილიდან თავის კუთვნილ წილზე ეს არ გამოიწვევს ანდერძისმიერი მემკვიდრის წილის გაზრდას. ხოლო თუ სავალდებულო ტრანსმისარი ერთადერთია იგი არ მიიღებს სავალდებულო ტრანსმიტენტის სავალდებულო წილის ან უარს იტყვის მასზე, სავალდებულო წილის უფლება გადადის არა სხვა სავალდებულო მემკვიდრეზე, არამედ, მხოლოდ ძირითადი მამკვიდრებლის ანდერძისმიერ მემკვიდრეზე. სავალდებულო ტრანსმისარის მიერ სავალდებულო წილის მიღებაზე უარს კანონმდებლობა არ

არეგულირებს და ზოგადად სავალდებულო წილზე უარის თქმის ნორმების ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია ტრანსმისიის განსაკუთრებული თავისებურებებიდან გამომდინარე.

კანონმდებლობით სრულყოფილად და ნათლად უნდა განისაზღვროს როგორც სავალდებულო ტრანსმიტენტის სავალდებულო წილზე უარის შედეგები, ასევე ზოგადად ტრანსმისარი და სავალდებულო ტრანსმისარი მემკვიდრის ვალდებულებები ძირითადი მამკვიდრებლის და სავალდებულო ტრანსმიტენტი მამკვიდრებლის კრედიტორთა მიმართ, რომელიც იქნება შემდეგი შინაარსის: მემკვიდრემ, რომელმაც მემკვიდრეობა ტრანსმისიით მიიღო, ვალდებულია მიღებული სამკვიდრო აქტივის ფარგლებში გადაიხადოს მამკვიდრებლის ვალები და არაა პასუხისმგებელი იმ მემკვიდრის ვალდებულებებისთვის, რომლისგანაც მიიღო ქონების მიღების უფლება.

6. სავალდებულო მემკვიდრის ვალდებულებები

ძველი რომის მემკვიდრობის სამართალიდან მოყოლებული მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება ჩვეულებრივ, პირველ ყოვლისა, გადადიოდა მისივე ოჯახის წევრების ხელში, მემკვიდრეობის უპირველესი საგანი, ცხადია, ქონება იყო. მაგრამ ქონების მიღებით არ ამოიწურებოდა მემკვიდრეობა. მემკვიდრე ვალდებული იყო დაეცვა მამკვიდრებლის (სამკვიდროს დამტოვებლის) ოჯახის კულტი, შეესრულებინა ოჯახის მოვალეობა ღმერთის წინაშე, შეენარჩუნებინა ოჯახის ტრადიციული ურთიერთობა გარდაცვლილის კლიენტებთან. თუ მამკვიდრებელს თავის მფარველობაში ყავდა უცხოელები, მემკვიდრე ვალდებული იყო მფარველობა არ მოეკლო მათთვის.⁵⁴⁹

განსაზღვრულ ურთიერთობებში, რომელიც ურთიერთშეთანხმებას ეფუძნება, მხარეები დაკავშირებული არიან ვალდებულებით, რომელიც კონსესუალურად (შეთანხმებით) აიღეს თავის თავზე⁵⁵⁰. სახელშეკრულებო ვალდებულება დადგენილია ნებაყოფლობით, ეს გამომდინარეობს ინდივიდის თავისუფალი

⁵⁴⁹ ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2009 წ. გვ.128.

⁵⁵⁰ Jill Poole, Contract law, 9th edition, Oxford, OXFORD UNIVERSITY PRESS; 2008. 3.

ნებიდან - თავი შეიკავოს ან დათანხმდეს ვალდებულების აღებას.⁵⁵¹ ვალდებულების სუბიექტები მასში მონაწილე პირები არიან, რომლებიც კრედიტორად და მოვალედ იწოდებიან. კრედიტორი ვალდებულების ის მხარეა, რომელსაც განსაზღვრული მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს. მოვალე ვალდებულების ის მხარეა, რომელმაც კრედიტორის სასარგებლოდ განსაზღვრული მოქმედება უნდა შეასრულოს⁵⁵². მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და სამკვიდროს გახსნის შემდეგ სამკვიდრო მასის ბედი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი მამკვიდრებლის ქონებრივ უფლებებთან ერთად მის ვალდებულებებსაც მოიცავს და სამკვიდრო მასა მარტო მამკვიდრებლის უფლებები არაა. ქონებრივ უფლებებთან ერთად, სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის ვალდებულებებს (ვალებს). სამკვიდრო მასა მემკვიდრეებს გადაეცემათ როგორც ერთიანი ქონებრივი ერთეული.⁵⁵³

ზოგადად სამოქალაქო სამართალში უფლებამონაცვლეობის (უნივერსალური ანუ ზოგადი უფლებამონაცვლეობა, და სინგულარული კერძო) ფარგლები იმისდა მიხედვით დგინდება, თუ რა სახის უფლებამონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, ამასთან, უფლებამონაცვლე უფლებებსა და მოვალეობებს იმ ფარგლებში იძენს, რა ფარგლებშიც იგი მის წინამორბედთან იყო. უფლებამონაცვლეობის ფარგლების შეზღუდვა, განსაკუთრებით ადრე არსებული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულების ფარგლებში, მხოლოდ უფლებამონაცვლის ნებაზე ან მასა და მის წინამორბედს შორის შეთანხმებაზე არ არის დამოკიდებული, ვინაიდან იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მესამე პირის ინტერესზე.⁵⁵⁴ სამემკვიდრეო სამართლებრივ ურთიერთობებში მამკვიდრებლის ჩანაცვლებით ამ უკანასკნელის უფლება-მოვალეობებს მემკვიდრე ღებულობს, ის მხოლოდ ისეთი უფლება-მოვალეობებისაგან იქნება თავისუფალი რაც ცალსახად და არაორაზროვნად მამკვიდრებლის პირადი უფლების (ვალდებულების) ხასიათიდან გამომდინარეობდა, მხოლოდ მისი მონაწილეობით იყო განხორციელებადი ან მისთვის იყო განკუთვნილი. აღნიშნული კი სამემკვიდრეო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების სამართლებრივ და ზნეობრივ დაცვით მნიშვნელობაზე

⁵⁵¹ იქვე, გვ.3.

⁵⁵² ახვლედიანი ზ.ვალდებულებითი სამართალი, თბილისი 1999წ. გვ.6.

⁵⁵³ Гордон М.В. Наследование по закону и по завещанию. М., 1967. С. 8.

⁵⁵⁴ სუსგ საქმეას-1558-1478-2017.26.10.2018 წელი

მიუთითებს.⁵⁵⁵ სამკვიდროში არ შედის ვალდებულებები, რომელიც მამკვიდრებლის, როგორც მოვალის პიროვნებას უშუალოდ უკავშირდება. მაგ. გარდაცვალებასთან ერთად წყდება მამკვიდრებლის ვალდებულებები მარჩენალის დაკარგვის გამო დაზარალებულისათვის სარჩოს, ალიმენტის გადახდის და ა.შ. თუმცა სამკვიდროში უნდა დარჩეს ამ ტიპის შეუსრულებელი ვალდებულებები. (მაგ. სიცოცხლეში დაგროვილი გადაუხდელი შრომის ანაზღაურება, მათ შორის განაცდურის კომპენსაცია) თუ მამკვიდრებელმა აღძრა სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მისი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეებზე, რადგან, მოპასუხისაგან მოთხოვილი ზიანი არ არის მამკვიდრებლის პირადი ხასიათის უფლება.⁵⁵⁶ სამკვიდროში არ შედის რწმუნებულებიდან გამომდინარე გარდაცვლილი რწმუნებულის ვალდებულებები. მემკვიდრეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ მარწმუნებელს რწმუნებულის გარდაცვალების შესახებ, მიიღონ მარწმუნებლის ქონების, მათ შორის ნივთებისა და დოკუმენტების შესანახად აუცილებელი ზომები და შემდეგ ქონება გადასცენ მარწმუნებელს.

მემკვიდრეთა ვალდებულება მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე შეზღუდულია, რაც იმას ნიშნავს რომ, მემკვიდრე ვალდებულია გადაიხადოს მამკვიდრებლის ვალეები მხოლოდ მიღებული სამკვიდროს ფარგლებში. მემკვიდრეობის სამართლის ეს ზოგადი დებულება კონკრეტულ გამოხატულებას სრულყოფილად ჰპოულობს სამოქალაქო კოდექსის ნორმებში. ისინი ერთნაირად არეგულირებენ ანდერძითა და კანონით მემკვიდრეობის დროს ამ მხრივ წარმოშობილ ურთიერთობებს. სამკვიდროს ღირებულება, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს მამკვიდრებლის ვალეების გასტუმრება, უნდა განისაზღვროს სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. სამკვიდროს მიღებამდე მიღებული ყოველგვარი შემოსავალი ამ ღირებულებაში არ ჩაითვლება. მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის დაფიქსირებული ღირებულებაა მთავარი. ეს ღირებულება სამკვიდრო ქონების სახით ნაწილდება მემკვიდრეებს შორის, თითოეული მემკვიდრე, მათ შორის სავალდებულო მემკვიდრეც ვალდებულია გადაიხადოს მამკვიდრებლის ვალი მიღებული წილის ღირებულების პროპორციულად. როცა სამკვიდროს ერთი მემკვიდრე ღებულობს, მამკვიდრებლის ვალის გასტუმრების

⁵⁵⁵ სუსგ საქმე №ას-650-616-2015.26.07.2017 წელი.

⁵⁵⁶ სუსგ საქმე № ას-650-616-2015. 26.07.2017 წელი.

საკითხი მარტივი ხდება. როცა მემკვიდრე რამდენიმე თითოეული მემკვიდრე მიღებული წილის ღირებულების ფარგლებში, მაგრამ თავიანთი წილის პროპორციულად ისტუმრებენ მამკვიდრებლის ვალს.⁵⁵⁷ მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.⁵⁵⁸ მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე. კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის.⁵⁵⁹ კრედიტორის მოთხოვნა გადადის მის მემკვიდრეებზე და მათ უფლება აქვთ მოვალისაგან მოითხოვონ შესრულება. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა შესრულება პირადად კრედიტორისათვის იყო გათვალისწინებული, კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.⁵⁶⁰ სამკვიდროს გახსნა არ იწვევს სამკვიდრო ქონების თავისთავად მემკვიდრეებზე გადასვლას. ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამკვიდროს მიღება კანონით ან ანდერძისმიერ მემკვიდრეთა მხრიდან .⁵⁶¹ მემკვიდრე მამკვიდრებლის არა მხოლოდ უფლების, არამედ მოვალეობის მონაცვლეცაა. მემკვიდრეები, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად, ასეთივე მოვალეობა ეკისრება ხაზინასაც, თუ უმკვიდრო ქონება მასზე გადავიდა.⁵⁶² თუკი პირს სიცოხლეში ჰყავდა კრედიტორი(ები), მისი გარდაცვალების შემდეგ მათ წინაშე არსებული ვალდებულებები გადაეცემათ გარდაცვლილის მემკვიდრეებს. უპირველეს ყოვლისა, რაც გარდაცვლილის მემკვიდრეებს მოეთხოვებათ კანონის დანაწესის შესაბამისად, არის ის, რომ მათ მთლიანად უნდა დაფარონ მამკვიდრებლის ვალები, ოღონდ მიღებული სამკვიდროს ფარგლებში.

⁵⁵⁷ შენგელია რ. შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2011, გვ.184.

⁵⁵⁸ სსკ-ის 1484-ე მუხლი.

⁵⁵⁹ სსკ-ის 453-ე მუხლი.

⁵⁶⁰ ჭანტურია ლ, ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, გვ.565.

⁵⁶¹ ჩიკვაშვილი შ. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 1999, გვ.482.

⁵⁶² ახვლედიანი ზ.. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2007 წ. გვ.90.

მემკვიდრეები, მათ შორის სავალდებულო მემკვიდრეც პასუხისმგებელი არიან მამკვიდრებლის დარჩენილი ვალებისათვის, კანონი ერთნაირად აკისრებს მათ ამ ვალდებულებებს მათ მიერ სამკვიდროს მიღების შემთხვევაში. მემკვიდრე, რომელიც დროულად მიიღებს კრედიტორთა პრეტენზიას, მოვალეა გაისტუმროს მამკვიდრებლის ვალები დადგენილ ვადაში ან დაფაროს იგი ვადაზე ადრეც. თუ მემკვიდრეთა მიერ მიღებული სამკვიდრო ქონების ღირებულება აღემატება ვალების ოდენობას, მაშინ მამკვიდრებლის დავალიანება სრულად უნდა იქნეს დაფარული, ხოლო თუ ვალების საერთო თანხა აღემატება მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულებას, მაშინ კრედიტორთა მოითხოვა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მხოლოდ ქონების ნამდვილი ღირებულების ფარგლებში. რამდენიმე მემკვიდრის არსებობისას თითოეული მათგანი პასუხს აგებს სამკვიდროს დამტოვებლის ვალებისათვის მათ მიერ სამკვიდრო ქონებიდან მიღებული წილის ფაგლებში, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც მემკვიდრეობის ობიექტია განუყოფელი საგანი, მემკვიდრეები სამკვიდრო დამტოვებლის ვალებისათვის პასუხს აგებენ თანაბრად.⁵⁶³ როცა სამკვიდრო სავალდებულო მემკვიდრემ მიიღო, აუცილებელია განისაზღვროს სავალდებულო წილის ღირებულება და პროპორცია მთელი სამკვიდროს ღირებულებასთან. ზოგ შემთხვევაში ასეთი პროპორცია იმდენად ნათელია, რომ არავითარ გამოთვლას არ საჭიროებს. მაგალითად, თუ მემკვიდრეზე გადავიდა სამკვიდროს ნახევარი, ის პასუხს აგებს სამკვიდროში შემავალი ვალების ნახევარზე. საკითხი უფრო რთულდება, როცა ანდერძში მითითებულია ცალკეული ნივთები, რომლებიც უნდა გადავიდეს ცალკეულ მემკვიდრეებზე. ასეთ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ამ ნივთების ღირებულება და უნდა დადგინდეს საჭირო პროპორცია მათი ღირებულების შეფარდებით სამკვიდროს ღირებულებასთან.⁵⁶⁴ მოანდერძეს შეუძია მთელი ვალის ან მისი ნაწილის გადახდა დაავალოს ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს⁵⁶⁵. ამ შემთხვევაში დანარჩენი მემკვიდრეები შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდებიან ვალის გადახდის მოვალეობისაგან. ამასთან, ცხადია მოანდერძე ვერ დააკისრებს მემკვიდრეს ისეთი ვალის გადახდას, რომელიც აღემატება მიღებული სამკვიდროს ოდენობას. თუ მამკვიდრებელმა ვალების

⁵⁶³ ჩიკვაშვილი შ. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 1999წ. გვ.403.

⁵⁶⁴ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2007წ. გვ.91

⁵⁶⁵ სსკ-ს 1486-ე მუხლი

გადახდა ერთ-ერთ მემკვიდრეს დაავალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო საკმარისი არ არის ვალების გასასტუმრებლად, მაშინ იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ კრედიტორთა მოთხოვნები, ვალების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა სხვა მემკვიდრეებს უნდა დაეკისროთ⁵⁶⁶.

სავალდებულო მემკვიდრეს მამკვიდრებლის დაკრძალვისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება სხვა მემკვიდრეთა მსგავსად ეკისრება სამკვიდროში მიღებული სავალდებულო წილის პროპორციულად.⁵⁶⁷ ასეთ დასკვნამდე სასამართლო მივიდა ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის, სახელდობრ, სსკ-ის 1484-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების გზით, რომლის თანახმად, მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად.⁵⁶⁸ მითითებული მუხლი ადგენს ჯერ კიდევ მამკვიდრებლის სიცოცხლეში წარმოშობილი ურთიერთობებიდან გამომდინარე მისი ვალებისათვის მემკვიდრეთა პასუხისმგებლობას, რა დროსაც კრედიტორის ქვემოთ იგულისხმება მოთხოვნის უფლების მქონე არამემკვიდრე პირი. ზემოხსენებული სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ამ მუხლის გამოყენებისას მემკვიდრეს, რომელმაც საკუთარი, და არა სამკვიდრო ქონებაში შემავალი სახსრებით დაკრძალა მამკვიდრებელი, წარმოეშობა მოთხოვნის უფლება სამკვიდრო ქონებისა და ამ ქონების მიმღები პირების (მემკვიდრეების) მიმართ.⁵⁶⁹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) მიჯნავს მემკვიდრის პასუხისმგებლობას სამკვიდრო ქონების ვალებისათვის მემკვიდრის ვალდებულებისაგან, იკისროს მამკვიდრებლის დაკრძალვის ხარჯები, კერძოდ, აღნიშნული გსკ-ს 1967-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მემკვიდრე პასუხს აგებს სამკვიდრო ქონების ვალებისათვის, ხოლო 1968-ე მუხლით, მემკვიდრეს ეკისრება მამკვიდრებლის დაკრძალვის ხარჯები.⁵⁷⁰ სავალდებულო მემკვიდრეს სხვა სავალდებულო მემკვიდრესა და ანდერძისმიერ

⁵⁶⁶ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2007. გვ.92.

⁵⁶⁷ სუსგ საქმე №ას-227-219-2012. 2012 წლის 05 აპრილი

⁵⁶⁸ სსკ-ის 1484-ე მუხლი;

⁵⁶⁹ კობრიძე ლ. ზოგიერთი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას. მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი 2014 წ. გვ.31.

⁵⁷⁰ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB). თბილისი, 2010. 1967-ე, 1968-ე მუხლები.

მემკვიდრესთან ერთად სამკვიდრო მის გაყოფამდე იგი ერთიანი ქონების სახით ეკუთვნით. ამ ქონებიდან შეიძლება გადახდილ იქნეს მამკვიდრებლის მოვლისა და უკანასკნელი ავადმყოფობის მკურნალობის, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვის, ხელფასის გასტუმრების, ანდერძის აღსრულების აუცილებელი ხარჯები. ეს მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს სამკვიდროს ღირებულებიდან ყველა სხვა, მათ შორის, იპოთეკისა და სხვა გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნების უპირატესად.⁵⁷¹

მამკვიდრებლის კრედიტორებს უფლება აქვთ მამკვიდრებლის ვალი როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ მოთხოვნონ როგორც ყველა მემკვიდრეს ერთად, ისე თითოეულს ცალ-ცალკე. კრედიტორს, რომელიც ვერ დაკმაყოფილდა ერთი სოლიდარული მოვალისგან შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისგან. მემკვიდრეს, რომელმაც დააკმაყოფილა კრედიტორი აქვს დანარჩენ სოლიდარულ მემკვიდრეთაგან რეგრესული მოთხოვნის უფლება ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობის პროპორციულად. ბუნებრივია ეს პასუხისმგებლობა შეზღუდულია მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო ქონების ღირებულებით. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ სახეზეა რამოდენიმე მემკვიდრე, ხოლო კრედიტორი კი ერთი დარჩა მამკვიდრებელს, მის წინაშე მემკვიდრეები ვალდებულნი არიან პასუხი აგონ მათ მიერ მიღებული ქონების ღირებულების ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად. თუმცა შესაძლოა ერთ-ერთმა მემკვიდრემ, მამკვიდრებლის კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენისას ჩათვალა, რომ კრედიტორის დაკმაყოფილება იყო მისი მოვალეობა და სრულად ანაზღაურა კრედიტორის წინაშე არსებული ვალდებულებები, რისთვისაც მან გამოიყენა არა მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული ქონება, არამედ დაამატა პირად საკუთრებაში არსებული ქონებაც კი. ასეთ მემკვიდრეს, თუკი ის შეტყობს, რომ მას არ ეკისრებოდა ვალდებულების სრულად შესრულება, უფლება აქვს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით კრედიტორისაგან მოითხოვოს შესრულებულის - ზედმეტად გადაცემულის უკან დაბრუნება. ვინაიდან ამგვარი შესრულების ვალდებულება მას კანონით არ ეკისრებოდა, შესაბამისად ის, რაც ვალდებულების

⁵⁷¹ სუსგ საქმე №ას-253-240-2015; 2015 წლის 5 ივნისი

გარეშეა გადახდილი, შესაძლოა უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი. იმ შემთხვევაში, როდესაც მამკვიდრებლის კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილება ხდება მხოლოდ ერთი მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო ქონებიდან, ასეთი მემკვიდრე უფლებამოსილია დანარჩენი მემკვიდრეებისაგან მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში დანარჩენი მემკვიდრეები აღმოჩნებიან უსაფუძვლოდ გამდიდრებულნი. მოვალეს, რომელმაც შეასრულა სოლიდარული ვალდებულება, უკუმოთხოვნის უფლება აქვს დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა მიმართ. ვალდებულების სოლიდარობა კრედიტორთან მიმართებაშია, თორემ, თვით მოვალეთა შორის ურთიერთობა წილობრივი პასუხისმგებლობით გვარდება. მოვალე, რომელიც იხდის ვალს, ასრულებს არამარტო თავის საკუთარ ვალდებულებას, არამედ იმავდროულად დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა ვალდებულებასაც. სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულებით არსებობას წყვეტს სოლიდარული ვალდებულება. მოცემულ მოვალეს შეუძლია დანარჩენებს წილთა თანაბრობის კვალობაზე მოსთხოვოს გადახდა, ოღონდ, იმის გამოკლებით, რაც უშუალოდ მას ევალება კრედიტორის წინაშე. ასევე, როცა შეუძლებელია მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობის განსაზღვრა, ისინი ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ თანაბარი წილით. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოვალეზე, რომელმაც მთლიანად დაფარა ვალი, გადადის უზრუნველყოფის საშუალებანიც, რაც კრედიტორს ეკუთვნოდა. მოვალე ასევე ვალდებულია დროზე აცნობოს დანარჩენ მოვალეებს, რომ სოლიდარული ვალდებულება მის მიერ უკვე შესრულებულია. შეუტყობინებლობამ შეიძლება რიგი შეზღუდვები გამოიწვიოს სოლიდარულ მოვალეთა შორის ურთიერთობებში.⁵⁷²

სსკ-ის 991-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც, სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული. ამავე ნორმაზე დაყრდნობით დაბრუნებას ექვემდებარება ისეთი შესრულებაც, რომლის ვალდებულებაც არ არსებობდა „სხვა საფუძვლით“. ძნელია წინასწარ

⁵⁷² ჭანტურია ლ, ზოიძე ბ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, გვ.597-598.

დაკონკრეტდეს რა მიეკუთვნება სხვა საფუძველთა ჩამონათვალს. აღნიშნულ საფუძველთა შეფასება უნდა მოხდეს კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. ეს გარემოებები შეიძლება გამოიკვეთოს მრავალმხრივ ურთიერთობებში, რომელთა წარმოშობა ნამდვილი გარიგების საფუძველზე ხდება.⁵⁷³ თუ მამკვიდრებლის ქონება მიიღო მხოლოდ ერთმა მემკვიდრემ, ბუნებრივია მამკვიდრებლის დარჩენილი ყველა ვალისათვის პასუხისმგებლობა გადავა მასზე. შესაძლოა მამკვიდრებელმა მთელი ვალის გადახდა დააკისროს ერთ ან რამდენიმე მემკვიდრეს. მემკვიდრეებს შესაძლოა ასეთ დროს დაეუფლოთ უსამართლობის განცდა, თუმცა სსკ-ის 1344-ე მუხლში გამოხატულია ანდერძის თავისუფლების პრინციპი, რომლის თანახმად მამკვიდრებელს მემკვიდრეთა არჩევის უფლება აქვს, რამდენადაც მას შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება დაუტოვოს როგორც პირებს მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც. საკუთრების უფლების შინაარსიდან გამომდინარე მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად განკარგოს მისი კუთვნილი ქონება და ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად იგი უფლებამოსილია მისი კრედიტორების ინტერესების დაკმაყოფილება მისივე ქონებიდან, დაავალოს კონკრეტულ მემკვიდრეს (მემკვიდრეებს). მემკვიდრეები რა თქმა უნდა არ არიან ვალდებული აუცილებლად მიიღონ სამკვიდრო და უზრუნველყონ მამკვიდრებლის ვალების გასტუმრება. სურვილის შემთხვევაში მათ შეუძლიათ თავი აარიდონ ზემოაღნიშნულ პროცესს ცალმხრივი გარიგებით, უბრალოდ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმით. მოანდერძე ვერ დააკისრებს მემკვიდრეს ისეთი ვალის გადახდას, რომელიც აღემატება მიღებული სამკვიდროს ოდენობას. თუ მამკვიდრებელმა ვალების გადახდა ერთ-ერთ მემკვიდრეს დაავალა და, აღმოჩნდა, რომ ამ მემკვიდრის მიერ მიღებული სამკვიდრო საკმარისი არ არის ვალების გასასტუმრებლად, მაშინ იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მემკვიდრეები ვალდებული არიან მთლიანად დააკმაყოფილონ კრედიტორთა მოთხოვნები, ვალების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა სხვა მემკვიდრეებს უნდა დაეკისროთ.⁵⁷⁴ შესაძლოა მამკვიდრებლის ვალები საერთოდ

⁵⁷³ ჩიტოშვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითად საკითხები), თბილისი, 2007, გვ.92.

⁵⁷⁴ ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2007 წელი გვ.92.

აღმატებოდეს სამკვიდროს. ასეთ დროს მტკიცების ტვირთი გადადის მემკვიდრეებზე, მათ უნდა ამტკიცონ, რომ მამკვიდრებლის ვალები აღმატება სამკვიდროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამკვიდრო აღწერილი იყო ნოტარიუსის მიერ.⁵⁷⁵

მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაკმაყოფილებას უპირატესი ადგილი უკავია საანდერძო დანაკისრის მიმღებ პირებთან შედარებით. სსკ-ის 1387 მუხლის მიხედვით, მემკვიდრემ, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, უნდა შეასრულოს იგი ნაანდერძები სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებში მამკვიდრებლის ვალების იმ ნაწილის გამოკლებით, რომლის გასტუმრებაც მას შეხვდა. ამ მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით, მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესებს ენიჭება უპირატესობა მამკვიდრებლის თუნდაც უკანასკნელ სურვილთან მიმართებით, ვინაიდან კრედიტორის წინაშე მამკვიდრებელი იმყოფებოდა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში. ვალდებულების არსებობა ხშირ შემთხვევაში კერძო ნების ავტონომიას უკავშირდება და კანონმდებელმა მის შესრულებას პრიორიტეტი მიანიჭა ადამიანის სურვილების დაკმაყოფილებასთან შედარებით. მემკვიდრეობითი მატერიალური უფლებამონაცვლეობა არის მამკვიდრებლის უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა მემკვიდრეზე, მემკვიდრეობის მიღების გზით, შესაბამისად მამკვიდრებლის უფლებამონაცვლე ასეთ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ სამკვიდროს მიმღები მემკვიდრე, რომელსაც ეკუთვნის მემკვიდრეობის სუბიექტური უფლება.⁵⁷⁶ აქედან გამომდინარე, საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი) არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გარდაცვლილის მემკვიდრედ — შესაბამისად, არ წარმოადგენს უფლებამონაცვლეს. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით⁵⁷⁷ საანდერძო დანაკისრის მიმღები პასუხს არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის, აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია ასევე გერმანიისა⁵⁷⁸ და საფრანგეთის კანონმდებლობით⁵⁷⁹. რამდენადაც საანდერძო

⁵⁷⁵ სსკ-ის 1485-ე მუხლი.

⁵⁷⁶ Кожевина Е.В. Наследственное правопреемство. Екатеринбург, 2005. с.16

⁵⁷⁷ სსკ 1393-ე მუხლი

⁵⁷⁸ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) 1967-ე მუხლი (ცვლილებებითა და დამატებებით 2010 წლის 01 მარტამდე), თბილისი: „სამართალი“, 2010;

⁵⁷⁹ Французский гражданский кодекс. Под редакцией Д.Г.Лаврова. Санкт-Петербург: “Юридический центр Пресс”, 2004; С 870

დანაკისრის მიმღები (ლეგატარი) წარმოადგენს არა მამკვიდრებლის, არამედ განსაზღვრული მემკვიდრის კრედიტორს, მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს იმ მემკვიდრის წილის ანგარიშზე, რომელსაც დაეკისრა საანდერძო დანაკისრის შესრულება. ლეგატარი მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის მიერ დაკისრებული ვალდებულების შესრულების შედეგად იღებს განსაზღვრულ ქონებას მემკვიდრის ქონებიდან, თუმცა მამკვიდრებლის ქონების ხარჯზე. ქონების მიღებისას მამკვიდრებელსა და ლეგატარს შორის სამართალმონაცვლეობის არარსებობა შეუძლებელს ხდის ლეგატარის მიერ სამკვიდროს პასივის, ანუ მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებლობის აღებას.⁵⁸⁰ ლეგატარს არ შეუძლია საანდერძო დანაკისრის შესრულება მოითხოვოს სამკვიდროს იმ წილიდან, რომელიც სხვა მემკვიდრეებმა მიიღეს. მემკვიდრე საანდერძო დანაკისრს შეასრულებს მხოლოდ სამკვიდროდან მისი წილის ფარგლებში. თუ სამკვიდრო დანაკისრის შესასრულებლად საკმარისი არ არის, შესრულება შეიძლება მოხდეს იმ ფარგლებში, რისთვისაც საკმარისი იქნება მოცემული მემკვიდრის წილი სამკვიდროდან. დანაკისრის შესრულებისას მემკვიდრის, რომელსაც დანაკისრის შესრულება დაეკისრა, წილს გამოაკლდება მამკვიდრებლის ვალები, რომელიც მან გაისტუმრა.⁵⁸¹ მამკვიდრებლის ვალებისათვის მემკვიდრეები აგებენ პასუხს, საანდერძო დანაკისრის მიმღები კი მემკვიდრე არ არის და არც პასუხს არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის.⁵⁸² ამ წინადადებას განამტკიცებს სსკ-ს 1393-ე მუხლი (საანდერძო დანაკისრის მიმღები პასუხს არ აგებს მამკვიდრებლის ვალებისათვის), თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საანდერძო დანაკისრის შესრულებისას მემკვიდრეს უწევს ჯერ მამკვიდრებლის ვალების გადახდა და შემდეგ დარჩენილი ნაწილით საანდერძო დანაკისრის შესრულება, შეიძლება ითქვას, რომ ეს გარკვეულწილად უკვე ზეგავლენას ახდენს ლეგატარის მიერ მისაღები ვალდებულების ფარგლებზე. საანდერძო დანაკისრის მიმღები პირის მიმართ მემკვიდრეებს ეკისრებათ განსაზღვრული ვალდებულებები, მაგრამ ეს ვალდებულებები მემკვიდრეებმა უნდა შეასრულონ მამკვიდრებლის ვალების გადახდის შემდეგ დარჩენილი ქონებიდან. ამიტომ, თუ მოხდა ისე, რომ ანდერძით მემკვიდრემ უკვე გადასცა ქონება საანდერძო

⁵⁸⁰ Черепяхин Б.Б. Труды по гражданскому праву. М., 2001.с34

⁵⁸¹ ახვლედიანი ზ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000 წ. გვ.441.

⁵⁸² იქვე, გვ.445.

დანაკისრის მიმღებს, შემდეგ კი გამოიკვავა, რომ მამკვიდრებელს ჰყავს კრედიტორები და დარჩენილი ქონება საკმარისი არ არის მათ დასაკმაყოფილებლად, მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს დანაკისრის მიმღებისაგან ქონების ან მისი ნაწილის უკანვე დაბრუნება.⁵⁸³ გათვალისწინებულია სავალდებულო წილზე უფლების მქონე მემკვიდრის მიერ საანდერძო დანაკისრის შესრულების თავისებურება: საანდერძო დანაკისრის შესრულების ვალდებულება შეზღუდულია სავალდებულო მემკვიდრის წილის ღირებულებით, რომელიც აღემატება სავალდებულო წილს.

მემკვიდრეებს, გარდა ვალებისა, ევალებათ დააბრუნონ სხვა პირების ქონება, რომელიც მამკვიდრებლის კანონიერ თუ უკანონო მფლობელობაში იყო. საქმე ეხება იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც მამკვიდრებელს ქირავნობით, შესანახად, შესაკეთებლად და სხვა საფუძვლით ჰქონდა ანდა უსაფუძვლოდ ფლობდა. იმ ქონების დაბრუნება, რომელიც არ ეკუთვნოდა მამკვიდრებელს არ ნიშნავს მამკვიდრებლის ვალების გადახდას. ასეთი ქონების დაბრუნების ვალდებულება არ შეიძლება შეტანილ იქნეს სამკვიდროს პასივის შემადგენლობაში. კრედიტორებს არ შეუძლიათ მოითხოვონ დაკმაყოფილება იმ ქონებიდან, რომელიც მამკვიდრებელს არ ეკუთვნოდა მის სიცოცხლეში .⁵⁸⁴

მემკვიდრეთა ვალდებულებებში მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე, იგულისხმება არა მხოლოდ ის ვალდებულებები, რომელთა შესრულების ვალდებულებაც წარმოიშვა სამკვიდროს გახსნამდე, არამედ ის ვალდებულებებიც, რომელთა შესრულების ვადაც სამკვიდროს გახსნის შემდეგ დადგება. ყურადღებას იმსახურებს შემთხვევა, როდესაც არცერთი მემკვიდრე არ მიიღებს სამკვიდროს. ასეთ შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმისწარმოება სამკვიდროს მიღებამდე ან უმკვიდრო ქონების შემთხვევაში სახელმწიფოს უფლებამონაცვლეობის დადგენამდე.

სსკ-ის 1484-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, მამკვიდრებლის ვალებისათვის პასუხისმგებელი არიან სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კანონი გამონაკლისს არ

⁵⁸³ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2007 ; გვ.92.

⁵⁸⁴ იქვე, გვ.95.

უშვებს სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეების მიმართ. ისინი პასუხისმგებელი არიან მამკვიდრებლის ვალებისათვის.⁵⁸⁵ მართალია, კანონი ცალსახად არ უთითებს იმის თაობაზე, როგორია სავალდებულო მემკვიდრეების პასუხისმგებლობის მოცულობა, მაგრამ ვინაიდან კანონმდებელი კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით სავალდებულო წილის მიმღებ მემკვიდრეებს ათანაბრებს სხვა, ამ შემთხვევაში ანდერძისმიერ მემკვიდრეებთან სსკ-ის 1484-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე მათი პასუხისმგებლობა მიღებული აქტივის ფარგლებში მათი წილის პროპორციულად განისაზღვრება. მამკვიდრებლის ვალის გადახდა უნდა მოხდეს სავალდებულო წილის სახით მიღებული ქონების ღირებულების ფარგლებში.⁵⁸⁶ მიუხედავად ერთგვარი გარეგნული მსგავსებისა ჩვენს კანონმდებლობასთან, გსკ პირი, რომელსაც სავალდებულო წილის უფლება აქვს, არის არა გარდაცვლილის მემკვიდრე, არამედ კრედიტორი, რომელსაც უფლება აქვს ანდერძისმიერი მემკვიდრეებისაგან მოითხოვოს გარკვეული თანხის გადახდა, ასეთი უფლება გერმანიაში სასამართლოს მსჯელობის საგანი ხდება.⁵⁸⁷ მართალია სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეების არსებობა გარკვეულწილად ზღუდავს ანდერძის თავისუფლების პრინციპს, მამკვიდრებლის ნების თავისუფლებას, თუმცა ასეთ მემკვიდრეთა წრეში ისეთი პირები შედიან, რომლებიც, გარკვეული გამონაკლისების გარდა (უღირსი მემკვიდრე), მორალური/ადამიანური შეხედულებებიდან გამომდინარე ნამდვილად იმსახურებენ მამკვიდრებლის დანატოვარიდან წილის მიღებას. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც მიგვაჩნია, რომ კრედიტორების ინტერესები უპირატესად უნდა იქნეს დაცული, რადგან ისინი საკუთარი უფლებების განხორციელებას ლამობენ მემკვიდრეებზე გადასული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულების მოთხოვნით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვინაიდან მემკვიდრეები მამკვიდრებლის ვალდებულებების მონაცვლეებად გვევლიანებიან, ვფიქრობთ, კანონი სამართლიანად უზრუნველყოფს მათი ინტერესების დაცვას სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეებისთვისაც კრედიტორთა მოთხოვნების შესრულების დაკისრებით.

⁵⁸⁵ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2007 წ. ; გვ.91.

⁵⁸⁶ შენგელია რ. შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2011 წ. გვ. 184.

⁵⁸⁷ ძნელაძე ნ. სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „სამართალი“ #6-7, თბილისი; 2000 წ. გვ.72.

თუ მამკვიდრებელმა ქონება თავის კრედიტორს უანდერძა, მაშინ ფაქტიურად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როცა ვალდებულებაში კრედიტორი და მოვალე ერთი პირი აღმოჩნდება. ეს კი ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტას იწვევს. ვალდებულების შეწყვეტა ეჭვს არ იწვევს, თუ კრედიტორს მამკვიდრებელმა მთელი ქონება უანდერძა ან ის ერთადერთი მემკვიდრეა. თუ კრედიტორის გარდა სხვა მემკვიდრეებიც არიან მოწვეულნი სამკვიდროს მისაღებად და ქონება, რომელიც კრედიტორს ეანდერძა მის მოთხოვნაზე ნაკლებია, ასეთ მემკვიდრეს, თუ ის სამკვიდროს მიიღებს, აღარ აქვს უფლება სხვა მემკვიდრეებისგან მოითხოვოს ის ნაწილი, რომელიც ნაანდერძევი ქონებით არ დაიფარა. მას შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე და სხვა მემკვიდრეებისაგან მოითხოვოს დაკმაყოფილება. როცა მემკვიდრე კრედიტორია, იგი არ კარგავს კრედიტორის უფლებებს. ამ შემთხვევაში ვალდებულება წყდება მისი პასუხისმგებლობის პროპორციულად, დანარჩენ ნაწილში მემკვიდრე-კრედიტორი ინარჩუნებს მოთხოვნის უფლებას დანარჩენი მოვალე-მემკვიდრეების მიმართ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკე არ განსაზღვრავს კრედიტორთა მოთხოვნების რიგითობას თუმცა სამოქალაქო კოდექსის ნორმათა ანალიზი მიუთითებს, რომ სავალდებულო მემკვიდრემ სხვა მემკვიდრეთა მსგავსად კრედიტორთა მოთხოვნები შემდეგი რიგითობით უნდა დააკმაყოფილოს: პირველ რიგში კმაყოფილდება მამკვიდრებლის ავადმყოფობისა და დაკრძალვის ხარჯები, მეორე რიგში-სამკვიდროს დაცვისა და მართვის ხარჯები, მესამე რიგში-ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, მეოთხე რიგში-კრედიტორთა სხვა მოთხოვნები და მეხუთე რიგში აღსრულდება საანდერძო დანაკისრი. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა ასევე ის დებულება რომლის მიხედვითაც⁵⁸⁸ კრედიტორების მიერ მოთხოვნის წარდგენის ვადა არ ვრცელდება იმ დანახარჯების მოთხოვნებზე, რომლებიც გამოწვეული იყო მამკვიდრებლის უკანასკნელი ავადმყოფობის დროს მოვლითა და მკურნალობით, ხელფასის გასტუმრებით, დაკრძალვით, სამკვიდროს დაცვითა და მართვით, ასევე მესამე პირების მოთხოვნებზე - ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობის და მათი კუთვნილი

⁵⁸⁸ სსკ 1489-ე მუხლი

ქონების გამოთხოვის თაობაზე. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მოთხოვნების მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის საერთო ვადები.

სავალდებულო მემკვიდრის და სხვა მემკვიდრეების ვალდებულება არ შემოიფარგება მხოლოდ მამკვიდრებლის ვალების გასტუმრებით, ისინი ასევე ვალდებულნი არიან შეატყობინონ მამკვიდრებლის კრედიტორებს სამკვიდროს გახსნის თაობაზე, თუ მათთვის ცნობილია გარდაცვლილის ვალების შესახებ.⁵⁸⁹ მართალია ზემოაღნიშნული ნორმა აკისრებს მემკვიდრეებს შეტყობინების ვალდებულებას, თუმცა რეალურად შესაძლოა მათ არც ჰქონდეთ ინფორმაცია კრედიტორთა არსებობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი რა თქმა უნდა მემკვიდრეებზეა, მათ უნდა ამტკიცონ შეეძლოთ თუ არა სცოდნოდით კრედიტორთა არსებობის შესახებ და შესაბამისად ჰქოდათ თუ არა შეტყობინების ვალდებულება. მემკვიდრეებს შესაძლოა ჰქონდათ ინფორმაცია მამკვიდრებლის ვალების შესახებ, თუმცა არ იცოდნენ კრედიტორის ვინაობა და ადგილსამყოფელი. ასეთ ვითარებაში მემკვიდრეები შესაძლოა საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოთაც კი, მოკლებული არიან შესაღებლობას, სრულყოფილად შეასრულონ თავინთი ვალდებულებები. ამდენად, მამკვიდრებლის კრედიტორთა შეტყობინება სამკვიდროს გახსნის შესახებ მემკვიდრეებს მაშინ ეკისრებათ, თუ იციან იმის შესახებ, რომ მამკვიდრებელს ვალები დარჩა. მაგრამ თუ ეს არ იციან, მაშინ ამ მოვალეობას სანოტარო ორგანოები უნდა ასრულებდნენ.

კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ ვადებს, რომელთა განმავლობაში კრედიტორებს თავიანთი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა ეძლევათ.⁵⁹⁰ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. თუ მემკვიდრეების კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაშინ მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომიდან. ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას. მემკვიდრეებს უფლება აქვთ,

⁵⁸⁹ სსკ 1487-ე მუხლი.

⁵⁹⁰ სსკ 1488-ე მუხლი

მაგრამ ვალდებულნი არ არიან შეასრულონ მოთხოვნა ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე. თუ მემკვიდრეები მოთხოვნის შესრულებას გადადებენ შესრულების ვადის დადგომამდე, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება ხანდაზმულობის საერთო ვადის განმავლობაში. დადგენილი ექვსთვიანი ვადა არის მამკვიდრებლის კრედიტორთა მიერ უშუალოდ მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენის და არა სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ზემოაღნიშნული ვადის დაცვით არ წარუდგინეს მოთხოვნა მემკვიდრეებს, ისინი კარგავენ მოთხოვნის უფლებას, რაც, შემდგომში, სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრედიტორს შეუძლია, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოთხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა კი, შეიძლება არ დააკმაყოფილოს სასამართლომ, თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე მიუთითებს ამის თაობაზე, მემკვიდრეებს უფლება აქვთ წარადგინონ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი კრედიტორების წინააღმდეგ და მიუთითონ მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობაზე, სასამართლო ამ გარემოებას საკუთარი ინიციატივით ვერ გამოიკვლევს, კრედიტორმა, მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს მოვალის მემკვიდრეებისათვის კანონით დადგენილ ვადაში ვალდებულების შესრულების მოთხოვნით მიმართვის ფაქტი, რა დროსაც მტკიცების ტვირთი სწორედ მოსარჩელის მხარეზეა.⁵⁹¹

პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმ საკითხის გარკვევაც, თუ როდიდან იწყება ამგვარი შეტყობინების ექვსთვიანი ვადის ათვლა. ნორმა ადგენს, რომ ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, რაც მამკვიდრებლის კრედიტორებმა შეიტყვეს

⁵⁹¹ სუსგ საქმე № ას-293-277-2011. 10.05.2011 წ.

სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა, ამავე ნორმის მიხედვით, კრედიტორებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინონ იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს. ამდენად, მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადის ათვლისათვის მხოლოდ იმის ცოდნა, რომ სამკვიდრო გაიხსნა, საკმარისი არ არის. მამკვიდრებლის კრედიტორებმა ასევე, უნდა იცოდნენ იმ მემკვიდრეთა ვინაობა, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, რადგან სწორედ მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა. კანონი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების ორ გზას ადგენს, კერძოდ, სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით და ნოტარიუსისათვის განცხადების წარდგენით. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორებისათვის ცნობილია, როგორც სამკვიდროს გახსნის, ასევე, იმ მემკვიდრეთა შესახებ, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, მაშინ კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა სამკვიდროს გახსნის შესახებ ცნობის მიღებიდან ექვს თვეში უნდა წარუდგინონ. ამასთან, შესაძლებელია, კრედიტორებმა იცოდნენ სამკვიდროს გახსნის თაობაზე მამკვიდრებლის გარდაცვალების დღესვე, მაგრამ სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა შესახებ მათ ვერ შეიტყონ სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვს თვეში, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ნოტარიუსს განცხადებით მიმართავს კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის ბოლო დღეს, ან კრედიტორისათვის არაა ცნობილი იმ ფაქტების თაობაზე, რომლებიც მემკვიდრის მიერ ამავე ვადაში სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას ადასტურებს. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, სამკვიდროს მიღების თაობაზე კრედიტორებისათვის ცნობილი ხდება მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო მოწმობის აღების შემდეგ ან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. ასეთ შემთხვევაში, მამკვიდრებლის კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ გონივრულ ვადაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე.⁵⁹² მართალია კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც კრედიტორებისათვის უცნობია სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაშინ მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომიდან, თუმცა ბუნებრივია სუბიექტები ვისაც მოთხოვნა უნდა წარუდგინონ იგივეა -- მემკვიდრეები, მამკვიდრებლის კრედიტორებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინონ სწორედ იმ

⁵⁹² სუსგ საქმე №ას-782-731-2017. 15.09.2017 წელი

მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, აქაც, შესაძლოა კრედიტორებმა არც იცოდნენ სამკვიდროს მიმღები ანდერძისმიერი თუ სავალდებულო მემკვიდრეთა შესახებ. ვინაიდან სამკვიდრო მოწმობას გასცემს ნოტარიუსი, უპრიანია კრედიტორმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდება მოვალის გარდაცვალების შესახებ მაგრამ არ იციან და არც შეიძლება იცოდნენ სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეთა შესახებ უნდა შეასრულოს შემდეგი იურიდიული მოქმედება⁵⁹³ - მან უნდა მიმართოს ნებისმიერ ნოტარიუსს, გარდაცვლილის მემკვიდრეების მიმართ მოთხოვნის წარდგენის პრეტენზიით. ნოტარიუსი კი ვალდებულია, მიიღოს მამკვიდრებლის კრედიტორის წერილობითი განცხადება, კრედიტორის პრეტენზიების შესახებ, განცხადება უნდა შედგეს კერძო ან საჯარო აქტის ფორმით, განცხადება მიიღება მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა მოთხოვნის ვადა. ამასთან, ნოტარიუსი ვალდებულია, მამკვიდრებლის კრედიტორის პრეტენზიების შესახებ აცნობოს პირებს, რომლებსაც სანოტარო ბიუროში წარდგენილი აქვთ განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ.⁵⁹⁴

კრედიტორის მიერ პრეტენზიების წარდგენის ვადების დაუცველობის გამო (მაგ. სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე) მოთხოვნის დაკარგვა, სოლიდარულ თავდებთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების აბსოლუტური საფუძველიც იქნება.⁵⁹⁵ მემკვიდრის პასუხისმგებლობა იზღუდება რა მიღებული სამკვიდრო ქონებით, თუმცა თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე. სადავოა საკითხი იმის შესახებ, მემკვიდრის შეზღუდული პასუხისმგებლობა ნიშნავს თუ არა იმას, რომ მამკვიდრებლის კრედიტორებს შეუძლიათ გადახდევინების მიქცევა მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე, თუ მათ საკუთარი არჩევანით შეუძლიათ გადახდევინება მემკვიდრის პირად ქონებაზე მიმართონ. მემკვიდრის პასუხისმგებლობა მიღებული სამკვიდრო ქონების ნამდვილი ღირებულებით შემოიფარგლება, თუმცა სასამართლოს მიერ გადაყვეტილების მიღებისა და მემკვიდრისათვის მამკვიდრებლის კრედიტორის სასარგებლოდ თანხის დაკისრების შემთხვევაში მოვალის მიერ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში

⁵⁹³ სუსგ საქმე №ას-171-160-2017. 18.04.2017 წ.

⁵⁹⁴ «სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ» საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 79-ე მუხლი.

⁵⁹⁵ სუსგ საქმე № ას-513-490-2016. 21.10.2016 წ.

იგი უნდა გადაეცეს იძულებით აღსასრულებლად. სააღსრულებო წარმოების პროცესში კი უდავოდ მოხდება მოვალის ქონების დაყადაღება, შესაბამისად ეს ქონება შეიძლება იყოს როგორც მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ასევე მოვალე მემკვიდრის სხვა პირადი საკუთრებაც. თუ მივიჩნევთ რომ გადახდევინება უნდა მოხდეს მემკვიდრეობით მიღებული ქონებიდან, მაშინ სასამართლომ გადაწყვეტილებით უნდა დაადგინოს აღსრულების წესიც იმის შესახებ, რომ დაკისრებული თანხის ამოღების მიზნით მოხდეს მოვალის საკუთრებაში არსებული მემკვიდრეობით მიღებული ქონების რეალიზაცია. თუმცა შესაძლებელია მემკვიდრეს სურდეს მემკვიდრეობით გადაცემული ქონების შენარჩუნება, ასეთ დროს მან პირადი ქონებიდან უნდა გადაიხადოს მემკვიდრეობის ვალეები. მოქმედი კანონმდებლობა მიუთითებს მხოლოდ მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე, თუმცა ღიას ტოვებს საკითხს კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გადაწყვეტილების აღსრულების წესზე და სარეალიზაციოდ მისაქცევ ქონებაზე. შესაბამისი დებულებები უნდა გაითვალისწინოს სამოქალაქო კოდექსის მემკვიდრეობის სამართლის ნორმებმა და სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონმა.

ამდენად, კანონმდებლობა მემკვიდრეობის კრედიტორის მიერ მოთხოვნის წარდგენის ვადის ათვლის დასაწყისს უნდა უკავშირებდეს არა მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტს არამედ, იმ სუბიექტურ ფაქტორსაც, როდესაც კრედიტორისთვის ცნობილია მოთხოვნის ადრესატის სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეთა ვინაობის შესახებ. კრედიტორს მოვალის მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის წარდგენა ევალება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება მოვალის გარდაცვალების, სამკვიდროს გახსნის შესახებ, და იმ მემკვიდრეების შესახებ, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის წარმოშობის დროს მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგან შეუძლებელია მოთხოვნის წარდგენა, თუ არ არის განსაზღვრული ამ მოთხოვნაზე პასუხისმგებელ პირთა წრე (მემკვიდრეები, რომლებმაც მიიღეს მოვალის სამკვიდრო). შესაბამისად 1488-ე მუხლი მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ დაცული იყოს კრედიტორთა უფლება, პრეტენზიები წარუდგინონ მემკვიდრეებს 6 თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის

ცნობილი გახდა (შეიტყვეს, ან უნდა შეეიტყოთ) სამკვიდროს გახსნის და სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეთა შესახებ.

მიზანშეწონილია ასევე ცალკე დებულება აწესრიგებდეს მამკვიდრებლის კრედიტორების რიგითობას და სამკვიდრო მასიდან არსებული ვალდებულებების დაფარვის წესებს რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნები შეზღუდულია სამკვიდრო აქტივით და უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი რიგითობით: პირველ რიგში კმაყოფილდება მამკვიდრებლის ავადმყოფობით, მოვლითა და მკურნალობით, ხელფასის გასტუმრებით და დაკრძალვის ხარჯები, მეორე რიგში-სამკვიდროს დაცვისა და მართვის ხარჯები, მესამე რიგში-ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, მეოთხე რიგში-კრედიტორთა სხვა მოთხოვნები და მეხუთე რიგში აღსრულება საანდერძო დანაკისრი. ასევე ერთ-ერთი მემკვიდრის მიერ კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში ზემოაღნიშნულ ნორმას დაემატოს შემდეგი შინაარსის დებულება მეორე ნაწილის სახით: იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხარჯები არ გადახდილა სამკვიდრო ქონებიდან, სამკვიდროს გაყოფის შემდეგ ამ ხარჯების გამწევი მემკვიდრე უფლებამოსილია სამკვიდროს მიმღებ სხვა მემკვიდრეებს კონდიქციური ვალდებულებიდან გამომდინარე მოსთხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება თითოეულის წილის პროპორციულად. ამ მოთხოვნებზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები ითვალისწინებს სამკვიდრო ქონების დაცვას.⁵⁹⁶ უმეტესად სამკვიდროს დაცვა სპეციალურ ღონისძიებებს არ საჭიროებს, რადგან სამკვიდროს დაცვას ძირითადად ახორციელებენ ის მემკვიდრეები, რომლებიც ჯერ კიდევ სხვა მემკვიდრეების გამოცხადებამდე სამკვიდროს მფლობელები გახდნენ. ზოგჯერ სამკვიდროს გახსნის შემდეგ მემკვიდრეები ადგილზე არ არიან, ან არ იციან სამკვიდროს გახსნის შესახებ, ზუსტად არ არის ცნობილი სამკვიდროს შემადგენლობა, არც მამკვიდრებლის

⁵⁹⁶ სსკ 1495-1498-ე მუხლები

კრედიტორები და ა.შ. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება სამკვიდროს დასაცავად (დალუპვისაგან, გაფუჭებისაგან, დატაცებისაგან და სხვ.) ზომების მიღება, რაც სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს ევალება. სამკვიდროს დაცვის აუცილებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს ასევე საანდერძო დანაკისრის მიმღებთა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. ნოტარიუსი სამკვიდროს დაცვას ახორციელებს არა მხოლოდ დაინტერესებულ პირთა მოთხოვნით, არამედ ასევე თავისი ინიციატივითაც⁵⁹⁷ მიგვაჩნია, რომ, ეს ნორმა გარკვეულწილად ხარვეზებს შეიცავს, ვინაიდან მასში არ ჩანს ვალდებულება, რომელიც ნოტარიუსს ეკისრება სამკვიდროს დაცვის კუთხით, ნოტარიუსმა აღნიშნული ქმედება შეიძლება განახორციელოს მხოლოდ „ საკუთარი ინიციატივით “, ეს ინიციატივა კი ადვილი შესაძლებელია არც იქნეს გამოჩენილი. პრობლემურია ასევე სამკვიდროს დაცვის უზრუნველყოფა თავად მემკვიდრეების მიერ, რომელთა ინტერესებშიც ჩვენი აზრით შესაძლოა საერთოდ არ შედიოდეს სამკვიდროს დაცვა, თუკი მამკვიდრებელს ჰყავს კრედიტორები. პირიქით მემკვიდრეები ალბათ შეეცდებიან რაც შეიძლება მოკლე დროში საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის გამოიყენონ სამკვიდრო ქონებაში შემავალი ნივთები და ამით ზიანი მიაყენონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესებს.

⁵⁹⁷ ახვლედიანი ზ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000წ.; გვ.521.

VIII. ულის მემკვიდრედ აღიარება და მემკვიდრეობით-სამართლებრივი სანქციები სავალდებულო წილის მემკვიდრის მიმართ

1. შესავალი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევაში

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის არაერთი ნორმა გვხვდება ძველ ქართულ სამართალში. ბექას სამართლის 58-ე მუხლში საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მამა სახლიდან აძევებს შვილს და ამ გზით ართმევს მემკვიდრეობას. ცხადია, ეს უმიზეზოდ არ მოხდებოდა და მამის გადაწყვეტილება შვილის არამართლზომიერი მოქმედების საპასუხოა, თუმცა ამ უფლების აღდგენაც შეიძლება და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევა შვილი გაძევების შემდეგ: მოინანიებს თავის „ცოდვებს“, თუ უფრო მეტ „დანაშაულს“ ჩაიდენს. ამიტომ ამბობს კანონმდებელი: „თუ შვილი თავმოთნედ გაყოლოდეს არცა რა სით რა ეწყინოს, აღარათ შეეღრინოს, რა მამა გარდახდეს, მამულისა მოსაქმობასა მართალ ვერავინ მოუშლის მემამულეებასა“ მაგრამ, თუ არ გამოსწორდება და გააგრძელებს უკანონო მოქმედებას, საერთოდ ვერ მიიღებს მამულზე მემკვიდრეობის უფლებას – „და თუ გარეთით ერბიოს, ეწყინოს, რაცა შესძლებოდეს ეავკაცოს, ვითა მამას გაეძიოს, აგრევე სხვა ნურვინ რას ასაქმებინებს მამულსა თანა“⁵⁹⁸.

მემკვიდრეობის უფლება, როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლება, გათანაბრებულია საკუთრებასთან.⁵⁹⁹ საკუთრება პიროვნული თავისუფლების გამოხატულება და წინაპირობაა.⁶⁰⁰ მემკვიდრეობის ჩამორთმევა არა მხოლოდ საკუთრების უფლების ჩამორთმევას, არამედ ღირსების შელახვასა და გასაკიცხ ქმედებაში მხილებადაც გულისხმობს. საკუთრების მიმართება პიროვნების თავისუფლებასთან უწინარეს ყოვლისა, ქონებრივ ურთიერთობებში გამოიხატება, სადაც საკუთრების ამოცანაა მოქალაქეთათვის ფართო შესაძლებლობათა უზრუნველყოფა მეწარმეობის, ვაჭრობის, ქონების თავისუფალი განკარგვის,

⁵⁹⁸ ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000, 256.

⁵⁹⁹ Leibholz G., Jahrbuchs des öffentlichen Rechts der Gegenwart, neue Folge, 1982, 148.

⁶⁰⁰ Meier-Hayoz A., Vom Wesen des Eigentums, ციტირებულია: FG f. Carl Oftiger, Zürich 1969, 171.

მემკვიდრეობის და სხვა მსგავს სფეროებში.⁶⁰¹ მემკვიდრის საქციელი მემკვიდრეობის მიღების წყურვილისა და საშუალებების მიმართ, მამკვიდრებლისადმი დამოკიდებულება და სოლიდარობა სამკვიდროს გახსნამდე განსაზღვრავს მემკვიდრეობის ჩამორთმევის კრიტერიუმებს.

მემკვიდრეობის შეზღუდვა-ჩამორთმევა არ არის დამოკიდებული მამკვიდრებლის ნებაზე, კანონმდებელი მის მიმართ მკაცრ რეგულაციებს აწესებს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას სასამართლოს ანდობს, რომელმაც არა მხოლოდ სამართლის, არამედ ზნეობრივ ნორმათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. „მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძველები უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მორალურ წარმოდგენებს, სავალდებულო წილის ჩამორთმევის საფუძველი უნდა მიესადაგოს მორალსაწინააღმდეგო ცხოვრების გარდაქმნის გამოწვევებს“.⁶⁰² მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობების დადგენისათვის სასამართლომ უნდა შეაფასოს მემკვიდრის სოციალური ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება (მამკვიდრებლის რჩენა); მემკვიდრის განზრახ დანაშაული და სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის ნების საწინააღმდეგო. მემკვიდრეობის საკუთრებაში მიღების უფლება არ შეიძლება დაეფუძნოს მემკვიდრის არაკეთილსინდისიერ ქმედებას. არც მემკვიდრეობის და არც საკუთრების უფლება არ შეიძლება პირმა მოიპოვოს კანონის და ზნეობის ნორმების დარღვევის შედეგად. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს იმის შეფასება, რა სარგებელი მოუტანა კრედიტორს და რა ზიანი მიაყენა მოვალეს ასეთმა ქცევამ, რაც კეთილსინდისიერი ქცევისას არ მოხდებოდა.⁶⁰³ ყველა ამ კრიტერიუმების შემოწმების დროს არ უნდა დაგვავიწყდეს სამართლის ნორმის თანამედროვეობასთან დაკავშირებული ინტერპრეტაციის უპირატესობა, რამეთუ კანონის ნორმის ინტერპრეტაცია არ შეიძლება ყოველთვის კანონის წარმოშობის დროს არსებულ შეხედულებაზე დარჩეს. გასათვალისწინებელია, თუ რა გონივრული ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს კანონს მისი გამოყენების მომენტისათვის. ნორმა მუდმივ კავშირშია სოციალურ ურთიერთობებთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებთან, რომლებზედაც მან თავის მხრივ უნდა მოახდინოს

⁶⁰¹ ჭანტურია ლ., უძრავი ნივთის საკუთრება, თბ., 2001, 109.

⁶⁰² Klingelhöffer H., Pflichtteilsrecht, 2. völlig neue bearbeitete Aufl., 2003, 37.

⁶⁰³ Palandt O., BGB, 73 Aufl., 2014, §242, Rn.42-45.

ზეგავლენა მისი შინაარსი შესაძლებელია და უნდა შეიცვალოს იმ გარემოებებთან ერთად. ეს წესი მოქმედებს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცხოვრებისეული ურთიერთობები და სამართლებრივი შეხედულებები კანონის გამოცემისა და მის გამოყენებას შორის ესე სიღრმისეულად შეიცვალა, როგორც ეს მეოცე საუკუნეში მოხდა.⁶⁰⁴

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობამ ზოგადად, მემკვიდრეობით-სამართლებრივ სანქციებს დაუქვემდებარა: 1. უღირსი მემკვიდრეები; 2. მემკვიდრეები, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მამკვიდრებლის რჩენის ვალდებულებას; 3. მეუღლეები, რომლებსაც სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ 3 წელი შეწყვეტილი აქვთ საოჯახო ურთიერთობა და 4. მემკვიდრე, რომელსაც მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულებით ჩამოერთვა მემკვიდრეობა.

2. უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობები

სავალდებულო წილის უფლება მემკვიდრეობის უფლების განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს, რომელიც ვერ იქნება მიჩნეული კანონისმიერ მემკვიდრეობად, რადგან მხოლოდ ანდერძისმიერი მემკვიდრეობისას წარმოიშვება. ამავე დროს, სავალდებულო წილის უფლება არ არის თავისთავად მხოლოდ ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, რამდენადაც ანდერძის შინაარსის მიუხედავად პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებისათვის სავალდებულო წილის კანონისმიერი განსაზღვრა მიუთითებს პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეთა განსაკუთრებულ უფლებებზე. ამდენად სავალდებულო წილის უფლება წარმოადგენს რა მემკვიდრეობის უფლების განსაკუთრებულ სახეს, მის მიმართ ვრცელდება ყველა ის ნორმა, რაც ზოგადად დადგენილია მემკვიდრეობის უფლებასთან მიმართებით.⁶⁰⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სსკ) 1381-ე მუხლი განსაზღვრავს სავალდებულო წილის ჩამორთმევის წინაპირობებს და მიუთითებს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის ზოგად პრინციპებზე. სსკ-ის 1310-ე და 1311-ე მუხლებში კი დადგენილია მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საერთო საფუძვლები. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს უღირს მემკვიდრედ ცნობა და

⁶⁰⁴ BVerfGE, Beschluss des Ersten Senats vom 14. Februar 1973, Band 34, 288, <<http://www.servat.unibe.ch/dfr/bv034269.html>> [12.08.2019].

⁶⁰⁵ ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, თბ. 2000, გვ. 130.

სავალდებულო წილის ჩამორთმევა. მართალია, ორივე მათგანზე სხვადასხვა სამართლებრივი რეგულაცია ვრცელდება, თუმცა ამ ორი შემადგენლობისათვის საერთოა ის, რომ ძირითადი ნორმა, სსკ-ის 1310-ე მუხლის რეგულირების ნორმატიული ფარგლები ბუნდოვანია, რადგან განსაზღვრავს უღირს მემკვიდრედ ცნობის იმ წინაპირობებს, რომლებიც, სსკ-ის 1381-ე I მუხლის თანახმად, ვრცელდება ასევე სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის შემთხვევაზეც. ამდენად, კანონი ცალკე არ აწესრიგებს შემთხვევებს, როდესაც კანონით ან ანდერძით მემკვიდრე მემკვიდრეობის ფაქტის დადგომას იწვევს მამკვიდრებლის სიცოცხლის ხელყოფისა ან აღნიშნულის მცდელობის გზით.⁶⁰⁶

სსკ-ის 1310-ე მუხლის თანახმად, კანონით ან ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე). ხსენებული ნორმის შინაარსში ამორალურობის ცნება მეტად საინტერესოა. მისი ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია ისტორიულად ცვალებადი შეხედულებები, რომლებიც სოციალურ ურთიერთობებში საზოგადოების წევრებს შორის იყო აღიარებული და მუდმივად განიცდიდა შინაარსის ცვლილებას. ამდენად შესაძლებელია ნორმის თანამედროვე, განსხვავებული ინტერპრეტაციაც⁶⁰⁷ უღირს მემკვიდრედ აღიარების ნორმის პირველი ნაწილი მიუთითებს მემკვიდრის სხვადასხვა მოქმედებაზე, რომლებმაც სამემკვიდრეო შეღავათები და უპირატესობები შექმნა მემკვიდრის ან მისი ახლობელი პირების მიმართ, ეს ეხება მემკვიდრეობის ორივე სახეს. ნორმის მეორე ნახევარი კი, მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული ნება-სურვილის საწინააღმდეგო განზრახი დანაშაულის ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენას ეხება. ასეთ შემთხვევაში, პირი შეიძლება

⁶⁰⁶ ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 4, 2003, 516.

⁶⁰⁷ BVerfGE, Urteil vom 15. Januar 1958, Band 7, 215, [12.03.2019]. <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv007198.html#208>.

უშუალოდ თავის სასარგებლოდ არ მოქმედებდეს, მაგრამ ხელს უშლიდეს მამკვიდრებელს თავისი უკანასკნელი სურვილის განხორციელებაში. იგულისხმება, რომ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ხდება იმ მამკვიდრებელთან ურთიერთობაში, რომლის მიმართაც ჩაიდინა მან უღირსი საქციელი.⁶⁰⁸

უღირს მემკვიდრედ აღიარებისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა:

ქმედება უნდა იყოს განზრახი. მემკვიდრის გაუფრთხილებელი ქმედება, რომელმაც გამოიწვია, მამკვიდრებლის სიკვდილი, არ წარმოადგენს მემკვიდრეობის მიღების დაბრკოლებას.⁶⁰⁹ უღირს მემკვიდრეებად არ შეიძლება აღიარებულ იქნენ პირები, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად საშიში ქმედება შეურაცხად მდგომარეობაში, რადგან მათ არ შეეძლოთ გაეცნობიერებინათ თავისი ქმედება და ეხელმძღვანელათ მისთვის. ასევე, 14 წლამდე არასრულწლოვნებისა და მხარდაჭერის მიმღებ (ფარგლების გათვალისწინებით) პირთა ქმედებები არ შეიძლება ჩაითვალოს მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობად და ეს შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ მითითებულმა პირებმა მართალია ჩაიდინეს მორალურად გასაკიცხი საქციელი, მაგრამ არ ითვლებიან დამნაშავეებად.⁶¹⁰

ქმედებები უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, უმოქმედობაც შეიძლება ჩაითვალოს უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობად.⁶¹¹ უღირს მემკვიდრედ ცნობაზე არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამთავრების ფაქტი, რასაც მოწმობს ფორმულირება - „ხელი შეუწყეს ან შეეცადნენ ხელი შეეწყოს“ პირის უღირს მემკვიდრედ ცნობისათვის. მოქმედების მოტივს მნიშვნელობა არ აქვს. მართლსაწინააღმდეგო ქმედებებმა ხელი უნდა შეუწყოს, ე.ი. გამოიწვიოს უღირსი მემკვიდრის ან სხვა პირების მემკვიდრეობის მისაღებად მოწვევა, ასევე, მისი, ან სხვა პირების კუთვნილი წილების გაზრდა.⁶¹²

⁶⁰⁸ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2011, 24.

⁶⁰⁹ ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2000, გვ. 26.

⁶¹⁰ Сергеев А. П., Толстой Ю. К., Гражданское право, М., 2006, 641.

⁶¹¹ იქვე, 640.

⁶¹² Сергеев А. П., Толстой Ю. К., Елисеев И. В., Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья, М., 2002, 23.

ქმედებები მიმართული უნდა იყოს მამკვიდრებლის ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნების წინააღმდეგ. აქაც შესაბამისი შედეგების დადგომა არ არის აუცილებელი, მნიშვნელოვანია მხოლოდ ქმედების მიმართულება. განსხვავებულ უნდა იქნეს მოქმედებები, რომლებიც მიმართულია მამკვიდრებლის მიერ ანდერძში გამოხატული უკანასკნელი ნება-სურვილის წინააღმდეგ და მოქმედებები, რომლებიც არღვევენ ანდერძის შედგენის თავისუფლების პრინციპს. პირველი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ანდერძის შედგენის შემდეგ, მათ მიეკუთვნება იძულება ანდერძის შესაცვლელად ან უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უღირსი მემკვიდრის სასარგებლოდ. ანდერძის თავისუფლებას არღვევს ქმედება, რამაც გამოიწვია ანდერძის შედგენაში ხელისშეშლა,⁶¹³ მოანდერძის ნების დამახინჯება ან არასწორად ჩამოყალიბება, ანდერძის შედგენის იძულება ან ანდერძის მოტყუებით შედგენა.⁶¹⁴ უღირს მემკვიდრედ აღიარების წინაპირობაა, როცა მემკვიდრეს მამკვიდრებელი მიჰყავს იმ მდგომარეობამდე, რომ ეს უკანასკნელი სიკვდილამდე ვერ შეძლებს ანდერძის შედგენას ან შეცვლას, ასევე, თუ პირი მამკვიდრებელს ისეთ ფაქტებს უმაღავს, რომელთა ცოდნის შემთხვევაში იგი სხვაგვარად გადაწყვეტდა მემკვიდრეობის საკითხს.⁶¹⁵ მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, მიმართული ანდერძში გამოთქმული მამკვიდრებლის ნების განხორციელების წინააღმდეგ. ისინი შეიძლება გამოიხატოს ნამდვილი ანდერძის დამალვით, მამკვიდრებლის იძულებით კონკრეტული პირის სასარგებლოდ ანდერძის ან საანდერძო დანაკისრის შედგენაში, ანდერძისმიერი მემკვიდრის იძულებით, უარი თქვას მემკვიდრეობის მიღებაზე ან საანდერძო დანაკისრის მიმღების იძულებით, უარი თქვას საანდერძო დანაკისრის მიღებაზე.

ქმედების მიზანი, რაც ნიშნავს, რომ მემკვიდრე თავისი მოქმედებით ხელს უწყობს ან ცდილობს ხელი შეუწყოს თავისი ან მათი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში წილის გაზრდას. ჩადენილი ქმედების მოტივი საკმაოდ მკვეთრად ვლინდება ნორმის მიზნებიდან გამომდინარე.

⁶¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 12 დეკემბრის განჩინება საქმეზე: № 3კ/623-01.

⁶¹⁴ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В., Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья, М., 2002, 23.

⁶¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 27 მარტის განჩინება საქმეზე: № 3კ/1212-01.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებები მემკვიდრის მიერ სრულდება იმის გამო, რომ სამკვიდრო ქონებას ეწიოს ის ბედი, რომელიც ამ მოქმედების ჩამდენი პირების ინტერესებს შეესაბამება და ყველა შემთხვევაში მისთვის სასარგებლოა. მამკვიდრებლის მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე ან ხულიგნური ქვენაგრძნობით, უთანაბრდება ანგარებით ჩადენილ მკვლელობას, იწვევს მემკვიდრეობის გახსნას და შესაბამისად, უღირსი მემკვიდრის მემკვიდრეობის მისაღებად მოწვევას.⁶¹⁶ ამასთან, პირი უნდა ჩაითვალოს უღირს მემკვიდრედ მიუხედავად იმისა, ჩაიდინა თუ არა მან მართლსაწინააღმდეგო ქმედება საკუთარი ან სხვა მემკვიდრის ინტერესების გამო. თავად ის მემკვიდრე, ვის ინტერესებშიც იყო უღირსი მემკვიდრის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ კარგავს მემკვიდრეობის უფლებას. არსებობს მოსაზრება, რომ: მემკვიდრეობა შეიძლება ჩამოერთვას არა მხოლოდ იმ მემკვიდრეს, რომელმაც განზრახ მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ჩაიდინა მამკვიდრებლის წინააღმდეგ მესამე პირის ინტერესებისათვის, არამედ თვით ამ მესამე პირსაც, რათა არ იქნეს დაშვებული იმ სამემკვიდრეო უფლებების დაცვა, რომელთა წარმოშობაც დაფუძნებულია ამა თუ იმ ხარისხის სამართალდარღვევაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ უფლებებზე პრეტენდენტ პირს არ ჰქონდა არავითარი კავშირი და დამოკიდებულება აღნიშნულ სამართალდარღვევასთან.⁶¹⁷ უღირსი მემკვიდრის ქმედება, რომელმაც სხვა მემკვიდრეს სამართლებრივი სარგებელი – მემკვიდრეობის მიღება მოუტანა, ამ მემკვიდრის პასუხისმგებლობის ტვირთი არ უნდა იყოს, მან არ უნდა აგოს პასუხი სხვისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. მემკვიდრეობის ჩამორთმევის გარემოებების უსაფუძვლოდ გაფართოებამ შესაძლოა უსამართლო შედეგები წარმოშვას კეთილსინდისიერი მემკვიდრის მიმართ.

უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობად კანონმდებელი მიიჩნევს მემკვიდრის მოქმედებათა მიმართულებას – მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების ან ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. უღირსმა მემკვიდრემ უნდა გააცნობიეროს თავისი მოქმედების მიმართულება განსაზღვრული შედეგის მიმართ. მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს შორის კონფლიქტი და სიტყვიერი

⁶¹⁶ Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В., Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья, М., 2002, 23.

⁶¹⁷ Шиловост О.Ю., Наследование по закону в российском гражданском праве, Норма, М., 2006, 333.

შეურაცხყოფა არ წარმოადგენს მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობას.⁶¹⁸ საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე⁶¹⁹ რომელიც მემკვიდრეობის ჩამორთმევას ეხებოდა განმარტა რომ, მემკვიდრე რომელსაც მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე წლების განმავლობაში არ ჰქონდა მასთან ურთიერთობა, უკანასკნელი ნების განხორციელებაში ხელს მას ვერ შეუშლიდა. ამდენად, მამკვიდრებელმა თავისუფლად განახორციელა უკანასკნელი ნება და შეადგინა ანდერძი, რომლითაც ქონება დაუტოვა მოპასუხე მემკვიდრეს. მართალია, დადგინდა მემკვიდრის მხრიდან მამკვიდრებლისა და მისი გვარის „ცუდად მოხსენიება“, თუმცა სასამართლოს შეფასებით, მიხედავად იმისა რომ, აღნიშნული საზოგადოდ მიუღებელი და უღირსი საქციელია, ეს მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ.⁶²⁰ ხოლო, თუ მამკვიდრებელს ანდერძი საერთოდ არ შეუდგენია, მემკვიდრე ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგო მოქმედებას საერთოდ ვერ ჩაიდენდა.⁶²¹ მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს შორის არსებული კონფლიქტი არ წარმოადგენს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის წინაპირობას⁶²² და განეკუთვნება სხვა სამართლებრივ სივრცეს.⁶²³ მემკვიდრის მიერ ჩადენილი ქურდობა მამკვიდრებლის ქონებაზე, მართალია, არ არის მიმართული სამკვიდროში მისი წილის გაზრდისკენ, რაც პირდაპირი მნიშვნელობით არ არის უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობა, თუმცა არის ამორალური საქციელი მიმართული მამკვიდრებლის მიმართ, რამაც გამოიწვია მემკვიდრისათვის სარგებლის მიღება ჯერ კიდევ მამკვიდრებლის სიცოცხლეში.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 726-ე და 729-ე მუხლები მემკვიდრეობის ჩამორთმევის სავალდებულო და ფაკულტატურ საფუძვლებს განიხილავს.

⁶¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე: №ას-201-521-05.

⁶¹⁹ იქვე.

⁶²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე: № ას-786-840-2011.

⁶²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 25 ივნისის განჩინება საქმეზე: № ას-786-739-2012.

⁶²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება საქმეზე: № ას-922-869-2010.

⁶²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე: ას-347-330-2013,

საფრანგეთის სკ-ის 726-ე მუხლი განიხილავს მემკვიდრეობის ჩამორთმევას იმ მემკვიდრეებისათვის, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან მძიმე დანაშაულისათვის მიმართული მამკვიდრებლის მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობისათვის⁶²⁴. ასევე, შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მემკვიდრეს ჩამოერთვას მემკვიდრეობა თუ იგი მსჯავრდებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მამკვიდრებლის მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობისათვის, მამკვიდრებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის.⁶²⁵

სავალდებულო წილის ჩამორთმევის საფუძვლები ამომწურავად არის ჩამოთვლილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2333-ე პარაგრაფში და სხვა შემთხვევები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ანალოგიის წესით.⁶²⁶ გსკ-ის 2333-ე მუხლის თანახმად: მამკვიდრებელს შეუძლია ჩამოართვას შთამომავალს სავალდებულო წილი: 1. თუ ეს უკანასკნელი ხელყოფს მამკვიდრებლის, მისი მეუღლის ან სხვა შთამომავლის სიცოცხლეს. 2. თუ შთამომავალს შეერაცხება მამკვიდრებლისადმი ან მისი მეუღლისადმი განზრახი ფიზიკური სასტიკი მოპყრობა (Misshandlung), თუმცა, მეუღლისადმი სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში, – მხოლოდ იმ პირობით, რომ შთამომავალი წარმოადგენს მეუღლის შთამომავალს. 3. თუ შთამომავალი ბოროტად არღვევს მასზე მამკვიდრებლის წინაშე არსებულ კანონით დაკისრებულ რჩენის ვალდებულებას, 4. თუ შთამომავალი მამკვიდრებლის წინაშე განზრახ ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ ერთ წლამდე, რის გამოც მამკვიდრებელს არ შეიძლება მოეთხოვოს მემკვიდრისთვის სამკვიდრო წილის დატოვება.⁶²⁷

გერმანული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა ხანგრძლივი დროის განმავლობაში „უღირსი“ მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის ჩამორთმევას მხოლოდ იმ შემთხვევებში უშვებდა, როდესაც მემკვიდრე ბრალეულად

⁶²⁴Code civil, Version consolidée au 12 juillet 2014, <<http://www.legifrance.gouv.fr/affichCode.do?cidTexte=LEGITEXT000006070721>> [16.04.2019].

⁶²⁵ იქვე.

⁶²⁶ Palandt O., Bürgerliches Gesetzbuch, 73 Aufl., 2014, §2333, Rn.2. შუად., BGH NJW 74, 1084.

⁶²⁷ გსკ-ის 2333-ე პარაგრაფი.

მოქმედებდა.⁶²⁸ ეს მიდგომა შეიცვალა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წელს მიღებული გადაწყვეტილებით.⁶²⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სავალდებულო წილის არსებობა ემსახურება ოჯახის განსაკუთრებულ დაცვას. სავალდებულო წილის ჩამორთმევა არ არის დამოკიდებული ბრალეულობაზე, მაშინ როცა – როგორც განსახილველ შემთხვევაში – სავალდებულო წილის უფლების მქონე პირი რამდენიმე წლის განმავლობაში მძიმე დანაშაულს ჩადიოდა მამკვიდრებლის მიმართ (თავს ესხმოდა და ფიზიკურად უსწორდებოდა მას) და ამით ხელს უშლიდა ოჯახური კავშირის შენარჩუნებას. სასამართლომ ჩამოართვა რა მემკვიდრეს სავალდებულო წილი, მიუთითა, რომ კანონმდებლობიდან ცალსახად არ გამომდინარეობს კანონმდებლის ნება, სავალდებულო წილის ჩამორთმევას საფუძვლად დადებოდა ბრალეული მოქმედება.⁶³⁰

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სავალდებულო წილის ჩამორთმევისათვის ითვალისწინებდა მამკვიდრებლის ან მისი მეუღლისათვის განზრახ ფიზიკური დაზიანების მიყენებას.⁶³¹ აღნიშნული ნორმა სასამართლო პრაქტიკაში იმგვარად განიმარტებოდა, რომ მხოლოდ მძიმე დარღვევა იწვევდა სავალდებულო წილის ჩამორთმევას, ე.ი. დარღვევა იმდენად მძიმე უნდა ყოფილიყო, რომ მემკვიდრე-მამკვიდრებელს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად ფუჭდებოდა და მამკვიდრებლის დამცირებას იწვევდა. სასამართლომ შემდგომ უარი თქვა კანონით გაუთვალისწინებელ განუსაზღვრელ, ზოგად სამართლებრივ ცნებებზე – როგორცაა მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანი გაუარესება,

⁶²⁸ შეად. OLG Düsseldorf, NJW 1968, 944, 945; OLG Hamburg, NJW 1988, 977, 978; Palandt/Edenhofer, BGB, 64. Aufl., 2005, § 2333 Rn. 2.

⁶²⁹ BVerfG, Beschluss vom 19.04.2005 - 1 BvR 1644/00, openJur 2010, 3199. საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: მემკვიდრე და მამკვიდრებელი ცხოვრობდნენ შიზოფრენიული ფსიქოზით დაავადებულ შვილთან ერთად. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ფსიქიკურად დაავადებული შვილი რამდენჯერმე თავს დაესხა დედას და ფიზიკურად გაუსწორდა. ერთ-ერთი მძიმე თავდასხმის შემდეგ დედამ 20.01.1994 წ. შეადგინა ახალი ანდერძი, რომლითაც მოძალადე შვილს ჩამოართვა მემკვიდრეობის უფლება. ახალი ანდერძის შედგენიდან 1 თვეში ფსიქიკურად ავადმყოფმა შვილმა მოკლა დედა. მკვლელობის შემდეგ შვილი სასამართლომ გაამწესა ფსიქიატრიულ კლინიკაში ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ მკვლელობის ჩამდენს თუმცა კი ჰქონდა შეცნობილი თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, მაგრამ ქმედების ჩადენისას იგი იყო ფსიქიკურად ავად და იმყოფებოდა სულიერი აშლილობის მდგომარეობაში, რის გამოც მოკლებული იყო შესაძლებლობას ემოქმედა გაცნობიერებულად.

⁶³⁰ BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 19. April 2005 - 1 BvR 1644/00 - Rn. 36 .

⁶³¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 2333-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი, 01.01.2010.

მამკვიდრებლის მიმართ უპატივცემულობა და განმარტა, რომ სავალდებულო წილის ჩამორთმევას იწვევს მემკვიდრის მხოლოდ ისეთი ქცევა, რომლის მეშვეობით მამკვიდრებლისათვის სულიერი ტკივილის მიყენება გავლენას ახდენს მის ფიზიკურ მდგომარეობაზე. მხოლოდ სასოწარკვეთა, სიბრაზე, დარდი და მწუხარება ვერ გახდება ჩამორთმევის საფუძველი. სასამართლომ აქვე განმარტა: „სულიერი სასტიკი მოპყრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს სავალდებულო წილის ჩამორთმევის საფუძველი, თუ ამან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა (ან მიაყენებს) მამკვიდრებლის ფიზიკურ ჯანმრთელობას“.⁶³²

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ორი სხვადასხვა პერიოდის გადაწყვეტილებით სხვადასხვაგვარი განმარტებებია მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საკითხთან მიმართებით. მაგალითად, მემკვიდრემ ჩაიდინა განზრახი დანაშაული – მამკვიდრებლის მკვლელობა, რის გამოც მიესაჯა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. ჩადენილ დანაშაულს მოჰყვა მამკვიდრებლის გარდაცვალება, რამაც განაპირობა პირის მოწვევა მემკვიდრედ. აღნიშნული გარემოება კი სასამართლოს შეფასებით წარმოადგენს პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველს.⁶³³ და პირიქით, განაჩენით დგინდებოდა, რომ მემკვიდრემ მამკვიდრებლის მკვლელობა ჩაიდინა არა ანგარების, არამედ – შურისძიების მოტივით. ე.ი. დანაშაულის ჩადენისას მიზანს წარმოადგენდა არა სამკვიდროს მიღება ან მასში წილის გაზრდა, არამედ – შურისძიება, მამკვიდრებელს არ შეუდგენია ანდერძი და ცხადია, ანდერძში გამოხატული ნება-სურვილის წინააღმდეგ მემკვიდრე ვერავითარ საქციელს ვერ ჩაიდენდა. აქედან გამომდინარე, მემკვიდრეს დანაშაული არ ჩაუდენია სამკვიდროს მიღების მიზნით, შესაბამისად, სასამართლოს დასკვნით არ არსებობდა კანონით გათვალისწინებული უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველი.⁶³⁴

სასამართლო პრაქტიკისა და უღის მემკვიდრედ აღიარების ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შესაბამისად, პირს, რომელმაც განზრახ მოკლა მამკვიდრებელი,

⁶³² BGH, Urteil vom 25./26.10.1976 – IV ZR 109/74, NJW 1977, 339.

⁶³³ სუსგ საქმეზე: № 3კ-1127-02. 2003 წლის 15 აპრილი

⁶³⁴ სუსგ საქმეზე: № ას-266-251-2010. 2010 წლის 31 მაისი

უფლება აქვს ისარგებლოს აღნიშნული შემთხვევის შედეგად წარმოშობილი ანდერძითა თუ კანონით მემკვიდრეობით თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის დაკავშირებული სამკვიდროს მიღების მიზანთან. ასეთი დავების დროს სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა დაასაბუთოს ანალოგიით (სსკ-ის მე-5 მუხლი) სსკ-ის 98-ე II მუხლით, რომლის თანახმადაც, „თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება“. ეს ნორმა, თავის მხრივ, კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპის გამოხატულება, რომელიც ასევე ჩამოყალიბებულია სსკ-ის 361-ე II მუხლში და ვრცელდება მთელ სამოქალაქო სამართალზე⁶³⁵ იგი სამოქალაქო სამართალურთიერთობაში სოციალურ-ეთიკურ ღირებულებებს ამკვიდრებს⁶³⁶ და შესაძლებლობას გვაძლევს ნებისმიერი ურთიერთობა ამ კუთხით შევაფასოთ. ამასთან, კანონის ანალოგიით გამოყენებისას შესაძლებელია მოსამართლემ ცალკეული ვითარების გათვალისწინებით სამართლის ნორმა გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ანალოგიით. ხოლო შესაბამისი (ნორმის ანალოგიით გამოყენების) გადაწყვეტილება მიზანშეწონილობასა თუ სამართლიანობას დაუქვემდებაროს.⁶³⁷ კანონის ანალოგიით გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაშიც კი სსკ-ის მე-5 მუხლი პირდაპირ მიუთითებს სამართლის ზოგადი პრინციპებისა და სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებაზე. მამკვიდრებლის განზრახ მკვლელობისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტისათვის სამართლის ანალოგიით გამოყენების დროსაც სასამართლო დაადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამის და მისგან გამომდინარე ქცევის წესს. მით უმეტეს, რომ ეს პრინციპი თავის თავში არსებითად აერთიანებს როგორც სამართლის ზოგად, ანუ კონსტიტუციის ფასეულობებიდან გამომდინარე პრინციპებს, ისე, სამართლიანობისა და „ზნეობის მოთხოვნის შესაბამისად“ მოქმედების ვალდებულებას.⁶³⁸

⁶³⁵ ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით „ქართული სამართლის მიმოხილვა“ № 4, 2003, 516.

⁶³⁶ Palandt O., Bürgerliches Gesetzbuch, 65. Aufl., 2006, §242, Rn.3.

⁶³⁷ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 95.

⁶³⁸ იქვე.

სამართალიანობის აღდგენის ძიებაში თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი მემკვიდრის უღირს მემკვიდრედ აღიარებასთან დაკავშირებით და მიუთითა ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის ანალოგიით გამოყენებაზე. სასამართლოს განმარტებით, ჩუქებისა და უღირს მემკვიდრედ აღიარების ნორმების სისტემური ანალიზი იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ კანონმდებლობა როგორც დასაჩუქრებულს, ასევე მემკვიდრეს უდგენს ქცევის მაღალ სტანდარტს, რომელთა განუხრელი დაცვის შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ კანონით გათვალისწინებული იმ უფლებით, რასაც სამემკვიდრეო სამართალი და ჩუქების მომწესრიგებელი ნორმები ადგენს.⁶³⁹ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნები სავსებით საფუძვლიანად არ გაიზიარა უზენაესმა სასამართლომ და განმარტა, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ იძლეოდა იმ დასკვნის სამართლებრივ საფუძველს, რომ არსებულად ყოფილიყო მიჩნეული უღირს მემკვიდრედ აღიარების წინაპირობები. მემკვიდრის მიერ ჩადენილი ქმედება გამოხატებოდა შემდეგში: ფარულად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა მამკვიდრებლის მეუღლის კუთვნილი ოქროს ნივთები, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი. ამავე განაჩენით დადასტურებულია მოსარჩელის მიერ ჩადენილი დანაშაულის (მამკვიდრებლის მკვლელობის) დაფარვა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი, თუნდაც მისი გასაკიცხაობის არსებობის პირობებში, არ ამართლებს მის უღირს მემკვიდრედ მიჩნევის გამოყენების წინაპირობებს. სასამართლოს განმარტებით არც სსკ-ის 529-ე I მუხლით ხელმძღვანელობაა გამართლებული, ვინაიდან ეს უკანასკნელი ნორმა სხვა მოწესრიგების დადგენას ისახავს მიზნად, მოქცეულია ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობების ნაწილში და წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მარეგულირებელ დანაწესს, ხოლო სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.⁶⁴⁰

⁶³⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: №28/5313-15.

⁶⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1101-1021-2017.

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.⁶⁴¹ მართალია, ნორმათა უმრავლესობა მასზე პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ემყარება, ვინაიდან სამოქალაქო მართლწესრიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და, ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.⁶⁴² მემკვიდრეობით სამართლებრივი სანქციური ნორმების ზოგადი ანალიზი, ავალდებულებს კერძო სამართლის სუბიექტებს, იმოქმედონ კეთილსინდისიერების ფარგლებში.

თუ დავუბრუნდებით კანონმდებლის სწრაფვას, სანქციების დაწესებით უზრუნველყოს სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების რეალიზაცია მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებში, მაშინ დაუშვებლად უნდა იქნეს აღიარებული საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან სამართლებრივი სიკეთის – სამკვიდრო ქონების მიღება. „საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან უშუალო სამართლებრივი სარგებლის მიღება ეხება რომის სამართლის პრინციპს *Exceptio doli specialis*, რომელსაც ანგლო-ამერიკულ სამართალში ეფუძნება *unclean hands* – ის (არასუფთა ხელები) შეცილება“⁶⁴³. მნიშვნელოვანია ის, რომ პირობის დადგომაზე ინდივიდს არაკეთილსინდისიერი ზემოქმედება არ უნდა შეემლოს, რაც თავისთავად გათვალისწინებულია და დაუშვებლად ცხადდება სსკ-ის 98-ე მუხლით.⁶⁴⁴

მემკვიდრეს, რომლის განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ გამოიწვია მამკვიდრებლის გარდაცვალება, არ უნდა მიენიჭოს მემკვიდრეობის მიღების

⁶⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მე-8 მუხლი.

⁶⁴² სუსგ საქმე № ას-1224-1076-2010; 2011 წლის 12 აპრილი

⁶⁴³ ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 4, 2003, 516-517.

⁶⁴⁴ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 397.

უფლება, მხოლოდ იმიტომ რომ მისი ქმედების მოტივი უშუალოდ სამკვიდროს მიღებისკენ არ იყო მიმართული, თუმცა მან კარგად იცოდა რომ ამგვარი ქმედებებით დადგებოდა გარდაუვალი სარგებლის - მამკვიდრებლის გარდაცვალებისა და მემკვიდრეობის მიღების შესაძლებლობა. „განმარტების მეთოდებიდან გამომდინარე, ამ შედეგს ვაღწევთ ასევე ე.წ. „მითუმეტეს დასკვნის“ სახითაც. ე.ი. Argumentum a fortiori – (arg a majore ad minus od a minore ad maius - დიდიდან მცირეზე და მცირედან დიდზე) განმარტების მეთოდის გამოყენებისას მოქმედებს „მით უმეტეს“ პრინციპი: თუ მამკვიდრებლის რჩენის ვალდებულების ზნეობრივი ნორმების დარღვევის, მისი ნების საპირისპირო მართლსაწინააღმდეგო ქმედების დროს დგება კონკრეტული სამართლებრივი შედეგი, სამკვიდროს მიღების უფლების ჩამორთმევა, მაშინ მით უმეტეს დადგება იგი შედარებით მძიმე მართლსაწინააღმდეგო შემადგენლობის არსებობისას, ვინაიდან კანონის მიზანი მეორე შემთხვევაში უფრო ძლიერად არის გამოკვეთილი. მაგალითად, ექსპროპრიაციისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გავრცელება საკუთრების უფლების მართლსაწინააღმდეგო ჩამორთმევის შემთხვევებზე.⁶⁴⁵

ქართული სასამართლო პრაქტიკა და არსებული ნორმის შინაარსი უარს აცხადებს მამკვიდრებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევის შესაძლებლობაზე. ამიტომ ამ საკითხის სწორად რეგულაცია მთლიანად სამოსამართლო სამართლის განვითარებასა და ჩამოყალიბებაზეა დამოკიდებული. სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, საკითხი იმ პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ, რომელმაც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, უნდა შეფასდეს განსაკუთრებულად. შესაბამისად თუ არ იქნება გამოყენებული კანონის ანალოგია და ნორმის ფართოდ განმარტება ზემოგანხილული მნიშვნელობით, მემკვიდრეობის ჩამორთმევის სანქციური სსკ 1310-ე მუხლის სიტყვასიტყვით ინტერპრეტაციას აშკარად არათანაბარი მოპყრობიდან გამომდინარე კუროიზულ საკანონმდებლო ხარვეზამდე მივყავართ.

სამართლის ნორმის ანალოგიით გამოყენება გულისხმობს ამ ნორმის განზოგადებას რომელიც მიიღწევა შეფასებით: ნორმის შინაარსით დგინდება რომ განსხვავება

⁶⁴⁵ Palandt, BGB, 73 Aufl., 2014, Rn.51.

კანონით მოწესრიგებულ და მოუწესრიგებელ შემთხვევებს შორის იმდენად მნიშვნელოვანი არ არის რომელიც გაამართლებდა მათ განსხვავებულად გადაწყვეტას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამართლის ნორმის საერთო ზოგადი ნიშნები საკმარისი უნდა იყოს სამართლებრივი შედეგის გამოყენების დასასაბუთებლად. ამით დასტურდება ის, რომ სამართლის ნორმის ანალოგიით შეფარდება თანასწორობის პრინციპის გამოყენების ერთ-ერთი გამოხატულებაა. სამართალში თანაბარი მოპყრობა და ერთნაირი შეფასება ყოველთვის ნიშნავს არსებული უთანასწორობის კონკრეტული სამართლებრივი შეხედულების ქვეშ აბსტრაგირებას.⁶⁴⁶

მაშასადამე, კანონით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე ურთიერთობებზეც და მემკვიდრე, რომლის განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად გარდაიცვალა მამკვიდრებელი ან მისი ოჯახის წევრი ცნობილი უნდა იქნეს უღირს მემკვიდრედ, მიუხედავად დანაშაულის მოტივებისა. „კანონით დაცული უნდა იყოს არა მარტო სიცოცხლე, არამედ სიცოცხლის უფლება“⁶⁴⁷. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი. ⁶⁴⁸ იგი არა მარტო თავისთავადი სიკეთეა, არამედ სხვა ადამიანური ღირსებების განმსაზღვრელიც. სიცოცხლის გარეშე არ არსებობს თავისუფლება, ადამიანის სულიერი, გონებრივი კულტურული განვითარება თუ ადამიანური ბედნიერება. სიცოცხლის უფლება ადამიანის ბუნებრივ არსებობას იცავს და ამით ქმნის წინაპირობას სხვა ადამიანური სიკეთეებით სარგებლობისა⁶⁴⁹.

დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული მემკვიდრის მიერ საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე სამართლებრივი სიკეთის – სამკვიდრო ქონების - საკუთრებაში მიღების შესაძლებლობა. თანასწორობისა და მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე, დაშვებულ უნდა იქნეს უღირს მემკვიდრედ აღიარებისათვის სამართლის ნორმის ანალოგიის გამოყენება თუ არსებული ნორმის ტელეოლოგიური განმარტება. აღნიშნული იქნება ერთგულეა კანონმდებლის სწრაფვისა და სულისკვეთებისა, სანქციების დაწესებით

⁶⁴⁶ Radbruch G., Rechtsphilosophie, 3. Auflage, 1932, §§ 49.

⁶⁴⁷ Fawcett J.F.C., The Application of the European Convention on Human Rights, Oxford, 1987, 37.

⁶⁴⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15.

⁶⁴⁹ გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013, 72.

უზრუნველყოს მემკვიდრეობითსამართლებრივ ურთიერთობებში სამართლიანობის, კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრება, რომელიც შესაძლებელია იქცეს სამართლის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.⁶⁵⁰ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს კანონში არსებული ხარვეზის ამოვსება შეადგენს მოსამართლის ამოცანას. კანონის ანალოგიის ნორმის ინტერპრეტაციის საფუძველზე ის პრაქტიკულად ახალ ნორმას ქმნის, რომელიც სამართლის განვითარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ამიტომ კანონის განმარტების თანამედროვე თეორიები პრაქტიკულად სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე შექმნილი სამართლის განვითარების თეორიებია.⁶⁵¹

ამდენად, „კანონის ხარვეზმა კი არ უნდა შეგვაშინოს როგორც ეს ხშირად ქართველ მოსამართლეებს ემართებათ, არამედ უნდა უბიძგოს მას ახალი ნორმის შექმნისაკენ. ოღონდ ეს ნორმა უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ საფუძვლებს და მოცემული კანონის სულისკვეთებას.“⁶⁵² სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. აღნიშნული მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის განვრცობის საჭიროების შემოწმებას.⁶⁵³ გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, კერძოდ ცალკეული ნორმების ინტერპრეტაციისას აცილებულ უნდა იქნას ლოგიკური შეუსაბამოებები და სხვადასხვა ნორმის განსხვავებულ მიზნებს შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში წინააღმდეგობა სამართლიანად დაბალანსდეს.⁶⁵⁴

⁶⁵⁰ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 94.

⁶⁵¹ Staudinger J von., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Buch 1, 15 Aufl., Rn. 124.

⁶⁵² ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 121.

⁶⁵³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-178-167-2017.

⁶⁵⁴ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009 გვ 53.

3. სავალდებულო წილის ჩამორთმევა და შემცირება საანდერძო განკარგულებით

მამკვიდრებელს სიცოცხლეშივე შეუძლია შთამომავლობისთვის მემკვიდრეობის ჩამორთმევა ორგვარი საანდერძო განკარგულებით: პირველი, საერთოდ არ მოიხსენიოს მემკვიდრე ანდერძში და მეორე, პირდაპირი საანდერძო განკარგულებით ჩამოართვას მემკვიდრეობა. პირი, რომელსაც ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთვა მემკვიდრეობა, ვერც კანონით მემკვიდრე იქნება ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ანდერძში არ შესულა, ასევე მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.⁶⁵⁵ როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში სავალდებულო მემკვიდრე ინარჩუნებს სავალდებულო წილის მიღების უფლებას.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა სსკ-ის 1354-ე მუხლის განმარტება, თუ რა ქონებზე იქნება და იქნება თუ არა საერთოდ პირველი რიგის მემკვიდრე სავალდებულო მემკვიდრე. აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა სსკ-ის 1354-ე და 1371-ე მუხლების ურთიერთკავშირში განმარტება, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი მიუხედავად იმისა, რომ მამკვიდრებელმა ანდერძში პირდაპირი მითითებით ჩამოართვა პირველი რიგის მემკვიდრეს სამკვიდროს მიღების უფლება. ამდენად, მიუხედავად ანდერძის შინაარსისა, ამგვარი მემკვიდრე მაინც მიიღებს სავალდებულო წილს ანდერძში მოხსენიებული, ისე მის მიღმა არსებული ქონებიდან, რომელზედაც გაიხსნა კანონისმიერი მემკვიდრეობა, თუმცა იგი ვერ იქნება ამგვარი საანდერძო განკარგულების დროს კანონისმიერი მემკვიდრე და მხოლოდ სავალდებულო წილის მემკვიდრედ რჩება.

ანდერძით მემკვიდრეობა ჩამორთმეული მემკვიდრე რომ სავალდებულო წილის მემკვიდრედ მაინც რჩება, ამაზე პირდაპირ მიუთითებს სსკ-ის 1381-ე მუხლის მეორე ნაწილიც, რომლის თანახმად, სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა შეიძლება მამკვიდრებლის მიერ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში სასამართლოსათვის მიმართვის გზით. ამდენად, მამკვიდრებელმა მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით და არა საანდერძო განკარგულებით შეიძლება ჩამოართვას მემკვიდრეს სავალდებულო

⁶⁵⁵ სსკ-ის 1354-ე მუხლი.

წილი 1381-ე მუხლის დანაწესით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობის დადასტურების შემთხვევაში.⁶⁵⁶

მამკვიდრებელი რომელიც მიიღებს მემკვიდრის პატიების გადაწყვეტილებას, იგი აშკარა და პირდაპირი ფორმით უნდა გადმოსცეს ანდერძში. აქ საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევასთან როცა მამკვიდრებელმა იცის, რომ მემკვიდრე მისი საქციელის გამო იმსახურებს სამკვიდროს მიღების უფლების ჩამორთმევას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიიჩნევს მას თავის მემკვიდრედ.⁶⁵⁷ ანდერძი შესაძლოა შედგენილი იყოს სხვა მემკვიდრის სასარგებლოდაც, მაგრამ, მასში ფორმირებული უნდა იყოს მამკვიდრებლის მკაფიო, დამაჯერებელი ნება უღირსი მემკვიდრის პატიებისა, ასეთ დროს სავალდებულო წილჩამორთმეული მემკვიდრე მოიწვევა სავალდებულო წილის მისაღებად. მართალია კანონი მიუთითებს პატიების ანდერძით გადმოცემაზე, თუმცა იგივე უნდა ითქვას ნებისმიერი სხვა ფორმით გადმოცემული მამკვიდრებლის ნების ფორმულირების მქონე წერილობით დოკუმენტზე, რომლიდანაც ცალსახად ვლინდება მამკვიდრებლის ურყევი სურვილი მემკვიდრის პატიებაზე.

მამკვიდრებელს შეუძლია შეადგინოს ანდერძი და მიუხედავად სავალდებულო წილის მემკვიდრეობის ჩამორთმევის სასამართლო გადაწყვეტილებისა, სავალდებულო მემკვიდრეს უანდერძოს წილი სამკვიდროდან, რომელიც მის სავალდებულო წილზე ნაკლებია. სავალდებულო წილის მიღების უფლება ზოგადად წარმოიშობა მაშინ, როცა მემკვიდრეს ანდერძით მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოერთმევა მემკვიდრეობის უფლება. ამასთან, კანონმდებლობა ითვალისწინებს სავალდებულო წილისა და ანდერძისმიერი მემკვიდრეობის თანხვედრას, კერძოდ: თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირს ეანდერძა ქონება, რომელიც იმ წილის ნახევარზე ნაკლებია, რომელსაც იგი კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს ის წილი, რომლითაც ანდერძით მიღებული მისი წილი ნაკლებია იმ წილის ნახევარზე, რასაც კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა.⁶⁵⁸ შესაბამისად სავალდებულო მემკვიდრე იღებს

⁶⁵⁶ სუსგ საქმე № ას-1048-988-2015.

⁶⁵⁷ ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2007, გვ.10.

⁶⁵⁸ სსკ-ის 1379-ე მუხლი.

სავალდებულო წილს და იგი ამავდროულად, ანდერძისმიერი მემკვიდრეცაა. სსკ-ის 1379-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, სწორედ მოსარჩელის, სავალდებულო მემკვიდრის მტკიცების საგანს წარმოადგენდა, რომ ნაანდერძევი ქონება იმ წილის ნახევარზე ნაკლებია რომელსაც კანონით მემკვიდრეობისას მიიღებდა⁶⁵⁹ თუ მამკვიდრებელი სასამართლო გადაწყვეტილებით სავალდებულო მემკვიდრეს ჩამორთმევს მემკვიდრეობას და ასეთი სასამართლო გადაწყვეტილების მიუხედავად მაინც მოიხსენიებს ანდერძში, სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა ჯერ კიდევ არ იწვევს ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების დაკარგვას და სავალდებულო წილის ჩამორთმევა მაინც უცვლელად ტოვებს ანდერძისმიერი მემკვიდრეობის შესაძლო უფლებას. ასეთ დროს მამკვიდრებელს შეუძლია შეცვალოს ანდერძი და ახალ ანდერძში აღარ მოიხსენიოს მემკვიდრე. ამდენად, თუ მემკვიდრე აღარ არის მოხსენიებული არც ახალ ანდერძში და სასამართლო გადაწყვეტილებითაც ჩამორთმეული აქვს სავალდებულო წილი, შესაბამისად იგი ვერ მიიღებს მემკვიდრეობას.

სსკ-ის 1379-ე და 1381-ე მუხლებთან მიმართებით უნდა გაიმიჯნოს ორი სხვადასხვაგვარი შემთხვევა: ა. იმ შემთხვევაში თუ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და მისი მოთხოვნით სავალდებულო წილჩამორთმეულ მემკვიდრეს მამკვიდრებელმა უანდერძა ქონება რომელიც მის სავალდებულო წილზე ნაკლებია (ამავდროულად ანდერძი არ შეიცავს პატიებას), მას მართალია ზოგადი წესის თანახმად აქვს წილის შევსების, სრულყოფილი სავალდებულო წილის მიღების უფლება, მაგრამ, ვინაიდან არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესახებ, იგი ვერ მოითხოვს წილის შევსებას. ამ დროს ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როდესაც მამკვიდრებელი მემკვიდრისთვის სავალდებულო წილის ჩამორთმევასთან ერთად უარს ამბობს მისთვის გათვალისწინებული შედარებით მცირე სამკვიდროს ჩამორთმევაზე. ეს გადაწყვეტილება, სსკ-ის 1313-ე მუხლის შესაბამისად, სავალდებულოა სსკ-ის 1312-ე მუხლში ჩამოთვლილ პირთათვის.⁶⁶⁰

⁶⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-531-505-2013,

⁶⁶⁰ ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 4, 2003, 524.

შესაბამისად მათ მიერ აღძრული სარჩელი, პირის უღირს მემკვიდრედ აღიარებასთან დაკავშირებით, წარუმატებელია. ამდენად, მემკვიდრე რომელსაც ეანდერძა სავალდებულო წილზე ნაკლები ქონება და მამკვიდრებლის მიერ ჩამორთმეული აქვს სავალდებულო წილზე მემკვიდრეობა, ვერ მიიღებს სსკ-ის 1379-ე მუხლით გათვალისწინებულ შევსებას სავალდებულო წილამდე და მიიღებს მხოლოდ იმ მცირედ წილს რაც მამკვიდრებელმა უანდერძა, და რაც სავალდებულო წილზე ნაკლებია. და მეორე მემკვიდრე რომელსაც ეანდერძა სავალდებულო წილზე ნაკლები ქონება და მამკვიდრებლის სიცოცხლეში სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამორთმეული არა აქვს სავალდებულო წილზე მემკვიდრეობა, მიიღებს 1379-ე მუხლით გათვალისწინებულ შევსებას, სრულ სავალდებულო წილს. ასეთ დროს კი, ანდერძისმიერ მემკვიდრეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სავალდებულო მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევა. თუკი სასამართლოს გადაწყვეტილებით სავალდებულო მემკვიდრეს ჩამოერთმევა მემკვიდრეობა, იგი ვერ მიიღებს წილის შევსებით პრინციპით სრულყოფილ სავალდებულო წილს და მხოლოდ მამკვიდრებლის მიერ ნაწყალობევ მცირედ წილს დასჯერდება.

4. მემკვიდრეობის ჩამორთმევა საოჯახო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის ბოროტად თავის არიდების გამო

მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობაა საოჯახოსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობა, რაც გამოიხატება მემკვიდრის მხრიდან კანონით მასზე დაკისრებული მამკვიდრებლის რჩენის ვალდებულებისათვის ბოროტად თავის არიდებით. ესეთი მემკვიდრე ინარჩუნებს მემკვიდრეობის მიღების შესაძლებლობას, თუ მამკვიდრებელმა იგი დაასახელა ანდერძისმიერ მემკვიდრედ და მიიღებს ანდერძისმიერ მემკვიდრეობას მამკვიდრებლის მხრიდან „სულგრძელი მიტევების“ გამო, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში კანონით მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთმევა, რადგან კანონით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობით ისინი არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას არა მხოლოდ მამკვიდრებლის, არამედ კანონისა და საზოგადოების წინაშეც.⁶⁶¹

⁶⁶¹ Маковски А. Л., Суханов Е. А., Комментарий к части третьей Гражданского кодекса Российской Федерации, М., 2005, 78.

მემკვიდრეობით სამართალურთიერთობაში მემკვიდრისა და მამკვიდრებლის ინტერესების არაკეთილსინდისიერი და არამართლზომიერი ზემოქმედებისაგან დაცვის პრინციპის უმნიშვნელოვანესი გამოხატულებაა მემკვიდრეობის ჩამორთმევა ზნეობრივი და სამართლებრივი ვალდებულებისაგან ბოროტად თავის არიდების გამო. როცა ვსაუბრობთ ზნეობრივ ნორმებზე, აქ საქმე გვაქვს ზნეობის არა წინასწარ მოცემულ და უცვლელ პრინციპებთან, არამედ „კეთილსინდისიერი ადამიანების“ შეხედულებებთან, რომლებიც გაბატონებულია სოციალურ ურთიერთობაში მონაწილე პირთა შორის. აღნიშნული შეხედულებები ისტორიულად ცვალებადია. ამასთან, შესაძლებელია მათი ცვლილება სამართლებრივი ცნებების გზით განხორციელდეს.⁶⁶² საოჯახო სამართალში ოჯახის წევრთა ურთიერთობები უმეტესად ზნეობრივი პრინციპის საფუძველზე განისაზღვრება. მათ ერთმანეთზე ზრუნვის ვალდებულება გააჩნიათ. კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ოჯახის წევრები ვალდებულნი არიან იზრუნონ ერთმანეთის მიმართ, გულისხმობს მათ ვალდებულებას, აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს.⁶⁶³ მემკვიდრეობითსამართლებრივი ურთიერთობა საოჯახო ურთიერთობებთან მჭიდრო კავშირშია. მემკვიდრეობის უფლება და სიკეთის მიღების უფლება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ სამართალთან ერთად ქმნიან საოჯახო-ქონებრივ სამართალს.⁶⁶⁴ საოჯახოსამართლებრივი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გამოიყენება მემკვიდრეობითსამართლებრივ სანქცია – მემკვიდრეობის ჩამორთმევა. საოჯახო სამართლებრივი ვალდებულებების სუბიექტები არიან მშობელი, შვილები, მეუღლეები, ბებია-პაპა, და-ძმა. რჩენისა და ურთიერთდახმარების ვალდებულებები როგორც წესი ნებაყოფლობით უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სარჩოს დაკისრების თაობაზე იმ პირთა საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ რომლების საჭიროებენ დახმარებას. „საუკეთესო ინტერესი“ – ნიშნავს ცნებას რომლის შექმნაზეც გავლენას ახდენს

⁶⁶² BVerfGE, Urteil des Ersten Senats vom 15. Januar 1958, Band 7, 215, <<http://www.servat.unibe.ch/dfr/bv007198.html#208>> [12.08.2019].

⁶⁶³ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბ., 2009, 244.

⁶⁶⁴ Malaurie Ph., Aynés L., Droit Civil. Les successions. Les libéralités. 3e éd. Defrénois, 2008, 6.

კულტურული, ეკონომიკური გარემოებები და რელიგიური ნორმები,⁶⁶⁵ „საჭიროებენ დახმარებას“ ნიშნავს – თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ნორმალური და ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის აუცილებელი სახსრების უქონლობას. ⁶⁶⁶ მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობებს წარმოადგენს მამკვიდრებლის რჩენის სამართლებრივი და სამოქალაქო/ზნეობრივი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობა. ამდენად, უნდა განიმარტოს რას გულისმობს რჩენა და რჩენის ვალდებულებისაგან ბოროტად თავის არიდება.

საოჯახო სამართლებრივი დავების დიდი ოდენობა ქართულ მართლმსაჯულებაში, სამწუხაროდ, მშობლების მხრიდან შვილების მიმართ საალიმენტო ვალდებულების შესრულებიდან გამომდინარეობს. ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობელს საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობა აკისრიათ,⁶⁶⁷ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს კიდევ მშობლის ინსტერესებს.⁶⁶⁸ იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება. ⁶⁶⁹

საოჯახოსამართლებრივი მოვალეობის დარღვევად და მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძვლად მიიჩნევა არა ყოველგვარი თავის არიდება, არამედ ამ ვალდებულებებისათვის ბოროტად თავის არიდება. ფინანსური მდგომარეობა (დაბალი შემოსავალი, უმუშევრობა, სტაბილური შემოსავლის არარსებობა) ან ჯანმრთელობის პრობლემები არასრულწლოვანი თუ შრომისუუნარო პირების მოთხოვნილებებს არ ამცირებს, შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც ალიმენტის/სარჩოს მინიმალური ოდენობა შენარჩუნებული უნდა იქნეს. მინიმალური ზღვარს ქვემოთ

⁶⁶⁵ Blair M. D., Weiner M. H., Stark B., Maldonado S., *Family Law in the World Community: Cases, Materials and Problems in Comparative and International Family Law*, Carolina Academic Pres Law Casebook Series, 2nd ed., Durham, North Carolina, 2009, 394.

⁶⁶⁶ Сергеев А. П., Толстой Ю. К., *Гражданское Право*, М., 2006, 564.

⁶⁶⁷ ქურდაძე ი., კორკელია კ., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა კონვენციის მიხედვით, თბ., 2004, 183.

⁶⁶⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წელის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: „ნ.წ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი: №71776/12.

⁶⁶⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – *Elsholz v. Germany*, განაცხადი: № 25735/94, პარ. 52.

ალიმენტის ან სარჩოს დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ გამონაკლის გარემოებებში, როდესაც სარწმუნოების მაღალი სტანდარტით შეფასებისას, მშობლის ფინანსური და ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთობლიობაში ობიექტურად გამორიცხავს მისთვის ალიმენტის თუნდაც მინიმალური ოდენობით გადახდის შესაძლებლობას.⁶⁷⁰ ამგვარი ფაქტობრივი გარემოების დადგენის შემთხვევაში არ მიიჩნევა, რომ ვალდებული პირი ბოროტად არიდებდა თავს საოჯახოსამართლებრივ პასუხისმგებლობებს.

საოჯახოსამართლებრივი სანქცია მშობლის უფლების ჩამორთმევა იწვევს მემკვიდრეობით-სამართლებრივ სანქციასაც - მემკვიდრეობის ჩამორთმევას. შესაძლებელია მშობლის უფლების ჩამორთმევა ერთი ან რამდენიმე შვილის მიმართ, თუ გარდაიცვალა ის შვილი, რომლის მიმართაც მშობლის უფლება არ ყოფილა ჩამორთმეული ასეთ შემთხვევაში მშობელი კანონით მემკვიდრეობას შეინარჩუნებს. სხვა შვილის მიმართ მემკვიდრეობა მას არ გააჩნია⁶⁷¹.

კანონით დაკისრებული რჩენის მოვალეობის შეუსრულებლობისათვის სავალდებულო წილის ჩამორთმევასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანიის სასამართლო პრაქტიკა. ფრანკფურტის მიწის უმაღლესი სასამართლომ საქმეზე, რომელიც ეხებოდა სავალდებულო წილის ჩამორთმევას შთამომავლის მიერ მამკვიდრებლის წინაშე კანონით დაკისრებული რჩენის ვალდებულების ბოროტად დარღვევისათვის, აღინიშნა, რომ ვინაიდან სარჩოს გადახდა ძირითადად ხორციელდება ფულადი სახით, დაუშვებელია სავალდებულო წილის ჩამორთმევა დაეფუძნოს ავადმყოფის ფიზიკური მოვლის უარყოფას. ამასთან, რჩენის ვალდებულების ბოროტად დარღვევისთვის საკმარისი არ არის ამ ვალდებულებაზე უარის თქმა. ასევე, აუცილებელია რჩენის ვალდებულების შეუსრულებლობა ეფუძნებოდეს მემკვიდრის გასაკიცხ და ამორალურ დამოკიდებულებას.⁶⁷²

მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრე მეუღლე ასევე, სავალდებულო მემკვიდრეცაა. მეუღლისათვის საოჯახოსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან

⁶⁷⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-538-511-2015.

⁶⁷¹ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2011, 24.

⁶⁷² Münchener Kommentar zum BGB, Band 9, 6. Aufl. 2013, § 2333, Rn. 32.

თავის არიდების გარდა, მეუღლე ვერ იქნება კანონისმიერი და შესაბამისად სავალდებულო მემკვიდრეც თუ სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ 3 წლისა მეუღლეებს შორის შეწყვეტილი იყო საოჯახო-საქორწინო ურთიერთობების და ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. მეუღლეთა სხვადასხვა ქალაქში სამსახური; ხანგრძლივი მივლინება და ა.შ. თავისთავად არ გულისხმობს მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობების არსებობას, ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა კონკრეტული წინაპირობების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობის ფაქტობრივად არარსებობაზე, სამართლებრივი წესრიგის მიზანიც ხომ იმის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რომ გაუმართლებლად და დაუსაბუთებლად არ შეილახოს ვინმეს უფლება და პირიქით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არ მოიპოვოს ვინმემ მატერიალური სიკეთე.⁶⁷³ ჯერ კიდევ ფეოდალური მემკვიდრეობის სამართლის დამაფუძნებელს წარმოადგენდა გაუყრელად, ერთსახლად ცხოვრება, რაც ამასთან კანონისმიერი მემკვიდრეობის ფარგლებიცაა.⁶⁷⁴ კანონით მემკვიდრეობა საოჯახო ან ნათესაურ საწყისს ემყარება,⁶⁷⁵ სწორედ ამგვარი საწყისების მოშლას უკავშირდება მეუღლის კანონით მემკვიდრეობის უფლების დაკარგვა. კანონმდებლის მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს იმგვარი სამართალურთიერთობის მოწესრიგება, რომლის დროსაც გარდაცვლილი პირის ქონების გადასვლა სხვა პირებზე ხორციელდება კანონით და რომლის დროსაც დასაზუსტებელია კანონით მემკვიდრეთა წრე. იმ თვალსაზრისით, რომ თუნდაც, იურიდიული მიზნებისათვის, მეუღლედ რეგისტრირებული პირის ხელში არ აღმოჩნდეს მამკვიდრებლის ის უფლებები და პრივილეგიები, რომლებიც მას გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის (სამკვიდრო მასა) და ამით, გაუმართლებლად არ შეილახოს დანარჩენ მემკვიდრეთათვის კანონით მინიჭებული უფლებები.⁶⁷⁶ მეუღლისათვის კანონით მემკვიდრეობის და შესაბამისად სავალდებულო წილის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისათვის უნდა დასტურდებოდეს ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან ნების გამოვლენა ქორწინების შეწყვეტის თაობაზე. ეს უკანასკნელი უნდა ვლინდებოდეს კონკრეტულ ქმედებაში, რაც თავის მხრივ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების

⁶⁷³ სუსგ საქმეზე: №ას-187-174. 2015 წლის 22 ივლისი

⁶⁷⁴ ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000, 12.

⁶⁷⁵ შენგელია რ., შენგელია ე., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2007, 123.

⁶⁷⁶ სუსგ საქმეზე: №ას-187-174-2015. 2015 წლის 22 ივლისი

გათვალისწინებით უნდა იძლეოდეს ცალსახა დასკვნის გაკეთების საფუძველს იმასთან დაკავშირებით, რომ მეუღლეთა შორის ქორწინება შეწყვეტილი იყო ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე სამი წლის განმავლობაში.⁶⁷⁷ გარკვეულ დაბნეულობას იწვევს ნორმის, სსკ-ის 1341-ე მუხლის შესავალში ნაგულისხმევი ტერინი “განქორწინებისას”, თუმცა მთავარია დადგენდეს მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების ფაქტი 3 წელზე მეტი ვადით, ხოლო ის რომ მეუღლეთა შორის განქორწინება კანონით დადგენილი წესით არ მომხდარა, არ გამორიცხავს მეუღლისათვის კანონით მემკვიდრეობის ჩამორთმევას.⁶⁷⁸

5. სავალდებულო წილის ჩამორთმევის სამართალწარმოება

უღირს მემკვიდრედ აღიარების მატერიალურსამართლებრივი ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებსაც აქვთ სარჩელის აღძვრის უფლება. თუმცა უნდა გამოვყოთ ორი განსხვავებული რეგულაცია: პირველი, როცა მამკვიდრებელს სიცოცხლეშივე შეუძლია აღძვას სარჩელი მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესახებ და მეორე, როცა სარჩელის აღძვრის უფლება აქვთ ქონებრივსამართლებრივი შედეგებით დაინტერესებულ მემკვიდრეებს. მამკვიდრებელს კანონის შესაბამისად არა აქვს შესაძლებლობა, თავის სიცოცხლეშივე დააყენოს საკითხი პირის სასამართლოს გზით უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე და აღნიშნულის საპირისპირო მოსაზრება ეწინააღმდეგება კანონის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, კანონის სისტემას, კანონის არსს და მიზანს. მსგავსი სარჩელის აღძვრის აუცილებლობაც არ არსებობს.⁶⁷⁹ ამ მოსაზრებას არ ეთანხმება მოსამართლეთა ნაწილი, რადგან ნორმაში უღირს მემკვიდრედ ცნობის პირობად არ არის მითითებული ის, რომ მხოლოდ მამკვიდროს გახსნის შემდეგ შეიძლება პირი ცნობილ იქნეს უღირს მემკვიდრედ.⁶⁸⁰ თუმცა მემკვიდრეობის ჩამორთმევის ნორმის სიტყვასიტყვითი და მიზნობრივი განმარტება გამორიცხავს მამკვიდრებლის მსგავს სარჩელს. სსკ-ის 1312-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც

⁶⁷⁷ სუსგ საქმეზე: № ას-611-573-2010. 2010 წლის 8 დეკემბერი

⁶⁷⁸ სუსგ საქმეზე: № ას-109-103-10. 2010 წლის 13 მაისი

⁶⁷⁹ ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №4, 2003, 520;

⁶⁸⁰ სუსგ საქმეზე: №3კ/299-01. 2001 წლის 4 ივლისი

უფლებამოსილნი არიან, აღძრან შესაბამისი სარჩელი. აღნიშნული წრე შემოიფარგლება მხოლოდ იმ პირებით, რომელთათვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა უღირსი მემკვიდრისათვის განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს“. მათ რიცხვს არ განეკუთვნება მამკვიდრებელი, რომლის სიცოცხლეშიც პირის უღირს მემკვიდრედ ცნობას არ ექნება არავითარი ქონებრივი შედეგი. მამკვიდრებელი შეუზღუდავია მის დისპოზიციურ თავისუფლებაში და ამდენად, იგი მსგავს სასამართლო გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული ან მისით შეზღუდული. უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა ემყარება განსხვავებულ წესებს და კანონის სისტემიდან გამომდინარე, მკაცრად უნდა გაიმიჯნოს.⁶⁸¹

სამკვიდროს გახსნამდე სავალდებულო წილის ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ მამკვიდრებლის მიერ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში სასამართლოსათვის მიმართვის გზით. დაუშვებელია ამგვარი მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტების გაფართოება რადგან, „ანალოგიით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის კანონები, რომლებიც ადგენენ განსაკუთრებულ წესს.“⁶⁸² ასეთი აკრძალვა არ ნიშნავს სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, რადგან მათ უფლება აქვთ ეს მოთხოვნები დააყენონ სამკვიდროს გახსნის შემდეგ. სასამართლოზე ხელმისაწვდომობა შეიძლება შეიზღუდოს მიზანშეწონილობის მოსაზრებებით. შეზღუდვები ზიანს არ უნდა აყენებდეს თვით ხელმისაწვდომობის უფლების ძირითად არსს⁶⁸³, ასევე შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ მიზანს და ამ მიზანთან მიმართებით უნდა იყოს პროპორციული. ⁶⁸⁴ კანონმდებელი უშვებს მამკვიდრებლის სიცოცხლეში მხოლოდ კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობას მამკვიდრებლის ნების, ანდერძის შესაბამისად, ხოლო სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ 1381-ე მუხლი. შეგვიძლია დავასკვნათ,

⁶⁸¹ ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №4, 2003, 524.

⁶⁸² Трубецкой Е.Н., Энциклопедия права, Нью-Йорк, 1982, 34.

⁶⁸³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Winterwerp v The Netherlands, განაცხადი: № 6301/73,

⁶⁸⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე: F.a. v. FRA, განაცხადი: № 38212/97,

„კანონმდებელმა აშკარად გამიზნულად შექმნა სსკ-ის 1381-ე მუხლისაგან განსხვავებული ნორმა, რომლის მე-2 და მე-3 ნაწილში გათვალისწინებულია მამკვიდრებლის მიერ სარჩელის აღძვრის უფლება. კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება გამორიცხავს ნორმის ანალოგიით გამოყენებას კანონით მოუწესრიგებელ შემთხვევაზე, რადგან სახეზე არ გვაქვს ანალოგიის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა, კერძოდ, გამორჩენილი ხარვეზი. ის ფაქტი, რომ კონკრეტული „ა“ გარემოება და კანონით მოწესრიგებული „ბ“ შემთხვევა ერთმანეთის მსგავსად შეგნებულად არ მოწესრიგდა, თავისთავად გამორიცხავს ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას. სრულიად საპირისპიროდ, კანონმდებელი აქ უშვებს მხოლოდ ე.წ. უკუდასკვნის – argumentatio e contratio ან argumentum e silentio - გაკეთების შესაძლებლობას. თავისი დუმილით კანონმდებელი ცალსახად აცხადებს, რომ კანონით მოუწესრიგებელი შემთხვევა არ უნდა გადაწყდეს კანონით ცალსახად მოწესრიგებული შემთხვევის მსგავსად.⁶⁸⁵

უღირს მემკვიდრედ აღიარების მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ უღირს მემკვიდრედ პირის ცნობა ხდება მაშინ, როდესაც მემკვიდრის მართლსაწინააღმდეგო ქმედება ხელს უშლიდა მამკვიდრებლის ნამდვილი ნების გამოვლენას, ხოლო სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს. ამდენად, როდესაც მოსარჩელე თვითონვე წარმოადგენს სავარაუდო მამკვიდრებელს, სარჩელი მოპასუხეთა (მემკვიდრეთა) უღირს მემკვიდრედ ცნობას მისთვის არავითარი ქონებრივი შედეგის მომტანი ვერ იქნება,⁶⁸⁶ რამეთუ მამკვიდრებლის სარჩელი, შეტანილი ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში სავალდებულო მემკვიდრეთა წინააღმდეგ სამოქალაქო კოდექსის 1381-ე მუხლის მოთხოვნებიდან უნდა გამომდინარეობს და იგი ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნას უნდა შეიცავდეს.

მამკვიდრებლის სარჩელი პირის უღირს მემკვიდრედ აღიარებაზე წარმოადგენს აღიარებით სარჩელს და მისი დასაშვებობის წინაპირობას წარმოადგენს იურიდიული

⁶⁸⁵ ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 4, 2003, 520.

⁶⁸⁶ სუსგ საქმეზე: ას-22-473-06. 2006 წლის 13 მარტი

ინტერესის არსებობა. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში.⁶⁸⁷ მამკვიდრებლის აღიარებითი სარჩელი მემკვიდრისათვის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით არ აკმაყოფილებს სარჩელთა დასაშვებობის პროცესუალურ წინაპირობებს, არ არსებობს ასეთი სარჩელის უფლება არც მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. მამკვიდრებელს თავისი უკანასკნელი ნების განხორციელებისათვის გააჩნია უფრო მარტივი გზა, ვიდრე სასამართლო სამართალწარმოება: ანდერძის შედგენით ჩამოართვას მემკვიდრეობა ყველა ან ერთ-ერთ მემკვიდრეს, ასევე პირდაპირი საანდერძო განკარგულებით ჩამოართვას მემკვიდრეს მემკვიდრეობა ყველაფერზე, მათ შორის ანდერძის გარეთ დარჩენილ ქონებაზეც. სასამართლო სამართალწარმოება დასაშვებია მხოლოდ იმ პირების სარჩელით, რომლებიც მემკვიდრის უღირსად ცნობის შედეგად ქონებრივ სარგებელს მიიღებენ. „მათ არა აქვთ სხვა შესაძლებლობა, განახორციელონ მამკვიდრებლის ნება ან გამორიცხოუნ უღირსი მემკვიდრე მემკვიდრეობიდან, გარდა იმისა, რომ შეიტანონ აღიარებითი სარჩელი სასამართლოში.“⁶⁸⁸ სავალდებულო წილის ჩამორთმევის მიზნით აღიარებითი სარჩელის აღძვრის იურიდიული ინსტერესი შეიძლება გააჩნდეს მამკვიდრებელს, რომელიც ოჯახის წევრისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევას თავის სამემკვიდრეო გეგმებს უკავშირებს და შესაძლოა, ჰქონდეს ინტერესი იცოდეს სამკვიდროს გახსნის შემდეგ იმოქმედებს თუ არა სავალდებულო წილის ინსტიტუტი. სავალდებულო წილის ჩამორთმევისა და მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის იურიდიული ინსტერესი გააჩნია მხოლოდ ანდერძისმიერ მემკვიდრეს, რადგან ჩამორთმეული სავალდებულო წილი გადაეცემა მხოლოდ ანდერძისმიერ მემკვიდრეს. შესაძლებელია, ასეთი მემკვიდრე რამდენიმეც იყოს, თუმცა ერთ-ერთის სარჩელიც დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. საპროცესო ეკონომიისა და მხარეთა ნამდვილი ქონებრივი ინტერესების გათვალისწინებით, უმჯობესია

⁶⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე: № ას-121-117-2016.

⁶⁸⁸ ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“ № 4, 2003, 522.

მემკვიდრემ აღძრას მიკუთნებითი სარჩელი უღირსი მემკვიდრის სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუ სადავოა სამკვიდროს მასაში შემავალი ქონების, სამკვიდროს მიღების საკითხები, რათა მემკვიდრე არ დადგეს ახალი სარჩელების სამართალწარმოების აუცილებლობის წინაშე. უღირს მემკვიდრედ აღიარებასთან დაკავშირებით მამკვიდრებლის სარჩელის შემთხვევაში მან უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება ანდერძის არსებობის შესახებ, ამასთან მამკვიდრებელს არ ევალება წარმოადგინოს ანდერძის დედანი ან ასლი, საკმარისია წარმოდგენილი იქნეს ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან ზოგადად მამკვიდრებლის მიერ შედგენილი და ძალაში მყოფი ანდერძის შესახებ, თუკი მამკვიდრებელმა შეადგინა სანოტარო ფორმის ანდერძი. მოსარჩელეს ასევე ეკისრება ვალდებულება სარწმუნო და რელევანტური მტკიცებულებები წარმოადგინოს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის წინაპირობების არსებობის დადასტურებისათვის,⁶⁸⁹ სავალდებულო წილის ჩამორთმევის საფუძვლების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც განაცხადებს ჩამორთმევის შესახებ.⁶⁹⁰

გსკ-ით უღირს მემკვიდრედ ჩაითვლება პირი: 1. რომელმაც განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ მოკლა მამკვიდრებელი ან ჩაიდინა მისი მკვლელობის მცდელობა ანდა მიიყვანა იგი იმ მდგომარეობამდე, რომ მამკვიდრებელი თავის გარდაცვალებამდე უუნარო იყო, მიეღო ან გაუქმებინა საანდერძო განკარგულება, 2. რომელმაც მამკვიდრებელს განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ ხელი შეუშალა საანდერძო განკარგულების მიღებასა თუ გაუქმებას, 3. რომელმაც განზრახ შეცდომაში შეყვანით ან მართლსაწინააღმდეგო მუქარით დაიყოლია მამკვიდრებელი საანდერძო განკარგულების მიღებასა თუ გაუქმებაზე, 4. რომელიც მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულებასთან დაკავშირებით ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის §§ 267, 271-274 გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.⁶⁹¹ მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძვლად ამ შემთხვევაშიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სასამართლო განაჩენი, თუმცა „უღირს

⁶⁸⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: ას-347-330-2013.

⁶⁹⁰ BGH, NJW 1974, 1084,1085.

⁶⁹¹ გსკ-ის 2339-ე პარაგრაფი.

მემკვიდრედ აღიარება ხორციელდება სამკვიდროს შემძენის მიერ შეცილებით. შეცილება მიმართულია იმ სამართალურთიერთობის მიმართ, რომლითაც უღირსი პირი მემკვიდრე გახდა (§ 2339). შეცილების განხორციელება შესაძლებელია უღირს მემკვიდრეზე ქონების გადაცემის შემდეგ⁶⁹², შეცილების უფლება ხორციელდება მემკვიდრეების მიერ სარჩელის წარდგენით ერთწლიან ვადაში. საანდერძო დანაკისრის და სავალდებულო წილის მიმღების უფლების მქონე პირების მიერ ასეთი სარჩელის წარდგენისათვის საკმარისია შეცილების გაცხადება.⁶⁹³ შეცილება ძალაში შედის მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.⁶⁹⁴ გერმანულ სამართლის მიხედვით, არსებობს სარჩელის რამდენიმე სახე, რომელიც სავალდებულო წილის უფლების მქონე პირს შეუძლია გამოიყენოს. კერძოდ, სავალდებულო წილის უფლების მქონე პირს სასამართლოს გზით შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია სამკვიდროს მოცულობის შესახებ (სარჩელი ინფორმაციის გაცემის თაობაზე – *Auskunftsklage des Pflichtteilsberechtigten*). გარდა ამისა, სავალდებულო წილის უფლების მქონე პირს შეუძლია სარჩელი აღძრას სამკვიდროს ღირებულების დადგენის მოთხოვნით. (სარჩელი ღირებულების დადგენის თაობაზე – *Klage auf Wertermittlung*). სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირს აღიარებითი სარჩელით შეუძლია მოითხოვოს მისი უფლების დადასტურება სავალდებულო წილზე (აღიარებითი სარჩელი – *Feststellungsklage*). ზემოთ მითითებული საფეხურების გავლის შემდეგ სავალდებულო წილის უფლების მქონე პირს შეუძლია აღძრას მიკუთვნებითი სარჩელი და მოითხოვოს კუთვნილი წილი (მიკუთვნებითი სარჩელი – *Leistungsklage*). ამასთან, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირის მიერ სარჩელი შეიძლება აღძრას ზემოთ მითითებული საფეხურების მიხედვით ერთდროულად. საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობით, ფაკულტატური უღირსობის დროს მემკვიდრეობის ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ მემკვიდრის მიერ შეტანილ სარჩელზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.⁶⁹⁵ საფრანგეთის საკასაციო სასამართლო უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის ჩამორთმევის

⁶⁹² გსკ-ის 1942-ე პარაგრაფი.

⁶⁹³ Palandt O., Bürgerliches Gesetzbuch, 73. Aufl., 2014, § 2340, Rn. 1-2.

⁶⁹⁴ გსკ-ის 2342-ე პარაგრაფი.

⁶⁹⁵ Гонгало Ю.Б., Юридические факты в наследственном праве России и Франции. Сравнительно-правовое исследование, М., 2010, 28.

სანქციას განიხილავს პირადი ხასიათის სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობად, რადგან ასეთი სამოქალაქო-სამართლებრივი სანქცია ხელს აძლევს კონკრეტულ მემკვიდრეს და ლოგიკურია, რომ მან თავად უნდა გადაწყვიტოს, გამოიყენოს თუ არა უღირსი მემკვიდრის მიმართ ეს სანქცია.⁶⁹⁶

ამდენად დასკვნის სახით უნდა განვმარტოთ რომ, სავალდებულო წილის მიღება არ არის მამკვიდრებლის ნება-სურვილზე დამოკიდებული, ის კანონით მემკვიდრის უფლებაა და მემკვიდრის მხოლოდ მძიმე შეცდომის შემთხვევაში შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამორთმეულ იქნეს. მემკვიდრესთან არაჯანსაღი დამოკიდებულების გამო ზოგჯერ მამკვიდრებელი მნიშვნელოვნად და არსებითად მიიჩნევს მისთვის მემკვიდრეობის ჩამორთმევას. ხშირად არის ისეთი შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებელს უთანხმოება აქვს ოჯახის წევრებთან, მემკვიდრეები არ ასრულებენ მამკვიდრებლის რჩენის მორალურ და კანონისმიერ ვალდებულებას, მამკვიდრებლის სურვილი, მსგავსი ქცევა მემკვიდრეობითსამართლებრივ სანქციას დაუქვემდებაროს, ადამიანურად შეიძლება გაგებულ იქნეს,⁶⁹⁷ თუმცა ეს არა მხოლოდ მამკვიდრებლის, არამედ სასამართლო შეფასების საგანიც უნდა გახდეს.

მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობაა საოჯახოსამართლებრივი პასუხისმგებლობათა შესრულებისაგან არა ყოველგვარი, არამედ ბოროტად, სუბიექტურად თავის არიდება. ამგვარ ქმედებად უნდა შეფასდეს მემკვიდრის ყოველგვარი უმოქმედობა, გამოხატული მამკვიდრებლის რჩენისა და მოვლა-პატრონობისადმი ინდიფერენტული და გულგრილი დამოკიდებულებით. უღირს მემკვიდრედ აღიარება უნდა მოხდეს ზნეობრივ და მორალურ ღირებულებებსა და თაობათა შორის სოლიდარობაზე კეთილსინდისიერი ადამიანების შეხედულებებიდან გამომდინარე. მემკვიდრეობის ჩამორთმევის სამართალწარმოების დროს უპირველესად უნდა დადგინდეს მემკვიდრის მხრიდან რჩენის ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდება, რაც მოპასუხის, ამავე მემკვიდრის მტკიცების ტვირთში უნდა შედიოდეს.⁶⁹⁸ მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ისიც, რომ მამკვიდრებლის რჩენისაგან თავის არიდებას ჰქონდა ობიექტური,

⁶⁹⁶ Jubault Ch., Les successions, Les libéralités, Montchrestien, EJA, 2005, 280.

⁶⁹⁷ Klingelhöffer H., Pflichtteilsrecht, 2. völlig neue bearbeitete Aufl., 2003, 37.

⁶⁹⁸ სუსგ 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №ას-1227-1147-2017.

საპატიო გარემოებები და ვერ მიიჩნევა მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძვლად. თუ მამკვიდრებელი მემკვიდრის სურვილის მიუხედავად არ იღებდა დახმარებას მემკვიდრისაგან⁶⁹⁹ და უკრძალავდა მემკვიდრეს მასთან ურთიერთობას,⁷⁰⁰ სამემკვიდრეო სანქციებს ვერ გამოვიყენებთ, რადან, ადგილი არ ექნება ვალდებულების შესრულებისაგან ბოროტად თავის არიდებას.

თუ მამკვიდრებლის რჩენის მორალურ-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას, მამკვიდრებლის ნების ფორმირებაზე არაკეთილსინდისიერ ზეგავლენასა და ანდერშში გამოხატული უკანასკნელი ნების დარღვევას პირის უღირს მემკვიდრედ ცნობამდე მივყავართ, მით უფრო უნდა გავრცელდეს იგი კანონით მოუწესრიგებელი შემთხვევის უფრო მძიმე შემადგენლობაზე, კერძოდ, როდესაც მემკვიდრე ხელყოფს მამკვიდრებლის სოცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამ შემთხვევაზე კანონის კონკრეტული მიზანი უფრო დიდი მასშტაბით უნდა გავრცელდეს. ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ისეთი უფლებებია, რომლებიც მის პიროვნულობას გამოხატავს და მართლწესრიგმა კი არ შექმნა, არამედ ისინი არის ბუნების ქმნილება და მართლწესრიგს ებოძა. ეს უფლებები არის სიცოცხლის, ცოცხალი არსების და ადამიანად ყოფნის გამოხატულება და თავიანთ შინაარს იძენენ სიცოცხლის არსებობასთან ერთად. ყველა ადამიანს აქვს ამ სიკეთეებზე უფლება და ასევე უფლება იმაზე, რომ სხვა ადამიანის ხელით არ მოხდეს ამ უფლებების ბუნებრივი ზრდა-განვითარების შეწყვეტა ან ხელშეშლა.⁷⁰¹ ამგვარადვე უნდა დაკვალიფიცირდეს ზემოთ აღნიშნული შემადგენლობის მსგავსი სიმძიმის ქმედებები, რომელებიც მიმართულია მამკვიდრებლისა და მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგ. ⁷⁰² მემკვიდრეს, რომელმაც მამკვიდრებელი განზრახ მოკლა, უნდა ჩამოერთვას მემკვიდრეობის მიღების უფლება და ეს საკითხი უნდა გადაწყდეს სამართლის აზრის თავისუფალი წვდომის საფუძველზე, რამეთუ პოზიტიური ნორმის დადგენისას, პრეცედენტული ნორმის შერჩევისა და ფაქტიური

⁶⁹⁹ სუსგ 2011 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე: ას-265-249-2011.

⁷⁰⁰ სუსგ 2001 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: 3კ/623-01.

⁷⁰¹ შეად. Urt. v. 20.12.1952, Az.: II ZR 141/51, <https://www.jurion.de/urteile/bgh/1952-12-20/ii-zr-141_51/> [11.04.2019].

⁷⁰² ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 4, 2003, გვ. 518.

ნორმატიულობის განსაზღვრისას არ უნდა ირღვეოდეს ადამიანის ბუნებრივი უფლებები და თავისუფლებები როგორც სამართლიანობის კრიტერიუმი.⁷⁰³ მემკვიდრეობის უფლების დაკარგვის საფუძვლად მიჩნეულ უნდა იქნეს მამკვიდრებლის ან მისი რომელიმე მემკვიდრის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელების ხელყოფის მცდელობა. მნიშვნელობა არა აქვს შესაბამისი ქმედებების მოტივს. თუ განზრახ მკვლელობა ჩადენილია პირადი მტრული განწყობის ნიადაგზე, მისი ქონების ხელში ჩაგდების განზრახვის გარეშე, დამნაშავეს მით უფრო უნდა ჩამოერთვას მემკვიდრეობით მიღების შესაძლებლობა, რადგან თავისი მოქმედებით იგი ხელს უწყობდა მემკვიდრედ მოწვევას.⁷⁰⁴ ამ ქმედებების ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს არა მარტო პირის მოწვევა მემკვიდრედ, ან სამკვიდროში მისი წილის გაზრდა, არამედ, ასევე, ეჭვიანობა, შურისძიება, ხულიგნური ქვენა გრძნობა.⁷⁰⁵ თუ გავითვალისწინებთ კანონმდებლის სულისკვეთებას სანქციების დაწესებით უზრუნველყოს მემკვიდრეობითსამართლებრივ ურთიერთობებში თანაბარი მოპყრობა და სამართლიანობის, კეთილსინდისიერების პრინციპების რეალიზაცია, შესაძლებელია თანამედროვე ნორმა, მისი განმარტებაც უღირს მემკვიდრედ აღიარებასთან დაკავშირებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდებოდეს: კანონით ან ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას ან ჩაიდინა განზრახი დანაშაული თუ სხვა ამორალური საქციელი მამკვიდრებლის, მემკვიდრის, ან მამკვიდრებლის ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, მიუხედავად ამგვარი ქმედების მოტივისა და მიზნისა, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე).

სავალდებულო წილის მემკვიდრეობის ჩამორთმევა უნდა მოხდეს სასამართლო გზით, მხოლოდ იმ მემკვიდრის სარჩელით, რომლისთვისაც მემკვიდრეობის ჩამორთმევა ქონებრივი შედეგების მომტანი იქნება. ნიშანდობლივია ის გარემოება,

⁷⁰³ სავანელი ბ., იურიდიული მეთოდები, თბ., 2008, 95.

⁷⁰⁴ Марышева Н.И., Ярошенко К.Б., Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части третьей Постатейный.Контракт Инфра-М, 2004, 29.

⁷⁰⁵ Шиловост О.Ю., Наследование по закону в российском гражданском праве, Норма, 2006, 330.

რომ მამკვიდრებელს ნებისმიერ დროს შეუძლია აპატიოს მემკვიდრეს ან შეცვალოს ანდერძი და მოიხსენიოს მასში უღირსი მემკვიდრეც, ასეთ დროს კი დავას უღირს მემკვიდრედ ცნობასთან დაკავშირებით სრულად აზრი ეკერგება. გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობით „მამკვიდრებლის სიცოცხლეში დაუშვებელია აღიარებითი სარჩელის წარდგენა, რადგან მას ნებისმიერ დროს შეუძლია პატიება.“⁷⁰⁶ დანაშაულის ჩადენაში მხილებული და მშობლის უფლებაჩამორთმეული უღირსი მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის მემკვიდრეობის ჩამორთმევისათვის სასამართლო სამართალწარმოება არ უნდა იყოს აუცილებელი და ასეთ დროს დაინტერესებულ მემკვიდრეს უფლება უნდა ჰქონდეს ნოტარიუსთან განცხადებისა და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების თუ განაჩენის წარდგენის გზით ჩამოაცილოს სავალდებულო მემკვიდრე წილის მიღებისაგან. რა თქმა უნდა, ესეც თავად მემკვიდრის გადასაწყვეტია გამოიყენებს თუ არა ამ უფლებას უღირსი მემკვიდრის მიმართ, თუ მან არ წარადგინა მსგავსი განცხადება მოთხოვნებით ნოტარიუსთან მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მან უარი თქვა კანონით მინიჭებული ქონებრივი სარგებლის – უფრო მეტი სამკვიდრო წილის მიღებაზე. რაც შეეხება იმ შემადგენლობას როცა მემკვიდრე განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას ან ჩაიდინა ამორალური საქციელი თავად მამკვიდრებლის ან მისი მემკვიდრის ან მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, და ასევე იმ შემთხვევაში როცა მემკვიდრე ბოროტად თავს არიდებდა მამკვიდრებლის რჩენის ვალდებულებას. ეს გარემოებები დადასტურებული უნდა იქნეს მხოლოდ სასამართლოს მიერ.

და ბოლოს „კანონის განმარტებით და ანალოგიით სასამართლო შედის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ე. წ. „დანადმულ სასაზღვრო ზოლად“ ითვლება საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის. მოსამართლე მხოლოდ მაშინ შეძლებს ამ ზოლში წარმატებით და უვნებად მოძრაობას, თუ ის კანონის განმარტების მეთოდოლოგიას უფრო კეთილსინდისიერად დაიცავს და თავისი

⁷⁰⁶ Palandt O., Bürgerliches Gesetzbuch, 73. Aufl., 2014, § 2340, Rn. 1-2.

გადაწყვეტილების საფუძვლებს უფრო გამჭვირვალედ ახსნის.⁷⁰⁷ თუ კანონი მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებისას გარკვეულ თავისუფლებას აძლევს და კანონით დადგენილი შეფასებები და სხვა ინდიციები არ შეიცავენ სამართლიანობის შესახებ წარმოდგენებზე კონსენსუსუნარიან, საიმედო საფუძვლებს, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მოსამართლის სამართლებრივი შეგრძნების საფუძველზე. ხშირად მოსამართლე ხვდება ისეთ სიტუაციაში, როცა სამართლის ცალსახა განსაზღვრებით, ინტერპრეტაციის უდავო წესებითა და პრინციპებით, სამართლიანობა იკარგება. სადაც მოსამართლეს კანონის ინტერპრეტაციისა და ხარვეზის შევსებისას გადაწყვეტილების მიღების თავისუფალი სივრცე რჩება, შეუძლია თვითონ მიიღოს სამართლის განვითარების პროცესში მონაწილეობა. ამ გზით შეიძლება სამართლის გამოყენება განვითარების მშფოთვარე მომენტად იქცეს, რომელსაც ყოველთვის თან სდევს გარანტირებული სამართლისა და სამართლებრივი მორალის არსებობა.⁷⁰⁸

⁷⁰⁷ პაპუაშვილი შ., სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 4, თბ., 2003, 462

⁷⁰⁸ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006, 32, 23.

IX. სავალდებულო მემკვიდრის წილის გამოთვლის მექანიზმი და მისი მოცულობის განსაზღვრის წესი

1. სამკვიდროს მიმღები სუბიექტების დადგენა, სავალდებულო წილის გამონაგარიშების წინაპირობა

ანდერძის თავისუფლება მემკვიდრეობის სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, მაგრამ მისი ლეგიტიმური შეზღუდვა დასაშვებია მამკვიდრებელთან ყველაზე ახლო ნათესაური კავშირის, ოჯახის წევრების ინტერესების სასარგებლოდ. კანონით შეზღუდულია მამკვიდრებლის ნების ავტონომია ამოირჩიოს სამკვიდროს მისაღებად მხოლოდ ანდერძისმიერი მემკვიდრეები. განსაზღვრული კატეგორიის მემკვიდრეებისათვის დადგენილია სავალდებულო წილის მიღების უფლება მიუხედავად იმისა გაითვალისწინა თუ არა ისინი მამკვიდრებელმა ანდერძში,⁷⁰⁹ ეს ის მემკვიდრეებია, რომლებსაც არ შეიძლება ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აღიარებული არიან უღირს მემკვიდრეებად.

სავალდებულო წილის მემკვიდრეობა არ წარმოადგენს კანონისმიერ მემკვიდრეობის ფორმას, რადგან, იგი მხოლოდ მაშინ წარმოიშვება თუკი მამკვიდრებელმა შეადგინა ანდერძი და გაიხსნება ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, ამავდროულად ვერც ანდერძისმიერ მემკვიდრეობად განვიხილავთ, რამეთუ, ანდერძისა და მონდერძის ნების საწინააღმდეგოდ სამკვიდროს იღებენ კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრეები. სავალდებულო წილის მემკვიდრეობა განსაკუთრებულ მემკვიდრეობას წარმოადგენს, რომლითაც მამკვიდრებლის შვილი, მეუღლე და მშოლები როგორც მამკვიდრებელთან ყველაზე ახლო მდგომი ნათესავები, საანდერძო განკარგულებათა მიუხედავად, არ რჩებიან სამკვიდროდან წილის გარეშე. სავალდებულო წილის უფლებით დაცულია თაობათა შორის სოლიდარობისა და ოჯახური კავშირების შენარჩუნების ის ღირებულებები, რის გამოც კანონმებელმა შეზღუდა მამკვიდრებლის ნების ავტონომია განკარგოს საკუთარი ქონება მისი შეხედულებებისამებრ, გადაწყვიტოს თავისი ქონების ბედი გარდაცვალების შემდგომ.

⁷⁰⁹ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007 წელი. გვ. 44

სამკვიდროდან სავალდებულო მემკვიდრეთა წილის მიკუთვნებისას ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა სავალდებულო წილის გამოთვლა, მისმა არასწორად განსაზღვრამ შეიძლება ანდერძით მემკვიდრეების წილის უსაფუძვლო შემცირება გამოიწვიოს. სავალდებულო წილის გამომანგარიშება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგი წესს: 1. უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს ყველა პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე რომელიც მოწვეული იქნებოდა სამკვიდროს მისაღებად ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, 2. შემდეგ უნდა განისაზღვროს მთელი სამკვიდროს ღირებულება და გაიყოს პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებზე და ბოლოს 3. დადგინდეს სავალდებულო წილის გამომანგარიშების საგამონაკლისი წესები, რომელიც გათვალისწინებულია სსკ 1375-ე; 1376-ე; 1378-ე და 1379-ე მუხლებით.

კანონით მემკვიდრეობის და სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა თავში და ისინი წარმოადგენენ სპეციალურ ნორმებს. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ ისინი გარკვეულ შემთხვევებში ავსებდნენ ერთმანეთს. მაგალითად: სამოქალაქო კოდექსის 1374-ე მუხლის თანახმად, თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო. კანონით მემკვიდრეთა წრე კი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლში. შესაბამისად, ამ ორი ნორმის ერთობლიობაში გამოყენება-განმარტების გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილ იქნეს სავალდებულო წილის მოცულობის საკითხი.⁷¹⁰ მიუხედავად ამისა სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია სავალდებულო წილის გამომანგარიშების წესების გამოყენების შესახებ. ერთ-ერთ საქმეზე, მამკვიდრებელს სამი პირველი რიგის მემკვიდრე დარჩა: მეუღლე და ორი შვილი. ხოლო ანდერძისმიერი მემკვიდრე ასევე პირველი რიგის მემკვიდრეც იყო. სასამართლომ იმის გათვალისწინებით, რომ მამკვიდრებლის დანაშთი ქონება უძრავი ნივთის 1/2 ნაწილი იყო და კანონით მემკვიდრეობის ფარგლებში თითოეული მემკვიდრე მიიღებდა ამ ქონების (1/2-ის) 1/3 ნაწილს, სავალდებულო წილის თვალსაზრისით კი, მისაღები სამკვიდრო ამ წილის ნახევარია, მოსარჩელეს დანაშთი ქონების 1/6

⁷¹⁰ სუსგ განჩინება საქმე № ას-1577-1480-2012. 06.06. 2013 წელი.

მიაკუთნა.⁷¹¹ შესაბამისად დავის ამგვარად გადაწყვეტისას სასამართლომ თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო, მათ შორის ანდერძით მემკვიდრეც, რადგან იგი ამავდროულად პირველი რიგის კანონისმიერი (სავალდებულო) მემკვიდრეც იყო. სრულიად საპირისპიროდ განიმარტა სავალდებულო წილის გამოთვლის წესები სხვა საქმეზე, ფაბულის მიხედვით მამკვიდრებელს დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილები მარინა, ილარიონ და ტარიელ ვ-ძეები. მამკვიდრებელმა მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ერთ-ერთ შვილს მარინა ვ-ძეს. სასამართლომ მოიხმო სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი და განმარტა რომ, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. ამავე კოდექსის 1374-ე მუხლის თანახმად, თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი, რომ არ ყოფილიყო. ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან. სასამართლომ აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე განმარტა, რომ, მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე სავალდებულო წილის გამოანგარიშებისას ანდერძით მემკვიდრე მარინა ვ-ძის უფლება სავალდებულო წილზე არ უნდა იქნეს გათვალისწინებული, ვინაიდან მას ანდერძით მიეკუთვნა მთელი სამკვიდრო. ამდენად, სადავო სამკვიდროზე სავალდებულო წილის მიღების უფლება გააჩნდათ ტარიელ და ილარიონ ვ-ძეებს. შესაბამისად, მათი სავალდებულო წილი შეადგენდა სამკვიდროს 1/4-ს.⁷¹² ამდენად, ამ საქმეზე სასამართლომ სავალდებულო წილის გამოთვლისას არ გაითვალისწინა ერთ-ერთი პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, ვინაიდან, იგი ამავდროულად ანდერძისმიერი მემკვიდრეც იყო და სავალდებულო წილები გამოიანგარიშა მხოლოდ ორი სავალდებულო მემკვიდრის მხედველობაში მიღებით მაშინ, როდესაც მამკვიდრებელს სამი სავალდებულო მემკვიდრე დარჩა და სამივე მოწვეული იქნებოდა სამკვიდროს მისაღებად ანდერძის არარსებობის შემთხვევაში.

⁷¹¹ სუს განჩინება, საქმე №ას-571-542-2014, 10 სექტემბერი, 2015

⁷¹² სუს განჩინება საქმე ას-981-1245-05 3 აპრილი 2005 წელი

სამკვიდროდან სავალდებულო წილის განსაზღვრისას, აუცილებელია ყველა პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრის გათვალისწინება, რომლებიც მოწვეული იყვნენ სამკვიდროს მისაღებად მათ შორის, მემკვიდრეები წარმომადგენლობის უფლებით მშობლების წილზე, რომლებიც იქნებოდნენ კანონით მემკვიდრეები, მაგრამ გარდაიცვალნენ სამკვიდროს გახსნის მომენტამდე, ამასთან ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ისინი არ არიან სავალდებულო პირველი რიგის მემკვიდრეები. თუ ანდერძისმიერი მემკვიდრე, ამავედროულად, პირველი რიგის სავალდებულო მემკვიდრეცაა იგი მხედველობაში უნდა იყოს მიღებული. მაგ. მამკვიდრებელმა 1000 ლარი უანდერძა ერთ შვილს, ხოლო მეორე შვილმა მოითხოვა სავალდებულო წილი, რომელიც ამ მუხლის სიტყვათასიტყვითი განმარტებიდან გამოიანგარიშება 1000 ლარიდან და მხედველობაში თუ არ მივიღებთ ანდერძისმიერ მემკვიდრეს, შვილს, მეორე შვილის სავალდებულო წილი იქნება $1000 : 2 = 500$ ლარი. ანდერძის მიუხედავად ქონება გაიყოფა ისე როგორც კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს იქნებოდა, რაც ბუნებრივია ეწინააღმდეგება ანდერძისმიერი მემკვიდრეობის მიღების უფლებას. ვფიქრობ ნებისმიერი რეგულაციები უნიფიცირებულად უნდა იყოს გაგებული. სავალდებულო წილის გაანგარიშებისას მხედველობაში არ უნდა იყოს მიღებული ანდერძისმიერი მემკვიდრეები თუკი ისინი არ არიან სავალდებულო მემკვიდრეები, ვინაიდან სამკვიდროს გახსნისათვის მოიწვევიან სამკვიდროს მისაღებად როგორც ანდერძისმიერი ისე კანონისმიერი მემკვიდრეები, შესაბამისად კანონისმერი დათქმა ანდერძისმიერი მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან უნდა ეხებოდეს მხოლოდ ისეთ ანდერძისმიერ მემკვიდრეებს რომლებიც ამავედროულად არ არიან სავალდებულო პირველი რიგის მემკვიდრეები, ხოლო თუკი ასეთები არიან მაშინ, ამ ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით ბუნებრივია ისინი მოიწვეოდნენ სამკვიდროს მისაღებად ანდერძი რომ არ ყოფილიყო და შესაბამისად მხედველობაში მიიღებიან სავალდებულო წილის გამოანგარიშების დროს. ამის საწინააღმდეგო განმარტება უსაფუძვლოდ გაზრდის სავალდებულო მემკვიდრის წილს, შესაბამისად, ხელყოფს მამკვიდრებლის ნებას ანდერძის თავისუფლების შესახებ და ანდერძით მემკვიდრის ქონებრივ ინტერესებს.

სავალდებულო წილის გაანგარიშებისათვის მხედველობაში არ მიიღება ის მემკვიდრეები რომლებსაც ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება და შესაბამისად არ მოიწვეოდნენ სამკვიდროს მისაღებად ანდერძი რომ არ ყოფილიყო. (1310;1311; 1354-ე; 1374-ე მუხლებით გათვალისწინებული პირები) თუმცა, როგორ გადაწყდება დავა იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეულ პირს (ბუნებრივია იგულისხმება მხოლოდ პირველი რიგის მემკვიდრეები) მემკვიდრე დარჩა, ან დანიშნულია სათადარიგო მემკვიდრე. ასეთ დროს მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეულის მემკვიდრე მოიწვევა სამკვიდროს მისაღებად, რადგან, მემკვიდრეობის უფლების დაკარგვა ხელს არ უშლის ნათესავების მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით,⁷¹³ შესაბამისად იგი მხედველობაში მიიღება სავალდებულო წილის გამოანგარიშების დროს.

უფრო შორს წავიდა გერმანიის უზენაესი სასამართლო, როდესაც მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეული პირის, მამის, მემკვიდრე -- შვილი არათუ გაითვალისწინა სავალდებულო წილის განსაზღვრისას, არამედ სავალდებულო წილიც მისცა. 2011 წელს გერმანიის უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც სამემკვიდრეო სამართალში დამკვიდრდა ე.წ. „ჩანაცვლების პრინციპი“. მოცემულ საქმეში მოსარჩელეს და მოპასუხეს წარმოადგენდა და–ძმა. მათმა ბებია მოსარჩელის მამას ჩამოართვა მემკვიდრეობის უფლება და ასევე, საანდერძო განკარგულებით სავალდებულო წილის უფლება. ანდერძისმიერ მემკვიდრედ დაასახელა მეორე შვილიშვილი (მოპასუხე). სასამართლოს წინაშე დაისვა საკითხი: შეეძლო თუ არა პირველ შვილიშვილს, მოეთხოვა სავალდებულო წილი მაშინ როცა მამამისი ცოცხალი იყო? გერმანიის უზენაესმა სასამართლომ პირველ შვილიშვილს მიაკუთვნა სავალდებულო წილი. უზენაესმა სასამართლომ ნოტარიულად გაფორმებულ ანდერძში მოანდერძის მიერ გამოთქმული ნება მამის უღირსი საქციელის გამო (მშობლებისთვის ოქროს ზოდების მოპარვა) სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესახებ, ნამდვილად მიიჩნია. სასამართლომ მიუთითა, რომ ანდერძისმიერი ერთადერთი მემკვიდრის გარდა, არსებობს იმავე რიგის მეორე მემკვიდრე. ეს არის პირველი შვილიშვილი, მოსარჩელე, რომლის მამასაც ჩამოერთვა კანონით მემკვიდრეობის უფლება. მაშინ როცა მამის გარდაცვალების შემთხვევაში, ან მის

⁷¹³ სსკ 1314-ე მუხლი

მიერ სამკვიდროზე უარის თქმისას ან უღირს მემკვიდრედ ცნობის შემთხვევაში არსებობს ისეთი რეგულირება, როცა სამკვიდრო გადადის იმ პირზე, რომელიც მოწვეული იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ცოცხალი მემკვიდრეობის უფლებაჩამორთმეული პირი. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ამ საქმეში დაადგინა, რომ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისას სავალდებულო წილის საკითხი წყდება ისე, როგორც უღირს მემკვიდრედ ცნობის, სამკვიდროზე უარის თქმის და მემკვიდრის გარდაცვალების შემთხვევებში. ახლო მემკვიდრისთვის (კონკრეტულ შემთხვევაში მამისთვის) კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა წარმოშობს უპირველეს ყოვლისა უფრო შორეული მემკვიდრის მიერ (შვილიშვილი) მისი ადგილის დაკავების უფლებას (მამის ჩანაცვლება მოხდება შვილით). შვილიშვილის მიერ სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მას შემდეგ, რაც იგი საანდერძო განკარგულებით გამოირიცხება სამკვიდროდან, როგორც მოცემულ შემთხვევაში მოხდა და ბებიამ ორი შვილიშვილიდან მხოლოდ ერთი გამოაცხადა ანდერძისმიერ მემკვიდრედ, ხოლო პირველ შვილიშვილს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2303 პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად მიენიჭა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება. მამას ჩამოერთვა რა კანონით მემკვიდრეობის უფლება, მისი ადგილი დაიკავა შვილმა, ბებიამ ანდერძისმიერ მემკვიდრედ დაასახელა მეორე შვილიშვილი. აქედან გამომდინარე, პირველ შვილიშვილს წარმოეშობა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება იმის მიუხედავად, რომ მამა ცოცხალია. სახეზეა ისეთი სამართლებრივი შედეგი, თითქოს "მამა გარდაცვლილი იყოს".⁷¹⁴

ამდენად, სავალდებულო წილის გამოანგარიშებისას უწინარესად უნდა განისაზღვროს ის პირები, რომლებიც მოიწვეოდა სამკვიდროს მისაღებად კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს. სწორედ ამაზე მიუთითებს 1374-ე მუხლის პირველი ნაწილი, თუმცა მეორე ნაწილი მას ეწინააღმდეგება. სავალდებულო წილის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება ყველა პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც მოიწვეოდა სამკვიდროს მისაღებად ანდერძი რომ არ ყოფილიყო, ხოლო სრულიად საწინააღმდეგოა -- "ანდერძისმიერი მემკვიდრეები მხედველობაში არ

⁷¹⁴ BGH, Urt. v. 13. April 2011- IV ZR 204/09

მიიღებინ," ვინაიდან ანდერძისმიერი მემკვიდრეები (თუ კანონისმიერებიც არ არიან) არც მოიწვეოდნენ სამკვიდროს მისაღებად ანდერძი რომ არ ყოფილიყო, ისინი სწორედ ანდერძით გახდნენ მემკვიდრეები. მაშასადამე თუ ანდერძი არ იარსებებდა სამკვიდროს მისაღებად მოიწვეოდნენ მხოლოდ კანონისმიერი და არა ანდერძისმიერი მემკვიდრეები. სავალდებულო წილის განსაზღვრისათვის თუ არ გავითვალისწინებთ ისეთ ანდერძისმიერ მემკვიდრეს, რომელიც ამავდროულად სავალდებულო მემკვიდრეცაა, ამან შესაძლებელია ანდერძისმიერ მემკვიდრეობას აზრიც დაუკარგოს. მაგალითად: მამამ 10 000 ლარი უანდერძა 2 შვილს, ხოლო მესამე ითხოვს სავალდებულო წილს. თუ წილის გამოთვლისათვის არ გავითვალისწინებთ ანდერძისმიერი მემკვიდრეები, მაშინ ანდერძის გარეთ დარჩენილი მემკვიდრის სავალდებულო წილი იქნება 5.000 ლარი, (10000 ის ნახევარი) ხოლო ანდერძისმიერი მემკვიდრეები მიიღებენ დანარჩენ 5.000 ლარს. ე.ი. ანდერძისმიერი მემკვიდრეები იმაზე ცოტას მიიღებენ ვიდრე კანონით ერგებოდათ.

ამდენად, სსკ 1374-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო.

2. სამკვიდრო მასა სავალდებულო წილის განსაზღვრისათვის.

სავალდებულო წილის განსაზღვრის დროს სამკვიდრო მასის გარკვევას აქვს იურიდიული მნიშვნელობა იმ შემთხვევაშიც, თუ მხარეები დავის დროს ამაზე არ მიუთითებენ, რამეთუ მისი გამოთვლა სწორედ სამკვიდრო მასის მიხედვით ხდება. სავალდებულო წილის განსაზღვრისათვის უპირველესად უნდა გაირკვეს სამკვიდრო ქონების მთელი მოცულობა. სწორედ მთელი სამკვიდრო ქონებაა სავალდებულო წილის განსაზღვრის საფუძველი და არა მხოლოდ ანდერძში გათვალისწინებული ქონება.⁷¹⁵ სავალდებულო წილის განსაზღვრისას სამკვიდროში ჩაითვლება ასევე ის ქონება, რომელიც გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის ან საერთო-სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესასრულებლად.⁷¹⁶ ეს საკითხი ნაკლებად

⁷¹⁵ შენგელია რ. შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2017 გვ365

⁷¹⁶ სსკ 1473-ე მუხლი

პრობლემურია თუკი მამკვიდრებელმა ანდერძი მთელ სამკვიდრო ქონებაზე შეადგინა. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო წილის მოცულობა განისაზღვრება მთლიანი ამ ქონებიდან. მაგრამ იბადება კითხვა რატომ უნდა იყოს გათვალისწინებული სავალდებულო წილის მოცულობის დადგენისას ის ქონება რომელიც ანდერძში არ შესულა, რომელზედაც იხსნება კანონით მემკვიდრეობა და ამ გზით მას ისედაც მიიღებენ კანონისმიერი მემკვიდრეები. გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. კანონით მემკვიდრეობა გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე – მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მაგ. თუ მამკვიდრებელმა, რომელსაც ერთი სავალდებულო მემკვიდრე შვილი ჰყავს და მესამე პირს უანდერძა 10 000 ლარი, ხოლო ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონებაა 20.000 ლარი სავალდებულო წილი განისაზღვრება მთელ სამკვიდროდან ე.ი. 30 000 ლარიდან, რომლის სავალდებულო წილიც ერთი სავალდებულო მემკვიდრის შემთხვევაში 15 000 ლარია, მაშასადამე საკმარისი არ არის ანდერძისმიერი ქონება. სსკ 1377-ე მუხლის მიხედვით თუ ანდერძით გათვალისწინებულია არა მთელი სამკვიდრო, მაშინ სავალდებულო წილი პირველ რიგში გამოიყოფა ანდერძით გაუთვალისწინებელი, ხოლო, თუ ეს საკმარისი არ იქნება, – შეივსება ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდან. მაშასადამე გარდაცვლილის შვილი მიიღებს სავალდებულო წილს ანდერძის გარეთ დარჩენილი 20 000 ლარიდან, რომელიც სავსებით საკმარისია და საჭირო არ არის მისი შევსება ანდერძისმიერი ქონებიდან. პრაქტიკაში სავალდებულო წილის ოდენობის გაანგარიშება ამ წესით არ ხდება და ისე რომ არ არის გათვალისწინებული ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება ხდება სავალდებულო წილის გაანგარიშება მხოლოდ ანდერძისმიერი ქონებიდან. ვფიქრობ ამ საკითხს სწორედ 1377-ე მუხლი ჰფენს ნათელს, რადგან ამ ნორმის არსებობის გარეშე მხოლოდ 1371 და 1373-ე მუხლებით ვერ მოხდება სავალდებულო წილის სწორად განსაზღვრა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვიღებთ ისეთ შედეგს რომ სავალდებულო მემკვიდრე მიიღებს მხოლოდ ანდერძის გარეთ დარჩენილ ქონებას და იგი არ შეეხება ანდერძისმიერ ქონებას, რომელსაც სრულად მიიღებს

ანდერძისმიერი მემკვიდრე. მაშასადამე სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება მთელი სამკვიდრო მასიდან და იგი გამოიყოფა უპირველეს ყოვლისა ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონებიდან, თუ ეს ქონება საკმარისია სავალდებულო მემკვიდრის მთლიანი სავალდებულო წილის მიღებისათვის ანდერძისმიერი ქონება სრულად რჩება ანდერძისმიერ მემკვიდრეს. ამგვარი დასკვნების საფუძველს სსკ 1371;1373 და 1377-ე მუხლების ერთობლიობაში განმარტება იძლევა.

ერთ-ერთ საქმეში,⁷¹⁷ მოსარჩელემ სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის – სახლი წინა ეზოს, ვენახის, ბაღისა და ყანის გამოყოფა მოითხოვა. სააპელაციო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ, მოსარჩელეს სავალდებულო წილის სახით მიაკუთვნა სარჩელით მოთხოვილი სახლის წინა ეზო, ბაღი, ყანა და ვენახი 0,092 ჰა-ის ოდენობით. საკასაციო სასამართლომ დააბრუნა რა საქმე ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში მიუთითა, რომ სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ რომელი კონკრეტული ქონებრივი ობიექტებისაგან შესდგება სამკვიდრო მასა, სამკვიდრო მოწმობებში მითითებული ქონების გარდა ხომ არ შედის კიდევ სხვა ქონება სამკვიდროში. მას შემდეგ, რაც დადგინდება მთელი სამკვიდრო მასა, სკ-ის 1374-ე მუხლის თანახმად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, ამ შემთხვევაში – 5 პირი შესაბამისი წილის განსაზღვრად. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენს შეადგენს სამკვიდრო მასაში შემავალი ობიექტებიდან მოსარჩელის სავალდებულო წილის მოცულობა არა ქონების მთლიანი ღირებულების, არამედ ქონების კონკრეტული ობიექტების ფართის მიხედვით.

სააპელაციო სასამართლო საკასაციო პალატის მოსაზრებაზე დაყრდნობით, მიუთითა, რომ მოსარჩელეს სადავო ქონების 1/10 წილი ნამდვილად ეკუთვნის, მაგრამ სავალდებულო წილი უნდა გამოიყოს ქონების არა მთლიანი ღირებულების, არამედ ქონების კონკრეტული ობიექტების ფართის მიხედვით. პალატამ აღნიშნა,

⁷¹⁷ სუს განჩინება საქმე №ას-1163-1308-08, 2 ოვნისი, 2009 წელი, და სუსგ განჩინება საქმე №ას -944-890-2010; 6 დეკემბერი 2010 წელი

რომ სამკვიდროდან წილის გამოყოფისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას სამკვიდრო მასის ღირებულება და სამკვიდრო ქონების შემადგენელი თითოეული ობიექტის დანიშნულება.

სამკვიდრო ქონების ღირებულება უნდა განისაზღვროს სამკვიდროს გახსნის მომენტისთვის სამკვიდრო ქონების საბაზრო ღირებულებით. სირთულეები გამოწვეულია არა მხოლოდ შეფასების სახეობის განსაზღვრით, არამედ ქონების ცალკეული სახეობების შეფასებით, მაგალითად, საშინაო მოხმარების ნივთების შეფასებით. მითითებული ობიექტების სამკვიდროს შემადგენლობაში შეტანა მოითხოვს მათი ღირებულების გათვალისწინებას სავალდებულო წილის გამოთვლის დროსაც. ვინაიდან საშინაო მოხმარების ნივთები მიეკუთვნება ქონებას, რომლის კუთვნილებაც სამართლებრივი დოკუმენტებით არ დასტურდება, უფრო ძვირადღირებული ქონების (ანტიკვარიატი და ა.შ.) მამკვიდრებლის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობა ასევე იწვევს სამკვიდროს შემადგენლობაზე რეალური სურათის დამახინჯებას, სირთულეები წარმოიქმნება განსაკუთრებული უფლების ქონებრივი შეფასების დროსაც, ვინაიდან ასეთი შეფასება, როგორც წესი რთული და შეუძლებელია (მაგ, თუ საუბარია ავტორის ისეთ ხელნაწერებზე, რომლებიც ადრე არასდროს არ გამოქვეყნებულა). ხშირად განსაკუთრებული უფლების ქონებრივი შეფასება შეიძლება იყოს მხოლოდ მიახლოებული, ვინაიდან უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოების მიმართაც ძნელია წინასწარ განისაზღვროს, თუ როგორი იქნება მისგან შემოსული საერთო სარგებელი საავტორო უფლების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

სავალდებულო წილის გამოყოფის, სამკვიდრო მასის დადგენისა და მემკვიდრეთა შორის ქონების გაყოფის დროს საყურადღებოა სამკვიდრო ქონების გაუმჯობესებაში განსაკუთრებული წვლილის მქონე ნათესავის ინტერესების გათვალისწინება. შთამომავალს (დამავალი ხაზის ნათესავს), რომელმაც საოჯახო მეურნეობაში გაწეული შრომით, მამკვიდრებლის პროფესიულ და კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობით, თავის მხრივ მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით ან სხვა სახით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდაში, სამკვიდროს გაყოფისას უფლება აქვს მოითხოვოს გათანაბრება იმ

ნათესავებთან, რომლებიც მასთან ერთად კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან და ითხოვენ სამკვიდროს.⁷¹⁸ აღნიშნული გათანაბრების უფლება მიმართულია სამკვიდროს სამართლიანი განაწილების, გაყოფის პრინციპის უზრუნველყოფისაკენ. ამ პრინციპის დაცვით უფლებამოსილ პირს ეძლევა შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი ქონება და არ დაუშვას ამ ქონებით სხვა მემკვიდრეების უსაფუძვლო გამდიდრება. განსახილველი ნორმის თავისებურება ისაა, რომ მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობით რეგულირდება მემკვიდრეების ქონების შენარჩუნებასა და გაზრდასთან დაკავშირებული ურთიერთობები. სამკვიდრო ქონების შენარჩუნებასა და ღირებულების გაზრდაში მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით განსაკუთრებული წვლილის შეტანის ფაქტობრივი გარემოების დადგენა მიგვითითებენ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ამ ნორმიდან გამომდინარე უფლებამოსილ პირს გააჩნია საკომპენსაციო სახის მოთხოვნები. სამკვიდრო ქონების გაყოფისას მემკვიდრეების უფლებები უნდა შეესაბამებოდნენ სამემკვიდრეო წილების თანაზომიერებას. განსახილველი ნორმა იცავს მემკვიდრეებს სამკვიდრო მასის უთანასწორო გაყოფისაგან. თანაზომიერების აღდგენა სამკვიდრო ქონებიდან ქონების ნაწილის შემატების გზით შეიძლება იყოს შეუძლებელი ამ ქონების განუყოფელი თვისების გამო (მხედველობაში არ არის სსკ 1459-ე მუხლის შემთხვევა, არამედ ამავე კოდექსის 1475-ე მუხლის მიხედვით, როდესაც გათანაბრების უფლება ეხება განუყოფელ ქონებას). ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ სსკ 1475-ე მუხლით განსაზღვრული გათანაბრების უფლების რეალიზაციის წესი, რაც მოცემულია ამავე კოდექსის 1477-ე მუხლით, ითვალისწინებს არა წილის შემცირების და, შესაბამისად, წილის მიმატების სამართლებრივ რეგულაციას, არამედ სამკვიდროს საერთო თანხიდან გამოკლებული გათანაბრების თანხის გათანაბრების უფლების მქონე მემკვიდრის წილზე მიმატების წესს. ამდენად, ასეთ შემთხვევებში გათანაბრება უნდა განხორციელდეს შესაბამისი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების გზით. ამაზე მიგვითითებს სსკ 1477-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სამკვიდროს გაყოფისას გათანაბრების თანხა გამოაკლდება სამკვიდროს საერთო თანხას და მიემატება იმ თანამემკვიდრის წილს, რომელსაც გათანაბრების მოთხოვნის უფლება აქვს. საკომპენსაციო თანხის

⁷¹⁸ სსკ 1475-ე მუხლი

მოთხოვნას, ასევე ითვალისწინებს სსკ 1328-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ამ უკანასკნელი დანაწესით რეგულირდება საერთო საკუთრების რეჟიმი, რომლის წილი ეკუთვნოდა მამკვიდრებელს, მაგრამ განსახილველი ნორმის მსგავსად 1477-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საკომპენსაციო თანხის გადახდის ინსტიტუტს. სსკ 1475-ე მუხლით განსაზღვრული გათანაბრების პრინციპის რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმი მოცემულია ამავე კოდექსის 1477-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს არა წილის შემატებას სხვა მემკვიდრეთა წილების ხარჯზე, არამედ საკომპენსაციო თანხით უფლების დაკმაყოფილებას. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ, განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, გათანაბრების თანხაში იგულისხმება ყველა ის მნიშვნელოვანი ხარჯი ან სხვა სახით განსაკუთრებული წვლილი, რომლითაც შენარჩუნებული და გაზრდილი იქნა მამკვიდრებლის ქონება. შესაბამისად, გათანაბრების თანხა უნდა გამოაკლდეს სამკვიდროს საერთო და არა გაუმჯობესებამდე ან დანარჩენი მემკვიდრეების მიერ მისაღები ქონების თანხას. ამრიგად, ამ ქონების შენარჩუნებისა და გაზრდის (გაუმჯობესების) ღირებულების გამოკლებით უნდა გაიყოს სამკვიდრო ქონება, ხოლო გამოკლებული თანხა უნდა მიეცეს გათანაბრების მოთხოვნის უფლების მქონე პირს, ანუ, მიემატება იმ თანამემკვიდრის წილს, რომელსაც გათანაბრების მოთხოვნის უფლება აქვს. სამკვიდრო გაყოფის ინსტიტუტი სსკ 1475-ე და 1477-ე მუხლებით მოცემულ გათანაბრების პრინციპს ავრცელებს მთელ სამკვიდრო ქონებაზე და არა მის ცალკეულ ნაწილებზე. სსკ 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება. ამასთან ერთად ყურადსაღებია ამავე კოდექსის 1477-ე მუხლის დანაწესი, რომლითაც სამართლიანი განაწილების მოთხოვნა

უკავშირდება სამკვიდროს საერთო თანხას და არა ამ სამკვიდროს ცალკეული ნივთების ღირებულებას. გათანაბრების გზით სამართლიანი განაწილების პრინციპის დაცვა შესაძლებელია მთელი სამკვიდრო მასის გათვალისწინებით. ზუსტად ამ პრინციპის დაცვას ემსახურება სსკ 1475-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მამკვიდრებლის ქონების, ანუ სამკვიდრო ქონების გაზრდა-შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე გათანაბრების უფლება მოიცავს მთელი სამკვიდრო ქონებას, შესაბამისად, გათანაბრების უფლების მქონეს შეუძლია მოითხოვოს გათანაბრების თანხის გამოკლება საერთო (მთელი) სამკვიდრო ქონებიდან გამოკლებით და მისი წილზე მიმატების გზით.⁷¹⁹ ამდენად, მართალია სავალდებულო წილის გამოთვლისათვის სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება მთელი სამკვიდროდან, თუმცა მას (მთელ სამკვიდროს) უნდა გამოაკლდეს სსკ 1475-ე მუხლით გათვალისწინებული გათანაბრების თანხა, თუკი გათანაბრების უფლების მქონე პირი განაცხადებს პრეტენზიებს ამ უფლებებზე.

საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, იცვლება თუ არა სავალდებულო წილის მოცულობა და ოდენობა, თუ ქონება, რომელიც სავალდებულო წილში უნდა შესულიყო მოგვიანებით აღმოჩნდება. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში არის მაგალითი⁷²⁰, სადაც მოსარჩელემ სავალდებულო წილის მოთხოვნა წარადგინა მოპასუხის დის წინააღმდეგ. მოპასუხე წარმოადგენდა 2003 წლის 4 თებერვალს გარდაცვლილი მამის ანდერძით განსაზღვრულ ერთადერთ მემკვიდრეს. 2003 წელს გაიხსნა მოანდერძის/მამკვიდრებლის ანდერძი, რომელსაც კიდევ ორი სხვა შვილი ჰყავდა. 2004 წლის 10 მარტს მოპასუხემ შეადგინა სამკვიდრო ქონების საინვენტარიზაციო აღწერა ნოტარიული ფორმით. აღნიშნულ საფუძველზე მიმდინარეობდა სამართლებრივი დავა სავალდებულო წილის ოდენობის შესახებ. ფედერალური მიწის (მეორე ინსტანციის) სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელესთვის 1.402,78 ევროს გადახდა. მხარეებისთვის პირველად 2009 წელს გახდა ცნობილი იმის შესახებ, რომ მოანდერძის/მამკვიდრებლის მემკვიდრეობას მიეკუთვნებოდა მინიმუმ კიდევ ერთი მიწის ნაკვეთი, რომელიც შემდგომ პერიოდში მიწის ნაკვეთი გასხვისდა და

⁷¹⁹ სუსგ განჩინება საქმე №ას-321-306-2013; 16 ოქტომბერი 2013 წელი

⁷²⁰ Klingelhöffer, Hans Dr., Pflichtteilsrecht, 2. Aufl., 2003; 1952 – IV ZR 74/52, BGHZ, 7, 134, 138, MünchKomm-BGB/Lange, §2311 Rn.2, §2313 Rn.; Juris PraxisKommentar BGB, 6. Aufl., 2012, §2311, Rn.34.

მოპასუხემ მიიღო თანხა 24.934,44 ევროს ოდენობით. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ გაყიდვის ამონაგებიდან მას სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის სახით ეკუთვნის 1/8, ანუ 3.116,81 ევრო. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის განხორციელების მუდმივად შემაფერხებელი შესაგებელი. (მიუთითა ხანდაზმულობაზე.) პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, მეორე ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა 3.116,81 ევროს გადახდის შესახებ პროცენტებთან ერთად. საკასაციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სამკვიდროს მოცულობის შესახებ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის სუბიექტურ ცოდნაზე ორიენტირების საწინააღმდეგოდ მეტყველებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2311-ე მუხლის პირველ აბზაცში მოცემული ვადების პრინციპი. აღნიშნულის მიხედვით სავალდებულო წილის გამომანგარიშების საფუძვლად მიიღება სამკვიდროს გახსნის მომენტში სამკვიდრო ქონების მდგომარეობა და ღირებულება. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ გამომანგარიშების საფუძვლების შემდგომი ცვლილებები არ ახდენს ზეგავლენას სავალდებულო წილის ოდენობაზე. შედეგად სამკვიდრო ქონების ცალკეული ქონებრივი პოზიციების ღირებულების გაზრდა და შემცირება, რაც მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ ხორციელდება, ვერ შეცვლის სავალდებულო წილის თანხას.

სავალდებულო წილის უფლების განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს მემკვიდრისთვის იმ ქონების გადაცემის შეუძლებლობა, რომლითაც სავალდებულო მემკვიდრე მამკვიდრებლის სიცოცხლეში არ სარგებლობდა, ხოლო ანდერძისმიერი მემკვიდრე სარგებლობდა საცხოვრებლად (საცხოვრებელი სახლით, ბინით, აგარაკითა და სხვა) ან იყენებდა, არსებობის ძირითად წყაროდ (შრომის იარაღი, შემოქმედებითი სახელოსნო და ა.შ) ასეთ დროს სასამართლოს უფლება აქვს, სავალდებულო მემკვიდრეს განუსაზღვროს სამკვიდროში ქონების, სავალდებულო წილის, შესაბამისი კომპენსაცია სსკ 1481; 1482 და 1483-ე მუხლების შესაბამისად (სსკ 1481-ე მუხლის თანახმად ქონების გაყოფისას მემკვიდრეს, რომელიც სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ ერთი წლის მანძილზე ცხოვრობდა მამკვიდრებელთან ერთად, აქვს სამკვიდროდან საცხოვრებელი სახლის, ბინის ან სხვა საცხოვრებელი სადგომის,

ასევე საოჯახო მოხმარების საგნების მიღების უპირატესი უფლება. 1482-ე მუხლის მიხედვით: უპირატესი უფლების განხორციელებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ სხვა მემკვიდრეთა ქონებრივი ინტერესები, რომლებიც სამკვიდროს გაყოფაში მონაწილეობენ. თუ ქონება საკმარისი არ იქნება მათი კუთვნილი წილის მისაღებად, მაშინ მემკვიდრეებმა, რომლებიც უპირატეს უფლებას ახორციელებენ, უნდა მისცენ მათ შესაბამისი ფულადი ან ქონებრივი კომპენსაცია.

3. სავალდებულო წილის გამონაგარიშების საგამონაკლისო წესები

3.1. გაჩუქებული ქონება და სამკვიდროს ღირებულება სავალდებულო წილის მოცულობის დადგენისათვის

სავალდებულო წილის განსაზღვრისათვის სამკვიდრო ქონების მთელი მოცულობაში შესაძლებელია შევიდეს გაჩუქებული ქონება. ამგვარი ქონება სამკვიდროს გასხნის დროისათვის მამკვიდრებლის საკუთრებაში აღარ არის, გაჩუქებულია მესამე პირზე და შესაბამისად არც სამკვიდრო აქტივს წარმოადგენს, თუმცა სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულია გაჩუქებული ნივთის ხარჯზე სავალდებულო წილის გაზრდის შესაძლებლობა. თუ მამკვიდრებელმა აჩუქა ნივთი მესამე პირს, მაშინ სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით, რომლითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი, თუკი გაჩუქებული ნივთი სამკვიდროში შევა. გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში გათვალისწინება იმას ნიშნავს, რომ ამ ნივთის ღირებულება გათვალისწინებული იქნება სამკვიდროს ღირებულების და სავალდებულო წილის განსაზღვრის დროს. რაც ბუნებრივია იმას არ ნიშნავს, რომ მამკვიდრებელს ეკრძალება თავისი ქონების გაჩუქება ანდა გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში გათვალისწინება გამოიწვევს ჩუქების ხელშეკრულების შეწყვეტას და საჩუქრის უკანვე დაბრუნებას.⁷²¹

სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირების დაცვისა და მამკვიდრებლის მიერ ანდერძის თავისუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით კანონმდებელმა დაადგინა, რომ მამკვიდრებლის სიცოცხლის განმავლობაში განხორციელებული ჩუქებები სავალდებულო წილის დაანგარიშებისას დანამატის მოთხოვნის უფლების ფარგლებში გათვალისწინებული იქნას. ამ ნორმის მიზანია სავალდებულო წილის უფლების მქონე პირთა დაცვა ისეთი შემთხვევებისგან, როცა მამკვიდრებელი თავისი ქონების მცირე ან დიდ ნაწილს მისი სიცოცხლის განმავლობაში აჩუქებს და ამ გზით ამცირებს სამკვიდრო მასას და შესაბამისად, სავალდებულო წილის უფლებაც უფასურდება, თუმცა ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენება გარკვეულ პრობლემებს ქმნის. გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში გათვალისწინება სავალდებულო წილის განსაზღვრისას მოხდება

⁷²¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა “სამართალი”, თბ, 2000, გვ.432.

სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირის მოთხოვნით. აღნიშნული წესი არ იმოქმედებს თუ სამკვიდროს გახსნის დროისთვის საჩუქრის გადაცემიდან 10 წელია გასული.

ანალოგიური მოწესრიგებაა მოცემული გსკ-ის 2325-ე პარაგრაფით⁷²² რომლის მიხედვით, სავალდებულო წილზე დანამატის მოთხოვნისთვის მნიშვნელობა აქვს ჩუქებას, რომელიც მამკვიდრებელმა 10 წლის განმავლობაში განახორციელა. დანამატის მოთხოვნა ითვალისწინებს სავალდებულო წილზე უფლებას, ამასთან, სახეზე უნდა იყოს ჩუქების შედეგად მამკვიდრებლის ქონების შემცირება.⁷²³ ამ დებულების მიზანია, მამკვიდრებლის ახლო ნათესავებისთვის და ოჯახის წევრებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს კონსტიტუციით გარანტირებული სამკვიდროში წილის ქონის უფლება.⁷²⁴ სავალდებულო წილის დაანგარიშებისას მნიშვნელოვანია სამკვიდროს გახსნის დროისათვის არსებული სამკვიდროს მოცულობა და მისი ღირებულება. კონსტიტუციით გარანტირებული სამკვიდრო მასაში მინიმალური სავალდებულო მონაწილეობა კარგავს თავის პრაქტიკულ მნიშვნელობას, თუ მამკვიდრებელი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გააჩუქებს მთელს თავის ქონებას ან მის მნიშვნელოვან ნაწილს. გსკ-ის 2325-ე პარაგრაფი ყოველთვის იყო სამართლებრივი დავის საგანი. გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში დავას იწვევდა, სავალდებულო წილის დანამატის მოთხოვნის უფლების მინიჭებისას მამკვიდრებლის მიერ 10 წლის განმავლობაში დადებული უსასყიდლო გარიგებები უნდა შესულიყო თუ არა სამკვიდრო მასაში, მაშინ როცა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირი გარიგების დადების მომენტში არ მიეკუთვნებოდა ასეთ პირთა წრეს.

გერმანიის უზენაესი სასამართლო თავის ორ გადაწყვეტილებაში⁷²⁵ ავითარებს მოსაზრებას, რომ სავალდებულო წილზე დანამატის მოთხოვნის უფლებამოსილი პირებისთვის აუცილებელია ეგრეთ წოდებული "ორმაგი უფლებამოსილება",D (Doppelberechtigung) რაც გულისხმობს იმას, რომ დანამატის მოთხოვნის უფლების მქონე პირს ასეთი უფლება უნდა ჰქონდეს როგორც ჩუქების მომენტში, ასევე

⁷²² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ გვერდზე <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>

⁷²³ BGH, Urt. v. 10.12.2003 – IV ZR 249/02, NJW, 1382.

⁷²⁴ OLG Hamm, Urt. v. 2.08.2012, Az 10. U 118/112

⁷²⁵ BGH, Urt. v. 21.06.1972, Az.: IV ZR 69/71; Urt. v. 25.06.1997, Az.: IV ZR 233/96

სამკვიდროს გახსნის დროსაც. ამ პრინციპის მიხედვით, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდათ მათ, ვისაც ასეთი უფლება წარმოეშვათ ჩუქების შემდეგ, მაგალითად დაქორწინდა ჩუქების შემდეგ, ასევე, შვილები რომლებიც ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ დაიბადნენ. ორივე საქმეში დავა წარმოიშვა პირველი ქორწინებიდან მამკვიდრებლის შვილებსა და მეორე ქორწინებიდან მეუღლეს შორის. მამკვიდრებელმა მეორედ იქორწინა მას შემდეგ, რაც მან სამკვიდროს დიდი ნაწილი ჩუქებით გადასცა პირველი ქორწინებიდან შეძენილ შვილებს. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ცოცხლად დარჩენილმა მეორე მეუღლემ როგორც სავალდებულო წილზე უფლებამოსილმა პირმა მოითხოვა სავალდებულო წილზე დანამატის მოთხოვნის გზით სამკვიდრო მასაში ყველა იმ გაჩუქებული ქონების გათვალისწინება, რაც მისმა გერებმა მამკვიდრებლის მეორე ქორწინებამდე მიიღეს. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ორივე გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მეორე მეუღლეს ქორწინებამდე განხორციელებული ჩუქების ხელშეკრულებებიდან სავალდებულო წილზე დანამატის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. სასამართლომ მიუთითა, რომ გსკ-ის 2325 პარაგრაფის პირველი ნაწილი მხოლოდ სიტყვასიტყვით არ უნდა განიმარტოს. ეს ნორმა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირებს იცავდა და ეხებოდა ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტში წარმოშობილ ურთიერთობებს. სწორედ ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე არსებულ სავალდებულო წილის უფლებას იცავს გსკ-ის 2325 პარაგრაფი, ხოლო ვინც ასეთ უფლებას ჩუქების შემდეგ იძენს, ეს ნორმა მათ არ იცავს. გერმანიის უზენაესი სასამართლო ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებში განმარტავს, რომ სავალდებულო წილის უფლების მქონე პირებს გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ (10 წელი გსკ-ის 2325 პარაგრაფის მიხედვით) უნდა ეთმინათ ჩუქების შედეგად მომხდარი ქონებრივი ურთიერთობების ცვლილება, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ სამკვიდრო მასის მოცულობის შენარჩუნების ინტერესი. მაშინ როცა კანონი 10 წლით შემოფარგლავდა ხელშეკრულების მოშლისაგან იმ პირთა ინტერესს, რომლებიც ჩუქების განხორციელების მომენტში სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირებს წარმოადგენდნენ, იმ პირებს, რომელთაც ჩუქების მომენტში არ ჰქონდათ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება, არ შეიძლება ჰქონოდათ

ხელშეკრულების მოშლისაგან დაცვის ინტერესი (ჩუქების ხელშეკრულების შენარჩუნების ინტერესი). უზენაესი სასამართლოს ამ მოსაზრებამ იურიდიულ წრეებში ნაკლები მოწონება ჰპოვა, უმეტესად კი კრიტიკის საგანი გახდა. ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებს სხვა თანმდევი პრობლემებიც მოჰყვა. მაგალითად, შთამომავლები, რომლებიც ჩუქების მომენტში ცოცხალი იყვნენ, მაგრამ სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვალენ, ჰქონდათ თუ არა მათ მემკვიდრეებს დანამატის მოთხოვნის უფლება.

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 23 მაისს სავალდებულო წილის დანამატის მოთხოვნაზე სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო⁷²⁶ და განმარტა, რომ დანამატის მოთხოვნის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებსაც ჩუქების მომენტში ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სავალდებულო წილზე უფლება. წინა გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით ეს შემთხვევა ეხებოდა მამკვიდრებლის შთამომავლების მიერ დანამატის მოთხოვნის უფლებას. ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ უარი თქვა „ორმაგი უფლებამოსილების“ თეორიის გამოყენებაზე და განმარტა, რომ დანამატის მოთხოვნის წინაპირობას არ წარმოადგენს ჩუქების მომენტში სავალდებულო წილის უფლების არსებობა. უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებას აფუძნებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2325-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის სიტყვა-სიტყვით ანალიზზე და განმარტავს რომ, ნორმის შინაარსიდან არ გამომდინარეობს, რომ სავალდებულო წილის უფლებამოსილება დამოკიდებულია ჩუქების მომენტზე. პირიქით, სავალდებულო წილის უფლებამოსილებისთვის მნიშვნელობა აქვს სამკვიდროს გახსნის მომენტს და საკმარისია ასეთი უფლებამოსილება არსებობდეს სწორედ სამკვიდროს გახსნისას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასევე არ შიცავს რაიმე დათქმას ჩუქების მომენტთან დაკავშირებით, მიხედვად ამისა სავალდებულო წილის გამომანგარიშების დროს გაჩუქებული ქონების სამკვიდრო მასაში შესვლისათვის ე.წ. "ორმაგი უფლებამოსილების" თეორიის სრულად უგულვებელყოფამ შესაძლოა ანდერძისმიერი მემკვიდრეები საერთოდ ჩამოაცილონ მემკვიდრეობას. მაგალითად თუკი გაჩუქებული ქონება არის 1000 ლარის ღირებულების და ამდენივეა

⁷²⁶ BGH, Urt. v. 23. Mai 2012 – IV ZR 250/11

ნაანდერძევი ქონება სავალდებულო წილი ერთადერთი სავალდებულო მემკვიდრის შემთხვევაში გამოიანგარიშება 2000 ლარიდან, საიდანაც სავალდებულო მემკვიდრის მისაღების წილი 1000 ლარი იქნება, ხოლო ანდერძისმიერი მემკვიდრე ვერაფერს ვერ მიიღებს. გაჩუქებული ქონების სამკვიდროში შესაყვანად სასამართლომ უნდა გაარკვიოს ნაჩუქრობის ხელშეკრულებით, ხომ არ მოხდა მოანდერძის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება, სავალდებულო მემკვიდრეთა მემკვიდრეობიდან ჩამოშორების მიზნით, იმ ვითარებაში, როდესაც ისინი მამაკვიდრებლის საანდერძო განკარგულებით ისედაც კარგავდნენ მემკვიდრეობას. სავალდებულო მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობა საანდერძო განკარგულებით, ხოლო სამკვიდრო მასაში შესული ქონება სამკვიდროს გახსნამდე გააჩუქა მამკვიდრებელმა, სავალდებულო მემკვიდრეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს დანამატის მოთხოვნის უფლებით. სარჩელი მოსარჩელისათვის ნიშნავს სასამართლო დაცვის მოთხოვნას უსამართლობის წინააღმდეგ, ხოლო მოსამართლე უნდა იყოს სამართლის არა უბრალო გამომყენებელი, არამედ მისი განმარტების შემოქმედი, რადგან კანონის განმარტება იგივეა, რაც მისი ხელახალი შექმნა: მოდავე მხარეები ემორჩილებიან კანონს იმ სახით, რა სახითაც იგი განმარტებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში — ანუ ზოგად წესს, რომელიც ცნობილი გახდა მხოლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.⁷²⁷

სავალდებულო წილზე დამატების მოთხოვნის უფლება გულისხმობს ფულადი თანხის გადახდას და მემკვიდრეს უფლებას არ აძლევს მოითხოვოს ჩუქების ხელშეკრულების შეცილება.⁷²⁸ სავალდებულო წილზე დამატების მოცულობის დაანგარიშებისას ივარაუდება, რომ გაჩუქებული ნივთი შედის სამკვიდროში. ანუ დამატების მოცულობის დაანგარიშებისას გადამწყვეტია ე.წ. ფიქტიური სამკვიდრო, რომელიც მოიცავს გაჩუქებული ნივთის ღირებულებას და სამკვიდროს რეალურ ღირებულებას ერთობლიობაში. სავალდებულო წილის კვოტა განისაზღვრება სამკვიდროს გახსნის მომენტის და არა ჩუქების მომენტის მიხედვით. მაგალითად: სამკვიდრო შეადგენს 12 000 ევროს, საიდანაც ერთადერთი შვილის სავალდებულო წილია $1/4=3000$, 4000 ევროს გაჩუქების შემთხვევაში ფიქტიური სამკვიდრო მოიცავს

⁷²⁷ Амосов С.М. Судьи. Суд. Процесс. Журнал “Законодательство”. Раздел “Проблемы законодательства”, М. 2007. № 3; С 79-81

⁷²⁸ BGH, Urt. v. 27 März 1996 - IV ZR 185/95 = NJW 96, 1743

16 000, საიდანაც $1/4=4000$. სავალდებულო წილისთვის სხვაობა შეადგენს 1000 ევროს, რომლის დამატების მოთხოვნის უფლება აქვს მემკვიდრეს.⁷²⁹ კონკრეტულ საქმეში⁷³⁰ მოპასუხეს წარმოადგენდა დასაჩუქრებული, რომელმაც მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ მიიღო არა უშუალოდ მამკვიდრებლისგან, არამედ მამკვიდრებლის მეუღლისგან, რომელმაც თავის მეუღლეს საჩუქრად გადასცა მიწის ნაკვეთის, ხოლო ამ უკანასკნელმა აღნიშნული მიწის ნაკვეთი გააჩუქა მოპასუხეზე (შვილზე). ასეთ შემთხვევაში სავალდებულო წილის უფლების მქონე პირის სასარგებლოდ გამოიყენება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 822-ე პარაგრაფი. ამ ნორმის მიხედვით მესამე პირი – ამ შემთხვევაში მოპასუხე – რომელმაც მიმღებისგან შესრულება უსასყიდლოდ მიიღო, ვალდებულია მიღებულის დაბრუნებაზე, თუ მან შესრულება მიიღო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

სავალდებულო წილი განისაზღვრება სამკვიდროს მთლიანი მოცულობიდან და სამკვიდროს ღირებულება გამოითვლება ქონების მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში არსებული მდგომარეობის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არაფერს განმარტავს იმაზე, სამკვიდროს ღირებულების გამოთვლისას მისგან გამოიქვითება თუ არა მამკვიდრებლის მოვლის, მკურნალობის და დაკრძალვის ხარჯები, სამკვიდროს დაცვისა და აღწერის ჩატარების ხარჯები. ისევე როგორც ეს გათვალისწინებულია მაგალითად შვეიცარიის,⁷³¹ ესტონეთის⁷³² და სავალდებულო წილთან დაკავშირებული საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით.⁷³³ სავალდებულო წილის მემკვიდრეს სხვა მემკვიდრეთა მსგავსად ევალება გადაიხადოს მიღებული სამკვიდრო აქტივის ფარგლებში მამკვიდრებლის ვალები. ასევე თუ მემკვიდრე რამდენიმეა, სავალდებულო, ანდერძისმიერი და ა.შ. მათ შორის სამკვიდროს გაყოფამდე იგი ერთიანი ქონების სახით ეკუთვნის ყველა თანამემკვიდრეს. ამ ქონებიდან შეიძლება გადახდილ იქნეს მამკვიდრებლის მოვლისა და უკანასკნელი ავადმყოფობის მკურნალობის, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვის, ხელფასის გასტუმრების, ანდერძის აღსრულების აუცილებელი

⁷²⁹ BGB, Palandt, 73. Aufl., 2014, § 2303, Rn 1

⁷³⁰ OLG Hamm, Urt. v. 8. Juni 2010 - Az. 10 U 10/10

⁷³¹ შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. თბილისი 2018.

⁷³² ესტონეთის სამოქალაქო კოდექსი <https://v1.juristaitab.ee/ru/zakonodatelstvo/zakon-o-nasledovanii>

⁷³³ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი https://www.notary.Ge/res/docs/sakanonmdeblo/_elegtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf

ხარჯები. ეს მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს სამკვიდროს ღირებულებიდან ყველა სხვა, მათ შორის, იპოთეკისა და სხვა გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნების უპირატესად.⁷³⁴ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ თანხებს გაიღებს მხოლოდ ერთი მემკვიდრე, რომელიც მოითხოვს გაწული ხარჯების ანაზღაურებას სხვა სავალდებულო და ანდერძისმიერ მემკვიდრეების მიმართ. მამკვიდრებლის ავადმყოფობისა და მკურნალობის ხარჯების დაკისრებისათვის მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი რელევანტური მტკიცებულებები ცხადია, თუმცა რთულია სარიტუალო ღონისძიებებისათვის (დაკრძალვა; გარდაცვალებიდან ორმოცი დღის მოსახსენიებლისა და ქელებისთვის გაწული ხარჯის, საფლავის მოწყობის) გაწული ხარჯების ოდენობის დადასტურება, რომელიც, სასამართლომ გონივრულობისა და მიზანშეწონილობის მინიმალური სტანდარტიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს.⁷³⁵ თუ მამკვიდრებელმა დატოვა 10 000 ლარის ქონება და ამგვარი ხარჯებისათვის გადახდილია 2 000 ლარი, სავალდებულო წილი უნდა გამოანგარიშდეს 8.000 ლარიდან, საიდანაც მაგალითად თუ პირველი რიგის მემკვიდრე ერთადერთია მიიღებს 4000 ლარს, ხოლო ამგვარი გამოქვითვის გარეშე კი მიიღებს 5000 ლარს, საიდანაც ისედაც ვალდებული იქნება დაფაროს მამკვიდრებლის ყველა ეს ხარჯები. ამდენად, სავალდებულო მემკვიდრისათვის წილის გამოთვლისას სამკვიდრო ღირებულებას უნდა გამოაკლოს მამკვიდრებლის მოვლისა და ავადმყოფობის მკურნალობის, დაკრძალვის, სამკვიდროს დაცვისა და მართვის, ხელფასის გასტუმრების, ანდერძის აღსრულების აუცილებელი ხარჯები და დარჩენილი ღირებულებიდან გამოიანგარიშოს სავალდებულო წილი და არა პირიქით ჯერ განსაზღვროს სავალდებულო წილის მოცულობა მთელი სამკვიდროს ღირებულებით და შემდეგ განიხილოს სასამართლომ სავალდებულო მემკვიდრისათვის ამ ხარჯების დაკისრების საკითხი. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც სავალდებულო მემკვიდრე მიიღებს სავალდებულო წილს მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება სასამართლო სამართაწარმოება ანდერძისმიერი მემკვიდრის სარჩელზე სავალდებულო მემკვიდრისათვის ხარჯების დაკისრების თაობაზე. ამას თან ერთვის ხშირად გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემებიც,

⁷³⁴ სსკ 1334-ე მუხლი

⁷³⁵ სუსგ საქმე №ას-708-662-2017; სუსგ საქმე #ას-409-386-2014; #ას791-748-2015 და სუსგ საქმე #ას-253-240-2015 წ.

თუკი სავალდებულო მემკვიდრეს საკუთრებაში აღარ ექნება ქონება რაზედაც შესაძლებელია იძულებითი აღსრულების მიქცევა.

3.2. სავალდებულო მემკვიდრე როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრე და წილის გათანაბრება

სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირი შესაძლებელია ანდერძისმიერი მემკვიდრეც იყოს⁷³⁶, ასეთ შემთხვევაში მან უნდა მიიღოს ანდერძით გათვალისწინებული ქონება, რადგან სავალდებულო წილის მიღების საკითხი დგება იმ შემთხვევაში, როცა მემკვიდრე ანდერძით არ არის გათვალისწინებული თუმცა გამორიცხული არ არის შემთხვევევა, რომ სავალდებულო მემკვიდრეებისათვის ანდერძით გათვალისწინებული იქნეს იმაზე ნაკლები ქონება, რასაც იგი სავალდებულო წილის სახით მიიღებდა. ე.ი. ანდერძით გათვალისწინებული ქონება იმ წილის ნახევარზე ნაკლებია, რასაც იგი კანონით მემკვიდრეობის დროს მიიღებდა. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრე სამკვიდროს ანდერძის მიხედვით იღებს, მაგრამ შეუძლია ანდერძში მიღებული ქონების ზემოთ მოითხოვოს ის წილი, რომლითაც ანდერძით მიღებული იმ წილზე ნაკლებია, რასაც იგი სავალდებულო წილის სახით მიიღებდა ანდერძით მემკვიდრე რომ არ ყოფილიყო.⁷³⁷ ამგვარ ვითარებაში ქონების შეფასება მოხდება სამკვიდროს გახსნის მომენტის საბაზრო ღირებულებით და სავალდებულო მემკვიდრემ უნდა დაამტკიცოს რომ ნაანდერძევი ქონება სავალდებულო წილზე ნაკლებია.⁷³⁸ დამატებითი სავალდებულო წილის მიღების მოთხოვნის შესაძლებლობა გათვალისწინებულია გსკ-ის 2305-ე მუხლით⁷³⁹: თუ მამკვიდრებელმა სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს უანდერძა სამკვიდრო წილი, რომელიც სავალდებულო წილის ოდენობაზე ნაკლებია, მაშინ მას აქვს დამატებითი სავალდებულო წილის მიღების მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში, როდესაც მამკვიდრებელს ოდენობა არ დაუდგენია, არამედ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს შესაბამისი ნივთების მიღება განუსაზღვრა, უნდა შემოწმდეს, აღნიშნული ნივთების ღირებულება სავალდებულო წილის მოთხოვნის ღირებულებაზე ნაკლებია თუ არა. ამ მოთხოვნაში იგულისხმება ფულადი

⁷³⁶ სსკ 1379-ე მუხლი

⁷³⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა “სამართალი”, თბ, 2000, 433.

⁷³⁸ სუსგ განჩინება საქმე # ას-531-505-2013 4 დეკემბერი 2013 წელი

⁷³⁹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>

მოთხოვნა, თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი თანამემკვიდრედ არის დასახელებული, სამკვიდროს გაყოფაში მონაწილეობას იღებს. ამ საფუძვლებიდან გამომდინარეობს – ინტერესების გათვალისწინებით – შემდეგი: სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს არ შეუძლია მის მიერ მისაღები სრული მემკვიდრეობის წილი მიიღოს ფულად და პირიქით, თუ მისთვის გარკვეული ნივთები სამკვიდრო ქონებიდან ინტერესს იწვევს, მაშინ მამკვიდრებელს შეუძლია დამატებითი მოთხოვნის წაყენება იმდენად აიცილოს თავიდან, რომ გარკვეული პირობების გათვალისწინებით სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირი დაასახელოს მემკვიდრედ, და ამით ეს უკანასკნელი დამატებით მოთხოვნას აღარ წააყენებს.⁷⁴⁰

სავალდებულო წილის მემკვიდრე მოვალეა სავალდებულო წილში ჩათვალოს ყველაფერი, რაც მამკვიდრებლისაგან მიიღო მის სიცოცხლეში იმაზე მითითებით, რომ მიღებული ჩაითვალოს სავალდებულო წილში. ამდენად, სავალდებულო წილის უფლების მიღების მქონე პირს სავალდებულო წილში ჩათვლება ის ქონება, რაც მას სამკვიდროს გახსნამდე მიიღო მამკვიდრებლისაგან, მაგრამ ამისათვის აუცილებელია იმის წინასწარ დათქმა, რომ ის ქონება სავალდებულო მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნის შემდეგ ჩათვლება სავალდებულო წილში.⁷⁴¹ ერთ-ერთ სამოქალაქო დავაში⁷⁴² სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხეთა პრეტენზია, რომ მოსარჩელეს მამის სიცოცხლეში სავალდებულო წილი მიღებული ჰქონდა, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მამკვიდრებლის საკუთრებაში მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის არსებობა და მოსარჩელეზე ამ ქონების გადაცემა და რომ უძრავი ქონების განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმიდან გამომდინარე, აღნიშნული გარემოების დადასტურება მხოლოდ მოპასუხეთა ზეპირი განცხადების საფუძველზე დაუშვებელია. ამდენად, მამკვიდრებლის სიცოცხლეში მიღებული ქონების სავალდებულო წილში ჩათვლა მხოლოდ იმ პირობით დაიშვება, თუ მამკვიდრებელმა ამაზე მიუთითა. ამ გარემოების დადასტურების ტვირთი კი ანდერძისმიერ მემკვიდრეს აწევს. სავალდებულო მემკვიდრემ რომელმაც მამკვიდრებლის სიცოცხლეში მიიღო

⁷⁴⁰ Staudinger/Haas, § 2305, Rn. 14f.

⁷⁴¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა “სამართალი”, თბ, 2000, გვ. 430.

⁷⁴² სუსგ განჩინება საქმე ას-1163-1308-08. 2 ივნისი 2009 წელი

გარკვეული ქონება სავალდებულო წილში უნდა მიითვლოს იგი და მისი (სიცოცხლეში მიღებული ქონების) შეფასება მოხდება არა ქონების მიღების დროის საბაზრო ღირებულებით, არამედ სამკვიდროს გახსნის მომენტის საბაზრო ღირებულებით.

3.3. სავალდებულო მემკვიდრე და საანდერძო დანაკისრი

სავალდებულო წილის მემკვიდრე შესაძლებელია ანდერძით მემკვიდრე იყოს და ამავდროულად საანდერძო დანაკისრის შესრულებაც ევალებოდეს, ასეთ შემთხვევაში მან საანდერძო დანაკისრი უნდა შეასრულოს მისთვის ნაანდერძევი მხოლოდ იმ ნაწილის ფარგლებში, რაც სავალდებულო წილის ზემოთ მიიღო.⁷⁴³ თუ მემკვიდრეს რომელიც ანდერძით მემკვიდრეცაა და ამავე დროს სავალდებულო მემკვიდრეს წარმოადგენს, საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, უპირველესად უნდა გაირკვეს, თუ რა მოცულობით მიიღებდა იგი სავალდებულო წილს ანდერძით მემკვიდრე რომ არ ყოფილიყო. თუ გამოირკვა რომ ანდერძით გათვალისწინებული ქონება სავალდებულო წილს არ აღემატება ან მასზე ნაკლებია, მაშინ მემკვიდრე რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება დაევალა, ამ მოვალეობისაგან თავისუფლდება, თუ ანდერძით გათვალისწინებული ქონება სავალდებულო წილზე მეტია, მაშინ მემკვიდრემ დანაკისრი უნდა შეასრულოს, მაგრამ მხოლოდ იმ წილის ფარგლებში რაც სავალდებულო წილს აღემატება.

სავალდებულო წილის მემკვიდრე ასევე შესაძლებელია საანდერძო დანაკისრის (ლეგატის) მიმღებიც იყოს. ასეთ დროს მას შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, თუ უარს იტყვის საანდერძო დანაკისრის მიღებაზე; თუკი იგი საანდერძო დანაკისრზე უარს არ იტყვის, მაშინ კარგავს უფლებას სავალდებულო წილზე საანდერძო დანაკისრის ღირებულების ფარგლებში) როცა პირი ერთდროულად სავალდებულო მემკვიდრეცაა და საანდერძო დანაკისრის მიმღებიც, მაშინ მას არჩევის უფლება აქვს – შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, მაგრამ უარი უნდა თქვას საანდერძო დანაკისრის მიღებაზე. თუ ის საანდერძო დანაკისრის მიღებაზე უარს არ იტყვის, მაშინ ორთავეს მიიღებს, მაგრამ სავალდებულო წილს

⁷⁴³ ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბ. 2007 გვ 53.

გამოაკლდება საანდერძო დანაკისრის ღირებულება.⁷⁴⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2307-ე მუხლის მიხედვით, ⁷⁴⁵ როცა სავალდებულო წილის მიღების უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ დადგენილია საანდერძო დანაკისრი, მას აქვს არჩევის უფლება. მას შეუძლია მიიღოს საანდერძო დანაკისრი და თუ საანდერძო დანაკისრის ღირებულება არ არის საკმარისი, მოითხოვოს სავალდებულო წილიდან იმ დანაკლისის ოდენობით თანხით დაკმაყოფილება. მას ასევე შეუძლია უარი თქვას საანდერძო დანაკისრზე და სრულად მიიღოს სავალდებულო წილი. იმისათვის, რომ მემკვიდრისათვის დროულად იყოს ნათელი. მემკვიდრეს, რომელსაც ეკისრება საანდერძო დანაკისრი, შეუძლია სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს განუსაზღვროს დრო საანდერძო დანაკისრის მიღების შესახებ შეტყობინებისთვის. (საანდერძო დანაკისრის ზოგადი ნორმები ლეგატარის მიერ შეტყობინების (განცხადების) ასეთ ვალდებულებას არ ითვალისწინებს.). თუ ლეგატარი ვადის გასვლამდე არ განაცხადებს საანდერძო დანაკისრის მიღების თაობაზე, მაშინ მიიჩნევა რომ მან უარი თქვა მიღებაზე (§ 2307 აზ. 2). § 2307 ასევე მოქმედებს პირობადებულ ვადიან საანდერძო დანაკისრზეც, თუ ლეგატარი უარს იტყვის დანაკისრის მიღებაზე (და ამით სავალდებულო წილზეც) მაშინ იგი არაფერს არ მიიღებს, თუ შესაბამისი პირობა არ დადგა.⁷⁴⁶ თუ მემკვიდრეს წინასწარ საანდერძო დანაკისრი და კანონისმიერი სამკვიდრო წილი პროპორციულად აქვს დადგენილი, მაშინ მან ორივეზე უნდა თქვას უარი, რათა შემლოს დამატებითი სავალდებულო წილის მოთხოვნის წამოყენება.⁷⁴⁷

⁷⁴⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა “სამართალი”, თბ, 2000, 430.

⁷⁴⁵ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>

⁷⁴⁶ Staudinger/Haas, § 2307, Rn. 20-23

⁷⁴⁷ OLG Düsseldorf, 17.05.1996 - 7 U 126/95

X. სავალდებულო წილის მომსწესრიგებელი ნორმები ევროპული და ისლამური ქვეყნების მემკვიდრეობის სამართალში

სავალდებულო წილის სამართლებრივი რეგულაციები მეტნაკლები სახესხვაობითაა წარმოდგენილი ევროპული და ისლამურ ქვეყნების სამემკვიდრეო სამართალში. ამ მხრივ განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს სამართლებრივი დიფერენციები სავალდებულო წილის მიმღებ პირთა წრისა და სავალდებულო წილის გამოთვლის მექანიზმის თავისებურებათა შესახებ. ქართული კანონმდებლობით სავალდებულო მემკვიდრეები არიან მამკვიდრებლის შვილები, მშობლები და მეუღლე, ამ მემკვიდრეებს არ შეიძლება ჩამოერთვათ მემკვიდრეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი უღირს მემკვიდრეებად არიან ცნობილნი. პირები, რომლებისაც მემკვიდრეობის უფლება არ აქვთ (უღირსი მემკვიდრეები) სავალდებულო წილის მისაღებად მოწვეულნი არ იქნებიან. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება სამკვიდროს გახსნის მომენტიდან წარმოიშობა და მემკვიდრეობით გადადის. სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობა განისაზღვება მთელი სამკვიდროთი, მათ შორის იმ ქონების ჩათვლით, რომელიც გათვალისწინებულია სანდერძო დანაკისრის ან საერთო სარგებლობის მიზნით რაიმე მოქმედების შესასრულებლად. სავალდებულო წილის განსაზღვრასა და მხედველობაში მიიღება ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეულნი იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ არსებულებო. ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის⁷⁴⁸ მიხედვით სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეები არიან მამკვიდრებლის შვილები. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 913-ე მუხლის მიხედვით სავალდებულო წილის ოდენობა შეადგენს: ა) ქონების $\frac{1}{2}$, თუ ერთი შვილი ჰყავს მამკვიდრებელს; ბ) თუ მამკვიდრებელს ორი შვილი ჰყავს, თითოეულზე $\frac{1}{3}$ -წილი. გ) თუ სამი ან სამზე მეტი შვილი ჰყავს $\frac{1}{4}$ -წილს თითოეულზე. ამავე კოდექსის 1004 მუხლის თანახმად, სავალდებულო წილის

⁷⁴⁸ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი <https://www.legifrance.gouv.fr/> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2014წ.

მიმღები პირები დაცული არიან კანონით და ანდერძის შინაარსის მიუხედავად მიიღებენ თავიანთ კუთვნილ წილს. 914 მუხლის მიხედვით მამკვიდრებლის მეუღლეს ეკუთვნის ქონების $\frac{1}{4}$ ნაწილი იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელს შვილები არ ჰყავს. ამასთანავე, მამკვიდრებელს თავის ქონების მხოლოდ $\frac{3}{4}$ ნაწილი შეუძლია განკარგოს სიცოცხლეში ან ანდერძით. თუ მამკვიდრებლის შვილი ამავდროულად არის მამკვიდრებლის მეუღლის შვილი, მაშინ მამკვიდრებლის მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს თავისი შვილების ქონებით სარგებლობის უფლება (უზუფრუქტი). ამასთან ერთად საფრანგეთის კანონმდებლობა აზუსტებს, რომ სავალდებულო წილის გარეთ რჩება ქონება, რომელიც მამკვიდრებელს შეუძლია უანდერძოს თავის მეუღლეს. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებაზე ხანდაზმულობის ვადა განსაზღვრულია 921-ე მუხლით, ასეთი მოთხოვნის უფლება სავალდებულო წილის მიმღებ მემკვიდრეებს აქვთ 5 წლის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნიდან ან 2 წლის განმავლობაში იმის შემდგომ, რაც მათ შეიტყვეს აღნიშნულის შესახებ. რაც შეეხება სავალდებულო წილის მოცულობის გამოთვლას, ქართული კანონმდებლობის მსგავსად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 920-ე მუხლში განმარტავს: თუ მამკვიდრებელმა სავალდებულო წილის მიმღებ ერთ ან რამოდენიმე პირს აჩუქა ქონება, აღნიშნული ქონება შევა სავალდებულო წილის მოცულობაში. 922-ე მუხლის თანახმად კი, სავალდებულო წილის მოცულობის გამოთვლისას აკლდება მამკვიდრებლის ვალები. ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში საინტერესოა 921-ე და 930 მუხლების შინაარსი: მამკვიდრებლის მიერ სიცოცხლეში გაღებული შეწირულობის (დონაცია) შემცირების მოთხოვნის უფლება აქვს მემკვიდრეს. აღნიშნული ქმედების განხორციელება იწყება ყველაზე ბოლოს გაღებული შეწირულობით. ფუნდამენტალური მსგავსებაა სავალდებულო წილის, როგორც უფლებებს შორის ქართულ და ფრანგულ კანონმდებლობაში: მიუხედავად ანდერძისა, საფრანგეთში შვილები ყველა შემთხვევაში მიიღებენ სავალდებულო წილს. საინტერესოა სავალდებულო წილის მიმღებ პირებისათვის მამკვიდრებლისგან მიღებული ქონების ჩათვლის საკითხის შედარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან: ფრანგული კანონმდებლობის თანახმად, თუ მამკვიდრებელმა სავალდებულო წილის მიმღებ ერთ ან რამოდენიმე პირს აჩუქა ქონება, აღნიშნული ქონება შევა სავალდებულო წილის მოცულობაში, ხოლო

ქართული კანონმდებლობით: პირი, რომელსაც აქვს სავალდებულო წილის მიღების უფლება, მოვალეა სავალდებულო წილში ჩათვალოს ყველაფერი, რაც მამკვიდრებლისგან მიიღო მის სიცოცხლეში იმაზე მითითებით, რომ მიღებული ჩათვალოს სავალდებულო წილში. ამდენად, ქართული ნორმა იმპერატიულად ადგენს მითითებას იმაზე, რომ მამკვიდრებლის მიერ სიცოცხლეში მასზე გადაცემული ქონება ჩაითვლება სავალდებულო წილში, თუ არსებობს მამკვიდრებლის შესაბამისი მითითება აღნიშნული ქონების სავალდებულო წილში ჩათვლის თაობაზე, რასაც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში ვერ ვხვდებით.

ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის⁷⁴⁹ 806-822-ე მუხლები განმარტავენ სავალდებულო წილის უფლებებს. 806-ე მუხლის თანახმად გარანტირებული წილი არის საკუთრების ის წილი, რომელსაც მამკვიდრებელი ვერ განკარგავს, რადგანაც კანონმდებლობით დაცულია სავალდებულო მემკვიდრეთა გარანტირებული წილის უფლება სამკვიდროში. 807-ე მუხლი კი შემდეგი თანმიმდევრობით განსაზღვრავს სავალდებულო წილის მიმღებ პირთა წრეს: სავალდებულო წილის მიმღები მემკვიდრეები არიან მამკვიდრებლის: 1. შვილები და შთამომავლები. 2. შვილების და შთამომავლების არ არსებობის შემთხვევაში მამკვიდრებლის მშობლები; 3. მეუღლე. სავალდებულო წილი შვილების და შთამომავლების შემთხვევაში შეადგენს მამის და დედის ქონების 2/3-ს, თუმცა მშობლებს შეუძლიათ განკარგონ 2/3 -ის 1/3 ნაწილი, როგორც გაუმჯობესება თავისი შვილების ან შთამომავლების სასარგებლოდ. მშობლებს შეუძლიათ ეს წილი გადასცენ ერთ შვილს კონკრეტულად ან შვილიშვილს. (808 მუხლი), დარჩენილი 1/3 მამკვიდრებელს შეუძლია თავისუფლად განკარგოს. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 809-ე მუხლი ადგენს იმ გარემოებას, როცა მამკვიდრებელს არ ჰყავს შვილები: იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელს შვილები არ ჰყავს, მამკვიდრებლის მშობლებსა ან მის წინაპარს ეკუთვნის იმ ქონების 1/2, რასაც მამკვიდრებლის შვილები მიიღებდნენ. თუ მამკვიდრებლის მეუღლეც ცოცხალია, მაშინ მამკვიდრებლის მშობლებს ეკუთვნის 1/3 ნაწილი იმისა, რასაც მამკვიდრებლის შვილები მიიღებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ გარდაცვლილის მეუღლე ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მართალია არის

⁷⁴⁹ ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი [http://derechocivil-ugr.es/attachments/article/45/spanish-civil-code.pdf/](http://derechocivil-ugr.es/attachments/article/45/spanish-civil-code.pdf) უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2019წ.

სავალდებულო წილის მიმღები პირი, თუმცა მას ქონების განკარგვის უფლება არ აქვს, მას მხოლოდ თავისი წილით სარგებლობის უფლება რჩება. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არც სხვა მემკვიდრეს (მამკვიდრებლის შვილს) არ აქვს უფლება მამკვიდრებლის მეუღლის სიცოცხლეში განკარგოს მისთვის სარგებლობაში გადაცემული ქონება. თუ ცოცხალია მხოლოდ მამკვიდრებლის წინაპარი (მაგ: მშობელი) მაშინ მამკვიდრებლის მეუღლეს ეკუთვნის მთელი ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილზე სარგებლობის უფლება (უზუფრუქტი) (837 მუხლი) ესკ. 838-ე მუხლის მიხედვით, თუ მამკვიდრებელს მხოლოდ მეუღლე დარჩა ცოცხალი, მას საერთო ქონების $\frac{2}{3}$ წილით სარგებლობის უფლება აქვს მისი სიცოცხლის მანძილზე (უზუფრუქტი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად ესპანური კანონმდებლობითაც (მუხლი 815) თუ სავალდებულო მემკვიდრეს ენადერძა გარანტირებულ წილზე ნაკლები ქონება, მას შეუძლია მოითხოვოს წილის შევსება. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლის თანახმად სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მთელი სამკვიდრო ქონება, რაც მამკვიდრებელს დარჩა. ამასთან ერთად, მას ემატება იმ გაჩუქებული ქონების ღირებულება, რისი შეგროვებაც შეიძლება. ქონების დაანაგარიშებისას, მთლიან მოცულობას უნდა გამოაკლდეს მამკვიდრებლის ვალები და დაგირავებული ქონება. სავალდებულო წილის მოცულობის გამოანგარიშებისას ასევე ითვალისწინებენ შვილებზე გაჩუქებული ქონებას, რომელიც არ ითვლება გაუმჯობესებად. (819 მუხლი.) რაც შეეხება მესამე პირზე გაჩუქებული ქონებას, ის ემატება იმ ქონების მოცულობას, რომელიც მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით განკარგოს თავისი სურვილისამებრ. აქ იგულისმება დარჩენილი $\frac{1}{3}$, რომელსაც მამკვიდრებელი თავის სურვილისამებრ განკარგავს.

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი⁷⁵⁰ ადგენს სავალდებულო წილის მიმღები სუბიექტების წრეს და ოდენობას. 470-ე მუხლის მიხედვით პირი რომელიც ტოვებს შთამომავლებს, მშობლებს, მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს შეუძლია ანდერძით განკარგოს თავისი ქონება იმ ფარგლებში რაც აღემატება ამ პირთა კუთვნილ სავალდებულო წილს. პირს რომელიც არ ტოვებს ზემოაღნიშნულ მემკვიდრეებს შეუძლია ანდერძით განკარგოს მთელი თავისი ქონება. განსაკარგი

⁷⁵⁰ შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. თბილისი 2018.

ნაწილის ღირებულება გამოითვლება ქონების მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში არსებული მდგომარეობის მიხედვით. სამკვიდროს ღირებულების გამოთვლისას მისგან უნდა გამოიქვითოს მამკვიდრებლის ვალები, დაკრძალვის, ქონების დალუქვის და აღწერის ჩატარების ხარჯები. ასევე ერთი თვის მანძილზე ოჯახის სხვა წევრების შენახვის ხარჯები. (მუხლი 474. განსაკარგი ქონების გამონაგარიშების წესი). 471-ე მუხლის მიხედვით, სავალდებულო წილი შეადგენს:

1. შთამომავლისათვის --კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მისაღები სამკვიდროს სამ მეოთხედ ნაწილს;
2. თითოეული მშობლისათვის - ნახევარს;
3. ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის რეგისტრირებული პარტნიორისთვის - ნახევარს.

რაც შეეხება სიცოცხლეში გაჩუქებულ ქონებას, ეს ქონება იმ შემთხვევაში ემატება სამკვიდრო ქონებას თუ ჩუქება განხორციელდა სამკვიდრო ქონების ღირებულების შემცირების მიზნით. (475) იმისათვის რათა მემკვიდრემ ქონება მიიღოს, იგი ცოცხალი უნდა იყოს სამკვიდროს გახსნის მომენტში და უნდა ჰქონდეს მემკვიდრეობის მიღების უნარი. თუ მემკვიდრე გარდაიცვლება სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაშინ სამკვიდრო ქონებაზე მისი უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. (მუხლი 542 მემკვიდრეობის მიღების შესაძლებლობა). ეს უკანასკნელი იდენტურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივი რეგულაციისა, სადაც კანონმდებლობა ადგენს, რომ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან და ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. (სსკ-ს 1372-ე მუხლი).

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი გერმანიის და ესტონეთის სამოქალაქო კოდექსების მსგავსად ითვალისწინებს საინტერესო დებულებებს სავალდებულო წილის ჩამორთმევასთან დაკავშირებით და განსხვავდება ქართული კანონმდებლობისაგან. შსკ 477 და 478-ე მუხლების თანახმად: მამკვიდრებელი უფლებამოსილია საანდერძო განკარგულებით ჩამოართვას მემკვიდრეს სავალდებულო წილი 1. თუ მემკვიდრემ მამკვიდრებლის ან მისი ახლობლის წინააღმდეგ ჩაიდინა მძიმე დანაშაული; 2. თუ მან მამკვიდრებლის ამ მისი ნათესავების მიმართ უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული საოჯახო-სამართლებრივი მოვალეობები. მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელი უფლების ჩამორთმევის საფუძვლებს

უთითებს თავის საანდერძო განკარგულებაში. თუ პირი რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება ასაჩივრებს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას მისი საფუძვლების უსწორობის გამო, მაშინ მემკვიდრე ან ანდერძში ნახსენებმა ბენეფიციარმა რომელიც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევიდან იღებს სარგებელს უნდა დაამტკიცოს მითითების სისწორე. თუ აღნიშნული მტკიცებულების წარმოდგენა შეუძლებელია ან თუ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველი მითითებული არ არის საანდერძო განკარგულება შენარჩუნდება იმდენად, რამდენადაც ეს არ ართმევს სავალდებულო წილს იმ პირს რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მამკვიდრებელმა საანდერძო განკარგულებაში მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძველთან დაკავშირებით აშკარა შეცდომა დაუშვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს სავალდებულო წილის ჩამორთმევის შემთხვევაში ამ წილის სავალდებულო მემკვიდრის მემკვიდრეობისათვის, მაგ; შვილიშვილისათვის გადაცემას. შსკ 478-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: იმ პირის შთამომავლები რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება ინარჩუნებენ თავიანთი სავალდებულო წილის უფლებას ისე, თითქოს ეს პირი სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო.

ესტონეთის სამოქალაქო კოდექსის 104-109 მუხლები⁷⁵¹ არგულირებს სავალდებულო წილის მიღების უფლებას. სავალდებულო მემკვიდრეები არიან მამკვიდრებლის მშობლები, შვილები და მეუღლე, რომელთა რჩენისა და ზრუნვის ვალდებულებაც მამკვიდრებელს გარდაცვალების მომენტისათვის საოჯახო კანონმდებლობით გააჩნდა. (ე.ი. არასრულწლოვანი და შრომისუუნარო პირები.) იმ შემთხვევაში თუ მამკვიდრებელმა ქონება უანდერძა სხვას ან აღნიშნულ პირებს ეანდერძათ ქონება, რომელიც სავალდებულო წილზე ნაკლებია, მათ შეუძლიათ მოითხოვონ ქონების შევსება სავალდებულო წილის ოდენობამდე. ესტონეთის კანონის 105-ე მუხლი განსაზღვრავს სავალდებულო წილის ოდენობას: სავალდებულო წილი არის იმ წილის ნახევარი, რასაც კანონით მემკვიდრეობის დროს, ყველა კანონისმიერი მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების შემთხვევაში ერგებოდათ.

⁷⁵¹ ესტონეთის სამოქალაქო კოდექსი <https://v1.juristaitab.ee/ru/zakonodatelstvo/zakon-o-nasledovanii> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წ.

სავალდებულო წილის გამოანგარიშებისას მის მოცულობაში შედის მთლიანად მთელი ის ქონება, რაც მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ დარჩა. დაზუსტებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მამკვიდრებლის ვალები, დასაფლავების, ქონების ინვენტარიზაციის და შეფასების ხარჯები, ასევე, ერთი თვის ხარჯი იმ პირების შენახვისათვის, რომელსაც უვლიდა მამკვიდრებელი, არ შედის ქონების მოცულობაში. კანონმდებლობის 106-ე მუხლი განსაზღვრავს გაჩუქებული ქონების ხარჯზე სავალდებულო წილის გაზრდის წინაპირობებს, რომლის თანახმადაც: თუ მამკვიდრებელმა სავალდებულო მემკვიდრისათვის მატერიალური ზიანის მიყენების, წილის შემცირების მიზნით ქონება აჩუქა მესამე პირს, მაშინ სავალდებულო წილის მემკვიდრე უფლებამოსილია ერთი წლის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით, რომლითაც გაიზრდებოდა სავალდებულო წილი თუკი გაჩუქებული ქონება სამკვიდრო მასაში შევიდოდა. განსხვავებით ქართული კანონმდებლობისაგან ცალსახად გამოკვეთილია კანონმდებლის ნება -- მემკვიდრისათვის ზიანის მიყენების სუბიექტური მიზნის დადგენა უმთავრესი წინაპირობაა გაჩუქებული ნივთის ხარჯზე სავალდებულო წილის გაზრდისათვის. ამავე მუხლის თანახმად სავალდებულო მემკვიდრე ვერ მოითხოვს სავალდებულო წილის გაზრდას გაჩუქებული ქონების ხარჯზე თუ საჩუქრის გადაცემიდან 10 წელია გასული. ხოლო თუ დასაჩუქრებული მამკვიდრებლის მეუღლეა მაშინ 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია ქორწინების შეწყვეტამდე. ესტონეთის სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლი განმარტავს სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევის პროცედურებსა და საფუძვლებს საანდერძო განკარგულებით, რომელსაც არ ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა. ესტონეთის კანონით მემკვიდრეობის შესახებ მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით ან სამემკვიდრეო ხელშეკრულებით ჩამოართვას სავალდებულო წილის მიღების უფლება მემკვიდრეს, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული მამკვიდრებელს, მამკვიდრებლის პირდაპირი აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავების ან მამკვიდრებლისათვის განსაკუთრებულად ახლობელი პირის მიმართ. ასევე მამკვიდრებელს შეუძლია ჩამოართვას სავალდებულო წილის უფლება მემკვიდრეს რომელიც თავს არიდებდა მამკვიდრებლის რჩენისა და მზრუნველობის საოჯახო კანონმდებლობით

გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. ასეთ შემთხვევაში, მამკვიდრებელმა უნდა დაასაბუთოს სავალდებულო წილის ჩამორთმევის მიზეზი. სავალდებულო მემკვიდრის სარჩელის თანახმად სასამართლომ შეიძლება ბათილად მიიჩნიოს სავალდებულო წილის ჩამორთმევა, თუ იგი არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ წინაპირობებს ან თუ მამკვიდრებელმა არ მიუთითა სავალდებულო წილის ჩამორთმევის მიზეზებზე. ისევე როგორც ქართული, ესტონური კანონმდებლობითაც აღნიშნული გარემოებანი სასამართლოს მიერ უნდა იქნეს დადგენილი. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, რომელიც შეადგენს სამ წელს იმ დღიდან როდესაც სავალდებულო მემკვიდრემ გაიგო სამკვიდროს გახსნის და იმ გარემოებების შესახებ რომელიც გავლენას ახდენს მისი უფლებებზე.

სავალდებულო წილის ინსტიტუტს აღიარებს ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსიც.⁷⁵² 4:63-ე მუხლის თანახმად, სავალდებულო წილის მიმღები პირები არიან მამკვიდრებლის შთამომავლები. იგულისხმება, როგორც შვილები, ასევე მამკვიდრებლის შვილიშვილები (იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრე გარდაცვლილია ან უღირს მემკვიდრედ არის ცნობილი სამკვიდროს გახსნის მომენტისთვის). მამკვიდრებლის შვილიშვილებს სავალდებულო წილი შეუძლიათ მიიღონ წარმომადგენლობითი უფლებით. 4:64-ე მუხლი ადგენს სავალდებულო წილის ოდენობას: 1. სავალდებულო წილის ოდენობა შეადგენს მამკვიდრებლის ქონების ნახევარს. თუ მამკვიდრებელს ერთი შვილი ჰყავს მიიღებს ქონების ნახევარს. თუ ერთზე მეტი შვილი ჰყავს მამკვიდრებლის ქონების 1/2 ნაწილი იყოფა მემკვიდრეთა რიცხვზე. 2. როდესაც მამკვიდრებლის შვილი მემკვიდრეობის გადასვლისას ცოცხალი აღარ არის (ანუ სამკვიდროს გახსნის შემდგომ გარდაიცვალა) სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. სავალდებულო წილის გამოანგარიშების დროს მამკვიდრებლის ქონების ღირებულებას ემატება გაჩუქებული ქონება და აკლდება მამკვიდრებლის ვალეები. სავალდებულო წილის გამოანგარიშებისას მხედველობაში მიიღება ის გაჩუქებული ქონება, თუკი: 1. ჩუქება განხორციელდა იმის გამო რომ ცუდ მდგომარეობაში ჩაეგდო

⁷⁵² ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსი <http://www.dutchcivillaw.com/civilcodebook044.htm>- უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2014წ

სავალდებულო წილის მიმღები სუბიექტი; 2. ისეთი საჩუქარი, რომლითაც ბოლომდე სარგებლობის უფლებაც მიმღებს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდგომ აქვს. 3. ჩუქება განხორციელდა მემკვიდრის მიმართ. 4. სხვა საჩუქრები, რომლებიც მამკვიდრებელმა გარდაცვალებამდე ხუთი წლით ადრე გააჩუქა. (4:67 მუხლი:) აგრეთვე, მეუღლისათვის გაკეთებული საჩუქრები არ მიიღება მხედველობაში სავალდებულო წილის გამოანგარიშების დროს. (4:68 მუხლი) როგორც ვიცით, ნაჩუქრობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც ადგენს ხანდაზმულობის ვადას, რომელიც 10 წლით განისაზღვრება: საჩუქარი ანგარიშში არ ჩაითვლება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის საჩუქრის გადაცემიდან გასულია ათი წელი. (სსკ მუხლი 1378). ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 4:85 მუხლი აწესებს კონკრეტულ ვადებს სავალდებულო წილის მოთხოვნისთან დაკავშირებით: სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე მემკვიდრეს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ხუთი წლის განმავლობაში შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი.

სავალდებულო წილთან დაკავშირებული დებულები გათვალისწინებულია საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1825-1838 მუხლებში.⁷⁵³ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1825 მუხლის მიხედვით სავალდებულო წილზე უფლება აქვთ გარდაცვლილის შთამომავლებს -- შვილებს, მშობლებს და მეუღლეს. ისინი მიიღებენ იმ წილის ნახევარს რაც კანონით ეკუთნოდათ. თუკი სავალდებულო წილით მემკვიდრე მიიღებს სავალდებულო წილზე ნაკლებს, მას აქვს უფლება მოითხოვოს წილის შევსება ისევე როგორც ამას ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს (საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1827, სამოქალაქო კოდექსი). სამკვიდროს გახსნის მომენტში სავალდებულო წილით მემკვიდრე ცოცხალი ან ჩასახული უნდა იყოს. სავალდებულო წილის დასაანგარიშებლად, მხედველობაში მიიღება სამკვიდროს მდგომარეობა და ღირებულება მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის, ამასთან, გამოიქვითა ვალები და

⁷⁵³https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreob_a.pdf/ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი; უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წ.

დაკრძალვისა და საინვენტარიზაციო ხარჯები (მუხლი 1831, სამოქალაქო კოდექსი) მოანდერძეს შეუძლია ჩამოართვას მემკვიდრეს მემკვიდრეობის უფლება თუკი მან :

1. საფრთხე შეუქმნა მოანდერძის, მისი მეუღლის ან მოანდერძის სხვა შთამომავალის სიცოცხლეს.
2. შეგნებულად დამნაშავეა უდიერ ფიზიკურ მოპყრობში მოანდერძის ან მისი მეუღლის (მისი მშობლის) მიმართ.
3. შეგნებულად დამნაშავეა სისხლის სამართლის დანაშაულსა ან სერიოზულ დარღვევაში მოანდერძის თუ მისი მეუღლის წინააღმდეგ.
4. განზრახ არ შეასრულა მისი კანონიერი საალიმენტო ვალდებულება მოანდერძის წინაშე.
5. ან ეწევა არეულ და ამორალურ ცხოვრებას მოანდერძის ნების მიუხედავად.

უკანასკნელი მოტივით სამკვიდრო უფლების ჩამორთმევა ბათილია, თუკი შთამომავალი მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის საბოლოოდ აღარ ეწევა არეულ და ამორალურ ცხოვრებას (მუხლი 1840, სამოქალაქო კოდექსი).

მოანდერძეს შეუძლია ჩამოართვას მემკვიდრეობის უფლება საკუთარ დედ-მამას იგივე მოტივებით, გარდა უკანასკნელისა. შესაძლებელია ასევე სამკვიდრო უფლება ჩამოერთვას მეუღლეს, თუკი ეს უკანასკნელი ბრალეულია რაიმე დანაშაულში, რის გამოც მამკვიდრებელს გარდაცვალებამდე შეეძლო წამოეწყო განქორწინების პროცესი. საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1826, 1827 და 1829 მუხლების თანახმად, თუკი სავალდებულო მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, ან თუ მან უარი განაცხადა სავალდებულო წილზე, მაშინ სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის კანონიერი სავალდებულო წილით მემკვიდრეებზე. სავალდებულო წილს კარგად იცავს კანონმდებელი, რომელიც თვლის, რომ გარდაცვლილის სიცოცხლეში განხორციელებული ჩუქება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას სამკვიდროს გადაანგარიშებაში, გაუქმებულ უნდა იქნას, ვინაიდან გარდაცვალების პერიოდში არსებული სამკვიდრო არ არის საკმარისი სავალდებულო წილის დასაფარად. თანმიმდევრული ჩუქების შემთხვევაში, მიმართავენ წინა ჩუქებას, როდესაც შემდგომი ჩუქების გაუქმება არ არის საკმარისი (მუხლი 1835) შესაძლებელია სავალდებულო წილი ანაზღაურდეს სიცოცხლეში ჩუქებით მიღებული ქონებიდან. (მუხლი 1833, სამოქალაქო კოდექსი).

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის⁷⁵⁴ 2303-2338 მუხლები ითვალისწინებს ანდერძის არსებობის შემთხვევაში მამკვიდრებლის ნების ლეგიტიმურ შეზღუდვას სავალდებულო მემკვიდრეთა უფლებების გათვალისწინებით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2303-ე მუხლი, მსგავსად ქართული კანონმდებლობისა განმარტავს რომ თუ მამკვიდრებლის შთამომავალი საანდერძო განკარგულებით გამოირიცხება მემკვიდრეობიდან, მაშინ მას შეუძლია მემკვიდრისაგან მოითხოვოს სავალდებულო წილი. სავალდებულო წილი შეადგენს კანონით მისაღები სამკვიდრო წილის ღირებულების ნახევარს. ანალოგიური უფლება ეკუთვნის მამკვიდრებლის მშობლებსა და მეუღლეს, თუ ისინი საანდერძო განკარგულებით გამოირიცხებიან მემკვიდრეობიდან. თუ სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირს უანდერძეს სამკვიდრო წილი, რომელიც კანონით მისაღებ სამკვიდრო წილზე ნაკლებია, მაშინ სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირს შეუძლია თანამემკვიდრეებისაგან სავალდებულო წილის სახით მოითხოვოს იმ ნაწილის ღირებულება, რომლითაც მისთვის გადასაცემი წილი ნაკლებია კანონით მისაღებ სამკვიდრო წილის ნახევარზე. (გსკ 2305 მუხლი და სსკ 1379-ე მუხლი) გსკ 2307-ე მუხლის თანახმად თუ სავალდებულო წილზე უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ დადგენილია საანდერძო დანაკისრი, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი იმ პირობით, რომ იგი უარს აცხადებს საანდერძო დანაკისრზე. თუ იგი უარს არ აცხადებს საანდერძო დანაკისრზე, მაშინ მას სავალდებულო წილზე უფლება აღარ ეკუთვნის, თუ საანდერძო დანაკისრის ღირებულება საკმარისია; მსგავს დებულებებს ითვალისწინებს სსკ1376-ე მუხლიც.

საინტერესო დებულებებს შეიცავს გსკ 2310-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სამკვიდრო წილს სავალდებულო წილის გამოანგარიშებისათვის, ამ ნორმის თანახმად: სამკვიდრო წილის განსაზღვრისას, რომლის თანახმადაც გამოითვლება სავალდებულო წილის ოდენობა, მხედველობაში მიიღებიან პირები, რომლებიც საანდერძო განკარგულებით გამოირიცხნენ მემკვიდრეობიდან ან რომლებმაც უარი განაცხადეს სამკვიდროს მიღებაზე ანდა რომლებიც ცნობილ იქნენ უღირს მემკვიდრეებად. პირები, რომლებიც გამოირიცხნენ კანონით მემკვიდრეობიდან

⁷⁵⁴ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2020 წ.

მემკვიდრეობაზე უარის თქმის შედეგად, მხედველობაში არ მიიღებან. გსკ 2311-ე მუხლით სავალდებულო წილის გამონაგარიშების საფუძველად აიღება სამკვიდროს გახსნის მომენტში სამკვიდრო ქონების მდგომარეობა და მისი ღირებულება. მამკვიდრებლის შთამომავლისა და მშობლების სავალდებულო წილის გამონაგარიშებისას ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მიერ მისაღები სამკვიდროდან გამოყოფილ ქონებრივ წილზე უფლება მხედველობაში არ მიიღება. სსკ 1375-ე მუხლის მსგავსად გსკ 2315-ე თანახმად სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა ანგარიშში უნდა ჩათვალოს ის ქონება, რაც მას მიეცემა მამკვიდრებლისაგან ცოცხალ პირთა შორის გარიგებით იმ დათქმით, რომ იგი უნდა ჩათვალოს სავალდებულო წილის ანგარიშში. სავალდებულო წილის განაგარიშებისას გადაცემული ქონების ღირებულება ემატება სამკვიდრო ქონებას. ღირებულება განისაზღვრება ქონების გადაცემის მომენტისათვის. გსკ 2317-ე მუხლის თანახმად მსგავსად სსკ1372-ე მუხლისა სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტში. მოთხოვნის უფლება ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემასა და გასხვისებას.

გსკ 2325-ე მუხლით მსგავსად სსკ1378-ე მუხლისა გათვალისწინებულია სავალდებულო წილზე დამატების მოთხოვნის უფლება ნაჩუქრობების შემთხვევაში. ამ ნორმის მიხედვით თუ მამკვიდრებელმა მესამე პირის მიმართ განახორციელა ჩუქება, მაშინ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია სავალდებულო წილზე დამატების სახით მოითხოვოს თანხის ის ოდენობა, რომლითაც სავალდებულო წილი იზრდება ნაჩუქარი საგნის სამკვიდრო ქონებისათვის დამატებით. მოხმარებადი ნივთი ფასდება იმ ღირებულებით, რომელიც მას ჰქონდა ჩუქების მომენტში. სხვა საგანი ფასდება იმ ღირებულებით, რომელიც მას აქვს სამკვიდროს გახსნის მომენტში; თუ მას ჩუქების მომენტში ჰქონდა უფრო ნაკლები ღირებულება, მაშინ მხედველობაში მიიღება მხოლოდ ეს უკანასკნელი. ჩუქება მხედველობაში არ მიიღება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ნაჩუქარის საგნის გადაცემის შემდეგ გასულია ათი წელი; თუ ადგილი აქვს ჩუქებას მამკვიდრებლის მეუღლის მიმართ, მაშინ ვადის დენა არ იწყება ქორწინების შეწყვეტამდე. გსკ 2326-ე მუხლის მიხედვით სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილზე

დამატება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მას ანდერძით გადაეცემა კანონით მემკვიდრეობისას მისაღები წილის ნახევარი. თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს ანდერძით გადაეცემა კანონით მემკვიდრეობისას მისაღები წილის ნახევარზე მეტი, მაშინ ასეთი მოთხოვნის უფლება ნამეტი ქონების ღირებულების ფარგლებში გამორიცხულია. მსგავსი რეგულაციებია გათვალისწინებული სსკ 1379-ე მუხლით.

გსკ 2327 თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა მემკვიდრეობისაგან მიიღო საჩუქარი, მაშინ ეს უკანასკნელი – ისევე როგორც მესამე პირისათვის გადაცემული საჩუქარი – უნდა დაემატოს სამკვიდრო ქონებას და ერთდროულად ჩაითვალოს მისი სავალდებულო წილის დამატების ანგარიშში. თანახმად ანგარიშში ჩასათვლელი საჩუქარი ჩაითვლება სავალდებულო წილისა და დამატების საერთო თანხის ანგარიშში. თუ მემკვიდრე თავად არის უფლებამოსილი სავალდებულო წილზე, მაშინ მას შეუძლია უარი თქვას სავალდებულო წილის დამატებაზე ისე, რომ მას დარჩეს საკუთარი სავალდებულო წილი იმ ქონების ჩათვლით, რაც მას უნდა მიეღო კუთვნილი სავალდებულო წილის დამატებისათვის. (მუხლი 2328)

გერმანული კანონმდებლობით გათვალისწინებულია სავალდებულო წილის მოთხოვნის ხანდაზმულობა, რომელიც უცხოა ქართული კანონმდებლობისათვის. გსკ 2332- მუხლის თანახმად: სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია სამი წლის ვადის გასვლისთანავე იმ მომენტიდან, როდესაც სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი შეიტყობს სამკვიდროს გახსნისა და მისთვის ზიანის მიმყენებელი განკარგულების შესახებ ან, მიუხედავად აღნიშნულის შესახებ ცოდნისა, – 30 წლის შემდეგ სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. 2329-ე მუხლის თანახმად დასაჩუქრებულის მიმართ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის კუთვნილი მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია სამი წლის ვადის გასვლისთანავე სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადის დენა არ ჩერდება იმის გამო, რომ მოთხოვნის უფლებები შეიძლება რეალიზებულ იქნეს მხოლოდ მემკვიდრეობასა თუ საანდერძო დანაკისრზე უარი თქმის შემდეგ.

ქართული კანონმდებლისაგან განსხვავებით გერმანული კანონმდებლობა ბუნდოვანი და ორაზროვანი არ არის სავალდებულო წილის ჩამორთმევის წინაპირობების განსაზღვრასთან დაკავშირებით. გსკ 2333- მუხლის თანახმად მამკვიდრებელს შეუძლია ჩამოართვას შთამომავალს სავალდებულო წილი: 1. თუ ეს უკანასკნელი ხელყოფს მამკვიდრებლის, მისი მეუღლის ან სხვა შთამომავლის სიცოცხლეს, 2. თუ შთამომავალს შეერაცხება მამკვიდრებლისადმი ან მისი მეუღლისადმი განზრახი ფიზიკური სასტიკი მოპყრობა, თუმცა, მეუღლისადმი სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში, – მხოლოდ იმ პირობით, რომ შთამომავალი წარმოადგენს მეუღლის შთამომავალს, 3. თუ შთამომავალი მამკვიდრებლის ან მისი მეუღლის მიმართ ბრალეულად სჩადის დანაშაულს ან სხვა მძიმე განზრახ გადაცდომას, 4. თუ შთამომავალი ბოროტად არღვევს მასზე მამკვიდრებლის წინაშე არსებულ კანონით დაკისრებულ რჩენის ვალდებულებას, 5. თუ შთამომავალი მამკვიდრებლის ნების საწინააღმდეგოდ ეწევა უღირს ან ამორალურ ცხოვრებას. მამკვიდრებელს შეუძლია ჩამოართვას მამას სავალდებულო წილი, თუ ეს უკანასკნელი ბრალეულად სჩადის 2333-ე მუხლის 1, 3, 4 ნაწილით გათვალისწინებულ გადაცდომათაგან ერთერთს. ანალოგიური უფლება აქვს მამკვიდრებელს დედის მიმართაც, თუ ეს უკანასკნელი ბრალეულად სჩადის ასეთ გადაცდომას, ხოლო მეუღლეს მამკვიდრებელმა შეუძლია ჩამოართვას სავალდებულო წილი: 1. თუ ეს უკანასკნელი ხელყოფს მამკვიდრებლის ან მისი შთამომავლის სიცოცხლეს, 2. თუ მეუღლეს შეერაცხება მამკვიდრებლისადმი განზრახი ფიზიკური სასტიკი მოპყრობა, 3. თუ მეუღლე მამკვიდრებლის მიმართ ბრალეულად სჩადის დანაშაულს ან განზრახ მძიმე გადაცდომას, 4. თუ მეუღლე ბოროტად არღვევს მასზე მამკვიდრებლის წინაშე არსებულ კანონით დაკისრებულ რჩენის ვალდებულებას.

საინტერესო პოსტულატებს შეიცავს 2336-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო წილის ჩამორთმევას საანდერძო განკარგულებით. ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სავალდებულო წილის საანდერძო განკარგულებით ჩამორთმევის შესაძლებლობას, ისევე როგორც ეს განსაზღვრულია შვეიცარიის გერმანიის, ესტონეთის, თურქეთის კანონმდებლობით. გსკ თანახმად მამკვიდრებლის ჩამორთმევის საფუძველი უნდა არსებობდეს საანდერძო

განკარგულების გაკეთების მომენტში და უნდა მიეთითოს ამ უკანასკნელში. სავალდებულო წილის ჩამორთმევის საფუძველის არსებობის მტკიცება ეკისრება მოანდერძეს, ამასთან, საანდერძო განკარგულებით სავალდებულო წილის ჩამორთმევა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში შთამომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღარ ეწეოდა უღირს ან ამორალურ ცხოვრებას. ამავე კოდექსის 2337-ე მუხლის თანახმად კი სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლება უქმდება პატიებით, განკარგულება, რომლითაც მამკვიდრებელმა დაადგინა სავალდებულო წილის ჩამორთმევა, პატიების შედეგად კარგავს ძალას. გსკ 2338-ე მუხლის მიხედვით გათვალისწინებულია სავალდებულო წილის შეზღუდვა, კერძოდ, თუ შთამომავალი იმ ოდენობით ფლანგავს თავის ქონებას ან მას აქვს ზედავალიანება იმ მოცულობით, რომ საფრთხის ქვეშ დადგება მისი შემდგომი შენაძენი, მაშინ მამკვიდრებელს შეუძლია შეზღუდოს განკარგულებით მისი სავალდებულო წილი ისე, რომ შთამომავლის გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელის კანონით მემკვიდრეებმა როგორც სუბსტიტუტებმა ან სუბსტიტუციურმა ლეგატარებმა მიიღონ შთამომავლისათვის ანდერძით გადაცემული ქონება ან მისი სავალდებულო წილი კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მათი წილების პროპორციულად. მამკვიდრებელს შეუძლია ასევე შთამომავლის სიცოცხლეში სამკვიდროს მართვა დააკისროს ანდერძის აღმსრულებელს; ასეთ შემთხვევაში შთამომავალს აქვს მოთხოვნის უფლება ყოველწლიურ წმინდა მოგებაზე. აღნიშნული სახის განკარგულებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება 2336-ე მუხლის 1-3 ნაწილების ნორმები. განკარგულებები სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში შთამომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღარ ფლანგავდა თავის ქონებას ან აღარ არსებობს ზედავალიანება, რაც გახდა განკარგულების მიღების საფუძველი.

თურქეთის სამოქალაქო კოდექსით სავალდებულო წილის მიმღები პირები არიან მამკვიდრებლის შვილები, მშობლები, და-ძმა და მეუღლე.⁷⁵⁵ 506 ე მუხლში ნათქვამია: შვილების სავალდებულო წილის ოდენობა შეადგენს 1/2 იმისას, რასაც ისინი კანონით მემკვიდრეობის დროს მიიღებდნენ; მშობლების სავალდებულო

⁷⁵⁵ <http://www.turkpropertylaw.com/index.php?p=law-of-succession> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა .2014წ.

წილის ოდენობა შეადგენს $\frac{1}{4}$ იმისას, რასაც ისინი კანონით მემკვიდრეობის დროს მიიღებდნენ; რაც შეეხება მეუღლეს: თუ მემკვიდრეობის ჰყავს შვილები, მაშინ მეუღლის სავალდებულო წილი არის იმ წილის $\frac{1}{4}$ რასაც ის კანონით მემკვიდრეობის დროს მიიღებდა; თუ მემკვიდრეობის ჰყავს მშობლები და და-ძმა, მაშინ მეუღლის სავალდებულო წილის ოდენობა შეადგენს იმ წილის $\frac{1}{2}$ რასაც ის კანონით მემკვიდრეობის დროს მიიღებდა; თუ მემკვიდრეობის დარჩა მეუღლე, ბებია და ბაბუა, მაშინ მეუღლის სავალდებულო წილის ოდენობა იქნება იმ წილის $\frac{3}{4}$ რასაც ის კანონით მემკვიდრეობის დროს მიიღებდა; თუ არც ერთი მემკვიდრე არ არის ცოცხალი, მეუღლე მიიღებს მთელ ქონებას. (მუხლი 506). თურქეთის კანონმდებლობა სხვა ევროპული ქვეყნების კანონმდებლობის მსგავსად მსჯელობს გაჩუქებული ქონების სავალდებულო წილის მოცულობაში ჩათვლაზე: თუ ჩუქება განხორციელდა მემკვიდრეობის გადაცვალდებამდე ერთი წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ ის შემდგომ ჩაითვლებოდა სავალდებულო წილის მოცულობაში, მაშინ აღნიშნული ქონების გათვალისწინებაც მოხდება წილის გამოთვლის დროს.⁷⁵⁶ თურქული კანონმდებლობით თუკი კანონიერი მემკვიდრეები ჩაიდენენ მძიმე დანაშაულს მემკვიდრეობის (მემკვიდრეობის) ან მისი ნათესავების მიმართ, ან არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ კანონიერ ვალდებულებებს, მათ შეიძლება ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება. ანდერძის მეშვეობით შესაძლებელია მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთვას მემკვიდრეს, მაგრამ მონადერძემ მკაფიოდ უნდა დაასაბუთოს ამ გადაწყვეტილების მიზეზები. მონადერძის ამგვარი განკარგულება შესაძლებელია ბათილად იქნას ცნობილი თუკი მიზეზები არასაკმარისია და არ არსებობს მემკვიდრეობის ჩამორთმევის კანონისმიერი წინაპირობები.⁷⁵⁷

აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსის 66-ე თავი (1193-1204 მუხლები) ეძღვნება სავალდებულო წილის ინსტიტუტს.⁷⁵⁸ აზერბაიჯანის სავალდებულო წილის ინსტიტუტი თითქმის იგივეა, როგორც ქართული სავალდებულო წილის

⁷⁵⁶ <http://www.admdlaw.com/succession-in-turkey/> უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2014წ.

⁷⁵⁷ https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/electronuli_biblioteka/turketi.pdf უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2014წ.

⁷⁵⁸ http://continent-online.com/Document/?doc_id=30420111&doc_id2=30420111#activate_doc=2&pos=1394;-108&pos2=8991;-108/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2014წ.

ინსტიტუტი. კოდექსის 1193-ე მუხლი აყალიბებს: მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებს და მეუღლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად ეკუთვნის სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. ამავე კოდექსის 1194-ე მუხლის თანახმად სავალდებულო წილის მიღების უფლება წარმოიშობება სამკვიდროს გახსნის დღიდან და გადადის მემკვიდრეობით. სავალდებულო წილის მიღები მემკვიდრის მიმართ სხვა მემკვიდრეები გამოდიან როგორც სოლიდარული მოვალეები. პირი, რომელსაც აქვს სავალდებულო წილის მიღების უფლება, მოვალეა სავალდებულო წილში ჩათვალოს ყველაფერი, რაც მამკვიდრებლისაგან მიიღო მის სიცოცხლეში იმაზე მითითებით, რომ მიღებული ჩაითვალოს სავალდებულო წილის თავში (მუხლი 1197). ქართული კანონმდებლობის იდენტურია ასევე სავალდებულო წილის გამოანგარიშების წესი და მემკვიდრის მიერ, მამკვიდრებლის სიცოცხლეში სამკვიდროდან მიღებული ქონების სავალდებულო წილში ჩათვლის საკითხი. თუ მამკვიდრებელმა აჩუქა ნივთი მესამე პირს, მაშინ სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით, რომლითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი, თუკი გაჩუქებული ნივთი სამკვიდროში შევა. საჩუქარი ანგარიშში არ ჩაითვლება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის საჩუქრის გადაცემიდან 2 წელია გასული (მუხლი 1200.)

ისლამური ქვეყნებში სამართლებრივი სისტემა შარიათის კანონებზეა დაფუძნებული. საუდის არაბეთშიც სამართლებრივი სისტემა სწორედ შარიათის კანონებზეა დაფუძნებული. თვითონ ისლამური სამართალი გამომდინარეობს ყურანიდან და სუნადან.⁷⁵⁹ მართალია, საუდის არაბეთი ხელმძღვანელობს შარიათით, მაგრამ არ აქვთ კოდიფიცირებული კანონები. მთავრობამ 2010 წელს გამოთქვა სურვილი შარიათის კოდიფიცირებულად ჩამოყალიბებაზე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული.⁷⁶⁰ რაც შეეხება მემკვიდრეობას, ყურანი განსაზღვრავს, რომ გარკვეული ქონება უნდა დარჩეს მემკვიდრეებს. მდედრობითი სქესის მემკვიდრეს ეკუთვნის მამრობითი სქესის მემკვიდრის ნახევარი.(ყურანი 4:11)

⁷⁵⁹ http://en.wikipedia.org/wiki/Legal_system_of_Saudi_Arabia#Family_law/www.books.google.ru/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2014წ.

⁷⁶⁰ <http://www.islam101.com/sociology/inheritance.htm> /www.books.google.ru/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 2014წ.

ასევე ნათქვამია, რომ გარდაცვლილი დედის შვილებს – გოგოს და ბიჭს, ეკუთვნით დედის ქონებიდან თანაბარი წილი, ისევე როგორც შვილების შთამომავლებს. (ყურანი 4:12) თუ მამკვიდრებელს ჰყავს მხოლოდ ერთი მემკვიდრე ქალიშვილი, მაშინ მას ეკუთვნის ქონების ნახევარი. და თუ მათი რაოდენობა ორი ან მეტია მათი სამკვიდრო წილი შეადგენს 2/3. (ყურანი 4:11) მამკვიდრებლის თითოეულ მშობელს ეკუთვნის სამკვიდრო ქონების 1/6 ნაწილი, ეს იმ შემთხვევაში თუ მამკვიდრებელს ჰყავს შვილი. თუ მამკვიდრებელს არ ჰყავს შვილი და მშობლები არიან მემკვიდრეები, მამკვიდრებლის დედას ეკუთვნის ქონების 1/3 ნაწილი. (ყურანი 4:11) რაც შეეხება მამკვიდრებლის მეუღლეს, ისლამური სამართალი მას აკუთვნებს ქონების 1/4 ნაწილს, იმ შემთხვევაში თუ მამკვიდრებელს არ ჰყავს შვილები. შვილების არსებობის შემთხვევაში კი მამკვიდრებლის მეუღლეს ეკუთვნის 1/8 წილი. ორ ან მეტ მეუღლეს ეკუთვნის თანაბარი წილი. (ყურანი 4:12). ყურანისმიერი მემკვიდრეები არიან მამკვიდრებლის დედა, მამა, მეუღლე, შვილი, ძმა, და, ბაბუა (მამის მხრიდან), ბებია (დედის მხრიდან), შვილიშვილი (ბიჭისგან). მეუღლე, შვილები და მშობლები ითვლება ყურანისმიერ პირველად მემკვიდრედ. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ სხვა კანონისმიერმა მემკვიდრეებმა შეიძლება ვერ მიიღონ ქონება, თუ არსებობს პირველი რიგის მემკვიდრეები. ამის განსაზღვრად არსებობს გარკვეული წესები. მაგალითად, ღვიძლი ნათესავი გამორიცხავს ნახევრად ნათესავს; შვილის არსებობის შემთხვევაში ქონებას ვერ მიიღებენ შვილიშვილები და ა.შ. შეჯამებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ყურანში ერთ თავშია განსაზღვრული ყურანისმიერი მემკვიდრეები და მათი სავალდებულო წილის ოდენობა.

ირანის სამართლებრივი სისტემაც დაფუძნებულია შარიათის კანონებზე, მაგრამ საუდის არაბეთისაგან განსხვავებით, მათ კანონები კოდიფიცირებული აქვთ. ირანის სამოქალაქო კოდექსში ცალკე სავალდებულო წილის თავი ამ ინსტიტუტის სახით არ არსებობს.⁷⁶¹ თუმცა კოდექსში არსებობს მე-4 ნაწილის მე-5 თავი სამკვიდრო წილზე, სადაც ზუსტად არის განსაზღვრული, რა თანაფარდობით უნდა გაანაწილოს მამკვიდრებელმა ქონება. ანუ აქაც კანონით მემკვიდრეთა წრე ემთხვევა სავალდებულო წილის მიმღებ პირთა წრეს. მუხლი 899-ე აყალიბებს, რომ მამკვიდრებლის (ცოლის) ქონების 1/2 წილი ეკუთვნის სამი კატეგორიის

⁷⁶¹ <http://www.alaviandassociates.com/documents/civilcode.pdf>/უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა .2014წ.

მემკვიდრეებს. 1. მამკვიდრებლის ქმარს, თუ მათ არ ჰყავთ საერთო შვილები, ან მამკვიდრებელს სხვა ქმრისგან არ ჰყავს შვილები. 2. მამკვიდრებლის ქალიშვილს თუ ის არის ერთადერთი მემკვიდრე. 3. მამკვიდრებლის მამის მხრიდან დას (თუნდაც ის ნახევარდა იყოს). მამკვიდრებლის ქონების $\frac{1}{4}$ წილი ეკუთვნის ორი კატეგორიის მემკვიდრეს: მამკვიდრებლის ქმარს, რომელთაც ჰყავთ საერთო შვილები და მამკვიდრებლის ცოლს ან ცოლებს იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელს არ ჰყავს შთამომავლები. (მუხლი 900) მამკვიდრებლის ქონების $\frac{1}{8}$ ნაწილი ეკუთვნის ცოლს ან ცოლებს, იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებელს ჰყავდა შვილები. (მუხლი 901.) მამკვიდრებლის ქონების $\frac{2}{3}$ წილი ეკუთვნის ორი კატეგორიის მემკვიდრეებს: თუ მამკვიდრებელს ჰყავს ორი, ან მეტი ქალიშვილი და არ ჰყავს ბიჭი მემკვიდრე; თუ მამკვიდრებელს არ ჰყავს ძმა და ჰყავს ორი, ან მეტი და მამის მხრიდან (ღვიძლი და ნახევარდა). (მუხლი 902). ასევე, ორი კატეგორიის მემკვიდრეს ეკუთვნის მამკვიდრებლის ქონების $\frac{1}{3}$ ნაწილი: 1. მამკვიდრებლის დედას, თუ მამკვიდრებელს არ ჰყავს შთამომავლები, ძმები და დები. 2. დედის მხრიდან არსებულ ნათესავს. (მუხლი 903.)

ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობას შედარებისას განსხვავების თვალსაზრისით თვალსაჩინოა შემდეგი გარემოებანი: სავალდებულო წილის მიმღებ პირთა წრე, გაჩუქებული ქონება, რომელიც სავალდებულო წილის მოცულობის გამოანგარიშებისას მიიღება მხედველობაში და ხანდაზმულობის ვადა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებაზე. პირველი გარემოება ესაა სავალდებულო წილის მიმღებ პირთა წრე, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ კანონმდებლობაში ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი. მართალია, რიგ ევროპულ ქვეყნებშიც იგი მოიცავს პირველი რიგის მემკვიდრეებს, მაგრამ მიღებული ქონებით სარგებლობისთვის მაინც გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს, მაგალითად, ესპანეთის მაგალითზე, როცა ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს საერთო ქონების $\frac{2}{3}$ წილით სარგებლობის უფლება აქვს სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ ვერ გაასხვისებს მას. ესტონეთი კი სავალდებულო წილს მხოლოდ შრომისუუნარო მშობლების, შვილების და მეუღლის სასარგებლოდ უშვებს. მეორე გარემოება, ესაა ნაჩუქრობა, რომელიც სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობის განსაზღვრისას მიიღება მხედველობაში. ეს შეეხება ნაჩუქრობას, რომელიც მამკვიდრებელმა მის

სიცოცხლეშივე განახორციელა. ქართველმა კანონმდებელმა ევროპულისგან განსხვავებით ორი განსხვავებული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. პირველი – ჩუქების, როგორც ფაქტის ხანდაზმულობა. სსკ-ს თანახმად, საჩუქარი ანგარიშში არ ჩაითვლება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის საჩუქრის გადაცემიდან გასულია ათი წელი და მეორე – პირები, ვისაც სამკვიდრებელმა აჩუქა ქონება. ჩვენს მიერ განხილული ქვეყნები გაჩუქებულ ქონებას მაშინ თვლიან სავალდებულო წილის მოცულობაში, თუ ეს ქონება სავალდებულო წილის მიმღებ პირებს გადაეცათ, ანუ შვილებს, მშობლებს, მეუღლეებს: სსკ-ს 1378-ე მუხლი კი ამბობს, რომ სავალდებულო წილი გაიზრდება იმ გაჩუქებული ნივთის ხარჯზე, თუ სამკვიდრებელმა ნივთი მესამე პირს აჩუქა. ნებისმიერი ნაჩუქრობის სამკვიდრო მოცულობაში განსაზღვრისათვის აუცილებელი პირობაა ჩუქების მიზანი, რომელიც მიმართულია სამკვიდრებლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებისაკენ -- სამკვიდრო მასის და სავალდებულო მემკვიდრის წილის შემცირების განზრახვა. ქართულ კანონმდებლობისაგან განსხვავებით განხილული ქვეყნების კანონმდებლობა სავალდებულო წილის მოთხოვნაზე ადგენს ხანდაზმულობის ვადას. შვეიცარიის ესტონეთის, საბერძნეთის, გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს სავალდებულო წილის ჩამორთმევას საანდერძო განკარგულებით, რომელიც უცხოა ქართული კანონმდებლობისთვის. სსკ 1354-ე მუხლი მართალია ითვალისწინებს მემკვიდრეობის ჩამორთმევას ანდერძით, მაგრამ, იგი არ ვრცელდება სავალდებულო მემკვიდრეებზე, ამასთან, ქართული კანონმდებლობით სამკვიდრებელი ვალდებული არ არის მიუთითოს მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძვლებზე, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნების კანონმდებლობა ჩამორთმევის წინაპირობებს მკაფიოდ განსაზღვრავს და ამ წინაპირობების არარსებობის შემთხვევაში საანდერძო განკარგულებას ბათილად მიიჩნევს.

როგორც ქართული ასევე ევროპული კანონმდებლობით სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტში. მოთხოვნის უფლება ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სავალდებულო წილის უფლების სუბიექტად შვილიშვილი არ გვევლინება, არც იმ შემთხვევაში თუკი შვილს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 478-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი იმ

პირის შთამომავლები რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება ინარჩუნებენ თავიანთი სავალდებულო წილის უფლებას ისე, თითქოს ეს პირი სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო. ასევე გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეული პირის, მამის, მემკვიდრე შვილს, შესაბამისად მამკვიდრებლის შვილიშვილს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2303 პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად მიანიჭა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება. სასამართლომ განმარტა რომ, რადგანაც მამას ჩამოერთვა კანონით მემკვიდრეობის უფლება, მისი ადგილი დაიკავა შვილმა, რომელსაც ასევე ჩამოერთვა მემკვიდრეობა იმ მიზეზით, რომ ბებიამ ანდერძისმიერ ერთადერთ მემკვიდრედ დაასახელა მეორე შვილიშვილი. აქედან გამომდინარე, პირველ შვილიშვილს წარმოეშობა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება იმის მიუხედავად, რომ მამა ცოცხალია. სახეზეა ისეთი სამართლებრივი შედეგი, თითქოს მამა გარდაცვლილი იყოს.⁷⁶² სავალდებულო წილის მოთხოვნაზე ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს ხანდაზმულობის ვადას. ქართული კანონმდებლობით სამკვიდროს მიღების ფაქტის არსებობის შემთხვევაში მემკვიდრეს აქვს უფლება, დაიცვას მიღებული სამკვიდრო სხვა დანარჩენი მემკვიდრეებისაგან, მათ შორის იმ მემკვიდრეებისაგან, რომლებმაც განახორციელეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი უფლება და არა აბსოლუტური უფლება, შესაბამისად, აბსოლუტურ უფლებაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება⁷⁶³. თუმცა, შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ბევრი ევროპული ქვეყნების სამართლებრივი გარემო მაინც თანხმდება ერთ საერთო პრინციპზე: ანდერძის არსებობის პირობებშიც კი, კანონმდებელი ერევა მამკვიდრებლის ნების ავტონომიაში და გვერდს არ უვლის მემკვიდრეობის ბუნებით უფლებას.

⁷⁶² BGH Urteil vom 13. April 2011, IV ZR 204/09

⁷⁶³ სუსგ საქმე #ას-146-140-2012. 12. ივლისი 2012 წელი

XI. დასკვნა

სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც მამკვიდრებლის სიცოცხლეში, წარმოიშობა მისი სიკვდილის შემდგომაც არ ქრება უკვალოდ. ქონებრივი უფლებები, რომელიც მამკვიდრებელს გარდაცვალების დროისათვის გააჩნდა გადადის მის ანდერძისმიერ თუ კანონისმიერ მემკვიდრეებზე. მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, და მას დაბადებიდან გააჩნია. მემკვიდრეობითი სამართლის ისტორიული წინამძღვრები ცხადყოფს, რომ აღნიშნული ინსტიტუტის განვითარება არ ყოფილა ერთგვაროვანი. საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპს მოჰქონდა საკუთრების ცნების გაფართოების შეუქცევადი აუცილებლობანი, და შესაბამისი საკანონმდებლო რეგლამენტაცია. მემკვიდრეობის უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს: „საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაოდ აღიარებული უფლების გაუქმება“. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, რომელიც მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს, იმგვარად წარმართა მემკვიდრეობის უფლებასთან დაკავშირებული ნორმების რეგულაციის საკითხები, რომ ხელი შეეწყოს ეკონომიკური ურთიერთობების ზრდისა და პირის ავტონომიური ნების თავისუფლების განმტკიცებისათვის. მემკვიდრეობის უფლება არის ერთერთი ძირითადი უფლება, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს უფლებას – საკუთრებას.

თუ საკუთრება და საკუთრების განკარგვა წარმოადგენს ბუნებითი სამართლის ნაწილს, მაშინ ჩნდება კითხვა, გამომდინარეობს თუ არა საკუთრების ბუნებიდან, რომ მამკვიდრებელს თავისუფლად შეუძლია ანდერძის შედგენა. საკუთრების განკარგვის თავისუფლებიდან გამომდინარეობს ანდერძის თავისუფლება. სავალდებულო წილის უფლება არის საოჯახო სამართლისა და სამემკვიდრეო სამართლის ერთგვარი განსხეულება, რომელიც ძალაშია მესაკუთრის ნებისაგან დამოუკიდებლად და წარმოადგენს საოჯახო სამართლისა და სამემკვიდრეო სამართლის ბირთვს. იგი ადგენს კანონისმიერი მემკვიდრეობისა და ანდერძის თავისუფლების აუცილებელ შეზღუდვას. სავალდებულო წილის უფლება ბუნებითი

სამართლის ოჯახში მოიაზრება, როგორც ადამიანების დაბადებიდან მინიჭებული უფლება სხვა ბუნებით უფლებებთან ერთად. სამართალმა გენეტიკურად, ფიზიკურად და სულიერად მამკვიდრებელთან ყველაზე ახლო მყოფ პირებს (მშობლებს, მეუღლეს და შვილებს) მიანიჭა ამ უფლებით სარგებლობის უფლება. რაც მითითებული სუბიექტების ბუნებითი უფლებაა. კანონმდებელმა მამკვიდრებლის ასევე ბუნებითი უფლების, ანდერძის თავისუფლების შეზღუდვით ნორმატიულად დააკანონა სავალდებულო წილის მქონე პირთა ბუნებითი უფლება.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში კვლევის შედეგის ჭრილში შეიძლება ერთ-ერთი დასკვნის სახით აღინიშნოს რომ, სავალდებულო წილის მემკვიდრეობა არ წარმოადგენს კანონისმიერ მემკვიდრეობის ფორმას, რადგან, იგი მხოლოდ მაშინ წარმოიშვება თუკი მამკვიდრებელმა შეადგინა ანდერძი და გაიხსნება ანდერძისმიერ მემკვიდრეობა, ამავდროულად ვერც ანდერძისმიერ მემკვიდრეობად განვიხილავთ რამეთუ, ანდერძის შინაარსისა და მოანდერძის ნების საწინააღმდეგოდ სამკვიდროს იღებენ კანონისმიერი პირველი რიგის მემკვიდრეები. სავალდებულო წილის მემკვიდრეობა განსაკუთრებულ, მემკვიდრეობის ფორმას წარმოადგენს, რომლითაც მამკვიდრებლის შვილი, მეუღლე და მშობლები როგორც მამკვიდრებელთან ყველაზე ახლო მდგომი ნათესავები, საანდერძო განკარგულებათა მიუხედავად, არ რჩებიან სამკვიდროდან წილის გარეშე. სავალდებულო წილის უფლებით დაცულია თაობათა შორის სოლიდარობისა და ოჯახური კავშირების შენარჩუნების ის ღირებულებები, რის გამოც კანონმდებელმა შეზღუდა მამკვიდრებლის ნების ავტონომია განკარგოს საკუთარი ქონება მისი შეხედულებებისამებრ.

მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტად უპირველეს ყოვლისა გვევლინება მემკვიდრეები. თავად მამკვიდრებელი რადგან ის აღარ არის ცოცხალი სამკვიდროს გახსნის დროისათვის მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის სუბიექტი ვერ იქნება. მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტიდან შეწყდა უფლებაუნარიანობა და მასთან ერთად ნებისმიერ სამართალურთიერთობაში მის სამართალსუბიექტად ყოფნის უფლებაც. სავალდებულო წილის მემკვიდრეობა, როგორც სამართალურთიერთობა წარმოიშობა გარკვეულ სუბიექტებს შორის ესენია: სავალდებულო მემკვიდრეები: მეუღლე, მშობლები, შვილები და სხვა

მემკვიდრეები, რომლებიც ვალდებულნი არიან თავი შეიკავონ უფლებების განხორციელების ხელყოფისაგან.

სადისერტაციო ნაშრომში მსჯელობის შედეგად დავადგინე რომ, სავალდებულო წილზე უფლებამოსილ მემკვიდრე – „მეუღლეებში“ უნდა ვიგულისხმოთ მამაკაცი და ქალი ერთმანეთის მიმართ, რომლებიც იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. ფაქტობრივი საქორწინო ურთიერთობები, ისევე როგორც სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი ქორწინება, მემკვიდრეობით უფლებებს არ წარმოშობენ. ნაშრომში სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისას წარმოჩინდა, რომ ხშირია დავები, როდესაც არარეგისტრირებული მეუღლე, რომელთანაც მამკვიდრებელმა სიცოცხლის დიდი ნაწილი გაატარა მოითხოვს მემკვიდრედ აღიარებას და მიუთითებს ჯვრისწერასა თუ სხვა რელიგიური წესით ქორწინებაზე. დასკვნის სახით ავლნიშნავ, რომ, არარეგისტრირებული, მართლმადიდებლური რელიგიური წესით ქორწინების დროს, მეუღლის მემკვიდრეობისა და სავალდებულო წილის საკითხიც უნდა შეფასდეს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო-ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლის შესაბამისად, რომლის ძალითაც სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებით ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს და ოჯახური ცხოვრების არსებობა-არარსებობის საკითხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მჭიდრო პირადი ურთიერთობის რეალურად არსებობის ფაქტზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუკი ქონებრივი მოთხოვნა საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლიდან გამომდინარეობს, ამავე სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის იმგვარად ვერ განიმარტება, რომ სახელმწიფოს დააკისროს რელიგიური ქორწინების აღიარების ვალდებულება. მათგან ვერც სპეციალური რეჟიმის დაწესებას მოითხოვს გარკვეული კატეგორიის დაუქორწინებელი წყვილისათვის. ამგვარად ის ფაქტი, რომ არარეგისტრირებული მეუღლე მემკვიდრის სტატუსით ვერ ისარგებლებს არ ნიშნავს იმას, რომ დაერღვა მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებები. ამდენად მხოლოდ რეგისტრირებული

ქორწინების ფაქტს უკავშირდება როგორც მემკვიდრეობის ასევე მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა და მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის მომენტთან მიმართებაში, მომწესრიგებელი ნორმების სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება მათ ნორმატიულ შინაარსს. დე ფაქტო „ოჯახური ცხოვრების“ დადგენას სხვა – ასე მაგალითად, მამობის დადგენის, ან მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საქმეებზე – შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სამართლებრივი დატვირთვა და იგი ყოველთვის, ყველა შემთხვევაში ვერ გამოიწვევს ისეთივე უფლებების წარმოშობას, როგორსაც ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს არსებით წინაპირობას მეუღლის მემკვიდრედ აღიარებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მეუღლის, როგორც სავალდებულო წილის უფლების მქონე სუბიექტის კვლევის შედეგის ჭრილში დავადგინე, რომ, ხარვეზიანია და გარკვეულწილად ბუნდოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლიც, რომლის თანახმად განქორწინებისას სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ამ დებულების ტერმინი "განქორწინება" არ უნდა გავიგოთ მისი ნორმატიული შინაარსით, რადგან, განქორწინების შემდგომ ყოფილი მეუღლეები ისედაც აღარ არიან ერთმანეთის მემკვიდრეები. გათვალისწინებული ნორმის გამოყენების წინაპირობაა არა მხოლოდენ ის გარემოება არსებობდა თუ არა ქალსა და მამაკაცს შორის რეგისტრირებული ქორწინება, არამედ გადაწყვეტი მნიშვნელობისაა კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობის ფაქტობრივად არარსებობაზე, შესაბამისად კი ნორმის მიზანია რომ გაუმართლებლად და დაუსაბუთებლად არ მოიპოვოს ვინმემ მატერიალური სიკეთე და მემკვიდრეობის უფლება. ამდენად, კვლევის შედეგად დასკვნის სახით აღვნიშნავ რომ, უმჯობესია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად „ცოცხლად დარჩენილი მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის და სავალდებულო წილის უფლება,

თუ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ იმ მამკვიდრებლის სარჩელით, რომლისთვისაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრულ ქონებრივ შედეგებს იწვევს“.

სავალდებულო წილზე უფლებამოსილი მემკვიდრე სსკ 1371-ე მუხლის თანახმად არის ასევე მამკვიდრებლის შვილი. კანონი იცავს ჩასახულის, სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ჯერ კიდევ არ დაბადებული, მემკვიდრის წილს, როგორც მომავალი მემკვიდრეობის სამართალურთიერთობის შესაძლო სუბიექტს, მემკვიდრის ცოცხლად დაბადების შემთხვევაში მისი სამართალსუბიექტობა აღიარებულია არა დაბადებიდან არამედ ჩასახვიდან. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან წლების შემდეგ იმ ვიტრო განაყოფიერების შედეგად დაბადებული მამკვიდრებლის შვილების სამართლებრივი მდგომარეობა, კვლევის შედეგად წარმოჩინდა, რომ მათი სამემკვიდრეო უფლებების დადგენა იწვევს რიგ სამართლებრივ სირთულეებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1188-ე მუხლის თანახმად: მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს ათი თვის. ხოლო ამავე კოდექსის 1306-ე მუხლის თანახმად კანონით მემკვიდრეები არიან მამკვიდრებლის შვილები, რომლების დაიბადნენ ცოცხალი მისი გარდაცვალების შემდეგ, ხოლო ანდერძით მემკვიდრეები თუ ისინი ჩაისახნენ მამკვიდრებლის სიცოცხლეში და დაიბადნენ მისი გარდაცვალების შემდეგ. შესაბამისად შვილი რომ სავალდებულო მემკვიდრე იყოს იგი უნდა იყოს ჩასახული და დაიბადოს ცოცხალი მამის გარდაცვალების შემდეგ, ამასთან მამობის დადგენა შესაძლებელია თუ ბავშვი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 თვისა. ხელოვნური განაყოფიერების შემთხვევაში შესაძლებელია მამის ბიოლოგიური მასალების გამოყენებით ემბრიონის შექმნა მოხდეს მამის გარდაცვალების შემდეგ, ხელშეკრულების შესაბამისად დედას უფლება ჰქონდეს მეუღლის გარდაცვალების შემდგომაც მოახდინოს მისი ბიოლოგიური მასალების გამოყენება და შესაძლოა ბავშვი დაიბადოს მამის გარდაცვალებიდან 1 ან 2 წლის შემდეგაც კი. თავისთავად ხელშეკრულების მხარის

გარდაცვალების შემდეგ მისი თანხმობის მიღება ხელოვნურ განაყოფიერებაზე, თუ სუროგაციაზე, შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია ბიოლოგიურმა მამამ სიცოცხლეშივე გასცა ნებართვა/თანხმობა გარდაცვალების შემდგომაც ბიოლოგიური მასალების გამოყენებაზე, ამგვარ ვითარებაში დაბადებული ბავშვების მიმართ უნდა მოხდეს დაბადების სააქტო ჩანაწერებში ბიოლოგიური მამის მონაცემების ჩვეულებისამებრ შეტანა, თუმცა პრობლემას ქმნის სააგენტოს უარი, რამეთუ არ დგინდება მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 10 თვისა ბავშვის დაბადების ფაქტი. მოქმედი კანონმდებლობით გადაწყვეტილია საკითხი მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა ბავშვი დაიბადება მშობლის გარდაცვალებიდან 10 თვის განმავლობაში, ხოლო 10 თვის ვადის შემდეგაც, იმ ვიტრო განაყოფიერებისა თუ სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და პოტენციურ მშობელს შორის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების საკითხი მოითხოვს სწრაფ საკანონმდებლო გადაწყვეტას, რომელიც განსაზღვრავს ამ ბავშვის მამობის დადგენის და მემკვიდრეობის საკითხს. დაბადების სააქტო ჩანაწერში სააგენტომ მამის მონაცემების შეტანა უნდა განახორციელოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებისა და სამედიცინო დაწესებულებიდან წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო დავის შემთხვევაში სამართალწარმოების საკითხი შეიძლება გადაწყდეს გამარტივებული სამართალწარმოების გზით, არ უნდა იყოს საჭირო გენეტიკური ესქპერტიზა (1190-ე მუხლი), სასამართლო უნდა დაეყრდნოს მხოლოდ მხარეთა ხელშეკრულებას და უნდა შემოწმდეს მხოლოდ ბიოლოგიური მამის ნება გარდაცვალების შემდგომ განკარგულებაზე. სადისერტაციო ნაშრომის ან ნაწილის კვლევის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა დადგინდეს მამკვიდრების მამობა ხელოვნური განაყოფიერების, თუ სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მიმართ, მიუხედავად იმისა რა ვადაა გასული მამის გარდაცვალებიდან ბავშვის დაბადებამდე. ნათესაური ურთიერთობის მტკიცების ნაწილში შესაძლო პრაქტიკული სირთულეების მიუხედავად და მემკვიდრის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის სიძნელის მიუხედავად, ნებისმიერ დროს, როდესაც საქმე ეხება ბავშვს, ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის უმნიშვნელოვანესი. სამკვიდროს გახსნის შემდეგ კანონი დადგენილი წესების დაცვით ჩასახული და დაბადებული ბავშვების სამემკვიდრეო უფლებების დაცვა

მნიშვნელოვანია, თუმცა მეორეს მხრივ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის სირთულეებიც რაც ამ საკითხს ახლავს: სამკვიდროს გახსნიდან წლების (გაურკვეველი ვადის) გასვლის შემდეგ მემკვიდრის დაბადება და მისთვის სამკვიდროდან წილის გამოყოფა თავდაყირა აყენებს სამკვიდროს გაყოფის შემდეგ მემკვიდრეთა სამკვიდრო ქონების (წილები, მათ შორის სავალდებულო წილის) მესაკუთრედ ყოფნის სტაბილურობას, მამკვიდრებლის ვალდებულებების შესრულების, საანდერძო დანაკისრის უზრუნველყოფის და სხვა სამემკვიდრეო უფლება-მოვალეობებს. ამდენად, შედეგის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს რომ, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს გარკვეულ პროცედურულ წესებს და ვადებს რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია განხორციელდეს სავალდებულო მემკვიდრის, შვილის ჩასახვა გარდაცვლილის ბიოლოგიური მასალების გამოყენებით, სამემკვიდრეო უფლებების წარმოშობისათვის.

შვილიშვილის, როგორც სავალდებულო მემკვიდრის უფლებების კვლევის დროს სადისერტაციო ნაშრომში მივედი დასკვნამდე რომ განსხვავებით გერმანული სამართლისგან ქართული მემკვიდრეობის სამართალი შვილიშვილს არ განიხილავს სავალდებულო წილის უფლების სუბიექტად. მემკვიდრეობის სამართლის დებულებები შეიცავს კანონით მემკვიდრეობის (სსკ 1336-1343-ე მუხლები) და სავალდებულო წილის მემკვიდრეობის (1371-1382) მომწესრიგებელი სპეციალურ ნორმებს. სავალდებულო წილზე უფლებამოსილ მემკვიდრეთა წრეს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი, რომელიც იმპერატიულად, სხვა ნორმაზე (მაგ. სსკ 1336-ე მუხლზე) მითითების გარეშე ადგენს სავალდებულო წილზე უფლების მქონე კონკრეტულ პირთა წრეს პირველი რიგის მემკვიდრეებიდან, ესენი არიან მეუღლე, მშობლები და შვილები, ხოლო მათ შორის მამკვიდრებლის შვილიშვილები მოხსენიებული არ არის. შვილიშვილი შესაძლებელია იყოს სავალდებულო მემკვიდრე სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ტრანსმისიას. ამავე ნორმის თანახმად ტრანსმისია დასაშვებია თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ისე, რომ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება. ხოლო თუ მამკვიდრებლის გარდაცვალებას წინ უსწრებს სავალდებულო წილის მიღების

უფლების მქონე პირის გარდაცვალება, ბუნებრივია ამ უკანასკნელს (სავალდებულო მემკვიდრეს) ვერ წარმოეშობა სავალდებულო წილის მიღების უფლება და ამ უფლებით ვერც მისი მემკვიდრე ისარგებლებს. შესაბამისად, შვილიშვილი სავალდებულო მემკვიდრეა მხოლოდ მემკვიდრეობითი ტრანსმისიით და სპეციალური ნორმის არსებობისას, დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული წარმომადგენლობითი სავალდებულო წილის მემკვიდრეობის უფლება.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სავალდებულო წილის მიღებისათვის კანონით დადგენილი ვადების გაშვების საპატიოდ ცნობის და მისი აღდგენის პრობლემები. დასკვნის სახით შემიძლია განვმარტო შემდეგი: სავალდებულო წილის მემკვიდრეობის მიღება წარმოადგენს სავალდებულო მემკვიდრის გააზრებულ, მოფიქრებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიზანია სავალდებულო მემკვიდრის ჩაენაცვლება მამკვიდრებელის ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებში. სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღება ისევე როგორც ზოგადად სამკვიდროს მიღება სავალდებულო მემკვიდრისგან მოითხოვს მიზანმიმართული იმგვარი მოქმედების შესრულებას, რომლებიც ზუსტად გამოხატავენ მემკვიდრის განზრახვას გარდაცვლილი პირის ქონების უფლებამონაცვლეობის საკითხთან დაკავშირებით. ამ შედეგის მიღწევა და სამკვიდროს მიღება შეიძლება ფორმალური და არაფორმალური საშუალებით. სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღების ფორმალურ ხერხს მიეკუთვნება მემკვიდრის განცხადება ნოტარიუსში სამკვიდროს მიღების შესახებ. ამგვარი განცხადება თავისი არსით წარმოადგენს სავალდებულო მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების განზრახვის საჯაროდ გამოცხადებას. სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანა დასტურია იმის, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო მიიღო, რაზეც გავლენას ვერ მოახდენს ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად საჭირო ფორმალური პროცედურების დარღვევა. სამკვიდროს მიღების არაფორმალურ საშუალებას მიეკუთვნება სამკვიდროს ფაქტობრივი მიღება, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე კომპონენტები – სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა. ფაქტობრივი ფლობისკენ მიმართული

ნებისმიერი მოქმედებიდან აშკარად უნდა იკვეთებოდეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების სურვილი, მემკვიდრის ნება (სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა, რომლისთვისაც ჩვეულებრივ, აუცილებელია ნების ნამდვილობა). მემკვიდრის ყველა ამგვარი მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა მაგალითად: მამკვიდრებლის საცხოვრებელ სახლში ცხოვრება, მამკვიდრებლის ნივთების, როგორც საკუთარის მიღება, სამკვიდროს ფაქტობრივი მართვა, მოვლა და სხვა. სამკვიდროს მიღებად მიიჩნევა პირის იმგვარი ქმედებები, რომლებიც საშუალო წინახედულების მქონე ადამიანს შეუქმნის რწმენას, რომ მემკვიდრე ქონებას, როგორც საკუთარს ისე იყენებს.

სავალდებულო მემკვიდრეს უფლება აქვს სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი 6 თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, გაშვებული ვადების საპატიოდ ცნობისა და მისი აღდგენის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს სასარჩელო წესით. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მემკვიდრე სასამართლოს მიმართავს სამკვიდროს გახსნიდან რამდენიმე წლის შემდეგ. განსაკუთრებით პრობლემურია საკითხი როდესაც სხვა მემკვიდრემ მიიღო სამკვიდრო და ამგვარი სარჩელის დაკმაყოფილება მათი წილების შემცირებასაც ნიშნავს, ხოლო თუ სამკვიდრო არც ერთ მემკვიდრეს არ მიუღია იგი სახელმწიფო საკუთრებაა და დავაზეც მოპასუხე სახელმწიფოა. მემკვიდრეობის მიღება ვადის ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია იმიტომ, რომ მემკვიდრეობის უფლებამ არ დაკარგა თავისი საფუძველი, ხოლო მემკვიდრეობის მიღების ვადის ამოწურვა მოქმედებდა, როგორც უფლების რეალიზაციის შეზღუდვა დროში. მაშასადამე, მემკვიდრეობის მიღების ვადა უნდა მივიჩნიოთ ვადად, რომელიც ზღუდავს სუბიექტური სამართლებრივი შესაძლებლობების განხორციელებას, მაგრამ არ ართმევს განსაზღვრულ პირს გარდაცვლილის ქონების მემკვიდრეობის უფლებას. მიუხედავად ამისა დაუშვებელია სამკვიდროს გახსნიდან ათეული წლების შემდეგ მემკვიდრემ მოითხოვოს ვადების აღდგენა, ხოლო სამკვიდროს მიმღები დანარჩენი მემკვიდრეების საკუთრების უფლება მუდმივად შემცირების საფრთხის ქვეშ იყოს. სადისერტაციო ნაშრომში მივედი იმ დასკვნამდე რომ, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიო საფუძვლები უნდა არსებობდეს სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში და სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი 6 თვიანი ვადის

ამოწურვიდან ვადის გაგრძელების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის თარიღამდე. მემკვიდრეობის მისაღებად ვადის გაგრძელებისათვის დროებითი შეზღუდვების ვადა კანონმა პირდაპირ უნდა განსაზღვროს და ეს უნდა იყოს ვადა რომლის განმავლობაშიც მემკვიდრეს შესაძლებლობა მიეცემა მიმართოს სასამართლოს სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის მოთხოვნით და იგი უნდა აითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც აღმოიფხვრა მემკვიდრეობის მიუღებლობის საპატიო მიზეზები და შეწყვიტეს არსებობა მემკვიდრეობის მიღების ხელშემშლელმა გარემოებებმა. ამდენად, სამკვიდროს მიღების ვადების საპატიოდ ცნობისა და მისი აღდგენის შესახებ სსკ 1426-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება აღადგინოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიმღები ყველა მემკვიდრე. 2. ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევაში მემკვიდრემ, სამკვიდროს მიღების ვადების აღდგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს სასამართლოს 6 თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც აღმოიფხვრა მემკვიდრეობის მიუღებლობის საპატიო მიზეზები და შეწყვიტეს არსებობა მემკვიდრეობის მიღების ხელშემშლელმა გარემოებებმა.

სავალდებულო წილის მიღების ვადების აღდგენის სასამართლო სამართალწამოების პროლემების კვლევის დროს დავადგინე რომ სასამართლოში სარჩელის აღძვრისას ვადაგამშვები სავალდებულო მემკვიდრის სასარჩელო მოთხოვნა უნდა იყოს ვადების გაშვებისა მიზეზების ცნობისა და მისი აღდგენის გამო სწორედ სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიკუთვნება, ვინაიდან მისი დავის ნამდვილი იურიდიული ინტერესი არის სამემკვიდრეო-სამართლებრივ უფლებებში აღდგენით სამკვიდროდან სავალდებულო წილის საკუთრებაში მიღება. მემკვიდრეობის დავებზე სასამართლო სამართალწარმოება უნდა დამთავრდეს მემკვიდრისათვის მატერიალური უფლებების მიკუთვნებით და არა მემკვიდრეობის მიღების ვადის აღდგენით. თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას მხოლოდ ვადების აღდგენის თაობაზე, მემკვიდრეს ნებისმიერ დროს შეეძლება იგი წარადგინოს ნოტარიუსთან და გაურკვეველი ვადით გადაიდება სამკვიდროს გაყოფის ბედი. ასეთ დროს უკვე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში ნოტარიუსმა უნდა

შეიტანოს ცვლილებები, რაც წილთა ოდენობის გამო შესაძლოა ახალი დავის საგანი გახდეს სასამართლოში და ერთ დამთავრებულ დავას მოჰყვება მეორე. თუ სასამართლო ვადაგამშვებ სავალდებულო მემკვიდრეს აღუდგენს სამკვიდროს მიღების ვადას ეს არ ნიშნავს დამატებით დროს და ვადის მიცემას სამკვიდროს მისაღებად, სასამართლო ვალდებულია ასეთი ვადაგამშვებული მემკვიდრე ამავდროულად ცნოს სამკვიდროდან სავალდებულო წილის მესაკუთრედ. სამკვიდროს მიღების ვადის გადაცილების საპატიოდ ცნობისა და მისი გაგრძელების პრობლემური საკითხების კვლევისას მივედი იმ შედეგამდე, რომ სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადა არ გრძელდება, არამედ აღდგება, შესაბამისად სსკ 1426-ე მუხლი უნდა ითვალისწინებდეს ამგვარი ვადების არა გაგრძელებას, არამედ აღდგენას, რამეთუ 6 თვიანი ვადები სამკვიდროს მიღებისა უკვე გასულია, ამოწურულია და ბუნებრივია ვეღარც გაგრძელდება. ვადის აღდგენის მოთხოვნა თავისთავად უკვე მოწმობს მემკვიდრეობის შექმნის თაობაზე პირის განზრახვას. სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადის აღდგება განაპირობებს მოსარჩელე-მემკვიდრის სამკვიდროს მიმღებად ცნობას და მამკვიდრებლის ქონებაში მისთვის წილის მიკუთვნებას. ამიტომ, მემკვიდრეობის მიღების გაშვებული ვადის აღდგენა გამორიცხავს მემკვიდრის მხრიდან მემკვიდრეობის მისაღებად რაიმე დამატებითი მოქმედებების განხორციელების აუცილებლობას. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ნოტარიუსთან მიმართვა, სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ, არ უნდა იყოს საჭირო და მემკვიდრისათვის ვადის აღდგენით სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს სამკვიდროში მემკვიდრის წილხვედრ ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობის საკითხიც.

სავალდებულო წილის მემკვიდრეობაზე უარის ჭრილში სადისერტაციო ნაშრომში განვიხილე სამკვიდროზე უარის ვადები და მისი აღდგენის პრობლემები. მოქმედი კანონმდებლობით მემკვიდრეს უფლება აქვს უარი თქვას სამკვიდროზე როგორც სამკვიდრო ქონების დაუფლების შემთხვევაში ასევე ფაქტობრივი მიუღებლობის დროსაც, სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის ვადაში, ამავდროულად კანონი ითვალისწინებს ამ ვადის აღდგენის შესაძლებლობასაც. დავადგინე, რომ, მემკვიდრეობის ფაქტობრივად მიუღებლობის მდგომარეობა განიხილება, როგორც მემკვიდრეობაზე უარის პრეზუმცია, რომელიც არ საჭიროებს სასამართლოს მიერ

დამტკიცებას და რომელიც შეიძლება უარყოფილი იყოს მემკვიდრეობის მიღების და არა მასზე უარის სასარგებლოდ, სასამართლოსათვის მიმართვით, ვადების აღდგენის მოთხოვნით. რაც შეეხება სამკვიდროზე უარს მისი დაუფლების შემდეგ, მივედი დასკვნამდე რომ, სამკვიდროს მიღება შეუქცევადია, რამეთუ მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს. ამდენად, მემკვიდრეობის გარდაცვალებიდან ექვს თვეში ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ მემკვიდრეს სამკვიდრო უკვე მიღებული აქვს და მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან, ხოლო ასეთ მემკვიდრეს რომელიც უკვე მესაკუთრეცაა უფლება აქვს უარი თქვას არა სამკვიდროს მიღებაზე, არამედ, სამკვიდრო ქონებაზე, ხოლო ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით მემკვიდრემ რომელმაც მიიღო სამკვიდრო უფლება აქვს უარი თქვას მის მიღებაზე. ბუნებრივია აქ კანონმდებლის მიზანი უნდა ყოფილიყო მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების საკუთრებაში მიღებაზე უარის თქმა, რომელიც რასაკვირველია მემკვიდრის მიერ გააზრებული გადაწყვეტილების მიღებას უნდა ეფუძნებოდეს. მივიჩნიე, რომ, თუ მემკვიდრის მოქმედებების ობიექტური ხასიათი არ შეესაბამებოდა მის შინაგან განზრახვას და მემკვიდრე ამ მოქმედებებს ახორციელებდა არა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე და არა მემკვიდრეობის თავისთვის მიღების მიზნით, მას არ ერთმევა თავისუფალი არჩევანის უფლება მემკვიდრეობის მიღებასა და მასზე უარის თქმას შორის. მემკვიდრე უფლებამოსილია უარი თქვას მემკვიდრეობაზე და კანონით დადგენილი სამკვიდროს მიღების პრეზუმფცია იმ მემკვიდრის მიმართ, რომელმაც განახორციელა სამკვიდროს ფაქტობრივი მიღების ფაქტის დამადასტურებელი მოქმედებები არ ლახავს სამკვიდროს შეძენის ძირითად პრინციპს, კერძოდ, მემკვიდრეობის მიღების თავისუფლებას და ნებაყოფლობას. ამდენად, მემკვიდრეს უფლება უნდა მიეცეს უარი თქვას მემკვიდრეობაზე, სავალდებულო წილზე (და არა სამკვიდროს მიღებაზე) ნებისმიერ დროს, სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში, მიუხედავად იმისა დაეუფლა თუ არა სამკვიდროს.

სავალდებულო წილი სამკვიდროზე უარის თქმის ვადების გაშვების საპატიოდ ცნობის შესახებ დავათა სამართალწარმოების დროს, დავადგინე რომ, მემკვიდრეს, რომელიც მიმართავს სასამართლოს სარჩელით სამკვიდროზე უარის თქმის ვადების გაშვების საპატიოდ ცნობის შესახებ, სარჩელი უნდა აღძრავს ყველა ანდერძისმიერი სამკვიდროს მიმღები მემკვიდრის წინააღმდეგ, ვინაიდან მისმა უარმა შესაძლებელია გამოიწვიოს სამკვიდროს სხვაგვარი გადანაწილება. მოქმედებები, რომლებიც მოწმობენ მემკვიდრეობის ფაქტობრივ მიღებაზე, ქმნიან მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების პრეზუმციას, ამიტომ, მემკვიდრემ დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ, სასამართლოში შეტანილ სარჩელში უნდა მიუთითოს, რომ მას არ ჰქონდა მემკვიდრეობის მიღების სურვილი, მიზანი და განზრახვა. თუ სასამართლო საპატიოდ არ მიიჩნევს მემკვიდრეობაზე უარის თქმისათვის დადგენილი ვადის გაშვების მიზეზებს, მან კანონიდან გამომდინარე უარი უნდა უთხრას მემკვიდრეს მისი განცხადების დაკმაყოფილებაზე. მემკვიდრე აღმოჩნდება სამკვიდროს მესაკუთრედ მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. საკითხის კვლევისას მივიჩნიე რომ, სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილება არ შეესაბამება მემკვიდრეობისა და საკუთრების მოპოვების თავისუფლების პრინციპს. როგორც არ უნდა იყოს მემკვიდრეობაზე უარის თქმისათვის დადგენილი ვადის გაშვების მიზეზები, სავალდებულო წილის მემკვიდრეობაზე პირის განზრახვის არარსებობა, რომელიც ქმნის მემკვიდრეობის ფაქტობრივი მიღების ილუზიას არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ სასამართლომ ცნოს მემკვიდრის უარი მემკვიდრეობაზე. თუმცა მეორეს მხრივ თუ მემკვიდრეობის მისაღებად დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში, იგი შეიძლება აღდგენილ იქნეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მისაღებად, მაშინ მემკვიდრეობის მიღების ვადა არ შეიძლება აღდგეს მემკვიდრეობაზე უარის თქმის მიზნით. მემკვიდრეობაზე უარისათვის ვადის აღდგენის დასაშვებობა ეწინააღმდეგება უფლებამონაცვლეობისა და მემკვიდრეობის მიუღებლობის სამართლებრივი შედეგების არსს, რომლის ძალითაც სხვა პირებს წარმოეშობათ მემკვიდრეობის უფლება.

სავალდებულო წილზე უარის შინაარსის კვლევისას შედეგის თვალსაზრისით უნდა აღნიშნოს, რომ, სავალდებულო წილზე უარი არის უპირობო, რამდენადაც სავალდებულო მემკვიდრე ვერ იტყვის უარს სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ და

ამავდროულად არის კვალიფიციურიც, რადგან სავალდებულო მემკვიდრის უარის შემთხვევაში ასეთი უარი მიმართულია არა რომელიმე კონკრეტული მემკვიდრეების --- ყველა ანდერძისმიერი მემკვიდრეების სასარგებლოდ, რადგან სავალდებულო წილზე უარის თქმა არ გამოიწვევს სხვა სავალდებულო მემკვიდრეთა წილის გაზრდას, გადადის მხოლოდ ანდერძით მემკვიდრეებზე და მათ შორის თანაბრად ნაწილდება. სავალდებულო მემკვიდრის მიერ წილზე უარის თქმის დროს საუბარია არა იმაზე, რომ სავალდებულო წილი გადადის ანდერძით მემკვიდრეებზე, არამედ იმაზე, რომ ანდერძით მემკვიდრეობა თავისუფლდება შეზღუდვებისაგან და სავალდებულო წილზე უარის თქმის გამო მისი ბედიც გადაწყვეტილია. სავალდებულო წილზე უარის თქმა სხვა სავალდებულო მემკვიდრის სასარგებლოდ დაუშვებელია, რადგან, არალეგიტიმურად ზღუდავს მემკვიდრეობის მიერ ანდერძში გამოხატული ნების თავისუფლების.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სავალდებულო წილის ტრანსმისიის პრობლემები, რაზეც სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ტრანსმისიას სსკ-ის 1372-ე მუხლი ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც, სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. სავალდებულო წილის მიღების უფლებით შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალ სავალდებულო მემკვიდრეს, ხოლო ამ უკანასკნელის მიერ სავალდებულო წილის მიღების უფლების რეალიზაციამდე გარდაცვალების შემთხვევაში სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე. ქართული კანონმდებლობა განმარტავს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტს და მხოლოდ იმაზე მიუთითებს რომ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით, თუმცა არ არეგულირებს თუ კონკრეტულად რომელ მემკვიდრეებზე გადადის სავალდებულო მემკვიდრის სავალდებულო წილის უფლება, ნებისმიერზე თუ მხოლოდ ასევე სავალდებულო მემკვიდრეებზე. კვლევის ფარგლებში მივედით დასკვნამე, რომ, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით უნდა გადავიდეს არა ყველა მემკვიდრეზე, არამედ იმათზე, რომელთაც გარდაცვლილი სავალდებულო ტრანსმისარი მემკვიდრეობისაგან ასევე სავალდებულო წილი ეკუთვნოდათ, ე.ი. მხოლოდ შვილებზე, მშობლებსა და მეუღლეზე. თუ სავალდებულო

წილის მემკვიდრეობის ტრანსმისის დროს ტრანსმიტენტ სავალდებულო მემკვიდრეს არ დარჩა პირველი რიგის მემკვიდრეები არ შეიძლება სხვა მეორე ან შემდგომი რიგის მემკვიდრეებზე გადავიდეს სავალდებულო წილის მიღების უფლება, რამდენადაც ეს უფლება კონკრეტულ პირთა, პირველი რიგის მემკვიდრეთა პირადი უფლებაა. ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ კანონით განსაზღვრული, კონკრეტული, პირველი რიგის მემკვიდრეები. თუ ტრანსმიტენტი სავალდებულო მემკვიდრე გარდაიცვალა და მას არ დარჩა პირველი რიგის მემკვიდრეები, მისი უფლება სავალდებულო წილის მიღებაზე ძალას კარგავს და უქმდება ანდერძის თავისუფლების კანონისმიერი შეზღუდვაც. სავალდებულო მემკვიდრის უფლებების მოცულობა შევიწროებულია „ჩვეულებრივი“ მემკვიდრეების უფლებამოსილებების სპექტრთან შედარებით. სავალდებულო წილის პერსონიფიცირებული ხასიათი განმარტავს და მკაცრად განსაზღვრავს კანონმდებლობით შემოფარგლულ აუცილებელ მემკვიდრეთა წრეს. ყოველივე ეს მეტყველებს კანონმდებლობის მკაფიო პოზიციაზე სავალდებულო წილის მემკვიდრეობის ინდივიდუალურ ხასიათთან მიმართებაში. სადისრეტაციო ნაშრომში მივედი იმ დასკვნამდე რომ, ნორმის შინაარსის არაერთგვაროვანი განმარტებების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია პირდაპირ განიმარტოს სავალდებულო წილის ტრანსმისით გადასვლის უფლების სუბიექტებზე და 1372-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ”სავალდებულო წილის მიღების უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის დღიდან. თუ სავალდებულო მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან ამ უკანასკნელის სავალდებულო წილის მიღების უფლება გადადის მემკვიდრეობით მისი პირველი რიგის (მეუღლე, მშობლები, შვილები) მემკვიდრეებზე.”

სავალდებულო წილის ტრანსმისით მიღებაზე შეიძლება უარი თქვას სავალდებულო ტრანსმისარმა. ზოგადად ტრანსმისარს შეუძლია უარი თქვას ტრანსმისით სამკვიდროზე, მხოლოდ ტრანსმიტენტის მემკვიდრეთა სასარგებლოდ. კვლევის ჭრილში მივედი დასკვნამდე, რომ, თუ სავალდებულო ტრანსმისარი რამდენიმე ყველას თანაბრად ეკუთნის სავალდებულო ტრანსმიტენტის წილი თანაბრად. თუკი რომელიმე მათგანი არ მიღებს ან უარი იტყვის სავალდებულო ტრანსმიტენტის წილიდან თავის კუთვნილ წილზე ეს არ გამოიწვევს ანდერძისმიერი

მემკვიდრის წილის გაზრდას და მოხდება ამ წილის შიდა ტრანსმისიული გადანაწილება ასევე სავალდებულო ტრანსმიტენტებზე. (განსხვავებით სავალდებულო წილზე უარის თქმის ზოგადი წესისაგან) ამგვარ ვითრებაში კი შეიძლება დავასკვნა რომ სავალდებულო ტრანსმისარს უფლება აქვს უარიც კი თქვას კონკრეტული სავალდებულო ტრანსმისარის (ოღონდ ეს ტრანსმისარი ტრანსმიტენტის მემკვიდრეც უნდა იყოს) სასარგებლოდ. ხოლო თუ სავალდებულო ტრანსმისარი ერთადერთია იგი არ მიიღებს სავალდებულო ტრანსმიტენტის სავალდებულო წილს ან უარს იტყვის მასზე, სავალდებულო წილის უფლება გადადის არა სხვა სავალდებულო მემკვიდრეზე, არამედ, მხოლოდ ძირითადი მამკვიდრებლის ანდერძისმიერ მემკვიდრეზე. სავალდებულო ტრანსმისარის მიერ სავალდებულო წილის მიღებაზე უარს კანონმდებლობა არ არეგულირებს და ზოგადად სავალდებულო წილზე უარის თქმის ნორმების ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია ტრანსმისიის განსაკუთრებული თავისებურებებიდან გამომდინარე.

დავადგინე რომ, კანონმდებლობით სრულყოფილად და ნათლად უნდა განისაზღვროს როგორც სავალდებულო ტრანსმიტენტის სავალდებულო წილზე უარის შედეგები, ასევე ზოგადად ტრანსმისარი და სავალდებულო ტრანსმისარი მემკვიდრის ვალდებულებები ძირითადი მამკვიდრებლის და ტრანსმიტენტი მამკვიდრებლის კრედიტორთა მიმართ, რომელიც იქნება შემდეგი შინაარსის: მემკვიდრემ, რომელმაც მემკვიდრეობა ტრანსმისიით მიიღო, ვალდებულია მიღებული სამკვიდრო აქტივის ფარგლებში გადაიხადოს მამკვიდრებლის ვალები და არაა პასუხისმგებელი იმ მემკვიდრის ვალდებულებებისთვის, რომლისგანაც მიიღო ქონების მიღების უფლება.

სადისერტაციო ნაშრომში განვიხილე სავალდებულო მემკვიდრეთა ვალდებულებები. დავადგინე რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკე არ განსაზღვრავს კრედიტორთა მოთხოვნების რიგითობას თუმცა სამოქალაქო კოდექსის ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სავალდებულო მემკვიდრემ სხვა მემკვიდრეთა მსგავსად კრედიტორთა მოთხოვნები შემდეგი რიგითობით უნდა დააკმაყოფილოს: პირველ რიგში კმაყოფილდება მამკვიდრებლის ავადმყოფობისა და დაკრძალვის ხარჯები, მეორე რიგში-სამკვიდროს დაცვისა და მართვის ხარჯები, მესამე რიგში-ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, მეოთხე რიგში-

კრედიტორთა სხვა მოთხოვნები და მეხუთე რიგში აღსრულება საანდერძო დანაკისრი. კანონი განსაზღვრავს იმ ვადებს, რომელთა განმავლობაში კრედიტორებს თავიანთი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა ეძლევათ. მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. თუ მემკვიდრეების კრედიტორებმა არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაშინ მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომიდან. ამ წესების დაუცველობა გამოიწვევს კრედიტორების მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვას. მემკვიდრეებს უფლება აქვთ, მაგრამ ვალდებულნი არ არიან შეასრულონ მოთხოვნა ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე. თუ მემკვიდრეები მოთხოვნის შესრულებას გადადებენ შესრულების ვადის დადგომამდე, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება ხანდაზმულობის საერთო ვადის განმავლობაში. დადგენილი ექვსთვიანი ვადა არის მამკვიდრებლის კრედიტორთა მიერ უშუალოდ მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის (პრეტენზიის) წარდგენის და არა სასამართლოში სარჩელის შეტანის ვადა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, თუ მამკვიდრებლის კრედიტორებმა ზემოაღნიშნული ვადის დაცვით არ წარუდგინეს პრეტენზიები მემკვიდრეებს, ისინი კარგავენ მოთხოვნის უფლებას, რაც, შემდგომში, სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ამ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს. ნაშრომში წინამდებარე საკითხის კვლევისას წარმოჩინდა რომ, პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმ საკითხის გარკვევა, თუ როდიდან იწყება შეტყობინების ექვსთვიანი ვადის ათვლა. ნორმა ადგენს, რომ ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, რაც მამკვიდრებლის კრედიტორებმა შეიტყეს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა, ამავე ნორმის მიხედვით, კრედიტორებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინონ იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს. ამდენად, მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადის ათვლისათვის მხოლოდ იმის ცოდნა, რომ სამკვიდრო გაიხსნა, საკმარისი არ არის. მამკვიდრებლის კრედიტორებმა ასევე, უნდა იცოდნენ იმ მემკვიდრეთა ვინაობა, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, რათა სწორედ მათ უნდა წარუდგინონ მოთხოვნა. კანონი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების ორ გზას ადგენს, კერძოდ,

სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით და ნოტარიუსისათვის განცხადების წარდგენით. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორებისათვის ცნობილია, როგორც სამკვიდროს გახსნის, ასევე, იმ მემკვიდრეთა შესახებ, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, მაშინ კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა სამკვიდროს გახსნის შესახებ ცნობის მიღებიდან ექვს თვეში უნდა წარუდგინონ. ამასთან, შესაძლებელია, კრედიტორებისთვის ცნობილი გახდა მოვალის გარდაცვალების და სამკვიდროს გახსნის შესახებ, მაგრამ მათ ვერ შეიტყვეს სამკვიდროს მიმღებ ანდერძისმიერ და სავალდებულო მემკვიდრეთა შესახებ. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ნოტარიუსს განცხადებით მიმართავს კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის ბოლო დღეს, ან კრედიტორისათვის არაა ცნობილი იმ ფაქტების თაობაზე, რომლებიც მემკვიდრის მიერ ამავე ვადაში სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას ადასტურებს. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, სამკვიდროს მიღების თაობაზე კრედიტორებისათვის ცნობილი ხდება მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო მოწმობის აღების შემდეგ ან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. ასეთ შემთხვევაში, მემკვიდრეების კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ გონივრულ ვადაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს მიღები მემკვიდრეთა თაობაზე. მართალია კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც კრედიტორებისათვის უცნობია სამკვიდროს გახსნის შესახებ, რომლის დროსაც მათ უნდა წარადგინონ მოთხოვნა ერთი წლის განმავლობაში მოთხოვნის ვადის დადგომიდან, თუმცა ბუნებრივია სუბიექტები ვისაც მოთხოვნა უნდა წარუდგინონ იგივეა -- სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეები, მემკვიდრეების კრედიტორებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინონ სწორედ იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, აქაც, შესაძლოა კრედიტორებმა არც იცოდნენ სამკვიდროს მიმღები ანდერძისმიერი თუ სავალდებულო მემკვიდრეთა შესახებ. მივედი დასკვნამდე, რომ, ვინაიდან სამკვიდრო მოწმობას გასცემს ნოტარიუსი, უპრიანია კრედიტორმა, რომლისთვისაც ცნობილი გახდება მოვალის გარდაცვალების შესახებ მაგრამ არ იცის და არც შიძლება იცოდეს სამკვიდროს მიმღები ანდერძისმიერი თუ სავალდებულო მემკვიდრეთა შესახებ მიმართონ ნებისმიერ ნოტარიუსს, გარდაცვლილი მოვალის მემკვიდრეების მიმართ მოთხოვნის წარდგენის პრეტენზიით. ნოტარიუსმა მემკვიდრეების

კრედიტორის პრეტენზიების შესახებ უნდა აცნობოს მემკვიდრეებს რომლებიც მიმართავენ სამკვიდროს ან სამკვიდრო მოწმობის მისაღებად. ამდენად, მივედით დასკვამდე, რომ კანონმდებელი კრედიტორთა პრეტენზიების წარდგენის 6 თვიან ვადას უნდა უკავშირებდეს არა მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტს, არამედ, იმ სუბიექტურ ფაქტორსაც, როდესაც კრედიტორისთვის ცნობილია მოთხოვნის ადრესატის, სამკვიდროს მიმღები სავალდებულო მემკვიდრეთა ვინაობის შესახებ. კრედიტორს მოვალის მემკვიდრეებისათვის მოთხოვნის წარდგენა ევალეზა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება მოვალის გარდაცვალების, სამკვიდროს გახსნის შესახებ, და ამავდროულად იმ მემკვიდრეების შესახებ, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, რადგან შეუძლებელია მოთხოვნის წარდგენა, თუ არ არის ცნობილი ამ მოთხოვნაზე პასუხისმგებელ პირთა წრის შესახებ. შესაბამისად დავადგინე, რომ, 1488-ე მუხლი მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ დაცული იყოს კრედიტორთა უფლება, პრეტენზიები წარუდგინონ მემკვიდრეებს 6 თვის განმავლობაში იმ დღიდან რაც მათთვის ცნობილი გახდა (შეიტყვეს, ან უნდა შეეტყოთ) სამკვიდროს გახსნის და სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეთა შესახებ.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სავალდებულო მემკვიდრის პასუხისმგებლობის საკითხები, რომელიც მიღებული სამკვიდრო ქონების ნამდვილი ღირებულებით შემოიფარგლება, თუმცა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და მემკვიდრისათვის მამკვიდრებლის კრედიტორის სასარგებლოდ თანხის დაკისრების შემთხვევაში მოვალის მიერ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებლობის შემთხვევაში იგი უნდა გადაეცეს იძულებით აღსასრულებლად. სააღრსულებო წარმოების პროცესში კი უდავოდ მოხდება მოვალის ქონების დაყადაღება, შესაბამისად ეს ქონება შეიძლება იყოს როგორც მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ასევე მოვალე მემკვიდრის სხვა პირადი საკუთრებაც. თუ მივიჩნევთ, რომ გადახდევინება უნდა მოხდეს მემკვიდრეობით მიღებული ქონებიდან, მაშინ სასამართლომ გადაწყვეტილებით უნდა დაადგინოს აღსრულების წესიც იმის შესახებ, რომ დაკისრებული თანხის ამოღების მიზნით მოხდეს მოვალის საკუთრებაში არსებული მემკვიდრეობით მიღებული ქონების რეალიზაცია. თუმცა შესაძლებელია მემკვიდრეს სურდეს მემკვიდრეობით მიღებული ქონების შენარჩუნება, ასეთ დროს მან პირადი ქონებიდან უნდა გადაიხადოს

მამაკვიდრებლის ვალები. მოქმედი კანონმდებლობა მიუთითებს მხოლოდ მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე, თუმცა ღიას ტოვებს საკითხს კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად გადაწყვეტილების აღსრულების წესზე და სარეალიზაციო ქონებაზე. შესაბამისი დებულებები უნდა გაითვალისწინოს სამოქალაქო კოდექსის მემკვიდრეობის სამართლის ნორმებმა და სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონმა.

სადისერტაციო ნაშრომში სავალდებულო წილის ჩამორთმევის საკითხის განხილვისას მივედი დასკვნამდე რომ სავალდებულო მემკვიდრის მიერ სამკვიდროდან წილის მიღება არ არის მამკვიდრებლის ნება-სურვილზე დამოკიდებული და მემკვიდრის მხრიდან მხოლოდ გარკვეული ქმედებების განხორციელების შემთხვევაში შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამორთმეულ იქნეს. მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობაა საოჯახო-სამართლებრივი პასუხისმგებლობათა შესრულებისაგან არა ყოველგვარი, არამედ ბოროტად, სუბიექტურად თავის არიდება. ამგვარ ქმედებად უნდა შეფასდეს მემკვიდრის ყოველგვარი უმოქმედობა, გამოხატული მამკვიდრებლის რჩენისა და მოვლა-პატრონობისადმი ინდიფერენტული და გულგრილი დამოკიდებულებით. უღირს მემკვიდრედ აღიარება უნდა მოხდეს ზნეობრივ და მორალურ ღირებულებებზე, კეთილსინდისიერი ადამიანების შეხედულებებიდან გამომდინარე. მემკვიდრეობის ჩამორთმევის სამართალწარმოების დროს უპირველესად უნდა დადგინდეს მემკვიდრის მხრიდან რჩენის ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდება, მოპასუხემ უნდა ამტკიცოს ისიც, რომ მამკვიდრებლის რჩენისაგან თავის არიდებას ჰქონდა ობიექტური, საპატიო გარემოებები და ვერ მიიჩნევა მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძვლად. თუ მამკვიდრებლის რჩენის მორალურ-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას, მამკვიდრებლის ნების ფორმირებაზე არაკეთილსინდისიერ ზეგავლენასა და ანდერძში გამოხატული უკანასკნელი ნების დარღვევას პირის უღირს მემკვიდრედ ცნობამდე მივყავართ, მით უფრო უნდა გავრცელდეს იგი კანონით მოუწესრიგებელი შემთხვევის უფრო მძიმე შემადგენლობაზე, კერძოდ, როდესაც მემკვიდრე ხელყოფს მამკვიდრებლის ან მისი ოჯახის წევრის სოცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამ შემთხვევაზე კანონის კონკრეტული მიზანი უფრო დიდი მასშტაბით უნდა

გავრცელდეს. მემკვიდრეობის უფლების დაკარგვის საფუძვლად მიჩნეულ უნდა იქნეს მამკვიდრებლის ან მისი რომელიმე მემკვიდრის, ოჯახის წევრის მისთვის განსაკუთრებლად ახლობელი ადამიანის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელების ხელყოფის მცდელობაც. მნიშვნელობა არა აქვს შესაბამისი ქმედებების მოტივს. თუ განზრახ მკვლელობა ჩადენილია პირადი მტრული განწყობის ნიადაგზე, მისი ქონების ხელში ჩაგდების განზრახვის გარეშე, დამნაშავეს მით უფრო უნდა ჩამოერთვას მემკვიდრეობით მიღების შესაძლებლობა, რადგან თავისი მოქმედებით იგი ხელს უწყობდა მემკვიდრედ მოწვევას. ამ ქმედებების ჩადენის მოტივი შეიძლება იყოს არა მარტო პირის მოწვევა მემკვიდრედ, ან სამკვიდროში მისი წილის გაზრდა, არამედ, ასევე, ეჭვიანობა, შურისძიება. ნაშრომში მივედი დასკვნამდე რომ, თანამედროვე ნორმა სსკ 1310-ე მუხლი პირის უღირს მემკვიდრედ აღიარებასთან დაკავშირებით შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდებოდეს: "კანონით ან ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას ან ჩაიდინა განზრახვი დანაშაული თუ სხვა ამორალური საქციელი მამკვიდრებლის, მემკვიდრის ან ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, მიუხედავად ამგვარი ქმედების მოტივისა და მიზნისა, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე)". დანაშაულის ჩადენაში მხილებული და მშობლის უფლებაჩამორთმეული უღირსი მემკვიდრისათვის სავალდებულო წილის მემკვიდრეობის ჩამორთმევისათვის სასამართლო სამართალწარმოება არ უნდა იყოს აუცილებელი და ასეთ დროს დაინტერესებულ მემკვიდრეს უფლება უნდა ჰქონდეს ნოტარიუსთან განცხადებისა და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების თუ გამამტყუნებელი განაჩენის წარდგენის გზით ჩამოაცილოს სავალდებულო მემკვიდრე წილის მიღებისაგან. რა თქმა უნდა, ეს თავად მემკვიდრის გადასაწყვეტია გამოიყენებს თუ არა ამ უფლებას უღირსი მემკვიდრის მიმართ, თუ მან არ წარადგინა მსგავსი მოთხოვნები ნოტარიუსთან მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მან უარი თქვა კანონით მინიჭებული ქონებრივი სარგებლის – უფრო მეტი სამკვიდრო წილის მიღებაზე. რაც შეეხება იმ შემადგენლობას როცა მემკვიდრე განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს

მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას ან ჩაიდინა ამორალური საქციელი თავად მამკვიდრებლის ან მისი მემკვიდრის ან მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, და ასევე იმ შემთხვევაში როცა მემკვიდრე ბოროტად თავს არიდებდა მამკვიდრებლის რჩენის ვალდებულებას, ეს გარემოებები დადასტურებული უნდა იქნეს მხოლოდ სასამართლოს მიერ.

სავალდებულო წილის მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით განვიხილე ევროპული კანონმდებლობა. ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სავალდებულო წილის საანდერძო განკარგულებით ჩამორთმევის შესაძლებლობას, ისევე როგორც ეს განსაზღვრულია შვეიცარიის, გერმანიის, ესტონეთის კანონმდებლობით, რომელთა მიხედვით მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძველი უნდა არსებობდეს საანდერძო განკარგულების გაკეთების მომენტში და მამკვიდრებელმა უნდა მიეთითოს ანდერძში. სავალდებულო წილის ჩამორთმევის საფუძველის არსებობის მტკიცება ეკისრება მოანდერძეს, ამასთან, საანდერძო განკარგულებით სავალდებულო წილის ჩამორთმევა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში შთამომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღარ ეწეოდა უღირს ან ამორალურ ცხოვრებას. ისევე როგორც ქართული, გერმანული სამოქალაქო კოდექსის მიხედვითაც (გსკ 2337-ე მუხლი) სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლება უქმდება პატიებით, განკარგულება, რომლითაც მამკვიდრებელმა დაადგინა სავალდებულო წილის ჩამორთმევა, პატიების შედეგად კარგავს ძალას. კვლევის დროს მივედით დასკვნამდე რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1354-ე მუხლი მართალია ითვალისწინებს მემკვიდრეობის ჩამორთმევას ანდერძით, მაგრამ, იგი არ ვრცელდება სავალდებულო მემკვიდრეებზე. ამასთან, ქართული კანონმდებლობით მამკვიდრებელი, რომელიც ანდერძით ართმევს მემკვიდრეობას სავალდებულო მემკვიდრეს არ არის ვალდებული მიუთითოს მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძველებზე, მაშინ როდესაც განხილული ქვეყნების კანონმდებლობა სავალდებულო წილის ჩამორთმევის წინაპირობებს მკაფიოდ განსაზღვრავს და ამ წინაპირობების არარსებობის შემთხვევაში ასეთი საანდერძო განკარგულებას ბათილად მიიჩნევა.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მართალია არ ითვალისწინებს მამკვიდრებლის მერ საანდერძო განკარგულებით სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესაძლებლობას, თუმცა სსკ 1381-ე მუხლის მიხედვით მამკვიდროს გახსნამდე სავალდებულო წილის ჩამორთმევა შესაძლებელია მამკვიდრებლის მიერ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში სასამართლოსათვის მიმართვის გზით. შვეიცარიის გერმანიის, ესტონეთის კანონმდებლობის მიხედვით სავალდებულო წილის ჩამორთმევის საკითხი ასევე შესაძლებელია განიხილოს სასამართლომ თუკი დადგინდება, რომ არ არსებობდა მემკვიდრეობის ჩამორთმევის წინაპირობები რის გამოც სასამართლო საანდერძო განკარგულებას ბათილად მიიჩნევს. მიზანშეწონილი იქნება თუკი მამკვიდრებელს არა სასამართლო წესით, არამედ საანდერძო განკარგულებით ექნება სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლება. სასამართლოში სასარჩელო წარმოება სავალდებულო წილის ჩამორთმევაზე მამკვიდრებელს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ანდერძი აქვს შედგენილი, შესაბამისად მან უნდა გაახმაუროს ინფორმაცია ანდერძთან დაკავშირებით (არ უნდა მოვთხოვოთ ანდერძის წარდგენა, შესაძლებელია წარადგინოს მტკიცებულება, ინფორმაცია ანდერძების რეესტრიდან და ა.შ.). სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ანდერძისმიერმა მემკვიდრემ შესაძლებელია არ წარადგინოს სავალდებულო მემკვიდრის წინააღმდეგ სასამართლო გადაწყვეტილება, გარდა ამისა მიუხედავად ამგვარი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა მამკვიდრებელს შეუძლია აპატიოს მემკვიდრის. ამგვარ ვითარებაში კი ნებისმიერი სასამართლო სამართალწარმოება და უდიდესი რესურსების დახარჯვა უშედეგო შეიძლება აღმოჩნდეს. ამდენად, მივედით დასკვნამდე რომ, 1354-ე მუხლი მართალია ითვალისწინებს მემკვიდრეობის ჩამორთმევას ანდერძით, მაგრამ ეს არ ვრცელდება სავალდებულო მემკვიდრეზე, ნორმაში სავალდებულო წილი მოხსენიებული არ არის, ამასთან, იგი უნდა განიმარტოს 1371-ე მუხლთან ერთობლიობაში, რომლის თანახმადაც სავალდებულო მემკვიდრე იღებს განსაკუთრებულ წილს ანდერძის შინაარსის მიუხედავად. ქართული კანონმდებლობით მამკვიდრებელს არ ევალება მიუთითოს და დაასაბუთოს მემკვიდრეობის ჩამორთმევის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად 1354-ე მუხლი ამ ნორმატიული შინაარსით არც შეიძლება გავრცელდეს

სავალდებულო მემკვიდრეებზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ მამკვიდრებლის სრულ თვითნებობას და სავალდებულო მემკვიდრეთა უფლების სრულ უგულებელყოფას.

ნაშრომში განხილულია სავალდებულო წილის გამოთვლის, მისი მოცულობის განსაზღვრის პრობლემები. სამკვიდროდან სავალდებულო მემკვიდრეთა წილის მიკუთვნებისას ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა სავალდებულო წილის გამოთვლა, მისმა არასწორად განსაზღვრამ შეიძლება ანდერძით მემკვიდრეების წილის უსაფუძვლო შემცირება გამოიწვიოს. ნაშრომში განხილულია არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა სავალდებულო წილის გამოთვლისას. კვლევის შედეგის სახით უნდა აღინიშნოს რომ სავალდებულო წილის გამოანგარიშება ეფუძნება შემდეგ წესს: 1. უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს ყველა პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე რომელიც მოწვეული იქნებოდა სამკვიდროს მისაღებად ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, 2. შემდეგ უნდა განისაზღვროს მთელი სამკვიდროს ღირებულება და გაიყოს კანონით მემკვიდრეებზე (პირველ შედეგზე) და ბოლოს 3. დადგინდეს სავალდებულო წილის გამოთვლის საგამონაკლისი წესები, რომელიც გათვალისწინებულია სსკ 1375-ე; 1376-ე; 1378-ე და 1379-ე მუხლებით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ასევე შემდეგი დასკვნები: სამკვიდროდან სავალდებულო წილის განსაზღვრისას, აუცილებელია ყველა კანონით მემკვიდრის გათვალისწინება, რომლებიც მოწვეული იყვნენ სამკვიდროს მისაღებად მათ შორის, მემკვიდრეები წარმომადგენლობის უფლებით მშობლების წილზე, რომლებიც იქნებოდნენ კანონით მემკვიდრეები, მაგრამ გარდაიცვალნენ სამკვიდროს გახსნის მომენტამდე. სავალდებულო წილის გაანგარიშებისათვის მხედველობაში არ მიიღება ის მემკვიდრეები რომლებსაც ჩამოერთვათ მემკვიდრეობის უფლება და შესაბამისად არ მოიწვეოდნენ სამკვიდროს მისაღებად ანდერძი რომ არ ყოფილიყო. (1310;1311; 1354-ე; 1374-ე მუხლებით გათვალისწინებული პირები) თუმცა, იმ შემთხვევაში თუ მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეულ პირს (ბუნებრივია იგულისხმება მხოლოდ პირველი რიგის მემკვიდრეები) მემკვიდრე დარჩა, ან დანიშნულია სათადარიგო მემკვიდრე. ასეთ დროს მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეულის მემკვიდრე

მოიწვევა სამკვიდროს მისაღებად, რადგან, მემკვიდრეობის უფლების დაკარგვა ხელს არ უშლის ნათესავების მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით, შესაბამისად იგი მხედველობაში მიიღება სავალდებულო წილის გამომანგარიშების დროს. ამასთან ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ისინი არ არიან სავალდებულო, პირველი რიგის მემკვიდრეები. სავალდებულო წილის გამომანგარიშების დროს უნდა განისაზღვროს ის პირები, რომლებიც მოიწვეოდა სამკვიდროს მისაღებად, ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, სწორედ ამაზე მიუთითებს 1374-ე მუხლის პირველი ნაწილი, თუმცა მეორე ნაწილი მას ეწინააღმდეგება. სავალდებულო წილის გამომანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება ყველა პირველი რიგის მემკვიდრე, რომელიც მოიწვეოდა სამკვიდროს მისაღებად ანდერძი რომ არ ყოფილიყო, ხოლო სრულიად საწინააღმდეგოა ნორმის შემდგომი გაგრძელება "ანდერძისმიერი მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან," ვინაიდან ანდერძისმიერი მემკვიდრეები არც მოიწვეოდნენ სამკვიდროს მისაღებად ანდერძი რომ არ ყოფილიყო, ისინი სწორედ ანდერძით გახდნენ მემკვიდრეები. მაშასადამე თუ ანდერძი არ იარსებებდა სამკვიდროს მისაღებად მოიწვეოდნენ მხოლოდ კანონისმიერი და არა ანდერძისმიერი მემკვიდრეები. სავალდებულო წილის განსაზღვრისათვის თუ არ გავითვალისწინებთ ისეთ ანდერძისმიერ მემკვიდრეს, რომელიც ამავდროულად სავალდებულო მემკვიდრეცაა, ამან შესაძლებელია ანდერძისმიერი მემკვიდრეობის საფუძვლებს აზრიც დაუკარგოს. სსკ 1374-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: "თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო."

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა რომ სავალდებულო წილის განსაზღვრისათვის რთული და პრობლემური საკითხია სამკვიდრო ქონების მოცულობაში გაჩუქებული ქონების შესვლის წინაპირობების განსაზღვრა. გაჩუქებული ქონება სამკვიდროს გახსნის დროისათვის მამკვიდრებლის საკუთრებაში აღარ არის, მესამე პირის საკუთრებაა და შესაბამისად არც სამკვიდრო აქტის წარმოადგენს, თუმცა სსკ 1378-ე მუხლით გათვალისწინებულია გაჩუქებული ნივთის ხარჯზე სავალდებულო წილის გაზრდის შესაძლებლობა. თუ მამკვიდრებელმა აჩუქა ნივთი მესამე პირს, მაშინ

სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით, რომლითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი, თუკი გაჩუქებული ნივთი სამკვიდროში შევა. გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში გათვალისწინება იმას ნიშნავს, რომ ამ ნივთის ღირებულება გათვალისწინებული იქნება სავალდებულო წილის განსაზღვრის დროს და არ გამოიწვევს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებასა და საჩუქრის უკან დაბრუნებას. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე პირების დაცვისა და მამაკვიდრებლის მიერ ანდერძის თავისუფლების უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით კანონმდებელმა დაადგინა, რომ მამაკვიდრებლის სიცოცხლის განმავლობაში განხორციელებული ჩუქებები სავალდებულო წილის დაანგარიშებისას დანამატის მოთხოვნის უფლების ფარგლებში გათვალისწინებული იქნას. ამ ნორმის მიზანია სავალდებულო წილის უფლების მქონე პირთა დაცვა ისეთი შემთხვევებისგან, როცა მამაკვიდრებელი თავისი ქონების დიდ ნაწილს მისი სიცოცხლეში გააჩუქებს და ამ გზით ამცირებს სამკვიდრო მასას და შესაბამისად, სავალდებულო წილის უფლებაც უფასურდება, თუმცა ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენება გარკვეულ პრობლემებს ქმნის. გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში გათვალისწინება სავალდებულო წილის განსაზღვრისას მოხდება სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირის მოთხოვნით.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია გერმანიის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა გაჩუქებული ქონების სამკვიდრო მასაში შესვლისა და ეგრეთ წოდებული "ორმაგი უფლებამოსილების" შესახებ, რაც გულისხმობს იმას, რომ დანამატის მოთხოვნის უფლების მქონე პირს ასეთი უფლება უნდა ჰქონდეს როგორც ჩუქების მომენტში, ასევე სამკვიდროს გახსნის დროსაც. მიუხედავად იმისა რომ შემდგომში ეს განმარტებები შეიცვალა ნაშრომში ამ საკითხის კვლევის ჭრილში მივედი დასკვნამდე რომ, სავალდებულო წილის გამონგარიშების დროს გაჩუქებული ქონების სამკვიდრო მასაში შესვლისათვის ე.წ. ორმაგი უფლებამოსილების თეორიის სრულად უგულებელყოფამ შესაძლოა ანდერძისმიერი მემკვიდრეები საერთოდ ჩამოაცილონ მემკვიდრეობას, ამიტომ, გაჩუქებული ქონების სამკვიდროში შესაყვანად სასამართლომ უნდა გაარკვიოს ნაჩუქრობის ხელშეკრულებით, ხომ არ მოხდა მოანდერძის მიერ უფლების ბოროტად გამოყენება, სავალდებულო მემკვიდრეთა მემკვიდრეობიდან ჩამოშორების მიზნით, იმ ვითარებაში, როდესაც

ისინი მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულებით ისედაც კარგავენ მემკვიდრეობას, ხოლო სამკვიდროს ნაწილი გაჩუქებულია. თუ პირველი რიგის მემკვიდრეთა არსებობის მიუხედავად მამკვიდრებელმა მთელი თავისი ქონება უნადერძა მესამე პირს, ხოლო სამკვიდრო მასაში შემავალი სხვა ქონება სამკვიდროს გახსნამდე გააჩუქა, რამაც გამოიწვია მისი სავალდებულო მემკვიდრის წილის მაქსიმალურად შემცირება და უმნიშვნელო ღირებულებამდე დაყვანა სავალდებულო მემკვიდრეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს დანამატის მოთხოვნის უფლებით.

სადისერტაციო ნაშრომში განვიხილეთ სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები ზოგიერთი ევროპული და ისლამურ ქვეყნების სამემკვიდრეო სამართალის მიხედვით. მივედი იმ დასკვნამდე რომ, ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან შედარებისას განსხვავების თვალსაზრისით თვალსაჩინოა შემდეგი გარემოებანი: სავალდებულო წილის მიმღებ პირთა წრე სავალდებულო წილის მოცულობის გამოანგარიშების მეთოდები, სავალდებულო წილის ჩამორთმევა და ხანდაზმულობის ვადა სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლებაზე. მეორე გარემოება, ესაა ნაჩუქრობა, რომელიც სავალდებულო წილის მთლიანი მოცულობის განსაზღვრისას მიიღება მხედველობაში. ჩვენს მიერ განხილული ქვეყნების ნაწილი გაჩუქებულ ქონებას მხოლოდ მაშინ თვლის სავალდებულო წილის მოცულობაში, თუ ეს ქონება სავალდებულო წილის მიმღებ პირებს გადაეცათ, ანუ შვილებს, მშობლებს, მეუღლეებს, შვეიცარიის ესტონეთის, საბერძნეთის, გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს სავალდებულო წილის ჩამორთმევას საანდერძო განკარგულებით, რომელიც უცხოა ქართული კანონმდებლობისთვის. როგორც ქართული ასევე ევროპული კანონმდებლობით სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტში. მოთხოვნის უფლება ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სავალდებულო წილის უფლების სუბიექტად შვილიშვილი არ გვევლინება, არც იმ შემთხვევაში თუკი შვილს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 478-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი იმ პირის შთამომავლები რომელსაც ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება ინარჩუნებენ თავიანთი სავალდებულო წილის უფლებას

ისე, თითქოს ეს პირი სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო. განვიხილე გერმანიის სასამართლოს პრაქტიკა, რომლითაც მამკვიდრებლის შვილიშვილმა, რომლის მამასაც ჩამორთმეული ჰქონდა მემკვიდრეობა სავალდებულო წილი მიიღო იმგვარად, თითქოს მამა გარდაცვლილი იყოს. სავალდებულო წილის მოთხოვნაზე ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს ხანდაზმულობის ვადას. მივედით იმ დასკვნამდე რომ, ქართული კანონმდებლობით მემკვიდრეობის, მათ შორის სავალდებულო წილის სამკვიდროს მიღების ვადა არის 6 თვე. სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების გზით მიღების შემთხვევაში მემკვიდრე მიღებული სამკვიდროს მესაკუთრედ ითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან და მას აქვს უფლება, დაიცვას მიღებული სამკვიდრო სხვა დანარჩენი მემკვიდრეებისაგან, მათ შორის იმ მემკვიდრეებისაგან, რომლებმაც აიღეს სამკვიდრო მოწმობა და განახორციელეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი უფლება და არა აბსოლუტური უფლება, შესაბამისად, აბსოლუტურ უფლებაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში სავალდებულო მემკვიდრის სარჩელის დროს მხარეები მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი გარემოების თვალსაზრისით ხშირად მიუთითებენ სსკ 1450-ე მუხლზე, თუმცა აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს არა სამკვიდრო მოწმობის გასაჩივრების და სავალდებულო მემკვიდრის ინსტერესების გათვალისწინებით მასში ცვლილების შეტანის ხანდაზმულობის ვადებს არამედ, კონკრეტულად სამკვიდროს მიღების ან მიღებაზე უარის თქმის ხანდაზმულობის ვადებს, როცა დავის საგანია სამკვიდროს მიღებაზე გამოვლენილი ნების ნამდვილობა. მივედი დასკვნამდე რომ, განხილული ქვეყნების სამართლებრივი გარემო უმეტესად მაინც თანხმდება ერთ საერთო პრინციპზე: ანდერძის არსებობის პირობებშიც კი, კანონმდებელი ერევა მამკვიდრებლის ნების ავტონომიაში და გვერდს არ უვლის სავალდებულო მემკვიდრეობის ბუნებით უფლებას.

ნაშრომში განხილულია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებაზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, მაგ. საქმეზე „ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ“, სასამართლომ განმარტა რომ, პირველი ოქმის პირველი მუხლი არ უზრუნველყოფს საკუთრების მოპოვების უფლებას, განსაკუთრებით, ანდერძის არსებობის ან ნებაყოფლობითი გაყოფის პირობებში... თუმცა, „საკუთრება“ შეიძლება იყოს

„არსებული საკუთრება“ ან აქტივები, მათ შორის მოთხოვნები, რასთან დაკავშირებითაც მომჩივანმა შეიძლება ამტკიცოს, რომ მას, სულ მცირე, „ლეგიტიმური მოლოდინი“ აქვს, რომ საკუთრების უფლებით ეფექტიან სარგებლობას შეძლებს. მართლზომიერ მოლოდინს უნდა ჰქონდეს საკმარისი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში. დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ სავალდებულო წილის უფლება, რომელიც ანდერძის შინაარსის მიუხედავად, მამკვიდრებლის ნების საწინააღმდეგოდ ანიჭებს პირველი რიგის მემკვიდრეებს სამკვიდროდან წილის მიღების უფლებას, შეეესაბამება სავალდებულო წილის სუბიექტთა ლეგიტიმურ მოლოდინს.

ნაშრომში წარმოჩენილი ნორმათა განმარტებები და რეკომენდაციები საშუალებას მისცემს საკანონმდებლო ხელისუფლებას აღმოფხვრას ნორმატიული ხარვეზები, ხელს შეუწყობს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებასა და სამოსამართლეო სამართლის განვითარებას.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. ბავშვის უფლებათა კონვენცია – მიღებული გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის 1386 (XIV) რეზოლუციით.
2. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი № 768 24/08/1995
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონი №786; 26/06/1997
4. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს კანონი №1106; 14/11/1997
5. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი № 577 28/10/1994
6. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი 1907 წ.
7. ესტონეთის სამოქალაქო კოდექსი 2008 წ.
8. საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსი 1940 წ.
9. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 18/08/1896.
10. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი 1804;
11. სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ» საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #71 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი 2019
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თემატური საძიებელი. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი 2016
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისი 2010

4. ახვლედიანი ზ. მემკვიდრეობის სამართალი თბილისი 2007წელი
5. ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, თბილისი 1999წ.
6. ბურდული ი. სამეწარმეო საზოგადოებაში წილის კეთილსინდისიერად მოპოვება; შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 2/2019 წ. თბ. 2019 წ.
7. ბიოლინგი ჰ., უღირს მემკვიდრედ ცნობა და სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 4, თბილისი 2003წელი
8. ბოგვერაძე ნ. სუროგაციის სამართლებრივი რეგულაციების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე. მდგომარეობა“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ.2019.
9. გოცირიძე ე., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013
10. გოცირიძე ე. სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, თბილისი 2007
11. გელაშვილი ი. „ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა“ სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.თბილისი 2012 წელი
12. ვაჩიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010,
13. ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი. თბ, 2000 წ.
14. ზოიძე ბ., ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი. ბათუმი. 1992 წ.
15. ზოიძე ბ. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005
16. ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი. მეორე გამოცემა თბ. 2003
17. ზოიძე ო. სამამკვიდრეო სამართლის სანოტარო და სასამართლო პრაქტიკის ორიოდე პრობლემის შესახებ. ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I თბილისი 2004წ.
18. თევზაძე, გ. ნიკოლო მაკიაველი და მისი ანტიუტოპია.2010 წ.

19. თაბორიძე ი., ბუნებითი სამართლის როლი ადამიანის ღირსების გაგების ჩამოყალიბებაში, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ. 2004
20. იურგენ შვაბე (ჰამბურგის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორი), გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ 2011 წ.
21. კობრეიძე ლ. სამემკვიდრეო დავები სამოქალაქო პროცესში და ქართულ სამოსამართლო სამართალში. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი 2015 წ.
22. კერესელიძე დ. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ.2009
23. კულაშვილი კ., სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით თბ., 2006
24. ლობჯანიძე გ. რომის სახელმწიფო და სამართალი. საგამომცემლო ცენტრი „„ქუთაისი“, 2009 წ.
25. ლობჯანიძე გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბ. 2001 წ.
26. ლობჯანიძე გ. ტუკვაძე ა. ჯაოშვილი გ. შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბ 2006 წ.
27. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ. 2014;
28. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ. 2007
29. მეტრეველი, ვ. რომის სამართალი (საფუძვლები). თბილისი 1995წ.
30. მეტრეველი ვ. , რომის სამართალი. თბ. 2009წ.
31. მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია. თბ. 2009 წ.
32. ნადიბაიძე ლ. სამკვიდროს მიღება – თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი. #2 თბ. 2008 წელი
33. ნადარეიშვილი გ. რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2008 წ.
34. ნადარეიშვილი გ. , ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ. 1996 წ.
35. ნადარეიშვილი გ. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ. 2005 წ.

36. პაპუაშვილი შ., სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, № 4, თბ., 2003 , 462
37. რადბრუხი გ. კანონიერი უმართლობა და ზეკანონური სამართალი. ჟურ. სამართლის ჟურნალი #2. 2012, დ. გეგენავას თარგმანი,
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007 წელი.
39. სურგულაძე ივ. საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ.1986 წ.
40. სურგულაძე ნ. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა თბ 2002 წ.
41. სურგულაძე ი., ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბ. 2002 წ.
42. სურგულაძე ივ. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. თბ. 2001 წ.
43. სურგულაძე ნ. ისლამური სამართლის საკითხები, III ტომი, თბ, 2005 წ.
44. სავანელი ბ. იურიდიული მეთოდები, თბ., 2008
45. საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამომცემლობა. თბილისი 2005 წ.
46. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი” თბილისი, 2013;
47. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი მეხუთე, თბილისი, 2009წ.
48. ქურდაძე ი., კორკელია კ., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა კონვენციის მიხედვით, თბ., 2004
49. შენგელია რ. შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი 2015
50. შენგელია რ. შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2011
51. შენგელია რ., შენგელია ე. მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2007
52. შენგელია რ., შენგელია ე. საოჯახო სამართალი, თბ., 2009,

53. შენგელია რ. შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი 2017
54. ჩიკვაშვილი შ. მემკვიდრეობის სამართალი. თბ. 2000 წ.
55. ჩიკვაშვილი შ. საოჯახო სამართალი. თბილისი 1998 წ.
56. ჩიკვაშვილი შ. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 1999წ.
57. ჩიტოშვილი თ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათ შინაარსი და სახეები (ზოგადი დახასიათება), უსაფუძვლო გამდიდრება (ძირითად საკითხები), თბილისი, 2007
58. ცისკაძე მ. მონადერძის ნების გამოვლენა, როგორც ანდერძის ნამდვილობის პირობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი №5, თბილისი 2006 წელი
59. ცვაიგერი კ. , კოტცი ჰ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. თბილისი 2001წ.
60. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10-გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2009
61. ძნელაძე ნ, სავალდებულო წილის ინსტიტუტის პრობლემები მემკვიდრეობით სამართალში, თბილისი, ჟურნალი „სამართალი“ №6-7, 2000
62. ჭანტურია ლ, უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 1994;
63. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997
64. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011 წელი
65. ხუბუა გ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. თბ. 2013წ.
66. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004
67. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია. თბ. 1984 წ.
68. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ, 1984
69. ჯოხაძე ზ. ბუნებითი სამართლის ფორმირების ისტორიული ასპექტები, ჟურნალი „სამართალი“, #6, თბილისი 2001 წ.
70. Абова Т.Е. Богуславский М.М. Светланов А.Г. и др. Комментарий к ГК (части третьей)/. – М 2006 С. 13.
71. Агарков М.М. Обязательство по советскому гражданскому праву // Избранные труды по гражданскому праву. Т. I. М . АО "Центр Юр Инфро Р, 2002. – С. 279 -280

72. Алексеев С.С. Односторонние сделки в механизме гражданско-правового регулирования // Антология уральской цивилистики. 1925 – 1989. М.: Издательство "Статут", 2001.-С. 65-66.
73. Алексеев С.С. Предмет советского гражданского права и метод гражданско-правового регулирования // Антология уральской цивилистики. 1925 – 1989. М.: Издательство "Статут", 2001. – С. 48 – 49.
74. Алексеев С. С., Проблемы теории права: [курс лекций в 2 т.] / Науч. ред. Р. К. Русинов, Свердловск, Изд-во Свердл. юрид. ин-та, 1972, Т. 1, Основные вопросы общей теории социалистического права, 1972, стр. 329-340.
75. Амосов С.М. Судьи. Суд. Процесс. Журнал “Законодательство”. Раздел “Проблемы законодательства”, 2007. № 3;
76. Беспалов Ю.Ф. Наследственные правоотношения// Бюллетень нотариальной практики. – М .2005. – №5.
77. Блинков О.Е. Наследственные права супругов в государствах-участниках Содружества Независимых Государств и странах Балтии//Нотариус. - 2006. - № 5.
78. Барон Ю. Система римско гражданского правою М 2005 с 1102;
79. Булаевский Б.А Наследственное право – М.: 2005 С 45
80. Белов В. А., Объект гражданского оборота, Объект субъективного гражданского права, объект гражданского правоотношения и объект гражданского оборота содержание и соотношение понятий, Статут, М 2007
81. Бевзенко Р.С. Защита добросовестно приобретенного владения в гражданском праве: Дис... канд. юрид. наук. Самара, 2002.
- 82.** Байзигитова А.М. Очередность наследования по закону в Российской Федерации и зарубежных странах. Уфа, 2005.
83. Братусь С.Н. О соотношении гражданской правоспособности и субъективньк гражданских прав. М 1949.
84. Виноградова О.Ю. Правовое регулирование наследования отдельных видов имущественных прав в Российской Федерации: Автореф.дис. канд.юрид. наук.-М., 2009.
85. Валах В. В. Наследственные отношения в Украине Росийской Федерасии Франции Гермаии и США Харьков. 2012
- 86.** Вавилин Е.В. Механизм осуществления права на принятие наследства//Наследственное право. – 2009.
87. Гришаев СП. Наследственно право. М 2003.

88. Гроций Г. О праве войны и мира. Три книги в которых Объяснятся Естественное право и право народов а также принципы Публичного права. Пер. с латинского А. А. Саккети. М; юрид. Лит. 1956 г.
89. Гонгало. Ю.Б Юридические факты в наследственном праве России и Франции. Сравнительно-правовое исследование. М, 2010.
90. Голунский С.А., Строгович М.С., Теория государства и права, М., 1940, მოთხოვნები: Сенчищев В. И. Объект гражданского правоотношения, Актуальные проблемы гражданского права, М, 1998,
91. Гордон М.В. Наследование по закону и по завещанию. М., 1967.
92. Дворников В. К. Наследственное право. К. 1974
93. Елисеев Н.Г. Гражданский процесс ФРГ. М.1989
94. Иоффе О.С. Советское гражданское право. Часть третья. -Л.:Изд-во Ленинградского университета, 1965
95. Кутузов О.В. Наследование по завещанию: анализ правовой теории и практики. М.,2005.
96. Корнеева И.Л. Наследственное право Российской Федерации. – М. 2005
97. Казанцева А.Е. Понятие наследства (наследственного имущества)// Нотариус- М 2006.-№6.
98. Крашенинникова П.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2001.
99. Кожевина Е.В. Наследственное правопреемство. Екатеринбург, 2005
100. Кондрашев. В. А. Новейший философский словарь М. Феникс; 2005.
101. Лоренц Д.В. Условия- вступления наследников в давностное владение//Наследственное право. – М., 2008. – №3.
102. Морозова Л.А. Теория государства и права. – М.: Юристь.2003.
103. Макаров В.В. Теория иска в гражданском процессуальном праве России и Германии. Москва. 2007
104. Мейер Д.И. Русское гражданское право: В 2 ч. Ч. 2. М., 1997.
105. Маковски А.Л., Суханов Е.А., Комментарий к части третьей Гражданского кодекса Российской Федерации М., 2005
106. Никитюк П.С. Наследственное право и наследственный процесс (проблемы теории и практики). Кишинёв: Штиинца, М 1973.
107. Остапук Н.И. Наследственное правоотношение: понятие и юридическое содержание //Гражданское право. - М 2006. - № 2.

108. Петров Е.Ю. Наследственное право. Постатейный комментарий Гражданского кодекса Российской Федерации. М-Логос 2018 С 117
109. Пиголкина А.С., Общая теория права, М. 1995,
110. Пиляева В.В. Гражданское право. – М.,2007.
111. Победоносцев К.П. Курс гражданского права. Первая часть: Вотчинные права // Справочно-правовая система "КонсультантПлюс" (Классика российской цивилистики)- М., 2005
112. Покровский И. А. Основные проблемы гражданского право М: Статус 1998-
113. Певзнер А.Г. Понятие гражданского правоотношения и некоторые вопросы теории субъективных гражданских прав. М.: ВЮЗИ, 1958.
114. Рыбалов А.О. Абсолютные права и правоотношения// Правоведение. – М 2006. – №1.
115. Рясенцева В.А. Советское гражданское право. Часть вторая/ М.: Юридическая литература,1987.
116. Суханова Е.А. Гражданское право. Том I.- М.: 2004.
117. Серебровский В.И. Избранные труды по наследственному и страховому праву. С.57; Постатейный научно-практический комментарий части 3 ГК РФ/Под ред. М.И.Брагинского, В.В.Витрянского// Вестник образования России. – МЮ 2004. – №16.
118. Серебровский В. И. Очерки Наследственного права. М. 1953
119. Сергеев А.П., Толстой Ю.К., Гражданское право. М., 2006.
120. Сергеева А.П Толстой Ю.К. Гражданское право: Учебник. Ч. 3 / . М., 1998
121. Сергеев А.П., Толстой Ю.К., Елисеев И.В. Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации (постатейный), часть третья. М., 2002
122. Санфилиппо Ч. Курс римского частного права: Учебник / Под ред. Д.В. Дождева. М., 2000. – С. 285; Гримм Д.Д. Лекции по догме римского права / Под редакцией и с предисловием В.А. Томсинова. М., 2003.
123. Серебровский В.И. Избранные труды по наследственному и страховому праву. Москва: „Статут“. 2003.
124. Свердлык Г.А. Методологические проблемы теории правоотношения/ в кн. Красавчиков О.А. Гражданское право, эффективность и качество. – Свердловск, 1977.-
125. Трубецкой Е.Н., Энциклопедия права, Нью-Йорк, 1982,
126. Телюкина М. В. “Наследственное Право” Комментарий к Кодексу Российской Федерации М. 2000

127. Чельшев М.Ю. Межотраслевые связи гражданского права в сфере правового регулирования наследственных отношений// Наследственное право. – М . 2006. – №1.
128. Черепяхин Б.Б. Труды по гражданскому праву. М., 2001
129. Шилохвост О.Ю, Наследование по закону в российском гражданском праве, М., Норма, 2006,
130. Ярошенко К. Б. Новое законодательство о наследовании /Хозяйство и право/. - М 2002.- №2.
131. Ярошенко К.Б Марышева Н.И ; Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части третьей Постатейный. М, 2004.
132. Bekker Ernst Emmanuel, Grundbegriffe des Rechts und Mißgriffe der Gesetzgebung, 1910.
133. Bergerfurth Bruno, Der Zivilprozess (Klage-Urteil-Rechtsmittel), 1981.
134. Creifelds Carl, Rechtswörterbuch, 23 Auflage, 2016.
135. Dolinar, Feststellung des Erbrechts und Erbschaftsklage in prozessualer Sicht, Festschrift für Winfried Kralik, 1986.
136. Gans Eduuard, Das römische Erbrecht in seiner Stellung zu vor- und nachrömischem, Mauersche Buchhandlung, Berlin, 1825.
137. Geis Max-Emanuel, Die öffentliche Förderung sozialer Selbsthilfe. Verfassungsrechtliche Grundlagen und verwaltungsrechtliche Ausgestaltung, Baden-Baden 1997.
138. Hauser Richard, Generationengerechtigkeit als Facette der sozialen Gerechtigkeit, in: Familienpolitik und soziale Sicherung, Festschrift für Heinz Lampert, 2005.
139. Henrich Dieter/Dieter Schwab, Familienerbrecht und Testierfreiheit im europäischen Vergleich, 2001.
140. Isensee Josef/Lecheler Helmut, Freiheit und Eigentum: Festschrift für Walter Lesiner zum 70. Geburtstag, Berlin, 1999.
141. Klingelhöffer Hans, Pflichtteilsrecht, 2003.
142. Landau Peter, Die Testierfreiheit in der Geschichte des Deutschen Rechts im späten Mittelalter und in der und in der frühen Neuzeit, 1997.
143. Langenfeld Gerrit, Freiheit oder Bindung beim gemeinschaftlichen Testament oder Erbvertrag von Ehegatten, neue juristische Wochenschrift, München; Frankfurt a.M., 1987.
144. Leibholz Gerhard, Jahrbuch des öffentlichen Rechts der Gegenwart, neue Folge, 1982.
145. Luhmann Niklas, Soziologische Aufklärung 6, die Soziologie und der Mensch, 1998.
146. Meier-Hayoz Arthur, Vom Wesen des Eigentums, Zürich, 1969.

147. Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 9, 6 Auflage, 2013.
148. Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 73 Auflage, 2014.
149. Radbruch Gustav, Rechtsphilosophie, 3. Auflage, 1932.
150. Rosenberg Leo, Schwab Karl Heinz, Gottwald Peter, Lehrbuch des Zivilprozessrechts. 16. Auflage, München, 2004.
151. Schmidt Karsten, Zum Prozessrecht der beschränkten Erbenhaftung, 1989.
152. Veith Werner, Intergenerationelle Gerechtigkeit, Ein Beitrag zur sozioethischen Theoriebildung, 2006.
153. Welti Felix, Rechtliche Aspekte von Generationengerechtigkeit, Kritische Justiz, 2004.
154. Wendehorst Chr. 7. Intestate Succession in Austria // Comparative Succession Law. Vol. II: Intestate Succession / Ed. by K.G.C. Reid, M.J. de Waal, R. Zimmermann. Oxford University Press, 2015.
155. Alexander Jeffrey C, The Civil Sphere. Oxford and New York: Oxford University Press. 2006.
156. Archer Margaret S., Family-Concerns and Inter-Generational Solidarity, Vatican City, 2004.
157. Blair M., D., Weiner M. H., Stark B., Maldonado S., Family Law in the World Community: Cases, Materials and Problems in Comparative and International Family Law, Carolina Academic Pres Law Casebook Series, 2 nd ed., Durham, North Carolina, 2009.
158. Fawcett J.F.C., The Application of the European Convention on Human Rights, Oxford, 1987.
159. Glendon Mary Ann, Intergenerational Solidarity, Welfare and Human Ecology, the Pontifical Academy of Social Sciences. Acta 10, 2004.
160. Haut Mark C., Divorce and the Disposition of Frozen Embryos, Hofstra Law Review, 1999.
161. Katz K., Wells Conference On Adoption Law, The Legal Status Of The Ex Ueto Embryo: Implications For Adoption Law, 2006.
162. Kindregan C. P., McBrien M. Assisted Reproductive Technology: A Lawyer's Guide to Emerging Law and Science. American Bar Association, 2006.
163. Malinvaud Edmond, Intergenerational Solidarity, the Pontifical Academy of Social Sciences. Acta 8, Vatican City, 2002.
164. Poole Jill, Casebook on Contract Law, 2008.
165. Weigel S., European Perspectives on Heritage Culture, the Cardozo School of Law, 2008.

166. Wendehorst Chr. 7. Intestate Succession in Austria // Comparative Succession Law. Vol. II: Intestate Succession / Ed. by K.G.C. Reid, M.J. de Waal, R. Zimmermann. Oxford University Press, 2015.
167. Bertrand-Mirkovic A, La notion de personne (Étude visant à clarifier le statut juridique de l'enfant à naître), Presses universitaires d'Aix-Marseille, 2003.
168. Durand S. La renonciation à la succession. thèse. Montpellier, 2003.
169. Guével D. Successions. Libéralités. 2^e éd. Paris: Armand Colin, 2004.
170. Hovasse-Banget S. La Propriété littéraire et artistique en droit des successions, thèse. Rennes I, 1990.
171. Jubault Ch. Les successions. Les libéralités. Montchrestien, EJA, 2005.
172. Larroument Ch. Droit civil. Introduction à l'étudedudroitprivé, 4e éd. Economica, 2004.
173. Malaurie Ph., Aynés L. Droit civil. Les successions. Les libéralités. 3e éd. Defrénois, 2008.
174. Mallet P. La renonciation à succession, thèse. Paris: L.G.D.J., 1931.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, № 2/1-370,382,390,402,405 საქმეზე ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია დასხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26 ივნისის 2012 წლის გადაწყვეტილება № 512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სამოტივაციო ნაწილი,
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ანზორ თევზაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/5/224
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის დაგაწყვეტილება № 1/2/384 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-944-890-2010;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საქმე № ას-321-306-2013;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივნისის განჩინება საქმე №-708-662-2017.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 ივლისის განჩინება საქმე № ას-409-386-2014;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინება საქმე №ას-791-748-2015;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განჩინება საქმე № ას-253-240-2015;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 დეკემბრის განჩინება საქმე № ას-531-505-2013.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2001 წლის 12 დეკემბრის განჩინება საქმე: № 3კ/623-01.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 27 მარტის განჩინება საქმეზე: № 3კ/1212-01.
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმე: №ას-201-521-05.
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივნისის განჩინება საქმეზე: № ას-786-840-2011.
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წლის 25 ივნისის განჩინება საქმე: № ას-786-739-2012.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 დეკემბრის განჩინება საქმე: № ას-922-869-2010.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმე: №ას-347-330-2013.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2003 წლის 15 აპრილის განჩინება საქმე: № 3კ-1127-02.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინება საქმე: № ას-266-251-2010 .
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება საქმე №ას-1101-1021-2017.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმე: № ას-1224-1076-2010 .
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმე: №ას-178-167-2017.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება საქმე: №ას-1048-988-2015.
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე: №ას-531-505-2013.
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე: № ას-538-511-2015.
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება საქმე: №ას-187-174-2015.
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე: № ას-611-573-2010 .
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმე: № ას-109-103-10 .
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2001 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება საქმე: №3კ/299-01.

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: № ას-22-473-06.
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 17 მარტის განჩინება საქმე: № ას-121-117-2016.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმე: №ას-347-330-2013
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმე: №ას-1227-1147-2017.
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება საქმე: № ას-265-249-2011.
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2001 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე: №ას 3კ/623-01.
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე №ას ას-550-523-2013.
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას 941-979-2011.
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საქმე № ას-54-53-2014.
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-1050-2019
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმე №650-616-2015.
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საქმე №ას-1577-1480-2012.
39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის განჩინება, საქმე №ას-571-542-2014.
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება გადაწყვეტილება საქმე № ას-981-1245-05.

41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმე №ას-1163-1308-08;
42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას -944-890-2010;
43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე №ას -321-306-2013
44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება საქმე №ას-708-662-2017
45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 11 ივლისის განჩინება № ას-409-386-2014;
46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინება №ას-791-748-2015;
47. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განჩინება № ას-253-240-2015;
48. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატის 2013 წლის 4 დეკემბრის განჩინება № ას-531-505-2013;
49. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინება № ას-681-637-2010.
50. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატის 2008 წლის 15 მაისის განჩინება № ას-968-1269-07
51. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განჩინება № ას-7-7-2016
52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივლისის განჩინება №ას-187-174-2015
53. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 ოქტომბრის განჩინება № ას-1193-1122-2012
54. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატის 2003 წლის 27 მაისის განჩინება № 3კ-1434-02
55. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინება № ას-681-637-2010

56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 თებერვლის განჩინება № 1223-1164-214
57. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 ივნისის განჩინება № ას-1577-1480-2012
58. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-1161-1106-2014
59. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 დეკემბრის განჩინება № ას-665-621-2015
60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 თებერვლის განჩინება № ას-203-196-2012
61. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 სექტემბრის განჩინება № ას-1292-1312-2011.
62. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 დეკემბრის განჩინება № ას-386-737-07
63. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატის 2011 წლის 12 აპრილის განჩინება № ას-1224-1076-2010
64. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივლისის განჩინება № ას-177-167-2011
65. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აპრილის განჩინება № ას-480-454-2012
66. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განჩინება № ას-146-476-09
67. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის განჩინება № ას-650-616-2015
68. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 აპრილის განჩინება № ას-227-219-2012
69. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განჩინება № ას-253-240-2015
70. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება № ას-293-277-2011

71. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინება № ას-782-731-2017
72. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება №ას-171-160-2017
73. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება №ას-513-490-2016
74. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინება № ას-1405-1420-2011
75. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2004 წლის 5 იანვარის განჩინება№ას-205-899-03
76. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინება N ას-1172-1127-2016
77. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 6 ივნისის განჩინება№ას-1577-1480-2012
78. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 სექტემბრის განჩინება№ ას-980-1014-2011
79. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივლისის განჩინება№ ას-120-114-2013
80. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განჩინება №ას- 1183-1112-2012
81. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 თებერვლის განჩინება № ას-186-175-2017.
82. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 აპრილის განჩინება№ას-983-1183-08
83. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 3 აპრილის განჩინება№ას-981-1245-05
84. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 თებერვლის განჩინება№ას-1711-1695-2011
85. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის განჩინება№ას-596-560-2010

86. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განჩინება №ას-1183-1112-2012
87. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინება №28/1463-09
88. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინება №ას-33-489-06
89. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განჩინება №ას-203-193-2016
90. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 ნოემბრის განჩინება №ას-348-2019
91. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განჩინება №ას-845-789-2017
92. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინება №ას-1221-1146-2015
93. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 სექტემბრის განჩინება №ას-578-544-2010

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. Öneriyıldız v. Turkey განაცხადი: №48939/99, 30 ნოემბერი 2004 წ;
2. Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany განაცხადი: N№42527/98, 12 ივლისი 2001w.
3. მარქსი ბელგიის წინააღმდეგ. განაცხადი № 6833/74 13 ივნისი 1979 წელი
4. Mitzinger v. Germany. განაცხადი №29762/10; 9 თებერვალი 2017 წელი
5. Elsholz v. Germany განაცხადი: № 25735/94. 13 ივლისი 2010 წელი
7. Winterwerp v The Netherlands, განაცხადი № 6301/73, 27 ნოემბერი 1981 წელი
8. Fabris v. France განაცხადი № 16574/08, 7 თებერვალი 2013 წელი
9. ნ.წიკლაური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ. განაცხადი № 71776/12. 2 თებერვალი 2016 წელი; საბოლოო გახდა 2016 წლის 2 მაისს
10. Serife Yigit v. Turkey განაცხადი №3976/05; 2 ნოემბერი 2010 წელი
11. Vo v. France, განაცხადი №53924\00, 8 ივლისი 2004 წელი
12. Evans v. United Kingdom განაცხადი №36339/05, 10 აპრილი 2007 წელი

13. *Mennesson v. France* განაცხადი №65192/11, 26 ივნისი 2014 წელი; საბოლოო გახდა 26 სექტემბერი 2014 წელი;
14. *Foulon and Bouvet v. France* განაცხადი №9063/14 21 ივლისი 2016 წელი;
15. *Mazurek v. France* განაცხადი №34406/97, 1 თებერვალი 2000 წელი; საბოლოო გახდა 1 მაისი 2000 წელი
16. *Pla and Puncernau v. Andorra* განაცხადი №69498/01; 13 ივლისი 2004 წელი; საბოლოო გახდა 5 დეკემბერი 2004 წელი;
17. შპს ჯგჯ სტატუბა და გუსელნიკოვასი ლიტვის წინააღმდეგ განაცხადი N №3330/12; 2013 წლის 5 ნოემბერი; საბოლოო გახდა 5 თებერვალი 2014 წელი
18. მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Maurice v. France*), განაცხადი N№11810/03, 6 ოქტომბერი 2003 წელი;
19. კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი №7975/06; 2010 წლის 2 თებერვალი, საბოლოო გახდა 5 თებერვალი 2010 წელი;
20. კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (*Kopecký v. Slovakia*), განაცხადი N№44912/98, 28 სექტემბერი 2004 წელი;
21. *Centro Europa 7 S.r.l და დისტეფანო იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.r.l and Di Stefano v. Italy)*, განაცხადი N№38433/09; 07 ივნისი 2012 წელი;
22. *Kroon v. the Netherlands* განაცხადი N№18535/91 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 27 ოქტომბერი 1994 წელი;
23. *Karner v. Austria* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, განაცხადი #40016/98; 2003 წლის 24 ივლისი.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. BVerfGE, Beschluss des Ersten Senats vom 14. Februar 1973, Band 34, S. 288.
2. BVerfGE, Urteil vom 15. Januar 1958, Band 7, S. 215.
3. BVerfGE, Urteil vom 15. Januar 1958, Band 7, S. 215.
4. BVerfG, Beschluss vom 19.04.2005 - 1 BvR 1644/00, openJur 2010, 3199
5. BVerfGE, Beschluss v. 19.04.2005, 1 BvR 1644/00, 188/03, Rn. 73.

6. BVerfGE 67, 329 (341)
7. BGH, Urt. v. 13. April 2011- IV ZR 204/09;
8. BGH, Urt. v. 10.12.2003 – IV ZR 249/02, NJW, 1382.
9. BGH, Urt. v. 21.06.1972, Az.: IV ZR 69/71; Urt. v. 25.06.1997, Az.: IV ZR 233/96
10. BGH, Urt. v. 23. Mai 2012 – IV ZR 250/11
11. BGH, Urt. v. 27 März 1996 - IV ZR 185/95 = NJW 96, 1743
12. BGH, Urteil vom 25./26.10.1976 – IV ZR 109/74, NJW 1977, S. 339
13. BGH, NJW 1974, S. 1084 ,1085
14. BGH, Urteil vom 19. April 2000 - XII ZR 332/97= NJW 2000, 2280
15. OLG Düsseldorf, NJW 1968, S. 944, 945; OLG Hamburg, NJW 1988, S. 977, 978;

ონტერნეტ რესურსები

1. <https://www.legifrance.gouv.fr/>
2. <http://derechocivil-ugr.es/attachments/article/45/spanish-civil-code.pdf/>
3. <https://v1.juristaitab.ee/ru/zakonodatelstvo/zakon-o-nasledovanii>
4. <<http://www.bailii.org/eu/cases/ECHR/>
5. <http://www.dutchcivillaw.com/civilcodebook044.htm> .
6. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memk_vidreoba.pdf/
7. <http://www.library.court.ge/upload/giz2011-ge-bgb.pdf>
8. <http://www.turkpropertylaw.com/index.php?p=law-of-succession>
9. <http://www.admdlaw.com/succession-in-turkey/>
10. https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/turketi.pdf/
11. http://en.wikipedia.org/wiki/Legal_system_of_Saudi_Arabia#Family_law/
12. <http://www.islam101.com/sociology/inheritance.htm>
13. <http://www.alaviandassociates.com/documents/civilcode.pdf/>
14. <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv034269.html/>
15. <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv007198.html №208/>
16. <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv007198.html №208/>

17. <http://www.supremecourt.ge/>
18. <https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/iliabrary/ba1/ba1/3-Makiaveli>.
19. http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf;
20. http://www.echr.coe.int/Documents/FS_Interim_measures_ENG.pdf
21. [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-57904%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-57904%22]}).